

კოლხედ თოფრიშვილი

სახელების ეთნოლოგია
და ისტორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

როლანდ თოფჩიშვილი

სახელების ეთნოლოგია და ისტორია

მსოფლიოს ხალხთა
ანთროპონიმიული სისტემები

სახელმძღვანელო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
შემსწავლელი სტუდენტებისათვის



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2010

UDC (უკ) 811.353.1'373.232.1+811.353.1'373.232.3.+39 (=353.1)
თ - 778

TOPCHISVILI ROLAND ANDRIAS DZE
ANTHROPONYME OF WORLD POPULATION. Tbilisi, 2010
TEXBOOK FOR STUDENTS

ТОПЧИШВИЛИ РОЛАНД АНДРИАС ДЗЕ
ЭТНОЛОГИЯ И ИСТОРИЯ ИМЕН. Антропонимические
системы народов мира. Тбилиси, 2010
УЧЕБНОЕ ПОСОБИЕ ДЛЯ СТУДЕНТОВ

სახელმძღვანელო *სახელების ეთნოლოგია და ისტორია: მსოფლიოს ხალხთა ანთროპონიმიული სისტემები* განკუთვნილია უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულების — ეთნოლოგიის, ისტორიის, ენათმეცნიერების — სტუდენტებისათვის. სახელმძღვანელოს ძირითადი მიზანია ამ მიმართულებით კვლევის გააქტიურება და მომავალი სპეციალისტების მომზადება.

ანთროპონიმია მრავალ მკითხველს იზიდავს: საკუთარი სახელისა და გვარსახელის ისტორია თითოეულ ჩვენგანს აინტერესებს. ამიტომ წიგნი მოსახლეობის ფართო ფენებისთვისაცაა განკუთვნილი.

რედაქტორები:

შუქია აფრიდონიძე
როზეტა გუჯეჯიანი
ინგა ლუტიძე

© რ. თოფჩიშვილი, 2010

გამომცემლობა „*უნივერსალი*“, 2010

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-008-9

სარჩევი

შესავალი.....	5
---------------	---

ნაკვეთი I — ანთროპონიმთა კვლევის ზოგადი ასპექტები

I. 1. საკუთარი სახელები.....	8
I. 2. ორსახელიანობის შესახებ.....	25
I. 3. საკუთარ სახელთა სისტემები.....	28
I. 4. სად და როდის წარმოიქმნა მემკვიდრეობითი სახელები (გვარსახელები).....	36
I. 5. საკუთარ სახელთა ფუნქცია. საკუთარი სახელები პირველყოფილ და კლასობრივ საზოგადოებებში.....	41
I. 6. თანამედროვე ანთროპონიმიული ზონები.....	48

ნაკვეთი II — მსოფლიოს ხალხთა ანთროპონიმიული სისტემები

II. 1. ძველი ბერძენთა საკუთარი სახელები.....	54
II. 2. თანამედროვე ბერძენთა ანთროპონიმიული მოდელი.....	58
II. 3. რომაელთა ანთროპონიმიული მოდელი.....	61
II. 4. იტალიელთა საკუთარი სახელები.....	65
II. 5. ესპანელთა და ესპანურენოვან ხალხთა საკუთარი სახელები.....	68
II. 6. ფრანგთა საკუთარი სახელები.....	71
II. 7. ინგლისელთა საკუთარი სახელების სისტემა.....	76
II. 8. გერმანელთა საკუთარი სახელები.....	79
II. 9. სკანდინავიელთა ანთროპონიმები.....	83
II. 10. კელტურენოვან ხალხთა საკუთარი სახელები.....	86
II. 11. ბალტიელთა საკუთარი სახელები.....	89
II. 12. აღმოსავლეთსლავური (რუსული, უკრაინული, ბელორუსული) საკუთარი სახელები.....	91
II. 13. სამხრეთ და დასავლეთ სლავების ანთროპონიმიული სისტემები.....	102
II. 14. უნგრული ანთროპონიმიული მოდელი.....	105
II. 15. ესტონელთა საკუთარი სახელები.....	109
II. 16. ებრაელთა საკუთარი სახელები.....	110
II. 17. არაბული საკუთარი სახელები.....	124
II. 18. ჩინურ საკუთარ სახელთა სისტემა.....	136
II. 19. ვიეტნამელთა ანთროპონიმიული მოდელი.....	148
II. 20. კორეელთა ანთროპონიმიული მოდელი.....	151
II. 21. ინდოელთა ანთროპონიმიული მოდელი.....	157

II. 22.	თურქულენოვანი ხალხების სახელები.....	161
II. 23.	აზერბაიჯანელთა საკუთარი სახელები.....	168
II. 24.	სომხური საკუთარი სახელები	172
II. 25.	ინგუშთა და ჩაჩანთა საკუთარი სახელები	174
II. 26.	ადიღეელთა საკუთარი სახელები	180
II. 27.	აფხაზური საკუთარი სახელები	
II. 28.	ოსური საკუთარი სახელები	

ნაკვეთი III — ქართველთა ანთროპონიმიული სისტემა

III. 1.	ქართული პიროვნული სახელები.....	188
III. 2.	ქართული გვარსახელების წარმოქმნის შესახებ	213
III. 3.	ქართულ გვარსახელთა კლასიფიკაცია	229
III. 4.	გვარის დანაყოფი — მეორე მემკვიდრეობითი სახელი..	254
III. 5.	ქართულ საკუთარ სახელთა სისტემა. ანთროპონიმიული მოდელი	261
III. 6.	საქართველოში საკუთარ სახელთა დარქმევის ზოგიერთი ტრადიციის შესახებ	277
III. 7.	აღმოსავლური და დასავლური ელემენტი ქართულ ანთროპონიმიში	285
III. 8.	-ფხე (-ხე) სუფიქსის უცნობი ფუნქციის შესახებ ქართულ ანთროპონიმიში.....	289

ნაკვეთი IV. სახელების სარეკომენდაციო სია..... 298

IV. 1.	ქალის სახელები	299
IV. 2.	კაცის სახელები.....	303

შესავალი

თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემა სხვადასხვა მეცნიერული მიმართულების, განსაკუთრებით კი მომიჯნავე დარგების ინტეგრაციას ითვალისწინებს. გადაკვეთის სფერო გააჩნიათ ისტორიას, ეთნოლოგიას, ლინგვისტიკას. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ამ სამი მეცნიერების თანაბრად ფლობის შესანიშნავ მაგალითს დიდი *ივანე ჯავახიშვილი* გვიჩვენებდა. იგივე შეიძლება ითქვას *სიმონ ჯანაშიას* შესახებ. შემდეგ ასეთი ცოდნის შესანიშნავი მაგალითი მოგვცა *გიორგი მელიქიშვილმაც*. მათი მეცნიერული მიღწევების მაღალი დონე ამითაც იყო განპირობებული. საბჭოთა პერიოდში მეცნიერების ვიწრო სპეციალიზაცია მოხდა. ეს ეტაპიც გასავლელი იყო. თანამედროვე ქართული მეცნიერება ახლა სხვადასხვა დარგის ინტეგრაციის, დაახლოების ეტაპის გზას ადგას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფაკულტეტები გამსხვილდა. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ლექციები ენათმეცნიერებაშიც მოისმინონ, ისტორიაშიც, ეთნოლოგიასა და არქეოლოგიაშიც. ეს მათი ცოდნის თვალსაწიერს ზრდის.

ჰუმანიტარულ მეცნიერებაში თავიდანვე არსებობდა ისეთი სფეროები, რომლებშიც სხვადასხვა მეცნიერების საფუძვლების ცოდნის გარეშე ფონს ვერ გავიდოდა ადამიანი. სრულყოფილად ვერ შეისწავლის მკვლევარი ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემებს, თუ მან რამდენიმე მეცნიერების — ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ენათმეცნიერების, ფიზიკური ანთროპოლოგიის საფუძვლები არ იცის. ერთ-ერთი საკვლევი სფერო, მიმართულება, რომელიც სხვადასხვა მეცნიერების — ისტორიის, ეთნოლოგიის, ენათმეცნიერების — ცოდნას საჭიროებს, ანთროპონიმები, ანუ პირთა საკუთარი სახელებიცაა. მართალია, ლინგვისტიკას, ეთნოლოგიასა და ისტორიას ანთროპონიმების მიმართ კვლევის საკუთარი ინტერესი და არეალი აქვს, მაგრამ შედეგი მაშინაა სრულყოფილი, როდესაც მეცნიერი სამივე დასახელებული მეცნიერების კვლევის მეთოდებს ფლობს; ისტორიკოსი იყენებს ამ სფეროში მოპოვებულ ლინგვისტთა და ეთნოლოგთა კვლევის შედეგებს და პირუკუ. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ანთროპონიმების (ადამიანთა საკუთარი სახელების) კვლევაში დღემდე არაფერი გაკეთებულა, — პირიქით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად თავის

საქმეს ლინგვისტიც აკეთებდა, ეთნოლოგიც და ისტორიკოსიც. განსაკუთრებულ წარმატებას ამ თვალსაზრისით უფრო ენათმეცნიერებმა მიაღწიეს. მაგრამ ამ სფეროს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელიც ისტორიისა და ეთნოლოგიის მეცნიერებათა კვლევის მეთოდებით, სათანადო ცოდნით არ იყო აღჭურვილი, დასანანი შეცდომები დაუშვა. სახელების ისტორიული თვალსაზრისით კვლევას მნიშვნელოვანი საფუძველი მას შემდეგ ჩაეყარა, რაც ხელნაწერთა ინსტიტუტმა გამოსცა *პირთა ანოტირებული ლექსიკონის ხუთტომეული*, რომელშიც თავმოყრილია ყველა ის სახელი, რომლებიც ჩვენამდე მოღწეულ ქართულ საისტორიო საბუთებშია შეტანილი 1700 წლის ჩათვლით.

წინამდებარე სახელმძღვანელოს ავტორს ანთროპონიმების ეთნოისტორიული ასპექტით კვლევის რამდენიმე ნაშრომი ეკუთვნის. ის აქამდე მთის მოსახლეობის მიგრაციების შესწავლამ მიიყვანა, რადგანაც გვარსახელები მოსახლეობის გადასახლების შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა, ქართული ანთროპონიმები კი სხვა არაერთი პრობლემის გადაწყვეტის საშუალებასაც გვაძლევს. ესაა სოციალური ურთიერთობები, საქორწინო ტრადიციები, უძველესი რწმენა-წარმოდგენები... გარდა ამისა, თითოეულ ადამიანს და მათ შორის ქართველსაც თავისი საკუთარი გვარის ისტორია აინტერესებს. საერთოდ, ქართული საკუთარი სახელების (ინდივიდუალური სახელი, მეტსახელი, გვარსახელი, გვარის დანაყოფის სახელი) სრულყოფილი შესწავლა მომავლის საქმეა. ამისათვის კი საჭიროა ზემოთ დასახელებული მეცნიერების ცოდნა. მომავალი მკვლევარი კი უნივერსიტეტში უნდა მომზადდეს, დაეუფლოს ანთროპონიმების კვლევის მეთოდებს, როგორც ისტორიაში, ისე ეთნოლოგიაში და ლინგვისტიკაში. მკვლევარს ზოგადი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ ქართული საკუთარი სახელების შესახებ; გათვითცნობიერებული იყოს კვლევის ასპექტებში, მიმართულებებში მსოფლიოს უაღრესად ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობის საკუთარ სახელთა სისტემებში, ანთროპონიმულ მოდელებში, რით გვანან და განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან, ყველაზე მეტ სიახლოვეს რომელთან ამჟღავნებს უაღრესად ორიგინალური და თვითმყოფადი ქართული საკუთარი სახელები. ამ სახელმძღვანელოს დაწერისა და სალექციო კურსის შემოღების მიზანი ეს იყო. უკვე რამდენიმე წელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულებების (ეთნოლოგია, ისტორია, ფილოლოგია, არქეოლოგია) სტუდენტები სა-

ლექციო კურსს ისმენენ. სახელმძღვანელო სწორედ მათთვის დაინერა.

სახელმძღვანელოს ავტორს პრეტენზია არა აქვს, რომ თანაბრად ფლობს ანთროპონიმების ეთნოლოგიური, ისტორიული და ენათმეცნიერული კვლევის მეთოდებს. ნიგნს **სახელების ეთნოლოგია და ისტორია** ჰქვია, ე. ი. ყურადღება ძირითადად საკუთარ სახელთა ეთნოლოგიური კვლევის ასპექტებზეა გამახვილებული. იგივე შეიძლება ითქვას ანთროპონიმების ისტორიაზეც, რადგან ჩვენში ეთნოლოგიური მეცნიერება თავიდანვე საისტორიო მიმართულებით განვითარდა.

წინამდებარე ნიგნი (*სახელების ეთნოლოგია და ისტორია*) სახელმძღვანელოს *შექმნის* პირველი მცდელობაა. ის ოთხი მონაკვეთისაგან შედგება. პირველი ნაკვეთი ანთროპონიმთა კვლევის ზოგად ასპექტებს ეხება, მეორე — მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების საკუთარ სახელთა სისტემას, მესამე — ქართულ საკუთარ სახელებს, მეოთხე მონაკვეთი მოიცავს ქართული ინდივიდუალური სახელების სიას, რომელმაც რიგ შემთხვევაში იქნებ სარეკომენდაციო სიის მაგივრობაც გასწიოს. ქართულ ანთროპონიმებს სახელმძღვანელოში შედარებით ვრცელი მონაკვეთი უკავია.

ბუნებრივია, სახელმძღვანელო ხარვეზებისაგან დაზღვეული ვერ იქნება. ავტორი შეეცადა, რომ მათი რაოდენობა მინიმალური ყოფილიყო. ვიმედოვნებთ, რომ კოლეგები, როგორც ეთნოლოგები, ისე ისტორიკოსები და ენათმეცნიერები, კეთილსურვილებს გამოთქვამენ, რაც სახელმძღვანელოს მეორე გამოცემისას გათვალისწინებული იქნება. ავტორი დიდად მადლიერია რედაქტორების — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **შუქია აფრიდონიძის**, ფილოლოგიის დოქტორის **ინგა ლუტიძისა** და ისტორიის დოქტორის **როზეტა გუჯეჯიანის**, რომლებმაც გულისყურით წაიკითხეს ნიგნის ხელნაწერი. მათი გარკვეული შენიშვნები, წინადადებები და სურვილები გათვალისწინებულ იქნა. თავს ვალდებულად ვთვლი, მადლიერებით მოვიხსენიო პროფესორი **მიხეილ ქურდიანი**, რომელმაც ახალგაზრდობის წლებში ანთროპონიმის შესახებ საკუთარი ბიბლიოთეკიდან ორ ათეულამდე ნიგნი მისახსოვრა.

ნაკვეთი I

ანთროპონიმთა კვლევის ზოგადი ასპექტები

I. 1. საკუთარი სახელები

§1. სახელები — ადამიანისა და ხალხისათვის დამახასიათებელი ნიშანი. ადამიანი არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სოციალური არსებაცაა და მას საკუთარი (პირადი) სახელის გარეშე არასოდეს უცხოვრია. მეცნიერთათვის ცნობილი განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი ეთნოსებისთვისაც (ხალხებისთვისაც) კი ის აუცილებელი ატრიბუტი იყო. ადამიანები პირად ურთიერთობისას ერთმანეთს საკუთარი სახელებით (პირადი, ინდივიდუალური) სახელებით ასხვავებდნენ და მიმართავდნენ. ცნობილი არ არის, როდის, როგორ, საზოგადოების განვითარების რომელ საფეხურზე წარმოიქმნა პირადი (ინდივიდუალური) სახელი. ამ მოვლენას ისტორიის სიღრმეში, ალბათ, მაშინ უნდა ჰქონოდა ადგილი, როდესაც პლანეტას „ჰომო საპიენსი“ (მოაზროვნე ადამიანი) მოეწვინა. პიროვნული (ინდივიდუალური) სახელი ენის თანმდევი მოვლენა იყო. ადამიანებს, სხვები თუ არა, შვილები მაინც უნდა განესხვავებინათ ერთმანეთისგან. ამრიგად, კაცობრიობის ყველა ისტორიულ პერიოდში ადამიანები ერთმანეთისგან თავს საკუთარი სახელებითაც განასხვავებდნენ.

დროთა განმავლობაში პიროვნების მაიდენტიფიცირებელი საკუთარი სახელები რთულდებოდა. გარდა იმისა, რომ ადამიანები ერთმანეთს ინდივიდუალური სახელებით ასხვავებდნენ, საზოგადოების განვითარების კვალობაზე საკუთარი სახელები რთულდებოდა. ადამიანებს გაუჩნდათ მოთხოვნილება, ესა თუ ის ინდივიდი სხვა სახელებითაც, მაგალითად, მამის სახელითაც მოეხსენებინათ. როგორც სოციალურ არსებას, ადამიანს ცხოვრება უხდებოდა გარკვეულ სოციალურ გარემოში, ნათესაურ ერთობაში (ოჯახი, გვარი, თემი). სახელები გაუჩნდათ ნათესაურ ერთობებსაც, პირველ რიგში ოჯახს, შემდეგ უფრო დიდ სოციალურ ერთობას – გვარს. გაჩნდა გვარი და, ბუნებრივია, ის სახელწოდების გარეშე წარმოუდგენელია; გვარი მონათესავე ინდივიდების ერთობას წარმოადგენდა. გვარიც, ბუნებრივია, სახელის გარეშე არ არსებობდა. საჭიროებამ მოიტანა, რომ პირი, გარდა პიროვნული (ინდივიდუალური) სახელისა და მამის სახელისა, სანათესაო წრის, სოციუმის სახელითაც ყოფილიყო მოხსენიებული. ადამიანები თავიდანვე არ კმაყო-

ფილდებოდნენ ერთი ინდივიდუალური სახელით; ისინი ორ, სამ და მეტ სახელსაც ატარებდნენ, ან ასაკის ცვლილებასთან ერთად ხშირად სახელებსაც იცვლიდნენ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავისი ბუნებითა და ხასიათით ყველა ინდივიდი ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ ღმერთმა ადამიანებს ეთნოსებად ცხოვრებაც უბოძა, რომელთა ერთ-ერთი ძირითადი და განმასხვავებელი ნიშანი ენაა, ყოველ შემთხვევაში, ისტორიის ახალ ეპოქამდე. ეთნოსებიც ერთმანეთისგან არა მხოლოდ ენით, კულტურითა და ხასიათით განსხვავდებოდნენ, არამედ სახელებითაც — ეთნონიმებით. ადამიანთა ეთნიკური ერთობები, ხალხები ერთმანეთისგან საკუთარ სახელთა ერთობლიობით (პირადი ინდივიდუალური სახელი, გვარი) განსხვავდებოდნენ. **ყველანაირ საკუთარ სახელს ანთროპონიმი (ბერძნ. anthropos — ადამიანი და onyma — სახელი) ჰქვია, საკუთარ სახელთა ერთობლიობის შემსწავლელ მეცნიერებას კი ანთროპონიმიკა. ანთროპონიმიკაც ანთროპონიმების, ე. ი. ადამიანთა საკუთარი სახელების ერთობლიობაა. ის მოიცავს როგორც ინდივიდუალურ სახელს, ასევე მამის სახელს, გვარსა და მეტსახელს.**

ადამიანთა საზოგადოების სოციალურ დიფერენციაციამდე, ბუნებრივია, ანთროპონიმები სხვა შედგენილობის იყო. მის სტრუქტურაზე, სისტემაზე დიდ გავლენას ახდენდა ეთნოსისთვის დამახასიათებელი რწმენა-წარმოდგენები. საზოგადოების პროგრესთან ერთად იცვლებოდა საკუთარ სახელთა სისტემებიც. თანამედროვე ხალხების საკუთარ სახელთა სისტემები და ანთროპონიმული მოდელები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, რადგანაც მრავალფეროვანია თვით დედამიწის ეთნიკური შემადგენლობა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამა თუ იმ ეთნოსისთვის დამახასიათებელი საკუთარ სახელთა სისტემა თუ ანთროპონიმული მოდელი არ არსებობს. ბევრი ხალხი ამ თვალსაზრისითაც დღეს (ათასი ან ორი ათასი წლის წინათაც) ჰგავს ერთმანეთს. ადამიანებსა და ეთნოსებს მუდმივი კონტაქტები ჰქონდათ ერთმანეთთან, უზიარებდნენ გამოცდილებას, ერთი ხალხის კულტურა თუ მისი ცალკეული ელემენტი სხვა ხალხში ვრცელდებოდა. ასევე იყო საკუთარი სახელებიც. მეზობელი ხალხები ინდივიდუალურ სახელებს ერთმანეთისგან სესხულობდნენ. ამიტომაცაა, რომ ძალიან ხშირად ჩვენ არც კი ვიცით ამა თუ იმ საკუთარი სახელის მნიშვნელობა. ეთნოსები უფრო დააახლოვა მონოთეისტურმა რელიგიებმა. იმის გამო, რომ ეს

სფერო – საკუთარი სახელები — დიდი რელიგიების პრეროგატივა იყო, ქრისტიანულ სამყაროში გაჩნდა ერთნაირი საკუთარი სახელები, მუსლიმურ სამყაროში – მათთვის დამახასიათებელი და ა. შ. ქრისტიანულმა და მუსლიმურმა ანთროპონიმებმა, ფაქტობრივად, განდევნა ამა თუ იმ ეთნოსისა და მისი რწმენა-წარმოდგენებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური სახელები, რომელთა ეტიმოლოგია გამჭვირვალე იყო.

§2. საკუთარი სახელების შემსწავლელი მეცნიერებები.

როგორც აღვნიშნეთ, საკუთარი სახელების შემსწავლელ მეცნიერებას ანთროპონიმოლოგია ჰქვია. რომელი მეცნიერების საფუძვლებს უნდა ემყარებოდეს ანთროპონიმების შემსწავლელი მეცნიერება? ენათმეცნიერი გეტყვით, რომ ანთროპონიმებს ლინგვისტიკები სწავლობენ, ეთნოლოგი საკუთარ სახელებს ეთნოლოგიური კვლევის საგნად მიიჩნევს; მსგავსივე თვალსაზრისი აქვს ისტორიკოსსაც. სინამდვილეში ენათმეცნიერებსაც, ეთნოლოგებსაც და ისტორიკოსებსაც ანთროპონიმების კვლევის საკუთარი ასპექტები მოეპოვებათ. სახელი სიტყვაა, და როგორც ყველა სიტყვა, ისიც ენის კანონებს ემორჩილება. საკუთარი სახელი ლექსიკური ერთეულია. ბუნებრივია, იგი როგორც ენობრივი მოვლენა, ენათმეცნიერების კვლევის სფეროში შედის. ვინაიდან ეთნოსები საკუთარი სახელებითაც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან და ყველა ხალხს მათთვის დამახასიათებელი საკუთარ სახელთა სისტემა ჰქონდა და აქვს, ამდენად ის ეთნოლოგების კვლევის საგანიცაა. ამავე დროს სახელების დარქმევას, ცვლას ძალიან ხშირად ხალხის რწმენა-წარმოდგენებიც განაპირობებდა. ისტორიკოსს საკუთარი სახელი იმდენად აინტერესებს, რამდენადაც იცვლებოდა და ვრცელდებოდა ის ერთი ხალხიდან მეორეში. ამავე დროს საკუთარი სახელებით, როგორც ენობრივ-ლექსიკური მოვლენით, ძველ ხალხთა ეთნიკურობისა და ეთნოგენეზის საკითხებსაც არკვევდნენ, თუმცა ცხადად უნდა ითქვას, რომ საკუთარ სახელთა სისტემების, ანთროპონიმული მოდელების კვლევა მაშინ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად, როდესაც მკვლევარი მეტ-ნაკლებად ფლობს ზემოთ აღნიშნული სამივე მეცნიერების – ენათმეცნიერების, ეთნოლოგიისა და ისტორიის — კვლევის მეთოდებს. უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ზოგჯერ მეცნიერების დასახელებული დარგების წარმომადგენლები საკუთარი სახელების კვლევისას ერთმანეთის სფეროში იჭრებიან ისე, რომ სხვა დარგის, მეცნიერების სათანადო ცოდნა არ გააჩნიათ და, შესაბამისად, შემდეგ დასკვნებსაც სავალა-

ლოს ვიღებთ ხოლმე. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ლინგვისტმა საკუთარი სახელები ლინგვისტური თვალსაზრისით უნდა იკვლიოს, ეთნოლოგმა და ისტორიკოსმა კი ეთნოლოგიური და ისტორიული თვალსაზრისით.

§3. სახელები და ეთნოსები. სახელთა სესხება. ხალხთა უმეტესობის მეტყველება სხვადასხვა ეპოქაში, დროთა განმავლობაში იცვლებოდა. მასთან ერთად, თუმცა გაცილებით ნელა — იცვლებოდა საკუთარი სახელებიც, რაც გამონვეული იყო სხვადასხვა ფაქტორით. ასეთი სახელებით მეცნიერები არკვევდნენ წარსულ ყოფას, ხალხთა რწმენა-წარმოდგენებს. გვარსახელებმა შემოგვინახეს ბევრი დავინწყებული სიტყვის მნიშვნელობაც. ქართულ გვარსახელთა ფუძეები ზოგჯერ ჩვეულებრივი ადამიანისთვის გაუგებარია. სპეციალური ცოდნის გარეშე მათი მნიშვნელობის გაგება შეუძლებელია, თუმცა შექმნის პროცესში ის გასაგები იყო იმ ეპოქის ადამიანებისთვის. მაგალითად, თუ გვარსახელი *მესტუმრე* თანამედროვე ქართველისათვის გასაგებია (გვარსახელის ფუძემდებელი პროფესიით მესტუმრე იყო), მაგრამ გაუგებარია *ყაუხჩიშვილის* გვარის ფუძის მნიშვნელობა. აქ ჩვენ თურქოლოგის ჩარევა გვეხმარება, რომელიც ჩვენთვის მას საცნაურს ხდის: აღნიშნული გვარსახელის საფუძველჩამყრელი პროფესიით მექუდე, ქუდების მკერავი იყო. აღნიშნულიდან კიდევ ერთი დასკვნა შეიძლება გამოიტანოს მკვლევარმა, რომ ოდესღაც ქართული ენა თურქულის გავლენას განიცდიდა. ბუნებრივია, ეს იმ დროს ხდებოდა, როდესაც ოსმალეთის იმპერიას ქართული ტერიტორია პოლიტიკურად დაპყრობილი ჰქონდა.

ადრე შუა საუკუნეებში ზოგიერთი სომხური და ქართული საკუთარი სახელი ერთმანეთის მსგავსია (იდენტურია). მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სახელები: *აშოტ, გურგენ. აშოტი* — ეს ფორმა სომხურს დღემდე შემორჩა, ქართულში მან ტრანსფორმაცია განიცადა და მივიღეთ *შოთა*. ასევე დღემდე შემორჩენილი სომხურ საკუთარ სახელთა შორის *გურგენი, რომელიც* ქართულში არცთუ ისე დიდი ხნის წინ გავიდა ხმარებიდან. ხშირად ისტორიის არმცოდნე ადამიანებს საქართველოში აღნიშნული სახელების გავრცელება სომხური გავლენა ჰგონიათ. სინამდვილეში როგორც სომხურში, ისე ქართულში ისინი ირანულიდან იყო შემოსული. აღნიშნული კი იმაზე მიუთითებს, რომ ორივე მეზობელი ირანულ კულტურულ გავლენას განიცდიდა. მეცნიერებს ისიც აქვთ შენიშნული, რომ ამ თვალსაზრისით ირანის გავლენას სომხეთი უფრო მეტად განიცდიდა. სომ-

ხები და ქართველები ამ თვალსაზრისით გამონაკლისები არ ყოფილან. სესხება მთელ მსოფლიოში იყო გავრცელებული. პირთა სახელებს ბევრი ხალხი სხვათაგან სესხულობდა. დღეს ლათინურად მიჩნეული ბევრი სახელი ლათინური (რომაული) არ არის. რომაელებს, თავის მხრივ, ისინი ეტრუსკებისგან ჰქონდათ შეთვისებული. ფრანგებს პრაქტიკულად არა აქვთ ფრანგული სიტყვებისგან ნაწარმოები საკუთარი სახელები. მათი სახელები კათოლიკური ეკლესიის შემოტანილია რომიდან. ადრე შუა საუკუნეებში, იმ დროს, როდესაც ფრანგული ეთნოსი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო, აქ მცხოვრებ ხალხში ძალიან გავრცელებული იყო გერმანული სახელები, რომლებიც აქ გერმანულმა ტომებმა (ფრანკებმა, ბურგუნდებმა) მოიტანეს.

დღეს ქართველთა შორის ძირითადად მართლმადიდებლური კანონიკური ქრისტიანული სახელებია გავრცელებული. ქართულისათვის არც აღმოსავლური (ირანული, არაბული, თურქული) სახელებია უცხო, თუმცა მეცნიერებს მეტ-ნაკლებად აქვთ საშუალება გვიჩვენონ, თუ როგორი იყო ქართული საკუთარი სახელები ქრისტიანობის გავრცელებამდე. იგივე შეიძლება ითქვას რუსული ანთროპონიმების შესახებაც: რუსული ეკლესია კრძალავდა ძველ რუსულ სახელებს და რუსთა შორის ბიზანტიიდან შემოსულ სახელებს ავრცელებდა.

ძალიან მდიდარია თურქულენოვანი ხალხების ონომასტიკონი, მაგრამ მათ შორისაც უპირატესობა ენიჭება უცხოური წარმომავლობის პიროვნულ სახელებს, პირველ რიგში, არაბულს, შემდეგ კი — ირანულს. მეცნიერებს ისიც აქვთ შენიშნული, რომ თანამედროვე ენებში უცხო ენებიდან შესულ ლექსიკურ ერთეულებს შორის პიროვნული სახელები პირველობენ.

§4. საკუთარი სახელების მნიშვნელობა/სემანტიკა. ზემოთ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ანთროპონიმები უშუალოდ უკავშირდება ეთნოლოგიას, ეთიმეცნიერებასა და ისტორიას, მაგრამ ისინი დაკავშირებულია სამართალთანაც, სოციალურ ფსიქოლოგიასთანაც, ესთეტიკასთანაც და ანთროპონიმია ისევე წარმოუდგენელია მათ გარეშე, როგორც ტოპონიმია წარმოუდგენელი გეოგრაფიის გარეშე. უნდა ითქვას, რომ ხალხთა საკუთარ სახელებში ტოპონიმებიც ფიგურირებენ. ბევრი პიროვნული სახელი და გვარსახელი ტოპონიმისგან მომდინარეობს, მაგალითად, ქართულში გვქონდა ისეთი სახელები, როგორიცაა *სურამელია*, *ჩოხელია*, *მარგველია*, *ჯაველია*, *ვარძიელია*. თმოგვის ეკლესიაზე მეთორმეტე საუკუნის ასეთი წარწერა იყო: „ქრისტე, შეინყაღე სული *ფარსმან ერისთავთ-ერისთავი-*

საი იოვანეს ძისაი ჭიმჭიმელისაი“. ე. ი. სამცხეში ქართველ დიდებულთა ერთ-ერთი საგვარეულო *ჭიმჭიმელი* იყო. გვარსახელი ამკარა ტოპონიმური წარმოშობისაა, რადგან ის -ელ სუფიქსითაა ნაწარმოები. სადაა ტოპონიმი *ჭიმჭიმი*, საიდან იყვნენ *ჭიმჭიმელები*? ტაოსა და კლარჯეთს შორის სოფელი ამ ტოპონიმით დღესაცაა შემორჩენილი.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ პიროვნული სახელებით (და გვარებითაც) სოციალურ სტატუსსაც მიუთითებენ. შენიშნულია, რომ პირადი სახელების გარკვეული ნაწილი მაღალ ფენებში იყო გავრცელებული, ნაწილი კი — დაბალ ფენებში, თუმცა ზოგიერთ უცნაურობას ამ სფეროშიც ვაწყდებით. მაგალითად, ქართველ თავად-აზნაურთა შორის არცთუ იშვიათად გვხვდებოდა საკუთარი სახელი *გლაბა* (*გლაბუნა*). ზედა ფენებში ასეთი სახელის გავრცელება გარკვეულ რწმენასთან იყო დაკავშირებული. ის ერთგვარი დამცავი სახელი იყო შვილის შეუნარჩუნებლობის შემთხვევაში. ახლად მოვლენილ ვაჟს *გლაბას* არქმევდნენ. რუსულში გვაქვს გვარსახელები *ბარონოვი* და *ხოლასოვი*. ორივე გვარსახელი მათ მატარებელთა სოციალურ წარმომავლობაზე მიუთითებს. პირველი მათგანის წინაპარი, საფუძველჩამყრელი მაღალ სოციალურ წრეს ეკუთვნოდა, მეორისა — დაბალ სოციალურ წრეს. ამდენად, გვარსახელები ზოგჯერ სოციალურ კუთვნილებასაც გამოხატავენ.

მეცნიერთა მტკიცებით, საკუთარი (პიროვნული) სახელების სოციალურობა, იმაშიც გამოიხატება, რომ სახელი თითქოსდა განსაზღვრავს ადამიანთა ბედს, მომავალს. ასეთი რწმენა ადამიანთა ხანგრძლივი ისტორიის დამახასიათებელი მოვლენა იყო.

დღეს სახელთა ფუნქციონირებისათვის მნიშვნელობა არა აქვს მათ ეტიმოლოგიურ მნიშვნელობას. თავდაპირველად კი ადამიანები სახელის სემანტიკას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მაგალითად, ქალის სახელი *მატრონა* ლათინური წარმომავლობისაა და „ქალბატონს“ ნიშნავს. XIX საუკუნის რუსეთში აზნაურთა ფენაში ეს სახელი, ფაქტობრივად, უგულვებლყოფილი იყო და ძირითადად სასულიერო, საეკლესიო წრეში გავრცელებული სახელი იყო. XVI საუკუნის ბოლოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ძალიან გავრცელდა სახელი *ნარინდავითი*. ასეთი სახელი ფეოდალთა შორის საერთოდ არ დასტურდება; ან კიდევ მაგალითად შეიძლება მოვიხმოდ ქალის სახელი *დედოფალი*. ესეც გლახთა შორის იყო გავრცელებული.

§5. სახელი და მოდა. ზემოთ ითქვა, რომ საკუთარი სახელები სამართალთანაც არის დაკავშირებული. თანამედროვე მსოფლიოში გვარსახელიც და პიროვნული სახელიც სამართლებრივი თვალსაზრისით ოფიციალურად არის გაფორმებული. მინიჭებული, შერქმეული სახელის შეცვლა არცთუ ისე ადვილია, ზოგან კი — შეუძლებელიც. დარქმეულ სახელს სამართლებრივი თვალსაზრისით, ადამიანი სიცოცხლის ბოლომდე ატარებს.

სახელი ჟღერადობისა და და ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ესთეტიკის სფეროსაც განეკუთვნება. ამიტომაც, რომ ისტორიის ერთ პერიოდში სახელთა გარკვეული ჯგუფი ჭარბობს, მეორე პერიოდში უკვე სხვა სახელებია წინ წამოწეული. მაგალითად, XVIII საუკუნის საქართველოში ყველაზე პოპულარული სახელი იყო *ბერი* და მისი კნინობითი ფორმები (*ბერუკა, ბერიკა, ბერუნა, ბერო, ბერელა...*). XIX საუკუნის შუა ხანებიდან ის აღარ იხმარებოდა. ამრიგად, სახელები გარკვეულწილად მოდასთანაც არის დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ ლიტერატურას. დადებითი გმირების სახელები სწრაფად ვრცელდება, ისინი უფრო მოდური ხდება, ხოლო უარყოფით პერსონაჟთა სახელები დავიწყებას ეძლევა, მაგალითად, ქალის სახელი *შორენა* პოპულარული გახდა კ. გამსახურდიას რომანის „დიდოსტატის მარჯვენის“ დაბეჭდვის შემდეგ. XIX საუკუნის საქართველოში ერთობ პოპულარული და გავრცელებული სახელი იყო *ლუარსაბი*. ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანმა“ ეს სახელი ქართული ანთროპონიმიდან ფაქტობრივად გააქრო. საბჭოთა პერიოდში თითქმის უკანა პლანზე გადაინია მართლმადიდებლურმა კანონიკურმა სახელებმა, სამაგიეროდ, ფართოდ ვრცელდებოდა ახალი, ე. წ. შეთხზული რევოლუციური სახელები. უკანასკნელ ხანს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და კომუნისტური სისტემის კრახის შემდეგ ქართულმა მართლმადიდებლურმა კანონიკურმა სახელებმა კვლავ საყოველთაო გავრცელება დაიწყო.

§6. საკუთარ სახელთა ფუნქცია. ცხადია, რომ საკუთარ სახელებზე მსჯელობისას ანთროპონიმიკის პირველი კანონი ისტორიზმია. ვერც პიროვნული სახელებისა და ვერც გვარსახელების შემთხვევაში წარსულს ვერ გავექცევით. გვარსახელები ხომ ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზეა წარმოქმნილი, ზოგი ადრე, ზოგიც — გვიან. ზოგიერთი ხალხის გვარსახელმა, ანუ მემკვიდრეობითმა სახელმა საუკუნეებს გაუძლო, ზოგიერთმა კი ისინი სულ რაღაც 50-60 წლის წინათ დაიკანონა. ამრიგად, ან-

თროპონიმებში არაისტორიული არაფერია. მსოფლიოს ხალხთა ანთროპონიმული სისტემებიც ისტორიით არის განპირობებული. ჩვენი შესწავლის საგანსაც სწორედ ეს ანთროპონიმული სისტემები წარმოადგენს.

სანამ უშუალოდ მსოფლიოს ხალხთა საკუთარი სახელების სისტემებს შევხებით, კიდევ ერთი რამ უნდა აღინიშნოს — **საკუთარ სახელებს ფუნქცია ჰქონდათ. პიროვნული სახელითაც და გვარსახელითაც საზოგადოებაში პიროვნების იდენტიფიკაცია ხდებოდა და ხდება.** ამდენად, საკუთარი სახელი არსებობდა და არსებობს მხოლოდ საზოგადოებაში და საზოგადოებისთვის. საკუთარი სახელი ყოველთვის სოციალური იყო.

მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს გვარსახელსაც. ის თავდაპირველად ოჯახის, მასში შემავალი წევრების საერთო სახელწოდება იყო, შემდეგ კი ჯგუფური, დიდი სანათესაო წრის აღმნიშვნელი გახდა. იმის გამო, რომ მსოფლიოს ბევრ ხალხში და, მათ შორის, ქართველ ხალხშიც, ტრადიციით არ შეიძლებოდა ერთი წინაპრის შთამომავალთა ერთმანეთზე დაქორწინება, გვარი (გვარსახელი) საქორწინო ურთიერთობის მომწესრიგებელიც გახდა. ამდენად, ქართული გვარი ეკზოგამიური იყო. ეს იყო მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია. გვარსახელი მემკვიდრეობით გადაეცემოდა მამის ხაზით. ფეოდალიზმის პერიოდში გარკვეული გვარი გარკვეულ ფეოდალს ექვემდებარებოდა. გლეხი თავადის ან აზნაურის საკუთრებას წარმოადგენდა. გლეხი თავადზე (აზნაურზე) თავისი გვართაც (მემკვიდრეობითი სახელითაც) იყო მიბმული. ამავეს მოითხოვდა ევროპული ფეოდალიზმი, რომლის ანალოგიურიც იყო ქართული ფეოდალიზმი.

§7. სახელთა ეტიმოლოგია. ანთროპონიმების წარმოქმნის ერთ-ერთი ძირითადი გზაა აპელატივის (ანუ საზოგადო სახელის) გადაქცევა საკუთარ სახელად. სახელების სემანტიკა მხოლოდ ენათა მრავალფეროვნებით არაა განპირობებული. ყველგან, ყველა ხალხში მამაკაცის სახელები აღნიშნავს ძალას, შეუპოვრობას, გამბედაობას, ძალაუფლებას. განსხვავება განპირობებულია არა ენებით, არამედ ისტორიულად ჩამოყალიბებული პირობებით. მეცნიერებს შენიშნული აქვთ, რომ ჩრდილოეთის ხალხებში არ არსებობს სახელი, რომელიც ეტიმოლოგიურად „ლომის“ აღმნიშვნელი იქნება. ასეთი სემანტიკის მქონე სახელი კი ძალიან ხშირია იმ ქვეყნების ხალხთა ენებში, რომლებშიც ლომი გავრცელებული იყო. ასეთი სახელები ჰქონდათ არაბებს (*ასად*), თურქებს (*არსლან*), სპარსელებს (*შირ*), ლათი-

ნებს (ლეო). პიროვნული სახელი *ლომი* (*ლომა*, *ლომია*, *ლომიტა*) ქართველ ხალხშიც იყო გავრცელებული. მიუხედავად ამისა, *ლომის* აღმნიშვნელი სხვაენოვანი სახელებიც გავრცელდა ქართველთა შორის – *ასადი* (*ასათის* ფორმით): აქედანაა გვარსახელები *ასათიანი* და *ასათაშვილი* და *არსლანი/ასლანი* (*მდრ.: გვარსახელები ასლანიშვილი, ასლანიკაშვილი*).

§8. სახელები და რელიგიები. ადამიანები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სახელს, რომ წარსულში ისინი სახელის დღეებს (დღეობებს) აღნიშნავდნენ. ქრისტიანული ეკლესიის სახელთა ნომენკლატურა წმინდანთა სახელებისგან შედგებოდა. ისინი კანონიკური სახელები იყო. ხალხთა უმეტესობისთვის დაბადების დღეების აღნიშვნა უცხო იყო (ისინი მხოლოდ სახელის დღეებს აღნიშნავდნენ: *გიორგობა*, *ბარბარობა*, *თევდორობა*, *მარიამობა...*). დაბადების დღეების აღნიშვნა პროტესტანტების შემოღებულია. კათოლიკურ ქვეყნებში დღესაც სახელის დღეებს ანიჭებენ უპირატესობას და არა დაბადების დღეს.

სახელებისთვის ერთგვარი გამეორება იყო დამახასიათებელი. ის გადადიოდა შთამომავლობით. საქართველოში ამა თუ იმ გვარისათვის ტრადიციული სახელები იყო დამახასიათებელი (მაგალითად, თავად ჯავახიშვილების გვარში ასეთი სახელები იყო: *ჯავახ*, *გამრეკელ*, *ზაქარია*, *კახა*, *ზაზა*, *როინ*, *ივანე*, *მზეჭაბუკ*, *ბერუკა...*), მაგრამ ქართველები შვილებს თავიანთ სახელებს არ არქმევდნენ. ეს მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა მამა შვილის გაჩენას ვერ მოესწრებოდა, ანუ ბავშვი ობლად დაიბადებოდა. ტრადიცია უფრო პაპის სახელის დარქმევისა არსებობდა, ესეც იმ შემთხვევაში, თუ პაპა გარდაცვლილი იყო.

მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში პიროვნული სახელები რელიგიის დაქვემდებარებაში იყო. ყველა რელიგიას სახელთა დარქმევის სფეროში მონოპოლიური უფლება ჰქონდა, მათ შორის ქრისტიანობასაც. საკუთარი სახელის მიხედვით ადამიანები ადვილად ხვდებოდნენ, რომელი რელიგიისა და კონფესიის მიმდევარი იყო ესა თუ ის პირი. ასე რომ, სახელების დარქმევა რელიგიური ხასიათისა იყო და ის ხშირად გარკვეული ქმედებითაც ფორმდებოდა. სახელი ქრისტიანს ნათლობისას ენიჭებოდა. საკუთარი სახელი რელიგიურობის ერთგვარი სიმბოლო იყო. პირი, რომელსაც *ივანე ან გიორგი ერქვა*, ბუნებრივია, ქრისტიანი იყო, ხოლო *ალის*, *იბრაჰამის* მატარებელი – ისლამის მიმდევარი. ზოგიერთი რელიგია და კონფესია ამ მხრივ ერთგვარი კომპრომისული იყო, მაგალითად, ისლამი, ქრისტიანული კონფესიებიდან – პროტესტანტიზმი. სახელის შერჩევი-

სას ისინი გარკვეულწილად თავისუფლები იყვნენ (საერთოდ, პროტესტანტები წმინდანებს არ ცნობენ). კათოლიციზმი და მართლმადიდებლობა კი სახელების მკაცრად განსაზღვრულ ნომენკლატურას იყენებდნენ. ამ სიის მიღმა არსებული ყველა სხვა სახელი მკაცრად იყო აკრძალული. მაგრამ საეკლესიო და არასაეკლესიო სახელებს შორის ერთგვარი „ბრძოლა“ ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში იყო. ამ მხრივ, ერთგვარი გარდატეხა XII საუკუნეში მოხდა: თუ ადრე შუა საუკუნეების ევროპაში ბავშვებს წელიწადში მხოლოდ ორჯერ ნათლავდნენ — აღდგომასა და სამებობას, შემდეგ ეს წესი შეიცვალა. შესაბამისად, ადრე თუ საეკლესიო დასი შემწყნარებელი იყო მშობლების მიერ დარქმეული „წარმართული“ სახელების მიმართ, XII საუკუნიდან ეკლესია უკვე არავითარ დათმობაზე აღარ მიდიოდა, რადგანაც ევროპაში შეიცვალა ნათლობის ძველი წესი, თუმცა ადგილობრივი ეთნიკური სახელები ყოფაში კვლავ იყო შემორჩენილი. ისინი მეტსახელების სახით განაგრძობდნენ არსებობას.

საქართველოს ზოგიერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ხშირ შემთხვევაში ისევ ქართულ გამჭვირვალე სახელებს ენიჭებოდათ უპირატესობა. ბარში ისინი თითქმის განდევნილი იყო. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რუსეთში საეკლესიო და არასაეკლესიო სახელებს შორის ბრძოლა თითქმის ექვს საუკუნეს გრძელდებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ხელისუფლების მკაცრი ღონისძიებების შედეგად აიკრძალა ის სახელები, რომლებიც საეკლესიო ნომენკლატურაში არ იყო შესული.

არქაული ხანის საზოგადოებამ გაასულიერა ხეები, მდინარეები, ქარი. ასეთივე მისტიფიკაციური დამოკიდებულება ჰქონდათ სახელების მიმართ. საზოგადოებაში პიროვნულ სახელებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ; ამა თუ იმ სახელს ღვთაებრივი ძალა მიენერებოდა. სახელს ასეთ მნიშვნელობას არა მარტო პრიმიტიული რწმენა-წარმოდგენები, არამედ დიდი (ძლიერი) რელიგიებიც მიაწერდნენ, მაგალითად: ძველი თურქების რწმენით, სახელის დარქმევას (სახელდებას) ადამიანის შემდგომ ბედ-იღბალზე გარკვეული გავლენა ჰქონდა. რუსეთში „მესაქონლეობის ღვთაებად“ ველისი ითვლებოდა. ქრისტიანულმა ეკლესიამ ამ ღვთაებას აქ წმინდა ვლასი ჩაანაცვლა. ის მესაქონლეობის მფარველად მიიჩნეეს. ქრისტიანთა რწმენით, ქრისტიანი წმინდანი, რომლის სახელიც ახალშობილს ნათლობისას ერქმევა, მას მფარველობს. მსოფლიო ხალხების დიდი ნაწილი სახელს ერთგვარ ზებუნებრივ ძალას მიაწერდა. არაერთი

რწმენა-წარმოდგენა სახელსა და სულს ერთმანეთთან აიგივებდა. ამით იყო განპირობებული პიროვნული სახელების ტაბუირება. ნამდვილ სახელს მტრისგან, ავი ადამიანებისგან, ავი სულებისგან საიდუმლოდ იცავდნენ. მთელი რიგი ხალხების რწმენით, თუ ბოროტი სულები ადამიანის ნამდვილ სახელს გაიგებდნენ, მას გარკვეული ზიანი მიადგებოდა, შეიძლებოდა მის სიცოცხლესაც კი საფრთხე დამუქებოდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში საკუთარი სახელების ტაბუირების აურაცხელი ფორმაა აღწერილი. სხვისთვის, განსაკუთრებით კი მტრისთვის ის დაფარული და დამალული იყო. მის ნაცვლად სხვა სახელს გამოიყენებდნენ. რუსეთში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, თითქმის XVII საუკუნის ბოლომდე, ნათლობის სახელი უმეტეს შემთხვევაში უცნობი იყო. XVII საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე ბოიარი *პოვდან ხიტაროვი* ყველა დოკუმენტში ჩაწერილი იყო ხსენებული სახელით (*პოვდან*). მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გაირკვა, რომ ნათლობისას მისთვის ეკლესიას *იობი* დაურქმევია. სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია ფაქტები, რომ თანამედროვე აზერბაიჯანშიც კი მაღავენ სახელს. ჩრდილოეთ ციმბირში მცხოვრებ მამაკაც იგნასანებს, ჩვეულებრივ, ორი სახელი ერქვათ, რომელთაგან ერთი ნამდვილი იყო და ძალიან იშვიათად გამოიყენებოდა, ხოლო მეორე – ყოველდღიური. იგივე შეიძლება ითქვას თურქმენების შესახებ. აქ ყველა ბავშვს ორი სახელი აქვს: *ჩინ ადი* (ნამდვილი სახელი) და *ია ლიან ადი* (ცრუსახელი, ჩვენებურად რომ ვთქვათ, მეტსახელი). საძაგელი (საზიზღარი) სახელების დარქმევით, მაგალითად ისეთებისა, როგორიცაა „უვარგისი“, „სულელი“, „მყრალი“, „ძაღლის კუდი“ და სხვ., ავ სულებს ატყუებდნენ. ფიქრობდნენ, რომ ასეთი სახელის მატარებელს ავი სული „არ აიყვანდა“. მიაჩნდათ, რომ „სულელი“ და „ძაღლის კუდი“ ავ სულს არ სჭირდებოდა. ასეთი სახელები ბევრი ჰქონდათ თურქული მოდგმის ხალხებს. თურქებს სწამდათ, რომ „ღორის წელს“ (თორმეტწლიანი ცხოველური ციკლის მეთორმეტე წელიწადი) დაბადებული ბავშვი „უნწინდური ძაღლის“ ხვედრი გახდებოდა.

დედამიწის ერთმანეთისგან სრულიად დაშორებულ ადგილებში ბავშვებს ავადმყოფობისას სახელს უცვლიდნენ. მაგალითად შეიძლება უდმურტები დავასახელოთ. საამები კი ავადმყოფ ბავშვებს მურყნის (თხმელის) ქერქის ნახარშ ხსნარში განბანდნენ, რათა ძველი სახელი „გადაერეცხათ“. სახელის გადარეცხვასთან ერთად, მათი რწმენით, ავადმყოფობაც გაქრე-

ბოდა. იგივე შეიძლება ითქვას ჩუქჩების შესახებაც: ისინი ავად-მყოფობისას (რამდენჯერაც ავად გახდებოდნენ) სახელს იცვლიდნენ. ასეთივე რწმენა-წარმოდგენები ჰქონდათ აზიის სამხრეთ აღმოსავლეთში მცხოვრებ ინდონეზიელ იავანელებს, კანადელ ესკიმოსებს. XVI-XVII საუკუნეების რუსეთშიც „ცრუ ნაპოვნის (მონაპოვნის)“ ჩვეულება ჰქონდათ შემორჩენილი. ბავშვს საცხოვრებლის გარეთ მალავდნენ. ამით „ბინძურ ძალას“ ატყუებდნენ. პოვნის შემდეგ კი ისე იქცეოდნენ, თითქოს ეს გადამალული ბავშვი კი არა, სხვა იყო და, ბუნებრივია, „სხვა ბავშვს“ ახალ, სხვა სახელს არქმევდნენ. ამრიგად, არასაეკლესიო სახელი *ნაიდენი* სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ის მიგდებული იყო. იგივე შეიძლება ითქვას XIII-XIV საუკუნეებში სერბებში გავრცელებულ სახელზე *ნახოდ*. ეს ე. წ. „მატყუარა“ სახელები ავი ძალებისთვის კვალის არევის მიზნით ერქმეოდათ.

ზოგიერთი ხალხის (მაგალითად, ესკიმოსების) წარმოდგენით, ადამიანი სხეულის, სულისა და სახელის შენაერთი იყო, რომელთაგანაც მხოლოდ სახელს შეეძლო სიკვდილის თავიდან აცილება.

მრავალი ხალხისთვის საკუთარი სახელის თაობიდან თაობაზე გადაცემის ტრადიცია არსებობდა – მხედველობაში გვაქვს გარდაცვლილი წინაპრის სახელის დარქმევა. ასეთი ჩვეულება ჰქონდათ ჩრდილოეთის ხალხებს. ტაჯიკებმა იცოდნენ გარდაცვლილი წინაპრის სახელის დარქმევა, თუ სხვა რომელიმე ნათესავი უკვე არ ატარებდა მის სახელს. ანალოგიური წესი არსებობდა თურქმენებშიც. ეს იყო არა უბრალოდ გარდაცვლილი ადამიანის ხსოვნა, არამედ რწმენა იმისა, რომ გარდაცვლილის სახელის დარქმევით ბავშვში მისი სული გადადიოდა. თურქმენ გოგონას, რომელიც ბების (მამის მხრიდან) სახელს ატარებდა, ალალი ძმა *ენიმს* („ჩემი ბებია“) ეძახდა. ახალ გვინეაში „სახელებზე ნადირობის“ ჩვეულება არსებობდა. მათი წარმოდგენით, რამდენი სახელიცაა, იმდენი სულია.

სულის მისტიფიკაცია სასურველი სახელის შერჩევას განაპირობებდა. ბავშვის სახელდება ისეთი სახელებით, როგორებიცაა *ჭკვიანი, მდიდარი, ლამაზი, ბედნიერი*, ახალშობილის ამ თვისებების გამომხატველი კი არ არის (ბუნებრივია, ექნებოდა თუ არა აღნიშნული თვისებები ახალშობილს, უცნობი იყო), არამედ სურვილი ბავშვი *ჭკვიანი, მდიდარი, ლამაზი, ბედნიერი* გაზრდილიყო. ტაჯიკეთში მშობლები შვილებს (ჩვეულებრივ, ვაჟიშვილებს) ხშირად არქმევდნენ სახელებს *საანგს* („ქვა“), *ტა-*

ბარს („ცული“). ამით ისინი შვილს უსურვებდნენ, რომ ქვასავით მუდმივი და ცულივით მტკიცე ყოფილიყო. სხვათა შორის, სახელს *სანაგი* ჩვენამდე მოუღწევია: ხევსურული ანდრეზით, სისაურთა გვარის საფუძველჩამყრელი იყო *სანაგის სანაგი*. ძველ რომში წესად ჰქონდათ ჯარის სიაში პირველი ის მეომარი ყოფილიყო, რომლის სახელიც კარგის, წინასწარსაცნობის აღმნიშვნელი იყო.

ძველმა ბერძენმა მეცნიერებმა დაამსხვრიეს სახელისა და ადამიანის მჭიდრო კავშირის იდეა. მათ გვიჩვენეს, რომ ერთი სახელის მატარებელ ადამიანებს შეიძლება სხვადასხვაგვარი ბედ-იღბალი ჰქონდეთ. კაცობრიობას სახელების მიმართ საკუთარი კონცეფცია ჰქონდა — ადამიანი აუცილებლად რომელიმე წმინდანის მფარველობის ქვეშ უნდა ყოფილიყო, ამისთვის კი მას ამა თუ იმ წმინდანის სახელი უნდა ეტარებინა.

ძველ რუსეთში ხშირი იყო სახელობის დღის (დღეობების) აღნიშვნა. დიდ ოჯახებში ზოგჯერ ერთი და იმავე სახელის მატარებელი რამდენიმე ადამიანი იყო, რადგან წესად ჰქონდათ შვილიშვილებისთვის პაპისა და ბებულის სახელების დარქმევა (ნიკოლოაევჩინა, ივანოვშჩინა, ვარვაროვშჩინა... მსგავსად ქართული გიორგობისა, ივანობისა, ბარბარობისა და ა. შ.). სახელობის დღეს სამ დღეს დღესასწაულობდნენ. დილით წმინდანის მოსახელე მის მფარველობაში მყოფი ეკლესიაში მიდიოდა, თავის წმინდან მფარველს სანთელს უნთებდა, ღვთისმსახურებას ესწრებოდა. მართლმადიდებელ და კათოლიკე ხალხებში ეს ჩვეულებრივი ქმედება იყო. სხვადასხვაგვარი ვითარება შეიქმნა პროტესტანტულ ქვეყნებში. ისინი წმინდანებს არ ცნობდნენ და არც სახელის დღეს ზეიმობდნენ, სამაგიეროდ, პროტესტანტები დაბადების დღეებს აღნიშნავდნენ.

§9. სახელები და მათი ვარიანტები. ზემოთ ითქვა, რომ სახელები ერთი ხალხიდან მეორე ხალხში ვრცელდებოდა, ანდა ხალხებს საზიარო სახელები ჰქონდათ, მაგალითად, ქრისტიანული კანონიკური სახელები. ძალიან ხშირად ერთი ენობრივი სამყაროდან მეორეში გავრცელებული სახელი ფონეტიკურად იმდენად იცვლებოდა, რომ, ფაქტობრივად, ხელში ახალი სახელი გვრჩებოდა. *გიორგისგან* არის მიღებული რუსული სახელები *იგორი* და *იური*. მეცნიერებს ვერც კი გადაუწყვეტიათ, ამ სახელების იგივეობა აღიარონ, თუ სხვადასხვაობა. ერთი ენის სხვადასხვა დიალექტურ გარემოში ერთი და იგივე სახელი სხვადასხვანაირად უღერდა. იმავე *გიორგის* დიალექტური და კნინობითი ფორმები საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-

ეთნოგრაფიულ მხარეში სხვადასხვა იყო. მას გამოთქვამდნენ, როგორც *ვივარგის*, *გოვიას*, *ვიოს*, *ვიას*, *გოვიჩას*... მაგალითები უამრავი შეიძლება მოვიყვანოთ. სამეცნიერო ლიტერატურაში იმის შესახებაცაა აღნიშნული, რომ ანთროპომიშიაში ბევრი რამ განისაზღვრება კულტურის ისტორიით, ფილოსოფიური სისტემით, ეთნოგრაფიული თავისებურებებით. ეს თავისებები კი ყველა ხალხს გამორჩეულად ინდივიდუალური აქვს. როდესაც ინდივიდუალურობასა და თავისებურებაზე ვსაუბრობთ, შეიძლება ორი სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება მოვიყვანოთ, რომელიც ძველ სლავებსა და თურქებს ჰქონდათ. ძველ სლავებში სახელები „მგელი“ და „დათვი“ ძალისა და ხანგრძლივი სიცოცხლის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენდა. ამდენად, ისინი სურვილის გამომხატველი იყო. მთელ რიგ თურქული მოდგმის ხალხებში კი უფრო ისეთ სახელებს არქმევდნენ, რომლებიც აღნიშნავდა „ბინძურს“, „ჩირქს“, „დამპალს“. მათი რწმენით ისინი ახალშობილის სიკვდილის საფრთხისაგან დამცავი საშუალება იყო.

§10. სახელი და ადამიანის ეთნიკური, რელიგიური და სოციალური იდენტიფიკაცია. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ სახელი ენციკლოპედიური ინფორმაციის შემცველია. XX საუკუნის ცნობილი რუსი სიმბოლისტი იყო *ალექსანდრე ბლოკი*. პიროვნული სახელი *ალექსანდრე* მიუთითებს, რომ ამ სახელის მატარებელი ქრისტიანი იყო (ეს სახელი მაჰმადიანურ სამყაროში *ისკანდერის* ფორმით გვხვდება), გვარი კი გარკვეულ ინფორმაციას შეიცავს. *ბლოკი* გერმანული სიტყვაა და შესაძლებელია, *ალექსანდრე ბლოკის* წინაპრები დასავლეთიდან ყოფილიყვნენ რუსეთში მოსულები.

სახელი ნაციონალური (ეთნიკური) და სოციალური შინაარსის შემცველია. შუა საუკუნეებში ქართველ თავად-აზნაურთა წრეში ისეთი სახელები იყო გავრცელებული, რომლებიც დაბალ ფენაში არ გვხვდებოდა. ასევე იყო სხვა ხალხებშიც. რუსეთში ზედა ფენის გვარები იმითაც იყო საცნაური, რომ ისინი უპირატესად *-სკი* სუფიქსით იწარმოებოდა.

ისტორიაში გამორჩეული პირების სახელებიც ხდებოდა პოპულარული, მაგალითად, საფრანგეთის იმპერატორის *ნაპოლეონის* შემდგომ ეს სახელი ერთობ პოპულარული გახდა. VII საუკუნეში არაბთა ისლამიზაცია მათ დაპყრობებს დაემთხვა. მიმდინარეობდა მალლამდგომთა მიერ დაბლამდგომთა უსიტყვო დამორჩილება. ამან განაპირობა სახელების განუსაზღვრელად დიდი რაოდენობით წარმოქმნა, რომელთა შემადგენლობაში შე-

დიოდა მორფემა აბდ („მონა“). აბდულაჰ, აბდულაჰმან, აბდუნასირ ნიშნავს „ალაჰის მონას“, „გულუხვის მონას“, „გამარჯვების მწყალობლის მონას.“ ამ ორ უკანასკნელშიც ალაჰი იგულისხმება.

სახელებით (პიროვნული სახელებით, გვარსახელებით) ხშირად საცნაურია ამა თუ იმ პირის ეთნიკურობა. ბუნებრივია, ვისაც ვეფხვია, მზევინარი, ცისნამი ჰქვია ქართველები არიან. გვართა სუფიქსებიც იძლევა საშუალებას გავარკვეოთ ამა თუ იმ პიროვნების ეთნიკურობა. გერმანული გვარსახელისათვის დამახასიათებელი ფორმანტია -ედის, პოლონურისა -სკი, სომხურისა -იან და ა.შ.

ქრისტიანობა ძველ და ახალ წელთაღრიცხვათა მიჯნაზე პალესტინაში, იუდაურ სამყაროში წარმოიშვა. ებრაელები მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი რელიგიის იუდაიზმის მიმდევრები იყვნენ. იუდაიზმის იდეოლოგიურ საფუძველს ძველი აღთქმა წარმოადგენდა. ბიბლიაში მოცემული იდეების განვითარებით ქრისტიანობა დაშორდა მას და შექმნა თავისი იდეოლოგიური და ზნეობრივი ფასეულობები. ვინაიდან ძველი აღთქმა იუდეველთა და ქრისტიანთა საერთო წიგნია, მასში მოხსენიებული ებრაული სახელები ქრისტიანულ სამყაროშიც გავრცელდა. ებრაული იოჰანანედან მივიღეთ იოანე (ივანე), რომელიც სხვადასხვა ენებში სხვადასხვაგვარად გამოითქმის: იუხან (ესტონურად), იანის (ლატვიურად), იოსან და ჰანსენ (გერმანულად), ჟან (ფრანგულად), ჯონ (ინგლისურად). თვით ეს სახელი ებრაელებს აღარავისთვის დაურქმევიათ: ის აქ აღარ იხმარებოდა.

პირველ საუკუნეში ქრისტიანობა ხუთ – იერუსალიმის, ანტიოქიის (სირია), ალექსანდრიის, ბიზანტიის, რომის – ეპარქიაში განმტკიცდა. მან აქ წინარექრისტიანულ კულტურებზე გაიმარჯვა. ამ ეპარქიებში ადამიანები, რომლებიც ქრისტიანულ იდეებს შეეწირნენ, წმინდანებად შეირაცხნენ. **ახ. წ. 400 წელს იოანე ოქროპირი მათ შესახებ წერდა, რომ სასურველია, წმინდანთა სახელები არ დავივიწყოთ და დავარქვათ ისინი ბავშვებს, რათა ამით ისინი ახლოს მოვიყვანოთ ჩვენს რელიგიასთან. ამ სახელის მატარებლებს ეცოდინებათ, ვის საპატივცემულოდ ეწოდათ მათ ესა თუ ის სახელი. ამით ისინი მაგალითს აიღებენ თავიანთი ციური ქომაგებისგან.**

დადგენილი ტრადიციით, ნათლობის დროს ადამიანებს არქმევდნენ იმ წმინდანთა სახელებს, რომელთა ხსენების დღეც იყო იმ დღეს ეკლესიაში და რომლებიც მათ ციურ მფარველებად იქცევიან. სახელების დარქმევის ეს სისტემა უაღრესად

რთული იდეოლოგიური შინაარსისაა და, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი აღზრდის კატეგორიაში შედის. ადამიანი, დღესასწაულობდა რა მფარველი წმინდანის დღეს, დარწმუნებული იყო, რომ წმინდანი თავის სეხნიას მფარველობას გაუწევდა.

თავდაპირველად ხუთსავე ეპარქიაში ქრისტიანული სახელების წრე მეტ-ნაკლებად ფართო იყო, რადგან კულტურულ გაცვლას თან სახელების სესხებაც ახლდა. ბიზანტიის ტერიტორიაზე გავრცელებული სახელები, უპირველეს ყოვლისა, ბერძნული იყო, ზოგიერთი ანტიკური ეპოქიდან ნასესხები (*ალექსანდრე, ფილიპე*). რომაულ პროვინციებში უპირატესობა ჰქონდა რომაულ (ლათინურ) სახელებს (*ანტონი, ემილიანე*). ისინი ძველი რომაული გვაროვნული სახელებიდან მომდინარეობდა. რომაული და ქრისტიანული ონომასტიკონი გერმანულ სახელებსაც შეიცავდა (*ალფრედ, ბერნარდ, ედვარდ*).

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ადრექრისტიანებს შორის გავრცელებული იყო სირიული, ებრაული, არამეული, სახელები (*აბრაამ, დანიელ, დავით, იოსებ, ანა, მართა*). ძველებრაულ სახელთა ძირითადი ნაწილი ქრისტიანულ ანთროპონიმიაში არ შესულა. ბიბლიაში აღწერილია ორი ათასზე მეტი სხვადასხვა სახელი. მათ სახელებს სხვები არ იმეორებენ. ამ სახელებს, ჩვეულებრივ, ებრაულ ოჯახში ახალშობილებს არქმევდნენ (*სარა, დებორა, ბატშევა, გერმონ, ერუხიმ, აზრულ, ბარუხ, ნათან, ლეიბ* და სხვა). ამდენად, ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასთან ერთად ქრისტიანული სახელებიც ვრცელდებოდა.

VII საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში კიდევ ერთი მსოფლიო რელიგია – ისლამი წარმოიქმნა. მან არაბების, ირანელებისა და თურქების გააქტიურება, ომისკენ სწრაფვა განაპირობა. ისლამის ტრიუმფალურმა მსვლელობამ აზიისა და აფრიკის კონტინენტზე ალექსანდრიის, სირიისა და იერუსალიმის ეპარქიების დასუსტება გამოიწვია. თავისი ძლიერება პირველი ათასწლეულის ბოლოს მხოლოდ რომისა და ბიზანტიის ეპარქიებმა შეინარჩუნეს. ბიზანტია ამავე დროს შევიდა წმინდა რომის იმპერიის შემადგენლობაში. შემდგომში, ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზების გამო, ისინი ერთმანეთს გაეთიშნენ. გათიშვა კონფესიურად საბოლოოდ 1054 წელს გაფორმდა აღმოსავლურ-ბიზანტიურ და რომაულ-კათოლიკურ ეკლესიებად. ამის შემდეგ შეწყდა ერთმანეთისაგან სახელების სესხება. ყველა მათგანი ონომასტიკონს თავისი გზით ავსებდა. აღმოსავლური, ბიზანტიური ეკლესიის ონომასტიკონი შეავსეს ძველი მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა სახელებით (მაგალითად,

პლატონი — I საუკუნის ფილოსოფოსი). ბიზანტიურმა ეკლესიამ კანონიზაცია მოახდინა, ანუ წმინდანთა რიგებს მიაკუთვნა ნეოპლატონელებიც: *ვრიგოლ ნოსელი, ამონი, ედესი, ლონგინი, პრისკი* და სხვები. რომის კათოლიკეთა ონომასტიკონში რომის ბევრი პაპის სახელიც შეიტანეს. ერთმანეთის მიყოლებით კანონიზებულ იქნა პირველი 54 პაპი და ბევრი მომდევნოც: *ანიცეტა, გაი (კაი), გელსი, დამასი, დეუსდედითი, სერგი, სელვერი, სიქსტი, ტელესფორი, ურბანი, ტელესტინი, ევარისტო...* ზოგიერთი სახელი აღმოსავლელ ქრისტიანებთანაც გადავიდა.

კათოლიკეებთან ახალ წმინდანთა კანონიზაცია დღემდე გრძელდება. ადამიანთან კათოლიკე წმინდანების უფრო მეტი კავშირი შეინიშნება, ვიდრე მართლმადიდებლებთან. მართლმადიდებლები თუ მხოლოდ თავიანთი მფარველი წმინდანის სახელზე ლოცულობენ, კათოლიკეებთან ამას წმინდანთა მიმართ სხვადასხვა პროფესიების მფარველობაც ემატება. კათოლიკე წმინდანები გარკვეულ მდგომარეობასაც (დაქორწინებულთ, დაქვრივებულს) მფარველობენ. არიან წმინდანები, რომლებიც ცალკეულ ქვეყნებსა და ტერიტორიებს მფარველობენ. მაგალითად, *წმინდა პატრიკი* ირლანდიის მფარველია (ქართველთა მფარველად *ღვთისმშობელთან* ერთად *წმინდა გიორგიც* მიიჩნევა). ზოგიერთი წმინდანი ადამიანებს ამა თუ იმ ავადმყოფობისგანაც იცავს (მაგალითად, *წმინდა როხუსი* შავი ჭირისგან იცავს ადამიანებს). ამრიგად, კათოლიკე ლოცულობს არა მარტო იმ წმინდანზე, რომლის სახელსაც თვითონ ატარებს, არამედ სხვა წმინდანთა სახელებზედაც, გამომდინარე იქიდან, სად იმყოფება, რას საქმიანობს და ა. შ. არც ამა თუ იმ პროფესიის ქართველთათვის იყო უცხო მფარველი ღვთაებები, მაგალითად, მიაჩნდათ, რომ ფეიქრებს ღვთისმშობელი მფარველობდა, მეფუტკრეებს — წმინდა გიორგი. თავისი მფარველი წმინდანი ჰყავდათ მჭედლებსაც, ამქრებსაც...

§11. სახელები, ხალხთა ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორია. მეცნიერთათვის ანთროპონიმები ხშირად ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის შესწავლის წყაროცაა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული პრობლემის შესახებ მათ სხვა წყარო არ გააჩნიათ. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ეთნიკურად სრულიად განსხვავებული ხალხების — ბალტიელი ლიტველებისა და ლატვიელების და ობის უგრთა — ხანტებისა და მანსების ანთროპონიმები. ბალტიელებისაგან საკმაოდ შორს ადრე შუა საუკუნეების დასაწყისში ბალკანეთში მკვიდრობდნენ თრაკიელები (თრაკო-დაკიელები) და ილირიე-

ლები. გაირკვა, რომ ამ გამქრალ ეთნოსთა საკუთარ სახელებს ბევრი ანალოგი ეძებნება ბალტიელ ხალხებთან — ლიტველებთან, ლატვიელებთან, ძველპრუსიელებთან. ერთ-ერთმა მკვლევარმა (ი. დურიდანოვი) 52 საერთო, პარალელური ბალტიური და თრაკიული ანთროპონიმი დაადასტურა. ეს თანხვედრა არა მარტო საკუთარ სახელებში, არამედ ანთროპონიმთა სუფიქსებითაც მტკიცდება. არც ერთ ენასთან არ გვხვდება თრაკიული ანთროპონიმების იმდენი შესატყვისობა, რამდენიც ბალტიურთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ენობრივად და ეთნიკურად გამქრალი ილირიელები და თრაკიელები ბალტიელთა (პრუსიელების, ლიტველების, ლატვიელების...) მონათესავენი იყვნენ.

მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას აძლევს მეცნიერებს ობელი უგრების — ხანტებისა და მანსების — გვარსახელების შესწავლა. ცნობილია, რომ ობელი უგრებისათვის წარსულში არსებობდა გენეალოგიური ჯგუფების სახელები, რომლებიც, როგორც წესი, წინაპართა სახელებისაგან მომდინარეობდა და ამიტომაც მათ სულელებთან აიგივებდნენ. სხვათა სახელწოდებების მიღება შეუძლებელი იყო. გარკვეული გენეალოგიური ჯგუფის სახელი ტაბუირებული იყო სხვა ასეთივე ჯგუფის მიერ. ამ სახელებისაგან წარმოიქმნა ხანტური და მანსური გვარსახელები. გენეალოგიური ჯგუფების გარდა, ობელ უგრებში გამოყოფენ ტერიტორიულ და ეთნოგრაფიულ ჯგუფებსაც. XVIII-XIX საუკუნეებში გავრცელებულ ხანტებისა და მანსების გვარსახელთა ანალიზმა აჩვენა, რომ მათი ტერიტორიული და ეთნოგრაფიული ჯგუფების ფარგლებში ასევე გამოიყოფა გვარსახელების ფონდი (შესაბამისად, პიროვნული სახელებიც, რომლებიც მათ საფუძვლად დაედო), რომლებიც არ მეორდება სხვა ასეთსავე ჯგუფებში. არსებული გვარსახელების კლასიფიკაციამ მეცნიერებს საშუალება მისცა ხანტებსა და მანსებთან გარკვეულ პერიოდში სელკუპების შერევის ფაქტის დადასტურებისა.

I. 2. ორსახელიანობის შესახებ

ზოგიერთ ხალხს ორსახელიანობის ტრადიცია მოსდგამს, რომელიც განსაკუთრებით ის ევროპისა და ამერიკის კათოლიკური, ლათინურენოვანი ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. ბევრ ქვეყანაში ორსახელიანობა ოფიციალურად არის დაშ-

ვებულის. როდის დაუშვა ევროპაში კათოლიკურმა ეკლესიამ ორსახელიანობის მიმართ კომპრომისი? ცნობილია, თუ რა დიდი დარტყმა მიაყენეს რომაულ სამყაროს გერმანელმა ბარბაროსებმა. გერმანულ დაპყრობებს ყოფილი რომის იმპერიის ტერიტორიაზე თან გერმანული სახელების გავრცელება მოჰყვა. რომი გერმანელთა მიერ სრული განადგურებისა და ჩაყლაპვისგან მხოლოდ კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალმა დონემ იხსნა. რომაულ კულტურასთან ზიარებისას ბევრმა გერმანელმა მიიღო ქრისტიანობა, მაგრამ მოძველებულ რომზე მათი წეს-ჩვეულებების ზემოქმედება, გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ზოგიერთი მკვლევარი ხაზს უსვამს არა გერმანელთა მიერ ქრისტიანობის მიღებას, არამედ ქრისტიანთა შორის გერმანული სამყაროს შეჭრას.

გერმანელთა შეჭრამ რომაულ სამყაროში სახელთა შემადგენლობაზედაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. გერმანული სახელების ექსპანსია ლათინურენოვანი რომის პროვინციებში იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ, ფრანგი ფილოლოგის ალბერ დოზას გამოანგარიშებით, თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიაზე მეხუთე საუკუნეში გერმანული და რომაული სახელების შეფარდება იყო ერთი სამთან (1:3), რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ გერმანულ სახელზე სამი ძველფრანგული სახელი მოდიოდა, მაგრამ უკვე მეექვსე საუკუნეში ეს შეფარდება შეიცვალა — ის უკვე ერთი ერთზე (1:1) იყო. VIII საუკუნეში თანამედროვე იტალიის ტერიტორიაზე სახელების ორ მესამედზე მეტი გერმანული იყო.

761 წელს რომის პაპმა გამოსცა ბრძანება: „დაე, ყოველმა სამრევლო მღვდელმა იზრუნოს იმაზე, რომ ნათლობისას ბავშვებს დაერქვათ ქრისტიანული სახელები. თუ ამას მშობლები შეეწინააღმდეგებიან, მაშინ მათ მიერ შერჩეულ სახელს შეიძლება დაემატოს რომელიმე წმინდანის სახელი და საეკლესიო წიგნში ჩაინეროს ორი სახელი“. სწორედ აქედან მოდის კათოლიკური ტრადიცია ბავშვისათვის არა ერთი, არამედ ორი და სამი სახელის დარქმევისა. გერმანული სახელებისადმი წინააღმდეგობის განცევის იძულებითმა ღონისძიებამ კათოლიკური სამყარო იქამდე მიიყვანა, რომ კათოლიკეებს აღმოაჩნდათ არა ერთი, არამედ რამდენიმე წმინდა მფარველი.

სხვათა შორის, გერმანიასა და შვეიცარიაში პროტესტანტიზმის გავრცელებამ ბევრად შეუწყო ხელი გერმანული სახელების გავრცელებას იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ პროტესტანტები წმინდანებს არ აღიარებენ (მათთვის *მარიამ*

ღვთისმშობელიც ჩვეულებრივი ქალია). ეს გერმანული სახელები საეკლესიო კალენდარში არ იყო შესული; ისინი ძველ გერმანულ თქმულებათა გმირების სახელებს წარმოადგენდნენ.

ორსახელიანობა რომის ეკლესიის მიერ ოფიციალურად იქნა დადგენილი და დაკანონებული, თუმცა ყოფაში უფრო ადრეც ფართოდ იყო ფეხგადგმული. ორსახელიანობის დაკანონებით ეკლესიამ არსებულ რეალობას ანგარიში გაუწია. ორსახელიანობა თითქმის ყველა ხალხისთვის იყო დამახასიათებელი, ყველგან, სადაც კი ახალი რელიგია (ქრისტიანობა, ისლამი) ვრცელდებოდა. ხალხი ძნელად ელეოდა გამჭვირვალე ეთნიკურ სახელებს. ორსახელიანობისა და სახელთა ცვლის ტრადიცია როგორც განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე, ისე სოციალურად დანიშნულებული ბევრი ხალხისთვის იყო დამახასიათებელი.

მართლმადიდებლურ სამყაროში ორსახელიანობა ოფიციალურად არ დაკანონებულა. საერთოდ, ბიზანტიის ეკლესიის სახელთა სია ძალიან შეზღუდულად ივსებოდა იმ სლავური სახელებით, რომლებიც ბიზანტიის გარშემო ცხოვრობდნენ. რიგი სახელებისა აღმოსავლურ-ბიზანტიურმა ეკლესიამ ისესხა მხოლოდ სირიისა და პალესტინისაგან. მიუხედავად იმისა, რომ სირიელი და პალესტინელი მისიონერები შეიჭრნენ დასავლეთ ევროპაში, მათ მცხოვრებთა სახელებზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინეს. რომის ეკლესიისგან განსხვავებით, სახელების მიმართ ბიზანტიის ეკლესია არავითარ კომპრომისზე არ წავიდა, თუმცა ევროპაში უკან დაბრუნებულმა ჯვაროსნებმა რამდენიმე აღმოსავლურქრისტიანული სახელი შეიტანეს XI—XIII საუკუნეებში, კერძოდ, წმინდანების — *ნიკოლოზის*, *გიორგის*, *ანტონის* და თავიანთი შეილებისათვის ზოგიერთი ბიბლიური სახელის დარქმევა დაიწყეს, რომლებიც ადრე აქ არ იყო გავრცელებული.

არაოფიციალური ორსახელიანობა საქართველოშიც არსებობდა. კანონიკურ ქრისტიანულ სახელებთან ერთად სხვა, გამჭვირვალე, ქრისტიანობამდელ ქართულ სახელებსაც არქმევდნენ, ანუ ზედმეტ სახელებსაც. საქართველოს ზოგიერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში უფრო ხშირად ხალხი ამ ზედმეტ სახელებს იყენებდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ორსახელიანობის საინტერესო ფაქტია აღწერილი უდმურტებში. ქრისტიანობა მათ შედარებით გვიან, XVII-XVIII საუკუნეებში მიიღეს. იქამდე, ბუნებრივია, ისინი ე. წ. წარმართულ სახელებს ატარებდნენ, რომლებიც

საზოგადო სახელებისგან მომდინარეობდა (ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა). დაბადებისთანავე უდმურტები ბავშვებს ძველ უდმურტულ სახელებს არქმევდნენ, ნათლობისას კი ეკლესია კანონიკურ ქრისტიანულ სახელს არქმევდა. უდმურტული სახელი უფრო ხშირად გამოიყენებოდა ყოფაში, ქრისტიანული სახელი კი ოფიციალური იყო. ასე რომ, თითქმის ორი-სამი საუკუნის განმავლობაში უდმურტებს ჰქონდათ ორ-ორი სახელი. უდმურტებთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღვნიშნოთ იმ საინტერესო წეს-ჩვეულებების შესახებ, რომლებიც მათ ჰქონდათ. მძიმე ავადმყოფობის დროს ავადმყოფის თმებს წვავენ და ამავე დროს მას სახელს უცვლიდნენ. ორსახელიანობის ანალოგიური წესი ფართოდ იყო გავრცელებული აგრეთვე შუა აზიისა (მაგალითად, ტაჯიკებში) და ციმბირის ხალხებში. ქრისტიანულ რუსეთში თითქმის XVII საუკუნის ბოლომდე იყო გავრცელებული მეტსახელები. ისინი ოფიციალურად მხოლოდ პეტრე პირველის დროს აიკრძალა. სხვათა შორის, რუსეთში მეორე სახელი, ხალხის რწმენით, ადამიანს განსაცდელისგან იცავდა. XV—XVII საუკუნეებში მეორე სახელებად იყენებდნენ არა მხოლოდ საერო მეტსახელებს, არამედ მეორე, „ნათლობის“ სახელებსაც, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ფეოდალური ზედაფენა ატარებდა და, მეტსახელებისაგან განსხვავებით, მათ ეკლესიის მსახურნი ანიჭებდნენ. ასეთი ე. წ. საიდუმლო სახელები ჰქონდათ დიდ მთავრებს: *ივანე III-ს*, *ვახილი III-ს* და სხვებს. საიდუმლო სახელები ცნობილი იყო მხოლოდ მათ მოძღვართათვის, ძალიან ახლობლებისა და ოჯახის ერთგული ადამიანებისათვის.

I. 3. საკუთარ სახელთა სისტემები

საკუთარ სახელად მიიჩნევა არა მხოლოდ პირადი (ინდივიდუალური) სახელი, არამედ მამის სახელი, მეტსახელი, გვარსახელი. მსოფლიოს ხალხების საკუთარი სახელები ძირითადად ერთმანეთისაგან განსხვავდება, თუმცა ამ თვალსაზრისით მათ საერთოც ბევრი რამ აქვთ. ყველა ხალხმა საკუთარ სახელთა საკუთარი სისტემა და ანთროპონიმული მოდელი შექმნა. ანთროპონიმული სისტემა გულისხმობს სხვადასხვა ხალხის ანთროპონიმთა (საკუთარ სახელთა) გარკვეულ დროში გარკვეული წესით ორგანიზებულ ერთობლიობას. საკუთარი სახელების სისტემა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული

იყო ენობრივი თავისებურებებით, ეთნოსის მიერ განვლილი ისტორიული გზით, სოციალური განვითარების თავისებურებებით, რელიგიით, სხვა მეზობელ ხალხებთან ურთიერთობით. ცნობილია, რომ ამა თუ იმ ხალხში წარმოქმნილი ეთნიკური კულტურის (ნეს-ჩვეულებები, ტრადიციები) ელემენტი სხვა ხალხებშიც ფართოდ ვრცელდებოდა. იგივე შეიძლება ითქვას საკუთარ სახელთა შესახებაც. საერთოდ, ანთროპონიმული სისტემები ისტორიულად მუდმივი არ იყო; ის ცვალებადი იყო. ცვალებადობა კი რიგი ფაქტორებით იყო შეპირობებული, მაგალითად, რელიგიის შეცვლით.

იმ ხალხებს, რომელთათვისაც გვარსახელი (მემკვიდრეობითი სახელი) ჩვეულებრივი მოვლენაა, ალბათ, ვერ წარმოუდგენიათ, რომ დღესაც, XXI საუკუნის დასაწყისში, ბევრია ეთნოსი, რომელსაც მხოლოდ პიროვნული სახელი აქვს, ან კიდევ მემკვიდრეობითი სახელი მხოლოდ ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში, თანაც ძალიან გვიან დაიმკვიდრა. მაგალითად, ისლანდიელებს დღესაც არა აქვთ გვარი. აქ ადამიანები მხოლოდ სახელისა და მამის სახელის მატარებელნი არიან. იგივე შეიძლება ითქვას ოკეანის ზოგიერთი ხალხის შესახებ. ისინი არა მხოლოდ გვარსახელს, არამედ მამის სახელსაც არ იცნობენ. მართალია, ჩინეთი და ევროპა ერთმანეთისგან ძალიან დაშორებულია, ევროპელმა ხალხებმა და ჩინელებმა განსხვავებული ცივილიზაციები შექმნეს, მაგრამ ჩინელთა სამმარცვლოვან სახელთა სისტემას ბევრი რამ აქვს საერთო ევროპულ საკუთარ სახელთა სისტემებთან. შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთაგან ბევრს დღესაც არა აქვს გვარსახელი – პირადობის დამადასტურებელ ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებში მათ მხოლოდ სახელი და მამის სახელი უწერიათ. არადა, საქართველოს კანონმდებლობით ქვეყნის ყველა მოქალაქე გვარსახელს უნდა ატარებდეს.

ამრიგად, შეიძლება ხაზგასმით ითქვას, რომ ისტორიულად მსოფლიოში სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული სახელთა სისტემები ჩამოყალიბდა. საკუთარი სახელების სხვადასხვა სისტემის ჩამოყალიბება კი განაპირობა სოციალური განვითარების სხვადასხვაობამ, ენობრივმა სტრუქტურამ, მეზობლურმა ურთიერთობებმა, ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემაში სხვადასხვა ხალხების თანაცხოვრებამ, რელიგიამ და წამყვანი ეთნოსის პრიორიტეტულმა მდგომარეობამ.

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა საკუთარი სახელების სისტემის შესწავლას არა მხოლოდ თეორიულ-შემეცნებითი, არა-

მედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ამავე დროს საკუთარი სახელი (ანთროპონიმი) ძვირფასი წყაროა საისტორიო, ეთნოლოგიური, ლინგვისტური საკითხების საკვლევად, რადგან მათში უკუფენილია ხალხთა ისტორია, ყოფა, სოციალური წყობა. სახელთა მონაცემები ფასდაუდებელია ენის ისტორიისთვისაც. არის ცდები საკუთარი სახელებით ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის კვლევისა, მაგალითად, მეცნიერებმა შეამჩნიეს თრაკიელთა საკუთარი სახელების ძალიან დიდი მსგავსება ბალტიელ — ლიტველთა და ლატვიელთა თანამედროვე სახელებთან. ამ მონაცემებით ასკვნიან, რომ თრაკიელები და ლიტველ-ლატვიელები ენობრივად მონათესავენი იყვნენ.

საკუთარ სახელთა მთელი სისტემის მომცველ ერთეულებს (პიროვნული სახელი, მეტსახელი, მამის სახელი, გვარსახელი, გვარის დანაყოფის სახელი) ანთროპონიმები ეწოდება, ანთროპონიმების შემსწავლელ მეცნიერებას კი — ანთროპონიმიკა. თავის მხრივ, ანთროპონიმიკა ონომასტიკაში შედის, რომელიც, ადამიანის საკუთარ სახელთა გარდა, გეოგრაფიულ სახელწოდებებს (ტოპონიმებს, ჰიდრონიმებს) და ხალხთა სახელწოდებებს (ეთნონიმებს), კოსმოსურ ობიექტთა სახელწოდებებსა და ცხოველთა სახელებსაც აერთიანებს.

ანთროპონიმებზე მომუშავე მეცნიერები არაერთხელ შეეცადნენ ანთროპონიმული სისტემების კლასიფიკაციას, მაგრამ დღემდე ჩამოყალიბებული ანთროპონიმული მოდელები და საკუთარ სახელთა სისტემები არ არის სრულყოფილი, რადგან მათი მოთავსება რამდენიმე მოდელში არ ხერხდება. პოლონელმა მეცნიერმა *თადეუშ მილევესკიმ* ყველა სისტემა მათი შემადგენელი წევრების რაოდენობის მიხედვით შეადგინა: ერთწევრიანი, ორწევრიანი, სამწევრიანი...მაგრამ ასეთი კლასიფიკაცია მხოლოდ ზედაპირულია და არა სიღრმისეულ-თვისებრივი. სინამდვილეში ის მსგავს, ანალოგიურ სისტემებს აცალკევებს, რომლებიც სხვადასხვა სისტემაში მხოლოდ იმიტომ მოხვდნენ, რომ წევრთა (ერთეულების) სხვადასხვა რაოდენობას მოიცავენ. ამ სისტემის მიხედვით სამწევროვანია რუსული ანთროპონიმული მოდელი, რომელიც პიროვნული სახელის, მამის სახელისა და გვარსახელის ერთობლიობას წარმოადგენს (მაგალითად: *მიხაილ იურიევიჩ ლერმონტოვი, ლევ ნიკოლაევიჩ ტოლსტოი*) და დასავლურევროპული (*ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, იოჰან სებასტიან ბახი*). სინამდვილეში ორივე აღნიშნული მოდელი შინაარსობრივად ერთმანეთისგან განსხვავდება. თუ პირველი პიროვნული სახელის, მამის სახელისა და გვარსახელისაგან შედ-

გება, მეორე — ორი პიროვნული სახელისა და გვარსახელის ერთობლიობას წარმოადგენს. ამდენად, მხოლოდ რაოდენობა ვერ წყვეტს საკითხს. როგორც რუსულ ანთროპონიმულ მოდელთან, ასევე დასავლურევროპულთან გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს აღმოსავლეთევროპული, უფრო სწორად, დასავლური და სამხრეთსლავური (პოლონური, ჩეხური, ბულგარული) ანთროპონიმული მოდელი, რომელიც მხოლოდ პიროვნული სახელისა და გვარსახელის ერთობლიობას წარმოადგენს. პოლონელების, ჩეხებისა და ბულგარელებისათვის უცხო იყო და არის როგორც მამის სახელი, ისე მეორე ოფიციალური პიროვნული სახელი (*ადამ მიცკევიჩი, კარელ ჩაპეკი, ივან ვაზოვი...*).

მსოფლიოს ბევრ ხალხში ასაკის მიხედვით ხდებოდა და ხდება სახელების შეცვლა. ამ ხალხებს შორის, აფრიკის რამდენიმე ხალხის გარდა, ჩინელებიც შედიან. არაერთი ხალხის ენებში ნაწარმოები, ანუ კნინობითი-მოფერებითი სახელებიცაა გავრცელებული. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ შეუძლებელია ერთ საკლასიფიკაციო სქემაში განვიხილოთ ანთროპონიმული კატეგორიები მათი წარმოშობისა და ფუნქციების მიხედვით, რადგან ამა თუ იმ სისტემის ესა თუ ის კომპონენტი ერთ სქემაში ერთ ადგილს დაიკავებს, მეორეში კი — მეორეს. მნიშვნელოვანი ანთროპონიმული კატეგორიები ჯერ კიდევ არაა განმარტებული, როგორც ჩანს, ივარაუდება, რომ ისინი ყველასათვის გასაგებია.

დღეისათვის პრობლემას არ წარმოადგენს პიროვნული სახელისა და მეტსახელის, მამის სახელისა და გვარის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. მაგრამ ძველ საისტორიო საბუთებში, ქრონიკებში დაფიქსირებული ანთროპონიმული ერთეულების მნიშვნელობის ზუსტი გამოცნობა ზოგჯერ ჭირს; პროფესიონალებსაც უჭირთ განსაზღვრონ, რომელია სახელი, მამის სახელი და გვარსახელი, ანდა ესა თუ ის პირი კანონიკური ქრისტიანული სახელითაა დოკუმენტებში მოხსენიებული, თუ მეტსახელით. მაგალითად, მკვლევარმა თუ არ იცის, რომ XVII საუკუნეში რუსებს გვარსახელი (მემკვიდრეობითი სახელი) ჯერ კიდევ არ ჰქონდათ, შეცდომას დაუშვებს და *ივანოვს* გვარად მიიჩნევს. ამ დროს მოხსენიებული *ივანოვი* კი მხოლოდ და მხოლოდ მამის სახელის აღმნიშვნელი იყო. მსგავსი მაგალითები ქართული საბუთებიდანაც შეიძლება მოვიყვანოთ: 1774 წლის ქსნის ხეობის აღწერის დავთარში დაფიქსირებულია: *ბაშარული შერმა ზანის-შვილი ივანე და შერმა ზან*. გაუთვითცნობიერებელ ადამიანს შეიძლება ეგონოს, რომ ძმები *ივანე* და *შერმა ზან* *ბაშარულეებს*

მეორე გვარიც — *შერმაზანიშვილი* ჰქონდათ, და რომელიმე *შერმაზანიშვილს* მიუთითოს: თქვენი ადრინდელი გვარი *ბაშარული* იყო. ვინც ასე იგულისხმებს, ბუნებრივია, შეცდომას დაუშვებს. აღნიშნულ შემთხვევაში *შერმაზანიშვილი* ძმების — *ივანესა* და *შერმაზანის* მამის სახელია. იმავე აღწერაში დაფიქსირებულია *ყველიანთ ბერის შვილი გამახარე*, რომელშიც პირველი კომპონენტი კაცმა შეიძლება გვარის დანაყოფის (მამიშვილობის) სახელად მიიჩნიოს, მეორე კი — გვარად. აღნიშნულ შემთხვევაში პირველი გვარსახელია (*ყველიანთ, ანუ ყველაშვილი*), მეორე კი — მამის სახელი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ხაზგასმულია, რომ გვარსახელი ოჯახის სახელია. მაგრამ გარკვევით უნდა ითქვას, რომ გვარსახელი არ არის ერთი და ორი ოჯახის აღმნიშვნელი სახელი. თავდაპირველად, გვარსახელის წარმოქმნის საწყის ეტაპზე, ის მართლაც ერთი ოჯახის (დიდი ოჯახის) აღმნიშვნელი სახელი იყო. მაგრამ ოჯახის სეგმენტაციის შემდეგ ის რამდენიმე ოჯახის საერთო სახელწოდებად იქცა. ერთი გვარი შეიძლება 100, 200, 400 ოჯახის საერთო სახელწოდებაც იყო. თანამედროვე მილიარდნახევრიან ჩინეთში 600 გვარია, კორეაში კი — 200. რანაირად შეიძლება ასეთ შემთხვევაში გვარსახელს „ოჯახის სახელი“ ეწოდოს? ყველაზე მისაღები განსაზღვრა იქნებოდა: **გვარსახელი არის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც მემკვიდრეობით სამი თაობის განმავლობაში მაინც გადადის თაობიდან თაობაზე.**

ძალიან ხშირად ძნელდება ერთმანეთისაგან სახელისა და მეტსახელის გამიჯვნა. ზემოთ ხსენებულ ქსნის ხეობის აღწერაში გვხვდება: *ლომკაცი, ილური, ტუხია, ბაცაცა ილურიძეები*, აგრეთვე — *იოსებ, გიორგი, ივანე, გაბრიელ ილურიძეები. იოსებ, გიორგი, ივანე, გაბრიელ*, რა თქმა უნდა, კანონიკური (საეკლესიო, კალენდარული) ქრისტიანული სახელებია, ე. ი. პიროვნული ოფიციალური სახელები, მაგრამ გამორიცხულია *ლომკაცი, ილური, ბაცაცა* და *ტუხია* ასეთ სახელებად მივიჩნიოთ. ისინი მეორე, ანუ მეტსახელებია. *ლომკაცი, ილური, ბაცაცა, ტუხია* ქრისტიანულ ქვეყანაში მონათლულნი იქნებოდნენ, მინიჭებული ექნებოდათ კანონიკური ქრისტიანული (ნათლობის, ოფიციალური) სახელი, მაგრამ, ჩანს, ყოფაში უფრო მეტსახელები იყო გავრცელებული და აღმწერებმაც ისინი აღწუსეს.

საერთოდ, დგება საკითხი: რა არის სახელი და მეტსახელი? როგორ გავმიჯნოთ ისინი ერთმანეთისაგან? თუ ზემოხსენებუ-

ლი ლომკაცის, ილურის, ბაცაცასა და ტუხიას ოფიციალური კანონიკური სახელები დაეინყებას იყო მიცემული (და შეიძლება ისინი არც არასოდეს გამოუყენებიათ) და ხალხი, ვისთანაც მათ ურთიერთობა ჰქონდათ, ამ ე. წ. მეტსახელებით იცნობდა, უნდა ჩავთვალოთ თუ არა ისინი მეტსახელებად? საკითხი რთულია. ჩვენ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ **ოფიციალური სახელია ის პიროვნული სახელი, რომელსაც ეკლესია ნათლობისას ანიჭებს, რომელსაც მშობლები არქმევენ და რომელიც ფიქსირდება პიროვნების დამადასტურებელ ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტში, ხოლო მეტსახელად უნდა მივიჩნიოთ ის სახელი, რომელიც ამ ოფიციალური სახელების პარალელურად ერქმევათ (რა ასაკში, — ამას მნიშვნელობა არა აქვს).** მეტსახელებით განსაკუთრებით მდიდარი იყო რუსული ანთროპონიმული სისტემა.

იმის გამო, რომ აღწერის დავთრებში ესა თუ ის პირები არაქრისტიანული სახელებითაც არიან ჩანერილი, მისაღებია დასკვნა, რომ XVIII საუკუნის ბოლოსაც კი საქართველოში (და არა მხოლოდ საქართველოში) ორსახელიანობა საკმაოდ იყო გავრცელებული.

ევროპის ხალხებისთვის (და, მათ შორის, ქართველებისთვისაც) ერთხელ დარქმეული სახელი სამუდამო იყო. მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, აფრიკის ბევრი ხალხისა და ჩინელების სახელები ძირითადად ცვალებადი იყო. ისინი სამუდამოდ არ ენიჭებოდათ, ასაკისა და მდგომარეობის მიხედვით ეცვლებოდათ. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა „**ბავშვობის სახელი**“, „**სასკოლო სახელი**“, „**სამხედრო სახელი**“... სახელები ეცვლებოდათ ქრისტიან ხალხებსაც. მაგალითად, ბერად შედგომის დროს. შეიძლება ითქვას, რომ მეტსახელი უფრო სტაბილური იყო — ის ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე თან სდევდა. ასაკის მიხედვით სახელის შეცვლის ტრადიცია გარკვეული რწმენა-წარმოდგენებით იყო განპირობებული.

სახელთა სისტემები მუდმივი არ იყო; ისინი ისტორიულად ყალიბდებოდა, იცვლებოდა, იხვენებოდა. დღეს სომხები მემკვიდრეობით სახელს — გვარსახელს ატარებენ, მაგრამ ისტორიულად მათთვის ის უცნობი იყო. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: მაშ, რა არის „*მოვსეს კალანკატვაცში*“, „*მოვსეს ხორენაცში*“ მეორე კომპონენტი? პასუხი მარტივია — იმ სოფლის, დასახლებული პუნქტის სახელი, რომელშიც ისინი დაიბადნენ და

მოღვაწეობდნენ, -აც ელემენტი კი უდრის ქართული წარმომავლობის -ელსუფიქსს.

საბჭოთა პერიოდში ზოგიერთი მეცნიერი საკუთარ სახელთა სისტემების, გვარსახელთა ცვლას საზოგადოების განვითარებას, სოციალურ-ეკონომიკურ წყობას უკავშირებდა. ეს ნამდვილად მარქსიზმ-ლენინიზმისთვის ხარკის მოხდა იყო. ქართულ ენაში პირველყოფილი საზოგადოების გვარიც და მემკვიდრეობითი სახელიც (გვარსახელი) ერთი და იმავე ტერმინით – „გვართ“ აღინიშნება. რუსული ენა კი პირველყოფილი საზოგადოების გვარსა და კლასობრივ საზოგადოებაში (სოციალურად დიფერენცირებულ საზოგადოებაში) წარმოქმნილ გვარებს ერთმანეთისაგან მიჯნავს (**род** და **фамилия**), თუმცა რუსულ ენაშიც ტერმინი фамилия გვიან გაჩნდა, XVIII საუკუნის ბოლოს, როგორც род-ის სინონიმი. მას თანდათან შეეცვალა მნიშვნელობა და XIX საუკუნეში ძირითადად „ოჯახის“ ცნების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. რუსულ ანთროპონიმიკაში XVIII-XIX საუკუნეების განმავლობაში თანაბრად გამოიყენებოდა მემკვიდრეობითი საოჯახო სახელწოდების აღსანიშნავად „родовое именованиe“, „родовое прозвание“, „фамильное прозвание“. მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ტერმინმა фамилия გამოდევნა (შეცვალა) ტერმინი прозвание. ასე თუ ისე, რუსულში მაინც თავიდანვე ორი ტერმინი არსებობდა: род და прозвание/фамилия.

რატომ არ ასხვავებს ქართული ენა პირველყოფილი საზოგადოების გვარსა და სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოების გვარს (გვარსახელს) ერთმანეთისგან? ეს მოვლენა მეცნიერებს მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს: საქართველოში მოხდა პირველყოფილი გვარის კლასობრივი საზოგადოების გვარში გადაზრდა. ამ თვალსაზრისით საქართველოში ტრადიციის განყვეტა არ მომხდარა, თუმცა პირველყოფილი საზოგადოების გვარი და სახელმწიფოების დროინდელი გვარები თავისი შინაარსით ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამასთანავე, იმის გამო, რომ ტრადიციის წყვეტა არ მომხდარა, სახელმწიფოების დროინდელმა გვარმა (გვარსახელმა) — მემკვიდრეობითმა სახელმა ბევრი ის ნიშანთვისებაც გადმოიყოლა, რაც კლასობრიობამდელი გვარისათვის იყო დამახასიათებელი. ამის საილუსტრაციო მაგალითია გვარის ეკზოგამიურობა. ამ თვალსაზრისით ქართველები გამონაკლისები არ ყოფილან; მსგავსი სიტუაცია გვქონდა ევროპელ, კელტური

მოდგმის ხალხებშიც (მოტლანდიელები, ირლანდიელები). გვარსახელს იმიტომაც ვერ მივიჩნევთ ოჯახის სახელად, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში ის საზოგადოების პირველ სამეურნეო და სამართლებრივ უჯრედზე – ოჯახზე გვიან წარმოიქმნა.

საყურადღებოა, რომ ანთროპონიმული სისტემები ხშირად ერთი ხალხისგან მეორე ხალხში სესხების გზითაც ვრცელდებოდა. მაგალითად, უკანასკნელი 70-80 წლის განმავლობაში თურქეთში, ტუნისში, ეგვიპტეში გვარსახელი ოფიციალურად დაკანონდა. იგივე შეიძლება ითქვას ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრ ხალხზედაც (აზერბაიჯანელები, თურქმენები, ყაზახები, ყირგიზები...), რომელთაც ასევე კანონით დაუმკვიდრდათ მემკვიდრეობითი სახელები, თანაც რუსული ანთროპონიმული მოდელისა და საკუთარ სახელთა სისტემის ანალოგიურად. ამრიგად, ჩამოთვლილ ხალხებს სულ ახლახან, რამდენიმე ათეული წლის წინათ შეეცვალათ ანთროპონიმული მოდელი. შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენშიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ ხელოვნურად, უხეში ადმინისტრაციული ჩარევით, მეცნიერთა აზრის გაუთვალისწინებლად, შეცვალეს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართული ანთროპონიმული მოდელი, რადგან მიიჩნიეს, რომ ქართულ სახელთა სისტემაში მამის სახელი უცხო ეთნიკური (რუსული) გარემოდან იყო შემოსული. ცნობილია, რომ ადრე შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ქართველები გვართ, მამის სახელითა და პიროვნული სახელით იყვნენ მოხსენიებულნი, თუმცა ეს წესი კანონმდებლობით არასდროს არ ყოფილა განმტკიცებული.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ევროპის ქვეყნებში გვარსახელების წარმოქმნა მიმდინარეობდა სოციალური კიბის საფეხურთა თანამიმდევრობით. აქ თავდაპირველად გვარსახელი (მემკვიდრეობითი სახელი) თავადაზნაურობას გაუჩნდა, შემდეგ კი — მოქალაქეებსა და გლეხებს. მაგრამ ევროპაში დიდი ხნის განმავლობაში გვარის გარეშეც ბევრი იყო. ევროპის ქვეყნებისათვის დამახასიათებელ ამ მოვლენას საქართველოზე ვერ გავავრცელებთ, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, აქ გვარსახელები სხვაგვარ სიტუაციაში წარმოიქმნა.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარ სახელთა სისტემები, მათი მდგრადობის მიუხედავად, მაინც თანდათანობით ვითარდებოდა და იხვენებოდა. თანამედროვეთათვის ეს ცვლილებები თითქმის შეუმჩნეველია. ეს მხოლოდ პერსპექტივაში შესამჩნევია.

I. 4. სად და როდის წარმოიქმნა მემკვიდრეობითი სახელები (გვარსახელები)?

ჩვენამდე მხოლოდ ძველი მსოფლიოს რამდენიმე ხალხმა მოაღწია. ადრე შუა საუკუნეებში ახალი ეთნოსების წარმოქმნის უწყვეტი პროცესი მიმდინარეობდა. შესაბამისად, მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ხალხია, რომელთაც კლასობრიობამდელი საზოგადოების, ნათესაური ერთობის კოლექტიური სახელი — გვარი გადმოჰყვა. პირველყოფილი საზოგადოების კოლექტიური სახელი (გვარი), რა თქმა უნდა, თანამედროვე გვარსახელის ანალოგიური არ არის. სოციალურ დიფერენციაციამდე გვარის წევრებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. გვარის წევრების ცალკე არსებობა წარმოუდგენელი იყო; მათი ყველა ქმედება გვარის საერთო ინტერესებს გამოხატავდა. გვარს ჰქონდა საერთო ტერიტორია, ე. ი. გვარი მის კუთვნილ ტერიტორიულ ერთეულზე იყო განსახლებული. ფეოდალიზმის პერიოდის გვარი და დღევანდელი გვარიც დიდად განსხვავდებოდა და განსხვავდება პირველყოფილი გვარისაგან. ამიტომაც თანამედროვე გვარი „გვარსახელად“ იწოდება. ის სხვანაირად „მემკვიდრეობით სახელად“ იწოდება. ძველ ეთნოსებს, რომლებსაც განსახლების არეალი არ შეუცვლიათ, პირველყოფილი გვარი სოციალურად დიფერენცირებულ საზოგადოებაში გადმოჰყვათ, ოღონდ ტრანსფორმირებული სახით. ამ ეთნოსებს მიეკუთვნებიან: ჩინელები, კორეელები, კელტები (მოტლანდიელები, ირლანდიელები), ქართველები, ადიღელები... ასეთ ხალხთა რიცხვს სამხრეთელი სლავებიც (სერბები, მაკედონიელები, ბოსნიელები, ჩერნოგორიელები, ხორვატები) მიეკუთვნებიან. ამის თქმის საშუალებას ის გარემოება იძლევა, რომ აქ, ისევე როგორც ქართველ ხალხში, გვარი ეკზოგამიური იყო. დასახელებულ ხალხებში **პირველყოფილი გვარი „გვიანდელ გვარში“ და „გვიანდელი გვარი“ მემკვიდრეობით სახელში (გვარსახელში)** გადაიზარდა. ზოგიერთ ძველ ეთნოსში ასეთი პროცესი არ განხორციელებულა; გვარები, უბრალოდ, გაქრა. ასეთ ხალხებს შორის შეიძლება დავასახელოთ მუსლიმი ხალხები, რომელთა რელიგიური მსოფლმხედველობა და სოციალური სისტემაც მემკვიდრეობით სახელს — გვარსახელს არ მოითხოვდა, თუმცა უახლოეს ისტორიაში ამ ხალხებმაც იგრძნეს მემკვიდრეობითი სახელის საჭიროება.

მემკვიდრეობით სახელს (გვარსახელს) გარკვეული ფუნქციები ჰქონდა. პირველ რიგში, მის ძირითად ფუნქციას მემკვიდრეობის გადაცემა წარმოადგენდა. ბევრ ხალხში ის საქონნინო ურთიერთობებსაც აწესრიგებდა (ჩინელები, ქართველები, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები დაღესტნელების გამოკლებით, ბალკანეთის სლავური ეთნოსები).

მემკვიდრეობითი სახელის არსებობა ახალ, კაპიტალიზმის ეპოქაში მისთვის დამახასიათებელმა სოციალურმა ურთიერთობებმა განაპირობა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო პიროვნების იდენტიფიცირების აუცილებლობა.

კონკრეტულად მსოფლიოს რომელ ქვეყანაში, სად და როდის წარმოიქმნა მემკვიდრეობითი სახელები? ამ განსაკუთრებული ანთროპონიმული კატეგორიის ჩამოყალიბება სხვადასხვა ხალხში (ქვეყანაში) ერთდროულად არ მომხდარა. წყაროთა სიმცირის გამო, მხოლოდ მეტ-ნაკლებად შეიძლება ამ პროცესისთვის თვალის მიდევნება. გვარსახელების ფორმირება ევროპაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა, მაგრამ მაინც დროის განსაზღვრულ და შემოფარგულ მონაკვეთში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ევროპაში გვარსახელების წარმოქმნის კერა ჩრდილოეთი იტალია იყო; შემოთავაზებულია სხვადასხვა თარიღები. ერთი ნაწილი ასეთ პერიოდად XI საუკუნეს მიიჩნევს, მეორე ნაწილი — VIII საუკუნეს. ა. დოზას მიაჩნია, რომ იტალიიდან გვარსახელმა პროვანსში (თანამედროვე სამხრეთი საფრანგეთი) შეაღწია, რომელიც ალბიგონურ ომებამდე (XII საუკუნის დასასრული) ევროპის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ავანგარდში იდგა. სამეცნიერო ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული, რომ ევროპაში გვარსახელი თითქოს ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიოდა, რომ ის ერთგვარი მოდის შედეგიც კი იყო. ვფიქრობთ, ეს უმართებულო შეხედულებაა, რადგან, სათანადო საფუძვლის არარსებობის გამო, შეუძლებელი იქნებოდა გვარსახელს ფეხი მოეკიდებინა და გავრცელებულიყო. მემკვიდრეობითი სახელი პარიზსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთის სხვა ქალაქებშიც ადრევე შეინიშნება. აქ გვარსახელი ჯერ ფეოდალებს შორის წარმოიქმნა: მემკვიდრეობით მინათმფლობელობას თან მემკვიდრეობითი სახელიც ახლდა. ფეოდალების შემდეგ გვარსახელი მალე ბურჟუაზიასაც გაუჩნდა. ამას ზოგიერთი მკვლევარი სოციალური მიბაძვით ხსნიდა. მთავარი მაინც ისაა, რომ ბურჟუაზიას ინტერესები მემკვიდრეობითი სახელებისაკენ უბიძგებდა. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ,

კომერციული ფირმების გაფართოება ფირმების მემკვიდრეობას ითხოვდა, ისევე როგორც მემკვიდრეობითი მიწათმფლობელობა, რათა შეენარჩუნებინათ და გაეფართოებინათ კლიენტურა. გვარი წარმოადგენდა სავაჭრო ნიშანს, საიმედოობის დამლას. შემდეგ გვარები გავრცელდა მოქალაქეებსა და გლეხებს შორის.

საფრანგეთიდან გვარსახელმა მალევე რაინსა და ლა-მანშს „გადააბიჯა“. წყაროები გვამცნობს, რომ XII საუკუნეში გვარსახელი უკვე ფართოდაა გავრცელებული გერმანიაში, როგორც აღნიშნავენ, ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთის სავაჭრო ქალაქებში. XIII საუკუნის ბოლოს სტრასბურგში ყველა მოქალაქეს ჰქონდა გვარსახელი. 1312 წელს მაინის ფრანკფურტში ბიურგერების ჯერ კიდევ 66% მემკვიდრეობითი სახელის გარეშე იყო, 1315 წელს კი — მხოლოდ 30%. ორმოცი წლის განმავლობაში თანაფარდობა შეიცვალა, ბიურგერების 2/3-ს უკვე გვარსახელი ჰქონდა. თანდათანობით გვარსახელები გერმანიის ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთშიც გავრცელდა, მაგრამ, როგორც ერთ-ერთი მკვლევარი (*რუდოლფ ფიშერი*) აღნიშნავს, ზემო ლუჟიცის ცისტერციის მონასტრის გამოცემის შესავალში „გერმანელ ხალხებთან დადგენილი გვარსახელების ჩამოყალიბება XIV საუკუნეში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ინგლისში გვარსახელები ნორმანმა დამყრობლებმა შემოიტანეს 1066 წელს, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ გვარსახელები აქ ნორმანთა დაპყრობებამდეც არსებობდა. ინგლისში მემკვიდრეობითი სახელი 1068 წლის საბუთებშია დაფიქსირებული. ერთ-ერთი მეცნიერის შენიშვნით, ინგლისში გვარსახელების ფორმირების პროცესი 1400 წლისათვის დასრულდა.

დანიიაში გვარსახელი დასტურდება XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე, შვეიცარიაში — XVI საუკუნეში. უნგრეთში მემკვიდრეობითი სახელები უკვე XIV საუკუნეშია დადასტურებული. ჩეხეთში გვარსახელები მხოლოდ 1780 წელს ოფიციალური ბრძანების შედეგად შემოიღეს, თუმცა XIV-XV საუკუნეების მიჯნის ჩეხეთის საისტორიო საბუთებში დასტურდება საკუთარი სახელის მომდევნო თაობებისთვის გადაცემის ფაქტი. XIV საუკუნის პოლონურ დოკუმენტებში უკვე დაფიქსირებულია სახელწოდება, რომელიც მთლიანად შეესაბამება გვარსახელს; XV-XVI საუკუნეების პოლონეთში შლიახტის ყველა წარმომადგენელი მემკვიდრეობითი სახელის მატარებელი იყო.

ძალიან ნელა ვრცელდებოდა გვარსახელი რუსეთში. აქ მისი ჩამოყალიბების პროცესი მხოლოდ XX საუკუნეში დასრულდა.

მას შემდეგ, რაც ევროპის ყველა დიდ ქვეყანაში გვარსახელები წარმოიქმნა და განმტკიცდა, შესაძლებელი გახდა მემკვიდრეობითი სახელების არა სტიქიური და თანდათანობითი გავრცელება, არამედ მათი საკანონმდებლო აქტებით შემოღება. იაპონიაში გვარსახელები დაადგინეს 1868 წლის ანტიფეოდალური აქტებით. თურქეთში ისინი *მუსტაფა ქემალის* 1926 და 1934 წლების დეკრეტებით შემოიღეს. იმავე დროს დაანესეს ირანშიც, ეგვიპტეში ამ მოვლენას XX საუკუნის 50-იან წლებში ჰქონდა ადგილი, ტუნისში კი — 1959 წელს. მაგრამ ამ ქვეყნებში გვარსახელები დაინერგა არა მყისიერად, არამედ გარკვეული დროის განმავლობაში. დღესაც კი ისლანდიის მოსახლეობა გვარსახელთა გარეშეა, თუმცა აქაც არაერთხელ გაისმოდა ხმები მათი აუცილებლობის შესახებ.

საერთოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში გვარსახელთა წარმოქმნის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებებია გამოთქმული. ისიც ხაზგასასმელია, რომ ევროპაში გვარსახელთა წარმოქმნა ეტაპობრივი პროცესი იყო. ერთი რამ აშკარაა: ამა თუ იმ ქვეყანაში მემკვიდრეობითი სახელების მთელ ტერიტორიაზე გავრცელება მომენტალურად არ ხდებოდა. ის განპირობებული იყო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით, რომელიც არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნებს, არამედ ერთი ქვეყნის სხვადასხვა პროვინციებს შორისაც კი არათანაბარი იყო. გვარსახელები თავდაპირველად უფრო განვითარებულ რეგიონებში წარმოიქმნებოდა.

გვარსახელი სოციალური მოვლენაა. ევროპაში ის თავდაპირველად გარკვეულ სოციალურ ფენებში წარმოიქმნა. ის მოცემული სოციალური ფენის ინტერესებს ემსახურებოდა, უფრო მეტიც, ნოდებრივ ქვეყანაში იგი ნოდებრივი პრივილეგიაც გახდა. ზოგან მმართველი ფენები მის „ქვედა ფენებში“ გავრცელებას ეწინააღმდეგებოდნენ. მაგალითად, პოლონეთის აზნაურობა მოითხოვდა, აკრძალულიყო არაშლიახტური ფენებისათვის „შლიახტური“ გვარებით ჩანერა. მხედველობაში გვაქვს -სკი სუფიქსიანი გვარები. მხოლოდ მსხვილი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნამ, რთული პოლიტიკური, საგადასახადო, სამობილიზაციო აპარატით, საბოლოოდ განაპირობა მთელი მოსახლეობისათვის გვარსახელების მიკუთვნება. ეს პროცესი საბოლოოდ მაინც დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგან, როგორც აღვნიშნეთ, პრივილეგირებული ფენა მას ამუხრუჭებ-

და. იაპონიაში 1868 წლის რევოლუციამდე გვარსახელების ტარების უფლება მხოლოდ გაბატონებულ ფენას ჰქონდა. რუსეთში მემამულეების უმეტესობას გვარსახელი XVIII საუკუნის დასაწყისამდე ჰქონდა, მილიონობით ყმა გლეხი კი XIX საუკუნის დასაწყისშიც უგვაროდ რჩებოდა.

ორი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული რამაა გვარების დოკუმენტებში „გამოჩენა“ და გვარსახელების სახელმწიფოს მიერ აქტებით დაკანონება. საკანონმდებლო აქტები, რომლებითაც გვარსახელები ოფიციალურად დაკანონდა, საკმაოდ გვიან იქნა მიღებული: ბავარიაში — 1677 წელს, ავსტრიაში — 1776 წელს, პრუსიაში — 1794 წელს. საფრანგეთში გვარსახელების აუცილებლობა ნაპოლეონმა გამოაცხადა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გვარსახელების საბოლოო ფორმირებამდე მისი გარდამავალი ფორმები არსებობდა. ოჯახის სახელწოდება თანდათანობით გვარსახელად იქცეოდა. ჩვეულებრივ, ეს ერთგვარად შეუმჩნეველი პროცესი იყო, როგორც მათი მატარებლებისათვის, ისე გარშემო მყოფთათვისაც. მკვლევრებისგან დოკუმენტში მოხსენიებული სახელები ხშირად მაქსიმალურ ყურადღებას მოითხოვს, რათა მამის სახელი და პაპის სახელი გვარსახელად არ იქნეს მიჩნეული, რადგანაც ისინი გარეგნულად მსგავსია მემკვიდრეობითი სახელისა.

ამრიგად, გვარსახელების ევროპის კონტინენტზე წარმოქმნა ერთგვარად ტალღისებურად მიმდინარეობდა. თავდაპირველად ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი იყო, მაგრამ მნიშვნელოვან ეტაპზე ტემპი ძალიან მაღალი იყო — ერთ საუკუნეში გვარსახელებმა იტალიიდან მთელი საფრანგეთი გადაკვეთა, შეიჭრა ინგლისსა და გერმანიაში. ამავე დროს ამა თუ იმ ქვეყანაში „შეჭრილი“ გვარსახელი არასდროს არ დამარცხებულა — ის თავისი გავრცელების სფეროს მუდმივად იფართოებდა. გვარსახელების სესხებას და ერთი ხალხისგან მეორე ხალხში შეტანაზედაც ხშირად წერენ (მაგალითად, ნორმანების მიერ ინგლისში გვარსახელის ექსპორტს ასახელებენ). მაგრამ გარკვევით უნდა ითქვას, რომ გვარსახელების გავრცელების მთავარი მიზეზი სესხება არ იყო. სესხებას მაშინ ჰქონდა სწრაფი და მტკიცე ხასიათი, როდესაც მას გარკვეული საფუძველი გააჩნდა. ჩრდილოეთ საფრანგეთის ფეოდალები თითქოს მოუთმენლად ელოდებოდნენ გვარსახელის შემოტანას, ისე გამალებით „ჩასჭიდეს“ ხელი და შეითვისეს, როდესაც ის მეზობელ პროვანსში წარმოიქმნა. მსგავს პირობებში ერთნაირმა მოთხოვნებმა

შეიძლება მსგავსი მოვლენები წარმოშვას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

გვარსახელთა სისტემის გამარჯვებას ზოგიერთი მკვლევარი მოსახლეობის ზრდით ხსნის და მაგალითად ასახელებს ინგლისს, სადაც 1066 წლიდან 1400 წლამდე მოსახლეობა ორი მილიონიდან ოთხ მილიონამდე გაიზარდა. რა თქმა უნდა, ამას რეალურ მიზეზად ვერ მოვიჩნევთ, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ამ მოვლენას ქალაქებისა და სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას უკავშირებს. ეს მოსაზრებაც მიუღებელია, თუ ზემოთ ნათქვამს გავისხენებთ, რომ გვარსახელი ევროპაში ფეოდალებს შორის გავრცელდა. თავდაპირველად გვარსახელი ოჯახის მემკვიდრეობითი სახელი იყო. ფეოდალიზმის პერიოდში ბეგარის მთავარი გადამხდელი ოჯახი იყო, ოჯახს ეკუთვნოდა მიწისა და ყმის გარკვეული რაოდენობა, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა მომდევნო თაობებს. ოჯახის სეგმენტაციის შედეგად მათი მემკვიდრეობითი სახელი რამდენიმე ოჯახის სახელად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ქვეყნების გვარსახელებს მათთვის დამახასიათებელი ნიშნები ახასიათებთ, შეიმჩნევა საერთო-გერმანული და საერთო-სლავური ნიშნებიც, რაც ძირითადად ენათა ნათესაობითაა განპირობებული. მაგალითად ავიღოთ გერმანული მოდემის ხალხების გვარსახელთა მეორე კომპონენტი, რომელიც „შვილს“ აღნიშნავს: დანიური — *ჰანსენი*, ანდერსენი, ნორვეგიული — *იბსენი*, შვედური — *ანდერსენი*, ერიქსონი, ინგლისური — *ველსონი*, ჯონსონი, ნიქსონი, გერმანული (იშვიათად) — *ვულფსონი*. ენობრივი ერთობის შედეგია სხვადასხვა სლავი ხალხების გვარსახელთა სუფიქსი (*-ოვიჩი*). ეს მოდელები სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიქმნა.

I. 5. საკუთარ სახელთა ფუნქცია. საკუთარი სახელები პირველყოფილ და კლასობრივ საზოგადოებებში

საკუთარ სახელებს, ანუ ანთროპონიმებს გარკვეული ფუნქცია აქვთ. გამოყოფენ საკუთარ სახელთა ფუნქციის ორ ნწყილს, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. **პირველი ფუნქცია სოციალურად განმასხვავებელია**, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, საკუთარი სახელების ფუნქცია

საზოგადოებაში ადამიანთა, პირთა იდენტიფიკაცია; **მეორე ფუნქცია რიტუალურ-ქარიზმულია**. წინასწარვე უნდა ითქვას, რომ რიტუალურ-ქარიზმული ფუნქცია რელიგიითა და სათანადოდ რწმენა-წარმოდგენებითაა განპირობებული. ისმის კითხვა: რომელია ძირითადი? ძირითადი უთუოდ სოციალურ-განმასხვავებელი ფუნქციაა; მის გარეშე სახელი აზრს დაკარგავდა და დაკარგავს. სახელი ინდივიდებს ერთმანეთისაგან განასხვავებს და საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მის ადგილზე მიუთითებს. რაც შეეხება მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვან ფუნქციას — რიტუალურ-ქარიზმულს, განსაკუთრებით კი — ძველ საზოგადოებაში, მას უკავშირდებოდა ზებუნებრივი ავი ძალებისაგან დაცვა და კეთილ ძალთა მფარველობა. ბუნებრივია, სახელი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ტრადიციებთან, წეს-ჩვეულებებთან, მოდასთან და სხვა ირაციონალურ ფაქტორებთან.

საკუთარ სახელთა სისტემამ (მასში იგულისხმება არა მხოლოდ ინდივიდუალური სახელი, არამედ სხვა სახელთა ერთობლიობა) განვითარების ხანგრძლივი გზა გაიარა; ის ყველა ეთნოსისათვის ერთნაირი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, მეცნიერები მის განვითარებაში მაინც გამოყოფენ ორ სისტემას, რომლებსაც პირობითად **დასაბამით, სანყის და დასრულებულ ეტაპებს** უწოდებენ, თუმცა მათ შორის, გამოყოფენ აგრეთვე ე.წ. **გარდამავალ ეტაპს**. სანყისი ეტაპი უპირატესად გვაროვნული წყობილების მომცველია. მიაჩნიათ, რომ დასრულებული ეტაპი ანთროპონიმული მოდელების განვითარებაში მხოლოდ კაპიტალიზმის ეპოქას განეკუთვნება. პირველ ეტაპს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, უფრო ხანგრძლივი ეტაპი, ამ კონცეფციის მიხედვით, გარდამავალი პერიოდი იყო, რადგან კაპიტალიზმის პერიოდი სულ რამდენიმე საუკუნის მომცველია. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ სქემის ავტორის (ი. ბესტუჟევ-ლადა) მსჯელობას უაღრესად კლასობრივი მიდგომის იერსახე ახლავს და ის არ ითვალისწინებს მთელი რიგი ზოგიერთი ხალხის ანთროპონიმულ მოდელებს. *ი. ბესტუჟევ-ლადას* მიაჩნია, რომ ერთი სისტემა თავისებური კრიზისით მთავრდება, რასაც საბოლოოდ ახალ სისტემაზე გადავყავართ.

სახელთა სისტემების ევოლუციის ამგვარ კრიზისს იმით ხსნიან, რომ სოციალურ-განმასხვავებელი და რიტუალურ-ქარიზმული ფუნქციები ერთმანეთს მუდამ მკვეთრად ეწინააღმდეგება. ეს წინააღმდეგობა პირველ რიგში იმით გამოიხატებოდა, რომ მეორე ფუნქცია მუდმივად ცდილობდა პირველი ადგი-

ლის დაკავებას. სხვათა შორის, თანამედროვე, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებშიც კი სახელს კვლავაც მოეპოვება რთული რიტუალური კომპლექსის ძალა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ტრადიციებთან, ნეს-ჩვეულებებთან, მოდასთან. ამრიგად, საკუთარ სახელთა ქარიზმა გულისხმობს რწმენას ზებუნებრივი ძალებისადმი. ამ თეზისის სასარგებლოდ მოჰყავთ სკანდინავიის ქვეყნების მაგალითი, სადაც დღემდე ბავშვს მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში „სათადარიგოდ“ ორსამ სახელს არქმევენ. მიაჩნიათ, რომ ავადმყოფობას თან მიაქვს ადამიანის ერთ-ერთი სახელი, გამოჯანმრთელებული კი აგრძელებს ცხოვრებას და „გამოყენებულ“ და „დარჩენილ“ სახელებს ერთად აღარ იყენებს.

ეთნოლოგიურ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი მონაცემებია თავმოყრილი საკუთარ სახელთა სისტემაში განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ხალხებში ქარიზმის მნიშვნელობის შესახებ. ამ თვალსაზრისით ლ. ლევი-ბრიულისა და ლ. შტენბერგის ნაშრომების დასახელებაც იკმარებს. მკვლევრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ „პირველყოფილ“ ტომებში ფუნქციის სოციალურ-განმასხვავებელი ნყვილი უკანა პლანზე იწევს და პირველ ადგილს რიტუალურ-ქარიზმული ფუნქცია იკავებს.

როგორც წესი, ადამიანების ერთმანეთისაგან გამოყოფა პირველყოფილ საზოგადოებაშიც სახელებით ხდებოდა. სახელთა ფონდი მჭიდროდ იყო დაკავშირებული პირველყოფილ რწმენა-წარმოდგენებთან. აქ სახელი თითქოს მისი მატარებლისაგან დამოუკიდებლად არსებობს და განიხილება როგორც სულის ნაწილი. მიაჩნდათ, რომ სახელის ბოროტი განზრახვით გამოყენებას შეიძლება მისი მატარებელისათვის ევნო. მეორე მხრივ, სახელისაგან მფარველობასა და ყოველგვარ სიკეთეს, კეთილდღეობას ელოდნენ. ამ საზოგადოებაში სახელებს სოციალურ-განმასხვავებელი ფუნქციის სრულად და ეფექტურად შესრულება არ შეეძლო და მხოლოდ რელიგიურ ცერემონიაში გამოიყენებოდა. ყოველდღიურად კი მათ, ჩვეულებრივ, სხვადასხვა მეტსახელი ენაცვლებოდა.

შემჩნეულია, რომ რელიგიისა და საზოგადოების სოციალური სტრუქტურის განვითარების კვალობაზე სახელი თანდათან რთულდებოდა. ამას გარდა, პირველყოფილი იდეოლოგია ყოველი ინდივიდის ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეში გადასვლისას ახალ სახელს დადგენილი სოციალური, რიტუალური და ქარიზმული კანონებით იღებდა. ამის შედეგად ყალიბდებოდა სახელების განსაკუთრებული რთული სისტემა, რომელიც მრავ-

ვალი კომპონენტისაგან შედგებოდა. ისინი ინდივიდის ცხოვრების განმავლობაში პერიოდულად, გარკვეული კანონებით იცვლებოდა.

თანამედროვე მეცნიერებმა სახელთა ევოლუცია პირველყოფილ საზოგადოებაში უბრალო სახელ-მეტსახელიდან მრავალრიცხოვან სახელებამდე მხოლოდ გონებით შეიძლება განჭვრიტონ: „ნამდვილი ფარული პიროვნული სახელი+გვარის შიგნით ურთიერთობაში მოსახმარი ქარაგმული სახელი+გვაროვნული სახელი“. შემდეგ განვითარდა უფრო რთული სისტემა: „რამდენიმე პიროვნული სახელი, რომელთაგან თითოეულმა თავის გარკვეული ფუნქცია ჰქონდა და რომლებიც გარკვეული წესების მიხედვით იცვლებოდნენ ინდივიდის ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეში გადასვლისას+ასევე ცვალებადი რამდენიმე მეტსახელი+ერთი ან რამდენიმე გვაროვნული სახელი“. მაგრამ საქმე ის არის, რომ თითქმის ყველა ტომი, რომლებიც საისტორიო წყაროებში მოიხსენიება ან რომლებიც ეთნოგრაფიული კვლევის ობიექტს წარმოადგენდა, განვითარებით შედარებით შორს იყო წასული და სახელთა თავდაპირველი სისტემაც სოციალური, რიტუალური და ქარიზმული ფუნქციებით იყო გადაფარული.

შორეულ წარსულში სახელთა სისტემების სირთულის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ძველი ჩინეთი. ძვ. წ. VI საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსი იყო *ლაო-ცზი (ძი)*, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „**ბრძენს ლაოს გვარიდან**“. მაგრამ ცხოვრებაში ის ატარებდა აგრეთვე საოჯახო გვარსაც — *ლი*, პიროვნულ სახელს — *ერ*, მეორე პიროვნულ სახელს — *ბო-ინ*, სიკვდილის შემდეგ კი სახელს — *დან*. გარდა ამისა, *ლაო-ცზი (ძი)* ატარებდა სხვა სახელებსაც: დაბადების ადგილის, განდევნილობის, მინისმფლობელობის ადგილების მიხედვით და ა. შ., აგრეთვე ჩვეულებრივი და საპატიო მეტსახელების მთელ ნაკრებს.

აღნიშნულ სახელთა ერთობლიობა ძველი ჩინეთის კლასობრივი საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი, თუმცა ზოგიერთი ელემენტი მას პირველყოფილი საზოგადოებიდან გადმოჰყვა. მხედველობაში გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, გვაროვნული გვარი, მაგრამ სრულიად ახალი ელემენტი იყო გვარსახელი (საოჯახო გვარი — *ლი*). ამავე დროს ჩინური საზოგადოება სახელებს ერთმანეთისაგან ასხვავებდა სოციალური თვალსაზრისითაც — ექსპლუატირებული და ექსპლუატატორთა ფენები სახელთა განსხვავებული სისტემების მატარებლები იყვნენ. ამ

საზოგადოებაში პირველყოფილი რწმენა-წარმოდგენები ერთ-ერთი კლასიკური რელიგიით იცვლება. ამის კვალობაზე მთელი ქარიზმის შინაარსი და, შესაბამისად, რიტუალიც შეიცვალა. სახელთა სისტემის შეცვლა შუალედური ფორმების სირთულით ხასიათდებოდა. სისტემის ცვლა მრავალი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სისტემის ძველი სისტემით შეცვლის პროცესის შესახებ არსებული მოსაზრებები ჰიპოთეტურია და ბოლომდე დამუშავებული და შესწავლილი არ არის. ერთი რამ დაბეჯითებით უნდა ითქვას: გვაროვნული ნყობილებისა და სოციალურად დიფერენცირებულ საზოგადოებათა საკუთარ სახელთა სისტემები ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებოდა. მეცნიერებს საამისოდ ანტიკური სამყაროს სახელები მოჰყავთ ხოლმე. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ახალ პირობებში უკვე შეუძლებელია ადამიანის ტოტემურ წინაპართან კავშირის დამყარება. ახალი სახელები ახლა უკვე სისადავითა და სიმოკლითაც გამოირჩევა. რელიგია მხოლოდ სახელების მტკიცედ განსაზღვრულ რაოდენობას აკანონებს, ამცირებს სახელების ფონდს. ამით ერთგვარად ძირი ეთხრება განმასხვავებელ ფუნქციას. ჩნდება ახალი სირთულე, რომელსაც, ბუნებრივია, მთელი რიგი წინააღმდეგობები ახლავს.

გადმოცემით, *გაიუს იულიუს კეისარმა* თავისი რამდენიმე ათასი მეომრის სახელი იცოდა. ლიტერატურაში ამის შესახებ აღნიშნულია, რომ საეჭვოა ეს შესაძლებელი ყოფილიყო, რადგან მის დროს პიროვნულ სახელთა მხოლოდ მცირე რაოდენობა ჰქონდათ: *პრისკი, სეკუნდი, კვინტი, სექსტი, სეპტიმი* და ა. შ. (ანალოგიური მდგომარეობა გვექონდა ძველ სლავებში: *პერვუნი, ვტორკო, პიატოი, შესტაკი...*). მაგრამ, როგორც ცნობილია, რომაელებს ხანგრძლივი ევოლუციისას დაუდგინდათ სახელთა სისტემა, რომელიც მოიცავდა პიროვნულ სახელს, საოჯახო სახელს (გვარსახელს) და მეტსახელს. სოციალური და განმასხვავებელი თავალსაზრისით ეს სისტემა ორიენტაციას აადვილებდა. ის მხოლოდ ზედაფენასა და თავისუფალ მოსახლეობაში არსებობდა. მონები მისგან განცალკევებულნი იყვნენ.

ახალ ეტაპზე სახელთა სისტემის გართულება ოთხი მიმართულებით ხდებოდა: (1) წარმოშობაზე მითითებით, მეტსახელის უფრო ხშირად გამოყენებით, რომელიც თავდაპირველად პირადი მეტსახელი იყო, შემდეგ კი მემკვიდრეობითად იქცა; (2) სახელი, რომელიც მიუთითებდა დაბადების, მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, მოგვიანებით მინისმფლობელობის მითითებით —

ე. ნ. „ტოპონიმური სახელი“; (3) დასაქმებულობის ან სოციალური მდგომარეობის მიმთითებელი სახელი („პროფესიული სახელი“); (4) პიროვნული სახელი. ყველა ეს მიმართულება თანამედროვე სახელთა სისტემის საფუძვლად იქცა.

ეთნოლოგიური გამოკვლევით, სახელთა სისტემის ოთხივე მიმართულებით გართულება ჯერ კიდევ განვითარების საწყის სტადიაზე, პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის ეპოქაში დაიწყო. ახალ სტადიაში ის მკვეთრად დაჩქარდა და უფრო დასრულებული ფორმები მიიღო. მამის სახელი, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფიგურირებდა და დღესაც ფიგურირებს ზოგიერთი ხალხის ანთროპონიმულ მოდელში, პირველყოფილ-გვაროვნულ საზოგადოებაშია წარმოქმნილი.

მამის სახელი თითქმის ყველა ხალხში მონაწილეობდა. მოგვიანებით მამის სახელთან ერთად დაიწყო პაპის, პაპის მამის, პაპის პაპის და უფრო შორეულ წინაპართა სახელების გამოყენებაც. არისტოკრატიაში წინაპართა სახელების ჩამოთვლა ერთგვარი მედიდურების გამოხატველი იყო, მაგრამ სახელთა გრძელი ჯაჭვის სახით გამოყენება ყოველდღიურად შეუძლებელი იყო. ამას სახელის შექმნის უფრო „ეკონომიური“ ხერხი დაემატა. ერთ-ერთი ასეთი საშუალება იყო „ტოპონიმური სახელის“ წარმოქმნა: *თაღეს მიღეთელი, თომა აკვინელი, ერაზმ როტერდამელი...* ეს ფორმა ეფექტური მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში იყო, მაგალითად, მაშინ, როდესაც უცხოელზე იყო საუბარი. მაგრამ ქალაქში, სადაც ათასობით მცხოვრები სახლობდა, ის გამოუსადეგარი იყო. ამიტომაც იყო, რომ „ტოპონიმური სახელები“ ფეოდალიზმის ეპოქაში მხოლოდ ზედაფენაში გავრცელდა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მდებარეობა შორის მათი რაოდენობა შეზღუდული იყო, განსაკუთრებით ქალაქებში. ამ მოდელთან ერთგვარ შეუსაბამობაშია ქართული ანთროპონიმული მონაცემები. მართალია, ადრე შუა საუკუნეებში საქართველოს ფეოდალურ ზედაფენაში საკმაოდ გავრცელებული იყო ტოპონიმური მემკვიდრეობითი სახელები, მაგრამ ასეთი ტიპის გვარსახელები გლეხობაშიც ცოტა არ გვქონია, მათ შორის, საქართველოს მთიანეთშიც.

ადამიანთა კიდევ ერთი საიდენტიფიკაციო საშუალება გახდა „პროფესიული სახელი“. ეს ფორმა მამის სახელთან შეხამებით ფრიად ეფექტური იყო, მაგრამ მხოლოდ გარკვეული პროფესიის ან მაღალი სოციალური მდგომარეობის ადამიანებისათვის. მოსახლეობის უმეტესობისათვის ის განმასხვავებლის ფუნქციას არ ასრულებდა.

უფრო მოქნილი, მრავალმხრივი და პერსპექტიული აღმოჩნდა მეტსახელებით მიმართვა, რომლებიც ყველაზე ნაკლებად იყო დაკავშირებული გარკვეულ სოციალურ ურთიერთობებთან, უფრო ნაკლებად — რელიგიით. მეტსახელად შეიძლება ქცეულიყო არა მხოლოდ ტოპონიმური და პროფესიული სახელი, არამედ ინდივიდის ნებისმიერი თავისებურება ან მისი ცხოვრების რომელიმე მხარე. მეტსახელის დამრქმევი იყო არა ეკლესია ან მშობელი, არამედ გარემომცველი საზოგადოება. ამ შემთხვევაში რიტუალურ-ქარიზმული მხარე უკვე აღარ არსებობდა. ხალხის მიერ დარქმეულ მეტსახელთა რაოდენობა, ფაქტობრივად, შეუზღუდავი, ამასთან, უფრო სხარტი და ეფექტური იყო და უფრო განმასხვავებელი ფუნქციის მქონე, ვიდრე საკუთრივ სახელი.

სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია მრავალი ფაქტი ოჯახის უფროსის მეტსახელის პირდაპირ გვარსახელში გადაზრდისა, ე. ი. მისი შვილზე, შვილიშვილზე გადაცემისა. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ეს მოვლენა — მეტსახელის გაჩენა — ანთროპონიმულ ლიტერატურაში კაპიტალიზმამდელი ფორმაციისათვის დამახასიათებელ მოვლენად არის გამოცხადებული. ამ უკანასკნელის დამახასიათებელ მოვლენად კი გვარსახელი, ანუ მემკვიდრეობითი სახელია გამოცხადებული, მაგრამ მთელი რიგი ხალხების ანთროპონიმული მოდელები ამ ჩარჩოში არ თავსდება (მაგალითად: ჩინელები, კელტები, ქართველები, ინგლისელები, ფრანგები).

მემკვიდრეობითი სახელის აუცილებლობას ევროპული ტიპის ფეოდალიზმიც განაპირობებდა. **ინგლისელთა, ფრანგთა, იტალიელთა ანთროპონიმიაში მემკვიდრეობითი სახელი (გვარსახელი) XI საუკუნეში უკვე მყარად არსებობდა.** ქართველთა შორის ის უფრო ადრე, დოკუმენტურად უკვე VII საუკუნეშია დადასტურებული (ეთნოგრაფიული მონაცემებით, ის მუდმივად არსებობდა — აქ მოხდა გვაროვნული გვარის გვარსახელში უშუალოდ გადაზრდა). იმ დროს კი კაპიტალიზმის მსგავსი სოციალური და ეკონომიკურ ურთიერთობები არსად არ არსებობდა.

მეცნიერებს სისტემა — „პიროვნული სახელი+პირადი ან გვარის მეტსახელი, საოჯახო მეტსახელი+ხშირად მამის სახელი და სხვა დამატებანი“ — საკუთარი სახელების ევოლუციის გვირგვინად მიაჩნიათ, თუმცა განვითარების გარდამავალ სტადიაზე, ეს პროცესი ყველგან რთულად მიმდინარეობდა, გარკვეული თავისებურებებით, ერთი ქვეყნის შიგნით კი — ისტო-

რიული ეპოქების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ სახელდების ე. ნ. კაპიტალიზმამდელი სისტემა ძირითადად ევროპის ხალხებზე ვრცელდება. უნიფიცირება, ფაქტობრივად, ერთიანი, მაგრამ მაინც განსხვავებული სისტემის შექმნა, მართლაც გვიანდელი ეპოქისათვის გახდა დამახასიათებელი. ეს განაპირობა წარმოების ზრდამ, მოსახლეობის ინტენსიურმა მიგრაციულმა პროცესებმა, მოსახლეობის დიდი მასების ქალაქებში თავმოყრამ, საქმისწარმოებამ, სახელმწიფოებრივი მმართველობის გართულებამ. ყოველივე ამან პიროვნების წერილობითი (დოკუმენტური) დადასტურება მოითხოვა. **დღეისათვის, ფაქტობრივად, უნიფიცირებულია სხვადასხვა ეთნოსის ანთროპონომული მოდელები. სახელის ძირითადი ფუნქცია სოციალურ-განმასხვავებელი, მაიდენტიფიცირებელია. ფაქტობრივად, მინიმუმამდე დავიდა რიტუალურ-ქარიზმული ფუნქცია, თუმცა რელიგია დღესაც დიდ როლს თამაშობს სახელების დარქმევაში.** ამრიგად, ახალ სისტემაში ერთგვარად მოიხსნა წინააღმდეგობა სოციალურ-განმასხვავებელსა და რიტუალურ-ქარიზმულ ფუნქციებს შორის. სახელს თუ კიდევ შერჩა რიტუალურ-ქარიზმული ფუნქცია, მემკვიდრეობითი სახელი ამ ფუნქციის მატარებელი საერთოდ აღარ არის. თუმცა ეთნიკური მიკუთვნებულობის მაჩვენებელი უმეტეს შემთხვევაში უდავოაა.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელთა თანამედროვე სისტემას გამოხატავენ ფორმულით: „ერთი ან ორი-სამი პიროვნული სახელი+მამის სახელი (ზოგჯერ)+გვარსახელი (იშვიათად ორმაგი გვარსახელი)“. ეს ფორმულა მხოლოდ საერთო ტენდენციის გამოხატველია.

1. 6. თანამედროვე ანთროპონომული ზონები

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ საკუთარ სახელთა სისტემების, ანთროპონომული მოდელების ზონებად დაყოფა მხოლოდ პირობითია. მეცნიერთა, კერძოდ, ი. ბესტუჟეე-ლადას მიერ ფორმირებულ ზონებში ბევრი რამ საკამათოა და ის მომავალში გამონვლილვით შესწავლას საჭიროებს. უფრო სრული და მეტნაკლებად ობიექტური სურათის დადგენა მხოლოდ ყველა ხალხის საკუთარი სახელების შესწავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი. პირობითად ცხრა ზონას გამოყოფენ. ეს ზონებია:

1. **„ჩრდილო-დასავლეთის ზონა“.** ამ ზონაში *ლ. ბესტუჟეე-ლადა* ჩრდილოეთ ამერიკასა და ჩრდილო-დასავლეთ გერმანუ-

ლენოვან ევროპას აერთიანებს. ეს ზონა პროტესტანტული კონფესიის გავლენით არის ჩამოყალიბებული. სახელების სისტემა პირთა სახელების განუსაზღვრელ რაოდენობას შეიცავს. ფართო არჩევანიდან პრაქტიკულად მხოლოდ ორ-სამ სახელს ირჩევენ. ამას ემატება გვარსახელი, ზოგჯერ ორი გვართ. ამავდროულად ზონასთან ასოცირდება ანთროპონიმიკული თვალსაზრისით ინგლისის ყოფილი დომინიონებიც: სამხრეთი აფრიკა, ავსტრალია და ახალი ზელანდია. ამ ზონაში პირთა სახელების განუსაზღვრელი და ფართო არჩევანი შეფარდებითია. უბრალოდ, პირთა სახელების ფონდი ამ ზონაში უფრო ფართოა, ვიდრე ზოგიერთ სხვა ზონაში, ფორმალური შეზღუდვა კი — სუსტი. საერთოდ, **პროტესტანტ ხალხებში კანონიკური სახელების ნუსხა არც არსებობს, რადგან ისინი წმინდანებს არ აღიარებენ.** ინგლისში და, განსაკუთრებით ამერიკაში, საკუთარ სახელებად ხშირად იყენებენ გამოჩენილ ადამიანთა სახელებს (მაგალითად, *ვაშინგტონი*) ან იმ ადამიანთა სახელებს, რომელთა პატივსაცემადაც მშობლებს ბავშვის სახელდება სურთ. ლიტერატურაში აღწერილია ერთი შემთხვევა, როდესაც ერთმა ინგლისელმა თავის პირმშოს საყვარელი საფეხბურთო გუნდის მოთამაშეთა და მწვრთნელის სახელები და გვარსახელები დაარქვა. ქალის სახელთა ფონდი დიდი რაოდენობით მოიცავს ფერების, ძვირფასი ქვების აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს. და ბოლოს, დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებში ქრისტიანული სახელების გვერდით ფართოდაა გავრცელებული ძველგერმანული სახელები. მიუხედავად ზემოთქმულისა, ტრადიციითა და წეს-ჩვეულებით პიროვნულ სახელთა რაოდენობა მაინც შეზღუდულია უმეტეს შემთხვევაში ორისამი სახელით, რომელთაგანაც ყოველდღიურ ცხოვრებაში მხოლოდ ერთს იყენებენ (ხშირად თვით სახელის მატარებლის შერჩევით) გვარსახელთან ერთად, დანარჩენები — ძირითადად ოფიციალური მიმართებებისას გამოიყენება და, როგორც წესი, ისინი ინიციალებით აღინიშნება. **ამ ზონაშია ნიდერლანდებიც, თუმცა ამ ქვეყნის საკუთარ სახელთა სისტემა დანარჩენთაგან ერთგვარად ცალკე დგას, რადგან ის სამწევროვანია და ამ მოდელში აუცილებელი ელემენტია მამის სახელი.** ჰოლანდიელთა ანთროპონიმიკული მოდელი უფრო თანამედროვე რუსულისა და ბერძნულის მსგავსია.

II. „სამხრეთ-დასავლეთი ზონა“ (ლათინური ამერიკა, სამხრეთ-დასავლეთი რომანიზებული ევროპა). აქ სახელთა სისტემა ჩამოყალიბებულია და დღესაც კონტროლდება კათოლიკური

ეკლესიის გავლენით. სახელების სისტემა მოიცავს შეზღუდული რაოდენობის ერთ ან რამდენიმე პიროვნულ სახელს + გვარსახელი. ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში გვარსახელი ძალიან ხშირად ორმაგია. ზონისათვის დამახასიათებელია ინდივიდუალურ სახელთა შედარებითი შეზღუდულობა, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ არანაირი „თავისუფლება“, როგორც ეს პირველ ზონაში გვხვდება, დაშვებული არ არის და **სახელებს არქმევენ მხოლოდ კათოლიკური კანონების მკაცრი დაცვით**. ტრადიცია, ნეს-ჩვეულება და მოდა უფრო მეტად ავინროებს ისედაც საკმარისად შეზღუდულ სახელთა ფონდს. რაც შეეხება პიროვნულ სახელთა რაოდენობას, ფეოდალიზმის დროს ის შემოსაზღვრული იყო სახელმწიფო ხელისუფლებით (მაგალითად, ფეოდალურ იტალიაში მხოლოდ სამეფო გვარის პირებს შეეძლოთ ეტარებინათ ინდივიდუალური სახელების განუსაზღვრელი რაოდენობა; გრანდებს ნება ეძლეოდათ არა უმეტეს თორმეტი სახელის ტარებისა, რიგით იდალგოებს — არა უმეტეს ექვსისა და ა. შ.). ახლა კი მათი რიცხვი მსგავსადვეა შემოფარგლული ტრადიციითა და ნეს-ჩვეულებით და მათი რაოდენობა, როგორც ნესი, ორ-სამს არ აჭარბებს. ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში ორმაგი გვარსახელების გავრცელება აიხსნება ძველი ესპანური ტრადიციის შენარჩუნებით (ოფიციალური მიმართვისას); ვგულისხმობთ როგორც მამის, ისე დედის გვარსახელებს.

III. „დასავლეთის ზონა“ (ცენტრალური ევროპის ქვეყნები ფინეთიდან ვიდრე საბერძნეთამდე) აშკარად ხელოვნურია. მასში გაერთიანებული არიან ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მეზობლები. ფართოდაა გავრცელებული ქრისტიანობამდელი სახელები. ამ ზონაში შემავალ ხალხებს მეზობელი ზონის ხალხებთან ბევრი რამ აქვთ საერთო. აღნიშნავენ, რომ ამ ზონას ძირითადად ახასიათებს პიროვნული სახელისა და მემკვიდრეობითი სახელის ერთობლიობა. იშვიათად გვაქვს გაორმაგებული გვარსახელები. ეს ზონა რომ ხელოვნურია და რომ ის მხოლოდ გეოგრაფიულ პრინციპს ემყარება, იქიდანაც ჩანს, რომ მასში შეყვანილი ბერძნული ანთროპონიმული მოდელი სამწევრიანია და მისი ერთ-ერთი კომპონენტი მამის სახელია. ამ მხრივ ბერძნულს საერთო უფრო რუსულ მოდელთან აქვს, ვიდრე ფინურთან ან ჩეხურთან.

IV. „ჩრდილოეთი ზონა“ (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია და მათი სხვა მეზობლები). მიაჩნიათ, რომ აქ სახელთა სისტემა ჩამოყალიბებულია მართლმადიდებელი რელიგიის ძლიერი გავლენით. საბჭოთა პერიოდში სახელის დარქმევის პრეროგატივა

მართლმადიდებელ ეკლესიას ჩამოერთვა და ეს პროცესი სახელმწიფოს ხელში გადავიდა. მოქალაქეებს პიროვნული სახელების შერჩევის სრული თავისუფლება მიეცათ, თუმცა აღმოსავლეთ სლავებმა მართლმადიდებლობის წიაღში ჩამოყალიბებულ ტრადიციებს მთლად ვერ დააღწიეს თავი. აღნიშნული ზონის საკუთარ სახელთა სისტემას ახასიათებს ერთი პიროვნული სახელი + მამის სახელი + გვარსახელი. ეს სამწევროვანი მოდელი შედარებით გვიანაა ჩამოყალიბებული: აკი ცნობილია, რომ რუსებისათვის მემკვიდრეობითი სახელი სავალდებულოდ მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იქცა. პირის სახელდების სამწევროვანი მოდელი სავალდებულო იყო საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხისათვის.

V. „ცენტრალური ზონა“ (მუსლიმური სამყაროს ქვეყნები მალრიბიდან ინდონეზიამდე). პროცესი მიმდინარეობდა და მიმდინარეობს მუსლიმური რელიგიის ძლიერი გავლენით. სისტემა შეიცავს ერთ ან რამდენიმე პირად მუსლიმურ სახელს+გვარსახელი, რომლის საფუძვლადაც ყველაზე ხშირად მამის სახელი ან საოჯახო მეტსახელია გამოყენებული. ამ ზონის თავისებურება, ზემოთ ჩამოთვლილ ზონებთან შედარებით, სახელთა თანამედროვე სიტემაზე გვიან გადასვლა იყო (ამ შემთხვევაში მუსლიმი ხალხებისათვის ყველაზე ახალი მემკვიდრეობითი სახელების შემოღება).

VI. „სამხრეთი ზონა“ (აფრიკის ქვეყნები საქარის სამხრეთით). ამ ზონაში, ფაქტობრივად, ნომინაციის პროცესი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. გვაქვს თანამედროვე სისტემის განვითარებისა და ფორმირების გარდამავალი სტადიის სხვადასხვა ეტაპი. ზოგიერთი ხალხი ორიენტირებულია „ჩრდილო-დასავლეთ“ და „სამხრეთ-დასავლეთ“ ზონებზე. არის ორიგინალური სისტემის შექმნის მცდელობაც. პროცესი ამ ზონაში ძირითადად ნახევარი საუკუნის წინ დაიწყო და ის აქ ნაციონალური დამოუკიდებლობის მოპოვებას უკავშირდება.

VII. „სამხრეთ-აღმოსავლეთი ზონა“ (ინდოეთი, ნეპალი, ტაილანდი, ლაოსი, კამპუჩია). აქ ხდება საკუთარი სახელების თანამედროვე სისტემების ფორმირება; გვაქვს გარდამავალი ეტაპის სხვადასხვა სტადია. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ინდოეთი თანამედროვე სისტემაზე გადასვლისაგან შორსაა; აქ კვლავ ტრადიციული ანთროპონიმული მოდელი მოქმედებს, რომელიც კასტების სისტემასთანაა დაკავშირებული.

VIII. „ჩრდილო-აღმოსავლეთი ზონა“ (იაპონია). ორ წინა ზონასთან შედარებით, აქ სახელდების პროცესი კარგა ხანია

დასრულებულია: ჩამოყალიბებულია სახელთა თანამედროვე სისტემა (პიროვნული სახელი + გვარსახელი). თავისუფლად შეიძლება იაპონური მოდელი ე. წ. მესამე, დასავლეთის ზონაში მოთავსებულიყო.

IX. „აღმოსავლეთის ზონა“ (ჩინეთი, კორეა, ვიეტნამი). ამ ზონაში გვაქვს განვითარების წინამავალი სტადიების თავისებური კონსერვაცია: ტრადიციული სისტემა უშუალოდ „ტრანსფორმირდა“ თანამედროვეში იმ თვალსაზრისით, რომ გვაროვნული სახელები გვარსახელებად გარდაიქმნა. ასეთი ტრანსფორმაცია შესაძლებელი აღმოჩნდა ენების, სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურისა და კულტურის თავისებურებების გამო, აგრეთვე ამ სისტემაში წინამავალი სტადიების ფორმების სიმტკიცით, „არატრანსფორმირებადობითა“ და პირველყოფილი სახით.

ადვილად შესამჩნევია, რომ მთელი რიგი ხალხების საკუთარ სახელთა მოდელები ზემოთ აღნიშნული ზონების მიღმა დარჩა. ამ ხარვეზის გამოსწორება ძნელი არ არის, ასეთ ქვეყნებში გაბატონებული სახელთა სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება მისი სხვა სისტემებთან ასოცირება, ან მისი შეყვანა განსაკუთრებულ მეათე ზონაში. სად უნდა იყვნენ კათოლიკე ირლანდიელები და კვებეკელი ფრანგები? ორივე, რა თქმა უნდა, უფრო „სამხრეთ-დასავლეთ ზონას“ მიეკუთვნება. სრულიად ცალკეა განსახილველი ისლანდიური ეთნოსი, რომელშიც ტრადიციის ძალით შემონახულია სახელთა განვითარების გარდამავალი სტადია: პიროვნული სახელი + მამის სახელი (აქ მემკვიდრეობითი სახელი, ანუ გვარსახელი დღემდე არ არსებობს). ამავე სტადიის ძლიერი ნიშნები შემორჩენილია სკანდინავიის ხალხებში. ზემოთაც აღინიშნა და კვლავ ხაზი უნდა გაესვას ჰოლანდიელებს შორის მამის სახელის ოფიციალურ დოკუმენტებში გამოყენებას.

წარმოდგენილი სქემის მიხედვით ძნელია თქმა, თუ სად, რომელ ზონაში უნდა მოხვდეს ქართული საკუთარი სახელების სისტემა. „ჩრდილოურში“? რატომ? რუსულმა და ქართულმა ანთროპონიმიულმა მოდელებმა ხომ განვითარების თავ-თავიანთი გზა გაიარეს, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში ერთი-და მეორეც სამწევროვანი იყო სახელის, მამის სახელისა და გვარსახელის ერთობლიობით. ქართველებისათვის გვარსახელი გაცილებით ძველი მოვლენაა, მაშინ როდესაც რუსებში ის საყოველთაო მოვლენად სულ რაღაც ერთი საუკუნის წინ იქცა. ანთროპონიმიულ მოდელში მამის სახელიც ქართველებისათვის

საკმაოდ ადრინდელი მოვლენაა. თავისი განვითარებით ქართულ სისტემას ბევრი რამ აქვს საერთო ისეთი განსხვავებული კულტურების მქონე ხალხებთან, როგორებიც არიან ჩინელები, კელტები თუ ძველი რომაელები. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ისეთი ინსტიტუტი, როგორიცაა გვარის განაყოფი, რომელიც ქართველ ხალხში, ფაქტობრივად, მეორე მემკვიდრეობით სახელს წარმოადგენდა, თუმცა ოფიციალურად არსად არ ფიქსირდებოდა და მხოლოდ ხალხურ ყოფაში არსებობდა. ეს ინსტიტუტი თითქმის ანალოგიურია რომაული გვარების დანაყოფისა — კოგნომებისა, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ოჯახის სახელით მოიხსენიებენ და ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკუნის ჩინეთში წარმოქმნილი ასევე საოჯახო სახელისა („ში“). როგორც ჩინეთში, ისე რომში ეს მეორე მემკვიდრეობითი სახელები, რომლებსაც თანამედროვე გვარსახელების წინამორბედებად მიიჩნევენ, საქართველოსაგან განსხვავებით, ოფიციალურად ფიქსირდებოდა.

ნაკვეთი II

მსოფლიოს ხალხთა ანთროპონომული სისტემა

II. 1. ძველი ბერძნული საკუთარი სახელები

მრავალ ჩვენს თანამედროვეს *სოფოკლე*, *ალკიბიადე*, *არისტოდე*, *პლატონი*, *სოკრატე* გვარები ჰგონია, თუმცა ისინი მხოლოდ და მხოლოდ პიროვნული სახელებია. არც ერთ ნყაროში მათი მემკვიდრეობითი სახელი (გვარი) დაფიქსირებული არ არის. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ძველ ბერძნებს სახელწოდება, რომელიც მამიდან შვილზე გადადიოდა, ანუ გვარები, არ ჰქონიათ. ძველ ბერძენთა ანთროპონომული მოდელი ორწევრიანი იყო; მისი **პირველი ელემენტი ინდივიდუალური სახელი იყო, მეორე — მამის სახელი ნათესაობით ბრუნვაში**. აღსანიშნავია, რომ ძველ ბერძნებს საყოველთაოდ მიღებული სახელების სიაც არ გააჩნდათ, საიდანაც მშობლები ახალშობილის სახელს აირჩევდნენ. საერთოდ ძველ საბერძენეთში ბავშვებს სახელებს ნებისმიერად არქმევდნენ, ხშირად ისეთ სახელებსაც იგონებდნენ, რომლის მსგავსს ვერსად აღმოაჩენდით.

ძველბერძნული სახელების უმრავლესობა ორფუძიანი იყო. მაგალითად, სახელი *მეგაკლეს* ნიშნავს „დიდების მფლობელს“. ასეთი რთული სახელებისაგან ხშირად მარტივი, ერთშემადგენლიანი სახელები მიიღებოდა: *კლეონის* („სახელოვანი“), *ნიკეას* („გამარჯვება“) ტიპისა.

ძველბერძნულის მსგავსი ორშემადგენლიანი სახელები სხვა ინდოევროპელი ხალხებისათვისაც ფრიად დამახასიათებელი იყო. ერთფუძიანი სახელები, როგორც აღვნიშნეთ, ორფუძიანი სახელების შეკუმშულ ფორმას წარმოადგენდა, მაგალითად, *ავისი* მიღებული იყო *ავესილაოსისაგან*; დროთა განმავლობაში რთული სახელის შეკუმშული ფორმა, როგორც დამოუკიდებელი სახელი, ისევ განაგრძობდა არსებობას. ერთფუძიანი სახელების სხვა ჯგუფი წარმოადგენდა სიტყვას, რომელიც განსაკუთრებული, უმეტესად გარეგნული ნიშნების გამომხატველი იყო (მაგალითად, *სიმონი* „პაჭუას“ ნიშნავს, *პლატონი* — „ფართომხრებიანს“).

ძველბერძნული საკუთარი სახელების ერთი ნაწილი ღმერთების სახელებისაგან იყო ნაწარმოები. ძველი ბერძენები ღრმად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ყველა სახელი რაღაც მაგიურს შეიცავდა.

ჩვეულებრივ, ყოველდღიურად ძველი ბერძნები ერთი სახელით სარგებლობდნენ, თუმცა ოფიციალურ დოკუმენტებში ერთსა და იმავე პირს ორი და ზოგჯერ მეტი სახელითაც აღნიშნავდნენ. მოქალაქეთა სიებში, იურიდიულსა და ადმინისტრაციულ აქტებში არცთუ იშვიათად *მამის სახელიც* არის მოხსენიებული: *თემისტოკლე, ნეოკლეს შვილი; პერიკლე, ქსანტიპეს შვილი; არისტიდ, ლიმისაქეს შვილი* და სხვ. გარდა ამისა, ათენის წერილობით ძეგლებში მითითებულია, ესა თუ ის ადამიანი ქალაქის რომელ *ფილს* მიეკუთვნებოდა. ადგილობრივი მკვიდრი თუ არ იყო, მაშინ აღინიშნებოდა, სად, რომელ პოლისში იყო დაბადებული. ანთროპონიმული მოდელის მესამე ტიპს *ეთნიკა* წარმოადგენდა. *ეთნიკა* ცალკეული ქალაქის სახელწოდებისგან იყო წარმომდგარი, რომლის მოქალაქეობაც ჰქონდა ამა თუ იმ პირს. მესამე წევრად ზოგჯერ *დემოტიკასაც* (დემის სახელწოდებას) იყენებდნენ (დემი = ქალაქის უბანი). ქალაქს გარეთ „დემი“ ორი ან სამი სოფლის ერთობლიობა იყო. დემის სათავეში იდგა *დემარხი*, რომლის მოვალეობასაც დემის გენეალოგიური სიების შედგენა წარმოადგენდა. ძველბერძნული ანთროპონიმული მოდელის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ *დემოსთენეს დემოსთენუს პეანიუს*, ე. ი. „დემოსთენი, დემოსთენის შვილი (ძე) პეანიას ფილედან“.

როგორც ირკვევა, თავდაპირველად ძველ ბერძნებს გვარებიც ჰქონიათ. არისტოტელე გვარს ერთ საცხოვრებელ, ფუძე-ადგილზე დასახლებულ ერთეულად მიიჩნევდა, მაგრამ გვაროვნული კავშირების შესუსტების შემდეგ გვარის („*გენტის*“) მნიშვნელობა ნათესაობის (ერთი კაცის შთამომავლობას) მნიშვნელობას აღარ ემთხვეოდა. მოქალაქეები დაყოფილები იყვნენ გვარების გარკვეულ რაოდენობად, **ფრატრია (დემი)** კი შუალედური რგოლი იყო **გვარსა (გენოსსა)** და **ფილეს** შორის.

არისტოკრატიული გვარების დასახელებისას ანთროპონიმულ მოდელში ხშირად გვარის საფუძველჩამყრელის (წინაპრის) სახელიც მოიხსენიებოდა — ის „იდეს“-ით იყო დაბოლოებული, მაგალითად, *არტიდეს — არტიეს შვილი (შთამომავალი); პელოპიდეს — პელოფსის შთამომავალი*. ჰომეროსთან მოხსენიებულია *დიომიდეს ტიდეიდეს*, ე. ი. *დიომიდე, ტიდეის* შვილი. მეცნიერები „-იდეს“-ით დაბოლოებულ გვარებს პოეტურ არქაიზმად მიიჩნევენ.

ძველბერძნებში ბავშვის სახელდება დაბადებიდან მეათე დღეს ხდებოდა. ხასიათის ან გარეგნობის გამო მეტსახელებსაც არქმევდნენ, ნამდვილი სახელი კი მალე ავიწყდებოდათ. მაგა-

ლითად, ცნობილ *პლატონს* მშობლებმა თავდაპირველად *არისტოკლე* დაარქვეს, დროთა განმავლობაში კი *პლატონი* უწოდეს ძლიერი, ფართო მკერდისა და მაღალი შუბლის გამო.

ბერძნულ სახელთა „რეპერტუარი“ თანდათანობით ივსებოდა; ამ სფეროში სიტყვათმემოქმედება განუსაზღვრელი იყო. ინდივიდუალური სახელების გარკვეული რაოდენობა ამა თუ იმ ღვთაების ეპითეტის (სახელის) შემცველი იყო. ამა თუ იმ ღმერთს (ღვთაებას) ახალშობილის მფარველობას მიაწერდნენ. მეცნიერები სახელების ამ ჯგუფს „კურთხეულ“ („ხელდასხმულ“) ან „აღთქმულ“ სახელებს უწოდებენ: *თეოდოროს* — „ღვთის ნაბოძარი“, *აპოლოდოროს* — „აპოლონის ნაჩუქარი“, *პეროდოტოს* — „ჰეროს ბოძებული“, *არტემიდოროს* — „არტემიდის ბოძებული“... ზოგიერთ სახელს კეთილსასურველი მნიშვნელობა ჰქონდა: *ჰელენე* ნათელს ნიშნავდა, *ეკლეი* — კეთილ დიდებას, *ჰიეროკლეს* — წმინდა დიდებას, *თემისტოკლე* — სამართლიანობით განთქმულს, *სოფოკლეს* — სიბრძნით განთქმულს... კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ძველი ბერძნებისათვის ორსახელიანობა იყო დამახასიათებელი. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ხაზგასმულია, რომ ეს მოვლენა სხვა ინდოევროპულ ხალხებსაც ახასიათებდათ; მაგრამ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ორსახელიანობა ადამიანთათვის დამახასიათებელი საერთო მოვლენა იყო და თავდაპირველად სხვადასხვა მიზეზით, ხშირად კი რწმენა-წარმოდგენებითა და სოციალური ვითარებით იყო განპირობებული. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დროთა განმავლობაში ბევრი რთული სახელის მნიშვნელობა დავიწყებას მიეცა.

ზემოთ აღინიშნა, რომ ძველბერძნებში ორძირიანი საკუთარ სახელთა დიდი ნაწილი მარტივ სახელებად იქცა; ისინი დამოუკიდებელ სახელებად გარდაიქმნა. ზოგიერთი მარტივი, ერთძირიანი სახელი კი დამცინავი, „გამოჯავრებითი“ შინაარსისა იყო.

ძველი ბერძნები წინაპართა სახელებს შთამომავლებს გადასცემდნენ. როგორც წესი, პირველ ვაჟს პაპის სახელს არქმევდნენ, გოგონას — ბებუისას. მაგალითად, პერიკლეს მამასა და შვილს ერთი და იგივე სახელი ერქვათ — *ქსანტიპე*. ხოლო ელინური ეპოქიდან წესად შემოვიდა შვილებისათვის მამისა და დედის სახელების დარქმევა. ამრიგად, ოჯახის შიგნით სახელების გარკვეული „ნაკრები“ იყო შენარჩუნებული — ე. ი. საქმე გვექონდა ტრადიციულ სახელებთან.

ძველ საბერძნეთში ერთი სახელით სხვადასხვა პირი მოიხსენიებოდა. ბუნებრივია, ერთი სახელის მატარებელთა შორის არავითარ სისხლით ნათესაობას არ ჰქონია ადგილი. ასეთი ადამიანები არა მხოლოდ სხვადასხვა ოჯახებს, სხვადასხვა სანათესაო წრეს მიეკუთვნებოდნენ, არამედ საბერძნეთის საკმაოდ დაშორებული მხარეებიდან იყვნენ წარმოშობით. მაგალითად, ფილოსოფოს *პლატონის* გარდა, იყო სხვა *პლატონიც* — ტრაგიკოსი პოეტი; ისინი ერთმანეთს არ ენათესავებოდნენ. ამიტომაცაა, რომ უფრო გვიანდელი ისტორიკოსები და ბიოგრაფები ცნობილი ბერძნების სახელებს მეტსახელებსაც უმატებდნენ, რომლებიც მათ წარმომავლობასა და საქმიანობაზე მიუთითებდა.

ამრიგად, ძველ საბერძნეთში თავისუფალი მოქალაქეებისათვის ერთ-ერთი განმასხვავებელი, დამაკონკრეტებელი, მაიდენტიფიცირებელი პატრონიმიკონი მამის სახელი იყო. ხოლო, რაც შეეხება მონებს, მათთვის მხოლოდ ერთი სახელი იყო დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში სახელის ნაცვლად ეთნონიმს — მეტსახელს გამოიყენებდნენ, რომელიც მონის წარმომავლობაზე მიუთითებდა: *სირ* — „სირიელი“, *ლიდ* — „ლიდიელი“. ხშირად მონის სახელი მის ფიზიკურ თვისებას ან ზნეობრივ მხარეს აღნიშნავდა. საინტერესოა, რომ ელინურ ეპოქაში (ძვ. წ. 334—324 წლიდან ძვ. წ. 30 წლამდე), როდესაც ადამიანი ოფიციალურ პირს წერილობით მიმართავდა, ვალდებული იყო სახელთან ერთად ასაკი და რაიმე განსაკუთრებული, დამახასიათებელი ნიშანი მიეთითებინა: „*სენფეი, 30 წლისა, მარჯვენა ხელის მაჯაზე ნაჭრილობევი*“; „*ავრელი პაკისი, 50 წლისა, იარა მარცხენა მუხლზე*“.

ბერძნული სახელები დიდი რაოდენობითაა შესული ქართულ ანთროპონიმიაში. ეს ბუნებრივია, რადგან მართლმადიდებლური ქრისტიანული სახელები ქართველთა შორის ძირითადად ბერძნულის გზით შემოდიოდა. ქვემოთ მხოლოდ ასეთი სახელების ნაწილს ჩამოვთვლით: *ათანასე* („უკვდავი“), *აკაკი* („კეთილი“), *ალექსანდრე* („მამაცი მცველი“), *ალექსი* („მცველი“), *ამბროსი* („ღმერთთან წილხვედრი“), *ანდრია* („ვაჟკაცი“), *ანანია* („მადლი უფლისა“), *ანდრონიკე* („ვაჟკაცთა მძღვეელი“), *ანთიმოზ* („ყვავილოვანი“), *ანტონ* („მეომარი“, „მეთაური“), *არკადი* („დათვი“), *არსენ* („მამაცი“), *ბასილ* („სამეფო“), *ბესარიონ* („ტყისა“. მისი კნინობითი ფორმებია *ბესიკი* და *ბესო*), *გაიოზ* („მინის შვილი“), *გალაქტიონ* („რძიანი“), *გერასიმე* („პატივცემული“), *გრიგოლ* („ფხიზელი“), *დემეტრე* („დედა-მინა“), *დია-*

ნოზ („დიანასი“), ევგენი („კეთილშობილი“), ერეკლე („ჰერას (ზევის მუღლის) დიდება“), ერმილე („ჰერმესის ტყისა“), ესტატე („მედგარი“), ექვთიმე („გულკეთილი“), ზოსიმე („სიცოცხლისუნარიანი“), თევდორე („ღვთის ნაჩუქარი“), იასონ („მკურნალი“), ისიდორე („ისიდას საჩუქარი“), ლეონტი („ლომისა“), ნესტორ („სამშობლოში დაბრუნებული“), ნიკოლოზ („გამარჯვებული ხალხი“), პეტრე („კლდე“), სერაპიონ („ღვთაება სერაპისისა“), სტეფანე („გვირგვინი“), ქრისტეფორე („ქრისტეს მაღიარებელი“); ანასტასია („მკვდრეთით აღმდგარი“), ბარბარე („უცხოელი“), დესპინე („ქალბატონი“), ეკატერინე („უმნიკვლო“), ელენე („მანათობელი“), ზინაიდა („ღვთისა“), თებრონე, თეკლე („ღვთის დიდება“), თეონა („ღვთის გონება“), მელანია („მელანია“), პელაგია („ზღვისა“), ქსენია („სტუმართმოყვარე“)...

II. 2. თანამედროვე ბერძენთა ანთროპონიმული მოდელი

თანამედროვე ბერძენთა ანთროპონიმული სისტემა სამწევროვანია; ის ინდივიდუალური სახელის, მამის სახელისა და მემკვიდრეობითი სახელის — გვარსახელისაგან შედგება.

ბერძენს ერთხელ დარქმეული ინდივიდუალური სახელი მთელი ცხოვრების მანძილზე თან ახლავს. მას სახელი ნათლობისას ერქმევა. ბერძენთა საკუთარი სახელების სისტემაში მამის სახელი ნათესაობით ბრუნვაში დგას. მამაკაცებს მემკვიდრეობითი სახელი მამისაგან გადაეცემათ და გვარსახელს მთელი ცხოვრების მანძილზე ინარჩუნებენ. გათხოვილი ქალები კი ქმრის გვარზე გადადიან, თუმცა სურვილის შემთხვევაში მამის გვარსახელსაც ინარჩუნებენ. ასეთ ორმაგ გვარებს დღეს ძირითადად მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები ატარებენ. ტრადიციით, **სოფლებში გათხოვილი ქალის სრული სახელი სხვაგვარად გამოიყურება: აქ ის ინდივიდუალური სახელისა, ქმრის პირადი სახელისა და მემკვიდრეობითი სახელისაგან შედგება.**

თანამედროვე ბერძენთა პირად სახელებს სხვადასხვა წარმომავლობა აქვთ და ისინი რამდენიმე ჯგუფად იყოფა: (1) ძველბერძნული სახელები (*ათინა, ელენა, სოკრატე, სოფოკლე*); (2) ლათინური წარმომავლობის სახელები (*კონსტანტინე*); (3) ძველებრაული, ბიბლიაში მოხსენიებული მართლმადიდებლური

კანონიკური სახელები (*მარია, იოანისი, იოსეფი, ავრამი, ფეოფანი//ფეოფანო* — ქალისა); (4) სხვა ენებიდან ნასესხები სახელები, რომლებიც იშვიათად გამოიყენება; (5) უახლოეს პერიოდში ნასესხები სახელები, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, პოლიტიკური სიმპათიების გამომხატველია.

ბერძნულს ახასიათებს ერთი პიროვნული სახელისგან მრავალრიცხოვანი სხვადასხვა ვარიანტის წარმოება, მაგალითად: ქალის სრული სახელია *ხრისანფი*, ხოლო მისგან მიღებული შემოკლებული ფორმაა *ხრისა*, რომელიც შეიძლება ოფიციალური, პასპორტის სახელიც იყოს. იგივე შეიძლება ითქვას აღნიშნული სახელის სხვა მოფერებით-კნინობით ფორმაზე — *ხრისულია*. ანალოგიურად, ოფიციალური პასპორტის სახელია *სტავრულია*; მამაკაცის ამ სახელის ოფიციალური ვარიანტია *სტავროსი*.

ცნობილია, რომ თანამედროვე ბერძნულს ორი ენობრივი ნორმა მოეპოვება — ოფიციალური სალიტერატურო ენა (**კაფარეუსა**), რომელიც ძველი ბერძნული ენისა და ახალი ბერძნულის ხელოვნურ ნაერთს წარმოადგენს და სალაპარაკო, ყოველდღიურად გამოსაყენებელი ენა (**დემოტიკა**), რომელსაც დაწყებით სკოლაში ასწავლიან და რომელზედაც გამოდის მხატვრული ლიტერატურა, სხვადასხვა მასობრივი გამოცემა. პიროვნულ სახელებსაც შესაბამისად ორი ფორმა აქვს. ერთი უფრო ოფიციალური სახელია, რომელიც დოკუმენტში გამოიყენება, მაგალითად: *გეორგიოს კონსტანტინე პაპადას*. ამ ოფიციალურ სახელდებაში პირველი სიტყვა პიროვნული სახელია, მეორე — მამის სახელი ნათესაობით ბრუნვაში, მესამე — მემკვიდრეობითი სახელი (გვარსახელი). საოჯახო ყოფით სფეროში ამ ადამიანს უბრალოდ მოიხსენიებენ, როგორც *გიორგოს კოსტა პაპადას*. სახელი *კოსტა* ოფიციალური *კონსტანტინეს* ხალხურ-ყოფითი, კნინობით-საალერსო ფორმაა. ცენტრალური და დასავლეთ საბერძნეთის ცალკეულ ადგილებში — **ეპირეში, რუმელიასა და თესალიაში — მიმართვისას ინდივიდუალურ სახელსა და მამის სახელს აერთებენ და შეერთებული ფორმით წარმოთქვამენ: გიორგოკოსტა**. სხვა მაგალითი: *ალექსიოსსა და ალექსანდრიოსს* ერთი და იგივე გრამატიკული ფორმა აქვს — *ალეკოს*. სამივე ფორმა შეიძლება პასპორტში იქნეს შეტანილი.

სახელის შერჩევა ბერძნულ ოჯახში ტრადიციულია. როგორც წესი, ოჯახში მამაკაცის ორი სახელი მუდმივად ენაცვლება ერთმანეთს. პირველ შვილს პაპის სახელს არქმევდნენ

მამის მხრიდან, მეორეს — პაპის სახელს დედის მხრიდან, მესამეს — პაპის ძმის სახელს მამის მხრიდან. უფროს ქალიშვილს არქმევდნენ ბებუის სახელს მამის მხრიდან, მეორე ქალიშვილს — ბებუის სახელს დედის მხრიდან, მესამე ქალიშვილს — ბებუის დის სახელს დედის მხრიდან და ა. შ. **საბერძნეთში შვილს არ შეიძლება მამის სახელი ერქვას. ამ წესიდან გადახვევა მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება — ვაჟის დაბადებისას მამის სიკვდილის შემდეგ.** დანარჩენ შვილებს მშობლები სახელებს უკვე გემოვნებისა და სურვილის მიხედვით არქმევენ.

როგორც აღინიშნა, ბერძნულ საკუთარ სახელთა სისტემისათვის მემკვიდრეობითი სახელი — გვარსახელი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ყველაზე უფრო გავრცელებული ისეთი გვარსახელებაა, რომლებიც პიროვნული სახელებისგან მომდინარეობს. საკმაო რაოდენობითაა ისეთი გვარსახელები, რომელთა საფუძველს მეტსახელი და პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვა წარმოადგენს. გვარსახელები მიღებულია პიროვნულ სახელებზე ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისა და სუფიქსის დართვით, მაგალითად, სახელისგან *ნიკოლაოს* ნაწარმოებია გვარი *ნიკოლაუ*, რაც სიტყვასიტყვით „ნიკოლაოს [შვილს]“ ნიშნავს. ერთი სახელისგან, სუფიქსების მრავალფეროვნების გამო, გვარსახელის მრავალი ვარიანტია წარმოქმნილი, მაგალითად: სახელისგან *დიმიტრიოს* მიღებულია გვარსახელები: *დიმიტრიუ*, *დიმიტრიადისი*, *დიმიტრაკოპულოსი*, *დიმიტრაკაკისი*. ოთხი თაობის წინ ეპირეაში უცხოვრია მღვდელ *იოანისს*. მეტყველებაში, ჩვეულებრივ, მისი სახელი *პაპა იოანე* („მამა იოანე“) სიტყვათშეხამებით წარმოითქმოდა — *პაპაიოანის*. მის შთამომავლებზე ეს შეთანანწყობა მემკვიდრეობით სახელად გადასულა, თუმცა არასრული სახით, არამედ მხოლოდ შემოკლებული ვარიანტით — *პაპას*. მდებრობითი სქესის პირთა გვარსახელები, ჩვეულებრივ, *ა*, *ი* და *უ* ხმოვნებს დაირთავს. ისინი შეესატყვისება მამაკაცთა გვარსახელების ვარიანტს ნათესაობით ბრუნვაში, მაგალითად, გვარსახელ *ზარაბალასის* ქალის სახელის შესატყვისი ფორმაა *ზარაბალა*, *იოანიდისისა* — *იოანიდი*, *ცავახიდისისა* — *ცავახიდი*.

ჩრდილოეთ საბერძნეთში ერთგვარად განსხვავებული ტრადიციაა. აქ გათხოვილი ქალი მოიხსენიება მეტსახელით, რომელიც ქმრის ინდივიდუალური სახელისაგანაა მიღებული, მაგალითად, ნიკოლაოსის ცოლს უწოდებენ ნიკოლენა, კონსტანტინეს ცოლს — კოჩინა-ს და ა. შ. ხშირად ამ მეტსახელს ქმრის გვარსახელსაც უმატებენ. ასე მეტწილად ასაკით

უფროსი ქალები მიმართავენ უმცროს ქალებს, მაგრამ ზოგიერთ სოფელში ყველა გარშემო მყოფი ასე მოიხსენიება. ქალი თუ სხვა სოფელში გათხოვდა და მეზობლებმა მისი პიროვნული სახელი არ იციან, მას მხოლოდ ქმრის სახელის მიხედვით მოიხსენიებენ და მიმართავენ.

II. 3. რომაელთა ანთროპონიმული მოდელი

იტალიელთა წინაპარი ძველი რომაელებისათვის მემკვიდრეობითი სახელი უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი. თავდაპირველად რომაელთა ანთროპონიმული სისტემა, ისევე როგორც ყველა ინდოევროპელი ხალხისა, ერთნევრიანი იყო. ძველი ნელთალრიცხვის დაახლოებით 600 წლამდე აქ ადამიანები მხოლოდ საკუთარ, პიროვნულ სახელებს ატარებდნენ. შემდეგ ეტრუსკების გავლენით, რომაულ საკუთარ სახელთა სისტემა ჯერ ორნევროვანი გახდა, შემდეგ კი — სამნევროვანი. რომაელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გვაროვნულ სახელებს (გვარებს), რომლებიც თაობიდან თაობაზე მემკვიდრეობით გადადიოდა. „გაიუს სემპრონიუს გრაკუსში“ პირველი წევრი — გაიუს ინდივიდუალური სახელია (**პრენომენ**), მეორე — სემპრონიუს — გვაროვნული სახელი (**ნომენ გენტილე**), მესამე (ძვ. წ. 300 წლიდან) — გრაკუსი — მეტსახელი (**კოგნომენი**). ჩვეულებრივ, სამნევროვან რომაულ ანთროპონიმულ ფორმულას ემატებოდა კიდევ ერთი ინდივიდუალური სახელი (**აგნომენი**), მაგალითად, *ბარბატუსი* — „წვეროსანი“.

ინდივიდუალურ, ანუ პიროვნულ სახელს (პრენომენს) ადრეულ საუკუნეებში თან ახლდა მამის სახელი ნათესაობით ბრუნვაში, რომლის გასწვრივ შემოკლებით იწერებოდა სიტყვა **ფილუს** (შვილი), ზოგჯერ კი — **ტრიბუს სახელი** (რომი 35 ტრიბად იყოფოდა. ყველა მოქალაქე რომელიმე ტრიბს მიეკუთვნებოდა). რომაული ანთროპონიმული მოდელის კიდევ რამდენიმე ნიმუში: *მარკ ტილიუს ციცერონი, გაიუს იულიუს ცეზარი, პუბლიუს ოვიდიუს ნაზიანი, კვინტუს ჰორაციუს ფლაკა, პუბლიუს კორნელიუს სციპიონი*. ზემოთ დასახელებულ ყველა შემთხვევაში პირველი წევრი **პრენომენია** (პიროვნული სახელი), მეორე — **ნომენ გენტილე**, ანუ გვაროვნული სახელი და მესამე — **კოგნომენი**, ანუ საოჯახო მეტსახელი, გვარის დანაყოფის სახელი.

რომში პიროვნულ სახელთა რაოდენობა ძალიან შეზღუდული იყო. ეს „სია“ სულ 18 ერთეულისაგან შედგებოდა. ყველა მათგანი შემოკლებით იწერებოდა: *აულიუსი* — „ა“, *აპიუსი* — „აპ“, *გაიუსი* — „გ“, *გნაეუსი* — „გნ“, *დეკიმუსი* — *დეციმუსი* — „დ“, *ლუკიუსი* — *ლუციუსი* — „ლ“, *მარკუსი* — „მ“, *მანიუსი* — „მ“, *მამერკუსი* — „მამ“, *ნუმერიუსი* — „ნ“, *პუბლიუსი* — „პ“, *კვინტუსი* — „კვ“, *სექტუსი* — „სექს“, *სერვიუსი* — „სერ“, *ტიტუსი* — „ტი“, *ტიბერიუსი* — „ტიბ“, *ვიბიუსი*, *ვოპისკი*. ამ თვრამეტი სახელიდანაც ყველაზე გავრცელებული მხოლოდ რამდენიმე იყო: *მარკუსი*, *პუბლიუსი*, *ლუციუსი*, *კვინტუსი*, *გაიუსი*, *გნაეუსი*, *ტიტუსი*. დანარჩენები იშვიათად გვხვდებოდა. ზოგიერთი პიროვნული სახელი რიცხვებისაგან იყო მიღებული: *კვინტუსი* — მეხუთე, *სექტუსი* — მეექვსე, *დეციმუსი* — მეათე (ანალოგიური იყო სხვა ხალხების სახელდების პრინციპიც, მაგალითად, იაპონური სახელი *იტორი* ნიშნავს „პირველს“, *ძირო* — „მეორეს“, *საბურო* — „მესამეს“...). მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ამ სფეროში რომაელების ფანტაზია ერთობ ღარიბი იყო, მით უმეტეს, თუ ძველ ბერძენთა ლამაზ და სხვადასხვაგვარ სახელებს გავიხსენებთ.

რომაელებს, ინდივიდუალური სახელებისაგან განსხვავებით, გვაროვნული სახელები ბევრი ჰქონდათ: *კლავდიუსი*, *იულიუსი*, *ლიცინიუსი*, *ტულიუსი*, *ემილიუსი* და მრავალი სხვა. ყველა გვარი რამდენიმე დიდი ოჯახის ერთობლიობას წარმოადგენდა. მაგალითად, *კორნელიუსების* გვარს მიეკუთვნებოდნენ *სციპიონების*, *რუფინების*, *ლენტულების*, *ცეტეგების* ოჯახები. *ემილიუსების* „**ნომენ გენტილეს**“ (გვარს) *პავლეთა* და *ლეპიდეთა* ოჯახები ატარებდნენ.

ზოგიერთი ინდივიდუალური სახელი გარკვეულ გვართა „საკუთრება“ იყო, მაგალითად, *აპიუსი* მხოლოდ *კლავდიუსების* გვარში გვხვდებოდა, ხოლო პრენომენი *მარკუსი* მონოპოლიზებული იყო *ემილიათა* გვარის წარმომადგენელთა მიერ. თუკი პირი თავისი ცუდი ქმედებით რომელიმე გვარს ჩირქს მოსცხებდა, მაშინ მის სახელს აღარ გამოიყენებდნენ. მაგალითად, *კლავდიების* გვარში ვერავინ იპოვის სახელს — *ლუციუსს*, *მანილიუსების* გვარში კი ძვ. წ. 383 წლამდე აკრძალული იყო სახელი *მარკუსი*.

გვარის გაზრდას მასში შემავალ ოჯახთა რაოდენობის ზრდა მოსდევდა. ამან ანთროპონიმულ მოდელში ახალი ერთეულის — **კოგნომენების** გაჩენა გამოიწვია. რომში კოგნომენების წარმოქმნა ძირითადად რესპუბლიკის ბოლო წლებსა და იმპე-

რატორთა მმართველობის დროს მოხდა. გვაროვნული სახელისა და პიროვნული სახელისაგან განსხვავებით, **კოგნომენი გვარის მეტსახელს (ზედწოდებას) აღნიშნავდა, ე. ი. ის გვარის გარკვეული ერთეულის, დანაყოფის აღმნიშვნელი იყო.** თუმცა თავდაპირველად ეს კოგნომენი ინდივიდუალური პირის მეტსახელი იყო. საწყის სტადიაზე კოგნომენები პრენომენებისაგან არაფრით განსხვავდებოდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ პრენომენის პარალელურად არსებული კოგნომენები სამართლებრივად არ იქნა აღიარებული. რესპუბლიკის ბოლო პერიოდში კოგნომენები პატრიციული გვარების ატრიბუტებად, ფაქტობრივად, მეორე მემკვიდრეობით სახელებად იქცა, რადგან ისინი მომავალ თაობებს მემკვიდრეობით გადაეცემოდა.

კოგნომენის რაოდენობა არც „დეიურედ“ და არც „დეფაქტოდ“ შეზღუდული არ იყო. კოგნომენები ხშირად ადამიანის ფიზიკურ თვისებებს (მაგალითად, ნაკლოვანებას), წარმომავლობას გამოხატავდა. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ: *ბარბატუსი* — „წვეროსანი“, *ცინცინატუსი* — „ხუჭუჭთმიანი“, *ლონგუსი* — „გრძელი“, *ნაზო* — „ცხვირა“, *კარო* — „ემშაკი“, *ალბუსი* — „თეთრი“, *ფლავიუსი* — „ყვითელი“, *სულა* — „ქერა“, *კრასუსი* — „სქელი“, *ნერონი* — „ძლიერი“, *ნიგერი* — „შავი“, *ტუსკუსი* — „ტუსკული“... კოგნომენები (საოჯახო მეტსახელები) პირველად პატრიციებში გაჩნდა; ისინი რომაელთა სამეურნეო საქმიანობასთან (მინათმოქმედება, მესაქონლეობა) იყო დაკავშირებული. *ციცერონის* საოჯახო მეტსახელი, გვარის დანაყოფის სახელი კულტურული მცენარის სახელწოდებისგან მომდინარეობდა (*ციცერონე* — „ბარდა“). ბოლოს კოგნომენები ოფიციალურად მაინც დაკანონდა. კოგნომთან ერთად დაკანონდა **ტრიბეს** სახელიც „დე რეპედუნტის“ (გრაკტუსების ეპოქა) კანონით. მოსამართლეებს სიაში სახელთან (**პრენომენ**) და მემკვიდრეობით სახელთან — გვართან (**ნომენ გენტილე**) ერთად აუცილებლად უნდა შეეტანათ **ტრიბეს** სახელი და **კოგნომენი**. ამრიგად, თუ თავდაპირველად კოგნომენები, როგორც პიროვნული (არსებითად, ინდივიდუალური) სახელი, ზედწოდება (მეტსახელი) იყო და ის მემკვიდრეობით არ უნდა გადაცემულიყო, უკვე **რომის ისტორიის საკმაოდ ადრეულ ეტაპზე კოგნომენები გვარის შიგნით ცალკეულ განშტოებებს აღნიშნავდა და ისინიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა.** თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ *ნომენ გენტილესაგან* განსხვავებით, *კოგნომენი* შედარებით ადვილად შეიძლება შეცვლილიყო. რესპუბლიკის წლებში *კოგნომენი* გვაროვნულ სახელებსაც კი ჩაენაცვლა, *ნო-*

მენ გენტილედ იქცა. კოგნომებად ენიჭებოდათ სხვადასხვა ქალაქისა და ქვეყნის სახელიც მათი ალებისა და დაპყრობის პატივსაცემად. მაგალითად, ვალერიების გვარში 263 წლიდან წარმოიქმნა კოგნომენი *მესალა*, სციპიონების გვარში — *აფრიკანუსი* (205 წლიდან) და *აზიატიკუსი* (190 წლიდან). მეტელების გვარში არსებობდა შემდეგი კოგნომები: *მაკედონიკუსი*, *ბალეარიკუსი*, *დელმატიკუსი*, *ნუმიდიკუსი*, *კრეთიკუსი*. ეს კოგნომები მხოლოდ უფროს შვილებზე გადადიოდა. კოგნომების წარმოქმნის მიზეზი ზოგჯერ ცალკეული გვარების სახლიკაცთა გამიჯვნაც იყო.

თავდაპირველად ახალგაზრდა რომაელი მოქალაქეთა სიაში და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში იწერებოდა მხოლოდ პიროვნული სახელითა და მამის სრული, სამწევროვანი სახელით. შემდეგ პრაქტიკა შეიცვალა — მოქალაქის სამივე სახელი იწერებოდა მამის სახელთან ერთად. წარწერებში დადასტურებულია აგრეთვე პაპისა და დიდი პაპის სახელთა მითითებაც: „*მარკუსის შვილი, პუბლიუსის შვილიშვილი*“. ძვ. წ. 49 წელს *ცეზარმა* გამოსცა კანონი, რომ სიაში მოქალაქის არა მხოლოდ სამი სახელი, არამედ მამის სახელიც ყოფილიყო აღნიშნული. იმავე კანონით უნდა ჩაწერილიყო, თუ რომელ ტრიბეს მიეკუთვნებოდა ესა თუ ის მოქალაქე (რომი თავიდანვე 35 ტრიბედ იყოფოდა). მაგალითად, რომის მოქალაქე ოფიციალურ დოკუმენტში ამ კანონის შემდეგ ასე იწერებოდა: „*მარკ ტულიუსი, მარკუსის შვილი, მარკუსის შვილიშვილი, მარკუსის შვილთაშვილი, კორნელიის ტრიბედან, ციცერონი*“ ანდა „*მარკ მეტილიუსი, გაიუსის შვილი, პომპტინის ტრიბედან, მარცელინი*“.

ქალიშვილები მამის გვაროვნული სახელით იწოდებოდნენ, რომლის პირადი სახელიც უმთავრესად რიცხვითი სახელებისაგან მომდინარეობდა: *ტერცია* (მესამე), *კვინტილია* (მეხუთე). **გათხოვილი ქალი ინარჩუნებდა თავის „ნომენ გენტილეს“, მაგრამ მას ემატებოდა ქმრის მეტსახელი (ზედწოდება) ნათესაობით ბრუნვაში.** იმპერიის ეპოქაში ქალები ხშირად ორ სახელს ატარებდნენ: *ემელია-ლეპიდა*.

სხვა გვარის წევრად გახდომა რომში შვილად აყვანის გზით ხდებოდა. ასეთ შემთხვევაში ის მშვილებლის სრულ სამწევროვან სახელს იღებდა, მაგრამ თავის გვაროვნულ სახელსაც ინარჩუნებდა, როგორც მეორე კოგნომენს - *ან (-უს)* სუფიქსის დართვით. მაგალითად, მას შემდეგ, რაც *პავლა ემილია* იშვილა *პუბლიუს კორნელიუს სციპიონმა*, ის იწოდებოდა ასე: *პუბლიუს კორნელიუს სპიციონ ემილიან*. ზიძამ *კვინტიუს ცეცილიუსმა*

იშვილა ტიტ პომპონიუს ატიკი, რომელმაც დაიტოვა თავისთვის საოჯახო ზედნოდება და გადაიქცა კვინტ ცეცილია პომპონინა ატიკად. საერთოდ, რომაულ ანთროპონიმულ ნომენკლატურა მკაცრად განსაზღვრული არ იყო: მეორე საოჯახო სახელწოდება სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარი იყო.

როგორც ძველ საბერძნეთში, ისე რომში მონებს შეეძლოთ შეენარჩუნებინათ დაბადების შემდეგ დარქმეული სახელი, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მათ სახელებს ხშირად ეთნონიმები ენაცვლებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი უცხოელი მოქალაქე ცდილობდა ნებისმიერ ფასად მიეღო რომის მოქალაქეობა და რომაული სახელი, განსაკუთრებით საგვარეულო სახელი. იმპერატორმა კლავდიუსმა უცხო წარმომავლობის ადამიანებს მკაცრად აუკრძალა რომაული გვაროვნული სახელის მიღება და, თუ ვინმე ამას მოტყუების გზით მოახერხებდა, დამნაშავე სიკვდილით დაისჯებოდა.

II. 4. იტალიელთა საკუთარი სახელები*

თანამედროვე ევროპის ხალხთა ანთროპონიმულ მოდელებზე დიდი გავლენა მოახდინა რომაულ საკუთარ სახელთა სისტემამ. იტალია მემკვიდრეობითი სახელების — გვარსახელების წარმოქმნის ერთ-ერთ ცენტრდაც მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ იტალიელები შედარებით ახალ ეთნოსს წარმოადგენენ და მათი ფორმირება ადრე შუა საუკუნეებში რომაელთა, ბარბაროსთა და სხვათა შერევის შედეგად მოხდა, როგორც ეს მეცნიერებს აქვთ შენიშნული, ამ ქვეყანაში პატრიციებს შორის გვარების ძველი სისტემა ტრადიციულად შემორჩენილი იყო.

ადრე შუა საუკუნეებიდან იტალიელთა შორის ძირითადად ქრისტიანული სახელები იყო გავრცელებული. XI საუკუნისათვის იტალიაში პოპულარული იყო ე. წ. ადვილი სახელები. მისი სიმარტივე კი იმაში მდგომარეობდა, რომ დედისა და მამის სახელს, ჩვეულებრივ, სუფიქსები *de*, *di* და *du* ემატებოდა, შემდეგ კი სახელს წერდნენ, მაგალითად: *Giovanni rossi di Mario*, *Giovanni rossi de Mario*. სახელთა დარქმევის ეს ტრადიცია იტალიაში XX საუკუნემდე იყო შემორჩენილი. მიიჩნევენ, რომ სა-

* იტალიური ანთროპონიმების შესახებ მასალა მოგვიმზადა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ეკატერინე შელიამ.

ხელდების ეს ტრადიცია იტალიელებმა ბარბაროსებისაგან გადაიღეს.

დოკუმენტურად იტალიაში გვარსახელი პირველად IX საუკუნეშია დადასტურებული. ამ დოკუმენტებში მხოლოდ მდიდარი და პრივილეგირებული ფენების გვარსახელებია შეტანილი, რაც მეცნიერებს იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს, რომ მემკვიდრეობითი სახელი თავდაპირველად ზედა ფენებში გაჩნდა, შემდეგ კი თანდათანობით გვარსახელებმა თითქმის ყველა ფენა მოიცვა. შუა საუკუნეების იტალიაში გვარსახელის ტარება ერთობ პოპულარული იყო. დაბალი ფენის წარმომადგენელთა აურაცხელი გვარი გვხვდება XIII-XIV საუკუნეების საბუთებში. რენესანსის ეპოქაში გვარსახელი ყველა იტალიელს ჰქონდა.

იტალიური გვარსახელები სამი ტიპისაა: (1) გვარსახელები, რომელთაც საფუძვლად ადამიანის პიროვნული სახელი უდევს (გვარების 40%); (2) ტოპონიმური წარმომავლობის გვარსახელები მემკვიდრეობითი სახელების 35%-ს შეადგენს; (3) მეტსახელებისაგან წარმომდგარი გვარები — 25%. სხვა მონაცემებით, გვარსახელთა 35% მამის სახელებისაგან მომდინარეობს, 15% — ამა თუ იმ გვარის გამორჩეული პირისაგან ან დამახასიათებელი ნიშნისაგან. გვარსახელთა 10% პროფესიისაგან წარმომდგარი ტიპის გვარებია, ხოლო 3% უცხოური წარმომავლობისაა, 2% — „მისასალმებელი“. სახელებისაგან წარმოქმნილი გვარები კაცთმოყვარეობას, სიყვარულსა და სხვა თვისებებს აღნიშნავს. ფიზიკურ ნაკლს აღნიშნავს გვარსახელი *Goro* („კუზიანი“), *Mancino* („ცაცია“). გვარსახელი *sella* პროფესიული ტიპის გვარსახელია და ის „მეუნაგირეს“ აღნიშნავს. გვარსახელი *di Francesco* „ფრანჩესკოს შვილს“ ნიშნავს. გვარსახელი *Fiorentini* ფლორენციასთანაა დაკავშირებული.

იტალიური გვარსახელები როგორც უსუფიქსო, ისე სუფიქსიანი. სუფიქსების მრავალფეროვნება ისტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინციების მიხედვით თვალშისაცემია, მაგალითად, ლიგურიისათვის დამახასიათებელი ფორმანტია *-asco*: *Comasco*, *Cev-asco*. ლომბარდიაში გვხვდება გვარსახელები *-ago/aghi/ate/ati/atti/etti/otti* სუფიქსებით: *Air-aghi*, *Arcon-ato*, *Gessati*, *Ors-atti*, *Giorg-etti*, *Pedr-otti*. პიემონტიც სუფიქსების მრავალფეროვნებით გამოირჩევა (*-ero/ario*, *-esio*, *-audi/aldi*): *Barb-ero*, *Gorr-esio*, *Molin-ero*, *Ramb-audi*. სიცილიაში შემდეგი სუფიქსებით ნაწარმოები გვარსახელებია დადასტურებული: *-aloro/aloru*, -

aro/aru, -eri, -isi, -oti, -osi/usi, -ulla: Fav-alloro, Cannizz-aro, Am-aru, Palm-eri, Penn-isi, Scilip-oti, Albert-osi, Zapp-ulla. ტოსკანასა და ლომბარდიაში ხშირია გვარსახელები *-ai/-ini, -ucci* და *-uoli/aiuoli* ფორმანტებით: *Boll-ai, Pont-ini, Acciai-uoli.* ვენეციაში გვხვდება გვარსახელები *-acco, -ato, -igo, -l/n/r* ფორმანტებით: *Pol-acco, Bellin-ato, Barbar-igo, Cana-l, Mani-n, Carre-r.* სარდინიული წარმოშობისაა გვარსახელები, რომლებიც *-edda, -au* და *-as/is/us* სუფიქსებით ბოლოვდება: *Del-edda, Mad-au, Solin-as, Vird-is, Campus.* ბევრია *-ella* სუფიქსიანი გვარები ნეაპოლიტანში: *Mont-ella.* იტალიაში ცოტა არაა პრეფიქსიანი გვარსახელები; ეს პრეფიქსებია: *De, Del, Di, La, Lo/Lu, Li.* ნეაპოლიტანური, სარდინიული და სამხრეთიტალიური: *De Stefano, Deiana.* ცენტრალური და ჩრდილოიტალიური გვარსახელებია: *Del Viccehio, Del Croce.* სიცილიური გვარებია: *La Rosa, La Malfa, Lo Priesti, Lu Vito, Li Greci, Li Puma.*

იტალიაში ძირითადად კანონიკური კათოლიკური სახელე-ბია გავრცელებული, თუმცა არანაკლები რაოდენობითაა ებრაული, ბერძნული და რომაული საკუთარი სახელები.

ისევე, როგორც სხვა ხალხებში, იტალიელებშიც გამოყოფენ ყველაზე გავრცელებულსა და პოპულარულ ინდივიდუალურ სახელებს. ქალის ყველაზე გავრცელებული სახელებია: *Giulia, Maria, Anna, Angela, Giovanna, Lucia, Francesca, Cristina, Martina.* მამაკაცის გავრცელებული სახელებიდან შეიძლება დავასახელოთ: *Francesco, Luca, Andrea, Giuseppe, Antonio, Mario, Salvatore, Marco, Giovanni, Paolo.*

იტალიაში გათხოვების შემდეგ ქალი ძირითადად ქმრის გვარზე გადადის. შვილი, ჩვეულებრივ, მამის გვარს იღებს. სტატისტიკური მონაცემებით, იტალიაში ყველაზე გავრცელებული, მრავალრიცხოვანი გვარსახელებია: *Rossi, Russo, Bianchi, Colombo, Esposito, Ricci, Romano, Conti.* თანამედროვე იტალიაში 350 ათასი გვარსახელია, ხოლო პირად სახელთა რაოდენობა 7 ათასია.

იტალიაში, ჩვეულებრივ, ცოლი ქმრის გვარს იღებს. იტალიელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ახალდაბადებულისათვის სახელის შერჩევას, რადგან მიიჩნევენ, რომ კარგი სახელი კარგი ბედის მომასწავებელია. ბევრ ადგილას არსებობს ტრადიცია ოჯახში დაბადებულ პირველ ვაჟს დაარქვან პაპის სახელი (მამის მხრიდან)., გოგონას — ბებუის სახელი (მამის მხრიდან). მე-

სამე და მეოთხე ბავშვს არქმევენ პაპისა და ბებუის სახელს დედის მხრიდან, მეხუთეს — მამის ძმის სახელს და ა. შ. ამ ტრადიციის გამო ოჯახში ხშირად გვხვდებიან ერთი და იმავე სახელის მატარებელი.

III. 5. ესპანელთა და ესპანურენოვან ხალხთა საკუთარი სახელები

განსაკუთრებულია ესპანური ანთროპონიმული მოდელი. მასში რამდენიმე ტიპურ შემთხვევას გამოყოფენ: 1. უბრალო ორწევროვანი მოდელი, რომელიც საკუთარი (პიროვნული) სახელისა (*nombre de pila*) და გვარსახელის (*nombre de apellido*) ერთობლიობას წარმოადგენს, მაგალითად, *Mario Saenz*; 2. ორი ინდივიდუალური სახელისა და ერთი გვარსახელის შემცველი სამწევროვანი მოდელი (მაგალითად, *Juan Romulo Fernandez*); 3. მრავალწევროვანი მოდელი, რომელშიც შეიძლება შედიოდეს ერთი ან რამდენიმე პიროვნული სახელი და ორი გვარსახელი, სადაც პირველი გვარსახელი შეიძლება პატრონიმული ხასიათისა იყოს, მეორე გვარსახელი კი მომდინარეობდეს დაბადების ადგილისა და საცხოვრებელი ადგილის სახელწოდებისაგან, მაგალითად: *Carlos Sanchez Malaga*. ანთროპონიმულ მოდელში შეიძლება შედიოდეს ერთი ან მეტი პირადი სახელი და ორი და მეტი გვარსახელი. ასეთ შემთხვევაში ორი ან მეტი გვარსახელი ერთმანეთთან *y, de* ნაწილაკების საშუალებითაა შეერთებული, ან არტიკლისა და *de* ნაწილაკის კომბინაციით (*de la, de los, de las, del*): *Gustavo Arboleda y Restero; Josefa Fernandez de Garay, Rosa Arcidiega de la Torre, Maximo Farfan de las Godes; Antonio Espionosa de los Monteros, Tereza Alvares del Castilio...* გვხვდება სხვა კომბინაციებიც, მაგალითად, ერთ ან რამდენიმე პიროვნულ სახელთან სხვადასხვა საშუალებით (ნაწილაკებისა და არტიკლების და ნაწილაკ *de*-ს კომბინაციით შეერთებული) მიერთებული ერთი, ორი ან მეტი გვარსახელი: *Oscar Quesada y de la Guerra, Teodoro Caballero y Martinez del Campo* და ა. შ.

თანამედროვე ესპანურ საკუთარ სახელებში გვხვდება ბერძნული (*Nikomedes, Medea*), რომაული (*Romulo, Cesar*), არაბული (*Farida, Neguib*), გერმანული (*Amelberga, Ricardo*), ძველებრაული (*Uriel, Maria*) სახელები, თუმცა პიროვნული სახელები ძირითადად კანონიკური ქრისტიანულ-კათოლიკური სახელებია, ხო-

ლო რომის კათოლიკური ეკლესიის კანონმდებლობით, პირადი სახელების შერჩევა ნათლობისას განსაზღვრულია საეკლესიო კალენდრის წმინდანთა სახელებით. ჩვეულებრივ, ბავშვს ერთ, ორ ან რამდენიმე სახელს არქმევენ. ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობდა ტრადიცია ბავშვისთვის დაერქმიათ პაპის სახელი მამის ხაზით, მეორისათვის — დედის ხაზით ან ოჯახის რომელიმე გამორჩეული წინაპრის სახელი. ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში ადრე მიღებული ბიბლიური (*Lamec, Bezabel*), მითოლოგიური (*Polux, Clitemnesta*), ისტორიული (*Neron*) სახელები გაქრა, ამ კატეგორიების სხვა სახელები კი (*Daniel, Lucas, Martin, Bartlome, Saul; Hector, Delia; Anibal, Napoleon*) დღესაც გამოიყენება.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ესპანეთში გავრცელდა სხვადასხვა ლექსიკური ველის ამსახველი, ძირითადად ქალის, სახელები: აბსტრაქტული (სიმბოლური) სახელები (*Encarnacion* — „ხორცშესხმული“, *Concepcion* — „ცოდნა“, *Libertad* — „თავისუფლება“), ყვავილის სახელები (*roza* — „ვარდი“, *violeta* — „ია“, *camelia, fFlora* — „მცენარეულობა“), ძვირფასი ქვების სახელები (*Diamante* — „ბრილიანტი“, *Perlas* — „მარგალიტი“), აგრეთვე ლიტერატურულ გმირთა სახელები (*Ofelia, Graciela*) და ა. შ.

დღეისათვის ესპანურ სახელებში გვხვდება ისეთი უცხოური სახელები, რომლებიც სხვა ენის მატარებლებთან სხვადასხვაგვარი კონტაქტების გზით გავრცელდა. ეს სახელები ძირითადად მაინც რომაულია. ინგლისელთაგან შეითვისეს: *Milton, Gladis*, ფრანგთაგან — *Josette, Yvonne*, იტალიელთაგან — *Italo, Menotti* და სხვა.

ესპანელთა შორის ფართოდაა გავრცელებული სახელთა მოფერებითი და კნინობითი ფორმები, რომლებსაც ძირითადად აწარმოებს *-ito (-ita), -ico (ica), -illo (-illa)* სუფიქსები. მაგალითად, სახელების *Juan*-ის, *ana*-ს, *Ines*-ის მოფერებითი ფორმები, შესაბამისად, არის *Juanito, Anita, Inesita*. ესპანეთში მამაკაცის ყველაზე გავრცელებული სახელებია: *Alfonso, Andres, Benito, Carlos, Diego, Enrique, Felipe, Fernando, Francisco, Geronimo, Joaquin, Jose, Juan, Manuel, Miguel, Pedro, Ramon, Vicente*; ქალის სახელებიდან შეიძლება დავასახელოთ: *Ana, Catalina, Elena, Enriqueta, Francisca, Ines, Isabel, Josefa, Juana, Manuela, Maria*.

ესპანური გვარსახელი, როგორც უკვე ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ხშირად ორი ან კიდევ და რამდენიმე ელემენტის შემცველია. ესპანური გვარების სტრუქტურული მოდელი უფრო ხშირად ორ კომპონენტს — მამისა და დედის გვარსახელებს შეიცავს, რომლებიც უმეტესად *y* ნაწილაკით არის შეერთებული (*Menender y Pelayo*). თუ *Joosé Maria González*-სა და მის ცოლს *Feliciana Martinez de Gonzalez*-ს ვაჟი შეეძინებათ, რომელსაც *Enrique*-ს დაარქმევენ, მაშინ მისი გვარსახელი *Gonzalez y Martinez* იქნება; თუ ვინმე *Juan Franciso Velarde y Nuñes* (რომელშიც *Velarde* მამის გვარია, *Nunēz* — დედისა) დაქორწინდა გოგონაზე, რომელსაც ჰქვია *Luisa Gutiérrez y Romero*, ქორწინების შემდეგ ამ უკანასკნელს უწოდებენ: *Luisa Gutiérrez De Vilard*, მათი შვილის გვარი კი *Velarde y Gutierrez*-ი იქნება. მშობელთა გვარების შეერთების სხვა ვარიანტებიც გვხვდება, კერძოდ, შვილებისათვის მშობლების გვარსახელთა მიკუთვნების სხვა ვარიანტებიც.

სტრუქტურით ესპანური გვარები შემდეგნაირად კლასიფიცირდება: 1. **პატრონიმული გვარსახელები**, რომლებიც ბოლოვდება *-az*, *-ez*, *-iz*, *-oz*, *-uz* სუფიქსებით. ესპანური გვარების ეს დაბოლოებანი სახეცვლილი ლათინური სიტყვებისაგან — *filius* და *prolis* (შვილი) — არის წარმოქმნილი. ორივე ეს სიტყვა ნათესაობით ბრუნვაში მდგომ მამის სახელს მოსდევდა (*Estebanez* — ესტებანეს შვილი, *Alvarez* ან *Alvaroz* — ალვაროს შვილი); 2. **მეტსახელისა და ეპითეტისაგან წარმოქმნილი გვარები** (*Calvo calvo*-დან, „მელოტი“; *Aleman aleman*-იდან, „გერმანული“; *Blanco blanco*-დან, „თეთრი“, „ჭალარა“); 3. **პროფესიის აღმნიშვნელი გვარსახელები** (*Herrera herrero*-დან, „მჭედელი“; *Calderon calderon*-იდან „მესპილენძე“); 4. **ტოპონიმებისგან წარმოქმნილი გვარები** (*Belleto Gallego*, ე.ი. ბელეტო გალისიელი *Galicia*-დან; *Pedro de Cardona*, ე. ი. პედრო კარდონიდან). ესპანეთში ტოპონიმური ტიპის გვარსახელები, განსაკუთრებით XIII საუკუნეში, ფეოდალური მამულების სახელებისაგან გავრცელდა.

ესპანეთში გათხოვილ ქალს შეუძლია შეინარჩუნოს თავისი ქალიშვილობის გვარი, ან მას ქმრის გვარსახელი მიუერთოს, აგრეთვე შეუძლია მხოლოდ ქმრის გვარი დაიტოვოს. მაგალითად, ქალიშვილი, რომელსაც ჰქვია *Juana Lopez y Perez*, თუ გათხოვდება მამაკაცზე, რომელსაც ჰქვია *Diego Menendez Soler*, შე-

იძლება დაენეროს ამგვარად: *Juana Lopez de Menendez ან Juana de Menendez Soler*.

ბევრი ესპანური გვარი უცხო წარმოშობისაა (არაბული, ირლანდიური, ინგლისური, გერმანული...). არაბული *Ben Eaas-ი Venegas-ად* იქცა, ირლანდიური *O'Brien — Obren-ად*, შოტლანდიური *Mac Donald-ი Maldonado-დ*, ინგლისური *Harris-ი — Aris-ად...*

ესპანურ ანთროპონიმულ მოდელში ნაწილაკი *de* ფრანგული ენის გავლენით გაჩნდა. იგი პიროვნულ სახელს გეოგრაფიულ სახლთან აერთებს, რის შედეგადაც გვარსახელი წარმოიქმნება. ფრანგულ ენაში ამ ნაწილაკის არსებობა თუ წარჩინებულ წარმომავლობაზე, მაღალ სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებს, ესპანურ გვარებში მას მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა აქვს, მაგალითად: *Fernandez de Cordoba*, ე. ი. ფერდინანდი კორდობიდან (ფერდინანდ კორდობელი).

უცხო ადამიანებისადმი თავაზიანი მიმართვის ფორმას წარმოადგენს *Don, Senior* და *Excelencia* — „ბრწყინველებავ“ (მამაკაცებისათვის) და *Donna, Seniora* (ქალებისათვის). თითოეული ეს სიტყვა, შესაბამისად, „ბატონსა“ და „ქალბატონს“ აღნიშნავს. თავდაპირველად ამ სიტყვებით მხოლოდ არისტოკრატებს მიმართავდნენ. თავაზიანობის გამომხატველი სიტყვა *Don* მხოლოდ პიროვნულ სახელებთან გამოიყენება და არა გვარსახელებთან (*Don Pedro*), ხოლო *Senior* გვარსახელებთან გვხვდება.

II. 6. ფრანგთა საკუთარი სახელები

საინტერესო და რთული გზა გაიარა ფრანგულმა ანთროპონიმულმა სისტემამ. ბუნებრივია, რომ ძველგალურ, ანუ კელტურ ეპოქაში გავრცელებული იყო კელტური (*Caisorix, Marobodos*), აგრეთვე ძველებრაული (*Isaac, Fils d'Abraham* — ისააკი, აბრამის შვილი, *David, Fils d'Isai* — დავიდი, ისაის შვილი) საკუთარი სახელები. გვხვდებოდა ბერძნული სახელებიც, რომელთა დიდი ნაწილი თანამედროვე ფრანგულ ანთროპონიმიაში დღესაც შემონახულია: *André, Eugène, Georges, Théodore, Leon, Philippe, Aleksandre*. ბერძნული ენის საშუალებით გავრცელდა საფრანგეთის ტერიტორიაზე ბიბლიური სახელები: *Abraham, David, Gabriel, Jozeph, Anne, Eve*.

თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიაზე რომაელთა ბატონობის დროს ლათინური წარმოშობის სახელები (ძირითადად მამაკაცთა) გავრცელდა: *Arthur, Merlin, Perceval, Lancelot, Romulus, Marius, Victor, Martinus, Felix, August, Victor...* მოგვიანებით ფრანგებმა რომაული სამყაროდან ორწევროვანი სახელებიც ისესხეს, მაგალითად, *Numa Pompilius, Tullus Hostillus, Servius Tullius* და ქალის სახელები: *Rhea Silvia, Livia Drusilla, Valeria Mesalina*.

გერმანელთა შემოჭრამ ფრანგული ანთროპონიმია ტიპური გერმანული სახელებით შეავსო: *Aalis, Ermelinde, Mahaut, Abbo, Hugo*. იმდროინდელი გერმანელები რომის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, ამიტომ მათი ენის საშუალებით ფრანგულ ენაში ლათინური სახელები აღწევდა: *Claudius Civilis, Abboletus, Hugolinus, Carolus* და სხვა.

ფრანკულ პერიოდში (V—IX საუკუნეები) საფრანგეთის ტერიტორიაზე გერმანული არისტოკრატიის წრეში გავრცელებულ გერმანული წარმომავლობის სახელებს გამოიყენებდნენ, მაგალითად, *Raymonds*-ს, რომელიც უფრო ხშირად სამხრეთ საფრანგეთში გვხვდებოდა XII—XIII საუკუნეებში, განსაკუთრებით პოპულარული იყო ის ტულუზელ გრაფებში. V—IX საუკუნეებში ფრანკთა პირადი სახელები, როგორც წესი, ერთწევრიანი იყო და ისინი ძალიან გვაგონებდა გერმანულ და სკანდინავიურ სახელებს: *Brynhild — Brunehaut, Harbard — Herberd*. საინტერესოა, რომ V საუკუნეში საფრანგეთის ტერიტორიაზე გერმანული სახელები საკუთარ სახელთა 25%-ს შეადგენდა, VI საუკუნეში — 50%-ს, IX საუკუნეში — 80%-ს. სხვა ვითარება გვქონდა პროვანსში — აქ ბერძნულ-ლათინური, ქრისტიანული და ძველგერმანული სახელების შეფარდება ერთი ერთზე იყო. შუა საუკუნეების საფრანგეთში გერმანული სახელების რაოდენობა ძალიან დიდი იყო. წმინდა გერმანულ სახელებთან ერთად (მაგალითად, *ბერნარდი*), ჰიბრიდული სახელებიც იყო გავრცელებული. ჰიბრიდულ სახელთა ერთ-ერთ მაგალითად მკვლევრები ასახელებენ *ლეონარდს*, რომლის თავდაპირველი ფორმა იყო *ლეონჰარდტი* („ძლიერი ლომი“), რომელშიც პირველ ძირი ლათინურია, მეორე კი — გერმანული. საყურადღებოა, რომ XIV საუკუნის საფრანგეთში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელი იყო *Jan*. მოსახლეობის 20-25% ამ სახელს ატარებდა.

ფრანგი წარჩინებულები თავიანთ შვილებს ხშირად არქმევდნენ მეფეთა სახელებს: *Henri, Louis, Francois*. IX საუკუნეში გავ-

რცელებული იყო ქალის ისეთი სახელები, როგორებიცაა *Andrea, Jacoba, Jaquette*. შუა საუკუნეების სახელები *Rose, Violette, Marguerite* ფრანგულ ანთროპონიმიაში ფრიად მიღებული სახელებია.

XI—XV საუკუნეებში საოჯახო კავშირების აღსანიშნავად შვილის სახელს ხშირად მამის სახელს უმატებდნენ, მაგალითად: *Jean, fils Pierre* (ჟანი, პიერის შვილი). ამ დროის ქალები ხშირად მამის სახელებს ატარებდნენ, რომელთაც რომაული წეს-ჩვეულებით ქალის სახელის ფორმა ჰქონდა მიღებული: *Alda Engilberta — fille d' Engilbert* („აღდა ანჟილბერტა, ანჟილბერტას ქალიშვილი“).

საკუთარ სახელთა ჩამოყალიბებაში ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა სუფიქსები; ისინი, ნანილობრივ, მიუთითებდნენ გარკვეულ რეგიონებთან მიკუთვნებულობაზე. მაგალითად, ბურგუნდიის ჩრდილოეთში მრავალი სახელი ბოლოვდება *-ot* სუფიქსით: *Amyot, Brunot*. სახელებში როგორც *-ot*, ისე *-in* და *-et* სუფიქსებს კნინობითი ფუნქცია გააჩნიათ. საკმაოდ ხშირად გვხვდება ლათინური სუფიქსი *ius*: *Marius, Alexsandrius, Julius, Aurelius*.

თანამედროვე ფრანგულ ანთროპონიმულ სისტემაში ძირითადად ერთწევრიანი სახელებია გავრცელებული, ისეთები, როგორიცაა: *Jean, Robert, Martin, Pierre, Louis, Rene; Cornелиe, Luce, Jeanne, Cecile, Desire*, თუმცა ორწევრიანი სახელებიც ხშირად გვხვდება, განსაკუთრებით ბრეტანში: *Jean-Jeacque, Jean-Marie, Jean-Francois, Marie-Louise, Marie-Therese...*

თანამედროვე ეტაპზე ფრანგული ანთროპონიმია შევსებულია ზოგიერთი ნასესხები სახელით: იტალიური — *Amedee, Ferrari, Barberi*; ესპანური — *Alphonse, Terese, Isabelle*; ინგლისური — *Alfred, Edouard, Edmond*; შვეიცარიული — *Gustave*; გერმანული — *Frederic, MaThilde*.

შუა საუკუნეების საფრანგეთისათვის არც მეტსახელები იყო უცხო. ბევრი მეტსახელი მემკვიდრეობით სახელადაც იქცა. მრავალი მათგანი ნათესაური ურთიერთობის ბაზაზე წარმოიქმნა, მაგალითად, ფრანგული გვარსახელი *ლეჟანდრ* აღნიშნავდა „სიძეს“. გვარსახელად გარდაიქმნა სიტყვა „კუზენიც“. იყო გვარები, რომლებიც აღნიშნავდა „ცუდ და კარგ მამას“: *მოკერ* და *ბოპერ*. ბევრი გვარსახელი წარმოიქმნა მეგობრული ურთიერთობების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებისაგან: *ბე-*

ლამი და ბონამი, რაც, შესაბამისად, „კარგ მეგობარსა“ და „კეთილ მეგობარს“ ნიშნავს. ძალიან გავრცელებული იყო მეტსახელები „კეთილი მეზობელი“, „ცუდი მეზობელი“. გვარსახელი *მოვუაზენ* („ცუდი მეზობელი“) ხშირად გვხვდება. ძალიან ხშირად გვხვდება გვარები *რუა*, *ლერუა*, *მორუა* (ისინი მიღებულია სიტყვიდან „რუა“ — მეფე). თავდაპირველად ისინი მეტსახელები იყო და არქმევდნენ სხვადასხვა თამაშებსა და ასპარეზობებში გამარჯვებულებს, რომლებიც დღესასწაულების დღეებში ქალაქის მოედნებზე იმართებოდა. საყოველთაოდ ცნობილი გვარსახელი მორუა „ცუდ მეფეს“ ნიშნავს. ჯვაროსნის აღმნიშვნელია გვარსახელი *კროზე*.

დღეს არსებული ფრანგული გვარსახელები (*noms de famille*) შუა საუკუნეებშიც იყო გავრცელებული. ლათინური წარმოშობის ეს გვარსახელები ძირითადად პროფესიისა და ხელობის აღმნიშვნელი იყო. ისინი XIII საუკუნიდან მემკვიდრეობითი გადაეცემოდა.

ფრანგული გვარსახელები სხვადასხვა წარმოშობისაა: პროფესიული (ბოლოვდება *-ier*-ზე, მაგალითად, *Bouchier*); პიკარდიის პროვინციაში XIII—XV საუკუნეებში პროფესიული ტიპის გვარები მთელი მემკვიდრეობითი სახელების ფონდის 24%-ს შეადგენდა; **ეპონიმური** (რომლებიც მამის სახელებისგან მომდინარეობს); წინაპრის სახელისგან მომდინარე გვარსახელთა რაოდენობა XIII საუკუნის პიკარდიაში თუ 10%-ის ფარგლებში იყო, XV საუკუნეში ასეთი გვარების რაოდენობა 18,4%-მდე გაიზარდა; **ტოპონიმური**, ადგილის სახელისაგან მომდინარე მემკვიდრეობით სახელთა რაოდენობა XIII—XV საუკუნეებში 30%-ზე მეტი იყო. ფრანგული გვარსახელების ნაწილი **წარმომავლობაზედაც** მიუთითებს: *Le Belge* — ბელგიელი, ბელგიური წარმოშობის ადამიანი... ზოგიერთი გვარსახელი **მეტსახელისაგან** მომდინარეობს, რომელიც თანდათან მემკვიდრეობითად იქცა: *Leblond* — „ქერა“ *blond*-იდან, *Lebrun* — „შავგვრემანი“, *brun*-იდან. პიკარდიაში შუა საუკუნეებში ასეთი ტიპის გვარები 25%-ის ფარგლებში იყო. საგვარეულო სახელებად გვხვდება ცხოველთა სახელებიც — *Leloup loupi*-იდან („მგელი“). ბევრ გვარსახელში ჩანს მისი თავდაპირველი მატარებლის ხასიათი, ფსიქოლოგიური თავისებურება: *Malpropre* — „ჭუჭყიანი“.

გვარსახელის წინ წინდებულის გამოყენების ჩვეულება ძველი დროიდანაა შემორჩენილი, როდესაც ის არისტოკრატიული წარმომავლობის მაჩვენებელი იყო. ასეთი გვარსახე-

ლები უპირველეს ყოვლისა გვხვდება ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში: *Dufore, Dulong, Duclerc, Deloncle*. ფრანგულ ანთროპონიმიაში გვხვდება გვარსახელები არა მარტო წინდებულით (*De Musset*), არამედ არტიკლით (*Le Cordier, Le Fontaine*), აგრეთვე ერთდროულად წინდებულითაც და არტიკლითაც (*De la Fontaine*).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიაზე პირველად გვარსახელი — მემკვიდრეობითი სახელი XII საუკუნეში პროვანსის ქალაქებში წარმოიქმნა, თუმცა ზოგიერთ სხვა ნაშრომში აქ მემკვიდრეობითი სახელის საწყის პერიოდად XIII საუკუნეა მიჩნეული. სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც აღნიშნულია, რომ ინგლისში მემკვიდრეობითი სახელი ნორმანებმა 1066 წელს შეიტანეს. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, საფრანგეთში გვარსახელი უფრო ადრეც იყო გავრცელებული. XII საუკუნესა და XIII-XIV საუკუნეებში მიმდინარეობდა ახალი გვარსახელების წარმოქმნა და კრისტალიზაცია. XIII საუკუნის პირველ ნახევარში სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთში უგვაროდ მოსახლეობის 10,4% იყო, ამავე საუკუნის მეორე ნახევარში ეს მაჩვენებელი 6%-მდე დავიდა. ნათლობისას ბავშვს არქმევდნენ პირად სახელს, რომელსაც თან ახლდა მამის სახელი: *Jean, fils Jaquot*. თავდაპირველად გვარსახელს თან ახლდა სიტყვა *fils* („შვილი“), რომელიც შემდეგ დაიკარგა: *Jean, fils Jaquot* იქცა *Jean Jaquot*-ად. მამისეულ გვარსახელებთან ერთად საფრანგეთში არის გვარსახელები, რომლებიც დედის სახელისგან მომდინარეობს. ასეთი მემკვიდრეობითი სახელები იმ დროს წარმოიქმნებოდა, როდესაც ქალი ქვრივდებოდა და ის ოჯახის უფროსი ხდებოდა (*Brune, Vellemere, le fils Rose, ან le fils a la Rose*, ან, უბრალოდ, *Rose*, ან *a la Rose*, ან *Larose*). გათხოვილი ქალი ქმრის გვარსახელს ატარებდა. დღეს ქმრის გვარის წინ გამოიყენებენ სიტყვას *madame*. თანამედროვე ფრანგული ანთროპონიმული მოდელი ორწევროვანია და ის სახელისა და გვარსახელის ერთობლიობას წარმოადგენს: *Jean Dubois, Pierre Leblanc*, რომელშიც სახელი (*prénom*) პირველი ელემენტია, გვარსახელი (*nom de famille*) — მეორე.

ფრანგთა სახელები სამწევროვანიცაა, როდესაც სახელი ან გვარსახელი ორი ელემენტისაგან შედგება, მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ცნობილ ფრანგ მეცნიერთა და მწერალთა

სახელები: *Frederic Jolio-Curie, Irene Jolio-Curie, Jules-Simon Suisse, Marie-Therese Morlet*, რასაც რომაული ეპოქის მემკვიდრეობად მიიჩნევენ.

II. 7. ინგლისელთა საკუთარი სახელები

გერმანულ ტომთა დაპყრობებამდე ბრიტანეთი კელტებით იყო დასახლებული. შესაბამისად, აქ ძირითადად კელტური სახელები იყო გავრცელებული. ანგლების, საქსების, ფრიზებისა და იუტების მიგრაციას, ბუნებრივია, თან მოჰყვა გერმანული სახელების გავრცელება. გერმანულმა ტომებმა ბრიტანეთში თან მოიტანეს თავიანთი ინდივიდუალური სახელები და მეტსახელები. ამ მიგრანტებისათვის ტიპური იყო ორთემიანი ინდივიდუალური სახელი — *Elstan* („კეთილშობილი“+„ქვა“), *Eadweard* („სიმდიდრე“+„მცველი“). ძველად ინდივიდუალურ სახელთა შემადგენელი ლექსიკური ერთეულების შეხამება გააზრებული იყო, მაგრამ მოგვიანებით ასეთი მდგომარეობა აღარ გვქონდა, ამიტომ შესაძლებელი გახდა *Wigfrith*-ის („ომი“+„მშვიდობა“) ტიპის ინდივიდუალური სახელის წარმოქმნაც. ზოგიერთი ლექსიკური ერთეული მხოლოდ პირველ ადგილზე შეიძლებოდა მდგარიყო (*El-, Cu-, Cyne-, Ead-, Os-, Wit-* და ა. შ.); სხვებს მხოლოდ მეორე ადგილი ეჭირა: *-helm, -gifm, -fugel*, ზოგიერთ ლექსიკურ ერთეულს კი ეჭირა როგორც პირველი, ისე მეორე ადგილი: *Beald-* და *-beald*, *Beorht-* და *-beorth*, *Wulf-* და *-wulf* და ა. შ. ერთი ლექსიკური ერთეულის შემცველი ინდივიდუალური სახელები, როგორც წესი, აპელატივებს წარმოადგენდა: *Scott* („მოტლანდიელი“), *Fisc* („თევზი“), *Wulf* („მგელი“), *Bleac* („შავი“) და სხვა. იმდროინდელ ინგლისურში კნინობითი და მოფერებითი სუფიქსები ბევრი იყო: *-ic, -uc, -uca, -eca, -ig, -n-, -ede, -il, -ula* და სხვ. ხშირად შვილებს სახელებს მშობლების სახელების პირველი კომპონენტის გამოყენებით არქმევდნენ. მაგალითად, კენტის მეფემ *Eormenr-*ემ თავის შვილებს დაარქვა შემდეგი სახელები: *Eormenbeorth, Eormenburth* და *Eormengy*.

ნორმანთა დაპყრობამდე ბრიტანეთის კუნძულებზე სკანდინავიელები ხშირად დათარეშობდნენ. ამის შედეგად ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი დანიური კანონებით იმართებოდა. ამავე დროს მათ ბრიტანეთში ანთროპონიმული მოდე-

ლი გაამრავალფეროვნეს. ერთმანეთის პარალელურად არსებობდა ინდივიდუალურ სახელთა სკანდინავიური და ძველინგლისური ფორმები, მაგალითად, სკანდინავიური *Asgeirs* და ძველინგლისური *Esgar*.

ინგლისელთა სახელდებაში შემობრუნების ეტაპი გახდა XI საუკუნე, სახელდობრ, ნორმანული დაპყრობები და ვილჰელმ დამპყრობლის ფრანკო-ნორმანული პოლიტიკა. **1066 წლიდან დაწყებული 36 წლის განმავლობაში ნორმანულმა ინდივიდუალურმა სახელებმა წარჩინებულთა და ქალაქის მკვიდრთა ყოფიდან მთლიანად გამოდევნა ძველინგლისური სახელები.** ეს პროცესი სოფლის მკვიდრთა შორისაც მიმდინარეობდა. ინგლისურ სახელთა რაოდენობა სწრაფად შემცირდა, და ამავე დროს წარმოიქმნა სახელდების მეორე კომპონენტი — მემკვიდრეობითი სახელი (გვარსახელი).

ნორმანებმა თან მოიტანეს გაფრანგულებული გერმანული ინდივიდუალური სახელები: *Richard, Hugo, Gerard, William* და სხვა. მათ პირველებმა ჩაატარეს მოსახლეობის აღწერა და შეადგინეს „სამართლის დღის“ (*Domesday book*) მრავალტომიანი წიგნი, რომელიც XI საუკუნის დასასრულის მდიდარ ანთროპონიმულ მასალას შეიცავს. უკვე XII საუკუნის დასაწყისში მამაკაცის ყველაზე გავრცელებული ინდივიდუალური სახელები იყო *William, Robert, Ralph* და *Richard*, რომლებიც ვაჟების 44%-ს ერქვა, ხოლო XIII საუკუნეში ყველაზე გავრცელებულ სახელებად იქცა *John, William, Robert, Richard*, რომლებმაც სახელთა 60% მოიცვა. 1550 წლიდან 1800 წლამდე მამაკაცის ყველაზე პოპულარული სახელები იყო *William, John* და *Thomas*. ძნელია ქალთა ინგლისური სახელების დადგენა, რადგან ისინი დოკუმენტებში იშვიათად ფიქსირდებოდა, ხოლო „სამართლის დღის წიგნში“ ქალთა სახელებს საქონლის აღწერის შემდეგ მოიხსენიებდნენ. მიუხედავად ამისა, შეიძლება გარკვევა, რომ 1600–1800 წლებში ქალთა ყველაზე პოპულარული სახელები იყო: *Elizabeth, Mary* და *Anne*. **XV—XVI საუკუნეების ინგლისური ანთროპონიმის ერთ-ერთი თავისებურება მამაკაცთა სახელების ქალის სახელებად ქცევა იყო. ეს მოდა ფრანგულის გავლენის შედეგი იყო: *Alexandra, Jacoba, Nicholaa*... ისინი ასე ფიქსირდებოდა ოფიციალურად, მაგრამ ინგლისურ ენაში ისევე წარმოითქმებოდა, როგორც მამაკაცთა სახელები.**

ინგლისში ორი საკუთარი სახელის ტარების ტრადიციას XIV საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი: *John Philipp*, მაგრამ ორსახე-

ლიანობა მაინც იშვიათი იყო. XVII საუკუნეში ეს მოდა გავრცელდა, XVIII საუკუნეში კი იმდენად გახშირდა, რომ მწერალთა მხრივ დაცინვის საგნადაც კი იქცა. თანამედროვე სახელთა ჩამონათვალში ასეთ სახელთა გარკვეულ რაოდენობას ვპოულობთ: *Mary Anne, Mary Jane* და სხვა.

რელიგიურმა ფორმაციამ (1534 წელი) ბიბლიური ინდივიდუალური სახელების ხვედრითი წილი გააძლიერა: *Judith, Susanna, David, Joseph* და სხვა. არაბიბლიური სახელები კი თითქმის აღარ გამოიყენებოდა.

თანამედროვე ინგლისური ანთროპონიმის ტენდენცია ასეთია: ინგლისელები კვლავ ჩვეულ, ტრადიციულ სახელებს ანიჭებენ უპირატესობას, მაგალითად, 1949 წელს მამაკაცთა ინდივიდუალური სახელების პირველ სამეულში შედიოდა *John, Richard* და *Peter*, ხოლო ოდესღაც პოპულარულ *William*-მა მეშვიდე ადგილი დაიკავა *David*-ის, *Charles*-ის და *Michael*-ს შემდეგ. ქალის სახელები კი ასეთი სიხშირით იყო წარმოდგენილი: *Anne, Mary, Elizabeth, Jane, Susan, Margaret*.

ყოველდღიურად ინგლისელები ინდივიდუალურ სახელებს ხშირად ჰიპოკორისტული სახით გამოიყენებენ: *Gwen < Gwendolen, Al < Alan, Beth < Elizabeth, Rena < Regina*.

ნორმანთა დაპყრობამდე ინგლისელებს მემკვიდრეობითი სახელი არ ჰქონდათ. გვარსახელი აქ XI საუკუნეში, ნორმანთა დაპყრობის შემდეგ, წარმოიქმნა. ის თანდათან მეტსახელისაგან განვითარდა, რომელიც ხშირად მეორე და მესამე თაობასაც გადაეცემოდა, ქრებოდა და ხელახლა წარმოიქმნებოდა. გარდა ძირძველი ინგლისური მემკვიდრეობითი სახელებისა (*White, Nash, Wode, Dodson, Foreste, Reeves*) გავრცელებულია ნორმანული (*Allen, Austin, Layson, Iracy, Fitzurilliam*), იშვიათად გვხვდება კელტური (*Ewen, Maddock, Murdoch*), სკანდინავიური (*Kette, Not*), ფრანგული (*Heming*) და ზოგიერთი სხვა სახელი.

ტოპონიმიზებული მემკვიდრეობითი გვარსახელები მთელი გვარსახელების 32%-ს მოიცავს. ისინი მომდინარეობს ქვეყნების, საგრაფოების, რაიონების, ქალაქების, სოფლების... სახელწოდებებისაგან. *London*-ის, *Oxford*-ის, *Clinton*-ის გვარსახელთა მატარებელი ფლობდნენ მამულებს შესაბამის ადგილებში, ან უფრო ხშირად ამ დასახლებული პუნქტების სახელებისაგან მომდინარეობს. ერთი და იგივე ტოპონიმი მემკვიდრეობითი სახელის სხვადასხვა ვარიანტს იძლეოდა, რაც დიალექტური ვა-

რიანტებითა და ნორმატიული ორთოგრაფიის არარსებობით იყო განპირობებული.

ინგლისური გვარების 30 % გენეალოგიურია; უმეტესი მათგანი მამის სახელისაგან წარმოიქმნა: *Adam, Adams, Adamson*. ამ უკანასკნელ გვარსახელში *-son* < ძველინგლისურ *sunu* „შვილს“ აღნიშნავს. გენეალოგიური მემკვიდრეობითი სახელების ვარიანტულობა ძალიან დიდია.

პროფესიისა და თანამდებობის აღმნიშვნელი მემკვიდრეობითი სახელები 16 %-ია. ინგლისში ყველაზე გავრცელებული გვარსახელია *Smith* — „მჭედელი“ (ახლა ამ მემკვიდრეობით სახელს 200 ათასზე მეტი ოჯახი ატარებს). მემკვიდრეობით სახელებს ხშირად აწარმოებს სუფიქსი *-er* და მისი ვარიანტები.

„მახასიათებელი“ მემკვიდრეობითი სახელები მთელ გვარსახელთა 12 %-ს შეადგენს. ასეთი გვარები თავის დროზე თავიანთ პირველ მფლობელებს ფიზიკური თვისებების მიხედვით ახასიათებდა (*Red, Reed, Read, Rede* — „წითური“, *Littlejohn* — „პატარა“). ზოგჯერ ისინი მორალური თვისების გამომხატველნიც არიან, მაგალითად შეიძლება დავასახელოთ *Pollit* < *polite* — „თავაზიანი“. გვხდება სოციალური მდგომარეობის გამომხატველი გვარსახელებიც: *Riches* < *rich* — „მდიდარი“.

ინგლისში ცალკე გამოყოფენ არაასიმილირებულ უცხოურ მემკვიდრეობით სახელებს, რომელთა რაოდენობა 6%-ის ფარგლებშია, ხოლო გაურკვეველი ეტიმოლოგიის გვარსახელები დახლოებით 4%-ია.

დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით ფუნქციონირებს შოტლანდიური და უელსური მემკვიდრეობითი სახელებიც.

II. 8. გერმანელთა საკუთარი სახელები*

გერმანიაში დასარქმევ სახელთა რაოდენობა შეზღუდული არ არის; სახელთა რაოდენობა ბევრია. VII საუკუნემდე გერმანელები მხოლოდ გამჭვირვალე ეტიმოლოგიის გერმანულ სახელებს არქმევდნენ. დღესაც ეს სახელები ადვილად საცნობია.

* გერმანული ანთროპონიმების შესახებ მასალა მოგვიმზადა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა გურანდა უგლაავამ.

ისინი ორი ნაწილისაგან შედგება: *ჰაინ-რიხ*, *ჰელ-მუთ*, *ვოლფ-განგ*, *გერ-ჰარტ*, *ჰაიდ-რუნ...* აღნიშნული სახელები ცალ-ცალკეც გამოიყენებოდა, მაგალითად, *ჰელ* — „ნათელი“, *მუთ* — „გაბედულება“, *ვოლფ* — „მგელი“, *განგ* — „სიარული“, „სვლა“; *ჰარტ* — „მაგარი“, *ჰაიდ* — „ველური“, „გავერანებული მდელო“... ცალკეულ სახელთა შეერთება დაახლოებით IV საუკუნიდან გვხვდება. მოგვიანებით პირად სახელთა გაორმაგება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამით ნათესაობის განსაზღვრაც ხდებოდა. მაგალითად შეიძლება „ნიბელუნგების თქმულება“ მოვიყვანოთ, სადაც სამი ძმის — *გუნთერის*, *გერნოთის* და *გიზელჰერის* — სახელთა დასახელება იკმარებს, რომლებიც „გ“-თი იწყება.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ გერმანელთა შორის ბიბლიური სახელები და მათი სხვადასხვა ვარიანტი გავრცელდა. განსაკუთრებით პოპულარული იყო *Christian* და *Christina*, *Daniel*, *Samuel*, *Elisabet...* XII საუკუნიდან „ახალი აღთქმის“ სახელები შემოვიდა მოდაში: *Andreas*, *Iohannes*, *Iohanna*, *Matthias*. გერმანულ ენაში და მის მრავალრიცხოვან დიალექტებში კანონიკური სახელები ერთგვარად შეიცვალა, ზოგიერთი შემოკლდა კიდევ. ამის გამო ერთი სახელისგან რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტი წარმოიქმნა, რომლის ერთ-ერთ მაგალითად ებრაული სახელი *იოჰანესი* და მისი ვარიანტები გამოდგება: *იოჰან*, *იენსი*, *იანი*, *იონი*, *ჰანსი*, *ჰენზელი*, *ჰანკო* და სხვ. პოპულარული სახელები *ჰანცი* და *კუნცი* *ჰაინრიხისა* და *კონრადის* შემოკლებული, კნინობითი ფორმებია.

გერმანელთა შორის უცხო სახელების გავრცელება ძირითადად XVI საუკუნიდან დაიწყო, განსაკუთრებით ეს ითქმის ფრანგულ და ინგლისურ სახელებზე. თავდაპირველად ისინი პოპულარულობით სარგებლობდა ზედა ფენებში. XX საუკუნიდან ეს პროცესი უფრო ინტენსიური გახდა, განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ სახელებს, როგორებიცაა: *შტანი*, *პერი*, *ნაილი*, *ჟენიფერი*, *ჯესიკა*.

ჩვეულებრივ, ახალშობილს ორ ან სამ სახელს არქმევენ, რომელთაგან ერთ-ერთი ძირითადია და მისი საშუალებით ადამიანები ერთმანეთს მიმართავენ. ტრადიციას შედგენილი სახელების დარქმევა, მაგალითად, *Karl-Heinz*, *Peter-Volker*, *Anne-Rose*, *Anne-Katrin* და ა. შ. ხშირად ეს სახელები ერთად, დეფისის გარეშე იწერება: *Karlheinz*, *AnneKatrin*, *Annerose*. დანერილობის მიუხედავად, ეს ორმაგი სახელები ერთ სახელად ითვლება. ორი

და რამდენიმე სახელიდან ერთ-ერთი ძირითადი სახელია. ასეთი ძირითადი სახელი პიროვნების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტებში პირველ ადგილზე იწერება. გერმანელთა შორის ხშირია კნინობითი სახელებიც. ზოგჯერ ქალთა და მამაკაცთა კნინობითი სახელები ერთმანეთს ემთხვევა, მაგალითად: *Cris* კნინობითი ფორმაა მამაკაცის სახელების *Christian*-ისა, *Cristopher*-ის და აგრეთვე ქალის სახელების — *Christine*-სი და *Christiane*-სი. გერმანული ძირძველი სახელების უმეტესობა ორფუძიანია (*Siegfried, Hildegard*), ან წარმოქმნილია სახელთა შემოკლებით: *Kurt > Konrad, Willi > Wilhelm, Feidi > Heidrum, Klaus > Nikolaus, Gerd > Gerhard, Toni > Anton, Gabi > Gabriele. Hilde > Hildegard*. შემოკლებული სახელები ოფიციალურად დაშვებულია. გერმანულში მოკლე და მოფერებითი სახელები არცთუ ისე ბევრია, როგორც, მაგალითად, სლავურ ენებში. კნინობით ფორმებს გამოხატავენ სუფიქსები: *-le, -lein, -chen: Peterle, Udolein, Susannchen*.

XII საუკუნემდე გერმანელებს მხოლოდ ერთი სახელი — ინდივიდუალური სახელი ჰქონდათ. პატარა სოფლებში ერთი სახელითაც იოლად გადიოდნენ. სოფლების გაზრდას შედეგად ის მოჰყვა, რომ ერთ სოფელში უკვე რამდენიმე ადამიანი ატარებდა ერთსა და იმავე სახელს. ცხოვრებამ იდენტიფიკაციისათვის დამატებითი სახელი მოითხოვა. პირადი სახელის გვერდით მეტსახელები გაჩნდა; ისინი ძირითადად პიროვნების მახასიათებლები იყო, მაგალითად, ერთი კონრადი ან „პატარა კონრადი“ (*den Klien Konrad*) იყო, მეორე — „მჭედელი კონრადი“ (*Konrad den Schmied*) გახლდათ. ყველა ინდივიდს თავისი საკუთარი მეტსახელი ჰქონდა. ზოგჯერ მეტსახელი სოციალური მდგომარეობის გამომხატველიც იყო: *Landbesitz* — „ქვეყნის, სოფლის მფლობელი“; *Steuerzahlungen* — „გადასახადების გადამხდელი“ და ა. შ. გერმანული ანთროპონიმების ისტორიაში შემდეგი ეტაპი მემკვიდრეობით სახელთა წარმოქმნა იყო. მეტსახელების მემკვიდრეობით გადაცემა XII საუკუნეში დაიწყო. ამ პროცესმა ინტენსიური ხასიათი XIII-XIV საუკუნეებში მიიღო, თუმცა XVII-XVIII საუკუნეების გერმანიაში ჯერ კიდევ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც გვარსახელი არ გააჩნდათ. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ გვარსახელი პირველად დიდგვაროვანთა და პატრიციათა შორის გაჩნდა.

გერმანულ გვარსახელებს სემანტიკის მიხედვით ხუთ ჯგუფად ყოფენ; ეს ჯგუფებია: **პროფესიული ტიპის გვარსახელები**

ბი; ბუნებრივია, ასეთი გვარსახელი წინაპრის პროფესიაზე მიუთითებს: *Fleischer* („ყასაბი“), *Schneider* („თერძი“), *Muller* („მენისქვილე“), *Becker* („ხაბაზი“), *Bauer* („მშენებელი“), *Fischer* („მეთევზე“). გვარი *Hammer* („ჩაქუჩი“) უდავოდ მჭედლის პროფესიაზე მიუთითებს; *Beil*-ის („ცული“, „ჩუგლუგი“) გვარის მატარებლის საფუძველჩამყრელი ხურო უნდა ყოფილიყო. გამოყოფენ **წარმომავლობის, სადაურობის აღმნიშვნელ სახელებსაც**. ასეთი გვარსახელები პირის ამა თუ იმ ადგილიდან ან რეგიონიდან წარმომავლობაზე მიუთითებს. ისინი ძირითადად ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასახლების შედეგად წარმოიქმნებოდა. ცალკე გამოყოფენ **ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ გვარსახელებს**, რომლებიც მისი მატარებლის საცხოვრებელ ადგილზე მიუთითებს. გერმანიაში ბევრია **მეტსახელისაგან წარმოქმნილი გვარსახელი**: *Gross* („დიდი“), *Klein* („პატარა“), *Long* („გრძელი“), *Dock* („სქელი“), *Bauch* („ლიპიანი“)... **პატრონიმული ტიპის გვარსახელებს** მიაკუთვნებენ იმ მემკვიდრეობით სახელებს, რომლებიც უშუალოდ ინდივიდუალური სახელებისგანაა მიღებული. თავდაპირველად იწერებოდა: *Friedrich, Gerhard Sohn* („ფრიდრიხი, გერჰარდის „შვილი“), *Gerhards Friedrich* („გერჰარდის ფრიდრიხი“). ისინი შემდეგ გვარსახელებად ჩამოყალიბდა: *Friedrich, Gerhard, Pater, Fritz, Klaus*.

შუა საუკუნეებში გერმანელებს გვარსახელები ჰქონდათ, მაგრამ XIX საუკუნემდე მათ შეეძლოთ მისი შეცვლა. გვარების დიდი ნაწილი სახელებისგანაა ნაწარმოები. ტრადიციულად დაქორწინების შემდეგ ქალი ქმრის გვარზე გადადის. გერმანული მემკვიდრეობითი სახელების დიდი ნაწილი ეტიმოლოგიურად გამჭვირვალეა.

დღეს გერმანიაში ყველაზე გავრცელებული 20 გვარსახელია: *Muller* („მენისქვილე“), *Schmidt, Schneider* („მკერავი“), *Fische* („მეთევზე“), *Weber* („მქსოველი“), *Meyer* („მეიჯარე“), *Wagner* („გაბედული“), *Becker* („მეპურე“), *Schulz* („სოფლის მამასახლისი“), *Hoffmann* („ქედმაღალი კაცი“), *Schafer* („მწყემსი“), *Koch* („მზარეული“), *Bauer* („გლეხი“, „მშენებელი“), *Richter* („მოსამართლე“), *Klein* („პატარა“), *Wolf* („მგელი“), *Schroder, Neumann* („ახალი კაცი“), *Schwarz* („შავი“), *Zimmermann* („ხურო“).

გერმანელები მიმართვისას შემდეგ სიტყვებს იყენებენ: *Herr* (ყველა მამაკაცისათვის), *Frau* (გათხოვილი ქალებისათვის),

Fraulein (გასათხოვარი ახალგაზრდა ქალებისათვის): *Herr Muller/Frau Muller/Fraulein Muller*.

II. 9. სკანდინავიელთა ანთროპონიმები

სკანდინავიელი ხალხები (შვედები, დანიელები, ნორვეგიელები, ისლანდიელები, ფარერელები) გერმანული ჯგუფის ენებზე ლაპარაკობენ. სკანდინავიელმა ხალხებმა დაახლოებით ერთსა და იმავე დროს მიიღეს კათოლიკური სარწმუნოება. **სკანდინავიელი ხალხების თანამედროვე ანთროპონიმული მოდელი ორწევროვანია, ოღონდ მათში ისლანდიელები განონაკლისები არიან.** თუ შვედებთან, ნორვეგიელებთან, დანიელებთან, ფარერელებთან პირველ ადგილზე ინდივიდუალური სახელი (ერთი ან ორი) დგას და მას უშუალოდ მოსდევს მემკვიდრეობითი სახელი, ისლანდიელებს, როგორც წესი, მემკვიდრეობითი სახელი არა აქვთ და, როგორც ათასი წლის წინათ, დღესაც ამ ხალხში პირველ ადგილზე დგას ინდივიდუალური სახელი (ერთი ან ორი), რომელსაც მამის სახელი მოსდევს.

ყველა ისლანდიური სახელი მიღებულია აპელატივისაგან. მათ უნიშვნელო რაოდენობას დღესაც გამჭვირვალე ეტიმოლოგია აქვს (მაგალითად, *Bjorn* — „დათვი“); ინდივიდუალურ სახელთა უმეტესობას კი შუა საუკუნეებში ქრისტიანობის მიღების შემდეგ დაეკარგა ეტიმოლოგიური მნიშვნელობა. ისლანდიაში ტრადიციულად ბავშვებს პაპისა და ბებუის სახელებს არქმევენ. ისევე, როგორც ევროპის სხვა ბევრ კათოლიკე და პროტესტანტ ხალხში, ისლანდიაშიც ახალდაბადებულს არქმევენ არა ერთ, არამედ ორ პიროვნულ სახელს. ცხოვრებაში, ჩვეულებრივ, ძირითადად პირველ სახელს იყენებენ, მეორე კი ერთგვარად „ჩრდილში“ რჩება, თუმცა კრიტიკულ სიტუაციებში (მაგალითად, მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში) შესაძლებელია პირველი დომინირებული სახელის სრული უარყოფა და მის ადგილზე მეორე სახელის დაყენება.

ისლანდიელთა ანთროპონიმულ მოდელში პირველ ადგილზე დგას ინდივიდუალური სახელი, მეორეზე — მამის სახელი ნათესაობით ბრუნვაში, რომელსაც ერთვის ვაჟიშვილისა და ქალიშვილის აღმნიშვნელი სიტყვები: *son* და *dottr*, რომლებიც ერთად იწერება, მაგალითად: *Gunnar Benediktsson, Sigridur Stefansdottr*. ისლანდიაში უგვარობა კანონმდებლობითაცაა გამყარებული. **1925 წელს მიღებულ კანონში პირდაპირ წერია,**

რომ „ჩვენს ქვეყანაში არავინ არ უნდა მიიღოს გვარსახელი“. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფაქტი — ისლანდიელთა ანთროპონიმულ მოდელში მემკვიდრეობითი სახელის არარსებობა — ქვეყნის ისტორიულ-კულტურული განვითარებითაა ახსნილი. ლიტერატურაში ისიც აღნიშნულია, რომ ისლანდიელი ხალხის ძირითადად მასას — გლეხობას არ სურდა მიეღო ისეთი „უცხოური სიახლე“, როგორცაა მემკვიდრეობითი სახელი.

ისევე, როგორც ევროპის სხვა ხალხებში, ისლანდიელთა შორისაც გავრცელებულია მოფერებითი, კნინობითი სახელები. მამაკაცთა სახელებში კნინობითობას *-i*, ქალებისაში კი *-a* სუფიქსები გამოხატავს: *Jon — Jonni, Jonsi, Margaret — Magga*. გათხოვებისას ისლანდიელი ქალები ინდივიდუალურ სახელსა და მამის სახელს არ იცვლიან. ისლანდიელზე თუ სხვა ქვეყნის მოქალაქე, ე. ი. გვარსახელის მატარებელი ქალი გათხოვდება, მაშინ მან აუცილებლად მემკვიდრეობითი სახელი ქმრის მამის სახელით უნდა შეიცვალოს. ისლანდიის ფარგლებს გარეთ კი ისლანდიელთა ანთროპონიმული მოდელი, უპირველეს ყოვლისა, იმ თვალსაზრისით იცვლება, რომ მამის სახელი ფორმდება გვარსახელად.

XVI საუკუნემდე სკანდინავიის დანარჩენ ხალხებსაც ისლანდიელთა ანალოგიური ანთროპონიმული მოდელი ჰქონდათ, ე. ი. ის შედგებოდა პიროვნული სახელისა და მამის სახელისაგან. დანიელების საკუთარი სახელი შედარებით ადვილად გამოსარჩევი იყო, რადგან მოდელის მეორე წევრი — მამის სახელი ბოლოვდებოდა *-sen*-ით, მაშინ როდესაც დანარჩენ სკანდინავიელთა მამის სახელს *-son* ემატებოდა. ინდივიდუალური სახელი კი ყველას ერთგვაროვანი ჰქონდა და ძალიან რთული იყო ამ თვალსაზრისით დანიელისა და შვედის გამორჩევა.

შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში ხშირად გვხვდება სრულიად სხვა ხასიათის ანთროპონიმები. საუბარია მეტსახელებზე, რომლებმაც ანთროპონიმული მოდელიდან მეორე ელემენტი, ე. ი. მამის სახელი გამოდევნა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამან ადამიანებს ინდივიდუალურობის ხაზგასასმელად უფრო მეტი საშუალება მისცა. შუა საუკუნეების წყაროებში სკანდინავიელთა სხვა ანთროპონიმული მოდელიც გვხვდება, რომელშიც მამის სახელი საცხოვრებელი ადგილის სახელწოდებითაა შეცვლილი, მაგრამ ისინი მემკვიდრეობით სახელებად არ ქცეულა, რადგან ასეთი სრული სახელი მხოლოდ კონკრეტული ადამიანისათვის იყო განკუთვნილი. შუა სა-

უკუნეების სკანდინავიაში გაბატონებული კლასების ანთროპონიმული მოდელი განსხვავდებოდა რიგითი ადამიანების ანთროპონიმული მოდელისაგან. აზნაურთა ინდივიდუალური სახელის წინ გამოიყენებოდა *Herr*, მაგალითად, *Herr Erik Johansson*, მაგრამ XVI საუკუნიდან აზნაურობას გაუჩნდა მემკვიდრეობითი სახელი. მათთვის მისაბაძი გერმანია გახდა, რომელსაც პირველად დანიაში მიჰბაძა. თავდაპირველად გვაროვნული მემკვიდრეობითი სახელები თავადაზნაურობას გაუჩნდა. **1526 წელს დანიის მეფის მიწერილობით აზნაურებს ურჩიეს გვაროვნული სახელების ოფიციალურად გაფორმება. დანიის მაგალითს მალე შვედეთმა მიჰბაძა.** აქ ეს პროცესი ძალიან ინტენსიურად 1650-იანი წლებიდან მიმდინარეობდა. აზნაურთა წრიდან გვარსახელები მალე ბიურგერთა წრეშიც, განსაკუთრებით კი მის სწავლულ ნაწილში გავრცელდა. ვინაიდან შუა საუკუნეების სწავლულთა ერთ-ერთი საზომი ლათინური ენის ცოდნა იყო, **ბიურგერთა შორის წარმოქმნილი მემკვიდრეობითი სახელები ლათინიზებული იყო**, მაგალითად, ნორვეგიული და დანიური საისტორიო მეცნიერების ფუძემდებლის — *ტ. ტორფეუსის (Torfaeus)* გვარსახელი შეიძლება დავასახელოთ. ლათინიზაციის მეორე ტიპის ნიმუშია დინამიტის ცნობილი გამომგონებლის — ინჟინერ *ნობელის* წინაპართა ქმედებაც, რომლებმაც XVII საუკუნეში თავიანთი სამშობლოს ტოპონიმის *Nobelou* ლათინიზაცია მოახდინეს და მიიღეს მემკვიდრეობითი სახელი *Nobbelius*. შემდგომში, XVIII საუკუნეში, როდესაც ლათინიზებული სახელები მოდიდან გამოვიდა, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ლათინური დაბოლოების ჩამოშორება. ამან *ნობელის* გვარსახელიც დაამოკლა.

მემკვიდრეობითი სახელების მასობრივი წარმოქმნა კაპიტალისტურ ურთიერთობათა აქტიური განვითარების ეპოქას უკავშირდება. გლახთა შორის მემკვიდრეობითი სახელების დამკვიდრება XIX საუკუნის დასაწყისში დასრულდა — მამის სახელები პირდაპირ გვარსახელებად გარდაიქმნა. **შვედეთში, ნორვეგიასა და ფარერებში მემკვიდრეობითი სახელები -son სუფიქსით ბოლოვდება, დანიაში — -sen-ით.** დანიაში მემკვიდრეობით სახელთა დაახლოებით 40% -sen სუფიქსით ბოლოვდება. რაც შეეხება ტოპონიმური ტიპის გვარებს, ისინი **-(l) üng** ფორმანტს ირთავენ.

შვედეთში დღეისათვის ყველაზე გავრცელებული გვარსახელი *Andersson*-ია (ამ გვარსახელის მატარებელი დაახლოებით

400 ათასი კაცია). 350 ათასზე მეტი კაცი ატარებს *Johansson*-ისა და *Karlsson*-ის გვარსახელებს. სკანდინავიის ხალხთა შორის უსუფიქსო გვასახელებიც გვხვდება, მაგალითად, შვედეთში 18 ათასამდე კაცი *Berg*-ის გვარისაა, *Lind*-ის გვარს ატარებს 15 ათასი კაცი, *Holm*-ისას — 13 ათასი, *Bjork*-სა და *Strom*-ს — ათი ათასზე მეტი.

XX საუკუნის დასაწყისში სკანდინავიის ქვეყნებში გადახედეს კალენდარული სახელების ნუსხას. შვედეთში ასეთი ჩამონათვალი 1901 წელს შემოიღეს. წინა ნუსხიდან ამ დროს ბევრი ნახევრად დავინწყებული სახელი ამოიღეს. მეცნიერები შენიშნავენ, რომ წმინდა სკანდინავიური სახელები აღნიშნულ ნუსხაში არცთუ ისე ბევრია: ქალის 135 სახელიდან მხოლოდ 30-ია სკანდინავიური, მამაკაცის 223 სახელიდან კი — 70. ფინეთში, სადაც სკანდინავიური გავლენა ტრადიციულად დიდი იყო, ეს შეხამება უფრო მაღალია. ფინურ კალენდარში ქალის 159 სახელიდან 52, ხოლო მამაკაცის 294 სახელიდან — დაახლოებით 90 სკანდინავიურია.

II. 10. კელტურენოვან ხალხთა საკუთარი სახელები

ირლანდიელები. თანამედროვე ირლანდიური ანთროპომნი-მული მოდელი ორწევროვანია, მაგალითად, *Patrick O'Brien, Maire MacShane*. ირლანდიაში ყველაზე გავრცელებული საკუთარი სახელებია წმინდანთა და ბიბლიის პერსონაჟთა სახელებია, რადგან კათოლიკური ეკლესია აქ განუსაზღვრელი გავლენით სარგებლობს და ბავშვებისთვის სახელის დარქმევა მისი პრეროგატივაა. განსაკუთრებით პოპულარულია ისეთი სახელები, როგორებიცაა: *John, Patrick, Michael, James, Thomas*, ქალთა სახელებიდან — *Mary*. ინგლისის პოლიტიკის შედეგად ძველი კელტური სახელები XVII საუკუნეში თითქმის გაქრა.

ირლანდიელთა მემკვიდრეობითი სახელი შედგება საკუთრივ გელური და ანგლო-ირლანდიური გვარსახელებისაგან. ირლანდიელებში გვარსახელები X—XI საუკუნეებში წარმოიქმნა. ამ დროს მოხდა საკუთრივ გელური მემკვიდრეობითი სახელების წარმოქმნა, რომლებსაც შეიძლება მივაკუთვნოთ თანამედროვე ირლანდიური გვარსახელები; ისინი იყოფა: (1) **პატრონი-მული ხასიათის გვარსახელებად**; პაპის სახელებისგან მომდი-

ნარეობს მემკვიდრეობითი სახელები, რომლებიც *O*-თი იწყება, სადაც ეს თავსართი „შვილიშვილს“ ნიშნავს — *o/ua* („შვილიშვილი“): *O'Kelly, O'Connor, O'Dunn* და სხვა. მამის სახელებისგან მომდინარეობს გვარსახელები, რომლებიც *Mac*-ით იწყება. გელურ ენაზე *mac* „შვილს“ ნიშნავს: *MacConsidine, MacLysaght, MacMahon, MacShone*. მართალია, გვარსახელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა *-Mac* თავსართით იწყება ისე, როგორც შოტლანდიაში, მაგრამ ირლანდიაში ძირითადად *Mc* იწერება; (2) ირლანდიაში ბევრია ისეთი მემკვიდრეობითი სახელი, რომლებსაც საფუძვლად ტოპონიმები აქვს: *Ardagh, Bray, Deasy*; (3) ირლანდიაში გვხვდება ალწერითი გვარსახელებიც: *Bane* („თეთრი“), *Begg* („პატარა“), *Crone* („ყავისფერი“), *Duff* („შავი“), *Gall* („უცხო“), *Glass* („მწვანე“). ანგლო-ირლანდიული გვიანდელი გვარსახელები ინგლისის კოლონიზაციასთანაა დაკავშირებული. აქ მიგრირებულმა ინგლისელებმა ინგლისური მემკვიდრეობითი სახელები მოიყოლეს თან. ისინი იყოფა საკუთრივ ინგლისური და ნორმანული წარმომავლობის გვარსახელებად. პირველ მათგანს ისეთი გვარსახელები მიეკუთვნება, როგორებიცაა: *Shaw, Abbot, Adams, Angew, Barrington, Linch*, მეორეს — *Costello, Fitzgerald, Power, Barry* და სხვა.

შუა საუკუნეებში, როდესაც ირლანდიური სეპტადან (*კლანი*) ახალი სეპტები განტოტდა, ერთნაირ მემკვიდრეობით სახელებს უმატებდნენ განმასხვავებელ სახელს, უფრო ხშირად კი ახლად გამოყოფილი სეპტის ფუძემდებლის სახელს. მაგალითად, მეფე კონორის შთამომავლებს X საუკუნეში უკვე ერქვათ *O'Connor Don*, განსხვავებით სხვა თვისტომთაგან — *O'Connor Roe*, რაც შენარჩუნდა მემკვიდრეობით სახელში, ზოგჯერ გვართა განაყოფები საერთოდ უკუაგდებდნენ ძველ მემკვიდრეობით სახელს. მაგალითად, *ო'ბრაიენების* შთამომავლები იწოდებოდნენ *MacConsidine*-ბად და *MacLysaght*-ებად. დღემდე კლერის საგრაფოში შემორჩენილია ჩვეულება — ორ ერთი და იმავე ინდივიდუალური და მემკვიდრეობითი სახელის მატარებელს დაუმატონ მამის სახელი, რის შემდეგაც მათი ანთროპონიმული მოდელი ასეთ სახეს იღებს: ინდივიდუალური სახელი+მემკვიდრეობითი სახელი+მამის სახელი, მაგალითად: *Patrick O'Brien John* და *Patrick O'Brien Michael*. ეს ანთროპონიმული მოდელი გვხვდება არა მხოლოდ ადგილობრივთა მეტყველებაში, არამედ ოფიციალურ დოკუმენტებშიც. ასეთი ანთროპო-

ნიმუში მოდელი ფართოდ იყო გავრცელებული XVII საუკუნემდე, რაც ჭეშმარიტად მოკლე გენეალოგიურ ნუსხას წარმოადგენდა, რადგან ინდივიდუალური, მემკვიდრეობითი, მამის სახელების გარდა, ინერებოდა არა ერთი პაპის, არამედ რამდენიმე პაპის სახელიც: *John MacMahon MacWilliam MacShane*.

შოტლანდიელები. ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, შოტლანდიაში შემორჩენილია ძველი გვარები. აქ **თავდაპირველი გვარი არ გამქრალა და თანდათანობით მოხდა მათი გვარსახელებად გარდაქმნა. დღესაც კი ერთი სოფლის მცხოვრებთ ერთი და იგივე გვარი აქვთ.** ბევრი შოტლანდიური გვარი იწყება სიტყვით *Mac* („შვილი“): *MacDonald*, რაც ნიშნავს დონალდის კლანის (გვარის) შვილს, *MacIntosh* — ბელადის, წინამძღოლის (*toschach*) შვილი, *MacPherson* – მღვდლის (*parson*) შვილი. მაგრამ, როდესაც ქალს ახსენებდნენ, *Mac*-ს *Nic* თავსართი ცვლიდა. *MacLevid* თუ ლევიდის კლანის შვილს ნიშნავს, *NicLevid* — ლევიდის კლანის ქალიშვილს. შოტლანდიელებში ბევრი ტოპონიმიზებული მემკვიდრეობითი სახელიც გვხვდება, რაც შოტლანდიურ საზოგადოებაში გვარსახელთა ჩამოყალიბების დროს მტკიცე ფეოდალური ნიშნების არსებობაზე მიუთითებს. **შოტლანდიური კლანური მემკვიდრეობითი სახელი ყოველთვის არ მიგვანიშნებს მათ სისხლისმიერ ნათესაობაზე, რადგან აქ მტკიცე იყო შვილად აყვანის წეს-ჩვეულება — ამოწყვეტილი კლანების გადარჩენილი წარმომადგენლები ხშირად იღებდნენ სხვა კლანების მემკვიდრეობით სახელს.**

უელსელები. შოტლანდიისა და ირლანდიისაგან განსხვავებით, უელსში კლანის სახელწოდებებს გვარსახელებად არ იფორმებდნენ. ისინი XVI საუკუნიდან გვარად იღებდნენ წინაპრის სახელს, რომელიც ხშირად ოთხი-ხუთი თაობის წინ ცხოვრობდა. უელსელების ანთროპონიმული მოდელი მაშინ ასეთი იყო: *David ap Richard ap Gwilliam (ap, ab* იყო *mab*-ის შემოკლებული ფორმა, რაც ვაჟიშვილს ნიშნავს). ქალიშვილებიც ასევე მამის სახელით იწოდებოდნენ, ოღონდ სიტყვას *ap* ამ შემთხვევაში ცვლიდნენ სიტყვით *ver* (*verch* — „ქალიშვილი“). ეს სისტემა XIX საუკუნეში გაქრა. უელსელთა გვარების უმეტესობა მამის სახელისგან მომდინარეობს.

II. 11. ბალტიელთა საკუთარი სახელები

ლატვიური ანთროპონიმები. მეცნიერებს შენიშნული აქვთ, რომ ლატვიელთა ყოფა-ცხოვრებაზე, ტრადიციებზე დიდი გავლენა მოახდინა იმ ეთნიკურმა კონტაქტებმა, რომლებიც მათ საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ხალხებთან (გერმანელებთან, პოლონელებთან, რუსებთან) ჰქონდათ. გამოთვლილია, რომ თანამედროვე ლატვიურ ენაში სლავური ენებიდან დაახლოებით 500 სიტყვაა შესული. მეზობელ ხალხებთან კონტაქტები განსაკუთრებით ლატვიურ ანთროპონიმიაში აისახა, მიუხედავად იმისა, რომ გვარსახელები ამ ხალხში საკმაოდ გვიანდელი — XIX საუკუნის 20-30-იან წლებშია წარმოქმნილი.

ლატვიელთა საკუთარ სახელებში გამოყოფენ ქრისტიანობამდელ ლატვიურ სახელებს, რომლებიც XX საუკუნეში იქნა გაცოცხლებული. ამ სახელების უმეტესობა გამჭვირვალე ლატვიური სახელებია: *Ziednis* („გაზაფხული“), *Ausma* („განთიადი“), *Mirdza* („ელვარება“), *Dzintars* („იანვარი“), *Centis* („მუყაითი“), *Ilga* („ოცნება“), *Laimonis* („ბედნიერება“), *Vizbulite* („თეთრყვავილა“), *Maiga* („ნაზი“). გვხვდება ლატვიური მითოლოგიიდან მიღებული სახელებიც (მაგალითად, *ლაიმა* — ბედნიერების ქალღმერთია); ბევრია ნასესხები საკუთარი სახელები. ნასესხები სახელებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანული, პოლონური და რუსული სახელები. ნასესხები რუსული სახელები ძირითადად XIII საუკუნიდან გავრცელდა, რაც ქრისტიანობის მიღებით იყო განპირობებული. ლატვიელთა შორის განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება გერმანული წარმოშობის გვარსახელები; აუცილებლად უნდა დავასახელოთ აგრეთვე სლავური, ლიტვიური, ფინურ-უგრული წარმოშობის გვარებიც. პოლონური და რუსული ნასესხობები გვარების სუფიქსებითაც კარგად ჩანს (*-სკის*, *-იჩს*, *-ოვს*). სხვათა შორის, 1940-იან წლებში ლატვიელებმა გვარსახელების ერთგვარი უნიფიცირებაც მოახდინეს და ბევრი მათგანი *-იან* სუფიქსით გააფორმეს. საერთოდ, ლატვიური გვარების არსებობის ისტორია სულ რაღაც 180 წელს ითვლის და ამ ხალხში მისი წარმოქმნა ერის კონსოლიდაციის პერიოდს, ლატვიური ლიტერატურული ენის ფორმირებას ემთხვევა.

ლატვიური ანთროპონიმული სისტემა ორწევროვანია, ე. ი. შედგება პირადი სახელისა და გვარსახელისაგან, მაგალითად, *იანის კალნინში* (მამაკაცი) და *მირდუა ოჟოლა* (ქალი). საბჭოთა პერიოდში პიროვნების დამადასტურებელ ოფიციალურ იური-

დიულ დოკუმენტებში იდენტიფიკაციისათვის მამის სახელი ინერებოდა ნათესაობით ბრუნვაში, მაგალითად, *არტურს პეტერა დ. კალნს* — „არტურს, შვილი პეტერის კალნს-ის“, *ელზა კარლა მ. ლიეპა* — „ელზა, ქალიშვილი კარლის ლიეპასი“.

იმის გამო, რომ ლატვიელები ძირითადად ლუთერანები არიან (გვხვდება კათოლიკეებიც), მშობლები სახელის შერჩევისას ერთგვარად თავისუფალნი იყვნენ, რადგან პროტესტანტებს კანონიკური სახელები არ გააჩნიათ. ლატვიელებს ჰქონდათ როგორც ტრადიციული, ისე შეთხზული, გამოგონებული პირადი სახელები. დაბადების მონუმობაში ხშირად ოფიციალურ სახელად სახელის ნაწარმოებ ფორმასაც წერდნენ. კათოლიკურ ლატვალეში კი სხვაგვარი ვითარება გვქონდა. ბავშვს სახელი ნათლობისას ერქმეოდა მკაცრად განსაზღვრული კანონიკური სახელების ნუსხიდან.

ლიტვური ანთროპონიმები. თანამედროვე ლიტვური გვარსახელები გენეტიკური თვალსაზრისით დიდი სიჭრელით გამოირჩევა. საკუთრივ ლიტვურ ენასთან მხოლოდ გვარსახელთა 30%-ია დაკავშირებული, დანარჩენ მემკვიდრეობით სახელებს კი უცხოენოვანი (გერმანული, სლავური...) ძირები აქვს. ლიტვაში ქრისტიანობა XIV საუკუნეში გავრცელდა და ამ დროს მოხდა ლიტვური სახელების ქრისტიანული ანთროპონიმებით ჩანაცვლება. კანონიზებული ქრისტიანული სახელები კი ლიტვურ გვარსახელებს დაედო საფუძვლად. ბევრი ლიტვური პიროვნული სახელი მიღებულია საეკლესიო სახელების შემოკლებით. ასეთი ე. წ. ანთროპონიმები ხშირად იქმნებოდა მეზობელ ხალხთა ენებში და ისე შემოდიოდა ლიტვურ ენაში. მაგალითად, ინდივიდუალური სახელისაგან *Juorapes* (იოსები) 90-მდე გვარსახელია მიღებული, *Simonasi*-საგან (სიმონი) დაახლოებით — 180. ლიტვურ ენას არაერთი დიალექტი აქვს, ამიტომ ბევრ გვარსახელს, ოფიციალურ (ლიტერატურულ) ფორმასთან ერთად, დიალექტური ვარიანტებიც აქვს. გვარსახელები ნაწარმოებია *-aitis*, *-imas*, *-nys*, *-ius* ფორმანტებით: *Petra-aitis* და სხვ.

ლიტვურ ენაში სხვადასხვა სუფიქსს დაერთავს მამაკაცის, მისი ცოლისა და ქალიშვილის გვარები. ქმრის გვარსახელს ურთავენ *-iene* სუფიქსს, ხოლო მამის გვარს *-aite*, *-yte*, *-ute* სუფიქსებს, მაგალითად, მამაკაცის გვარი გამოითქმის როგორც *ბრაზაუსკასი*, ცოლისა — *ბრაზაუსკენე*, ქალიშვილისა — *ბრაზაუსკიტე*. შესაბამისად, *ბალუკონისი* (კაცი), *ბალუკონენე* (ცოლი), *ბალუკონიტე* (ქალიშვილი); *საბონისი* (კაცი), *საბონინე* (ცოლი),

საბონიტე (ქალიშვილი); ბუტრიმასი (კაცი), ბუტრიმიენე (ცოლი) და ბუტრიმაიტე და ა. შ.

II. 12. აღმოსავლეთსლავური (რუსული, უკრაინული და ბელორუსული) საკუთარი სახელები

ძველი რუსული ანთროპონიმია თავდაპირველად მხოლოდ პირადი (ინდივიდუალური) სახელებისაგან შედგებოდა; სახელთა უმეტესობა საზოგადო სახელებს „იმეორებდა“ (*ვოლკი, ჟდანი, დობრინია*). ადამიანის გარეგნობის გამომხატველი სახელები იყო: *მალი, ბელი, კოსოი, რიაბოი, კუდრიაში, შერშინი*. ხასიათის ნიშან-თვისებებისაგან მომდინარეობდა: *დობრი, ხრაბრი, გორდი, მოლჩანი, ბაიანი, დურაკი*. დაბადების მიხედვით თანამიმდევრობის აღმნიშვნელი იყვნენ: *პერვი, ვტოროი, ვტორიშკა, დრუგანი, ტრეტიაკი, ჩიტერი, ჩეტვერტუნია, ჩეტვერტიონოკ, პიატოი, პიატიშ, პიატოკ, შესტიორკა, სემოი, სიომკო, სემუშა, დევიატოი, დევიატკა, ჟდანი, ნეჩაი, მენშაკა, სტარშოი, პოჩინოკ*. რუსებში ბუნებრივი მოვლენების ამსახველი სახელებიც ბევრი იყო: *იარეცი* (გაზაფხულზე დაბადებული), *ჟარი* (სიცხის დროს დაბადებული), *პოსტნიკი* (მარხვის დროს დაბადებული), *მეტელიცა* (ქარბუქის დროს დაბადებული), *გროზა* (ჭექა-ქუხილის დროს დაბადებული). *მეტელიცასა* და *გროზას* ძველად დამცავი ფუნქციაც ჰქონდა. ახალშობილის გარეგნობის მახასიათებლებს წარმოადგენდნენ სახელები *ბელიაი, ჩერნუხა, უგოლიონოკ*. ძველ რუსულ სახელებს შორის ცოტა არ იყო ფინურ-უგრული, თურქული და სხვა ენებისაგან ნასესხები სახელები. ძველი სლავები პიროვნულ სახელებად ცხოველების, ფრინველების, მცენარეების, სხვადასხვა საგნების სახელწოდებებსაც იყენებდნენ: *ვოლკ, მედვედ, სოლოვეი, ყუკ, ორიოლ, შჩუკა, დუბ, ბერიოზა* და სხვა. სახელი *ვოლკ* დიდხანს იყო ყოფაში. ჯერ კიდევ XV საუკუნეში ის ჩვეულებრივი სახელი იყო და არავის აოცებდა. მას არა მხოლოდ უბრალო ადამიანები, არამედ ზედა ფენის წარმომადგენლებიც ატარებდნენ, რომლებსაც მაღალი თანამდებობები ეკავათ. ისტორიიდან ცნობილია, რომ 1492 წელს მოსკოვიდან ვენაში გაგზავნეს გამოცდილი დიპლომატი *ვოლკ კურიცინი*. შემდეგში ეს სახელი თანდათან დავიწყებას მიეცა; *ვოლკის* გავრცელებას გვარსახელი *ვოლკოვიც* ადასტურებს. მგლისა და, საერთოდ, ცხოველების აღმნიშვნელი სახელი მსოფლიოს ბევრ ხალხში იყო გავრცელებული, რაც სა-

ზოგადო სახელთა პიროვნულ სახელებად გამოყენების ინტერ-
ნაციონალური ხასიათით აიხსნება. სერებში სახელი *ვოლკ*
ჟღერს როგორც *ვუკ*; გერმანულ ენაში ის რამდენიმე სახელის
(*ვოლფგანგი*, *ადოლფი*, *რუდოლფი*. *ვოლფგანგ* „მგლის გზას“
აღნიშნავს, *ადოლფ* — „მადლიერი მგელი“, *რუდოლფ* — „წითე-
ლი მგელი“) ნაწილს წარმოადგენს. ისინი ძველ ევროპულ ენებ-
შიც გვხვდება: გუთურში — *ულფი* ან *ვულფი*, ლათინურში —
ლუპუსი. სხვათა შორის, ლათინური *ლუპუსისგანაა* მიღებული
სახელი *ლუპი*.

პირველი წერილობითი ძეგლებიდანვე ამკარაა, რომ რუსუ-
ლი ანთროპონიმები სოციალური ხასიათისა ც იყო. მმართველი
ზედაფენის სახელებიდან შეიძლება დავასახელოთ სკანდინავი-
ური წარმოშობის სახელები: *ოლეგი*, *ოლგა*, *იგორი* და სხვა, მაგ-
რამ ზედაფენაში მეტადრე ორი ფუძისაგან შედგენილი სახელები
იყო გავრცელებული. ქრონიკაში ასეთი შედგენილი სახელები
თავადურ სახელებადაა მოხსენიებული. ასეთ სახელთა შე-
მადგენელ კომპონენტებს -სლავი და -მირი წარმოადგენდა: *სვი-
ატოსლავი*, *მტისლავი*, *ბორისლავი*, *ბრიაჩისლავი*, *ბუესლავი*,
ესესლავი, *დობროსლავი*, *იზიასლავი*, *როსტისლავი*; *ვლადიმირი*,
ლიუბომირი, *რადომირი*, *დოროგომირი*, *მეჟამირი*. ზოგიერ-
თი ეს სახელი დროთა განმავლობაში ერთგვარად შემოკლდა,
მაგალითად, *ბორისლავისაგან* მიღებულ იქნა *ბორისი*, *ვლადი-
მირისაგან* — *ვადიმი*, *ლიუბომირისაგან* — *ლიუბიმი*, *მილონე-
ვისაგან* — *მილონი*, *მირონევისაგან* — *მირონი*.

ძველ რუსულ წერილობით ძეგლებში იშვიათად არის დასა-
ხელებული ქალის სახელები. ქალის ძველი სახელებიც „მდა-
ბიო“ და „ნარჩინებულ“ სახელებად იყოფოდა. „უაზნო“ სახე-
ლებს შორის შეიძლება დავასახელოთ *ვოლუბა*, *დობრავა*, *ჟდა-
ნა*, *ზაბავა*, *ლებედი*, *ლიუბავა*, *მალუშა*, *მილავა*, *ნეჟდანა*, *ნეკ-
რასა*, *ნესმეიანა* და სხვა. დიდებულთა სახელები იყო: *ბოლის-
ლავა*, *ვერხოსლავა*, *გორისლავა*, *დობროგნევა*, *ზვენისლავა*,
პრედსლავა, *როგნედა*. *დობროგნევა* ნიშნავს „კეთილს“, *ზაბავა*
— „ხალისიანს“, „ცქვიტს“, „ყოჩაღს“, *მილავა* — „საყვარელს“.
ქალის სახელებს შორის გვხვდებოდა ისეთი სახელებიც, რომ-
ლებიც მამის სახელის მიხედვით იყო ნაწარმოები, მაგალითად,
ძველი რუსული ეპოსის გმირია *იაროსლავნა*. ზოგიერთი სახე-
ლი ქმრის სახელისაგან იყო მიღებული — ისტორიაში ცნობილი
არიან ნოვგოროდელი *ზავიჟაია* და *პოლიუჟაია*; ისინი *ზავიდასა*
და *პოლუდას* ცოლები იყვნენ. ქალის ძველრუსულ სახელთაგან
გვიანობამდე მოაღწია *კრასოვამ*.

ძველ რუსეთში სუფიქსიანი (-ილო, -იატა) სახელებიც იყო გავრცელებული: *ტომილო*, *ტვერდილო*, *პუტილო*, *გოსტიატა*, *პუტიატა* და სხვა.

ისევე, როგორც სხვა ხალხებში, რუსებშიც ძველთაგანვე ვრცელდებოდა უცხო სახელები. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **პირველი უცხოენოვანი სახელები აღმოსავლეთ სლავებში ნორმანებმა (ვარიაგებმა) IX საუკუნეში შემოიტანეს**. მართალია, ვარიაგები მალევე გარუსდნენ, რადგან ისინი მცირერიცხოვანნი იყვნენ, მაგრამ მათ მიერ შემოტანილი სახელები შთამომავალთა მეხსიერებას დიდხანს შემორჩა; ესენია: *რიურიკი*, *სენეუსი*, *ტრუვორი*, *ასკოლდი*, *დირი*, *იგორი*, *ოლეგი*, *ოლგა*. *ოლეგისა* და *ოლგას* საფუძველს წარმოადგენს გერმანული ზედსართავი *ჰელ*, რაც ნიშნავს „ნათელს“. ვარიაგები თავდაპირველად მათ გამოთქვამდნენ როგორც *ხელგლ*-ს და *ხელგლა*-ს. რუსთა შორის ორივე სახელმა მნიშვნელოვნად იცვალა სახე — თავდაპირველად ისინი ასე ჟღერდა: *აღვ* და *ელგა*, შემდეგ კი — *ოლეგი* და *ოლგა*. დღეს ეს სახელები, რათქმა უნდა, წმინდა რუსულია, რადგან ასეთი სახით არც გერმანელებსა და არც სკანდინავიელებში, ბუნებრივია, არ გვხვდება. ამავე აზრობრივი დატვირთვისაა რუსეთში შემდეგ გავრცელებული სახელები. რუსულ ენობრივ საფუძველზე წარმოიქმნა *სვეტლანი* და *სვეტლანა*, *იაროსლავი* და *იაროსლავა*, ბერძნული — *ლენა*, *ალიონა*, *ეკლამპია* და *ეკლამპი*, ლათინური — *ალბინა*, *ლუკა*, *ლუკერია*, *ლუკია*, *ლილია*, *ლიუცია*, ძველებრაული — *ავენირი*, *სუსანა* და ზოგიერთი სხვა.

ბიზანტიიდან რუსეთში ქრისტიანობის გავრცელებამ (988 წელი) კანონიკური ქრისტიანული სახელების გავრცელება გამოიწვია. ბიზანტიიდან გავრცელებული სახელები, მართალია, ბერძნულ სახელებად იწოდება, მაგრამ მათ შორის გვხვდება ძველებრაულიც, ძველევგვიპტურიც, წინააზიურიც (მაგალითად, სირიული). ქრისტიანობის მიღების შემდეგ კანონიკური სახელები მხოლოდ სასულიერო პირების თანდასწრებით ან ოფიციალურ დოკუმენტებში გამოიყენებოდა, ჩვეულებრივ ცხოვრებაში კი რუსები კვლავ აგრძელებდნენ ძველი, ქრისტიანობამდელი სახელების გამოყენებას. ბოლო დრომდე რუსები ძველ რუსულ სახელებს ვერ შეეღივნენ. ამან კი ორსახელიანობის გავრცელება გამოიწვია: ერთი სახელი ნათლობის, ეკლესიის მიერ დარქმეული სახელი იყო, მეორე — „საერო“, ხალხისა და მშობლების მიერ დარქმეული. ორივე სახელი ხანგრძლივი დროის განმავლობაში თანაბარი უფლებებით სარგებლობდა და

ოფიციალურ დოკუმენტებსა და ქრონიკებში ფიქსირდებოდა. მაგალითად, 1096 წლის ლავრენტიევის მატეანეში საუბარია თავადზე, რომელიც „ნათლობით ვასილი და რუსული სახელით ვლადიმირი“ იყო. ძალიან დიდხანს იყენებდნენ არასაეკლესიო სახელებს: *ჟდანი, ნეჟდანი, ისტიომა, ტომილო, მილვა* (ქალისა). XV—XVII საუკუნეების ოფიციალურ დოკუმენტებში უხვად დაფიქსირებული არასაეკლესიო სახელები მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ მათ კვლავ „ავი სულების“ მოსატყუებლად არქმევდნენ. საბუთებში მღვდელიც კი არის მოხსენიებული, რომელსაც *ისტომბა* ერქვა. 1612 წლის კინეშემსკის მაზრის მემამულეების ჩამონათვალში გვხვდება: *ჟუკ სო(ა)ფონოვი, ტომილო ნოვოპრიხოდეცი, ნეპოროდკო ოსიპოვი, ბესონკო ფროლოვი*. 1578 წლის ტულის მაზრის აღწერის დავთარში მემამულეების 18%-ზე მეტს არასაეკლესიო სახელი ერქვა. XV საუკუნიდან „საერო“ სახელები მეტსახელებად (ზედწოდებებად) იქცა. თავდაპირველად მეტსახელს ირონიული მნიშვნელობა არ ჰქონია; ეს მნიშვნელობა მან გვიან შეიძინა.

XVII—XVIII საუკუნეების მიჯნაზე, პეტრე პირველის დროს, ხელისუფლებამ არასაეკლესიო სახელები ოფიციალურად აკრძალა. XVII—XIX საუკუნეებში მკვეთრად, თითქმის ოთხჯერ, გაიზარდა კალენდარულ სახელთა რაოდენობა. ამის მიზეზი ის იყო, რომ თავის დროზე საეკლესიო სახელები ნაკლები ინტენსივობით ვრცელდებოდა და რუსები ძნელად ელეოდნენ ძველ რუსულ ინდივიდუალურ სახელებს. XIX საუკუნის შუა ხანებში გადახედეს კალენდარულ სახელთა სიას და აღმოჩნდა, რომ ბევრი წმინდანის სახელი მასში შეტანილი არ იყო. საბოლოოდ კანონიკურ სახელთა სიაში მამაკაცის 900 და ქალის 250 სახელი შეიტანეს.

რუსული ანთროპონიმებისათვის დამახასიათებელია ქალისა და მამაკაცის შეწყვილებული სახელები: ქალის სახელები მამაკაცის სახელებისგანაა მიღებული და პირიქით. სხვადასხვა კალენდარში 150-ზე მეტი ასეთი შეწყვილებული სახელია შეტანილი: *ელენი და ლენა, ლოტი და ლოტა, მარტინი და მარტინა...* კანონიკური სახელები შეივსო ქართული სახელებითაც (*ნინა, თამარა, ბიძინა, შალვა, ელიზბარი, ქეთევანი*). კაცისა და ქალის სახელებს შორის დისპროპორცია რუსეთის ისტორიის ყველა პერიოდში შეინიშნება. საერთოდ, ეს საყოველთაო მოვლენა იყო. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ქალის სახელები ძალიან იშვიათად და შეზღუდულად ხვდებოდა აღწერის დავთრებსა და დოკუმენტებში. მათ საფუძველზე შედგენილ ნ. ტუპიკოვის „ძველ-

რუსული სახელების ლექსიკონში“ მამაკაცის 5300 და ქალის მხოლოდ 50 სახელია შეტანილი.

ბიზანტიიდან გავრცელებული ქრისტიანული სახელები წმინდანთა სახელებია. თავიდანვე პოპულარული იყო ისეთი ძველბერძნული სახელები, როგორებიცაა: *ანდრეი*, *ალექსანდრე*, *ვასილი*, *ლენა*, *ირინა*. რუსეთში გავრცელებულ ლათინური წარმომავლობის ქრისტიანული სახელებიდან შეიძლება დასახელდეს *სერგეი*, *კონსტანტინე*, *ტატიანა*, *მატრონა*, წინააზიური (ძველებრაული, არამეული, სირიული) სახელებიდან კი პოპულარული იყო *ივანე*, *ფომა* (=თომა), *მარია*, *ანა*. იმის გამო, რომ რუსეთში ქრისტიანული სახელები საშუალო ბერძნული ენიდან შემოდინდა, ისინი ოდნავ იცვლიდა სახეს: *ბარბარა ვარვარას* ფორმით გავრცელდა, *ლავრენცი* — *ლავრენცისა*. საერთოდ, უცხოენოვანი სახელები რუსულ ენაში მნიშვნელოვანი ცვლილებით შევიდა; ეს განსაკუთრებით ბერძნულ და ლათინურ ფორმანტებს შეეხო — *ნიკოლაიოს* და *პაულოს* ტრანსფორმირებულ იქნა როგორც *ნიკოლაი* და *პაველ*. *იოაკიმი* აკიმად იქცა, *იუსტინე* — *უსტინიად* და ა. შ. მიიჩნევენ, რომ ბერძნული სახელების გავრცელებამ განაპირობა ფ ბგერის გამოჩენა, რომელიც აქამდე რუსულისათვის უჩვეულო და უცხო იყო: *ფედორ* (*თევდორე*), *ტიმოფეი* (*ტიმოთე*), *ფეკლა* (*თეკლე*), *ფილიპ*, *ტრიფონ*, *სოფია*... საუკუნეების განმავლობაში ბევრი სახელის ყოველდღიური ფორმა მკვეთრად დაშორდა კანონიკურ ფორმას: *ავდოტია* — *ევდოკია*, *აკსინია* — *კსენია*, *არინა* — *ირინა*, *აკულინა* — *აკილინა*, *ეგორ* — *გეორგი*, *ოსიპ* — *იოსიფ*, *გავრილო* — *გავრილ* და ა. შ. მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა სიტყვის დასაწყისში არსებულმა ორ- და სამხმოვნოებმა სახელმა: *იოანე* — *ივანე*, *იოაკიმი* — *აკიმი*, *იულიანია* — *ულიანა* და ა. შ. ბერძნული სახელი *გეორგოს* („მინათმოქმედი“) სლავურ ენაში *გეორგის* სახით შევიდა. რუსულ ენაში მისგან რამდენიმე ვარიანტი წარმოიქმნა: *გიურგი*, *იურგი*, *იური*, *ეორგი*, *ეგორი*... ახლა კი, იურიდიული თვალსაზრისით რუსულში *გეორგისგან* მიღებული სამი თანაბარმნიშვნელოვანი სახელია გავრცელებული: *გეორგი*, *იური*, *ეგორი* (საერთოდ, ქრისტიანულმა სახელებმა არა მარტო რუსულ ენაში იცვალა ფორმა, არამედ ყველა ენაში, მაგალითად, *იოსები* რუსულ ხალხურ ენაში გამოითქმის როგორც *ოსიპი*, ლიტერატურულ ენაში — *იოსიფი*. სერბისთვის *იოსები* *იოსიპია*, ჩეხისათვის — *იოსეფი*, უნგრელისათვის — *იოჟეფი*, გერმანელისათვის — *იოზეფი*, პოლონელისათვის — *იუზეფ*, არაბისათვის — *იუსუფი*, ფრანგისათვის — *ჟოზეფი*,

ესპანელისათვის — *ხოსე*, იტალიელისათვის — *ჯუზეპე*, ინგლისელისათვის — *ჯოზეფი*).

რუსული ანთროპონიმული მოდელის განუყოფელი ელემენტია მამის სახელიც. გვარსახელის წარმოქმნამდე რუსეთში პიროვნების იდენტიფიკაცია ძირითადად მამის სახელით ხდებოდა. მამის სახელი პირველივე წერილობით ძეგლებშია დადასტურებული. თავდაპირველად ის სიტყვა *სინ* (*сын*)-თან ერთად იწერებოდა: *სინ იზიასლავლ*, *სინ დობრინ*, *სინ ლაზარევ*, *სინ ივანოვ*, *სინ ილინ*. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში *სინ*-თან ერთად *-ევ*, *-ოვ*, *-ინ* სუფიქსებიცაა გამოყენებული. თავადთა წრისათვის კი უმეტესად *-იჩ* სუფიქსი იყო დამახასიათებელი. XII საუკუნის შემდეგ *სინ* (*сын*) ქრება.

რუსულ ანთროპონიმიაში მემკვიდრეობითი სახელი — გვარსახელი საკმაოდ გვიანაა წარმოქმნილი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, მას საფუძველი საკმაოდ გვიან, XVI საუკუნეში ეყრება, თუმცა ამ დროს ის საყოველთაო მოვლენა არ ყოფილა. XVI-XVII საუკუნეების რუსული ანთროპონიმული მოდელისათვის დამახასიათებელია მკვეთრი სოციალური გამიჯვნა. ბოიარის სრული საკუთარი სახელი სამწევროვანი იყო: ინდივიდუალური საეკლესიო ან არასაეკლესიო სახელი+მამის სრული სახელი *-ვიჩი* ფორმანტით+გვაროვნული სახელი. სამი კომპონენტიდან ნებისმიერს ხშირად პაპის სახელიც ერქმეოდა. საშუალო ფენა (მემამულეები, ვაჭრები) ისევ ტრადიციული, ორწევროვანი ფორმულის ერთგულნი იყვნენ. ის მხოლოდ საეკლესიო ან არასაეკლესიო პირადი სახელისა და მამის სახელისაგან შედგებოდა. მამის სახელს, ჩვეულებრივ, თან *-ოვ*, *-ევ* და *-ინ* სუფიქსები ახლდა. ვინაიდან ძალიან ძნელი იყო „*მიხაილო ივანოვ სინ*“ მოდელით პირის იდენტიფიკაცია, ამიტომ ხშირად მას მამის მეტსახელსაც (პროზვიშიჩა, რუს. прозвище) უმატებდნენ: *კოსოი*, *ბოლშოი*, *ბულგაკ*, *ბუზირ* და ა. შ. XVI საუკუნის დოკუმენტში გვხვდება სხვადასხვა პირი: *მიხაილო ივანოვ სინ ბულგაკოვ* და *ბორის ივანოვ სინ პერეპეჩინ*. ამ სიტყვაშეერთებაში *ბულგაკოვი* და *პერეპეჩინი* ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ მემკვიდრეობით სახელებს. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ იმავე წიგნში დასახელებულ, აღნიშნულ აზნაურთა შვილებს არ უწერიათ *ბულგაკოვი* და *პერეპეჩინი*.

მსხვილი ცენტრალური სახელმწიფოს შექმნამ, მომსახურეთა ფართო ფენის გაჩენამ, მათ მიერ მინის მფლობელობამ გვარსახელების აუცილებლობა განაპირობა, რომელიც ოჯახის

ყველა წევრის სავალდებულო სახელი იყო და მომდევნო თაობას გადაეცემოდა. გვარსახელები (ფამილია, რუს. фамилия) უმეტეს შემთხვევაში პაპის სახელისგან ან მამის მეორე მეტსახელისგან წარმოიქმნებოდა. **ზედაფენისათვის გვარსახელი საყოველთაოდ მხოლოდ XVII საუკუნის ბოლოს იქცა. მოსახლეობის მთელი დანარჩენი მასა მხოლოდ ინდივიდუალური სახელით იწოდებოდა** და ეს პირადი სახელი აუცილებლად -კა ფორმანტით ბოლოვდებოდა (*ვასკა, ანკა*). ამავე დროს სახელდებაში ხშირად რომელიმე დამატებითი კომპონენტიც შედიოდა დასაქმებულობისა და დაბადების ადგილის მითითებით. მეცნიერებს დათვლილი აქვთ, რომ 1678 წლის იაროსლავლის აღწერაში მამაკაცთა სახელდებისას 30 სხვადასხვა კომბინაციაა გამოყენებული; უფრო ჭრელი სურათი იყო ქალთა სახელდებისას.

პეტრე I-ის რეფორმამ დააზუსტა და დაამკვიდრა წოდებრივი ანთროპონიმული ნორმები: საეკლესიო, კანონიკური სახელების აუცილებლობა, პრივილეგირებული ფენისათვის სამწევროვანი მოდელი, რომელშიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო მამის სახელი -ვიჩ სუფიქსით. XVIII საუკუნის ბოლოს მამის სახელის ამ ფორმით ჩანერა ყველა აზნაურზე გავრცელდა. XIX საუკუნის შუა ხანებისათვის გვარსახელმა (фамилия) მთლიანად მოიცვა სამღვდელოება, ვაჭრები, რაზნოჩინელები. სახელმწიფო გლეხებში (განსაკუთრებით ჩრდილოეთსა და ციმბირში) გვარსახელი XVIII საუკუნიდანაა დადასტურებული, მოსახლეობის დანარჩენი მასისათვის — ყმა გლეხებისათვის გვარსახელი არ იყო დამახასიათებელი, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ მსჯელობაა ე. წ. „ქუჩის“ გვარსახელებზე. ზოგიერთი ავტორის მიხედვით, ისინი ოფიციალურად ცნობილი არ იყო და სიმდგრადით გამოირჩეოდა. **რუსეთის გლეხობისათვის გვარსახელი, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, მასობრივი მხოლოდ 1861 წლის შემდეგ გახდა.** ისინი უმეტესად გლეხთა მამისა და პაპის მეტსახელებისაგან (прозвище) წარმოიქმნა, რომელსაც უკვე ჩინოვნიკები აღწერებში აფიქსირებდნენ, თუმცა ბევრ დოკუმენტში გვარსახელი კვლავ არ ფიქსირდებოდა.

ლიტერატურაში საინტერესო ფაქტია მოყვანილი ჩაბაევის გვარის შესახებ. ლაპარაკია სამოქალაქო ომის გმირად შერაცხულ ვასილ ჩაბაევის გვარსახელზე. 1861 წლის რეფორმამდე მისი წინაპარი გლეხი ყოფილა, რომელიც დაქირავებულ მუშად იქცა. მას მემკვიდრეობითი სახელი არ ჰქონია. მუდმივი გვარ-

სახელი ვასილ ჩაპაევის პაპას მიუღია. მოხუცებული მუშაობდა ხან მეეტლედ, ხან ხე-ტყის დაცურებაზე. შემდეგ ის ვოლგელი ხე-ტყის დამცურებლებმა არტელში „უფროსის“ თანამდებობაზე აირჩიეს. მორების გადმოტვირთვის ან დახარისხების დროს მას უყვარდა არტელის ზანტი თანამშრომლებისათვის შექცაბა: „ჩაპ! ჩაპაი!“, ე. ი. „გამოსდე ბარჯს!“, „არ გაუშვა!“ ეს შექცაბილი მისთვის მეტსახელის (პროზვიშჩეს) — ჩეპაი, ჩაპაი — შერქმევის მიზეზი გამხდარა. ის კი მოგვიანებით მისი შვილის ოფიციალური გვარსახელის ფუძედ იქცა. საერთოდ, გვარსახელის შესახებ რაიმე კანონი არც არსებობდა; მხოლოდ ადმინისტრაციული განკარგულება მოქმედებდა. ცარიზმის დამხობამდე მთელი რუსული მოსახლეობა მემკვიდრეობითმა სახელმა მაინც ვერ მოიცვა. ხშირია შემთხვევა, როდესაც დოკუმენტებში ესა თუ ის რუსი ჩაწერილია „გვაროვნულობის, ნათესაობის არმცოდნედ“. ამ მასას ძირითადად უკანონოდ შობილნი და ერთი ადგილიდან მეორეზე მოხეტიალეები და ლტოლვილები წარმოდგენდნენ.

საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება ზოგიერთი რუსული გვარის წარმოქმნის შესახებ: საქმე ეხება „არისტოკრატიულ“ გვარებს, რომლებიც ნაწარმოებია -სკი და -ცკი ფორმანტებით, მაგრამ მათი მატარებელნი სრულიადაც არ ყოფილან დიდებულთა, აზნაურთა გვარის წარმომადგენლები. თავიანთი გვარები მათ მიიღეს მამებისა და პაპებისგან, რომლებიც დიდებულთა ყმები იყვნენ. გლეხი პესტოვსკები არიან იმათი შთამომავლები, რომლებიც მემამულე პესტოვების ყმა გლეხები იყვნენ, შესაბამისად, როსტოვსკები — გრაფ როსტოვებისა.

მთელ რიგ რუსულ გვარებს უცხოენობრივი საფუძველი აქვთ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან რუს ხალხში დროთა განმავლობაში დიდი რაოდენობით შედიოდნენ სხვა ხალხების წარმომადგენლებიც. მაგალითად, მკვლევრები რუსულ გვარსახელებში — ბურნაშევი და ლევშინი — ინგლისურ და გერმანულ ძირებს პოულობენ. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი გვარსახელების ანალიზი უფრო მეტად საცნაურია, მაგალითად, სიდორენკოვი პირდაპირ მიუთითებს მის უკრაინულ წარმომავლობაზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ საეკლესიო სახელების აუცილებლობა გააუქმა, რადგან ნათლობა ოფიციალურად სახელის დარქმევას აღარ ითვალისწინებდა. ადამიანებს უფლება მიეცათ პიროვნების სახელი თვითონ შეერჩიათ. XX საუკუნის 20-იან წლებში რუსულ ანთროპონიმიაში სახელთა ახალი ნაკადი შემოიჭრა. ეს იყო ძირითადად (1) სხვა ხალხთა ცნობილი სახე-

ლები (*ედუარდი, ალა, ჟანა...*); (2) უცხოენობრივი ნასესხობები-აპელატივები (*ავანგარდი, გენია, იდეა, პოემა*), საგნობრივიც კი (*ტრაქტორი*); (3) აბრევიატურები (*ვლადლენი ვლადიმერ ლენინი, რევმირა* — რევოლუცია მისოვია, *პიატჩეტი* — „ხუთნლენი ოთხ ნელინადში“); (4) დავიწყებული ძველი სახელები (*ოლეგი, იგორი*); (5) ჩვეულებრივ სახელებთან ახლოს მდგომი ნაწარმოები სახელები (*ოქტიაბრიანა, სვეტლანა*); (6) კნინობითი სახელები, რომლებიც სრულ სახელებად გაფორმდა (*დიმა, ოლია, ლენა*). ახალი სახელების დიდი რაოდენობით შემოსვლის მიუხედავად, ასეთ სახელთა სიხშირე მაინც უმნიშვნელო იყო. სოფლებში ახალი სახელები საერთო სახელთა მხოლოდ 1%-ს აჭარბებდა. XX საუკუნის 30-იან წლების შუა ხანებში ახალი სახელების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა და ბოლოს მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობამ მოიკიდა ფეხი (*ვლადლენი, ოქტიაბრიანა, სვეტლანა, სნეჟნა*). 1960-იან წლებში მამაკაცის ყველაზე გავრცელებული სახელები იყო: *ანდრეი, ალექსანდრე, სერგეი, იური, იგორი, ოლეგი, ვლადიმირი, ნიკოლაი*. ქალების სახელებიდან პოპულარული იყო: *ლენა, ირინა, მარინა, სვეტლანა, ნატალია, ოლგა, ტატიანა ვალენტინა, გალინა*.

რუსული გვარსახელების აბსოლუტური უმრავლესობა პატრონიმიულია; ის გვარსახელის პირველი მატარებლის წინაპარზე მიუთითებს: *ივნოვი* — ივანეს შთომომავალი, *ზაიცევი* — ზაიცის შთამომავალი, *კუზნეცოვი* — კუზნეცის შთამომავალი. იშვიათია დედის სახელისგან წარმოქმნილი გვარსახელები. ასეთ გვართაგან მაგალითად შეიძლება *მარინი* დავასახელოთ. გვარსახელთა სხვა ჯგუფი კუთვნილებითია (მაგალითად, *კნიაზევი*). რუსეთში იშვიათი არაა *-სკი* ფორმატიანი გვარსახელები. ზოგიერთ რეგიონში გავრცელებულია გვარსახელები, რომლებიც *-იხ* სუფიქსით ბოლოვდება. სხვაგვარად გაფორმებული ყველა დანარჩენი გვარსახელი, რუსული გვარსახელების 1%-საც არ აღემატება.

სამწევროვანი თანამედროვე რუსული ანთროპონიმული მოდელი ყოველდღიურად არ გამოიყენება; ის მხოლოდ დოკუმენტებში ფიქსირდება. ამავე დროს დიდი ხნის განმავლობაში რუსეთში უპირატესობა ჰქონდა მოპოვებული პარალელურ სახელებს. გლეხები და მუშები იყენებდნენ ე. წ. იზოლირებულ მამის სახელს *-იჩ* სუფიქსით. *-იჩ* სუფიქსს კი პრივილეგირებული ფენა მხოლოდ თავის საკუთრებად მიიჩნევდა და ამ მოვლენას გამოვლენდა. იზოლირებული *-იჩ* სუფიქსიანი მამის სახელები რუსულ ლიტერატურაშიცაა დაფიქსირებული, მაგალითად, პუშკინ-

ნისეული *საველიჩი* („კაპიტნის ქალიშვილი“) და *ფილიპოვნა* („ეგვიპტის ონეგინი“) შეიძლება გავიხსენოთ. ძალიან ხშირი იყო ოჯახებში საეკლესიო სახელების კინობითი ფორმით გამოყენება. აზნაურთა განათლებულ ნაწილში ხშირი იყო პირადი სახელების ფრანგული მანერით წარმოთქმა, მაგალითად, *ვასილის*, *პეტრეს* და *ნატალიას* ნაცვლად — *ბაზილი*, *პიერი*, *ნატალი*. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნის ანგლომანების ოჯახებში *ელიზავეტას* ნაცვლად — *ბეტსი*, ხოლო *მარიას* ნაცვლად *მერი* გამოიყენებოდა. სოციალურად დაბალ ფენაში XVIII-XIX საუკუნეებში მიმართვის დამცრობითი გაბატონებული ფორმა იყო *-კა* სუფიქსიანი სახელები. ეს ვ. ბელინსკის რუსული ყოფის შემზარავ მოვლენად მიაჩნდა, როცა ადამიანები თავის თავს მოიხსენიებდნენ არა ნამდვილი სახელებით, არამედ მეტსახელებით — ისეთებით, როგორებიცაა: *ვასკა*, *სტეშკა*, *პალაშკა* და სხვა. დღესაც კინობითი ფორმები უაღრესად გავრცელებული მოვლენაა. მარტო მამაკაცის სახელისგან — *ივანე* ასამდე ფორმაა ნაწარმოები: *ვანია*, *ვანიჩკა*, *ვანიუსია*, *ვანკა*, *ვანიატკა*, *ვანიუხა*, *ვანიკი*, *ივანში*, *ივანშკა*, *ივანტი*, *ივანეც* და ა. შ.

საბჭოთა პერიოდში სრული ოფიციალური სახელის შემადგენლობა კანონით დაადგინეს. ესაა სამწევროვანი მოდელის აუცილებლობა — (1) ინდივიდუალური სახელი, (2) მამის სახელი, (3) გვარსახელი. სრული სამწევროვანი სახელდება მხოლოდ ოფიციალურ აქტებში, საზეიმო შემთხვევებში, ამომრჩეველთა სიებში, იურიდიულ დოკუმენტებში გამოიყენებოდა და გამოიყენება.

განვითარების თითქმის იგივე გზა განვლო აღმოსავლეთ სლავი ხალხების — უკრაინელებისა და ბელორუსების საკუთარმა სახელებმა. სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა უკრაინულ გვარსახელთა წარმომავლობის შესახებ. მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ უკრაინაში მემკვიდრეობითი სახელები XVII საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა, მეორე ნაწილი აქ მემკვიდრეობით სახელებს XIII-XIV საუკუნეების წერილობით ძეგლებში აფიქსირებს. სხვა მოსაზრებით, უკრაინული გვარსახელების ჩამოყალიბება მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში ხდება. შეხედულებათა ასეთი სხვადასხვაობა ძირითადად საიმედო სამეცნიერო ბაზის უკმარისობითა და მოუწესრიგებელი ანთროპონიმული ტერმინოლოგიით არის ახსნილი, მაგალითად ასახელებენ ტერმინს — „პროზვიშჩე“, რომელიც დღეს გვარსახელს აღნიშნავს. კონკრეტულად რას აღნიშნავდა ეს ტერმინი შუა საუკუნე-

ების უკრაინაში, გვარსახელსა თუ მეტსახელს, როგორც ეს თანამედროვე და ისტორიულ რუსეთში იყო, კვლავ გაურკვეველია.

უკრაინის გარკვეული ნაწილი ხანგრძლივად პოლონეთის შემადგენლობაში შედიოდა. აქ კი შუა საუკუნეებში მოქმედებდა ძველი პრინციპი, რომლის თანახმად ყველა ადამიანს პიროვნულ სახელთან ერთად აუცილებლად უნდა ჰქონოდა დამატებითი სახელწოდებაც. ეს დამატებითი სახელწოდება პოლონეთში მცხოვრებ უკრაინელებსაც ჰქონდათ. ეს დამატებითი სახელდება ნორმირებული არ ყოფილა — ისინი მამის (იშვიათად დედის) სახელებისგან, ადგილსაცხოვრისის, წარმოშობის, პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინებისგან იყო მიღებული. როგორც აღნიშნავენ, არსებობდა ე. წ. ქუჩის სახელებიც. XIII—XVIII საუკუნეებში პიროვნული სახელები დიდი სიჭრელით გამოირჩეოდა, სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულისათვის სხვადასხვა ანთროპონიმული ფორმანტები იყო დამახასიათებელი, მაგალითად, მამის სახელი *ივან* ხალხში გამოითქმოდა როგორც *ივაშკო*. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით თავისი შვილი შეიძლება ჩაენერათ შემდეგნაირად: *ივანენკო*, *ივანოვიჩი*, *ივანიევი*, *ივანიუკი*, *ივანენია*, *ივაშჩენკო*, *ივაშკევიჩი*, *ივაშკიევი*, *ივაშჩუკი*, *ივაშჩენია* და სხვა. გარდა ამისა, მამის გარდაცვალების შემთხვევაში, ეს სახელწოდება ხშირად იცვლებოდა, მაგალითად, კარპატებში *ივანიევი* და *ივაშკიევი* ტრანსფორმირდებოდა *ივანინად* და *ივაშჩინინად*.

გვარსახელის ნორმირება გალიციაში, რომელიც ავსტრიის შემადგენლობაში შედიოდა, იმპერატორ იოსეფ II-ის ბრძანებით 1787 წელს განხორციელდა. გვარსახელის აუცილებლობის შესახებ აქ კიდევ რამდენიმე ბრძანება გამოიცა XIX საუკუნის დასაწყისში; მაგალითად, ფრანცისკ I-ის „პატენტი“, გალიციის მთელი მოსახლეობისათვის აუცილებელი იყო მემკვიდრეობითი სახელი. რუსეთში შემავალ უკრაინის ტერიტორიაზე საკუთარ სახელთა ერთობლიობის ნორმირება მხოლოდ 1826 წელს დაიწყო.

მეცნიერები ბელორუსულ ინდივიდუალურ სახელებში, სლავურ სახელებთან ერთად, ბალტიურ სახელებსაც გამოყოფენ. ამავე დროს ბელორუსიაში, გარდა მართლმადიდებლური სახელებისა, კათოლიკე წმინდანთა სახელებიცაა გავრცელებული. საერთოდ, ბელორუსულ ანთროპონიმიაში ქრისტიანულ სახელებს ფეხი მყარად ჰქონდათ მოკიდებული XV საუკუნეში. შენიშნულია, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ოჯახის წევრის მეტსა-

ხელი ხშირად მთელი ოჯახის მეტსახელად იქცეოდა ხოლმე და ისინი მემკვიდრეობითაც გადაეცემოდა, ე. ი. ამ შემთხვევაში უკვე საქმე გვაქვს მემკვიდრეობით სახელთან (გვარსახელთან). სწორედ ამ პერიოდით (XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნით) ათარილებენ თანამედროვე ბელორუსული ანთროპონიმული მოდელის (პიროვნული სახელი+მამის სახელი+გვარსახელი) წარმოქმნას.

ბელორუსიაში ყველაზე მეტად გავრცელებულია გვარსახელები, რომლებიც *-ოვ (-ევ)* სუფიქსით ბოლოვდება (ყველა დარეგისტრირებული გვარის 18,2 %), მეორე ადგილზე *-ოვიჩ/-ევიჩ* ფორმანტიანი გვარებია (10,6 %), მესამეზე კი *-კი* სუფიქსიანი (10 %).

II. 13. სამხრელი და დასავლელი სლავების ანთროპონიმული სისტემები

პოლონური ანთროპონიმები. პოლონელთა ადრეული სახელები, ისევე როგორც ბევრი სხვა ხალხისა, უშუალოდ აპელატივებისაგან წარმოიქმნა, მაგალითად, *ვილკ* — „მგელი“, *კოვალ* — „მჭედელი“, *გოლი* — „შიშველი“. მათგან ყველაზე პოპულარულები საკუთარ სახელებად საბოლოოდ დამკვიდრდა, მით უმეტეს, რომ ისინი ძალიან ხშირად არქმევდნენ გარდაცვლილი ნათესავის სახელს. გვხვდება შედგენილი პიროვნული სახელებიც (*ვლადისლავ, კაზიმირ*).

IX-X საუკუნეებში პოლონელთა შორის ფართოდ გავრცელდა ქრისტიანული სახელები (ლათინური, ბერძნული, არამეული, ძველებრაული), ბოლოს კი მხოლოდ კათოლიკური ეკლესიის მიერ რეკომენდებულ სახელებს მიენიჭა პრიორიტეტი, თანაც ბევრი მათგანი ხშირ შემთხვევაში ფონეტიკურად საკმაოდ სახემეცვლილია, მაგალითად: *იოანე (ივანე)* გამოითქმის როგორც *იანი, მარგარიტა* — როგორც *მალგოჟატა* და სხვა. პოლონელთა შორის ისეთი სლავური სახელებიცაა გავრცელებული, რომლებსაც მართლმადიდებელ სლავებში ვერ შევხვდებით: *მეჩისლავ, სტანისლავ, კაზიმირ, ბრონისლავა, იაროსლავა, იადვიგა...*

პოლონეთში, ისევე როგორც სხვა კათოლიკურ და პროტესტანტულ ქვეყნებში, ტრადიციულია ორწევრა და სამწევრა სახელთა ტარება (*ანა-მარია-ლუიზა*). პოლონეთში გვარსახელები XV საუკუნიდან გავრცელდა. **პოლონელთა გვარები სხვა სლავური ეთნოსების მსგავსია — პატრონიმული, ტერიტორი-**

ულ-ტოპონიმური და ეთნონიმური. პოლონელთა გვარსახელების აბსოლუტური უმრავლესობა სუფიქსიანია (-სკი, -ცკი, -ოვიჩ, -კი). -სკი სუფიქსიან გვარსახელებს თავდაპირველად მხოლოდ პოლონელი აზნაურების — შლიახტის წარმომადგენლები ატარებდნენ; ის აღნიშნავდა სამფლობელოს პატრონის სახელწოდებას. მაგალითად, *ვიშნევესკი* ადგილ *ვიშნევეცი*ს მფლობელს აღნიშნავდა. შლიახტა სასტიკი წინააღმდეგი იყო, რომ ამ ფორმის გვარსახელები სხვა ფენის წარმომადგენლებსაც ეტარებინათ, მაგრამ საბოლოოდ ამ მოდელის გვარსახელები ფართოდ გავრცელდა. დღეს -სკი სუფიქსიან მემკვიდრეობით სახელებს მოსახლეობის თითქმის 60% ატარებს. ვარშავაში ყველაზე გავრცელებული გვარსახელია *კოვალევესკი*. თავდაპირველად სუფიქსი -ოვიჩ მამის სახელს ერთოდა, შემდეგ კი მან გვარსახელები გააფორმა. ეს მოდელი XV-XVII საუკუნეებში ქალაქის მკვიდრთა გვარების ძირითადი ფორმა იყო. ლოქში ამ მოდელის გვარსახელებს მოსახლეობის 20% ატარებს, მთლიანად პოლონეთში — 10%. -კ, -კ- (-იკ, -ნიკ, -კო) სუფიქსიანი მემკვიდრეობითი სახელები (*კოპერნიკის, ნოვაკის, კოვალიკის, კოვალჩუკის, ბურაკის, რაჩკოს ტიპისა*) მეტსახელებისაგანაა წარმომდგარი. ასეთი გვარები ძირითადად ქვეყნის სამხრეთშია გავრცელებული.

ტრადიციულად ქალი ქმრის გვარს ატარებს. პოლონურ გვარს *დომბროვესკის* შეესატყვისება ქალის გვარი *დომბროვესკა, კოვალევესკის — კოვალევესკა, პოტოცკის — პოტოცკა, ნოვაკს — ნოვაკოვა*. **პოლონური ანთროპონიმული მოდელი ორნევრაა — ის გვარსახელისა და ინდივიდუალური სახელისაგან შედგება.**

ბულგარული ანთროპონიმები. თანამედროვე ბულგარული სახელები სხვადასხვა წარმოშობისა და სხვადასხვა ეპოქისაა. უძველესია ის პიროვნული სახელები, რომლებიც საერთო აქვთ ბულგარელებსა და სხვა სლავ ხალხებს: *ველისლავი, ვლადიმირი, ვლადისლავი, დრავომირი, რადომირი*. შემდგომში ამ სახელებისგან სხვადასხვა სახელი ჩამოყალიბდა, მაგალითად, *ვლადიმირისგან* მიიღეს: *ვლადი, ვლადო, ვლადაი, ვლადაიჩო, ვლადანი, ვლადინი, ვლადუნი, ვლაიკო, ვლაიჩო, ლადო* და სხვა.

ნათესავებს შორის, რომლებიც თავიანთი წარმოშობას ერთ საერთო წინაპარს უკავშირებდნენ (გვარი, род), გამოიყო უფრო მცირე ჯგუფები (გვარსახელი, фамилия). ბევრგან „ფამილიურმა“ სახელმა შეავიწროვა (გამოდევნა) უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე გვაროვნული (родовое) სახელი. ქრისტიანობის

მიღებისთანავე (865 წ.) ბულგარელთა შორის ფართოდ გავრცელდა მართლმადიდებლური სახელები (*ალექსანდრე, გეორგი, ივანე, ხრისტო, ანა, მარია, იულია*), თუმცა დიდი ხნის განმავლობაში განაგრძობდა არსებობას სახელები, რომლებსაც ახალშობილი „ავი სულებისა“ და ყოველგვარი უბედურებისაგან უნდა დაეცვა — *ბლიაკო, დობრი, ყივკო, ზდრავკო, ლიუბენ, ოგნიან, სტოიან*. ქალის სახელები რეგულარულად მამაკაცების პირადი სახელებისაგან იწარმოებოდა: *ზლატ > ზლატიცა, პროდან > პროდანა*. მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის გამგებლობაში იყო, თურქული სახელები აქ მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით გავრცელდა; თურქულმა ანთროპონიმებმა გზა ძირითადად მუსლიმ ბულგარელებს (პომაკები) შორის გაიკვალა.

ტრადიციული იყო ბიჭისათვის პაპის სახელის დარქმევა, გოგონასათვის — ბებისა.

გვარები ბულგარელთათვის დამახასიათებელი არ იყო — ის XIX საუკუნეში წარმოიქმნა. ოსმალეთის იმპერიისაგან გათავისუფლების შემდეგ (1878 წელი) ბულგარელებს ორწევრა ანთროპონიმული მოდელი ჩამოუყალიბდათ სახელისა და გვარსახელის ერთობლიობით.

მაკედონიური ანთროპონიმები. მაკედონიამ სამხრეთსლავურ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდხანს შეინარჩუნა ძველი ტრადიციული ურთიერთობები და საოჯახო ყოფა. შესაბამისად, მაკედონიურ სახელთა დიდი უმეტესობა მშობლიური ენის საფუძველზეა წარმოქმნილი (*ვესელინკა, სვეტლანა, ლიუბენი, რადმილი*), მაგრამ ბევრი ანთროპონიმი საბერძნეთიდანაა გავრცელებული. სახელების გარკვეული რაოდენობა ნასესხებია თურქებისაგან. ***XX საუკუნის დასაწყისამდე სოფლებში მონათესავე ოჯახთა დიდი ჯგუფები გამოიყოფოდა, რომლებიც ერთ სახელს (გვარსახელს) ატარებდნენ. ამ ჯგუფის წევრებს შორის ქორწინება აკრძალული იყო.***

მაკედონიური გვარები გვიანდელი წარმოშობისაა. მათი ჩამოყალიბება ძირითადად XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო და მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასრულდა. გვარსახელებს საფუძვლად ძირითადად მამის სახელები უდევს, იშვიათად კი — გეოგრაფიული სახელწოდებანი. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში *-ევ/-ოვ* ფორმანტიანი გვარები ჭარბობს, დასავლეთში — *-სკი/-ვსკი* სუფიქსიანები. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ოფიციალურ გვარსახელებთან ერ-

თად სოფლებში მხოლოდ ლოკალური (სოფლის შიგნით გამოსაყენებელი) სახელები გამოიყენება.

სერბული ანთროპონიმები. IX საუკუნიდან სერბებს შორის კანონიზებული ქრისტიანული სახელები გავრცელდა. კანონიკურ სახელებს დიდი ხნის განმავლობაში სერბული სახელები წინააღმდეგობას უწევდა, მაგალითად, ვუკ („მგელი“). თურქთა ბატონობის დროს სერბული სახელები თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთ-ერთი გამოხატულება იყო. სერბულ სახელებს დაახლოებით 50-მდე სუფიქსი ერთვის. აქვთ მრავალრიცხოვანი შედგენილი სახელები, რომლებსაც მამაკაცების მესამედი ატარებს (*მიროსლავ, რადომირ*). ყველაზე **გავრცელებულ ათ სახელს შორის შეიძლება დავასახელოთ: დრაგანი, ზორანი, მილანი, სლობოდანი, მიროსლავი, მილოდრავი, დუშანი, რადომირი, პეტარი, ვლადიმირი.** სერბთა გვარების 94% -იწ ფორმანტით ბოლოვდება. ზოგიერთ სოფელში, ოფიციალური გვარების გარდა, აქვთ **პარალელური გვარებიც, რომლებსაც მცხოვრებნი მხოლოდ სოფლის შიგნით იყენებენ.**

ხორვატიული ანთროპონიმები. კათოლიკურ ხორვატიაში ძირითადად რომის ეკლესიის მიერ კანონიზებული ქრისტიანული სახელებია გავრცელებული. ზედაფენა უმეტეს შემთხვევაში შედგენილ სახელებს ატარებდა, რომელთა მეორე კომპონენტი -*მირ* და -*სლავ* იყო. ხორვატთა ანთროპონიმული მოდელი ორწევრიანია (საკუთარი სახელი+გვარსახელი). გვარების უმეტესობა -*იჩ* სუფიქსით ბოლოვდება. გვხვდება -*კ*, -*რც*, -*ნც*, -*არ*, -*შ* სუფიქსიანი გვარსახელებიც. ყველაზე ხშირია გვარსახელი *ხორვატი*. საოცარია ამ გვარის გეოგრაფია: მისი 20715 მატარებლიდან 20 ათასზე მეტი ჩრდილოეთის მცირე ტერიტორიაზე ცხოვრობს. **ზოგიერთ სასოფლო დასახლებაში გვართან ერთად იყენებენ სხვა მემკვიდრეობით სახელსაც, რომელიც სოფლის ყველა მცხოვრებმა იცის.**

II. 14. უნგრული ანთროპონიმული მოდელი

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ XIII საუკუნემდე, კლასობრივი მდგომარეობის მიუხედავად, უნგრეთში გვარსახელები არ არსებობდა — უნგრელები მხოლოდ პირადი სახელების მატარებელნი იყვნენ, რომლებიც, ჩვეულებრივ, ფინურ-უგრული, თურქული ან ქრისტიანული წარმომავლობისა იყო. იშვიათად ზოგიერთ პირს ორმაგი სახელიც ჰქონდა (*აბა*

სამუელ). XIII-XIV საუკუნეებში ჩამოყალიბდა უნგრული ფეოდალური საზოგადოება. მინათმოქმედება მემკვიდრეობითი ხდებოდა. მემკვიდრეობის იურიდიული წესი კი ნათესაური კავშირების „გარეგნულ გაფორმებას“ მოითხოვდა. ამის აუცილებლობა იმიტომ წარმოიქმნა, რომ იურიდიულ სიგელში მიწის-მფლობელი სხვა უქონელი თანამოსახელისაგან განსხვავებულიყო. თავდაპირველად ინდივიდუალურ სახელთან ერთად მხოლოდ განმასხვავებელი სახელი გამოიყენებოდა. ერთი და იგივე პირი განმასხვავებელ სახელს ერთ შემთხვევაში მამის სახელით იღებდა *Paulus, filius johannis* — სხვა შემთხვევაში — მამულის სახელწოდებისგან, მესამე შემთხვევაში კი — მეტსახელისგან. მემკვიდრეობითი სახელის დამკვიდრებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ერთსა და იმავე სახელს „ფასეული ქონების“ პატრონიც ატარებდა და უქონელიც. მიზანშეწონილი იყო თანამოსახელეთა განსხვავება. ამიტომაც საკმაოდ ადრე, ჯერ კიდევ XIII საუკუნეში, ისინი უკვე სიგელებში განსხვავდება — გვხვდება მამის სახელი, ადგილის სახელი, საიდანაც წარმომავლობდნენ. ეს განსაზღვრული სახელები, ბუნებრივია, გვარსახელებად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ისინი მემკვიდრეობით ჯერ კიდევ არ გადაეცემოდა და მხოლოდ ერთ პირს მიეკუთვნებოდა.

უნგრული გვარსახელების ფორმირება, დამკვიდრება და მემკვიდრეობით გადაცემა საკმაოდ ადრე დაიწყო — აზნაურთა შორის XIV საუკუნეში, გლეხობაში — XV საუკუნეში. აზნაურთა გვარსახელები, ჩვეულებრივ, მამულის სახელწოდებისგან მომდინარეობდა; მაგალითად, შვილი მინასთან ერთად მამის მემკვიდრეობით სახელსაც იღებდა. მსახურებში, ყმა გლეხებსა და მოქალაქეებში გვარსახელთა წარმოქმნის პროცესში დიდი როლი ითამაშა ადმინისტრაციული ბიუროკრაციის მოთხოვნებმა, გამოსაღების შეკრებამ, რეკრუტირებამ და ა. შ. გვარსახელებმა, რომლებიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა, ადმინისტრაციას მნიშვნელოვნად გაუადვილა მუშაობა, რადგან ისინი ადამიანთა განსხვავების საშუალებას იძლეოდა. **XVI საუკუნის უნგრეთში უკვე ყველა ფენა გვარსახელის მატარებელი იყო;** არსებული მონაცემებით, გვარსახელი მხოლოდ მოსახლეობის 2%-ს არ ჰქონდა. ესენი იყვნენ: უმიწო ბოგანოები, მოჯამაგირეები, მოსულები, მდაბიოები. ამ ადამიანებს XVI საუკუნის შემდეგაც არ ჰქონდათ მემკვიდრეობითი სახელი. შემდგომში გვარსახელები ხელოსნობისა და პროფესიის აღმნიშვნელი სახელებისგან წარმოიქმნებოდა. ბუნებრივია, ასეთ გვარსახელთა

პირველი მატარებლები შესაბამისი პროფესიისა და თანამდებობის ადამიანები იყვნენ. **XVIII საუკუნის უნგრეთში კანონით გვარსახელი ყველას უნდა ჰქონოდა. ამის შემდეგ კი მხოლოდ მეფის ნებართვით შეიძლებოდა მისი შეცვლა,** თუკი ის მის მატარებელს რაიმე მიზეზით არ უნდოდა.

როგორც წესი, ევროპის ანთროპონიმულ სისტემებში გვარსახელის წინ პიროვნული სახელი დგას. ამ თვალსაზრისით გამონაკლისია უნგრული ანთროპონიმული მოდელი, რომელშიც საპირისპირო წესია მიღებული — ყველა შემთხვევაში პირველ ადგილზე გვარსახელი დგას.

„გვარის“ ცნება ყველა უნგრელისათვის იყო ცნობილი. ჩვეულებრივ, მას უწოდებდნენ სანათესაო ჯგუფს, რომელშიაც ნათესაობას მამაკაცის ხაზით ითვლიდნენ. ამ ჯგუფის წევრები თავს ერთი წინაპრისაგან წარმოშობილად მიიჩნევდნენ. მათ აკავშირებდათ საერთო გვარსახელი. გვარის წევრებს შორის ქორწინება აკრძალული იყო. თითოეული უნგრული გვარის წარმომადგენელი არა ერთ, არამედ რამდენიმე დასახლებულ პუნქტში ცხოვრობდა. უნგრული გვარები ჩამოყალიბებულია წინაპრის სახელზე -*შვილი* სუფიქსის დართვით (-*fi*, -*Fy>fia*), მაგრამ ასეთი გვარები დიდი რაოდენობით არ არის წარმოდგენილი. ძალიან ბევრ შემთხვევაში გვარები წარმოქმნილია მამის სახელებისაგან კუთვნილებითი დაბოლოებით (-*e>-i*, -*y*): *Balassi, Ferenczy, Andrassy, miklosi*. ზოგჯერ შეუძლებელია გარკვევა, რის საფუძველზე წარმოიქმნა გვარსახელი — მამის სახელისა თუ ადგილის სახელისაგან. გვარსახელების წარმოქმნის ერთ-ერთი გზა იყო მამის სახელები ყოველგვარი დაბოლოების გარეშე: *Abel, Antal, Balazs, Bence, Benedek, Egyed, Gaboz, Kalan*.

მემკვიდრეობითი სახელების მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლის სახელებისაგან მომდინარეობს (ფეოდალური გვარები — სამფლობელოთა სახელწოდებებისაგან) დაბოლოების გარეშე, ან -*i*, -*haza*, -*hida*, -*fala*, -*laka*, -*folde* სუფიქსებით: *Bebreceni, Hatvani...*

უნგრელთა შორის ეთნონიმებისაგან მიღებული გვარებიც გვხვდება: *Toth* — სლოვაკი (XVI-XVII საუკუნეებამდე სერბსაც აღნიშნავდა), *Nemeth* — გერმანელი, *Horvat* — ხორვატი, *Olah* — რუმინელი, *Orosz* — რუსი, *Lengyel* — პოლონელი, *Cseh* — ჩეხი.

უნგრელებში არაერთი გვარსახელი პროფესიისა და თანამდებობის აღმნიშვნელი სახელებისაგან მომდინარეობს, მაგალი-

თად: *Borbely* — „პარიკმახერი“, *Meszaros* — „ყასაბი“, *Molnar* — „მენისქვილე“, *Eazekas* — „მეთუნე“, *Kovacs* — „მჭედელი“, *Bir'ó* — „მოსამართლე“, *Pap* — „მღვდელი“ და ა. შ. ზოგიერთი გვარსახელი წარმოქმნილია ფერთა, ფიზიკური თვისებისა და გარეგნული ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებისაგან: *Veres* — „წითელი“, *Fekete* — „შავი“, *Balogh* — „ცაცია“, *Santa* — „კოჭლი“, *Szoke* — „ქერა“. არსებობს ორმაგი მემკვიდრეობითი სახელებიც.

XV საუკუნისათვის უნგრული და თურქული სახელები თითქმის მთლიანად გამოაძევა ქრისტიანულმა სახელებმა. ეს პროცესი ჯერ კიდევ **XIV** საუკუნეში დაიწყო, მაგრამ ძველი სახელები, როგორც მეტსახელები, ყოფაში კვლავ აგრძელებდა არსებობას. ხშირად მღვდელი ჩვილს კალენდრის მიხედვით არქმევდა სახელს, მაგრამ ხალხში კვლავ ადრინდელი ინდივიდუალური სახელები განაგრძობდა არსებობას. სახელთა ერთი ნაწილი უფრო აზნაურთა წრეში იყო გავრცელებული, სხვა სახელები — გლეხობაში. **XIX** საუკუნის მეორე ნახევრიდან პოპულარული გახდა უნგრულ თავადთა და მეფეთა სახელები: *Arpad*, *Zoltan*, *Bela*, *Csaba*, *Attila*. პროტესტანტები უპირატესობას „ძველი აღთქმის“ სახელებს ანიჭებდნენ, კათოლიკეები — „ახალი აღთქმისას“.

XVI საუკუნეში მამაკაცის ყველაზე გავრცელებული სახელები იყო: *Ianos*, *Peter*, *Mihaly*, *Istvan*, *Gyorgy*, *Gergely*, *Pal*, *Benedek*, *Andreas*, *Balazs*, *Tamas*, *Mate*, *Miklos*, *Ferenc*, *Imre*, ქალი-სა: *Anna*, *Katalin*, *Margit*, *Barbala*, *Erzsebet*, *Zsofia*, *Dorotya*, *Orsolya*, *Ilona*, *Krisztina*, *Zsuzsanna*, *Klara*, *Sara*, *Fruzsina*. **XVI—XVIII** საუკუნეებში მამაკაცთა სახელების რაოდენობა სულ 75 ერთეულით შემოიფარგლებოდა, **XIX** საუკუნის შუა ხანებისათვის მათმა რაოდენობამ 116-ს მიაღწია, შესაბამისად, ქალთა სახელების რაოდენობა 30—40 და 147 იყო.

პოპულარულია ვაჟებისათვის მამის სახელების დარქმევა, იშვიათად ქალიშვილებისათვის — დედის სახელისა. დღეისათვის ყოველი მეოთხე ბიჭი მამის სახელს ატარებს. ტრადიციული იყო ორსახელიანობაც — **XX** საუკუნის დასაწყისში ბუდაპეშტში ბავშვების 15-20% ორ სახელს ატარებდა, 1% — სამ სახელს. 1947 წელს 50%-ზე მეტი ორმაგ სახელს იღებდა. დღეისათვის სახელთა რაოდენობა კანონით შეზღუდულია (არაუმეტეს ორისა).

უნგრელთა ანთროპონიმულ მოდელში მამის სახელის ტრადიცია არ არის. რადგან პირმშობებს მამის სახელს ხშირად არქმევენ, ამიტომ მიღებულია მამისა და შვილის გამიჯვნა იმით, რომ გვარსახელის წინ ინერება შემოკლებული ფორმები: *iff* („უმცროსი“), ან *id* („უფროსი“), მაგალითად, *iff. Kodolanyi Janos, id. Nagi Sandor*.

გათხოვების შემდეგ ქალები ქმრის გვარსა და სახელს იღებენ, ოღონდ ისინი დამატებით ირთავენ *-ne* დაბოლოებას რომელიც მატარებლის მდებარეობით სქესზე მიუთითებს. *Veres* გვარის კაცის ცოლის გვარი იქნება *Veresne*, მაგრამ, როდესაც სახელის წინ გვარი დგას, მაშინ დაინერება *Veres Peterne*. ეს წესი უნგრეთში XVI საუკუნის მეორე ნახევარში შემოიღეს.

II. 15. ესტონელთა საკუთარი სახელები

ესტონელთა შორის ძირითადად ქრისტიანულ-პროტესტანტული საკუთარი სახელებია გავრცელებული. ძველი ქრისტიანობამდელი სახელები (დოკუმენტურად დაახლოებით ასამდე ასეთი სახელია დაცული) XV-XVI საუკუნეებისათვის თითქმის გაქრა. ამ სახელების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა შემორჩა ყოფას: *ლემბიტი, კაუპო, ჰიმოტი, მეელისი* და სხვა. ქალთა ძველი სახელები დოკუმენტებში შემორჩენილი არაა. ასეთებად კი მიაჩნიათ XIX საუკუნის ბოლოსათვის მოღწეული სახელები: *აიტა, ლეიდა, სალმე, ვირვე*. ესტონელთა შორის ყველაზე პოპულარული პიროვნული სახელია *Johannes*, რომლისაგანაც დაახლოებით 500-მდე სხვადასხვა გვარსახელია წარმოქმნილი.

ქალაქებში მკვიდრ ესტონელებს შორის გვარებმა ჩამოყალიბება XIV-XV საუკუნეებში დაიწყო, სოფლებში ეს პროცესი მხოლოდ 1816—1835 წლებში განხორციელდა. გვარსახელებად არა მხოლოდ ესტონური სიტყვები, არამედ გერმანული, შვედური, დანიური, რუსული, პოლონური და ინგლისური სიტყვებიცაა გამოყენებული. გვარსახელები ძირითადად პირადი სახელებისგან მომდინარეობს და ხშირად ისინი *-სონ* (ვაჟიშვილი) ფორმანტს ირთავენ — *Adam+son, Karel+son* (შესაბამისად, „ადამის შვილი“ და „კარელის შვილი“). გვარსახელთა ფორმანტებად გამოყენებულია აგრეთვე სიტყვა *maa* („მინა“) — *Jurimaa* = „იური+მინა“. გვარების სხვა ჯგუფი ეტიმოლოგიურად საგნებსა და ბუნების მოვლენებთანაა დაკავშირებული. გვარების

მესამე ჯგუფი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ადამიანების საწარმოო საქმიანობის მიმანიშნებელია. ასეთი გვარები პროფესიის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებისაგან მომდინარეობს. მათ შორის, პირველი ადგილი უკავია *Sepp*-ს („მჭედელი“). ეს სიტყვა ადრე ოსტატობის სიმბოლოც იყო, ამიტომ ბევრი პროფესიის აღმნიშვნელი გახდა: *King(is)sepp* — „მენაღე“, *Ratsepp* — „მკერავი“, „თერძი“, *Luksepp* — „ზეინკალი“, *Kuldsepp* — „იუველირი“. **1929-1940 წლებში ესტონელებმა მათთვის გაუგებარი, უცხოენოვანი გვარსახელები შეცვალეს.** ეს განსაკუთრებით ეხება გერმანული წარმომავლობის გვარებს — *ბერგმანი პარგმაა* გახდა, *მორმანი* — *მერიმაა*, *ტრუმანი* — *ტრუმმაა* და ა. შ. ასევე შეცვალეს -*სონ*-ით დაბოლოებული გვარები; *ანდერსონი* > *ანდერსოო*, *იურგენსონი* > *იურისოო*, *ბერტელსონი* > *პარტელსოო* (*soo suga*-დან=გვარი).

ესტონელთა ანთროპონიმული მოდელი ორწევრია. ის სახელისა და გვარსახელისაგან შედგება. პირველ ადგილზე ყოველთვის გვარსახელს წერენ, მეორეზე — ინდივიდუალურ სახელს.

II. 16. ებრაელთა საკუთარი სახელები

ებრაელები მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ხალხია, რომელმაც ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ეთნოსის ერთ-ერთი ძირითადი ნიშნის — ტერიტორიის — გარეშე მოაღწია ჩვენამდე. **XX საუკუნის შუა ხანებში** მათ თავიანთი ისტორიული განსახლების არეალში სახელმწიფოებრიობა აღიდგინეს, თუმცა უფრო მეტი ებრაელი დღესაც სამშობლოს გარეთ ცხოვრობს.

ებრაელთა უძველესი ისტორია ბიბლიაშია გადმოცემული. ესაა დაუსრულებელი დევნა, დატყვევება, აჯანყება ვასალური დამოკიდებულების წინააღმდეგ. ამიტომ არის, რომ ეს ეთნოსი მთელ მსოფლიოსაა მოდებული. ებრაელთა მთელი შემდგომი ცხოვრება სამართლებრივი თვალსაზრისით საკმაოდ მძიმე იყო. გერმანიაში ისინი დიდ ბაჟს იხდიდნენ. საფრანგეთში სხვა მოქალაქეებთან გათანაბრებული უფლებები მათ მხოლოდ 1789-1794 წლების რევოლუციის შემდეგ მიიღეს. ინგლისში 1723 წელს მიეცათ საკუთრების შექენის უფლება. ასეთი დამოკიდებულების შედეგი იყო ის, რომ მათ გამოიმუშავეს ნაციონალური მიმიკრია — შეჰგუებოდნენ ადგილობრივ პირობებს. უცხო ეთნიკურ გარემოში მცხოვრები ებრაელები სწავლობდნენ ადგილობრივთა ენას, ითვისებდნენ წეს-ჩვეულებებს. ასეთი

ორმაგი ცხოვრება აისახა ებრაელთა სახელების შემადგენლობაზედაც. ამან ისინი თავისებურ ორსახელიანობასთან მიიყვანა. ებრაელებმა შეინარჩუნეს ებრაული სახელები, რომლებიც წმინდა წიგნებშია დაცული, თუმცა იმავდროულად თავიანთ შვილებს გამოსაყენებელ სახელებსაც არქმევდნენ, რაც გარემომცველი მოსახლეობის ენასთან შეგუებას უწყობდა ხელს. გამოსაყენებელ სახელებად არქმევდნენ ბიბლიური სახელების კნინობით-მოფერებით, ფორმებს ან ადგილობრივ ენაზე ნათარგმნ ვარიანტებს.

ბიბლიის პირველი რედაქცია ძვ. წ. IX საუკუნეს განეკუთვნება, მეორე — ძვ. წ. V საუკუნეს. ჩვენი ერის დასაწყისში ენა, რომელზედაც ის დაინერა, უკვე მკვდარი იყო. პალესტინელი იუდეველების სალაპარაკო ენად არამეული იქცა. მართალია, სემიტური ჯგუფის ეს ენა ძველებრაულის მონათესავეა, მაგრამ მაინც სხვა იყო. არამეულ ენაზე ლაპარაკობდნენ ქრისტე და მისი თანამედროვენი.

ბიბლია რჩებოდა და დღესაც რჩება ებრაელთა წმინდა წიგნად, მაგრამ ჩვენი ერის დასაწყისში მისი წაკითხვა გაძნელდა. პრობლემას ქმნიდა ის გარემოება, რომ ძველებრაულ ენაზე ტექსტები მხოლოდ თანხმონებით იწერებოდა და გახმოვანება თანდათანობით დავიწყებას მიეცა. მხოლოდ VII საუკუნეში დაიწყო ამ ტექსტების აღდგენა, VIII საუკუნეში კი — გრამატიკული დამუშავება და სპეციალური შესწავლა, თანაც გახმოვანება ყოველთვის ერთნაირად, ცალსახად არ ხდებოდა; მაგალითად, თანხმონების *მრ* თანამიმდევრობა ქრისტიანულ ტექსტებში გახმოვანებულ იქნა, როგორც *მარია*, იუდაურში კი — როგორც *მირიამ*.

პალესტინიდან განდევნის შემდეგ ებრაელები ლაპარაკობდნენ ქალდეურ, სპარსულ, არაბულ, ბერძნულ, ლათინურ, ქართულ, ტაჯიკურ, თათურ, თათრულ ენებზე. ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში განსახლებულ ებრაელთა სალაპარაკო ენა ბერძნული გახდა. შემდგომში ჩრდილოეთისა და დასავლეთის მიმართულებით მოძრაობისას ებრაელებმა აითვისეს იმ ხალხების ენა, რომელთა შორისაც აღმოჩნდნენ. ებრაელთა მნიშვნელოვანი კონტინგენტი ესპანეთში დასახლდა, მაგრამ აქედან გააძევეს საფრანგეთსა და ნიდერლანდებში; აქედან კი წავიდნენ ინგლისში, გერმანიაში, პოლონეთში. პოლონეთის გაყოფის შემდეგ ებრაელთა ნაწილი აღმოჩნდა რუსეთში. გერმანიასა და პოლონეთში განვითარდა ახალებრაული ენა — იდიში. ჩამოყალიბდა ის ზემოგერმანულ კილოკავთა ბაზაზე, რომელსაც დაე-

მატა ძველებრაული და აგრეთვე სლავური სიტყვები. ყველაზე მრავალრიცხოვანნი იყვნენ აღმოსავლეთევროპელი ებრაელები, ანუ **აშკენაზები** (შდრ.: გვარსახელი *აშკენაზი*). მცირე ჯგუფებად იყვნენ წარმოდგენილი **ასირიელი** და **ქართველი ებრაელები**. ბალკანეთსა და თურქეთში დასახლებული ებრაელები **სეფარიდების** სახელით არიან ცნობილი. ამ სახელით **შუააზიელ ებრაელებსაც** მოიხსენიებენ, რომლებსაც **ბუხარელ ებრაელებსაც** უწოდებენ და რომლებიც ტაჯიკური ენის სამარყანდულ-ბუხარულ დიალექტზე ლაპარაკობენ.

ებრაული სახელების ბევრი ვარიანტი არსებობს. მაგალითად, *აბრამი* — *ავრამი* — *ავრუმი* — *ავრომკე* — *აბრუმი* — *აბრილი* — *აბალი* — *ავრაამი* ერთი და იმავე სახელის არასრული ჩამონათვალია. სახელს *აბრაამს* თავისი „ბიოგრაფია“ აქვს. ის გავრცელებულია მართლმადიდებლებშიც, კათოლიკეებშიც და პროტესტანტებშიც. გადმოცემით, ამ ბიბლიური სახელისგან წარმომავლობენ ადამიანები, რომლებიც პალესტინაში დასახლდნენ. ძველებრაულად ის გამოითქმოდა როგორც *აბრაახამი* და ითარგმნება როგორც „მრავალი (ხალხის) მამა“. ქართულში *აბრაამი* ბერძნული ენიდანაა შემოსული. ებრაელებში კი გაბატონებულია ფორმები: *ავრამ*, *ავრომ*, *ავროხომ*, *ავრუმ*.

ებრაელებში სახელების დარქმევის კონსერვატიული ტრადიცია **XX** საუკუნემდე გრძელდებოდა. უფროსი თაობის ებრაელთა სახელები ძალიან ჩახლართულია, მათი ათეულობით ვარიანტი არსებობს. ერთი და იმავე პირის სახელი სხვადასხვა დოკუმენტში სხვადასხვა ფორმით წერია. ამის შედეგი იყო ის, რომ **XIX** საუკუნის ბოლოს რუსეთში ასეთი ტიპის სააქტო ჩანაწერები გაჩნდა: „*იოს*, იგივე *იოსკა*, იგივე *იოსელი*“. ამავე დროს ხდებოდა სახელების შერევაც ან მოფერებითი ფორმებით ჩანერა, მაგალითად, *ვოვე* — *ბენიამინი* და *ვოლფი*, *გოდე* — *გედოლია* და *გადი*, *ზაველ* — *ზევული*, *საველია* და *სოლომონი*, *იცელ* — *აცელი* და *ისაკი*.

ბიბლია სახელების უშრეტი წყაროა არა მხოლოდ ებრაელებისათვის. ყირიმში ცხოვრობდა თურქულენოვან ებრაელთა ორი ჯგუფი — **კარაიმები** და **კრიმჩაკები**, კავკასიაში — **ირანულენოვანი მთის ებრაელები**, რომელთა სახელები ასევე ბიბლიაზეა ორიენტირებული. მოხსენიებულ (განმეორებული სახელებიც ძალიან ცოტაა) ხალხებში, ტერიტორიული დამორების გამო, ჩამოყალიბდა ისეთი სახელები, რომლებსაც უპირატესობას ანიჭებდნენ და რომლებიც თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ამას ბევრად განაპირობებდა ახალშობილისათვის ახ-

ლად გარდაცვლილი ოჯახის წევრის სახელის დარქმევის ტრადიცია: **ცოცხალი ნათესავის სახელს არ არქმევდნენ. იგივე ტრადიცია გამოირიცხავდა ვაჟის დაქორწინებას იმ გოგონაზე, თუ მისი სახელი ემთხვეოდა საქმროს ახლო ნათესავის სახელს.**

ისეთი სახელები, როგორებიცაა *აზარია, დანიელ, დავიდ, ზაგულონ, ურიელ, სოლომონ, ელიაგუ* და ბევრი სხვა, გვხვდება აღმოსავლეთევროპულ, ქართველ და შუააზიელ ებრაელებშიც, მთის ებრაელები, კრიმჩაკებშიც, კარაიმებშიც. ებრაელთა ყველა ამ ჯგუფში ისინი გარკვეულწილად სხვადასხვაგვარად ყლერს, რადგან ერთმანეთისაგან დაშორებულნი არიან. კარაიმები ბიბლიურ სახელებს ადგილობრივ სახელებს უმატებენ, როგორიცაა *ეფენდი* (თურქული ეფენდი „ბატონს“ ნიშნავს. ის ბერძნული წარმოშობის სიტყვაა), *აინი* (არაბული *აინი* „ჩემს თვალს“ აღნიშნავს), *ბახში, პარლაკ, თოხთამიმ, ფაშა, ბაბაი* და სხვა.

აღმოსავლეთევროპულ ებრაელებში აქტიურად გამოყენებულ ბიბლიურ სახელებს მიეკუთვნება *დავიდი, რომელსაც სხვადასხვა ვარიანტი აქვს: დუვიდ, დოვიდ, დუვედ; რახელის ვარიანტებია: რახლ, როხლ, რუხლ* და ბევრი სხვა. რუსეთის ებრაელებში შეიმჩნევა ტენდენცია ბიბლიური სახელების რუსული ვარიანტით დარქმევისა: *რახილი, დავიდი, აკოვი, ვარუხი, აველი, ოსია, ისააკი, ვირსავია, სარა*.

ებრაელები სახელებს უძველესი დროიდან სესხულობდნენ. ეს განსაკუთრებით იმ დროს ხდებოდა, როდესაც *ბიბლია* და *თაღმუდი* ჯერ კიდევ არ თამაშობდა ისეთ როლს, როგორსაც შემდეგში. მათ ქალდეველებისაგან ჰქონდათ შეთვისებული სახელები: *ატლავი, ბეზაი, შამაი*, ბაბილონელებისაგან — *მორდენხაი, ბელჩაზარი*, სპარსელებისაგან — *შეშაზარი*. ეგვიპტელთაგან ჰქონდათ ნასესხები *მოშე* და *პინხასი*, არამეულია *ეზრა, აკიბა*, ლათინურია *მარკუსი* და *მარგოლეტი*. ბერძენთა ბატონობამ გზა ბერძნულ სახელებს გაუხსნა. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა სახელი *ალექსანდრე*, რაც დაკავშირებული იყო ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობებთან. იერუსალიმში ფეხის შედგმისთანავე იმპერატორმა ტაძარში მისი ქანდაკების დადგმა მოითხოვა. მოლაპარაკების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება: ქანდაკებას ტაძარში არ დადგამდნენ, მაგრამ ერთი წლის განმავლობაში დაბადებული მამრობითი სქესის ყველა ახალშობილს დაარქმევდნენ *ალექსანდრეს*. *ალექსანდრემ* შემდგომში *სენდერის* ფორმა მიიღო. ძველი და ახალი წელთაღ-

რიცხვების მიჯნაზე ებრაელთა შორის გავრცელებული იყო აგრეთვე ისეთი ბერძნული სახელები, როგორიცაა *ანდრონიკი*, *ანტიგონი*, *ანტიოხი*, *აპოლონი*, *დიოდორი*, *დოროთე*, *მენელაი*, *პოლიონი*, *პტოლემეი*, *სოსიპატრი*, *თეოდორი*, *იაზონი* და სხვა. რომაელებისაგან ნასესხები ჰქონდათ სახელები: *აგრიპა*, *ანტონი*, *მარკუსი*, *რომანი*, *ტიტუსი*. **თავისი და სხვისი, ძველი და ახალი სახელები თავისუფლად თანაარსებობდნენ. ხშირად ნასესხებ სახელს თან ახლდა ებრაულიც, ჩამოყალიბებული იყო თავისებური ორსახელიანობა.** ეს ტრადიცია ებრაელებში დღემდე შემორჩა. მაგალითად, ქართველი ებრაელები აქტიურად სესხულობდნენ ქართულ სახელებს (ჩვეულებრივ, მეორე სახელის სახით), შუააზიელი ებრაელები იყენებდნენ არაბულ, უზბეკურ, ტაჯიკურ სახელებს.

ებრაელთა ინდივიდუალური სახელები ბიბლიური წარმოშობის ძველებრაული სახელებია. მაგრამ, ისტორიული მიზეზების გამო, პიროვნული სახელების, განსაკუთრებით, მამაკაცთა სახელების ძირითად ფონდს შეადგენდა ძველებრაული სახელები. ამ თვალსაზრისით ებრაელთა არც ერთი ენობრივი ჯგუფი გამონაკლისს არ წარმოადგენდა. როგორც აღინიშნა, ებრაელთა შორის ადრე ჩამოყალიბდა ორსახელიანობის ტრადიცია. მამაკაცის პირველ სახელად უპირატესად ბიბლიურ სახელს ირჩევდნენ, ხოლო მეორე, ყოველდღიურ სახელებად, ჩვეულებრივ, ირგვლივ მყოფი ხალხის სახელს არქმევდნენ. პირველი ორმაგი ებრაული სახელები ჯერ კიდევ პალესტინაშია დადასტურებული: *ბელჩაზარ-დანიელი*, *ესტერ-გადასა*. სელევკიდების დროს ძვ. წ. IV—I საუკუნეებში შეიმჩნეოდა ორმაგი — ებრაულ-არამეული სახელები: *მატია-ლევი*, *იოხანან-იოსეფი*, *სარა-მარიამი*. შემდეგ გაჩნდა ბერძნულ-ებრაული (*იოზე-იაზონი*) და რომაულ-ებრაული (*გილელ-იულიუსი*, *საულ-პაული*) სახელები. უცხო სახელებს თავდაპირველად ორენოვნების პირობებში იყენებდნენ.

ძვ. წ. IV საუკუნიდან ებრაელებში შეინიშნება გარდაცვლილი წინაპრის სახელის შთამომავალზე გადასვლის ტრადიცია. ეს ჩვეულება რელიგიური წესით არ არის რეგლამენტირებული, თუმცა ის ბოლო დრომდე ებრაელთა ეთნოგრაფიულ ყოფაში სიცოცხლისუნარიანი იყო. წინაპრის სახელის მომდევნო თაობაზე გადაცემის ტრადიცია, ფაქტობრივად, სახელთა ფონდის არქაულობით არის განპირობებული. ებრაელთა სახელების დარქმევის ეს თავისებურება არა მხოლოდ რელიგიური თავისთავადობით, არამედ ჩაკეტილი ცხოვრებითა და ადგილობრივი

მოსახლეობის მიერ მათი იზოლაციაში ყოფნითაც („გეტოები“) უნდა აიხსნას. ყველაზე გავრცელებული ინდივიდუალური ებრაული სახელები ბიბლიის პერსონაჟთა სახელებია: *იოსეფი, იცხაკი, ბენიამინი, რახელი, დვორა (დებორა)* და სხვა. აღნიშნული სახელები საზოგადო სახელებისაგან მომდინარეობს: *ასაფი* („ამკრეფი“), *პნინა, პეპინა* („მარჯანი“), *იონა* („მტრედი“).

ბიბლიური სახელების უმეტესობა რთული სახელებია, რომლებიც ფრაზებისაგან ყალიბდება. უფრო ხშირად ისინი რელიგიური ხასიათისაა: *ბეცალელი (ვესელელი)* „ღვთის ჩრდილში“ (ქარაგმულად „ღმერთმა დაგიფაროს“) ყოფნას ნიშნავს, *იებეშკელი (იეზიკელი)* — „ღმერთი გააძლიერებს“ და ა. შ. ბევრმა ასეთმა სახელმა ფონეტიკური სახეცვლილება განიცადა და სხვადასხვა ხალხების (ძირითადად, ქრისტიანი ხალხების, ევროპელების) ანთროპონიმიაში შევიდა. *იოხანანიდან* მომდინარეობს *იოანე, ივანე, იოჰანი, ჟონი, ჟანი, ხუანი, ჟოაო*. ბევრ ებრაულ სახელს არაბიზებული ფორმა გააჩნია: *იბრაჰიმი* მომდინარეობს *აბრახამისაგან, ისხაკი — იისცხაკისაგან, მუსა — მოშესაგან* (ეს იგივე *მოსეა*), *დაუდი — დავითისაგან, მიქაილ — მიხეილისაგან, სულეიმანი — სოლომონისაგან, იუსუფი — იოსებისაგან, იაკუბი — იაკობისაგან, სუფია — სოფიასაგან*.

გარდა ბიბლიური სახელებისა, ებრაელები ივრითის (მკვიდრთა ებრაული) ენის ფუძისეულ სახელებსაც არქმევდნენ, მაგალითად, მამაკაცის სახელი *ხაიმი* და ქალისა *ხაია* ნიშნავს „ცხოვრებას“, *იომტოვი* — „დილა მშვიდობისას“, „დღესასწაულს“. ზოგიერთი ასეთი სახელი შუა საუკუნეებში წარმოიქმნა.

აღნიშნული წრის სახელების გარდა, რომლებიც ყველა ებრაელისათვის საერთო იყო, არსებობდა ცალკეული ეთნიკურ-ენობრივი ჯგუფებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ინდივიდუალური სახელებიც. მაგალითად შეიძლება აშკენაზების პიროვნული სახელები მოვიყვანოთ, რომლებიც იდიშზე ლაპარაკობენ და ებრაელების აღმოსავლეთევროპულ, ანუ გერმანულ ჯგუფს წარმოადგენდნენ. ისინი ყოფილი სსრკ-ის, ამერიკის ებრაული მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ. ისრაელის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი აშკენაზებია. აშკენაზების ინდივიდუალურ სახელებს შორის არცთუ ცოტაა ევროპული ენებიდან მიღებული: რომანულია *ბეილე*, რაც „ლამაზს“ ნიშნავს (*bella*), *ვიტე* (*vita* — „ცხოვრება“), *ბუნიმი* (*bonhomme* — „კეთილი“). გერმანულია *მონიში* (*mensch* — „ადამიანი“), სლავურია *ზეიდე* (ბელორუსული *დზედ/დედ* — „პაპა“), *ზლატე* („ოქრო“) და სხვა. აშკენაზთა ბევრ სახელს იდიშური სა-

ფუძველი აქვს: *ბერი* („დათვი“), *მენდელი* („ადამიანი“), *გოლდე* („ოქრო“), *ლიბე* („საყვარელი“) და სხვა.

ამკენაზ ებრაელთა გარემოში გამოყენებული ბიბლიური და „ახალი“ სახელები გარკვეული წესებით იყო რეგლამენტირებული. უმეტეს შემთხვევაში ბავშვს დაბადებისთანავე ერთ-ერთი „წმინდანის“ სახელი ერქმეოდა. ეს განსაკუთრებით ბიჭებს ეხებოდათ, რომელთა სახელდება წინადაცვეთის დროს ხდებოდა. მაგრამ ამ დროს **დარქმეული სახელების ყოველდღიურად გამოყენება რეკომენდებული არ იყო; მათ, ძირითადად, წესჩვეულებებთან დაკავშირებულ სიტუაციებში იყენებდნენ. ყოველდღიურად ერთმანეთს მხოლოდ კანონიკური სახელთა შემოკლებული, კნინობითი-მოფერებით ფორმებით მიმართავდნენ: ბენიამინს ბენეს და ბენემეს უწოდებდნენ, დავითს — დოდს, დადს, ოდეს, რეფოეიელს — ფოლეს.** სხვა შემთხვევაში ყოველდღიურად არაკანონიზებულ, ე. ი. ახალგაზრდას (იდიში) და ევროპელ ხალხთაგან ნასესხებ სახელებს იყენებდნენ. „წმინდა“ და არაკანონიკური სახელების შეერთებით ხშირად ორმაგი სახელები ყალიბდებოდა: *ავრომი — ბერი, იიტე — პერლი, მალე — რივე* და სხვა. „წმინდა“ სახელების შესაცვლელად შეეძლოთ გამოეყენებინათ აზრობრივად ანალოგიური სახელი: *ბარუხი და ბენდეტი (ბენეფიქტი) — ორივე „დალოცვილს“, „კურთხეულს“* ნიშნავს, *მომანას* („შრომანი“) *რეიზელი* („ვარდი“) ენაცვლებოდა. **ერთმანეთს უხამებდნენ აგრეთვე ისეთ სახელებს, რომელთა დასაწყისი ბგერები ერთნაირი იყო, მაგალითად, მენახემი** (ივრ. „ის ანუგეშებს“) და *მენდელი* („ადამიანი“).

ორმაგი სახელების წარმოქმნის ერთ-ერთი მიზეზი იყო აგრეთვე რწმენა იმისა, რომ სახელის შეცვლამ შეიძლება ადამიანი მძიმე ავადმყოფობისაგან იხსნას: უნდა მოეცეყებინათ სიკვდილის ანგელოზი, რომელიც მომაკვდავს მოუწოდებდა, დაე-სახელებინა ნათლობისას დარქმეული სახელი. ავადმყოფს არქმევდნენ ახალ, „დამცავ“ სახელს, რომლებიც „სიბერის“ და „ცხოვრების“ მნიშვნელობისა იყო: *ხაიმი* (კაცის), *ხაია* (ქალის), *ალტერ* (კაცის), *ალტე* (ქალის), *ზეიდე* (კაცის), *ბაბე* (ქალის). დამცავ სახელებს ხშირად არქმევდნენ „პრევენციულად“ ოჯახში, სადაც ბავშვები ხშირად იხოცებოდნენ. არსებობდა სამმაგი სახელებიც.

აღმოსავლეთევროპელი ებრაელები ინდივიდუალურ სახელს სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით წარმოთქვამდნენ. განათლებული ადამიანები მას კლასიკური ფორმით ამბობ-

დნენ: *ნათანი, იეკუტიელი (იეგუდიელი)* (სეფარიდული სახელი). ნესჩვეულების შესრულებისას სახელს აშკენაზური ნაკითხვის ტრადიციით წარმოსთქვამდნენ: *ნოსონი, იეკუსიელი*. ყოველდღიურ ურთიერთობაში შემოკლებული ფორმები იყო გაბატონებული: *ნოსნი, კუსიელი, კილი, კუშლ*. რუსეთის იმპერიის მეტრიკულ ამონაწერებში სწორედ სახელთა შემოკლებულ ფორმებს წერდნენ: *ბერკო, გერშელ, მოშკა, ლეიკა*.

ებრაული სახელების ვარიანტულობას იდიშის დიალექტური დაყოფაც განაპირობებდა (იდიშის სამი ძირითადი დიალექტი არსებობდა: პოლონური, ლიტვურ-ბელორუსული და უკრაინულ-მოლდოვური). გარდა ამისა, ბიბლიური სახელების გამოყენების სხვადასხვა ტრადიცია არსებობს: ასე, მაგალითად, *აკობი* შეიძლება ტრანსფორმირდეს და მივიღოთ *კოპლი* და *იეიკელი*, *იისცხაკი* — *იიეცე*, *იიჩე*, *აიზეკი* და *ზეკლი*.

ებრაელთა ანთროპონიმული მოდელი უძველესი დროიდან შეიცავდა პატრონიმს: იეგოშუა ბინ ნუნ ითარგმნება ასე: „იეგოშუა ნუნის შვილი“. XI—XIII საუკუნეებში ესპანეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები ებრაელები იყენებდნენ მოდელს არაბული *იბნ*-ით: *იბნ ეზრა*, *იბნ გვიროლ*. პატრონიმის გამოყენების ტრადიცია შემორჩენილია ყველა ნეს-ჩვეულების შესრულებისას. იუდაური რელიგიის ერთ-ერთი განშტოების — **ხასიდიზმის მიმდევრები ნეს-ჩვეულების შესრულების დროს პატრონიმის ნაცვლად პატრონიმს გამოიყენებენ: შლომი ბენ ლეა ბატ სარა-რიკა**, ე. ი. მოდელში პირადი სახელის გარდა შედის დედისა და დედის ხაზით ბებიის სახელი.

ებრაელთა შორის ყველაზე ძველი და გავრცელებული მემკვიდრეობითი სახელებაა *კოგენი (კოგანი, კონი, კანი, კუნი)* და *ლევი (ვალევი)*. ბიბლიის თანახმად, სასულიერო ფენის წარმომადგენლები (ივრ. კოგანიმი) *აგარონის* შთამომავლები არიან; მათი თანაშემწეები — *ლევიტები (ლევიმი)* მომდინარეობენ ლევის მუხლიდან. როგორც ერთს, ისე მეორეს სანესჩვეულებო რიტუალში გარკვეული როლი და საპატიო მოვალეობები აქვთ, რაც მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ტიტულები *კოგანი* და *ლევი* ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან გვარსახელის ფუნქციისაც იყო. შუა საუკუნეების პერიოდიდან ებრაელთა ანთროპონიმულ ჩამონათვალში შედის **გვარსახელ-აბრევიატურები**. გვარსახელებამდე ებრაული პიროვნული სახელების დიდი ნაწილიც აკრონიმების სახის იყო. **გვარსახელი-აბრევიატურა რამდენიმე სიტყვის საწყისი ბგერების ხელოვნურად შეერთების შედეგს წარმოადგენს. აბრევიატურებია ისეთი ცნო-**

ბილი მოღვაწეების გვარსახელები, როგორიცაა *მარშაკი, როშალი, შუბი, სევალი, ტან-ბოგოროზი, ბოგოროვი, ბრუკი*. ასეთი სახელების ეტიმოლოგია ხშირად გაურკვეველია არა მხოლოდ რიგითი მკითხველისათვის, არამედ კვალიფიციური ონომატოლოგისთვისაც კი.

გვარსახელ-აბრევიატურები სხვადასხვა დროს ბგერების ინიციალური შეერთებით იქნა მიღებული; ისინი სახელისა და მამის სახელის, სახელისა და პროფესიის ან საქმიანობის, საზოგადოებრივი მდგომარეობის ან პიროვნების სხვა მახასიათებლების შეერთების შედეგია, იშვიათად კი წარმოადგენს ტრადიციულ ანდაზურ გამოთქმათა და ბიბლიის ციტატების აბრევიატურებს.

ცნობილ მეცნიერთა და რაბინთა პიროვნების აღმწერი აბრევიატურები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებშია ცნობილი, დაახლოებით XI საუკუნიდან. მაგალითად, ფართოდაა ცნობილი აბრევიატურები: XII საუკუნის ცნობილი მეცნიერი და ფილოსოფოსი იყო *რამბამი*, რომელიც შედგენილია სიტყვების: *რაბი მოშე ბენ მაიმონი*-ის („მოძღვარი მოსე მაიმონის შვილი“) პირველი ბგერების შეერთებით. სახელი *რაში* მიღებულია სიტყვების — *რაბი შლომი იცხაკი*-საგან. ის ქართულად ასე ითარგმნება: „მასწავლებელი შოლომონ ისაკის შვილი“. *რაში XI* საუკუნეში მოღვაწეობდა და ბიბლიური წიგნების პოპულარული კომენტატორი იყო. XII საუკუნის მოღვაწე, ფილოლოგი და გრამატიკოსი იყო ესპანეთში მცხოვრები *რაბი რაბე* — *რაბი ავრაამ ბენ ეზრა*, რომელსაც სამეცნიერო სამყაროში იცნობდნენ *იბნ-ეზრას* სახელით (სხვათა შორის, *იბნ-ეზრას* სახელში „შვილის“ აღმნიშვნელი არაბული სიტყვა *იბნ* შეესატყვისება ებრაულ *ბენ*-ს. ეს აშკარად მიუთითებს პირენეის ნახევარკუნძულზე არაბთა ბატონობის პერიოდში ებრაელებზე არაბული კულტურის გავლენაზე). სახელი *რაშბა* ასე იშიფრება: *რაბი შელომი ბენ ავრაამ ადერმეტ*. მისი თარგმანია: „მასწავლებელი შოლომონ ავრაამის შვილი“. *რაშბა XIII* საუკუნის ბარსელონელი ცნობილი თალმუდისტი იყო. XVI საუკუნის მეცნიერის სახელი *რაშალი* სახელი მიღებულია *რაბი შელომი ლურიეს* საწყისი ბგერებისაგან. ყველა ჩამოთვლილი სახელი მხოლოდ პიროვნული სახელი იყო. ამიტომაც ისინი შთამომავლობაზე არ გადასულა. *რაბამის, რაშის, რაშბის* შვილებს თავ-თავიანთი სახელები ჰქონდათ.

წარმომავლობაზე მიუთითებს ისეთი გავრცელებული გვარსახელი, როგორიცაა *კაც-ი*. ის *კოგენ ცადაკის* („მართალი კოგენი“) შემოკლებულ შეერთებას წარმოადგენს. გვარსახელი

ზაკ-ი იმიფრება როგორც *ზერა კდოშიმი*-ი („ნმინდა უბინო ოჯახი“. ასე უწოდებდნენ მათ, რომელთა მშობლებიც რელიგიური დევნის გამო დაილუპნენ).

შუა საუკუნეები ებრაელთა ტოპონიმური და მეტსახელური გვარსახელების გავრცელების სანყისი პერიოდი: *ფრანკი, ესპინოზა (სპინოზა), ლუსადა*; გვარსახელი *რაპოპორტი* ეკუთვნის ოჯახს, რომლის მეტსახელი იყო *რაპე* (გერმ. *Rabe* — „ყვავი“), რომელიც გადასახლდა იტალიურ ქალაქ პორტოში. უფრო გვიანდელი გვარსახელები წარმოქმნილია პრუსიის, ავსტრიის, პოლონეთის ტოპონიმებისგან: *ბერლინერი, ოპენჰაიმერი, პოზნერი, ვარშავსკი*. ბევრი გვარსახელი მომდინარეობს რუსეთის იმპერიის სამხრეთ-დასავლეთი განაპირა მხარის ქალაქების, სოფლის, ადგილების სახელწოდებებისგან: *სმოლენსკინი, ოლევსკი, პროდერი*.

ებრაელებში გვარსახელები ძირითადად XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა, როდესაც ევროპის ყველა ქვეყანაში ებრაელებს თავისთვის უნდა აერჩიათ მემკვიდრეობითი სახელი. გვარსახელები აბრევიატურების სახით ჩამოყალიბდა. მარშაკი ნიშნავს მორაინე რაბი შლომი კლუგერს („ჩვენი მასწავლებელი სოლომონ ბრძენი“). ის გალიციის ქალაქ ბრადისა და სხვა ქალაქების ცნობილი რაბინი იყო XIX საუკუნის დასაწყისში.

ებრაული გვარსახელ-აბრევიატურებისათვის დამახასიათებელია ერთი ან ორი ხმოვნის არსებობა: *ზაკ, პაკ, შაც, ბაბად, შაბად...* ამას მეცნიერები იმით ხსნიან, რომ ებრაულ ანბანს ხმოვანი ბგერები არ გააჩნია. აბრევიატურები მხოლოდ თანხმოვანი ასო-ბგერებისგანაა შედგენილი. გვარსახელ-აბრევიატურები, რომლებიც ბ-თი იწყება და შუაში აქვთ რ, პატრონიმულია. მათში *ბ ბენ-ს* („შვილს“) ნიშნავს, ხოლო *რ* — *რაბიეს*, ე. ი. „მასწავლებელს“. როგორც წესი, ასეთი გვარსახელები მიუთითებს მისი თავდაპირველი მატარებლის რაბინულ წარმომავლობაზე. ასეთი გვარსახელებია: *ბარმაკ, ბარშაკ, ბარში, ბარონ, ბარუ, ბარაც, ბარაზ*. რუსულ ტრანსკრიფციაში *ბარ-ს* (*ბენ რაბი*) ზოგჯერ *ბავრ* (*ბენ გარავი*) შეესატყვისება: *პოგროვი, პოგრადი, ბავრაში*, ნაცვლად *ბოროდისა, ბარაშისა, ბაროზისა*, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში იმაზედაც მიუთითებენ, რომ აბრევიატურაში *რ* ასო-ბგერა ყოველთვის არ მიუთითებს გვარსახელის თავდაპირველი მატარებლის სასულიერო ნოდებისადმი მიკუთვნებულობაზე. სალაპარაკო ენაში *რაბი (რებ)* ტერმინით ასაკით უფროს ადამიანებს პატივისცემის ნიშნად

მიმართავდნენ ისევე, როგორც ქართულში — „ბატონო“, რუსულში — „გოსპოდინ“, „სუდარ“, გერმანულში — „ჰერ“, ფრანგულში — „მუსიე“. გვარსახელები *პაკ* და *პაკას* (ლიტვური დაბოლოებით) არის აბრევიატურა სიტყვებისა *პარნეს კაგალ*, ე. ი. **კაგალის ხელმძღვანელი. კაგალი ერქვა რუსეთში ებრაელთა სათემო თვითმმართველობებს XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში.** საკმაოდ გავრცელებულია ებრაული გვარსახელ *კაც*-ი. ესაა აბრევიატურა სიტყვებისა *კოგენ ცედეკ*, ე. ი. „სამართლიანი კოგენი“. იგი სასულიერო მსახური იყო. *კაც*-ისაგან არის ნაწარმოები მრავალრიცხოვანი გვარსახელები: *კაცმანი*, *კაცოვიჩი*, *კაცნელსონი*, *კაცენბოგენი*, *კაცენელბოგენი*. გვარსახელი *სეგალი* და მისი მრავალრიცხოვანი ვარიანტები — *სიგალი*, *სიგალოვი*, *სეგალოვიჩი*, *სეგელი*, *შეგალი*, *შავალი* — წარმოადგენს სიტყვების *სეგენ ლევი* აბრევიატურებს, რაც „ლევიტ კოგენის თანაშემწეს“ ნიშნავს. გვარსახელის მატარებლის დახასიათების შემცველია აბრევიატურები *ბიკ* და *ბაკ*. ისინი *ბენ კე დოშიმ ან ბენ ისრაელ კადოშ*-ის („წმინდანის შვილი“; „ისრაელის წმინდა შვილი“) აბრევიატურებია. გვარსახელი *ზაკ* კი *ზერა კედოშიმ*-ის აბრევიატურაა. ის „წმინდანის შთამომავალს“ ნიშნავს. სიტყვით *კადოშ* („წმინდანი“) შუა საუკუნეებში რელიგიური დევნისათვის მოკლულნი და წამებულნი იწოდებოდნენ. *ზაც* (რუსიფიცირებული *საც*) *ზერა ცადიკიე*-ს „წმინდანის შთამომავალს“ ნიშნავს. გვარსახელები *გეც* და *გოც* მომდინარეობს სიტყვებისაგან *გერ ცედეკ*, ე. ი. „სამართლიანი უცხოელი“. ასე უწოდებდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც იუდაურ სარწმუნოებაზე გადადიოდნენ.

ებრაული გვარსახელები, ძირითადად, პროფესიებისა და საქმიანობის აღმნიშვნელი იყო: *კირჟნერი* (იდიშზე „ჭონი“), *მელამედი* (ივრითზე „მასწავლებელი“), *რიბაკოვი* (აღმოსავლეთ-სლავური), *კაპცანი* (ივრითზე „ღარიბი“, „მათხოვარი“). გავრცელებულია აგრეთვე გვარსახელები, რომლებიც კულტის მსახურთა და თემში ასარჩევი თანამდებობებისგან მომდინარეობს: *რაბინოვიჩი*, *შოიხეტი* („დამკვლელი“ — ადამიანი, რომელიც საქონლის რიტუალურ დაკვლას ახდენს), *პარნასი* (ებრაელთა თვითმმართველობის ორგანოს — **კაგალას** მთავარი თანამდებობის პირი), *გაბე* (თემის მამასახლისი), *ხაზანოვი* („ხაზანი“ — „მგალობელი“). ზოგიერთი გვარსახელი მეტსახელისაგან მომდინარეობს: *კოსოი* (რუს. „ელამი“), *გროვერი* (იდიშ. „ჭალარა“), *ადამონი* (ივრ. „ქერა“). ბევრი გვარი უშუალოდ ინდივიდუალური სახელებისგან მომდინარეობს. მათ შორის პატრონიმუ-

ლი გვარსახელები რაოდენობრივად ყველაზე მეტია: *არონსონი, ხაიმოვსკი, ლეიბოვიჩი*, მაგრამ **მატრონიმული გვარების პროცენტული რაოდენობა (30%) არაჩვეულებრივად დიდია**, რასაც ხასიდიზმის ტრადიციით ხსნიან: *ბელინი, სურისი, გოლდოვსკი*.

ებრაულ სახელთა სისტემისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ბევრი „ხელოვნური“ გვარი. ასეთი გვარსახელები ძირითადად იდიშის ენის ორი სიტყვის ფუძისაგან შედგება: *კორფელი* („ჭვავის მინდორი“), *ვაისბლატი* („თეთრი ფოთოლი“). ზოგჯერ ფუძეების შეერთებას ფანტასტიკური ხასიათი აქვს: *ტრახტენბერგი* („მეოცნებე მთა“), *როზენბტრიმი* („ვარდების ნაკადი“). ავსტრიელი ჩინოვნიკების მიერ შექმნილი „ხელოვნური“ გვარსახელები ხშირად შეურაცხმყოფელი იყო: *ეზელსკოფი* („ვირის თავი“), *ტრახტენბლუტი* („დრაკონის სისხლი“).

ებრაული წარმოშობის სახელები მრავლად გვხვდება სხვადასხვა ხალხის, განსაკუთრებით კი ქრისტიანი ხალხების ანთროპონიმიაში. ქვემოთ მხოლოდ ქართველთა შორის გავრცელებულ ზოგიერთ ასეთ სახელს ჩამოვთვლით: *ადამი* (ადამაჰ — „მინა“), *აბრამი* (ავრაჰამ — „მამა ხალხთა მრავალთა“), *აბელი* („ქარის ქროლვა“), *აბესალომ* (ავშალომ — „მამა-მშვიდობა“), *ადამი* („თიხა მინა“), *ამბაკო* („ღვთის მოყვარე“), *ანანია* (ხანანია — „შეინყალა ღმერთმა“), *ანა* (ხანა — „სანდომიანი“), *ბართლომე* („მოხნული მიწის შვილი“. შეცდომით ქართული სახელი *ბათუ* ბართლომესაგან მიღებულია და მიაჩნიათ. *ბათუ* სინამდვილეში მონღოლური სახელია), *ბარუხი*, *ფარუხი* („კურთხეული“; საქართველოში გვქონდა გვარსახელები *ფარუხაული* დვალეთში და *ფარუხაშვილი* ქართლში), *ბენიამინი* („საყვარელი შვილი“), *გაბრიელი* („სიძლიერე ჩემი ღმერთი“), *გედევანი* (გედყონ — „მჭრელი“), *დავით* (დავიდ — „მეგობარი ღმერთისა“), *დანიელ* (დანიელ — „მსაჯული — ჩემი ღმერთი“), *ევა* („ცოცხალი“), *ეთერი*, *ელია* („უფალი არის ღმერთი“), *ელიაზარ* („ღვთის წყალობა“), *ელისაბედ* („ღვთის მოფიცარი“), *ეთერი* (ესთერ — „ვარსკვლავი“), *ემანუელ* („ჩვენთან არს ღმერთი“), *ერემია* („ღმერთი აღამალლებს“), *ილია* (ელიაჰუ — „ღმერთი ესე ჩემი“), *ზაქარია* (ზეხარია — „მოსხენება უფლისა“), *თომა* („მარჩვიბი“, ანუ „ტყუპის ცალი“), *თამარი* („პალმა“), *იაკობ* (იაყაკოვ — „მორკინალი“), *ივდითი* („იუდეველი“), *იონათანი* (იეჰონათან — „ღმერთმა მისცა“, „უფლის სახლი“), *იორამ* (იეჰორამ — „მალა-

ლი“), *იორდანე* („მდინარე“), *ისაკი* (იიცხაკ — „კიცხვა, გინა სიცილი“), *იობი* („დევილი“), *იონა* („მტრედი“), *იოსებ* („ალორძინება“), *იოსია* („ღმერთი იცავს“. აქედანაა მიღებული შემოკლებული ვარიანტი — *ოსე, ოსია*), *ივანე, იოვანე* (იოხანან — „მადლიერი, სახიერი, მონყალე“), *ლაზარე* („ღვთის წყალობა“. *ელიაზარის* ვარიანტია), *მათე* („ღვთის კაცი“), *მალაქია* („ღვთის მოციქული“), *მანასე* (მაშიხ — „მესია“, „ცხებული უფლისა“), *მელქისედეკ* („სიმათლის მეფე“. მიიჩნევენ, რომ *მელქისედეკის* შემოკლებული ვარიანტია *მეჩი*), *მიხეილი* („ერის მთავარი“), *მიქელა* („ვინც ღმერთთან არის“. აქედანაა მიღებული *მიხეილ* და მისი კნინობითი ვარიანტები: *მიხა, მიხო, მიხაკო*), *მოსე* (მოშე — „წყლიდან ამოყვანილი“. აღმოსავლური ფორმაა *მუსა*), *მანანა* (მანანა — „ზეციური პური“), *მარიამი* („შეუპოვარი“), *ნაზარი* („ღმერთისათვის შეწირული“), *ნოე* (ნოახ — „ნუგეშისმცემელი“, „სიმშვიდე“), *ოსია* (ჰოშაეყ — „შველა“, „ხსნა“), *რაფაელ* („განკურნა ღმერთმა“), *საბა* („მოხუცებული“), *სეით* („სმა“), *ემანუილი* (ყიმანუილ — „ჩვენთანაა ღმერთი“), *შალვა* („სიმშვიდე“), *სავლე, საული* (შაული — „ნათხოვნი“), *სიმონ* (შიმონ — „გამგონე“), *სამსონ* (შემსონ — „მზიანი“), *სოლომონ* (შლომო — „მშვიდი“. მუსლიმურ სამყაროში — *სულეიმანი*).

ორიოდე სიტყვა ქართველ ებრაელთა ანთროპონიმულ მოდელზე: ის თითქმის არაფრით განსხვავდება ქართული საკუთარი სახელების სისტემისაგან. განსხვავება მხოლოდ ზოგიერთ პიროვნულ სახელში იყო. საისტორიო საბუთებით დასტურდება, რომ, განსხვავებით ყველა სხვა ებრაელისაგან, ქართველ ებრაელებს გვარსახელები თავიდანვე ჰქონდათ. ორიოდე მაგალითის მოყვანით დაკვირვებით: 1457 წელს ბაგრატ მეფემ, მცხეთიშვილობის (სვეტიცხოვლის აზნაურობის — რ. თ.) ძველი საბუთის საფუძველზე, სისხლის ფასი განუახლა *ელიოზიძე სეფი შვილ მამისთვალასა* და მის შვილებს: *დავითს, იბრაიმას, ისრაელს, ისხაკას, მამიას, მიხელას, მოშიას, სეფის, ყაზნას, შალომას, შამოელს*. საბუთიდან ამკარაა, რომ ქართველი ებრაელი *ელიოზიძეები* აზნაურთა ფენას მიეკუთვნებოდნენ. ეს გვარი 1559 წლის დომენტი კათალიკოსის შეწირულობის ნიგნძიც არის ცხინვალს მოხსენიებული: „*ურია ელიოზიძე*“. 1644 წლის დოკუმენტში მოხსენიებულია — „*ურია ფიჩხაძე დანელა*“. XVII საუკუნისავე შუა ხანების საბუთში ვხვდებით ებრაელ *ფაცია მოშიაშვილს*. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნის ორ დოკუმენტში დასახელებულები არიან *ურია ბერი* და მისი შვილები — *შაქარა* და *დავითა ქონაშვილები/ქონიაშვილები*. 1678 წლის

წყალობის წიგნში მოხსენიებულია „ურია დათუნა ხანანაშვილის ნასახლარი“. 1688 და 1699 წლების დოკუმენტებში მოწმედ დასახელებულია მძოვრეთის მამასახლისი — ებრაელი *მათვალაშვილი მარდახი* და მისი ძმა *იოსები*. 1680 წლის გიორგი მეფის საბუთში *ალხაზ მარჯაბლის* ცხინვალელ ყმებს შორის დასახელებული არიან ურიები *ხახანა*, *შალომა* და *მათვალა ხანანაშვილები*. 1688 წლის გაყრილობის წიგნში სოფელ მძოვრეთში მოხსენიებულია *ციციშვილების* ყმა ებრაელი *ისხაკ დავითაშვილი*. რატომ ჰქონდათ ქართველ ებრაელებს მემკვიდრეობითი სახელები? ამ კითხვაზე პასუხი მარტივია — იმიტომ, რომ ისინი ჩართული იყვნენ ქართულ ფეოდალურ სისტემაში, სოციალურ ურთიერთობებში; ისეთივე ყმები იყვნენ ქართველი ფეოდალებისა, როგორც ქართველი გლეხები; მათ შორის იყვნენ აზნაურებიც; ეკავათ სამოხელეო თანამდებობები. 1678 წლის შენორულობის წიგნში ნათქვამია, რომ არაგვის ერისთავის თანამეცხედრეს მარიამს აზნაურის ღვთისმშობლისათვის შეუწირავს ყმა ებრაელები, რომლებიც ადრე შეუძენია *ოთარ ერისთავს* ქუთაისში. ეს კი, ბუნებრივია, მოითხოვდა, რომ მათ მემკვიდრეობითი სახელი ჰქონოდათ. ქართველ ებრაელთა ძალიან ბევრი გვარი ქართულ გვარსახელებს იმეორებს. ქართველ ებრაელებში ასეთი საზიარო გვარი დაახლოებით 80%-ია. საზიარო მემკვიდრეობით სახელებს შორის შეიძლება დავასახელოთ: *აბრამიშვილი*, *ახალკაციშვილი*, *ბათიაშვილი*, *ბერიძე*, *გორელაშვილი*, *დავითაშვილი*, *თეთრუაშვილი*, *თოფჩი(ა)შვილი*, *იოსებაშვილი*, *მალაშვილი*, *ჯანიაშვილი* და სხვ. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ საზიარო გვარსახელები იმას არ ნიშნავს, რომ აღნიშნული მემკვიდრეობითი სახელების მატარებელთა წინაპრები ერთი და იგივე პიროვნებები იყვნენ. ეს სრულიადაც არ მიუთითებს იმას, რომ დასახელებულ გვარსახელთა წარმომადგენელი ქართველები გაეებრაელდნენ, ან კიდევ პირიქით — ებრაელები გაქართველდნენ. უბრალოდ, გვარსახელები ქართულ კულტურულ და ენობრივ სამყაროშია წარმოქმნილი, რაკი ებრაელები საქართველოში ქართველ ხალხთან ძლიერ იყვნენ ინტეგრირებულნი.

II. 17. არაბული საკუთარი სახელები

არაბული კლასიკური ანთროპონიმული მოდელი საბოლოოდ გვიან შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ის საფუძვლად დაედო ყველა არაბულ ქვეყანაში საკუთარ სახელთა სისტემის შემდგომ განვითარებას. ამავე დროს ისლამისა და არაბულ-მუსლიმური სახელების გავრცელებამ აზიისა და აფრიკის ბევრი ხალხის ანთროპონიმული სისტემის ძირეული ცვლილებაც განაპირობა. აზიისა და აფრიკის აღნიშნულ სახელთა სისტემის შესწავლა არაბული ანთროპონიმული მოდელის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია.

მთელი ცხოვრების მანძილზე არაბი რამდენიმე სახელის მატარებელი იყო. პირველ სახელს მცირეწლოვანებისას — დაბადების ან წინადაცვეთის დროს — არქმევდნენ. პიროვნულ სახელს, ჩვეულებრივ, მამის სახელი ემატებოდა. ამის შემდეგ ის იღებდა სოციალური მდგომარეობის ამსახველ ტიტულს ან ზედწოდებას (მეტსახელს), რომელიც პირადი და გარეგნული თვისებების გამომხატველი იყო. შეიძლება, ესა ეს თუ ის პირი იმ ქვეყნისა და ადგილმდებარეობის სახელის მიხედვით მოეხსენიებინათ, სადაც ის დაიბადა, ანდა საიდანაც მოვიდა. საკუთარ (პიროვნულ, ინდივიდუალურ) სახელად შეიძლება ქცეულიყო იმ რელიგიური სექტის სახელი, რომელსაც ადამიანი მიეკუთვნებოდა. არაბთა ანთროპონიმული მოდელი ხშირად პროფესიის, თანამდებობის, სამოხელეო ტიტულის სახელწოდებებსაც შეიცავდა. ყოველივე ამასთან ერთად, მწერალი ფსევდონიმსაც ატარებდა. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ერთი ადამიანი ყველა სახელს, ზედწოდებას (მეტსახელს), ტიტულს ერთდროულად არასდროს იყენებდა. ასეთი მრავალრიცხოვანი და ცვალებადი ანთროპონიმული კომბინაციებით ხასიათდებოდა არაბული ონომასტიკონი. რთული და სრული შემადგენლობის საკუთარი სახელებით, ანთროპონიმული მოდელით ძირითადად მმართველი ზედაფენა, დიდებულები, მეცნიერები, მწერლები, ისტორიული მოღვაწეები ხასიათდებოდნენ. უბრალო ადამიანების ჩვენამდე მოღწეული არაბული სახელები ერთი ან ორი კომპონენტისაგან შედგებოდა. ცალ-ცალკე განვიხილოთ არაბული ანთროპონიმული მოდელის თითოეული კომპონენტი:

1. ალამი (ისმალამი) არაბული ანთროპონიმული მოდელის პირველი და აუცილებელი კომპონენტია; ის პიროვნული (ინდივიდუალური) სახელია. **პიროვნული სახელი ბავშვებს დაბადებისთანავე, ვაჟებს წინადაცვეთისას ერქმეოდათ.** ალამი (ის-

მალამი), ჩვეულებრივ, ნათესავთა წრეში გამოიყენებოდა. ალამი იყო როგორც მარტივი — ერთი ელემენტისაგან (*ასად, ზიად, მუჰამად, იბრაჰიმ, ჰასან*), ისე ორი ელემენტისაგან შედგენილი (რთული) სახელი. რთული, ორი ელემენტისაგან შედგენილი, პიროვნული სახელები, როგორც წესი, თეოფორული სახელებია აბდ („მონა“)+ალაჰ ელემენტებით (ან მისი 99 ეპითეტთაგან ერთ-ერთით). განსაკუთრებით ხშირად გამოიყენებოდა ეპითეტები *არ-რაჰმანი* („მონყალე“) და *არ-რაჰიმი* („კეთილმონყალე“, „შემბრალბელი“). ალამად (ისმალამად) ხშირად იყენებდნენ სხვა სახელებს *აბუ, უმმ, იბნ, -ად-დინ, -ალაჰ* და სხვა ელემენტებით.

2. კუნია ალამიდან ნაწარმოები ტექტონიმი იყო, რომლის შემადგენლობაში აუცილებლად შედიოდა *აბუ* („მამა“) ან *უმმ* („დედა“) ელემენტი, რაც მიუთითებდა სახელს შვილის მიხედვით, მაგალითად, *ხალიფა ალი* თავის მრავალრიცხოვან სახელებთან ერთად ატარებდა აგრეთვე თავისი შვილების სახელებსაც: *აბუ-ლ-ჰასან* და *აბუ-ლ-ჰუსეინ*, ე. ი. „ჰასანის მამა“ და „ჰუსეინის მამა“. კუნიას მეორე კატეგორიას შეადგენდა განსაკუთრებული სახელი — მეტსახელი (ზედწოდება), რომელიც მეტაფორულად გამოიყენებოდა და მისი მატარებლის პირად თვისებებს აღნიშნავდა. ამ შემთხვევაში ელემენტები *აბუ* და *უმმ*, არ ითარგმნება როგორც „მამა“ და „დედა“ და ის „მფლობელის“, „მპყრობლის“, „მქონებლის“, „პატრონის“ მნიშვნელობისა და საზოგადო ლექსიკურ ერთეულთან შეერთებით იძენს სპეციფიკურ ანთროპონიმულ მნიშვნელობას. სახელების წარმოქმნის, სახელდების ასეთი წესი არაბებში უაღრესად პოპულარული იყო: *აბუ-მამარ* („საზოგადოების მპყრობელი“, ე. ი. „გულღია“, „თანაზიარი“), *აბუ-ლ-ჰაიარ* („სიკეთის მფლობელი“, „კეთილი“), *აბუ-ლ-ლ-ფარაჰ* („ბედნიერების მფლობელი“, ე. ი. „მხიარული“, „სიხარულით აღსავსე“). ასეთი ზედწოდება (მეტსახელი) შეიძლება ირონიული მნიშვნელობისაც ყოფილიყო, მაგალითად, *აბუ-ჰურაირა* („კნუტის მფლობელი“).

ძალიან ხშირად ბავშვს დაბადებისთანავე არა მხოლოდ **ალამს (ისმალამს)**, არამედ **კუნიასაც** არქმევდნენ. ამ შემთხვევაში **კუნია** სურვილს გამოხატავდა, რომ მას დაოჯახების შემდეგ ამა თუ იმ სახელის მატარებელი შვილი გასჩენოდა. **კუნია** ზოგიერთ შემთხვევაში პიროვნული სახელისაგან (ალამი) იყო მიღებული. არაბთა ზოგიერთი სახელი (*აბუ ბაქრ, უმმა ყულსუმი*) **კუნიას** ჯგუფიდან არის **ალამის** ჯგუფში გადასული, რომლებმაც *აბუ/უმმ* ელემენტი შეინარჩუნეს. კუნიას ტიპის სა-

ხელთა რიცხვში შეჰყავთ სახელებიც, რომლებიც მამის, ძმის, პაპის სახელების მიხედვითაა წარმოქმნილი. მათი მანარმოებელი ელემენტებია *აბუ/უმმა და იბნ/ბინტ*. ამ ტიპის სახელებს უფრო **ნასიბის** ტიპს მიაკუთვნებენ.

3. ნასიბი — ესაა ტექტონიმი, რომელიც **ალამიდან იბნ/ბინტ** ან **იბნა** („შვილი“, „ქალიშვილი“) ელემენტების დართვითაა წარმოებული და რომელიც აღნიშნავს მამის, პაპის, პაპის პაპის და ა. შ. გენეალოგიურ რიგს: შვილი A, შვილი B, შვილი C, შვილი D და ა. შ. *ნასიბის საშუალებით არაბს შეეძლო თვალი გაედევნებინა თავისი გენეალოგიური (გვარტომობის) გრძელი რიგისათვის*. ამდენად, ნასიბის სახელი გრძელი ჯაჭვივით იყო. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი ლექსიკონის ავტორის — *იბნ ჰალიკანის* ნასიბი 12 ერთეულისაგან შედგებოდა, ე. ი. მას 12 ნასანი ჰქონდა: *აბუ-ლ-აბას აჰმად იბნ მუჰამად იბნ იბრაჰიმ იბნ აბუ ბაქრ ნიბნ ჰალიკან იბნ ბავაკ იბნ შაკალ იბნ ალ ჰუსეინ იბნ მალიქ იბნ ჯაფარ იბნ იაჰია იბნ ჰალიდ იბნ ბარმაკ*. ყოველივე ამას თან ერთოდა მეტსახელიც *შამსუ-დ-დინ*. პრაქტიკულად ნასიბის ტიპის სახელების გამოყენება პაპის სახელის იქით იშვიათად მიდიოდა, ე. ი. შვილი A, შვილი B, შვილი C...

4. ლაკაბი დამატებითი სახელია, მეტსახელია (ზედწოდება), საპატიო ტიტულია, განსაზღვრებული ეპითეტია. არაბული ანთროპონიმის ეს ტიპი ყველაზე რთულია როგორც ფორმით, ისე სემანტიკური თვალსაზრისითაც. *ლაკაბის* ტიპის სახელებს ყოველთვის გარკვეული სემანტიკური, ხშირად მეტაფორული და მეტონიმიური ხასიათის დატვირთვა აქვთ. ეს სახელები მჭიდროდაა დაკავშირებული შუა საუკუნეების ცხოვრების რეალობებთან, არაბულ-მუსლიმური კულტურის იდეებთან. **ლაკაბის** ტიპის სახელების თარგმნა კულტურულ-ისტორიული ფონის დეტალურ ცოდნას მოითხოვს. მსგავსი სახელები, როგორც წესი, ადამიანს სიკვდილის შემდეგ ერქმეოდა. *ლაკაბის* ტიპის სახელები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა სოციალური ფენების მიხედვით, მაგალითად, მმართველების, სამხედრო ხელმძღვანელობის, სახელმწიფო მოღვაწეების ტიტულები დაირთავდა *-დინ, -დავლა, -ამირ, -ალ-მუ' მინინ, -მულქ, -ისლამ, -მილა* ელემენტებს. მეტსახელის ვინრო გაგებით, *ლაკაბი* ყველა ისტორიულ ეპოქაში იყო ცნობილი. ამასთანავე, ის ყველა სოციალურ ფენას ახასიათებდა. ლაკაბი ხშირად დაცივნისა და ადგილების გამომხატველი ზედწოდება (მეტსახელი) იყო *ნაზაბ* და *ლაზაბ* ტერმინების გამოყენებით. ის სხეულის ამა თუ იმ ნა-

ნილის ნაკლის ან უარყოფითი ხასიათისა თუ თვისების გამომხატველიც იყო: *თავილ* — „გრძელი“, *ალ-კაზაბ* — „მატყუარა“ და ა. შ. სახელდება ზოგჯერ დასაქმებისა და თანამდებობის მიხედვით ხდებოდა (აღინიშნებოდა სპეციალური ტერმინით *მანსაბ*, მაგალითად, *ალ-ხატიბ*, *ან-ნაჰას*, *არ-რავია...*). საპატრიო ტიტულები ტერმინ *ხიტაბ*-ით ერთიანდებოდა. ჩვეულებრივ, ლაკაბის ამ ტიპის სახელები *ად-დინ* ტერმინით იწარმოება: *ნურ-ად-დინ*, *შამსუ-დ-დინ*.

ხალიფებისა და ემირების ლაკაბის ბევრი სახელი დროთა განმავლობაში ალამად იქცა და მისი გამოყენება ყველა სოციალურ ჯგუფში დაიწყო, მაგალითად: *არ-რამიდი*, *რიდა*, *ზაქი*, *ტაკი* და კუნიას ტიპად ჩამოყალიბდა: *აბუ-ლ-ფათხი*, *აბუ-ნასრი*, *აბუ-ლ-ფადლი*.

ლაკაბის სახელებთან ახლოს დგას პოეტებისა და მწერლების ფსევდონიმები, რომლებსაც აერთიანებთ ტერმინი **ტახალუსი (მახლასი)**. ტახალუსის სახელი შესაძლოა რაიმე კავშირში ყოფილიყო სახელის მატარებლის პირად თვისებებთან, საცხოვრისის სახელწოდებასთან და ა. შ. მაგალითად, პოეტი *ალ-ბაისი* თავისი ლექსის პირველი სიტყვის მიხედვით იწოდა: *ალ-მუტანაბი*, რაც მისივე პოლიტიკური მოღვაწეობის გამომხატველიც იყო.

5. ნისბა ეთნიკურობის, რელიგიურობის, პოლიტიკური და სოციალური მიკუთვნებულობის, დაბადების, საცხოვრებელი ადგილის გამომხატველი სახელია. ნისბას მორფოლოგიური მანარმოებელია -ი სუფიქსი: *მაკი*, *შარანი*, *იომანი*. ის ერთმნიშვნელოვანი სახელია, თუმცა ზოგჯერ რთული სახელისაგან იყო ჩამოყალიბული: *აბ-ბაქრ* > *ბაქრი*, *იბნ ალ-ზუბაირ* > *ზუბაირი*, *ფარხუ-დ-დინ* > *ფახრი*. იყო შემთხვევები, როდესაც ერთ ადამიანს ერთდროულად რამდენიმე ნისბა ერქვა, მაგალითად, ერთი სახელი თუ რელიგიურ მიმართულებასთან ან სექტასთან იყო დაკავშირებული (*ში'ი* — „შიიტი“), მეორე — საცხოვრებელ ადგილზე ან წარმომავლობაზე (*ბასრი* — „ქალაქ ბასრიდან“) მიუთითებდა. ნისბას შერჩევის მიზეზი შეიძლება სრულიად განსხვავებული რამ ყოფილიყო, მაგალითად, ნისბას *ბადრი* ბადრასთან ბრძოლის მონაწილე მუსლიმები ატარებდნენ; მონას, რომელიც 1000 მონეტად იყო ნაყიდი, უწოდებდნენ *ალფი-ს* (*ალფ* — „ათასი“). ნისბას ტიპის სახელები, ისევე როგორც სხვა არაბული ტიპის სახელები, შედიოდა **ლაკაბის, მანსაბის და ტახალუსის** ჯგუფში.

არსებობს არაბული ანთროპონიმული მოდელის ელემენტთა თანამიმდევრობის დადგენილი ტრადიცია: (1) **კუნია**, (2) **ალამი**, (3) **ნასიბი**, (4) **ლაკაბი ან ტახალუსი**. ზოგჯერ პირველ ადგილზე იდგა ხიტაბი, ლაკაბი და ნისბა კი ერთმანეთს ენაცვლებოდა. **ალამი** და **ნასიბი** ანთროპონიმულ მოდელში თითქმის ყოველთვის შედიოდა, დანარჩენი კომპონენტები კი ვარიირებდნენ, ან, საერთოდ, შეიძლება არც ყოფილიყვნენ მის შემადგენლობაში.

ელემენტთა რაოდენობის მიხედვით, ქალთა სახელები მამაკაცის სახელებთან შედარებით მარტივი იყო. არ არსებობდა **ლაკაბისა** და **ნისბას** სახელები და უფრო იშვიათად გამოიყენებდნენ **კუნიას** სახელებს. ქალის სახელებიდან ყველაზე გავრცელებული იყო ის სახელები, რომლებსაც *მუჰამედის* ცოლები და ქალიშვილები ატარებდნენ: *ხადიჯა*, *ხინდი*, *ფატიმა* და ა. შ. თეოფორული სახელები - *ამატ* ელემენტით იყო ჩამოყალიბებული: *ამატ ალაჰ*, *ამატ ალ-ვაჰიდ*. ალამის სახელთან ხშირად მეტსახელიც გამოიყენებოდა.

არაბული ანთროპონიმები თავისი შემადგენლობით ძირითადად სემიტური წარმოშობისაა. მონათესავე სემიტური ენებიდან ნასესხები სახელები საკუთრივ არაბულ სახელებში „გაითქვიფა“. ნასესხები სახელები შედარებით მცირეა. განასხვავებენ ნასესხებ ანთროპონიმთა და მათ ელემენტთა რამდენიმე პლასტს: 1) ბერძნულ-ლათინური (*სუკრატი*, *აფლატუნი*, *იკლიდისი* და სხვა); 2) ირანული (-*ან*, -*ვაიხ* მორფემებით ნაწარმოები სახელები: *ფარჰად*, *ჰუსრუფ*); 3) თურქული -*ულლი*, -*ბაშა* მორფემებით ნაწარმოებით სახელები: *არსლან*, *თუმან*, *ურჰან*. არსებობს აგრეთვე ბერბერული, ინდური და სხვა ენებიდან ნასესხები რამდენიმე სახელი.

ადამიანი თანამედროვეთა და შემდგომი თაობებისთვისაც შეიძლება ცნობილი ყოფილიყო საკუთარ სახელთა ნებისმიერ ტიპით. გამოიყენებდნენ **ალამსაც** (*მუჰამამად*), **ნასიბსაც** (*იბნ ბატუტა*), **კუნიასაც** (*აბუ ნუვას*) და **ნისბასაც** (*ატ-თაბარი*) და სხვა.

არაბულ ანთროპონიმთა უმეტესობას გარკვეული სემანტიკური დატვირთვა ჰქონდა. მეცნიერები არაბთა პიროვნული სახელების შემდეგ ძირითად სემანტიკურ ჯგუფებს გამოყოფენ:

I. აღწერითი (დესკრიფციული) სახელები. ეს სახელები ახალშობილის ნიშან-თვისებას, მის დაბადებას აღნიშნავს და შეიცავს მონაცემებს მშობელთა შესახებ. მასვე მიეკუთვნება ის

სახელები, რომლებიც უკვე მოზრდილს ერქმევა ფიზიკური ნაკლის ან რაიმე ნიშნის გამო;

I. 1. ნათესაობასთან დაკავშირებული სახელები: *ალ-ვალიდ* („ბავშვი“), *უბაი* („პატარა ძმა“), *უბაი* („პატარა მამა“), *უმამა* („პატარა დედა“);

I. 2. ინდივიდუალური თავისებურებების, ფიზიკური ნაკლის ამსახველი სახელები: *ახვალ* („ელამი“), *აჰბას* („წვრილ-თვალეზა“), *ამა*, *დარირ*, *კაფიფ* („ბრმა“), *ბასირ* („კარგი მხედველობით“), *ამაშ* („ბეცი“), *ასამ*, *ატრამ* („ყრუ“), *ქაბირ* („დიდი“), *თავილ* („გრძელი“), *ალყან* („მუქი ყავისფერი“), *აჰდაბ* („კუზიანი“), *არაჟ* („კოჭლი“).

I. 3. დაბადებასთან დაკავშირებული სახელები: მთვარის კალენდრის თვეთა სახელწოდებები (*რაჯაბ*, *საფარ*, *რამაზან*); *ჯუმა* — „პარასკევი“, *სუბჰი* — „დილისა“. დაბადების ადგილის მიმანიშნებელი სახელებია: *ბასრა*, *სამარყანდი*; აქვე შედის გეოგრაფიული სახელწოდების ამსახველი ნისბას სახელები: *ატ-ტანტავი*, *მაქი*.

I. 4. შემთხვევის სახელები: *მაბაჯა* („ბაღე“, „მახე“), *კატრან* („ფისი“, „კუპრი“). ამავე ჯგუფში შეჰყავთ ცხოველთა და მცენარეთა აღმნიშვნელი ზოგიერთი სახელი;

I. 5. მშობლების სახელები: ნისბას ტიპის სახელები;

I. 6. ბავშვის მიმართ მშობლების გრძნობის გამომხატველი სახელები (ბედნიერება, სინაზე, სიყვარული): *მაჰბუბ* („სიყვარული“), *ხუბა* („სიყვარული“), *ვაჰბ და მაუჰაბ* („საჩუქარი“).

II. სურვილის გამომხატველი სახელები (დეზიდერატივები).

II. 1. სურვილის სახელები: *იაჰია* („მან უნდა იცოცხლოს“), *ტაგლიბ* („შენ გაიმარჯვებ“), *ამრ* („ცხოვრება“), *საიდ* („ბედნიერი“), *სად* („ბედნიერება“), *ტაუფიკ* („წარმატება“, „ბედნიერება“); (ვაჟების) სიძლიერისა და გულადობის, შეუპოვრობის გამომხატველი — *ასად*, *უსამა* („ლომი“), *ნიმრ* („ვეფხვი“), *ნასრი* („არწივი“), *საკრ* („შევარდენი“); აქვე შედის ომთან დაკავშირებული სახელები — *ზუ-ლ-ფიკარ* (მეტაფორული „მახვილი“), (ქალის) სილამაზის, სინაზის სურვილის გამომხატველი — *ვარდა* („ვარდი“), *ჰალიმა* („უნყინარი“), *ჰასანა* („ლამაზი“). ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ზოგიერთი პლანეტის, ძვირფასი ქვების და საუკეთესო სულიერი მდგომარეობის გამომხატველი სახელები — *აფიფ* („სათნო“, „პატიოსანი“, „მაღალი ზნეობის“), *ფაჰმი* („ჭკვიანი“), *ფაჰრი* („ამაყი“), *ქამილ* („სრულყოფილი“), *ალ-ფადლ* („პატიოსნება, „ღირსება“);

II. 2. „ავი სულებისაგან“, თვალის ცემისაგან დამცავი მატყუარა, უარყოფითი თვისების გამომხატველი სახელები: *კაბიჰა* („უმსგავსობა“), *მურა* („მწარე“), *ალ-ხანაშ* („გველი“), *შაბათ* („ტარანტული“), *იამუტ* („ის მოკვდება“);

II. 3. მშობლების სურვილის გამომხატველი სახელები: *იაზიდ* („ის მოიმატებს“).

III. მიძღვნილი სახელები.

III. 1. ტოტემური სახელები. ასეთ სახელებს მიეკუთვნება *ქალბ* („ძალი“), რომელიც გამოიყენება მრავლობითი ფორმით — *ქალაბ*; *დიბ* („მგელი“).

III. 2. რელიგიური ხასიათის სახელები. აქ შედის წინასწარმეტყველის სახელი — *მუჰამედი*, მისი ნათესავების, პირდაპირ შთამომავალთა და მქადაგებელთა სახელები — *ალ-აბასი*, *ფატიმა*, *ალი*, *ომარი*, *ჰამაზა* და სხვა; ბიბლიური სახელები, რომლებიც ისლამის გავრცელების დროს გარკვეულ რელიგიური დატვირთვა ჰქონდა: *იაკუბი*, *იბრაჰიმი*, *იდრისი*, *ისმაილი*, *სულეიმანი*, *იუსუფი* და სხვ.; თეოფორული სახელები — *აბდალაჰ* („ალაჰის მონა“) და *„აბდ+ალაჰის“* ეპითეტის მოდელის მიხედვით წარმოქმნილი ისლამის იდეის გამომხატველი სხვა სახელები. ეს სახელები გაფორმებულია *-ად-დინ*, *-ალაჰ ალ-ისლამი*, *-სუნა* და სხვა ერთეულებით; ყურანთან დაკავშირებული სახელები — *ალ-ყურანი*, *ჰაფიზი* („ყურანის ზეპირად მცოდნე“);

III. 3. ცნობილ ისტორიულ პირთა და პატივსაცემ წინაპართა საპატივცემულო სახელები.

თანამედროვე ეგვიპტური ანთროპონიმული მოდელი ახლოსაა კლასიკურ არაბულ მოდელთან. ის სამი ელემენტისაგან შედგება: პირად სახელს მოსდევს მამის სახელი, მამის სახელს — გვარსახელი: *ქამილ მუჰამად იბრაჰიმ, ჰუსეინ ქამილ ად-დინ, მუჰამად ხატაბ ალ-ბაჯური (ალ-ბაჯური)*. ასეთი ფორმით ფიქსირდება ეგვიპტური სახელი პასპორტსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში. თანამედროვე ეგვიპტურ ანთროპონიმულ მოდელში აღარ გვაქვს კლასიკური არაბული მოდელის *იბნ* („შვილი“), რომელიც პიროვნების სახელსა და მამის სახელს შორის ინერებოდა, მაგრამ ზოგჯერ საჭიროებისა და სურვილის შემთხვევაში (საპატიო სიგელში, ოფიციალურ დიპლომში და ა. შ.) სიტყვა *იბნ* ინერება და ხშირად მას პაპისა და პაპის მამის სახელსაც უმატებენ. ეგვიპტეში ყოველდღიურად მამის სახელს არ იყენებენ და პირს, ჩვეულებრივ, პიროვნული (ინდივიდუა-

ლური) სახელითა და გვარსახელით მოიხსენიებენ: *მაჰმუდ თეიმურ*, *მუჰამად თეიმურ*, *აჰმად თეიმურ*, *სუჰეირ ალ-ქალამავი*, *იბრაჰიმ ალ-მუველიძი* და ა. შ.

გათხოვილი ეგვიპტელი ქალები გვარსახელს არ იცვლიან.

ეგვიპტის არაბული სალიტერატურო არაბული ენის ერთგვარ ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს, შესაბამისად, სახელებიც გარკვეული ფონეტიკური ვარიანტულობით გამოირჩევა, მაგალითად, *მაჯიდი* გამოითქმის როგორც *მაგიდი*, *ჯამალი* — *გამალი*.

გარკვეული თავისებურება ახასიათებს **ეგვიპტის ქრისტიანი მოსახლეობის — კოპტების** სახელებს. ძველი და ახალი აღთქმიდან ნასესხებ სახელებთან ერთად კოპტებში გვხვდება სახელები, რომლებიც ფარაონთა და ელინისტური ეგვიპტის სახელებთანაა დაკავშირებული, აგრეთვე სახელები, რომლებიც ევროპიდანაა გავრცელებული. კოპტებში გავრცელებულია ისეთი სახელები, როგორებიცაა: *მიხეილ*, *ხანა*, *თომა*, *სეზოსტროსი*, *ეველიდისი*, *მარი*, *ელისაბეტი*, *ლუიზა*, *ჯოზეფი*, *ჯორჯი*, *ამალია*, *ჟულია*, *ვიქტორია*, *ივონი* და ა. შ. კოპტების სრულ სახელებს შორის შეიძლება შეგვხვდეს შემდეგი სახელებიც: *სადიკ მიხაილ ანტონიუს*, *მადლენ აიუბ ანდრეუს* და ა. შ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეგვიპტურ სალაპარაკო ენაში ფართოდ გამოიყენება სახელთა კნინობითი ფორმები. მაგალითად, *ლეილას* კნინობითი ფორმაა *ლულუ*, *სუჰეირის* — *სუსუ*, *მაზუზის* — *ზუზუ*, *ზაქის* — *ზუზა*, *მადიკის* — *დუკა*, *ფატიმას* — *თამთამი*, *ჰასანის* — *სუნსუნი*. ბევრ საკუთარ სახელს რამდენიმე კნინობითი ფორმა აქვს.

ეგვიპტურ ოჯახებში გავრცელებულია ჩვეულება, რომლის თანახმად ბავშვებს არქმევენ ერთი და იმავე ძირის სახელებს, რომელთაგან ნაწარმოები სახელები ერქვა მამასა და პაპას. მაგალითად, მამას თუ ჰქვია *აჰმადი*, შვილებს შეიძლება დაარქვან *მუჰამედი* და *მაჰმუდი*, ე. ი. სამივე სახელის ძირია — *ჰმდ*.

ეგვიპტეში გავრცელებული სახელებისა და მეტსახელების გარკვეული რაოდენობა ცხოველთა და მცენარეთა სამყაროსთანაა დაკავშირებული, მაგალითად: *გურაბ* (შეადარე ქართული გვარსახელი — გურაბანიძე) — „ყორანი“, *კუტ* — „კატა“, *ფარ* — „თავი“, *ვარდა* — „ვარდი და ა. შ. ზოგიერთი სახელი ასახავს ყოფის ცალკეულ დეტალებს, სამეურნეო და საოჯახო ყოფას, ეთნიკურ თავისებურებას, ზოგჯერ კი — ადამიანთა ფიზიკურ ნაკლს, მაგალითად: *გუნდი* — „ჯარისკაცი“, *გუნდია* — „ჯარისკაცი ქალი“, *სიმსარ* — „მაკლერი“, „შუამავალი“, *სიტ*

ად-დარ — „სახლის ქალბატონი“, *სიტ ალ-აბლ* — „ოჯახის ქალბატონი“, *ჰანიმ* — „მანდილოსანი“, *ხანუმა* — „ქალიშვილი“, *უმ ალ-ხაირ* — „სიკეთის დედა“, *ალ-ავარ* — „მოღრეცილი“, *ალ-არავ* — „კოჭლი“...

ეგვიპტურ სახელებზე გარკვეული გავლენა მოუხდენია თურქულ ანთროპონიმებს. მაგალითად, *თეიმურ* (თურქ. *თიმურ* — „რკინა“). თურქულის გავლენის შედეგია *მუჰამად-ალის*, *მუნირ-ფახმის*, *სამირ-ჰუსნის*, *ნასმა-ლუფტის* ტიპის ორმაგი სახელები.

ალჟირელ არაბთა სახელები, ჩვეულებრივ, არაბულ-მუსლიმურია, მაგრამ **გავრცელებულია ძველი ბერბერული სახელებიც**: *ხამუ*, *ბეტკა*, *დერგალ*. ისინი არაბულ სახელებთან ერთად გამოიყენება: *აიტ აჰმად*, *მუჰამედ ხამუ* და სხვ., თუმცა არაბები მხოლოდ არაბულ სახელებს იყენებენ.

როგორც ცნობილია, ერაყში გავრცელებულია ისლამის ორივე ძირითადი მიმდინარეობა — *შიიზმი* და *სუნიზმი*, რამაც ერაყელთა ანთროპონიმიაზედაც ერთგვარი გავლენა მოახდინა. შიიტები ძირითადად მუჰამედის პირდაპირ შთამომავალთა სახელებს ანიჭებენ უპირატესობას: *ალი*, *ჰასანი*, *ჰუსეინ*, *ფატმა*. შიიტებს შორის ძალიან პოპულარულია შიიტ წმინდანთა და მქადაგებელთა სახელები, მაგალითად, *მახდი*, *კაზიმი*... ხანდახან შიიტები თავიანთ შვილებს არქმევენ სუნიტი ხალიფებისა და წინასწარმეტყველთა სახელებსაც, მაგალითად, *ოსმანი*, *უმარი*...

თურქთა ოთხსაუკუნოვანი ბატონობის შედეგად ერაყულ ანთროპონიმიაში თურქული სახელებიც შეიჭრა. ხშირად არაბული სახელები თურქულ ენაში მიმართვის აღსანიშნავად გამოყენებულ ლექსიკურ ერთეულს *ეფენდი*-ს („ბატონი“, „განათლებული ადამიანი“) დაირთავს, მაგალითად, *აბას-ეფენდი*, *ხამიდ-ეფენდი*. ერაყულ ანთროპონიმებში, მართალია, უმნიშვნელო რაოდენობით, მაგრამ მაინც შეჭრილა ირანული და ქურთული სახელებიც, ისეთი სახელები, როგორებიცაა — *შირინი*, *ნასრინი*, *ნარგისი*, *სარქარი*, *ჯამშიდი* — გავრცელებულია ირანიდან; ისინი უმეტესად სამხრეთ ერაყში გვხვდება, სადაც ბევრი სპარსელიც ცხოვრობს. XIX-XX საუკუნეების მიჯნიდან ერაყში

ევროპული სახელებიც გავრცელდა, განსაკუთრებით ინტელიგენციასა და უმაღლეს ჩინოვნიკებს შორის.

ერაყში გავრცელებული სახელებია: *მუნირი* („ღია ფერის“), *მუქრია* („ქერა“), *ჯამილა*, *ჯამალ* („ლამაზი“), *ახვალ* („ბრუციანი“, შდრ.: ქართული გვარსახელი *ახვლედიანი*), *არაჯ* („კოჭლი“), *რამაზან*, *საფარ*, *რაჯაბ* (ეს სამი უკანასკნელი სახელი არაბული მთვარის კალენდრის თვეთა სახელწოდებებია), *მუტარ* („წვიმაში დაბადებული“), *ჯუმბა* („პარასკევი“) — მუსლიმთა სადღესასწაულო დღე, *ლაილა* („ლამე“), *შინაბ* („კომეტა“). ერაყელთა სახელებს შორის ხშირად გვხვდება ცხოველების, განსაკუთრებით, მოზარდეულის სახელწოდებანი: *ჯახშურ* („ჩოჩორი“), *სახლინ* („კრავი“), *ასად* („ლომი“), *ზიაბ* („მგელი“). დიდ ჯგუფს ქმნის პროფესიის აღმნიშვნელი სახელები: *ნაკაშ* („სახლების მღებავი“) (შდრ. ქართული გვარსახელი *ნაკაშიძე*), *ხადად* („მჭედელი“), *სამაკ* („მეთევზე“. „თევზით მოვაჭრე“, შდრ.: ქართული გვარსახელი *სამაკაშვილი*), *საბავ* („მღებავი“), *ჰამიკ* („მკურნალი“)...

ერაყელთა შორის არის შემთხვევები, როდესაც ადამიანი სხვადასხვა გარემოებათა გამო კარგავს თავის თავდაპირველ, დაბადების დროს დარქმეულ სახელს და ირქმევს მეტსახელს. მეტსახელებს მიეკუთვნება ისეთი სახელი, როგორიცაა *ნადიმი* („მსმელი“, შდრ.: ქართული გვარსახელი *ნადიმაშვილი*).

ლიბანელ არაბთა ანთროპონიმული მოდელი არაბულ კლასიკურ და თანამედროვე ანთროპონიმულ მოდელებს შორის ყველაზე მარტივია. ის შედგება პირად სახელისა (არაბ. *ისმ*) და გვარსახელისგან (არაბ. *ისმ ალ-აილა*). ოფიციალურ ურთიერთობაში პირად სახელსა და გვარსახელს შორის, ჩვეულებრივ, ათავსებენ მამის პირად სახელს, ამასთანავე, სიტყვები *იბნ* („შვილი“) და *ბინტ* („ქალიშვილი“), უმეტეს შემთხვევაში, გამოტოვებულია, მაგალითად, *ჯუბრან ხალილ ჯუბრან*, რომელშიც პირველი კომპონენტი ინდივიდუალური სახელია, მეორე — მამის სახელი და მესამე — გვარსახელი.

ლიბანურ ანთროპონიმულ მოდელში სახელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა არასემიტური წარმომავლობისაა, ესენია: ძველი სპარსული, ბერძნული და ლათინური ნასესხობები, თურქული სახელები და ლათინური ანთროპონიმების ახალი ფენა, რომლებიც ლიბანის ტერიტორიაზე ჯვაროსანთა ლაშქრობების ეპოქაში შემოვიდა და რომლებიც თანდათან შეივსო ახალ და უახლო-

ეს პერიოდში იტალიური, ფრანგული, ინგლისური და სხვა სახელებით. ბერძნული სახელების მთელი წყება — *ბასილიუსი* (ვასილი), *ირინიმიუსი* (იერონიმი), *ისბირიდუნი* (სპირიდონი), ლათინური *ჯირმანუსი* (გერმანი), *კონსტანტინი* (კონსტანტინე) — შვეინროებულ იქნა ახალევროპულ სახელთა ნასესხობებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მაგალითად, *ალფრადი* (ალფრედი), *ფილიბი* (ფილიპე), *შარლი*, *კატრინი*, *მარიანა*. ზოგიერთი სახელი ერთდროულად რამდენიმე თანაბარუფლებიანი ფორმით გვხვდება: *იუჰანა-ჰანა-ჯან* (იოანე-ჟანა), *ჯურჯუს-ჯირჯი-ჯურჯ* (გიორგი). ევროპულ სახელთა გავრცელებას ერთგვარად აქ არსებული ქრისტიანული სამეცნიერო ცენტრებიც უწყობდა ხელს. დიდი მნიშვნელობა იქონია ლიბანელთა ემიგრაციამაც, რომელიც განსაკუთრებით მასობრივი გახდა XIX საუკუნის ბოლოდან.

ლიბანის მთელი მოსახლეობისათვის გვარსახელი XX საუკუნის დასაწყისიდან იქნა შემოღებული, მაგრამ უფრო დიდი ხნით ადრე გვარსახელი, როგორც მდგრადი სახელწოდება, რომელიც მამის ხაზით გადაეცემოდა თაობიდან თაობას, ლიბანის ზოგიერთ ფენაში არსებობდა. **ზოგიერთი ასეთი გვარსახელი, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს, XVI საუკუნიდან არის ცნობილი**, მაგალითად, *ად-დუვაიხი*, *ას-სახიუნი*, *ალ-ბაკელი* და სხვა. გლახთა ძირითადმა მასამ გვარსახელი XX საუკუნის დასაწყისში მიიღო. სოფლებში გვარსახელად, ჩვეულებრივ, მეტ-ნაკლებად დაშორებული წინაპრის პირად სახელს ირჩევდნენ. გვარსახელად იქცა არაბული ანთროპონიმული მოდელის თითქმის ყველა შემადგენელი ნაწილი: **ლაკაბი**, **კუნია**, **ნასაბი**, **ნისბა**, **მანსაბი**. მთელ რიგ ლიბანურ გვარსახელებს არაბამდელი წარმოშობა აქვთ, რომლებსაც ფინიკიური (*ბაირუთი*) და არამეული (*იმად* — „ნათვლა“) ძირები აქვთ. განსაკუთრებით ბევრია ისეთი გვარსახელი, რომლებიც გეოგრაფიული სახელებისგანაა მიღებული, რადგან ლიბანური ტოპონიმების, სულ მცირე, მესამედი არაბობამდელია.

სემიტური წარმომავლობის გვარსახელთა გვერდით ლიბანურ ანთროპონიმიაში შედის არასემიტური გვარსახელების დიდი რაოდენობა: ბერძნული (*აშ-შედაიკი* „არქიდიაკვანი“), ქურთული (*ჯუმბალატი* — დამახინჯებული *ჯანბალატი*), თურქული მორფემით ნაწარმოები (*ალ-ია ზიჯი*), არაბიზებული სომხური გვარები (*სარქისი*, *ბაიანი*). ზოგიერთი ქრისტიანული გვარსახელი (უმეტესად მარონიტული) ტრადიციულად ჯვაროსანთა სახელებისაგან მომდინარეობს. ახალ დროში პოლიტიკური, სა-

ვაჭრო, კულტურული და სხვადასხვაგვარი კონტაქტების შედეგად გაჩნდა ე. წ. „ლევანტიური“, ძირითადად, იტალიური და ახალბერძნული ნამომავლობის გვარსახელები, მაგალითად, *ბასილა*, *აბილა*, *იოანი*, *ბაული*, *კატსაფლისი* და ა. შ.

თანამედროვე ლიბანში სახელის დარქმევის რაიმე საერთო კანონზომიერება არ არსებობს, მაგალითად, ბავშვს შეიძლება დაარქვან სახელი *იდი* („დღესასწაული“), *მილადი* („შობა“), თუ ის აღნიშნულ დღეებში დაიბადება. ზოგიერთ ადგილას შემორჩენილია ახალშობილისათვის პაპის სახელის დარქმევის ტრადიცია, ზოგჯერ კი ერიდებიან, შვილიშვილს დაარქვან ჯანმრთელი პაპის სახელი, რადგან ამან შეიძლება მოხუცებულს ვნება მიაყენოს. ზოგიერთ ოჯახში ბავშვებს ისეთ სახელებს არქმევდნენ, რომლებიც ერთი და იმავე ბგერით იწყება, ან თანხმიერია, მაგალითად: *ფუადი*, *ფახიმი*, *ფაუზი*, *ფადი*; *ნაიმა*, *ნაიმი*, *ნაბიხი*, *ნაბიხა*; *რაფიკი*, *შაფიკი*; *სამირი*, *მუნირი* და ა. შ., მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის არ გვხვდება შემთხვევები, რომ ბავშვის პიროვნული სახელი დედის ან მამის პიროვნული სახელს თანხვედბოდეს.

ლიბანური მიმართვის ფორმულა თითქმის ისეთივეა, როგორიც სხვა არაბულ ქვეყნებისა: *აბუ-რაფიკ* („მამა რაფიკ“), *უმ-ხაიდარ* („დედა ხაიდარ“).

ზემოთ არაბული ანთროპონიმები მხოლოდ ზოგადად მიმოვიხილეთ. დასასრულს, არ შეიძლება არ ითქვას, რომ არაბულმა საკუთარმა სახელებმა პირველხარისხოვანი როლი შეასრულა მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ონომასტიკური სისტემის ფორმირებაზე. თურქული, ირანული, ავღანური ანთროპონიმია შეუძლებელია გავიგოთ არაბულ სახელთა შესწავლის გარეშე. იგივე შეიძლება ითქვას აფრიკის, ინდონეზიის, პაკისტანის, აგრეთვე კავკასიის, და შუა აზიის ანთროპონიმებზე.

არაერთი არაბულ-მუსლიმური სახელია გავრცელებული ქართველ ხალხშიც. ეს ბუნებრივიცაა — ისინი ქართველთა მეზობლები არიან და, ამასთანავე, საქართველოს დიდი ნაწილი ხშირად სხვადასხვა მაჰმადიან ეთნოსთა (არაბების, სპარსელების, თურქების) პოლიტიკური დაქვემდებარებისა და გავლენის ქვეშაც იმყოფებოდა. მუსლიმურ ინდივიდუალურ სახელთა გავრცელება ჩრდილოეთ კავკასიიდანაც ხდებოდა, განსაკუთრებით ქართველ მთიელებში, მაგალითად: *აბიკა* (*აბაკა*), *ავალი*, *ალფარსლანი*, *ალთუნი*, *ალხაზი*, *აშექალი* (აშიკ-ალი=„მუხამე-

დის მოსიყვარულე“), *ბადრი* (შემოკლებული: *ბადრუდინი*), *ბარათა*, *ბათუ*, *ბეგლარი*, *დადეში/დადამი*, *ზირაქი*, *თემური*, *თენგიზი*, *თულა*, *თავაქალი* („ლმერთის იმედით“), *ლაშქარი(ა)*, *მურადი*, *პაიკი(ა)*, *სალარი*, *სამადი*, *სალარი(ა)*, *სევდია*, *სინჯარა*, *ყამარი* („მთვარე“), *ხუბულა* („ალაჰის წყალობა“), *შადიმანი*, *ჯანაში*.

II. 18. ჩინურ საკუთარ სახელთა სისტემა

მეცნიერებს ყოველთვის არა აქვთ საშუალება, თვალი გაადევნონ ამა თუ იმ ხალხის ანთროპონიმული მოდელის ისტორიული განვითარების პროცესს. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს ჩინელი ხალხი წარმოადგენს. ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად ჩინურ საკუთარ სახელთა შესახებ ფრიად საგულისხმო მონაცემებია დაცული წერილობით წყაროებში. ინის ეპოქის (ძვ. წ. XIII—XI საუკუნეები) ჩინურ საკუთარ სახელთა სისტემის გარკვევაში იმდროინდელი ეპიგრაფიკული ძეგლები გვცხმარება.

ინის ეპოქის ანთროპონიმულ მოდელს, პიროვნულ სახელებს შემდეგ კატეგორიებად ყოფენ:

1. პირადი (ინდივიდუალური) სახელი. ჩვენამდე მოღწეულ რამდენიმე გენეალოგიური ჩანაწერიდან ერთ-ერთში ვკითხულობთ: „*ერ-ის* ოჯახის წინაპარს ერქვა *ც ზი*, *ც ზის* შვილს ერქვა *ჟუანი*, *ჟუანის* შვილს ერქვა *და*, *დას* შვილს ერქვა *იანი*, *იანის* შვილს ერქვა *ხუ*, *ხუს* უმცროს ძმას ერქვა *ცი*, *ცის* შვილს ერქვა *სანი*...“ მთლიანად სულ ათი თაობის წინაპრის სახელია ჩამოთვლილი. ინის ეპოქის ანთროპონიმების თავისებურება ისაა, რომ მათ არ ახასიათებთ რაიმე ანთროპონიმული ფორმანტი, ყველა ნიშნადია და წარწერებში აპელატივების სახით გვხვდება;

2. მიცვალებული წინაპრის სახელები. ზემოთ მოყვანილ გენეალოგიურ წარწერებში მოხსენიებულ გარდაცვლილ პირთა სახელები მემკვიდრეობით არ გადადიოდა, **წინაპრის სახელს შთამომავალს არ არქმევდნენ.** სახელთა უმეტესობა დეკადის დღეების აღმნიშვნელი იყო: *ც ზია*, *ი*, *პინ*, *დინ*, *უ*, *ც ზი*, *გენ*, *სინ*, *ჟენ*, *გუი*. სხვადასხვა მოსაზრებით, ისინი დაბადების, სიკვდილის დღეების აღმნიშვნელი იყო. ისიც აღნიშნულია, რომ ასეთ სახელებს მკითხაობის შემდეგ არქმევდნენ. ბოლოდროინდელი ჰიპოთეზის თანახმად, ზემოთ ჩამოთვლილი სახელები, ციკლუ-

რი ნიშანი-დეტერმინატივი მონათესავე ჯგუფების გარკვეული მემკვიდრეობითი ეკზოგამიური ქვეჯგუფების აღმნიშვნელი იყო. საერთოდ, დეტერმინატივი იყო ნიშნადი, რადგან ის მიცვალებული წინაპრისათვის მისატანი შესანიშნავის თანამიმდევრობას ადგენდა (მაგალითად, „*მამა ცზის*“ სახელზე მსხვერპლშენიშნა ხდებოდა დეკადის პირველ დღეს). სახელდების შემადგენლობაში ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინი მსხვერპლის რაოდენობაზედაც მიუთითებდა — უფრო ახლო ნათესავებს უფრო მეტი რაოდენობის მსხვერპლის მიტანა ევალებოდათ;

3. საოჯახო, ანუ პატრონიმული სახელები. საოჯახო სახელები (ზემოთ დასახელებული *ერ*-ის გენეალოგიის მსგავსი) პირველწინაპრის პიროვნული სახელისაგან, ადგილსაცხოვრების ან თანამდებობის (პროფესიის) სახელისგან იყო წარმოქმნილი. **ინის ეპოქის ამ კატეგორიის სახელები მემკვიდრეობითი იყო**, თუმცა რამდენიმე თაობის შემდეგ ისინი შესაძლოა შეცვლილიყო, თუ ერთ-ერთი შთამომავალი მისგან გამოცალკევდებოდა და ახალ პატრონიმულ ჯგუფს ჩაუყრიდა საფუძველს. საერთო მემკვიდრეობით სახელს ოჯახის ყველა წევრი ატარებდა; ცოლიც ქმრის საოჯახო სახელს იღებდა;

4. გვაროვნული სახელი. გვაროვნული სახელი მემკვიდრეობითი სახელი იყო გვარის ყველა წევრისათვის. ის საგვარეულო ღვთაების სახელწოდებას შეესატყვისებოდა და უმეტესად ტოტემის, მთების, მდინარეების სახელებით გადმოიცემოდა. **გვაროვნული სახელი მემკვიდრეობითი და უცვლელი იყო.** მას მხოლოდ გვარის წევრები ატარებდნენ. სხვა გვარიდან გამოთხოვილი ქალი, განსხვავებით საოჯახო (პატრონიმული) სახელისაგან, თავის გვაროვნულ სახელს ინარჩუნებდა. გვარის წევრი დაბადებისთანავე გვაროვნულ სახელს იღებდა, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე ატარებდა; ის რეალური სოციალური კოლექტივისადმი მიკუთვნებულობას განსაზღვრავდა. იგივე შეიძლება ითქვას საოჯახო სახელებზედაც. ყველა პირი, რომელიც ამ კატეგორიის ერთსა და იმავე სახელს ატარებდა, ერთმანეთთან გარკვეული ნათესაობით იყვნენ დაკავშირებულნი. გვარის წევრებს ერთმანეთის მიმართ სოციალური უფლებები და ვალდებულებები ჰქონდათ. გვაროვნული სახელისაგან განსხვავებით, საოჯახო სახელი რეალური პირისაგან მომდინარეობდა და ის უშუალოდ პირის რეალურ აგნატურ ნათესაობაზე მიუთითებდა. ძველი ჩინური საოჯახო სახელი რომაულის სრული ანალოგიაა. როგორც ძველი ჩინური, ისე რომაული

გვაროვნული სახელები გვაროვნულობის ტრადიციიდან მომდინარეობდა, რომლებსაც ახალ სოციალურ ურთიერთობებში ფუნქცია არ დაუკარგვთ.

მკვლევრებს ჩინური საკუთარი სახელების შესახებ მონაცემები მოეპოვებათ ძვ. წ. VI-V საუკუნეების ნარატიული წყაროების სახითაც. მაშინდელი ჩინელის სახელი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: პირველი მემკვიდრეობითი სახელი იყო, მეორე — პიროვნული, ინდივიდუალური სახელი. ყველა მამაკაცს არა ერთი, არამედ ორი პიროვნული სახელი მაინც ჰქონდა. ამის ანალოგიები ლ. მორგანს იროკეზებშიც აქვს აღწერილი. იროკეზი დაბადების შემდეგ იღებდა სახელს, რომელიც სხვა სახელით სრულასაკოვნობაში იცვლებოდა. სახელის შეცვლის ცერემონია სიმბოლურად სოციუმის მიერ ჭაბუკის სრულუფლებიან წევრად მიღებას აღნიშნავდა. ანალოგიური წეს-ჩვეულება ძველ ჩინეთშიც არსებობდა. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ახალი სახელი („ცზი/დი“) თავდაპირველს („მინ“) კი არ ენაცვლებოდა, არამედ მასთან ერთად, პარალელურად გამოიყენებოდა. მეორე სახელის დარქმევას ჭაბუკისათვის **ქუდის სახელის დარქმევის ცერემონია** ახლდა თან. ამ მომენტიდან ის გვარის სრულუფლებიანი წევრი და მეომარი ხდებოდა. რაც შეეხება მამაკაცის სახელის შემადგენლობაში ძვ. წ. VI-V საუკუნეებში ჩინურ მემკვიდრეობით სახელს („ში“), ის მუდმივი არ იყო — რამდენიმე თაობის შემდეგ სხვა სახელით შეიძლება შეცვლილიყო, რომელიც ადრინდელთან სრულიადაც არ იყო დაკავშირებული.

გათხოვებამდე ქალის სახელი, ფაქტობრივად, მეტსახელს წარმოადგენდა, რომელიც ოჯახის სხვა წევრებთან მიმართებით მისი შეფარდებითი ასაკის აღმნიშვნელი იყო, მაგალითად: გო — „უფროსი“, ჩყუნ — „მეორე“, შუ — „მესამე“, ცზი/დი — „უმცროსი“. ქალები მემკვიდრეობით სახელსაც („სინ“) ატარებდნენ. მაგალითად, მამაკაცს კუნ ცზის/დის (ცზი/დი ესაა „სინ“-ი) თუ ჰყავდა ქალიშვილი, მას შეიძლებოდა რქმეოდა პო ცზი/დი (ცზი/დი „სინ“-ა). გათხოვილი ქალი იღებდა ქმრის სახელს „ში“. ამავე დროს ინარჩუნებდა თავის თავდაპირველ „სინ“-ს. პო ცზი/დი თუ ვინმე ლიან ცინ/-ზე გათხოვდებოდა, ინოდებოდა ლიან ცზიდ/დიდ. გათხოვილ ქალს სახელდებაში თავისი ხასიათით ორი განსხვავებული მემკვიდრეობითი სახელი („ში“ და „სინ“) ჰქონდა, მაგრამ საერთოდ არ გააჩნდა პირადი სახელი. ახ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში ჩინეთში მემ-

კვიდრეობითი სახელები „ში“ და „სინ“ არსებითად ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა:

1. „სინ“-ი, როგორც წესი, უცვლელი იყო; ის წინაპრიდან შთამომავალზე რამდენიმე თაობის განმავლობაში გადადიოდა, შემდეგ კი შეიძლება შეცვლილიყო.

2. „ში“-საგან განსხვავებით, „სინ“-ს საქორწინო ურთიერთობის რეგულატორის, მომწესრიგებლის ფუნქცია ჰქონდა. ერთი „სინ“-ის მატარებლებს ერთმანეთზე დაქორწინება არ შეეძლოთ.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ჩინეთში სახელების სისტემა მკვეთრად შეიცვალა. არსებითი ის იყო, რომ თანდათანობით მემკვიდრეობითი სახელი „ში“ მუდმივად გახდა. ამავე დროს ერთგვაროვანი გახდა კაცებისა და ქალების სახელდება, მაგალითად, ცნობილ ისტორიკოსს *ბან პიაოს* ჰყავდა ვაჟიშვილები *ბან ბიაო* და *ბან გუ* და ქალიშვილი *ბან ჯაო*. ეს უკანასკნელი ცოლი გახდა *ცაო ში-მუსი*, მაგრამ ისევ *ბან ჯაოდ* იწერებოდა. ამრიგად, „სინ“-ი ქალის სახელდებიდან გაქრა იმის გამო, რომ დროებითი მემკვიდრეობითი სახელი „ში“ მუდმივად იქცა, *ბან პიაოს* ყველა შთამომავალი ისტორიაში მემკვიდრეობითი სახელით *ბან* შევიდა.

რაც შეეხება თანამედროვე ჩინურ ანთროპონიმულ მოდელს, ის წინამორბედ საკუთარ სახელთა სისტემების ბაზაზეა ჩამოყალიბებული და მის გამარტივებულ ვარიანტს წარმოადგენს. თანამედროვე ჩინელთა სახელების სისტემას ე. წ. „იაპონურ“ ტიპს მიაკუთვნებენ:

1. პირველ ადგილზე დგას უცვლელი მემკვიდრეობითი სახელი „სინ“, მეორეზე — პიროვნული, ანუ ინდივიდუალური სახელი — „მინ“.

2. პრაქტიკულად გაქრა რამდენიმე პირადი სახელის ერთდროულად არსებობის ტრადიცია. ის მხოლოდ უფროსი თაობის ინტელიგენტთა შორისაა შემორჩენილი.

ქალი დღესაც ინარჩუნებს მამის მემკვიდრეობით სახელს „სინ“.

ამრიგად, ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ჩინელებში მემკვიდრეობითი სახელების სამი სხვადასხვა კატეგორია არსებობდა: **ა. ძველი „სინ“, ბ. „ში“, გ. თანამედროვე „სინ“**. როგორია მათ შორის გენეტიკური და ფუნქციური კავშირი? თანამედროვე ჩინურ მემკვიდრეობით სახელს „სინ“ მკვლევართა უმეტესობა გვარსახელად მიიჩნევს. მაგრამ იმავე ტერმინით აღინიშნებოდა ძველი მემკვიდრეობითი სახელი „სინ“, რომე-

ლიც ძველი ნელთალრიცხვის I ათასწლეულის მეორე ნახევრამდე თანაარსებობდა „ში“-სთან ერთად. დიდი ხანია შენიშნულია, რომ ძველჩინურ „სინ“-ს ახასიათებდა ტოტემური გვაროვნული მახასიათებლები. ამ გარემოებამ მკვლევრებს იმ მოსაზრებისაკენ უბიძგა, რომ თანამედროვე ჩინური გვარსახელი უშუალოდ გვაროვნული სახელისგან მომდინარეობს. ასეთი მოსაზრების ავტორი იყო ი. ვ. ბესტუჟევი-ლადა, რომელიც აღნიშნავდა, რომ **ჩინეთში ტრადიციული სისტემა უშუალოდ „ტრანსფორმირდა“ თანამედროვეში და მოხდა გვაროვნული სახელის გვარსახელში გადაიზრდა.** (ანალოგიურად გარდაიქმნა გვაროვნული სახელები გვარსახელებად ქართველ ხალხშიც). ძველი გვაროვნული სახელების თანამედროვე გვარსახელებთან მსგავსება ამკარაა. ისინი გარეგნულად ერთმანეთის ანალოგიურია და ერთმანეთისაგან, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება. გვაროვნული სახელის მსგავსება თანამედროვე გვართან მტკიცდება მათი უცვლელობითაც. თუმცა მეცნიერთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ძველი ჩინელებისა და თანამედროვე ჩინელების გვარსახელები გენეტიკურად ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული.

თანამედროვე ჩინელთა გვარსახელები მომდინარეობს არა ძველი „სინ“-ისგან, არამედ „ში“-სგან. მაგალითად, კონფუციის სახელში *კუნ ციუ კუნ „ში“* იყო. შემდგომ, „ში“-ს გაქრობის შედეგად, ის გვარსახელად გარდაიქმნა და უცვლელ კომპონენტად იქცა. კონფუციის ყველა შთამომავლის სახელდების უცვლელ კომპონენტს „ში“ — *კუნ* წარმოადგენდა. ახ. წ. III საუკუნეში მოღვაწეობდა ცნობილი მეცნიერი *კუნ ან-გო*. ჩვენს დროში გომინდანის ჩინეთის „ოთხი ოჯახიდან“ ერთ-ერთს ფინანსური მაგნატი *კუნ სიან-სი* ხელმძღვანელობდა, რომელიც ყოველთვის თავს იწონებდა იმით, რომ მისი გენეალოგია მომდინარეობდა ძველი ჩინეთის ისეთი დიდი მოაზროვნისაგან, როგორც იყო *კონფუცი*.

რალას წარმოადგენდა ძველჩინური „ში“? ეს ცვალებადი მემკვიდრეობითი სახელები წინაპართა — პაპის ან პაპის პაპის — პირადი სახელებისაგან წარმოიქმნა. ზოგიერთი „ში“ წინაპრის თანამდებობის, პროფესიის ან საცხოვრებელი ადგილის სახელისგან იყო წარმოქმნილი. „ში“-ს გვაროვნულ სახელთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ამრიგად, ჩინეთში წინაპრის სახელი უშუალოდ გადაიქცეოდა შთამომავალთა მემკვიდრეობით სახელად. ჩინელებმა დიდი ხნის განმავლობაში, ისევე როგორც რომაელებმა, შეინარჩუნეს გვაროვნული სახელი, რომელიც

მუდმივი იყო და გვაროვნული სახელის ბაზაზე წარმოქმნილი შედარებით ახალი „ში“. „სინ“ და „ში“ დიდი ხნის განმავლობაში ორი სხვადასხვა რიგის ნათესაური ერთობები იყო. ანალოგიურ შემთხვევასთან გვექონდა საქმე რომში, სადაც nomen-ი gens-თან მიკუთვნებულობის აღმნიშვნელი იყო, cognomen-ი კი — გვარსახელთან, ე. ი. „გენსის“ დანაყოფთან.

დროებითი მემკვიდრეობითი სახელი (ზედწოდება „ში“) განსაზღვრავდა პიროვნების ადგილს სოციალურ სტრუქტურაში, ორგანიზაციაში. ძველ ჩინეთში ეს გარემოება რეალურ ასახვას პოულობდა საქორწინო ნორმებში: ქორწინება ნათესავეებს შორის აკრძალული იყო. მაგრამ სხვადასხვა ოჯახის წევრები, რომლებიც ერთმანეთთან არ იყვნენ დაკავშირებული ნათესაური კავშირებით, მაგრამ ერთსა და იმავე სახელს ატარებდნენ, შეიძლება დაქორწინებულნი იყვნენ. მოგვიანებით, „ში“-ს გვარსახელად გარდაქმნის შემდეგ, ეს განსხვავება ნაიშალა და ყველა მოგვარეს აეკრძალა ერთმანეთზე დაქორწინება. ის, რომ ყველა მოგვარე ფორმალურად ნათესავად ითვლება, მაჩვენებელია იმისა, რომ გვარი უკვე აღარ მიუთითებს რეალურ ნათესაობაზე. ამიტომ თანამედროვე ჩინური გვარსახელები განსხვავდება ძველი „შინ“-ისაგან, არა მხოლოდ თავიანთი მდგრადობით, არამედ იმითაც, რომ გვარი არ წარმოადგენს გარკვეული სანათესაოსადმი მიკუთვნებულობის ნიშანს.

თანამედროვე ჩინელთა ანთროპონიმული მოდელი ორ ელემენტს შეიცავს; პირველ ადგილზე დგას გვარსახელი, ანუ მემკვიდრეობითი სახელი, რომელსაც მოსდევს ინდივიდუალური სახელი. მემკვიდრეობითი სახელი, ჩვეულებრივ, ერთმარცვლიანია, მაგალითად: ვან, ჩჟოუ, მა... იშვიათად — ორმარცვლიანი: სიმპ, ოუიან. ინდივიდუალური სახელი უფრო ხშირად ორმარცვლიანია, იშვიათად — ერთმარცვლიანი. ამიტომ ჩინელთა სრული სახელი, რომელიც შეიცავს მემკვიდრეობით სახელსა და ინდივიდუალურ სახელს, იწერება, ჩვეულებრივ, მესამე იეროგლიფით, მაგალითად: ლი დაჩჟაო, დუ ფუ, ლუ სინ, ვან მინ, რომელთაგან პირველი გვარსახელია, მეორე — ინდივიდუალური სახელი.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ ჩინელს თავისი ცხოვრების მანძილზე რამდენიმე ინდივიდუალური სახელი ჰქონდა. ადრეულ ასაკში მას ე. წ. „რძის“ სახელი ერქვა (ჟუ-მინ ან სიო-მინ), რომელიც მხოლოდ ოჯახში იყო ცნობილი. მაგალითად, ცნობილ ჩინელ მწერალს ლუ სინს დაბადების შემდეგ დაარქვეს ჩჟანშოუ (პაპის მიერ დარქმეული სახელია), ჩვეულებისამებრ,

მას მეორე სახელიც (**ცზი**) — *იუშანი* დაარქვეს. ჩინელები სახელის არჩევისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მის აზრობრივ მხარეს. ვინაიდან ახალგაზრდა *ლუ სინის* სახელი ადგილობრივ შაოსინის დიალექტზე გამოითქმოდა როგორც *იუსანი*-ი (წვიმის ქოლგა), ის მალევე შეცვალეს *იუცაით* („ტალანტი“, „იმედი“).

ხშირად ბავშვებს ფსევდონიმებიც ჰქონდათ, მაგალითად: *ლუ სინის* ფსევდონიმი იყო *სინ სინი* — „სწრაფად მოსიარულე“. სრულწლოვანების შემდეგ ჩინელი იღებდა ოფიციალურ სახელს (**მინ**), რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა. მაგალითად, 18 წლის *ლუ სინის* სახელი მონიფულობამდე *ჩჟოუ შუჟენი* გახდა. სამსახურის დანყებისას მშობლები, მეგობრები, ახლობლები ადამიანს არქმევდნენ მეორე სახელს (**ცზი**). ამას გარდა, გამოჩენილი ადამიანი ხშირად თვით ირჩევდა ფსევდონიმს (**ხაო**). ასე მიიღო ფსევდონიმად *ლუ სინი* 1918 წელს *ჩჯოუ/ჯოუ შუჟენმა*.

ბოლო დროს *ცზი/ძი* და *ხაო* ხმარებიდან გამოდის და დღეისათვის სრულწლოვან ჩინელს მხოლოდ ერთი სახელი (**მინ**) გააჩნია. შემორჩენილია მხოლოდ სპეციალური, ე. წ. **რძის (ძუძუს) სახელის** დარქმევა. ინდივიდუალურ სახელად შეიძლება მიიღონ იეროგლიფთა ნებისმიერი შეთანხმება: *დაჩუნ* — „დიდი გაზაფხული“, *გოჩჟუ/გოჯუ* — „სახელმწიფოს დასაყრდენი“, „ბურჯი“.

მამაკაცების ოფიციალური ინდივიდუალური სახელი, ჩვეულებრივ, ვაჟკაცობის, ჭკუის, სიკეთის, გამდიდრების შესაძლებლობისა და სურვილის, ბედნიერების გამომხატველია: *შაოცი* — „ბავშვობიდან გენიალური“, *იუვეი* — „დიდი მომავალი აქვს“, ქალის ინდივიდუალური სახელები კი — სილამაზეს, ყვავილების სახელწოდებას, პეპლებსა და ა. შ.: *იუმეი* — „მთვარის ქლიავის ყვავილი“, *მინსია* — „ნათელი ცისკარი“... იშვიათია კაცისა და ქალის ერთი და იგივე სახელი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინურ ანთროპონიმიში არ არსებობდა ინდივიდუალურ სახელთა კანონიზებული სია, **ოფიციალური სახელების შერჩევა თვითნებურად არ ხდებოდა**. ის რამდენიმე წესით რეგლამენტირდებოდა, რაც ცნობილი იყო **პაი-ხანის** სისტემის სახელით (რიგში ჩამწკრივება, დაწყობა), რომლის თანახმად ნათესაური წრის ფარგლებში ერთი თაობის ყველა წარმომადგენელი (ადრე — პატრილინეური კლანი, გვიან — დიდი ან პატარა ოჯახი) ატარებდა განმეორებად საერთო ელემენტს. **პაი-ხანის** სისტემა ფართო სანათესაო წრის (კლანის) ნევრებს აერთიანებდა, რომელშიც მონათესავე ოჯახები

შედიოდნენ. ოჯახთა მეთაურები მამაკაცის ხაზით ერთი საერთო წინაპრის შთამომავალნი იყვნენ. ერთი **ცზუნცზუს/ძუნძუს** ოჯახები ჩამოყალიბებული იყო დიდი ოჯახის სეგმენტაციის შედეგად, რომლებიც **XX** საუკუნეშიც კი დაკავშირებული იყვნენ გარკვეული სამეურნეო, იდეოლოგიური და საზოგადოებრივი კავშირებით. ყოველ ოჯახში, რომლებიც ერთ **ცზუნცზუს/ძუნძუს** შედიოდა, იყო „საოჯახო საგვარეულო წიგნი“, რომელშიც ჩამონერილი იყო მოცემული **ცზუნცზუს/ძუნძუს** სახელები. საერთო ელემენტად შეიძლება ყოფილიყო ინდივიდუალური სახელის ერთი ან ორი იეროგლიფი. მაგალითად, *ვან ლიდა*, *ვან ლიფე*, *ვან ლისი*, სადაც ინდივიდუალური სახელის პირველი საერთო მარცვალაა *ლი*. შეიძლება მეორე მარცვალსაც ყოფილიყო საერთო: *ჩენ ლიფუ*, *ჩენ გოფუ*. ამ შემთხვევაში საერთოა მეორე მარცვალი *ფუ*. ჩინელთა შორის ხშირი იყო „მეხუთე „სტიქის“ აღმნიშვნელი დეტერმინანტები: წყალი, ცეცხლი, მეტალი, ხე, მიწა. ერთი თაობის წარმომადგენელთა სახელებში თუ გვექონდა „წყლის“ აღმნიშვნელი დეტერმინანტი, მაშინ მომდევნო თაობის წარმომადგენელთა საერთო ელემენტი იქნებოდა „ცეცხლს“ აღმნიშვნელი დეტერმინანტი და ა. შ. ამრიგად, **პაი-ხანის** სისტემის საშუალებით ადამიანის ინდივიდუალური სახელით შეიძლებოდა ნათესაობის რაობის განსაზღვრა იმავე სანათესაო წრის წარმომადგენლებთან.

ჩინელებში თუ ინდივიდუალურ სახელთა რაოდენობა პრაქტიკულად შეუზღუდავი იყო, მემკვიდრეობითი სახელების რაოდენობა შედარებით მცირეა — ის რამდენიმე ასეულს არ აჭარბებდა. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ოთხი-ხუთი გვარი: *ჩჟანი*, *ვანი*, *ლი*, *ჩჟაო*, *ლიუ*. რამდენიმე საუკუნეა, რაც მემკვიდრეობით სახელთა შემცირება შეიმჩნევა. თანამედროვე ჩინური გვარები განსხვავდება ძველი მემკვიდრეობითი სახელებისაგან: თუ დღეისათვის ჩინური გვარი უცვლელია და მამისგან შვილს გადაეცემა, თავდაპირველად მემკვიდრეობითი სახელი შეიძლებოდა შეცვლილიყო. ძველი მემკვიდრეობითი სახელები ჩამოყალიბდა ან პაპის ინდივიდუალური სახელისაგან, ან მისი პროფესიის, თანამდებობის, ადგილსაცხოვრისის სახელებისაგან. ასეთ მემკვიდრეობით სახელებს ჰქონდათ გარკვეული სოციალური ფუნქცია, რაც ადამიანის ამა თუ იმ სანათესაო კლანისადმი (ჯგუფისადმი) მიკუთვნებულობაზე მიუთითებდა. ეს, თავის მხრივ, არეგულირებდა ადამიანის ვალდებულებას სხვა ადამიანის წინაშე, რომელიც იმავე მემკვიდრეობით სახელს ატარებდა. მემკვიდრეობითი სახელის შეცვლა შეეძლო მხო-

ლოდ ოჯახის უფროსს, რომელიც გამოეყოფოდა მონათესავე ოჯახთა ჯგუფისაგან და საფუძველს უყრიდა ახალ კლანურ ორგანიზაციას. დროთა განმავლობაში თანამედროვე გვარების ჩამოყალიბების კვალობაზე მათ თანდათანობით დაკარგეს თავიანთი ძირითადი სოციალურ-განმასხვავებელი ფუნქცია. ტრადიციის ძალით ჩინეთში მოგვარეები ნათესავებად ითვლებოდნენ. ამიტომ 1911 წლის კანონით მოგვარეებს შორის ქორწინება აიკრძალა, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა ახალგაზრდებს შორის ნათესაური ურთიერთობა. იმისათვის, რომ დაეკონკრეტებინათ, ამა თუ იმ გვარის წარმომადგენელი რომელი შტოს წარმომადგენელი იყო, მემკვიდრეობითი სახელის წინ სვამდნენ მაზრის სახელს, საიდანაც ის იყო წარმოშობით.

მემკვიდრეობითი სახელი მომდინარეობს მამის ხაზით. გათხოვებისას ქალი არ იცვლიდა გვარს და მას ქმრის გვარს უმატებდა. ამრიგად, გათხოვილი ქალი ერთდროულად ორ გვარს ატარებდა და მისი სრული სახელი, ჩვეულებრივ, ოთხი იეროგლიფისაგან შედგებოდა. მაგალითად, *ხუან ვან ცზეცინ*, რომელშიც *ცზეცინ/ძეცინ* საკუთარი სახელია, *ვან* — მამის მემკვიდრეობითი სახელი, *ხუან* — ქმრის მემკვიდრეობითი სახელი.

უმცროსი ჩინელი უფროსს სახელით არ მიმართავდა. ის, ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ნათესაობით ტერმინს იყენებდა: „მესამე ძმა“, „მეექვსე დეიდა“, „უფროსი რძალი“... ხალხის თანდასწრებით მეუღლეები ერთამანეთს არა მხოლოდ ინდივიდუალური სახელით მიმართავდნენ, არამედ გვარსაც უმატებდნენ, რაც სრულიადაც არ იყო ოფიციალურობის გამომხატველი. ჩინელთათვის უცნობი იყო კნინობითი და მოფერებითი ფორმები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უმეტეს შემთხვევაში ანთროპონიმებს ეთნიკური შეფერილობა ატყვიათ. ამავე დროს საკუთარ სახელთა ეთნიკური სპეციფიკა საკმაოდ მდგრადია და ხშირ შემთხვევაში უცხო ეთნიკურ გარემოში მიგრირებულები ინარჩუნებენ ტრადიციულ გვარსახელებსა და პირად სახელებს. ჩინელები უცხო ეთნიკურ გარემოში ჩინურ საკუთარ სახელთა სისტემას, მის ცალკეულ კომპონენტებს ინარჩუნებენ თუ იცვლიან? სანამ უშუალოდ ამ საკითხს შევხებით, მანამ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მსოფლიოს ყველაზე დიდი ეთნოსი ფართოდაა განსახლებული ტაილანდში, მალაიზიაში, სინგაპურში, ბირმაში, ინდონეზიაში, კამბოჯაში, ვიეტნამში, ფილიპინებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ და სხვა ქვეყნებში განსახლებული ჩინელები მრავალ მილიონს ითვლიან და კომპაქტურად არიან განსახლებულნი. ისინი საუბრო-

ბენ ჩინურ ენაზე; აქვთ ჩინური სკოლები; მისდევენ ტრადიციულ ჩინურ წეს-ჩვეულებებს. ეროვნული ანთროპონიმები განსაკუთრებით მტკიცედ გადაეცემა მომავალ თაობას კომპაქტურად დასახლებულ ჩინელებში. ამას ბევრად განაპირობებს აგრეთვე მათთვის დამახასიათებელი ეთნიკური ენდოგამია.

ზემოთაღ აღინიშნა და კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ჩინელი ინდივიდუალური სახელის შერჩევას დიდ ყურადღებას აქცევდა. ამ მხრივ, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში მათ გარკვეული ტრადიციები გამოიმუშავეს. ჩინელი პირად სახელს რამდენიმეჯერ იცვლიდა. თავდაპირველად ბავშვს ე. წ. საბავშვო სახელი ერქმოდა, შემდეგ სახელი სასკოლო ასაკში ეცვლებოდა. ქალაქის მკვიდრნი, განსაკუთრებით ინტელიგენცია, ჩვეულებრივ, რამდენიმე სახელს, მათ შორის, ფსევდონიმს ატარებდნენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩინეთში დიდ როლს თამაშობდა ნათესაურ-გვაროვნული ორგანიზაცია, ე. წ. **ცზუნცზუ**. **ცუნცზუში** შემავალ ყველა ოჯახში ჰქონდათ და აქვთ საოჯახო საგვარეულო წიგნი (**ცზიაპუ**), რომელშიც განთავსებული იყო იეროგლიფების ცხრილი. მასში ამა თუ იმ **ცზუნცზუს** სარეკომენდაციო სახელების ცხრილი იყო განთავსებული. ერთი თაობის ყველა ნათესავი მამაკაცის სახელში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ერთი და იგივე პირველი მარცვალის, მაგალითად, ერთი გვარის ყველა პაპის სახელდება ასე ხდებოდა: *ჩჟან ცზე-სინი, ჩჟან ცზე-მინი, ჩჟან ცზე-ხუა, ჩჟან ცზე-სი* და ა. შ. მათი მომდევნო თაობის, ანუ მამების სახელები შემდეგი სახისა ჰქონდათ: *ჩჟან ბო-ცზიუნი, ჩჟან ბო-სინი, ჩჟან ბო-შენი, ჩჟან ბო-ლინი* და ა. შ. ამრიგად, ერთმანეთისაგან საკმაოდ შორს მცხოვრებ **ცზუნცზუს** წევრებს, რომლებიც ერთმანეთს არასოდეს არ ხვდებოდნენ, სახელების მიხედვით შეეძლოთ დაედგინათ ნათესაობა და ზუსტად განესაზღვრათ ნათესაობის ასაკობრივი დონე და ხარისხი: პაპების, მამების, შვილების, შვილიშვილებისა და სხვა თაობებისა.

მართალია, უცხო ეთნიკურ გარემოში ჩინელები გარკვეული თვალსაზრისით ინარჩუნებდნენ ანთროპონიმულ მოდელს, მაგრამ სხვადასხვა ფაქტორების გავლენით, ის მაინც იცვლებოდა, ერთგვარ ტრანსფორმაციას განიცდიდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩინელები ერთგულნი იყვნენ ტრადიციული ანთროპონიმისა, ის მაინც იცვლება, რადგანაც აქ ისინი არა იეროგლიფებით, არამედ ანბანით ეწერებიან. ამავე დროს მათი დამკვიდრება მიმდინარეობს არა პეკინური, არამედ შესაბამისი ადგილობრი-

ვი დიალექტით (შანხაის, კანტონის, ფუცზიანის/ფუძიანის და ა. შ.).

ისეთ ქვეყნებში კი, სადაც დღემდე გაბატონებულია იეროგლიფური დამწერლობა, მაგალითად, ვიეტნამში, კორეაში, იაპონიაში ჩინური სახელები და გვარსახელები მკვიდრდება ამ იეროგლიფთა შესაბამისი ვიეტნამური, კორეული და იაპონური გამოთქმით. ჩინური გვარსახელი და სახელი *ჩუუ დეხაი* კორეულად უღერს როგორც *ჩუ ტოკ ხე*. ამავე დროს ისინი, კორეული ტრადიციით, დეფისის გარეშე ჩაინერება. ჩინური სახელი *ხუან შუ-ინი* იაპონურად იქნება *კი სიუკუეი*. *ლი ბო* იაპონურ მეტყველებაში იწოდება *რი ხაკუდ*, ზუსტად ისე, როგორც პეკინური გამოთქმის ბატონი *ლი ნი*, გუანჯოუს დიალექტზე იქნება ბატონი *ლიომომი*.

ჩინური ტრადიციული სახელები იმ შემთხვევაშიც შენარჩუნდება, როდესაც უცხო ეთნიკურ-ენობრივ გარემოში მათ უზრდელური და უხამსი მნიშვნელობა აქვთ, მაგალითად, **ჩინური გვარსახელი ლი ბირმულად „ფალოს“ ნიშნავს, გვარსახელი ცზი/ძი კი — ექსკრემენტს. არასასურველი ორაზროვნებისაგან თავის დაღწევის მიზნით, ბირმელები აღნიშნული ჩინური გვარების წინ სიტყვას „მისტერ“-ს გამოიყენებენ.**

იმ ქვეყნებში, სადაც სახელი რამდენიმემარცვლიანია, ჩინური სახელი შესაბამის ცვლილებას განიცდის; ხდება სახელების ბირმანიზაცია, ტაიზაცია, ინდონეზიაცია, მაგალითად: ინდონეზიაში ერთმარცვლიან გვარსახელს — *ტან* გამოთქვამენ და ასე წერენ *ტანაიო*, გვარსახელი *ონგ-ი* *ონგოვასიტოდ* იქცევა და ა. შ. იმის გამო, რომ ბირმაში გვარსახელები არ არის, ამიტომ ბირმანიზაციასთან ერთად ჩინური სახელები სხვაგვარად გაიაზრება და ამდენად, თავის სტრუქტურას კარგავს.

ჩინური ტრადიციით, გვარსახელი ინდივიდუალური სახელის წინ დგას. ამის გამო, დასავლური ტრადიციის გავლენით, ჩინელები ინდივიდუალურ სახელს ხშირად გვარსახელის წინ წერენ და სახელის ნაცვლად აბრევიატურებსაც გამოიყენებენ, მაგალითად: *ხანი-ი ფენ, ჩ. ც. სია, დ. ლ. უ და ა. შ.*

ჩინეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ჩინელები, ჩინურ გვარსახელებსა და პირად სახელებთან ერთად, ადგილობრივ სახელებსაც გამოიყენებენ. თავდაპირველად ახალი სახელი მხოლოდ გარე ურთიერთობებისას გამოიყენება, საოჯახო ყოფაში კი ერთმანეთს ისევ ჩინური სახელებით მიმართავენ. მაგალითად, ბირმაში დაბადებული ჩინელი მშობლებისაგან იღებს ძირძველ ჩინურ სახელს, მაგრამ ბირმულ სკოლაში შესვლისთანა-

ნავე ჩინელ ბავშვებს ბირმული ან ინგლისური სახელით წერენ, ინდონეზიაში — ჰოლანდიური სახელით. ეს ახალი სახელი შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში, სამსახურში უნარჩუნდებათ, რათა ურთიერთობებში თავი დააღწიონ ყოველგვარ სირთულეს. ზოგიერთ სხვა ქვეყანაში — ტაილანდში, ინდონეზიაში — ჩინელებს აიძულებენ უცხო სახელთა მიღებას; ამ გზით ცდილობენ დააჩქარონ ჩინელთა ასიმილაციის პროცესი. მაგრამ თანდათანობით, სახელის თავისუფალი არჩევანის პირობებშიც შვილებს ჩინურ სახელებს აღარ არქმევენ, იტოვებენ მხოლოდ ნაციონალურ გვარსახელებს. უცხო სახელებზე გადასვლა ხშირად ხდება ახალი რელიგიის მიღებისას (განსაკუთრებით ისლამისა და ქრისტიანობის მიღებისას) ან შერეული (ეთნოსთამორისი) ქორწინებების დროს.

ანთროპონიმიული ტრანსფორმაციის პირობებში თავდაპირველად ჩინურ გვარსახელებსა და პირად სახელებს შესატყვის ახალ სახელს უმატებდნენ, მაგალითად: *ფრედ ჩჟე-ცინ პინი, ვისენტე ყუ-ც ზუნ ში, გალინა პეტროვნა დჟან ბო-შენი*. სახელის ტრანსფორმაციის საინტერესო პროცესს შეიძლება გავაღვევოთ თვალი ქვეყნებში, სადაც ოფიციალურ დოკუმენტებში მამის სახელია დაკანონებული, მაგალითად, XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში მოსულმა ჩინელმა *ჩჟან ში*, რომელიც წარმოშობით ხებეის პროვინციიდან იყო, რუსული ორთოეპიის გავლენით *დჟან შა* გვარით დარეგისტრირდა, მიიღო სახელი *ალექსანდრე*; *ალექსანდრე დჟან შა* შვილები დოკუმენტში მამის სახელითაც ჩანერეს: *დჟან შა ვიქტორ ალექსანდროვიჩ*, *დჟან შა ალა ალექსანდროვნა* და ა. შ.

დროთა განმავლობაში ადგილობრივი გარემოს გავლენით ჩინურ სახელებს აღარ არქმევენ და წარმოშობით ჩინელებს მხოლოდ გვარსახელია რჩებათ ჩინური. მაგალითად, ჩინელი კათოლიკეები ასე იწოდებიან: *ლუი იუი, ოსვალდ ვანი, რობერტ ლიმი, მანუელ სია, ჯერომ ჩენი, ეჟენ უ*; ჩინელი მუსლიმები: *მუჰამედ პინი, ჰასან ლიუ, აბდურაჰმან ჩჟოუ* და ა. შ. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბუდისტურ ქვეყნებში ჩინელები იღებენ ქსმერულ, ტაიოურ, ლაოსურ სახელებს, რომელთაც არავითარი რელიგიური დატვირთვა არ გააჩნიათ.

II. 19. ვიეტნამელთა ანთროპონიმიული მოდელი

თანამედროვე ვიეტნამური ანთროპონიმიული სისტემა სამწევროვანია. სისტემაში **პირველი სიტყვა გვარსახელია, ბოლო — პიროვნული სახელი, ხოლო მეორე — ე. წ. „დამხმარე“, „შუალედური“ სახელი**, მაგალითად: *ნგუენ ვან ხუენ, ლე ვან ხაო*; მაგრამ იშვიათად ორწევროვანი სახელიც გვხვდება, რომელიც მხოლოდ გვარსახელისა და სახელისაგან შედგება, მაგალითად, *მაკ დოინგ*.

ვიეტნამური გვარსახელების, ე. ი. მემკვიდრეობით მამიდან შვილზე გადასაცემ სახელთა რაოდენობა 300-მდეა. ყველაზე გავრცელებული გვარსახელია *ნგუენ* (ოჯახების 50%-ზე მეტი), მეორე ადგილზეა *ლი*, შემდეგ კი მას მოსდევს გვარსახელები: *ჩან, ფამ, ხოანგ, ნგო, დაო* და სხვა. როდის წარმოიქმნა გვარსახელები, რომელია მათგან საკუთრივ ვიეტნამური და რომელი ნასესხები, ამ კითხვებზე მეცნიერებს ჩამოყალიბებული, საერთო აზრი არ გააჩნიათ. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, თანამედროვე ვიეტნამურ გვარებს ეტიმოლოგიური მნიშვნელობა დაკარგული აქვთ. ეს ფაქტი კი უდავოდ მიუთითებს ვიეტნამურ მემკვიდრეობით სახელთა სიძველეზე. გვარსახელთა შეზღუდული რაოდენობის ფონზე მრავალრიცხოვანია პიროვნული სახელები.

ქალის ვიეტნამური სახელები, ჩვეულებრივ, ყვავილების, მცენარეების, ქსოვილების, ძვირფასი ქვების, აგრეთვე ცხოველთა და ფრინველთა აღმნიშვნელი სიტყვებისაგან მომდინარეობს, მაგალითად: *კუკ — „ქრიზანთემა“, დაო — „ატამი“, ლუა — „აბრეშუმი“, ლიეუ — „ტირიფი“... ხშირად ოჯახში გაჩენილ პირველ ბავშვს არქმევენ სახელს *კა* („უფროსი“), ნაბოლარას — *უტ* („უმცროსი“). სამხრეთ ვიეტნამის ზოგიერთ რაიონში კი ბავშვებისათვის სახელების დარქმევა რიგით ხდება: *კა* („პირველი“), *ხამ* („მეორე“), *ბა* („მესამე“) და ა. შ.*

ვიეტნამური სახელები ტოპონიმებთანაც არის დაკავშირებული: დაბადების ადგილის სახელწოდებასთან, ერთ-ერთი მშობლის დაბადების ადგილთან ან მშობლების გაცნობის ადგილთან. სახელი შეიძლება ასახავდეს ამა თუ იმ ოჯახურ მოვლენას, მაგალითად, *კოი* („ობოლი“) (ე. ი. ბავშვი დაიბადა მამის სიკვდილის შემდეგ), მშობლების პროფესიას — *მაი* („თერძი“), შრომის იარაღს — *ბაო* („შალაშინი“) და ა. შ. ახალდაბადებულებს ასეთ სახელებსაც არქმევენ: *გაო* — „ბრინჯი“, *ნიოკ* — „წყალი“, *ნია* — „სახლი“, *ზუონგ* — „მინდორი“.

ადრე ოჯახში, სადაც ბავშვი ხშირად ავადმყოფობდა ან კვებოდა, მშობლები ცდილობდნენ ახალშობილისათვის კარგი სახელი არ დაერქმიათ და მხოლოდ ისეთ სახელებს არჩევდნენ, როგორებიცაა *ეტ* („ბაყაყი“), *ზიუნ* („ჭია“), *ტხეო* („ფაშვი“). ვიეტნამელთა წარმოდგენით, ასეთი სახელის მატარებელ ბავშვს „ავი სულები“ ყურადღებას არ მიიქცევდნენ.

ვიეტნამურ ანთროპონიმულ მოდელში, როგორც წესი, **ინდივიდუალურ სახელსა და გვარსახელს შორის დგას ე. წ. „დამხმარე“, „შუალედური“ სახელი.** ქალის სახელებში ეს, ჩვეულებრივ, არის *ტხი*, კაცის სახელებში — *ვან*. კომპონენტი *ტხი* ადრე ყველა ქალის სახელში შედიოდა. მამაკაცებისათვის „დამხმარე“ სახელთა არჩევანი ფართოა: *ნგოკ* — „ემში“, „ემშის ქვა“, ნეფრიტი; *ხიუ* — „მოკეთე“, „მარჯვენა“; *ლიენ* — „კავშირი“; *სუან* — „გაზაფხული“ და სხვა. საერთოდ, „დამხმარე, „შუალედური“ სახელი მუდმივი და სავალდებულო არ იყო. მაგალითად, თუ ადამიანს სახელად — *ნგუენ ვან ან*-ს შემდგომში არ მოეწონება ასეთი შეხამება, შეუძლია აიღოს სხვა „შუალედური“ სახელი: ან *მინი*, ან *სუანი*, ე. ი. ის გახდება *ნგუენ მინ ან*, *ნგუენ სუან*, ან საერთოდ უარი თქვას მასზე და მისი სახელი და გვარი შემდეგნაირად დაინეროს: *ნგუენ ან*. „შუალედური“ სახელი გვარსახელზე ბევრად გვიან არის წარმოქმნილი. ხანგრძლივ ისტორიულ ეპოქაში ჩამოყალიბდა მოდელი, რომელიც გვარსახელისა და პირადი სახელისაგან შედგება: *ნგო კუეინ*, *ლი ბი*, *კხუკ ხაო*. **ადრე მამაკაცების „შუალედური“ სახელი შედარებით ბევრი იყო, ახლა მათი რაოდენობა 12-მდეა შემცირებული** (*ზუი*, *დინ*, *დენ*, *დიკ*, *ნგოკ*, *ვიეტ*, *ფუ*, *სუან*, *ხიუ*, *სი*, *ვან*, *მინ*), რომელთაგანაც ყველაზე გავრცელებულია *ვან*; მას მოსდევს *დენ* და *დინ*. ყველა ეს სიტყვა ნასესხებია ჩინური ენიდან. „დამხმარე“ სახელის მიღება მთლად ნებისმიერი არ იყო. ის ისტორიულად ჩამოყალიბებული წესებით რეგლამენტირდებოდა. ამ წესების თანახმად, ერთი თაობის ყველა წარმომადგენელს ერთი სანათესაო ჯგუფის (**ხო**) ფარგლებში საერთო ელემენტი ჰქონდა. მაგალითად, გვარ *ლე*-ს ერთ თაობას აქვს საერთო ელემენტი *კამ*, მეორე თაობას — *ხონგი*, მესამე თაობას — *ფიოკი*. ამრიგად, ამ „დამხმარე“ სახელებით შესაძლებელი იყო ნათესაობის ხარისხის განსაზღვრა ამავე ნათესაური ჯგუფის სხვა წარმომადგენლებთან, თუმცა სხვა შემთხვევებზე გვექონდა, როდესაც ერთი საერთო ელემენტი თაობიდან თაობას გადაეცემოდა, მაგალითად, მამას თუ ერქვა *ნგუენ ვან ხუინ*, შვილიც შეიძლება ყოფილიყო *ნგუენ ვან ხუი* და ა. შ. ვიეტნამელთა შორის არის

ტენდენცია „დამხმარე“ სახელი შეიცვალოს დედის გვარსახელით: *ჩან ლე, დანგ ნგიემ* და ა. შ. ასეთი პრაქტიკა ადრეც არსებობდა.

გვარსახელი მემკვიდრეობით გადაეცემა მამის ხაზით. გათხოვილი ქალი გვარს არ იცვლის.

ვიეტნამელთა ანთროპონიმულ მოდელსა და მიმართვის ფორმებში მამის სახელის აღნიშვნის ტრადიცია არ არსებობს, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ მშობლების წარამარა მოხსენიება და შეწუხება არ არის საკადრისი საქციელი. პირიქით, ზოგიერთ რაიონში მშობლები შვილების სახელებს ატარებენ, უფრო ხშირად თავის თავს უფროსი შვილის პირადი სახელით მოიხსენიებენ.

ვიეტნამელებს კიდევ ერთი ტრადიცია აქვთ — პიროვნული სახელების გამოყენების შეზღუდვა იყო. სახელებით შეიძლებოდა ერთმანეთისათვის მიემართათ ბავშვებს, ახალგაზრდებს, თანაც ეს უკანასკნელნი მხოლოდ მაშინ მიმართავდნენ სახელებით, თუ ერთმანეთს კარგად იცნობდნენ.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, თავისი ცხოვრების მანძილზე, **ვიეტნამელს არა ერთი, არამედ რამდენიმე სახელი ერქვა.** ადრეულ ასაკში ვაჟს ე. წ. „რძის“ ასაკის სახელი ერქვა, რომელიც მხოლოდ საოჯახო წრეებში იყო ცნობილი. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ის ოფიციალურ სახელს იღებდა, რომელსაც სიკვდილამდე ატარებდა. ძალიან ხშირად, სამსახურის დანებების შემდეგ, სხვა სახელსაც არქმევდნენ; მეგობართა წრეში კი შეიძლებოდა კიდევ ერთი სახელი ჰქონოდა. გარდა ამისა, ყველას ჰქონდა ფსევდონიმის შერჩევის უფლება, მაგალითად, პრეზიდენტ *ხო ში მინის* ნამდვილი სახელი იყო *ნგუენ შინ კუნგი*. როდესაც ის სასწავლებლად წავიდა, ვიეტნამური ტრადიციით, მშობლებმა სხვა სახელიც დაარქვეს — *ნგუენ ტატ ტხან*.

სიკვდილის შემდეგ ვიეტნამელი, ჩვეულებრივ, სხვა სახელს იღებდა, რადგან დიდ სირცხვილად ითვლებოდა მიცვალებულის ნამდვილი სახელით მოხსენიება. სიკვდილის შემდგომი სახელი ორი სიტყვისაგან შედგებოდა, რომელიც გადმოსცემდა მიცვალებულის ხასიათის განსაკუთრებულ თვისებას ან ღირსებას, მაგალითად, *ტხუან დიკ* — „უმნიკვლო სათნოება“ და ა. შ.

II. 20. კორეელთა ანთროპონიმული მოდელი

კორეელთა ანთროპონიმული მოდელის კომპონენტებს წარმოადგენს გვარსახელი (სონ), ანუ მემკვიდრეობითი სახელი და ინდივიდუალური სახელი (*მიონ ირიმ*). ტრადიციულად გვარსახელი ინდივიდუალური სახელის წინ დგას. ინდივიდუალური სახელი, როგორც წესი, ორმარცვლიანია. უცხო ენებზე ინდივიდუალური სახელი ზოგჯერ ორი სიტყვით იწერება (*პაკ ჩი ვონ*), ზოგჯერ — ერთად (*პაკ ჩივონ*). ინდივიდუალურ სახელთა ნაკრები ისტორიულად რთული იყო; ის შემდეგ კომპონენტებს მოიცავდა: *საბავშვო სახელი* (მას პირველ სახელსაც უწოდებენ); *საბავშვო მეტსახელი*; *სრულწლოვანის ოფიციალური სახელი* (არქმევენ სრულწლოვანს, როდესაც მას პირველად ქუდს ახურავენ); *ქორწინებისდროინდელი სახელი* (სახელი, რომლითაც ახალგაზრდა კაცი ქორწინების შემდეგ ცნობილია ნათესავებისა და ახლო მეგობრების წრეში); *ფსევდონიმი*, რომელსაც ირჩევდნენ ის ადამიანები, რომლებიც სახელმწიფო, სამეცნიერო, ლიტერატურულ და შემოქმედებით სფეროებში მოღვაწეობდნენ; *გარდაცვალების შემდეგ დარქმეული სახელი*.

საბავშვო სახელი, როგორც წესი, გამოხატავდა მშობლების სურვილს მემკვიდრის ჯანმრთელობის, ბედნიერების, წარმატებებისა და სიხარულისას. ამიტომაც, რომ გოგონებს შორის იშვიათი არ იყო ისეთი სახელები, როგორებიცაა *ჩინჯოუ* („მარგალიტი“), *იპუნ* („ლამაზი“). ვაჟის სახელებში ხშირად ფიგურირებს ისეთი სიტყვა, როგორიცაა „დრაკონი“ (*იონ*), მაგალითად: *კიმინი* („ოქროს დრაკონი“), *იონი* („დრაკონი“). ზოგჯერ საბავშვო სახელით მშობლები მიისწრაფვიან, წინასწარ განსაზღვრონ ბავშვის ცხოვრების გზა, მაგალითად: *კვინონ* („დაუბრუნდი მინათმოქმედებას“). ასეთი სახელები ოჯახურ ურთიერთობებსაც ასახავდა: *ჩისონ* („შვილიშვილი შვილისაგან“), *ჩასნონ* („უფროსი შვილიშვილი“). ზოგიერთი საბავშვო სახელი ბავშვის ფიზიკურ თვისებებსაც აღნიშნავდა: *სანგამე* („ორი კინკრიხო“). საბავშვო სახელების განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენს დამცავი სახელები, რომლებმაც, კორეელთა წარმოდგენით, შეიძლება ბავშვი დაიცვას ყოველგვარი უსიამოვნებისაგან, მაგალითად, *ჩხილცონტოლ* („შვიდი ვარსკვლავის ბიჭი“), რადგან დიდი დათვის თანავარსკვლავედს ეთაყვანებოდნენ და მას ლოცვაში ბავშვების დაბადებასა და ჯანმრთელობას შესთხოვდნენ. კორეელთა შორის განზრახ უარყოფითი სიმბოლი-

კის სახელებიც გვხვდებოდა, მაგალითად: *ტვედუი* („ლორი“), *კედუი* („ლეკვი“), *ტუკობი* („გომბეშო“). ამ სახელებით ავ სულელებს ატყუებდნენ. როცა ბავშვი წამოიზრდებოდა, მას არქმევდნენ საბავშვო მეტსახელს, რომელსაც ხშირად ქარაგმული აზრი ჰქონდა. მაგალითად, მეტსახელ *ტუდოდუი*-ს („თხუნელა“) „მოკლეფხებთანის“ მნიშვნელობა ჰქონდა, *კენგური*-ს („ბაყაყი“) — „მსუქნის“, *ტოკსური*-ს („არწივი“) — უშიშრის.

სრულასაკოვნობის მიღწევისთანავე (წარსულში სრულასაკოვნად ითვლებოდა ახალგაზრდა, რომელიც ქორწინდებოდა) ახალგაზრდა ადამიანი ოფიციალურ სახელს იღებდა, რომელიც ოფიციალურ საოჯახო ნუსხაში შეჰქონდათ; ის მთელი ცხოვრების მანძილზე უცვლელი რჩებოდა. ოფიციალური სახელი უფრო მეტად ორმარცვლიანია (*სისიპ, იონხი, პიონიონ*), თუმცა ერთმარცვლიანებიც გვხვდება (*გიუნ, ილ, ი*). მამაკაცის სახელი, როგორც წესი, ასახავს წარმატების, სიმდიდრის, ბედნიერების სურვილს, მშობლების მისწრაფებას, ნახონ შვილი უნარიანი, ნიჭიერი, წარმატებული, კეთილშობილი. ამასთან ერთად, ეს კეთილი სურვილები არაიშვიათად პოეტური სიმბოლიკის თავისებური მეტაფორით ხასიათდებოდა. მაგალითად, სახელი *გიუმ* („ბამბუკი“), დაკავშირებულია მცენარეთა ძველ სიმბოლიკასთან, რომელსაც აქვს უნარი, ვაჟკაცურად გადაიტანოს გაჭირვება, უბედურება; მეტაფორულია აგრეთვე ისეთი სახელები, როგორებიცაა *პიონიონი* („ნათელი ნაკადი“), *იავიონი* („დიდი ზარის სადარი, მსგავსი“), *ჯევონი* („ახალი, 60-წლიანი ციკლის დასაწყისი“), *ციციპი* („მუდმივად გაგებულნი“), *პიონდო* („ცეცხლის ფარდა“). ქალის სახელებიდან შეიძლება დავასახელოთ: *იონოკ* („ლოტოსი და ეშმი“), *ხონიონ* („ალისფერი ლოტოსი“), *სუკ* („ერთგული ცოლი“), *ხვა* („ყვავილი“), *ვოლ* („მთვარე“), *მე* („ქლიავი“), *ნან* („სურნელოვანი ბალახი“)...

სახელების, განსაკუთრებით მამაკაცის სახელების, შერჩევისას, ხშირად ითვალისწინებენ *ტოლიმჯის* (სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ერთნაირი მარცვალი ნათესავთა სახელებში“) სისტემას. ამ სისტემის საფუძველს წარმოადგენს ძველ ჩინეთში წარმოქმნილი წარმოდგენა ხუთი სტიქიის — დედამიწის, წყლის, ცეცხლის, მეტალის, ხის — შესახებ. ანთროპონიმიაში ხუთი სტიქიის შესახებ ვლინდება კონცეფცია, რომ ყოველი თაობის მიერ ამა თუ იმ სტიქიასთან კავშირში, რომლის ნიშანი მოცემული თაობის სახელებშია წარმოდგენილი. თუ მამის თაობა „დედამიწის“ სტიქიას მიეკუთვნება, მაშინ მისი შვილების სახელები

„მეტალის“ ნიშნის მატარებელი უნდა იყოს, შვილიშვილებისა — „წყლის“ ნიშნის მატარებელი.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ **კორეული მემკვიდრეობითი სახელები შუა საუკუნეებში წარმოიქმნა.** ლიტერატურაში სრულიად სხვადასხვა მონაცემებია კორეულ გვარსახელთა რაოდენობის შესახებ, მაგალითად, **XX** საუკუნის დასაწყისის ენციკლოპედიაში 498 გვარსახელია დასახელებული. 1930-იან წლებში, აღწერის მიხედვით, კორეის მოსახლეობა 250 გვარს ატარებდა. დასახელებულია სხვა ციფრებიც: 217, 208, 200, 153. კორეული გვარსახელები, როგორც წესი, ერთმარცვლიანია. ორმარცვლიანი გვარსახელები იშვიათია. მაგრამ საისტორიო მონაცემებით, ორმარცვლიანი გვარები წარსულში უფრო ბევრი იყო. ყველაზე მეტად გავრცელებული კორეული გვარსახელებია: *კიმ, ლი, პაკ*. ეს გვარები პირველად **XII** საუკუნის ძეგლშია მოხსენიებული, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც აღნიშნულია, რომ ეს **გვარსახელები ჯერ კიდევ ძვ. წ. I საუკუნეში არსებობდა** და მათი წარმოქმნისა და გავრცელების პროცესი ხანგრძლივი და რთული იყო. ერთ-ერთი იაპონელი თარჯიმნის მოწმობით, **XVIII** საუკუნის ბოლოს მოსახლეობა 60—70% ექვს ძირითად გვარს — *ან, ჩონ, პაკ, ლი, კიმ, ჩხეე (ცოი)* — მიეკუთვნებოდა. **XVIII** საუკუნეშიც კორეაში ყოფილან ადამიანები, რომლებსაც მემკვიდრეობითი სახელი არ ჰქონიათ. ყველა კორეულ გვარს თავისი ისტორიული იეროგლიფური ეკვივალენტი მოეპოვება. მემკვიდრეობითი სახელები მამის ხაზით გადაეცემა. ქალები გათხოვების შემდეგ, როგორც წესი, ქალიშვილობის გვარს ინარჩუნებენ.

კორეული ანთროპონიმული მოდელი კიდევ ერთ კომპონენტს შეიცავს: ესაა პონ-ი (ნიშნავს ფუძეს, საფუძველს, საწყისს, წყაროს), პონკვან-ი (წარმოშობის ადგილი) და კვანხიანი (წინაპრების სამშობლო), ანუ „ტოპონიმური“ სახელი. მას პატრონიმულ სახელწოდებადაც მიიჩნევენ. გვარის ეს დანაყოფები ფაქტობრივად იმ ადგილის სახელწოდებებს წარმოადგენს, საიდანაც თავის წარმოშობას ამა თუ იმ პონის წევრები ანგარიშობენ. პონების უმეტესობა ტოპონიმებისგან მომდინარეობს: *კენდჟოუ/კენჯოუ, მირიან, სუვონ, ჩედჟოუ/ჩეჯოუ* და ა. შ. ყოველ გვარს ზუსტად განსაზღვრულ **პონთა** რაოდენობა გააჩნია. მაგალითად, **კიმების გვარს 623 პონი აქვს, რომელთაგანაც დღეისათვის ყველაზე გავრცელებულია 72. გვარსახელ ლი-ს 546 პონი აქვს (ყველაზე გავრცელებულია 80), გვარსახელ პაკ-ს — 381 პონი (ყველაზე გავრცელებულია**

31). დღეისათვის „ტოპონიმური“ სახელი ოფიციალური სახელის შემადგენლობაში არ შედის, მაგრამ დღემდე ყველა კორელმა კარგად იცის თავისი პონი. ერთი „ტოპონიმური“ სახელის (პონის) წარმომადგენლები ახლო ნათესავეებად მიიჩნევიან; პონი ეკზოგამიური ერთეულიცაა. არის ისეთი გვარებიც, რომელთა პონი არა ასეული, არამედ რამდენიმე ათეულია. ზოგიერთი გვარი კი მხოლოდ ერთი პონისაგან შედგება. არაიშვიათია შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა გვარებს ერთი და იგივე „ტოპონიმური“ სახელი აქვს. ამის კლასიკურ მაგალითად სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია გვარები: კო, პუ და ლიან. ამ გვარსახელთა მატარებელნი ერთ პონს — ჩეჩუ/ჩეჯუ — მიეკუთვნებიან. პონის სახელწოდებას უკავშირებენ კუნძულ ჩეჩუდოს/ჩეჯუდოს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გვარის დანაყოფები, პატრონიმული ერთეულები („ტოპონიმური“ სახელები) სხვადასხვა გვარს (სონ) მიეკუთვნებიან, მათ ერთმანეთზე დაქორწინების უფლება არა აქვთ.

II. 21. ინდოელთა ანთროპონიმული მოდელი

ინდოეთი მრავალეთნიკური ქვეყანაა. ქვემოთ საუბარი გვექნება მხოლოდ ყველაზე მრავალრიცხოვანი თემის — ინდუსების ანთროპონიმებზე. ისინი მკაცრად იცავენ ტრადიციული ინდუსური სახელის დარქმევის სისტემას.

როგორც ცნობილია, ინდუიზმთან მტკიცედ დაკავშირებულია საზოგადოების კასტობრივი იერარქიის სისტემა. კასტა ინდუსების შეგნებასა და სოციალურ ფსიქოლოგიაში მტკიცედ ცოცხლობს, განსაზღვრავს მათ საოჯახო ყაიდას, წეს-ჩვეულებებს, გემოვნებას, მიდრეკილებას, მორალურ მიზანდასახულობასა და ფასეულობებს. ბუნებრივია, კასტა გადამწყვეტ გავლენას ახდენს მოსახლეობის იმ ნაწილის ანთროპონიმიაზე, რომელიც აღიარებს ინდუიზმს და რომელიც მთელი ქვეყნის მოსახლეობის 4/5-ს შეადგენს.

ინდოელ-ინდუსების ანთროპონიმული მოდელი ორნევრიანია; ის შედგება ორი ელემენტის — ინდივიდუალური სახელისა და კოლექტიური სახელისაგან, მაგალითად: ბანარასიდას ჩატურვედი, ვრინდანვინლალ ვარმა, დხანპატრაი შრინვასტავი, კრიშნადევ უპანდხიაია, რამვილას შარმა, შივპრასად სინგხ და ა. შ. სხვადასხვა რიგის ცნობარებში სწორედ მეორე ელემენტი, ე. ი. კოლექტიური სახელი, ჩვეულებრივ, შეტანილია

როგორც „გვარსახელი“ ამ ტერმინის ჩვენეული გაგებით, თუმცა ინდურ ანთროპონიმულ მოდელში მეორე ელემენტი გვარსახელს არ წარმოადგენს. არსებითად, **ინდური სახელის მეორე ელემენტი სხვა არაფერია, თუ არა კასტური „ინდიკატორი“, რამდენადაც ის წარმოადგენს ინდოეთის საზოგადოების გარკვეული სპეციფიკური კოლექტივისადმი ინდივიდის მიკუთვნებულობის მაჩვენებელს** და რომელსაც მრავალ ინდურ ენაში (ძირითადად ინდოარიულ ენებში) *დუატი/ჯატი* („კასტა“) (სანსკრიტული: *ვარნა*) ეწოდება. კოლექტიური სახელის ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ დავინახოთ, რომელ კასტას მიეკუთვნება მისი მატარებელი. სრულიად ბუნებრივია, რომ როდესაც სოფლის მცხოვრებნი უცნობ ადამიანს ხვდებიან, პირველ კითხვას უსვამენ იმის შესახებ, თუ რომელ კასტას მიეკუთვნება. ინდოელი გლეხის გამონათქვამია: **„სოფელში კასტის გარეშე ყოფნა სახელის გარეშე ყოფნაა“**.

ინდოელის ყურისათვის ან თვალისათვის კოლექტიური სახელი თავისებურ კასტურ სერტიფიკატს წარმოადგენს, რომელიც საზოგადოების კასტობრივ იერარქიაში მისი მფლობელის ადგილს გვიდასტურებს. მაგალითად, ისეთი კოლექტიური სახელები, როგორებიცაა *ჩატურვედი* (სიტყვასიტყვით: „ოთხი ვედის მცოდნე“), *ტრივედი* („სამი ვედის მცოდნე“), *დვივედი* („ორი ვედის მცოდნე“), აგრეთვე *შუკლა* („ნათელი“), *შარმა*, *ვარმა*, *უპადხიაია*, იმას გვიდასტურებს, რომ მათი მატარებლები მიეკუთვნებიან უმაღლეს, ბრაჰმანულ (ქურუმთა) ვარნას; კოლექტიური სახელი *სინხ* (*სინგხ*), *არორა*, *ჩოპრა* — მაჩვენებელია იმისა, რომ მათი მატარებელი მიეკუთვნებიან ქმატართა (მეომართა) ვარნას და ა. შ. ინდური კოლექტიური სახელების ნუსხა ძალიან ვრცელია და მრავალფეროვანია, მაგრამ როგორც უნდა იყოს, ის, უპირველეს ყოვლისა, კასტის მატარებლის შესახებ ინფორმაციის მატარებელია.

მაგრამ კოლექტიური სახელი მხოლოდ მისი მატარებლის გარკვეული კასტისადმი მიკუთვნებულობას არ აღნიშნავს. ინდური სახელის მეორე ელემენტს ორი განზომილება აქვს; არა მარტო „ვერტიკალით“ (კასტა), არამედ „ჰორიზონტალურადაც“; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი კოლექტიური სახელი უპირატესად გავრცელებულია გარკვეულ კულტურულ-ენობრივ რეგიონში. მაგალითად, *ჩატურვედი* — ესაა ბრაჰმანი ბრაჯადეშიდან (თანამედროვე უტარ პრადეშის შტატის დასავლეთი მხარე), *შარმა* — ამავე შტატის აღმოსავლეთი მხარის ბრაჰმანი, *უპადხიაია* — აღმოსავლური მხარის ბრაჰმანი, *ჯახა* — მათ-

ლიხილის ბრახმანი (ჩრდილოეთ ბიხარი), *გხილდიალი* (ისევე როგორც -იალ-ზე დაბოლოებული ყველა დანარჩენი კოლექტიური სახელი: *უნიიალი*, *ნაუტუიალი* და ა. შ.) დამახასიათებელია გარხვალის ბრახმანებისათვის (ჰიმალაების მთისწინეთი, უტარ პრადეშის ჩრდილოეთი მხარე), *ბხარატია*, *დალმია*, *მენარია* (ისევე როგორც კოლექტიური სახელები, რომლებიც იაზე ბოლოვდება) — მაჩვენებელია მისი მატარებლის მიკუთვნებულობისა *რაჯასტხანის* სავაჭრო-სავაზშო კასტისადმი და ა. შ. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლექტიური სახელის მარკირების გარკვეული ნაკრებიც არსებობს. მაგალითად, *ჩატურვედი* (ისევე როგორც დანარჩენი ვედები), *შარმა*, *შუკლა* — ჰინდურენოვანი არეალისადმი მიკუთვნებულობის დამადასტურებელია; *ჩატოპადხიაია*, *ბანდოპადხიაია*, *მუკხოპადხიაია* — მაჩვენებელია იმისა, რომ მოცემული კოლექტიური სახელის მატარებელი ბენგალიური წარმოშობისაა; *დესაი*, *მეგხანი*, *კრიპალანი* — ტიპური გუჯარეთული კოლექტიური სახელებია; *კაული* მიუთითებს იმაზე, რომ მისი მატარებელი ქაშმირიდანაა წარმოშობით.

რამდენადაც, ჩვეულებრივ, ქორწინება ხდება კასტის წარმომადგენლებს შორის, რომელთაც თანაბარი ან ახლობლის სტატუსი აქვთ, მაშინ ცოლი, რომელიც შედის ქმრის (უფრო სწორედ — მამამთილის) სახლში, მისი ოჯახის კოლექტიურ სახელს.

ინდური სახელის პირველი კომპონენტი ინდივიდუალური სახელია; ის, ჩვეულებრივ, წარმოადგენს რთულ სიტყვას, რომელიც შედგება ორი (იშვიათად — სამი და მეტი) კომპონენტისაგან. ინდივიდუალურ სახელში პირველ კომპონენტად, განსაკუთრებით უმაღლესი კასტისა, ინდური პანთეონის უმნიშვნელოვანესი ღმერთის ან ინდუიზმის მიერ კანონიზებული მითოლოგიური გმირების (*რამა*, *კრიშნა*, *შივა*) სახელები, ღვთაებებისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი ეპითეტი (*ბხაგავატ* „ღვთაებრივი“ — *შივის* ეპითეტი) გამოიყენება. უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ ღვთაების სახელის გამოყენება ინდივიდუალური სახელის შემადგენლობაში ნებისმიერად არ ხდება. ეს განპირობებულია იმით, თუ რომელ ღვთაებას — *რამას*, *კრიშნას* ან *შივას* — ეთაყვანებიან მოცემულ ადგილზე და, მაშასადამე, ახალდაბადებულის ოჯახში რომელი ღმერთთაგანია განსაკუთრებული თაყვანისცემის ობიექტი. ინდივიდუალური სახელით იმის გარკვევაც შეიძლება, მისი მატარებელი ინდუიზმის რომელი მიმართულების — *შივაიზმის*, *რამაიზმის*, *კრიშნაიზმის* — მიმდევარია. ინდივიდუალური სახელის პირველ კომპონენ-

ტად (მამაკაცთა სახელებისა ც კი) ქალღვთაებათა სახელებიც გამოიყენება: *დევი* (ან *მახადევი*), *დურგა*, *ბხაგვატი*. ინდივიდუალური სახელის მეორე კომპონენტად აპელატივების ფართო ნაკრები, ე. ი. არსებითი სახელები გამოიყენება.

ინდური ანთროპონიმია საზოგადოების განვითარებასთან ერთად ვითარდება და მან არსებითი ცვლილება და მოდიფიკაცია განიცადა. უკანასკნელ დროს შემოქმედებით ინტელიგენციაში, როგორც წესი, უმაღლესი კასტების წარმომადგენლებში, შეინიშნება სახელთა გართულება, რაც ვლინდება დამატებითი ლიტერატურული სახელის გამოყენებაში ტრადიციული ინდური სახელის ელემენტების შენარჩუნებით. ჩვეულებრივ, წერისას დამატებითი ლიტერატურული სახელი გამოიყოფა აპოსტროფებით, მაგალითად: *ბალკრიშნა შარმა „ნავინ“* (*ნავინ* — „ახალი“, „ნორჩი“, „ახალგაზრდა“), *ვაიდიანატხ მიშრა „იატრი“* (*იატრი* — „მწირი, „ყარიბი“, „მოხეტიალე“), *სურიაკანტ ტრიპატხი „ნირალა“* (*ნირალა* — „იშვიათი“, „არჩვეულებრივი“). როდესაც დამატებითი ლიტერატურული სახელი სახელს სწყდება და იწყებენ მის დამოუკიდებლად გამოყენებას, ის ფსევდონიმად იქცევა.

ინდური სახელის სრულ ფორმასთან ერთად არსებობს აგრეთვე მოკლე ფორმაც, განსაკუთრებით ეს კნინობით-მოფერებით სახელებზე ითქმის.

ამრიგად, ინდური ანთროპონიმული სისტემა არც მამის სახელს შეიცავს და არც გვარსახელს. პირველი სახელი შერჩეულია ასტროლოგის მიერ, მეორე — სქესისა და რელიგიური ჯგუფის გამომხატველია, მესამე კი კასტისადმი მიკუთვნებულობას აღნიშნავს.

II. 22. თურქულენოვანი ხალხების სახელები

დუნაიდან შორეული აღმოსავლეთის ვრცელ ტერიტორიაზე (თურქეთში მცხოვრები თურქების გარდა) მრავალრიცხოვანი ხალხები ბინადრობენ, რომლებიც თურქულ ენობრივ ოჯახს მიეკუთვნებიან: თათრები (ყაზანის, ყირიმის, ციმბირის), ბაშკირები, ნოღაელები, ყუშუხები, გაგაუზები, ყარაჩაელები, ბალყარები, ალთაელები, ხაკასები, აზერბაიჯანელები, ყაზახები, უზბეკები, ყარაყალპაკები, თურქმენები, ტუვები, იაკუტები, შორელები, ჩულიმები, კარაიმები, კრიმჩაკები და კარგა ხნის წინ გაქრისტიანებული თურქულენოვანი ჩუვაშები, იაკუტები, გაგაუ-

ზები, ხაკასები. ზოგიერთ ძირძველ სახელთან ერთად ფართო-დაა გავრცელებული საყოველთაოდ ცნობილი რუსული სახელები. დანარჩენებმა (კარაიმებისა და კრიმჩაკების გამოკლებით) სხვადასხვა დროს ისლამი მიიღეს, რის გამოც სახელების მათი ტრადიცია და წესი სრულიად სხვაგვარი აღმოჩნდა.

ისტორიის არენაზე თურქები ახ. წ. IV საუკუნეში გამოჩნდნენ. ჰუნთა კავშირის შემადგენლობაში ისინი აზიის სიღრმიდან ციმბირის, ყაზახეთის, ევროპის სივრცეებისაკენ მოისწრაფოდნენ, ერეოდნენ სხვა ხალხებს. ეს თურქთა მხოლოდ პირველი ტალღა იყო. მონღოლები, რომლებიც იფართოებდნენ თავის ტერიტორიას, აგრძელებდნენ ალთაიდან, ჯუნგარიიდან და მათი მიმდებარე რაიონებიდან თურქთა გამოძევებას. ისინი გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციის გასამხედროებული ტომები იყვნენ და მიისწრაფოდნენ დასავლეთისაკენ, სადაც საქონლისათვის საბალახო სტეპები და დაუსახლებელი მიწები იყო. ტომობრივ კავშირებში გაერთიანებული თურქები ცნობილი იყვნენ პაჭანიკების, ხაზარების, ყივჩაღების, თურქების სახელით; ისინი სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ.

სახელის შერჩევასა თურქები რაიმე კონკრეტული იდეით არ ხელმძღვანელობდნენ და მიმართავდნენ ბუნების ყველაზე მრავალფეროვან მოვლენას ან მატერიალური კულტურის საგნებს, ეყრდნობოდნენ საოჯახო და გვაროვნულ ტრადიციებს. მაგალითად, ზოგიერთი თურქ ხალხში ჩვილის დაბადებისთანავე იურთიდან გამოსული მამა პირველად დანახული საგნის სახელს ახალდაბადებულის სახელად აქცევდა. აქედანაა წარმომდგარი შემდეგი სახელები: *ტაგაი* — „ქვაბი“, *ტაგანგელდი* — „ქვაბი მოვიდა, გამოჩნდა“, *ბალტა* — „ცული“, *ბალგა* — „ჩაქურჩი“ და ა. შ.

სხვა ტრადიციით, სურვილის გამომხატველ სახელს არქმევდნენ (მაგალითად, „მწყემსი“ და „მჭედელი“), რათა მომავალში ეს პროფესია აერჩიათ. ბევრი თურქული სახელი ზმნურ კომპონენტებს შეიცავს: *კელდი/გელდი* — „მოვიდა“ (გადატანით ნიშნავს „დაიბადა“), *ბერდი* — „მომცა“, მხედველობაში „ალაჰმა მომცა“, *ბაკტი* — „შებედა (ქვეყანას, სამყაროს), ე. ი. „დაიბადა“. ასეთია ზოგიერთი თანამედროვე ყაზახელ თათართა სახელი: *ბაიკელდი, კელდიბაი* — „მოვიდა, ე. ი. პატრონი დაიბადა“, *დაულიატბერდი* — „(ალაჰმა) სიმდიდრე მოგვცა“, *იშბერდი* — „ამხანაგი მოგვცა“, *იშკელდი* — „ამხანაგი მოვიდა“, *ისენგელდი* — „ჯანმრთელი, ცოცხალი მოგვევლინა“.

თურქები გამოიყენებდნენ უძველეს აღმოსავლურ კალენდარს, რომლის მიხედვითაც წლები თორმეტწლიან ციკლშია გაერთიანებული, ისინი კი, თავის მხრივ, უფრო მსხვილ, სამოცწლიან ციკლში შედიოდა. თორმეტწლიანი ციკლის ყოველი წელი რომელიმე ცხოველს განეკუთვნება: 1. თაგვი, 2. ძროხა, 3. ჯიქი, 4. კურდღელი, 5. დრაკონი, 6. გველი, 7. ცხენი, 8. ცხვარი, 9. მაიმუნი, 10. ქათამი, 11. ძაღლი, 12. ღორი. ძველი წარმოდგენით, ღორის წელი ახალშობილისათვის ძალიან საშიშად ითვლებოდა. ამიტომ ღორის წელში დაბადებულს ყველაზე უბადრუკ სახელს არქმევდნენ, რომლებიც ისეთი სიტყვებისაგან იყო ჩამოყალიბებული, როგორიცაა „ჭუჭყი“, „ჩირქი“, „დამპალი“, „ნაგავი“ და ა. შ., რათა ღორს ბავშვი არ დაეღუპა. ძველ ხალხებში ხომ სიტყვასა და საგნის სახელს, ადამიანსა და მის სახელს შორის ტოლობის ნიშანი იყო დასმული. ანალოგიური რწმენა სხვა ხალხებშიც არსებობდა. შეიძლება რუსული სახელები გავიხსენოთ: *ნერატ, ნენაშ, ნევზორ, გრიაზნუხა, ბეზობრაზ*.

VII საუკუნეში არაბეთში მსოფლიო რელიგიებს შორის ყველაზე ახალგაზრდა რელიგია — ისლამი ჩაისახა. უდაბნოს მომთაბარე ხალხების ისლამიზაციას თან ახლდა გასამხედროების პროცესი. ამ პერიოდის თურქები ისლამის მისაღებად ხელსაყრელ გარემოში აღმოჩნდნენ, რადგან ისინი მომთაბარეები იყვნენ, ყოველ წუთს მზად იყვნენ საბრძოლველად. ამ რელიგიის მიღების შემდეგ, თურქებმა ისესხეს მუსლიმური სახელები, რომლებიც მათთვის უცხო, არაბულ ენაზე იყო წარმოქმნილი. ახალი რელიგიის შემქმნელი არაბები ყოველმხრივ ცდილობდნენ სხვა რელიგიების მიმდევართათვის თავიანთი სარწმუნოება მოეხვიათ თავს, რასაც ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ არაბული ენა არამეულისა და ძველებრაულის მონათესავე იყო. ძველი აღთქმის პერსონაჟებს ისლამის საფუძვლებში გარკვეული ადგილი აქვთ მიკუთვნებული. არაბები ღმერთის ხუთ მოციქულს (წარგზავნილს) ცნობენ. ესენია *ნოე* (არაბულად *ნუხი*), *ავრაამი* (*აბრაამი*) ერთი ღმერთის პირველი მორწმუნე (არაბულად *იბრაჰიმი*), *მოსე* ადამიანებისათვის ღვთაებრივი მცნებების გადამცემი (არაბულად *მუსა*), *იისუსი/იესო* (არაბულად *იასუ*) და *მაჰომედი* — ალაჰის წარგზავნილი, ისლამის საფუძველჩამყრელი. ბიბლიური *იაკობი* არაბულად წარმოითქმის *იაკუბი*, *ისააკი* — *იისხაკი*, *იონა* — *იუნუსი*. ახალი აღთქმის პერსონაჟები: *მარია* არაბულად *მარიამია*, *იოსები* — *იუსიფი*, *იოანი* — *იუნანა*, *პეტრე* — *პუტრუსი*.

ისლამის ონომასტიკონში მისი საფუძველჩამყრელისა და ნათესავების სახელებს ანიჭებენ უპირატესობას. პირველ ადგილზე დგას სახელი *მაჰომედი*. ამ სახელის ზუსტი არაბული გამოთქმაა *მუჰამადი* — „ქებული“. ცალკეულ თურქულ ენებში ის წარმოითქმის როგორც *მაშეტი*, *მამბეტი*, *მემეტი*, *მაჰომა* და ა. შ. თურქულენოვან სამყაროში ძალიან ფართოდაა გავრცელებული *მუჰამედის* ქალიშვილის სახელი — *ფატიმა*. ცალკეულ ხალხებში ის ჟღერს, როგორც *ფატმა*, *პატმა*, *პატიმატი*. ალაჰის სახელ-ეპითეტის პარალელურად არსებობს უამრავი სახელი სანყისი კომპონენტით — *აბდ* — „მონა“: *აბდურაჰმან* — „გულმონყალის, შემბრალებლის მონა“, *აბდულქარიმი* — „გულუხვის მონა“, *აბდუნასირი* — „გამარჯვებულის მონა“. გულმონყალეში, შემბრალებელში, გულუხვში, გამარჯვებულში და ა. შ. ალაჰი იგულისხმება. ძალიან ფართოდ გავრცელდა სახელი *აბდულაჰი* — „ალაჰის მონა“, რომელიც მუსლიმური სამყაროს ცალკეულ ჯგუფებში *აბდულად* გარდაიქმნა. ნაკლებ ცნობილი სახელია *უბეიდულაჰ* — „ალაჰის პატარა მონა“, რომელიც თათრებს შორის გავრცელებულია *ბეიდულაჰისა* და *ბაიდულას* ვარიანტებით. ფართოდ არის გავრცელებული სახელი მეორე კომპონენტით -*დინ* — „საღმრთო რჯული, რწმენა, რელიგია“: *მიხიტდინი* — „რწმენის მაცოცხლებელი“, *მიხაბუდდინი* — „რწმენის ვარსკვლავური ნაკადი“.

ქალის ბევრი მუსლიმური სახელი ჩამოყალიბებულია სიტყვისაგან, რომლებიც აღმატებულ ცნებასთანაა დაკავშირებული: *დინა* — „დინ“-ისგან, რაც საღმრთო რჯულს, რწმენას ნიშნავს, *ამალი* — „იმედი“, *მაჰაბატი* — „სიყვარული“, *მამლაქათ* — „სამეფო“. ამას გარდა, თურქულენოვან ხალხებში ქალის ბევრი სახელი ყვავილებისა და ძვირფასი ქვების სახელებისგანაა მიღებული: *გულბანუ*, *გულზარ*, *გულსარა* და ა. შ. სადაც *გულ* ყვავილს აღნიშნავს, უპირატესად *ვარდს*; *ლალე* — ზოგიერთ თურქულ ენაში *ლალი* „ყაყაჩოს“ ან „იორდასალამს“ აღნიშნავს, ზოგიერთში — „მარგალიტს“. ფართოდ იყო გავრცელებული არაბული სახელი *მარჯანი*, რაც „პატარა მარგალიტს, მარჯანს“ ნიშნავს.

აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში ქალებს დამამცირებელ სახელებს არქმევდნენ, რითაც ხაზს უსვამდნენ მათ უსარგებლობასა და უვარგისობას. ამიტომაც მუსლიმები შვილების რაოდენობას მხოლოდ ვაჟიშვილებით განსაზღვრავდნენ. ოჯახში რამდენი შვილიც უნდა ყოფილიყო, თუ არც ერთი ვაჟი არ ჰყავდათ, ადამიანს უშვილოდ თვლიდნენ. თურქულენოვან

ხალხებში გავრცელებულია ქალის სახელი *მადინ (მედინა)* — იმ ქალაქის სახელი, რომელშიც *მუჰამედი* ცხოვრობდა. თანამედროვე თურქებში სახელი *მადინა* ასოციირდება ქალაქის კულტურასთან, განათლებასთან.

ქალების სახელდებას თურქულენოვან ხალხებში კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს. ჩვეულებრივ, ხშირად ქორწინდებიან სხვა სოფლის ქალებზე. მიუღებელია ქორწილის შემდეგ ქალს სახელით მიმართონ. ნათესავები და მეზობლები მისთვის ახალ სახელს იგონებენ, რომელიც ორიენტირებულია მის გარეგნობასა და ხასიათის ნიშნებზე, ზოგჯერ — საკმაოდ არასასიამოვნოზე. ყაზახეთში ბევრი მასწავლებელი ახდენდა იმ ფაქტის კონსტატირებას, რომ მეათეკლასელებმა დედის ნამდვილი სახელი არ იცოდა.

არაბული სახელები იმდენად კარგად შეითვისა თურქულმა ენებმა, რომ ისინი მათ უცხო სახელებად არ შეიცნობენ, თუმცა ასეთ სახელთა მნიშვნელობა მათი მატარებლებისათვის უცნობია. თურქულ ენობრივ სამყაროში ბევრი არაბული სახელი ერთგვარად გართულდა. მაგალითად, ძველებრადული წარმომავლობის არაბულ სახელს *ნაზარს* („მან უძღვნა“) თურქები იყენებენ არა მხოლოდ *ნაზარ* ფორმით, არამედ შემდეგი ვარიანტებითაც: *ნაზარბაი*, *ნაზარბეკი*, *ბეკნაზარი*, *ნაზარბი* და ა. შ., სადაც კომპონენტები -*ბაი*, -*ბეკ* მომდინარეობს თურქული სიტყვისგან; ის „პატრონს, ბატონს“ ნიშნავს. მამაკაცთა სახელების შემადგენლობაში ხშირად გვხვდება სპარსული წარმოშობის ელემენტი -*შახ(ჰ)*:- *შაჰნაზარი*, *სულთანშაჰი*, *შაჰბაი*, *შიხინურ* (-*ნურ* არაბულად „სინათლეს“ ნიშნავს), *შაჰკსიმი* და სხვა. წინასწარმეტყველ ალის სახელით ხშირადაა ჩამოყალიბებული რთული სახელები — როგორც არაბული, ისე სპარსული და თურქული კომპონენტებით: *ნურალი*, *შერალი* და *ალიშერი*, სადაც -*შერ* „ლომს“ ნიშნავს.

II. 23. აზერბაიჯანელთა საკუთარი სახელები

აზერბაიჯანელთა თანამედროვე ანთროპონიმული მოდელი სამი კომპონენტის — ინდივიდუალური სახელის, მამის სახელისა და გვარსახელის — შემცველია, მაგალითად: *ჰუსეინ ისრაფიელ ოღლი ალიევი* (მამაკაცი), *ზეინაბ ყურბანალი კიზი მამედოვა* (ქალი).

მემკვიდრეობითი სახელი აზერბაიჯანში არცთუ ისე დიდი ხნის წინ წარმოიქმნა. ამრიგად, აზერბაიჯანული ანთროპონიმული მოდელი XX საუკუნის 40-იან წლებამდე ორწევროვანი იყო და ის ინდივიდუალური სახელისა და მამის სახელისაგან შედგებოდა. მამის სახელს კი, ჩვეულებრივ, ურთავდნენ „შვილის“ აღმნიშვნელ აზერბაიჯანულ სიტყვებს — „ოღლუ“-სა და „ზადე“-ს. აზერბაიჯანში „ზადე“ ანთროპონიმულ ფორმანტადაა გამოყენებული; ის სპარსულიდანაა ნასესხები. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ აქა-იქ გვარსახელი რუსული ანთროპონიმული მოდელის გავლენით პრივილეგირებული ფენის წარმომადგენლებს, აგრეთვე, ცნობილ პირებს XIX საუკუნეში გაუჩნდათ. უბრალო ადამიანებს მხოლოდ ინდივიდუალური სახელი და მასთან მიერთებული მეტსახელ-განმასხვავებელი ჰქონდათ, მაგალითად: *ქეჩალ მამედ* („მელოტი მამედი“), *ჩოლაგ აბდულა* („კოჭლი აბდულა“), *უზუნ ჰასანი* („გრძელი ჰასანი“), *მემენ ყული* („ეგოისტი ყული“ — სიტყვასიტყვით „მე“), *ზორბა საფტარი* („ძლიერი საფტარი“), *პოტულ გულუ* („კოკორი გულუ“), *გიზ იბადი* („გოგონა იბადი“. კაცის მეტსახელი) და სხვა.

საბჭოთა ხელისუფლების დროს გვარსახელის წარმოქმნა უნიფიცირებული არ იყო: საფუძვლად იღებდნენ მამის ან პაპის სახელს, ე. ი. მამის სახელი ყოველგვარი ცვლილების გარეშე უშუალოდ გვარსახელად იქცა: *ალიაღა სელიმზადე*; უმეტეს შემთხვევაში ეს რუსული მოდელის მიხედვით მოხდა — *ბახრამ მანსუროვი*, *ქიამალ ვეზიროვა*. ასე წარმოიქმნა სამწევროვანი ანთროპონიმული მოდელი: პირადი სახელი+მამის სახელი+მემკვიდრეობითი სახელი (გვარსახელი). დღეისათვის აზერბაიჯანში არის ტენდენცია რუსული დაბოლოების აზერბაიჯანული სუფიქსებით შეცვლისა: *ჯაფაროვი > ჯაფაროღლუ*, *საფაროვი > საფაროღლუ*, *რამაზანოვი > რამაზანზადე*, *ალმასოვი > ალმასზადე*, *ჯუჯარლი*, *ჯაბარლი*, *ყასუმბელი*, *სეიდბელი*.

უფროსი ან ზემდგომი მამაკაცისადმი პატივისცემის ნიშნად ძირითადად გამოიყენებენ სიტყვას *მულიმ* („მასწავლებელი“), რომელსაც მოცემულ შემთხვევაში თავისი პირდაპირი მნიშვნელობა არა აქვს: *ნასრი მულიმ*, *აჰმედ მულიმ*. საბჭოთა სისტემის კრახის შემდეგ მან მთლიანად გამოაძევა აზერბაიჯანელთა მეტყველებიდან სიტყვა *იოღდაშ* (ამხანაგი).

თანამედროვე აზერბაიჯანულ სახელს სხვადასხვა წარმომავლობა აქვს. ძირძველ თურქულ სახელებთან ერთად (*სევილ*, *არუზ*, *ყორხმაზ*, *გიუნდუზ*) ხშირად გვხვდება არაბული და სპარსული სახელები (*ეფრუზ*, *ზივლიარ*, *ფაიკ*, *რასულ*, *ზია*). ქა-

ლის სახელები, ჩვეულებრივ, სილამაზის, სიკეთის, სინაზის ცნებებთანაა დაკავშირებული. ბევრი მათგანი მიღებულია ყვავილების სახელებისაგან: *ნერგიზ, ლალე, რეიჰან, ბენევეშა, ყიზილგიულ, იასემენ*. სიტყვა *გიულ* (სპარსული „ვარდი“-საგან) შედის ქალის ბევრი სახელის შემადგენლობაში: *გიულშენ, გიულპერი, ნარინგულ, გიულარ, სარიგიულ, გიულნისა* და ა. შ. მამაკაცის სახელები ვაჟკაცობის, გამბედაობის, ძალის ცნებებთანაა დაკავშირებული: *ბახიდირ, რაშიდ, ფოლად, ჰეიდარ* და ა. შ.

ბევრი აზერბაიჯანული სახელი მოფერებით-კნინობითი ფორმისაა, რომლებიც მიღებულია მამაკაცისა და ქალის სახელებზე *-იშ, -უშ (-იუშ), -ი, -უ (-იუ)* სუფიქსების დართვით: *კიუბრა > კიუბიშ, მელაჰეტ > მელიშ, ნადირ > ნადიშ, ალი > ალიშ*. ზოგიერთი კნინობითი სახელი ოფიციალურ სახელადაც იქცა: *ალიშ, ვალიშ*. რამდენიმე სახელი ერთდროულად კაცისადაც და ქალისაც, მაგალითად: *ფარიდა — ფარიდ, ტოფივა — ტოფივ, სელიმა — სელიმ...* აზერბაიჯანულ სახელებში მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ორმაგი სახელებიც, განსაკუთრებით ეს მამაკაცის პიროვნულ სახელებზე ითქმის: *ალი მუსა, ალი ჰეიდარ, ჰასან ალი, ყურბან ალი, აბდულ ჰასან, ალი გულუ, აბას გულუ* და სხვა. დავინყებას ეძლევა ზოგიერთი სახელი, რომელიც მშობლების სურვილის გამომხატავდნენ: *კიფაიტ* („საკმარისია“), *გიზტამამ* (კმარა გოგონა) და ა. შ. აზერბაიჯანში XX საუკუნეში გაჩნდა ტრადიცია შვილებისათვის ცნობილი ადამიანების, მწერლების, პოეტების, ეპიკური და მხატვრული ნაწარმოებების გმირების სახელების დარქმევისა: *ბაბეკ, ფიზულ, ფარჰადი, შირინი, ნატავნი, ლეილი*.

II. 24. სომხური საკუთარი სახელები

სომხეთის თანამედროვე სახელმწიფოში ანთროპონიმული მოდელი სამწევროვანია: ოფიციალურ დოკუმენტებში ის წარმოდგენილია პირადი სახელით, მამის სახელითა და გვარსახელით. ამ შემთხვევაში მამის სახელი ნათესაობით ბრუნვაში დგას: *ოვანესიან ვაგრამ აირაპეტი* (ვაგრამ აირაპეტის [შვილი]), *პეტროსიან არუს სააკი* (არუს სააკის [შვილი]). სხვა შემთხვევაში სომხები მამის სახელს არ იყენებენ.

მიმართვისას, პატივისცემის ნიშნად, იყენებენ სიტყვებს: *ტიჰაირ — „ბატონი“* და *ტიკინ — ქალბატონი*. ასაკით უფროსებს კი მიმართავენ სიტყვებით *ჰაირიკ — „მამა“* და *მაირიკ —*

„დედა“. თანატოლებს უწოდებენ *ახპერსა* — „ძმა“ და *ქუირიკ*-ს — „და“.

სომხურ ანთროპონიმიაში რამდენიმე პლასტს გამოყოფენ: (1) ნაციონალური სახელები, რომლებიც წარმოადგენს ძველ-სომხური ღვთაებების (ღმერთების) სახელებს (მაგალითად, *ჰაიკ* — უზენაესი ღვთაების სახელი, სომეხთა მამამთავარი, საფუძვლის ჩამყრელი; *არა* — მზის ღვთაების სახელი, გაზაფხულზე ბუნების გამომღვიძებელი; *ანაიტ* — სიყვარულისა და ნაყოფიერების ღვთაების სახელი, *ვააგ* — ჭექა-ქუხილისა და ელვის ღმერთი). აქვე შედის მეფეთა (*ტიგრან*, *არტავაზდ*, *არტაშეს*, *ფარანძემ*, *აშოტ*) და მხედართმთავართა (*ვარდან*, *მუშელ*, *გევორჯ*) სახელები, თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მეფეთა და მხედართმთავართა სახელებში უმეტესობა არასომხური — ირანიდან შემოსული სახელებია; (2) ნაციონალური სახელები, რომლებიც შექმნილია სომხური ენის საფუძველზე, ე. ი. სახელები, რომელთა ფუძედ სომხური სახელებია გამოყენებული, მაგალითად, პლანეტების, ვარსკვლავების სახელები (*არეგ* — „ია“, *ვარდ* — „ვარდი“, *მუშან* — „შროშანი“, *ასმიკ* — „უასმინი“), ძვირფასი ქვების, ლამაზი ქსოვილების სახელები (*გოჰარ* — „ბრილიანტი“, *მარგარიტა*, *მეტაქსია* — „აბრეშუმი“), დღესასწაულების აღმნიშვნელი სიტყვები (*ნავასარდ* — „ახალი წელი“, *ვარტივარ* — წყლის წარმართული დღესასწაული, *არუტიუნ* — „კვირა“, *ამბარცუმ* — „ამაღლება“). რელიგიასთანაა დაკავშირებული ისეთი სახელები როგორებიცაა: *ხაჩატურ* („ჯვრიდან გარდმოვლენილი“), *არაქელ* („მოციქული“), *ასტვაცატურ* („ღმერთისაგან/ღვთით მოვლენილი“). ეს სახელები ბერძნული სახელების კალკია, ბერძნულიდანაა ნათარგმნი. რელიგიური შინაარსისაა აგრეთვე: *გალუსტ* („გამოცხადება“), *სურბ* („წმინდა“), *ავეტის* („ზარის რეკვა“), *მერტიჩ* („ნათლია“). ბევრი სახელი სილამაზის, ნუგეშისცემის, ბედნიერების, სინათლის გამომხატველია (*გელეციკა*, *ერჯანიკ*, *პაიცარ*, *მხითარ*). პოპულარულია ხასიათისა და ფიზიკური თვისებების, ადამიანის გარეგანი და შინაგანი ღირსების გამომხატველი სახელებიც: *სირუნ* („ლამაზი“), *სირან* („სიყვარული“), *აჩიკ* („დიდთვალება“), *ნაზელი* („ნაზი“), *ჟირაირ* („ცქვიტი“), *პატავაკან* („დარბაისლური“), *ამესტ* („მოკრძალებული“), *მარკუი* („სუფთა“). დადასტურებულია ბავშვების დაბადების რიგის ამსახველი სახელებიც: *არაჩინ* („პირველი“), *ვერჩინ* („ნაბოლარა“). სომეხთა შორის ტოპონიმებიდან მიღებული სახელებიც იყო გავრცელებული: *არაქსი* — მდინარის სახელწოდება, *მასისი* და *არავანი* —

მთის სახელები, *სიუნიკი, არცვიკი, ზეითუნი, აგვანი* — ისტორიული სომხეთის მხარეთა სახელები; (3) სხვა ხალხებისაგან ნასესხები სახელები, მაგალითად: *აბრამ, სოლომონ (სოლომონი), მოვსეს (მოსე), დავით* — ებრაულიდან; *სურენ, გურგენ, ხოსრე* — სპარსულიდან. სომხურ ინდივიდუალურ სახელთა თითქმის 1/4 (დახლოებით 1200 სახელი) ირანული წარმოშობისაა. ეს ფაქტი საუკუნეების განმავლობაში ირანელთა მიერ სომხებზე კულტურულ-ისტორიულ და ენობრივ გავლენას ადასტურებს. *რ. აჭარიანს* ეკუთვნის ხუთტომიანი „სომხური საკუთარი სახელების ლექსიკონი“. მან შეკრიბა, კლასიფიკაცია მოახდინა და შეისწავლა 5285 პიროვნული სახელი (ვაჟისა — 3362, ქალისა — 1700, საზიარო — 223). მას მიაჩნდა, რომ სომხური სახელების 700-800 ერთეული ირანული წარმოშობისა იყო. ქვემოთ მხოლოდ რამდენიმე ასეთ სახელს ჩამოვთვლით: *არმაილ, არისტაკეს, არშაკ, ვალარშაკ, პაპაკ, მანგასარ, აშხენ, აშხადარ, რადამისტ, ტიგრან, აჯახაკ, არტავაზ, ფარნავაზ, ფარნაკ, ბაგამ, ბავრატ, ამირალუ, მიჰრი, მეჰენდაკ, მერუზან, ზარმიჰრ, ანოიში, არტაშეს, არტავაზ, ბაბკენ, ხორენზ, ნერსეზ, სურენ, ვაშაკ, ვარაზ, ვარდან, გურგენ, რაზმიკ, ნარინე, ნორუი, არზუმან, ალასი* (სხვა მონაცემებით ეს სახელი თურქულია), *მანუჩარ, ნარიმან, ფირუზ, როსტომ, სანდუხტ, ფარემუზ, ფირან, ბალშენ, ზავენ*. ამ სახელების გარკვეულ ნაწილს დღეს აღარ არქმევენ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბევრი რუსული სახელიც გავრცელდა, როგორებიცაა: *ვლადიმირ, იური, სერგეი* და სხვა, რომლებმაც ადაპტაციის პროცესში გარკვეული ცვლილება განიცადა — *ვალოდ, იურიკ, სეროჟ*. 1971-1972 წლებში ქალაქ ერევანში დაბადებულ ბავშვთა ერთ მესამედს რუსულის მსგავსად დაარქვეს: *ალექსან, ალექსანდრ, არკადი, არტემ, ბენიამინ, ვალერი, გერასიმ, ლეონიდ, მარტინ, სერგეი, სიმონ; ალა, ვერონიკა, გალენა, ლენა, ირინა, ლარისა, ნადეჟდა, ნატალია...* ოფიციალურ სახელებად რუსული სახელები შემოკლებული და კნინობითი სახითაც ვრცელდებოდა: *ვანია, ვოლოდია, ჟორა, კოლია, ლევა, მიშა, სამიკ, იურა; ასია, ვალია, ჟენია, ლენა, ლიდა...* ისინი ოფიციალურადაც ასევეა გაფორმებული. XX საუკუნის 30-50-იანი წლებიდან ფართოდ გავრცელდა დასავლეთევროპული სახელები (*არტურ, ჰენრიხ, ედუარდ, რობერტ, ჰამლეტ; ანჟელა, ჟანა, ოფელია, ჯულიეტა, ფლორა* და სხვა), აგრეთვე ცნობილ ადამიანთა სახელები (*ტელმან, კარლ, ენგელს, რუზველტ, ფრუნზე, კამო* და სხვა). სომეხ-

თა შორის ნოვაციას წარმოადგენს მამაკაცის სახელი *არმენ* (ისევე როგორც ოსებში — *ალანი*).

სომხურ ენაში გვაქვს მამაკაცისა და ქალის საზიარო სახელები, მაგალითად: *არშალუის* („განთიადი“), *აიასტან* („სომხეთი“), *ერჯენიკ* („ბედნიერება“), *ნუბარ* („პირმოშო“), *ჰრაჩია*. ზოგიერთი ასეთი სახელი განსხვავებულ ფორმებს გვიჩვენებს იმისდა მიხედვით, ის მამაკაცს განეკუთვნება, თუ ქალს, მაგალითად: *არმენ* — *არმენუი*, *ვარდ* — *ვარდუი*, *ანუშავან* — *ანუშ*. ზოგჯერ ადვილად გასარკვევია, მამაკაცის სახელზეა საუბარი, თუ ქალის სახელზე — განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ირთავენ სიტყვებს: *აირ*-სა და *დუხტ*-ს. *აირ* „კაც“-ს აღნიშნავს და *დუხტ* — „ქალიშვილს“. შესაბამისად, აღნიშნული სიტყვებით კაცისა და ქალის სახელები ბოლოვდება: *ზარმაირ* („დიდგვაროვანი კაცი“), *ზორაირ* („ლონით დაჯილდოებული კაცი“); *ვორმიზდუხტ*, *აიკანდუხტ* და ა. შ.

დღეს სომეხ ხალხში განსაკუთრებით პოპულარულია სახელები: *აიასტან*, *არარატ*, *არმენუი*, *გრაირ*, *ნოვიკ*, *მარტიკ*, *არცვიკ*, *ქნარიკ*, *არპენიკ*, *აზნივ*, *პაილაკ*, *ვაზგანუშ*, *გაიანე*, *კარინე* და სხვ. XX საუკუნის 80-იან წლებში მთიან ყარაბაღში ყველაზე გავრცელებული სახელები იყო: *კარენ*, *აშოტ*, *შმაგონ*, *ვალარშაკ*, *აირაპეტ*, *კარინე*, *სერბუი*, *ვართანუშ*, *გურგენ*, *ამესტ*, *სარქის*, *არმენ*, *აუსინ*, *კარაპეტ*, *სათენიკ* და სხვ.

სომხურად გვარსახელი გამოიხატება სიტყვით „აზგანუნ“, რაც სიტყვასიტყვით „აზგის სახელს“, ე. ი. ნათესაური ჯგუფის, პატრონიმიის სახელს ნიშნავს, რომელიც წარმოქმნილია პიროვნულ სახელისაგან, მეტსახელისაგან, პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინისაგან -*იანც* (-*ანც*, -*ენც*), -*უნც*, -*უნი* სუფიქსების დართვით, მაგალითად: *არუთინიანც*, *ბრუტენც*, *გრიგორიანც*, *სევუნც*, *ბენუნი*, *გრუნი*, *გთუნი*, *შაჰთუნი*, *ჰერუნი*. გვარსახელების წარმოქმნამდე მხოლოდ მამის სახელი ან დაბადების ადგილი მიეთითებოდა, მაგალითად: *თევოს ვირაბ* (ნიშნავს „ვირაბ თევოსის შვილი“), *ლაზარ ფარპეც* („ლაზარე ფარპიდან, ფარპელი“), *გრიგორ თათევაც* („გრიგორი თათევიდან, თათეველი“), *ანანია შირაქაკ* („ანანია შირაქიდან, შირაქელი“). გავრცელებული იყო აგრეთვე პიროვნულ სახელებთან ერთად პროფესიის, ხელობა-მოსაქმეობის, მოღვაწეობის აღმნიშვნელი სიტყვებით მოხსენიება: *მერტიჩ ნახაშ*, *ნიკოხაიოს ცახკარარ*, *დავიდ კერტოხ*, *გრიგორ მავისტროს* და ა. შ. სომხებში მემკვიდრეობითი სახელი (გვარსახელი) მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გაჩნდა, თუმცა XX საუკუნის 20-იან წლებამდე ძალი-

ან ბევრს გვარსახელი საერთოდ არ ჰქონდა, განსაკუთრებით ოსმალეთის იმპერიიდან (ისტორიული დასავლეთ სომხეთიდან) მიგრირებულებს. XX საუკუნის 20-იან წლებში ერთი მამის შვილებს, სხვადასხვა ადგილზე დასახლების გამო, სხვადასხვა გვარსახელი მიაკუთვნეს: ერთს — მამის სახელის, მეორეს — წარმომავლობის, მესამეს — პროფესიის მიხედვით. 1915 წელს აღმოსავლეთ სომხეთში, ანუ თანამედროვე სომხეთში თურქეთიდან მოსულ სამ ძმას საბჭოთა პერიოდში სამი სხვადასხვა გვარი გაუფორმეს, ერთმა მამის სახელის მიხედვით *კარაპეტია-ნის* მემკვიდრეობითი სახელი მიიღო, მეორემ ვილაიეთის სახელისა — ბითლისის მიხედვით — *ბითლისიანი* და მესამემ, ბითლისის ვილაიეთის ქალაქ ბაღემის მიხედვით, საიდანაც უშუალოდ იყვნენ ისინი მოსულები — *ბაღემიანი*. ისეც მოხდა, რომ ერთი ოჯახის შვილების ნაწილს გვარსახელი მამის სახელით თუ მიაკუთვნეს, მეორე ნაწილს პაპის სახელის მიხედვით გაუფორმეს. სომხური გვარსახელის სუფიქსებში თანდათან ბოლო-ც ბგერაც გაქრა და მათ თანამედროვე ფორმა მიიღეს — *იან* სუფიქსით (*არუთინიან*, *გრიგორიან* და ა. შ.). თანამედროვე სომხეთში ყველზე გავრცელებული გვარსახელია *ჰარუთინიანი*. რა თქმა უნდა, ეს *ჰარუთინიანები* ერთი *ჰარუთინის* შთამომავალნი არ არიან. ყველაზე გავრცელებული სახელი იყო *ჰარუთინი* და ათასობით *ჰარუთინის* შვილები *ჰარუთინიანებად* ჩანერეს. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ ერევნის 1970 წლის სატელეფონო წიგნში 1400 *ჰარუთინიანია* შეყვანილი. დიდი რაოდენობით არიან სატელეფონო წიგნში *გრიგორიანები* და *ჰოვანესიანები* (თითოეული 1200—1200 ერთეული). ამ გვარსახელთა სიმრავლეს ამავე მიზეზის შედეგია.

გვარსახელებში ფორმანტი -*უნი* არქაულ (ურარტულ) ფორმანტადაა მიჩნეული (*ამატუნი*, *არნრუნი*, *არშაკუნი*, *ბაგრატუნი*, *ვარაჟნუნი*, *კაჩაზნუნი*, *რშტუნი*, *ფახლავუნი*, *ხორხორუნი*). რამდენად მომდინარეობდნენ ასეთი ფორმანტის მქონე გვარები ურარტელთაგან, ძნელი სათქმელია; ეჭვს ისიც აღძრავს, რომ ზოგიერთ ამ მემკვიდრეობით სახელს ირანული ფუძე აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთ გვარებს, ძირითადად, ძველი ფეოდალური გვარების (ნახარარების) წარმომადგენლები ატარებდნენ. XI საუკუნიდან სომხეთში ფეოდალთა ფენა გაქრა. სიუნიკისა და არცახის სომხებში გავრცელებულია სუფიქსი -*უნც*, რომელიც ასევე გარკვეული ნათესაური ჯგუფისადმი კუთვნილებაზე მიუთითებს, მაგალითად: *არჩუნც*, *გურუნც*, *სათუნც*, *თათუნც*, *თახუნც*, *ხერუნც*, *ხაჩუნც*, *ჯანუნც*, *შეკუნც* (საერ-

თოდ, *-უნც* და *-უნი* სუფიქსიანი გვარები ძალიან ცოტაა). *-ენც*, *-უნც* და *-ონც* სუფიქსიანი გვარები ზანგეზურის პროვინციაში გავრცელებული.

სომხებს გვარები რომ არ ჰქონდათ, კარგად ჩანს თბილისის გუბერნიის XIX საუკუნის კამერალური აღწერის დავთრებიდან. 1859 წლის სილნალის კამერალური აღწერის დავთარში სომხური მოსახლეობა მხოლოდ ინდივიდუალური სახელითა და მამის სახელითაა ჩანერილი, მაგალითად: *პოლოს მარტიროსოვი*. აღწერის დავთარს კანცელარიაში შემდგომი აღწერის ჩატარებამდე ინახავდნენ, მას სახელმწიფო მოხელეები იყენებდნენ. *პოლოსის* შემდეგ მდგარი მეორე კომპონენტი — *მარტიროსოვი* — რომ მამის სახელი იყო და არა გვარსახელი, იქიდან ჩანს, რომ *პოლოსი* გარდაცვლილა. მოხელეს ოჯახის უფროსის სახელი და მამის სახელი წითელი მელნით გადაუშლია და ოჯახის უფროსად ახლა მისი შვილი *არტაში* ჩაუწერიათ. მაგრამ *არტაშს* მეორე კომპონენტად ჩაუწერეს არა *მარტიროსოვი*, არამედ — *პოლოსოვი*. *მარტიროსოვი* მემკვიდრეობითი სახელი რომ ყოფილიყო, ის მემკვიდრეობით *არტაშზედაც* გადავიდოდა. ოჯახს ასეთი სახელი არა ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ მეორე კომპონენტად (მამის სახელად) *პოლოსოვი* ჩაუწერეს. ანალოგიური ფაქტი არაერთია 1859 წლის სილნალის კამერალური აღწერის დავთარში. იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე XVIII საუკუნის 70-იანი წლების ქვემო ქართლის აღწერაში. ეთნიკურად სომხური მოსახლეობა დავთარში მხოლოდ ინდივიდუალური სახელებითაა ჩანერილი, რაც იმის მაუწყებელია, რომ სომხებს გვარსახელები არ ჰქონდათ. აღნიშნული მოსახლეობის აღწერის დავთარი იმის საშუალებასაც გვაძლევს, რომ გავარკვიოთ, ქვემო ქართლის ე. წ. სომხურ მოსახლეობში რამდენი პროცენტი იყო გრიგორიანი (მონოფიზიტი) ქართველი და რამდენი — ეთნიკური სომეხი. ეს შეფარდება ასეთი იყო: 90% გრიგორიანი ქართველი, ხოლო 10% — ეთნიკური სომეხი.

კიდევ ერთი ფაქტი: 1821 წლის კამერალური აღწერის დავთარში ლორე-ტაშირის მხარეში, რომელიც XI საუკუნიდან, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, ადგილობრივი სომხები კამერალური აღწერის დავთრებში ქართული მოდელით არიან ჩანერილი: *სარქის არუთინაშვილი*, *პოლოს პეტროსაშვილი*, *არუთინ ვართანაშვილი*, *ოჰანეზ ოჰანეზაშვილი* და ა. შ. ოღონდ გაურკვეველია, დავთარში შეტანილი ოჯახის უფროსები გვარსახელით არიან მოხსენიებულნი, თუ მამის სახელით. დასაშვებია, *არუთინაშვი-*

ლი, პეტროსაშვილი და მისთ. მემკვიდრეობითი სახელი იყოს, რადგან ლორე-ტაშირი შუა საუკუნეების განმავლობაში სახელმნიფობრივად და სოციალური თვალსაზრისით ქართული იყო; აქ ქართული ფეოდალური სისტემა არსებობდა.

როგორც აღინიშნა, სომხური გვარსახელების საფუძველს მამის ან პაპის სახელი შეადგენს. მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში გვარსახელების მნიშვნელოვანი რაოდენობა აზგის დამფუძნებლის პროფესიის სახელწოდებისგან წარმოდგებოდა, თუ ეს პროფესია მემკვიდრეობით საქმიანობას წარმოადგენდა, მაგალითად: *დარბინიანი* („მჭედელი“), *ვოსკერჩიანი* („ოქრომჭედელი“), *ნალბანდიანი* და ა. შ.

სომხური გვარსახელების მნიშვნელოვანი რაოდენობა ტერპრეფიქსით იწყება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ მემკვიდრეობითი სახელების საფუძველჩამყრელები სასულიერო პირები იყვნენ: *ტერ-აბრამიანი*, *ტერ-ანდრეასიანი*, *ტერ-გალსტიანი*, *ტერ-ჰაკობიანი*, *ტერ-ჰარუთინიანი*, *ტერ-პეტროსიანი*... საერთოდ, 55-მდე სომხური გვარი იწყება ტერ- პრეფიქსით. სომეხთა შორის გვხვდება ისეთი გვარებიც, რომლებსაც სომხური სუფიქსის წინ თურქული სუფიქსი -*ოლიც* აქვს, ე. ი. ეს გვარები თურქულ-სომხური სუფიქსიანებია და მათი წინაპარი დასავლეთ სომხეთიდან უნდა იყვნენ თანამედროვე სომხეთში მოსულნი: *გუროლიანი*, *თამიროლიანი*, *კარაოლიანი*, *ქემიშოლიანი*, *ქურდოლიანი*, *ქიოროლიანი*, *ჩიროლიანი*, *ყასაბოლიანი*, *ხეჩიკოლიანი*, *ჰანესოლიანი*... (სხვათა შორის, ანალოგიური ორიოდ გვარსახელები ქართველებსაც გაგვაჩნია: *თამაზოლიშვილი*, *ოლიშვილი*). ერთ გვარსახელს ორმაგი ირანულ-სომხური სუფიქსიც აქვს (*გიულზადიანი*).

ისევე როგორც სხვა ხალხებში, სომეხებშიც მცირე რაოდენობით გვხვდება გვარსახელები, რომლებსაც საფუძველად ქალის სახელები უდევთ: *ბარბარიანი*, *თანთუშიანი*, *ლუსიკიანი*, *მანუშაკიანი*, *ნატაშიანი*, *შუშნიანი*, *ნოვიკიანი*, *ნოვინარიანი*, *ჰასმიკიანი*... არის ისეთი გვარებიც, რომლებსაც ფუძედ ეთნონიმები აქვთ: *გურჯიანი*, *თალიშიანი*, *ლაზიანი*, *ქართლიანი*, *ფრანგულიანი*, *ჩერქეზიანი*, *ჰინდოიანი*, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ მემკვიდრეობითი სახელების საფუძველჩამყრელები მაინცდამიანც ეთნიკურად ქართველი, თალიში, ფრანგი, ჩერქეზი და ინდოელი იყო.

II. 25. ინგუშთა და ჩაჩნთა საკუთარი სახელები

ინგუშები და ჩაჩნები ერთმანეთის ახლო მონათესავე ხალხებია. მათ პიროვნულ სახელებში სამი ტიპის სახელებს გამოყოფენ: (1) ძირძველ ინგუშურ და ჩაჩნურ სახელებს; (2) სპარსული და არაბული სამყაროდან ნასესხებ სახელებს და (3) რუსული და სხვა ენებიდან ნასესხებ სახელებს. ძალიან ბევრი ძველი სახელი წარმოქმნილია ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეთა სახელებისაგან, მაგალითად, *ბორზ/ბორც* („მგელი“), *ჩა* („დათვი“), *ჩაბორზ* („დათვი და მგელი“), *ცხოვალ* („მელია“), *პხოვალ* („კურდღელი“), *ნალ* („ტახი“), *გამიმ* („კამეჩი“), *ქუირა* („ქორი“), *ლენა* („შევარდენი“), *არზუ* („არწივი“), *ჰოზა* („ბელურა“), *ნორჩ* („მუხა“)... ესენი მამაკაცის სახელებია. ანალოგიური მნიშვნელობის მქონე ქალის სახელებიდან შეიძლება დავასახელოთ: *კხოკხა* („მტრედი“), *ჩოვკა* („ჩიტუნია“). ძველი სახელები სტრუქტურით გარკვეული ზმნური ფორმისაა. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მამაკაცის სახელი *ბახა*, რომელიც ნიშნავს „იცოცხლე“. ამავე სემანტიკისაა ქალის სახელი *იახა*. გვხვდება ზედსართავი სახელებისაგან მიღებული სახელებიც, მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ინგუშური სახელი *ზიიამიგვარტ* („პატარა“). არის ისეთი სახელები, რომლებიც წარმოქმნილია ვითარებითი ზედსართავი სახელებისაგან, მაგალითად, *დიკა* („კარგი“).

თანამედროვე ინგუშური და ჩაჩნური სახელების უმრავლესობა ნასესხებია თურქული, არაბული და სპარსული ენებიდან. ასეთი გავრცელებული სახელებიდან შეიძლება დავასახელოთ: *ახმატ*, *ალი*, *ჯამალდინ*, *იბრაჰიმ*, *მაჰომედ*, *უმარ*, *იაკუბ* (კაცი-სა) და *ამანათ*, *ზეინაპ*, *ლეილა*, *რეზიათ* (ქალისა) და ა. შ. არაერთი სახელი გვხვდება „სოლთან“ და „ბეკ“ ელემენტებით. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ინგუშებსა და ჩაჩნებში ისლამს ყუმუხი მქადაგებლები ავრცელებდნენ, რაც ინვევდა ისლამური სახელების ყუმუხური ძირებით გავრცელებას: *აიდა-მირ*, *ტაშტამირ*, *ედილგირა*, *ტოვბეტირა*, *ბეტირ-სოლთა*, *ტავ-სოლთა*, *აი-სოლთა*, *ოზდამირ* და სხვ. რუსული ენიდან შესული სახელებიდან უპირატესად გავრცელებულია: *რაისა*, *ლუიზა*, *ლარისა*, *როზა*, *ლიზა* და ა. შ. ინგუშური და ჩაჩნური პიროვნული სახელები ხშირად მხოლოდ ფონეტიკურად განსხვავდება ერთმანეთისაგან — *ააიზი* და *აზიი*.

პირმშოსათვის სახელის დარქმევის საინტერესო წეს-ჩვეულება იყო შემორჩენილი ინგუშეთში. პირველი ვაჟის გაჩენის

აღსანიშნავად გამართულ ლხინზე სახელს ნათესავი მამაკაცები არქმევდნენ. ისინი კოჭს აგდებდნენ. ვისაც კოჭი აღჩუზე დაუჯდებოდა, სახელსაც ის დაარქმევდა.

როგორც ინგუშების, ისე ჩაჩნებისათვის ტრადიციული გვარის ინსტიტუტი, რომელიც აღინიშნება ტერმინ „ტაიპი“-თ, თუმცა, როგორც აღნიშნავენ, ტერმინი „ტაიპი“ ინგუშურსა და ჩაჩნურ ენებში არაბულიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში შევიდა. ტაიპი მამის ხაზით ფართო სანათესაო წრის აღმნიშვნელი ტერმინია. ის ჩაენაცვლა ნათესაობის აღმნიშვნელ ძირძველ ადგილობრივ სიტყვებს: „ვიარ“, „კონგამ“. ტაიპი ეკზოგამიური იყო და დანაყოფებისაგან, ე. წ. პატრონიმული ერთეულებისაგან შედგებოდა. გვარის ბევრი დანაყოფი შემდეგში ახალი გვარსახელების წარმოქმნის საფუძვლად იქცა. თანამედროვე ინგუშური და ჩაჩნური გვარსახელები ოფიციალურად რუსული ფორმანტებითაა გაფორმებული. ოფიციალურად გვარსახელი რუსული სუფიქსებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაფორმდა. გვარი *ბეშტოევი* ინგუშურად გამოითქმის როგორც *ბეშტოი*, *ცოლოევი* — *ცოლოი* და ა. შ. გვარების წევრთა რაოდენობა ხშირად რამდენიმე ასეულ კაცს აჭარბებს. ანთროპონიმიული მოდელი შეიცავს მამის სახელსაც, რომელიც, ჩვეულებრივ, ნათესაობით ბრუნვაშია. მამის სახელი პიროვნული სახელის წინ დგას — *ხამიდან ბახა* („ბახა ხამიდანის ძე“). ცნობილია, რომ ჩაჩნებით დასახლებული გარკვეული ტერიტორიული ერთეული — მალხისტი (მითხო) — საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა; ისინი სადედოფლო სოფლებს შეადგენდა, ხოლო XIX საუკუნეში თიანეთის მაზრაში შედიოდა. 1886 წლის საოჯახო სიებში მითხოს თემის 11 სოფლის მკვიდრთ გვარსახელები ქართული სუფიქსებით ჰქონდათ გაფორმებული: *ალბაკაური*, *აშიგაური*, *ბარჩაული*, *გადურგაული*, *ბაკაშაური*, *გადუმაური*, *დადიკური*, *ზანტაური*, *ქარსამაული*, *მუხაური*, *ხაიაური*... გვაქვს სხვა საზიარო გვარებიც (მაგალითად, *მახაური*). ჩაჩნეთში ხშირად ერთ ტაიპს (გვარს) რამდენიმე დასახლებული პუნქტი ეკავა, ან ტაიპი ერთ სოფელში მკვიდრობდა. ტაიპის წევრებს მიაჩნდათ, რომ ისინი საერთო წინაპრისაგან მომდინარეობდნენ. ზოგიერთი ჩაჩნური ტაიპის სახელწოდება პირდაპირ მიუთითებს მათი წინაპრის, ტაიპის საფუძველჩამყრელის დაღესტნურ, ჩერქეზულ, ქართულ წარმომავლობაზე. ჩაჩანთა ყველაზე ცნობილი ტაიპები იყო: *დიშნე*, *ცონტარი*, *კურჩალო*, *ალერო*, *ბელგიტო*, *არსენო*, *შატო*, *ბენო* და სხვ. ამ უკანასკნელ გვარს ქართული წარმომავლობა აქვს, რადგან ჩაჩნები „ბეინოს“ ქართველ მთიე-

ლებს — მოხვევებს უწოდებდნენ. სეგმენტაციის შედეგად ცალკეული ტაიპები (გვარები) ცალკეულ ახლომონათესავე წვრილ ჯგუფებად იყოფოდა. თითოეული ტაიპის შტოს, ანუ პატრონი-მული ერთეულის აღმნიშვნელი ჩაჩნური სახელწოდება იყო „გარ“-ი და „ნეკ“-ი. დიდი ტაიპები, ჩვეულებრივ, მრავალი „ნეკისაგან“ შედგებოდა. XIX საუკუნის შუა ხანებში ჩაჩნეთში 135 ტაიპი ითვლებოდა. ტაიპის ნეკრი ყველა მამაკაცი ერთმანეთის ძმად იწოდებოდა, მთელი ტაიპი კი — ძმობად („ვოშალა“). ტაიპები თავის შემადგენლობაში ხშირად უცხო პირებსაც იღებდნენ. ახალი ნეკრის მიღება, ანუ ხელოვნური დანათესავება საზეიმოდ ხდებოდა. რიტუალის აუცილებელი ელემენტი იყო ხარის დაკვლა. აუცილებელი არ იყო ხელოვნურად დანათესავებულს მიმღები ტაიპის სახელი მიეღო. ხშირად ახალმოსულს გვარს ანიჭებდნენ იმის მიხედვით, საიდანაც იყო ის მოსული. ახალი გვარი კი ზოგჯერ უახლოესი წინაპრის სახელისაგან იწარმოებოდა. ინგუშეთში ერთ-ერთი დიდი გვარი იყო *დუდაროვების* გვარი. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ამ გვარის გამრავლება ხელოვნური დანათესავების გზითაც ხდებოდა. *დუდაროვების* გვარში ასეთი შეყრილი გვარი ყოფილა *ბუზურტანოვების* გვარი. ჩაჩნებმა და ინგუშებმა, ისევე როგორც კავკასიის სხვა მთიელებმა, იცოდნენ თავიანთი გვარების ისტორია, რაც მხოლოდ და მხოლოდ ზეპირი გზით გადაეცემოდა, მაგალითად, ზემოთ დასახელებული ინგუში *დუდაროვების* ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც 1883 წელს იყო დაბადებული, დათილ დუდაროვი (სოფელი კანტიშევო) წინაპართა შემდეგ სახელებს ასახელებდა: *დუდარი — ბუზურტი — ბეკლორი — ბუზური — მალხივი — პავალვი — ბოხილი — ბუზურთა — ტახო — ელე — ხაჯე — გატა — ბატილი*. დათილი მე-14 გახლდათ. ამრიგად, დასახელებული გვარი დაახლოებით ხუთასი წლის წინაა წარმოქმნილი.

II. 26. ადილელთა საკუთარი სახელები

თანამედროვე ადილური ანთროპონიმები მრავალფეროვანია, რადგან ძირძველ სახელებთან ერთად დიდი რაოდენობითაა გავრცელებული ნასესხები პიროვნული სახელები. ნასესხებ სახელებში ორ ფენას გამოყოფენ: აღმოსავლურ-მაჰმადიანურსა (არაბული, სპარსული, თურქული, მონღოლური) და რუსულს. აღმოსავლური სახელები ადილელთა შორის ბევრად ად-

რე გავრცელდა, ვიდრე რუსული. მაჰმადიანური სახელების შექმრა XVI-XVII საუკუნეებში დაიწყო, ინტენსიური სესხება კი XVII-XVIII საუკუნეებში მიმდინარეობდა. რუსული სახელების გავრცელება მხოლოდ საბჭოთა პერიოდში მოხდა. სახელთა საერთო რაოდენობაში ძველი ადიღური და აღმოსავლურ-მაჰმადიანური სახელები 40-40%-ის ფარგლებშია, რუსულ სახელთა რაოდენობა 20%-ს შეადგენს.

ადგილობრივი ადიღური პიროვნული სახელები სტრუქტურის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: მარტივი და რთული. მარტივი სახელები ზედსართავი და არსებითი სახელებისგანაა ნაწარმოები, მაგალითად, *დაბ* („ლამაზი“), *დეგუ* („პარგი“), *ფიფ* („თეთრი“), *შუცე* („შავი“). *ფიჯ* ქალის სახელი იყო, *შუცე* — კაცისა. რთული სახელები სიტყვათა შეერთებითაა მიღებული; ისინი ძირითადად ორკომპონენტია და არსებითი და ზედსართავი სახელებისა და ზედსართავისა და არსებითი სახელების შეერთების შედეგადაა წარმოქმნილი: *ხაჩმაფ* (*ხაჩუ+მაფ*=„სტუმარი“+„ბედნიერი“. შეადარე: ქართული გვარები *ხაჩიძე* და *ხაჩიური*. ორივე გვარს საფუძვლად უდევს ადიღელთაგან ნასესხები სახელი *ხაჩე*), *ფშიმაფ* („ბედნიერი წინამძღოლი“), *შუმაფ* („იღბლიანი მხედარი“). ქალის სახელებში პირველ კომპონენტად ხშირად გამოყენებულია ელემენტი — *გუაშ*, რაც ნიშნავს გვარის, ოჯახის უფროსს, მეთაურს. მოგვიანებით ამ სიტყვას ქალბატონის მნიშვნელობა მიუღია. ასეთ სახელთაგან შეიძლება დავასახელოთ: *გოშეფიფ* (*გუაშ+ფიფ* = „თეთრი ქალბატონი“), *გუშნაგ* (*გუაშ+ნაგუ* = „თაფლისფერი თვალის ქალბატონი“), *გოშლიაფ* („ძვირფასი ქალბატონი“), *გოშპაკ* („მოკლევხვირა ქალბატონი“). გვხვდება აგრეთვე ქალის ისეთი სახელები, რომლებიც *გუაშ*-ისა და ნასესხები სიტყვის — *ხან*-ის შეერთებითაა მიღებული, მაგალითად, *გუაშხან*, *ხანგაშ*, *ხანფიფ*, *ხანციკუ* (*ციკუ* — „პატარა“) და სხვ. ზოგიერთი ორკომპონენტია ადიღური სახელის ერთ-ერთ ფუძეს დაბადების ადგილის სახელიც წარმოადგენს: *ქალაშაუ* (*ქელე+შაუ* = „ქალქაელი ჭაბუკი, ბიჭი“), *კოჯესაუ* („აუღელი, სოფლელი ბიჭი“).

ბევრი რთული ადიღური სახელი *ხე* („ძალდი“) კომპონენტს შეიცავს, მაგალითად, *ხე(ა)ნეშ* (*ხე+ნეშუ* = „უსინათლო ძალდი“), *ხე(ა)გურ* („გამხდარი ძალდი“). მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნულ სახელებში *ხე* კომპონენტის ჩართვა სახელის დამცავი ფუნქციით აღჭურვის რწმენითაა განპირობებული. პირადი სახელების გამოსახატავად გამოყენებულია ცხოველთა და ფრინველთა სახელწოდებები, მაგალითად, *ტუგუზ* („მგელი“), *ბლია-*

გოზ („გველი“), ტყარკო („მტრედი“)... ზოგიერთ სახელში ბავშვის მშობლებისა და ახლო ნათესავების გარკვეული სურვილებია გადმოცემული: *გუჩიფს* (*გუჩიჩ+ფსე* = „რკინა+სული“. სიტყვასიტყვით: „რკინის სულის ადამიანი“), *გუშტელ* (*გუჟიე* „მჭედელი“+*ლი* „მამაკაცი“). სიტყვასიტყვით: „მჭედელი კაცი“), *გუჩეშაუ* (*გუჟიე* „მჭედელი“+*შაუ* „შვილი“). სიტყვასიტყვით: „მჭედლის შვილი“). არსებობს ქალის ანალოგიური წარმოების სახელებიც, რომელშიც მეორე კომპონენტია *ხან*: *გუჩეხან* („მჭედლის ქალიშვილი“), *ჩიშხან* („სამჭედლოს ქალიშვილი“) და სხვ. ასეთ სახელებს, ჩვეულებრივ, პირმშობებს ან იმ ბავშვებს არქმევდნენ, რომელთა დაბადებამდე ოჯახს ბავშვები არ რჩებოდა. **მშობლები ასეთ ბავშვებს სამჭედლოს აბარებდნენ, მჭედელი კი ბავშვის „გამობრძმედისა“ და „გამონთობის“ რიტუალს ასრულებდა და ბავშვს „ნანროთობ“ წყალს ასხურებდა. ასეთ შემთხვევაში ახალშობილს სახელს ყოველთვის მჭედელი არქმევდა.** ამ ჯგუფის სახელებს მიეკუთვნება *ტუჩჯეი* („ფეხზე დადექი“), *უჩუჟუკი* („ფეხებზე დამდგარი შვილი“). ასეთი სახელებიც ადიღელთა რწმენასთან იყო დაკავშირებული. ასეთ სახელებს მეცნიერები ადიღელთა რწმენა-წარმოდგენებს უკავშირებენ.

ბავშვის დაბადებისას მშობლების ნეგატიური დამოკიდებულების ამსახველია ისეთი სახელები, როგორებიცაა: *ამიდ* („მათ ის არ უნდოდათ“), *ფემიი* („ის, რომელიც არ უნდათ“), *რაფიმეს* („მოულოდნელი“). ასეთ სახელებს არა მხოლოდ მშობლების სურვილის საწინააღმდეგოდ დაბადებულებს, არამედ უკანონოდ დაბადებულებსაც არქმევდნენ.

გათხოვილ ადიღელ ქალს უფლება არა ჰქონდა სახელით მიემართა მამათილის, დედამთილის, მულის, მაზლისა და ქმრის ნათესავებისათვის. პატარძალი მათ დამატებით სახელს — მეტსახელს არქმევდა. ასეთი სახელები ფართოდ იყო გავრცელებული ადიღელთა საოჯახო-ყოფით ურთიერთობებში. დედამთილს მიმართავდნენ ასე: *გუაშჩე* („ქალბატონი“), მამამთილს — *ფში* („თავადი“, „წინამძღოლი“, „მეთაური“), მაზლს — *დახაკაშ* (*დახე+კაშე* „ლამაზი+დაქორწინდი“. სიტყვასიტყვით: „ის, რომელიც დაქორწინდა (ან დაქორწინდება“), *ჭელეშჩ* (*ჭელე+შუ* „ახალგაზრდა, ბიჭი+„კეთილი, კარგი“). სიტყვასიტყვით: „კეთილი ახალგაზრდა კაცი“); *შიუდახ* („ლამაზი მხედარი“), *ჭელეპსიჩ* („ახალგაზრდა სწრაფი კაცი“), *სიდეშ* („ჩემი ოქრო“) და სხვ. მულს უწოდებდნენ: *დეხენეფ* („ლამაზი“, „ნათელი“), *ნაფინ* („სინათლე“), *სილიაპ* („ჩემი ძვირფასი“), *ხეხევაზ* („ყველა-

ზე ლამაზი“) და სხვ. ასევე არ მიმართავდნენ სახელით რძალს მაზლი და მული: *ნისედახ* („ლამაზი რძალი“), *ნისელიაპ* („ძვირფასი რძალი“), *ნესეგუაშ* („ქალბატონი რძალი“)...

როგორც აღინიშნა, ადიღელთა შორის აღმოსავლური სახელები გვიან შუა საუკუნეებში გავრცელდა, ხოლო რუსული სახელები საბჭოთა ხელისუფლების დროს. XVIII საუკუნეში შაფსულებში გავრცელებული იყო სახელები: *ასლან*, *ასკალ*, *ალკეს*, *კარბატორ*, *კრიმჩერეი*, *მირზებეჩი*, *მაგამატ*, *მოს*, *ხაჯიბირამი* და სხვ. რაც შეეხება რუსულ სახელებს, ისინი უფრო პოპულარული ქალთა შორისაა, ვიდრე მამაკაცებში.

ძველად ადიღური ანთროპონიმული მოდელი მარტივი იყო. ადიღელები დაბადების დროს დარქმეულ სახელებს ან მეტსახელებს (*გლიაშე* — „კოჭლი“, *ტხაკუმეშუ* — „დიდყურა“, *ცეპლ* — „ქერა“...) ატარებდნენ. ბევრი მეტსახელი გვიან გვარსახელად იქცა. მიაჩნიათ, რომ ფეოდალური ურთიერთობის განვითარების პარალელურად ანთროპონიმული მოდელი ორნევერა გახდა: ძირითად სახელს მამის სახელი (პატრონიმი) დაემატა, რომელიც გვარსახელის საფუძველი გახდა. ადიღურად გვარის აღმნიშვნელი სიტყვაა „აჩის“. ერთი გვარის („აჩისის“) ნევრები ერთი საერთო წინაპრისაგან მომდინარეობდნენ. ყველა გვარს თავისი საერთო წინაპარი მამაკაცი ჰყავდა. ადიღური გვარები რამდენიმე ერთეულად იყოფოდა. ერთი გვარისანი ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ. ეკზოგამიური იყო ადიღელთა მონათესავე ყაზარდოელთა გვარიც („ლეპკ“). გვარი ადიღელეთა შორის მამის ხაზით გადაეცემა, მაგალითად, ანთროპონიმულ მოდელში *მერეტიკო ილიას* („ილიას მერეტის შვილი“), *ბატიკო პშიიმაფ* („პშიიმაფ ბატის შვილი“), *ჟეჟიკო ელმიზ* („ელმიზ ჟეჟის შვილი“) პირველი კომპონენტი გვარსახელია, მეორე — პიროვნული სახელი. გვარსახელად იქცა ზოგიერთი პიროვნული სახელი და მეტსახელი: *ტუგუზ* („მგელი“), *ბლიაგოზ* (დრაკონი), *ტლიაშოკ* („კოჭლის შვილი“), *ნეშუკ* („უსინათლოს შვილი“)... საბჭოთა ეპოქაში, ისევე როგორც ქვეყანაში მცხოვრები სხვა ხალხებისა, ადიღელთა ანთროპონიმული მოდელიც სამწევრა გახდა: *ჯარიმოკ ნუხ ტეუჩეჯიევიჩ*, *ბეკუხ ხამუეტ ასკალოვიჩ*; მაგრამ არაოფიციალურად, ასაკისდა მიუხედავად, ადიღელები მხოლოდ სახელებით მიმართავდნენ ერთმანეთს. პირველ ადგილზე ყოველთვის გვარსახელი დგას, მეორეზე პიროვნული სახელი: *სხილიახუ აბუ*, *ბერეტარ ხამიდ*, *ხუაკო რამაზან*...

II. 27. აფხაზური საკუთარი სახელები

აფხაზთა ანთროპონიმებში, როგორც პიროვნულ სახელებში, ისე მემკვიდრეობით სახელებში, აირეკლა ამ ხალხის რთული ეთნიკური ისტორია. აფხაზური ინდივიდუალური სახელები რამდენიმე ჯგუფისაგან შედგება: (1) საკუთრივ აფხაზური ენის ნიადაგზე წარმოქმნილი სახელები; (2) ქრისტიანული სახელები; (3) მუსლიმური სახელები. არააფხაზური სახელები, ისტორიული ეპოქების მიხედვით, სხვადასხვა ინტენსივობით ვრცელდებოდა. იმის გამო, რომ აფხაზური ენა უდამწერლობო ენა იყო, მკვლევრებს არა აქვთ მონაცემები შუა საუკუნეებში აფხაზურ ინდივიდუალურ სახელთა შესახებ. ამიტომაც მათ შესახებ სრული წარმოდგენა მხოლოდ XIX საუკუნიდან გვეძლევა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წყაროა მუჰაჯირთა სიები. ბუნებრივია, მუჰაჯირ აფხაზთა შორის ძირითადად ისლამური სამყაროსათვის დამახასიათებელი სახელები იყო გავრცელებული. ს. ბახიას მონაცემებით, ძირძველი აფხაზური სახელებია: *მუგუცი*, *გუნარი*, *ამზა*, *მაზი*, თუმცა, მისივე ეთნოგრაფიული მასალებით, აფხაზებს ისინი აბაზთაგან შეთვისებულად მიაჩნიათ. საკუთრივ აფხაზურ სახელებად გ. წულაიას მიაჩნია: (კაცის სახელები) *ბაჯვი*, *ბაჯგური*, *ცაცა*, *ჯიმი*, *კუნნალი*, *მიშე*, *ყვაპი*, *ხიშკური*, *ბაგვაზი*, *კაბაჯა*, *კუმფი*, *კუჩირი*, *პაჩი*; (ქალის სახელები) *ხიკური*, *კამაჩიცი*, *ფოფა*, *შულია*, *ხვაფი* და სხვ. ნ. მარი ძირძველ აფხაზურ, ამასთანავე, თითქმის ნახევრად დავიწყებულ, სახელებად მიიჩნევდა: *ასა-ხუს*, *აბდა-ხუს*, *ჯანსი-ხუს*, *ერანტი-ხუს*, *მა-ხუს*, *რამიზი-ხუს*. ჩამოთვლილ სახელთაგან ზოგიერთის აფხაზურ წარმომავლობაში თავისუფლად შეიძლება ეჭვის შეტანა. მაგალითად შეიძლება *ცაცა*, *ჯიმი* და *კუნნალი* დავასახელოთ. ეჭვგარეშეა, რომ ისინი აფხაზებს ქართველთაგან ჰქონდათ შეთვისებული. მუჰაჯირთა სიებში ბევრი აფხაზური პიროვნული სახელია შეტანილი, რომელთაგან აქ მხოლოდ ზოგიერთს მოვიყვანთ: *აღლაგიყვა*, *აჟვა*, *აღბასტიყუა*, *ბათაყვა*, *ბეზრიყუა*, *ბერიყვა*, *დარუყვა*, *დელათიყვა*, *თუყვა*, *თულაფსუყვა*, *მაჟარა*, *მისირყვა*, *ნანწუკი*, *ნარზიყუა*, *სესირყვა*, *ფშაყანი*, *ფათი*, *ფაჭა*, *შნაუყვა*, *შხანუყვა*, *ხაფაჭი*. აფხაზთა შორის, საკუთრივ აფხაზურ ინდივიდუალურ სახელებს გარდა, ქართული სახელებიც რომ იყო გავრცელებული ამას, 1830-იანი წლების დოკუმენტიც გვიდასტურებს; ეს სახელებია: *აზნაური*, *ათერია*, *ბაზალა*, *ბახუ*, *ბიჭო*, *გერია*, *ვივო*, *ვიორვიტა*, *ვიორვობე*, *დედის-გულ*, *ზაზიუ*, *თავვა*, *თამაკოჩი*, *თუთაშხია*, *მაცი*, *მახარია*, *კაცი*,

კვატაში, კვაჯი, კიკი, ლომკაცი, ხუტა, ჯოლორია, ქვარა, ბახვა, ხუჭუ (ხუჭი), კონა, გიორგობე, კაცამ, კაცი, პეტრე, რუსუდანი, როსტომ, ტავუ, უჩანა, ქვაბლუხი, ქვარა, ჩივოვე, ჩიჩუ, ცირა, ხიბლა, ჯინჯი, ჯოლორი... განსაკუთრებით პოპულარული იყო *ჭიჭინა*. XX საუკუნეში უფროსი თაობის წარმომადგენლებს შორის აფხაზეთში, განსაკუთრებით — მდინარე ბზიფის ხეობაში, სადაც განსაკუთრებით ძლიერ იგრძნობოდა თურქული გავლენა, ხშირად გვხვდებოდა ისეთი სახელები როგორიცაა: *ასლან, დაუთ, თამშულ, ოსმან, ისლამ, მაჰმუდ, ჰურმიტ, აზიზ, რაზიმბეი, სულეიმან, თმირ* (ე. ი. თემური), *იუსუფ, მაჰინ, ჩალათან, ჯამლათ* და ა. შ.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ბოლო დრომდე აფხაზ ხალხში ფრიად პოპულარული იყო აღმოსავლური და ბერძნულ-ბიზანტიური წარმომავლობის სახელები: *შოთა, შალვა, ვახტანგი, ზურაბი, გივი* და განსაკუთრებით *გიარგი (გიორგი)*. აფხაზეთში გავრცელებული იყო აგრეთვე მეზობელ სამეგრელოში პოპულარული ძველი ქართული სახელები და ქრისტიანულ სახელთა კინობითი ფორმები, მაგალითად: *კონია* (< *კონსტანტინე*). ნ. მარი აღნიშნავდა, რომ აფხაზებს შორის მუსლიმური სახელები უფრო მეტია, ვიდრე ქრისტიანული სახელები, ქრისტიანული კალენდარული სახელებიც კი მუსლიმური ფორმით გვხვდება. საბჭოთა ხელისუფლების დროს აფხაზთა შორის ფართოდ გავრცელდა რუსული სახელებიც.

თუ როდის გაუჩნდათ აფხაზებს მემკვიდრეობითი სახელები, ამის შესახებ წერილობითი მონაცემები არ გაგვანჩნია. რა თქმა უნდა, ამაში აფხაზური ზედაფენის გვარსახელებს არ ვგულისხმობთ; ისინი, ჩვეულებრივ, ქართული გვარსახელების კატეგორიაში ექცევა, რადგან აფხაზი ფეოდალები ქართული ფეოდალური სისტემის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ და ისინიც ქართულ გვარებს ატარებდნენ; ეს გვარებია: *ანჩაბაძე, აქირთავა, გუბლია, მარლანია, მარშანია, შარვაშიძე, ჩაბალურხვა, ჩხოტუა, გულიშაია, ელიშაია, ზვანბაია, ინალიშვილი/ინალიფა, ლაკერბაია, ცანბაია/ცანბა, ცისბაია*. დასახელებული პირველი რვა გვარსახელი ქართული კონსტრუქციის გვარსახელია (მხედველობაში გვაქვს სუფიქსები). დანარჩენ მემკვიდრეობით სახელებს აფხაზური (-ბა, -იფა) ფორმანტები აქვს. რამდენიმე გვარს კი ორმაგი (აფხაზურ-ქართული) სუფიქსი აქვს (-ბა+ია): *ამიბია, ბურდღუბაია, გულიშაია, გუნბაია, გუნუნბაია, გეცბაია, ელიშაია, ზვანბაია, თარბაია, კივშიბაია, ლაკერბაია, როსტობაია, ტვიშაია, ცისბაია, ცუიბია, ჭანუნბა-*

ია, რაც ამკარად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ აფხაზები ქართული სახელმწიფოს, ეთნიკური ერთობისა და სოციალური სტრუქტურის განუყრელი ნევრები იყვნენ. ამის დასადასტურებლად ისიც გამოდგება, რომ, 1830-იანი წლების მონაცემებით, *მარლანიას* გვარის ორი წარმომადგენლიდან ერთს ერქვა *კაც* და მეორეს — *ხასანი*. ერთ-ერთი *ჩაბალურხვას* სახელი იყო *თაგუ*, *ინალიფასი* — *თამკოჩი*. დასახელებული პიროვნული სახელები (*კაც*, *თაგუ* და *თამკოჩი*) ამკარად მიუთითებს ქართულ-აფხაზურ მჭიდრო ეთნოკულტურულ ურთიერთობებზე. ჩვენთვის კიდევ ერთი თავადური აფხაზური გვარია ცნობილი — *ემუხვარი*, რომელიც, გადმოცემით, ძირად ქართველი *ამილახვრებისაგან* მომდინარეობს.

აფხაზური გვარსახელები ძირითადად ორ კატეგორიად იყოფა. პირველ კატეგორიაში *-ბა (-იფა)* სუფიქსიანი მემკვიდრეობითი სახელები შედის, მეორე კატეგორიაში ქართულძირიანი და ქართულსუფიქსიანი გვარები. ეს სუფიქსებია: *-ია*, *-ა*. არის სხვა ქართულსუფიქსიანი (*-ძე*, *-ელ*) გვარებიც. გვხვდება უსუფიქსო აფხაზური გვარსახელებიც (*ბარციც*, *ამპარ*, *დბარ*, *ფსთი*, *სმირ*, *კიუტ...*). *-ბა* და *-იფა* სუფიქსები *-შვილი* სუფიქსის ფარდია. *-ბა* და *-იფა* სუფიქსიანი გვარებია: *აჟიბა*, *ადლეიბა*, *აკაბა*, *ახბა*, *ბლაჟბა*, *ბვანბა*, *გუნბა*, *თარბა*, *იაშბა*, *კაცბა*, *კილბა*, *ლანბა*, *ჟიბა*, *შანბა*, *ცვეიბა*, *ცუგბა*, *ტვანბა*, *ქუთარბა*, *ჭანბა*; *აბდულაიფა*, *აბიდაიფა*, *გუარიფა*, *კუაჩიფა*, *ინალიფა*, *ლაზარიფა*, *ჩიმიფა*, *ძიფშიფა*, *ხუაჩიფა*, *ხუტიფა...* დღეს აფხაზეთში *-ბა* სუფიქსიანი გვარსახელები ჭარბობს *-იფა* ფორმანტიან გვარებს, მაგრამ მუჰაჯირთა სიებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ დიდი რაოდენობით იყვნენ *იფა* დაბოლოებიანი აფხაზური გვარების მატარებლებიც. ორმაგი სუფიქსის მქონე გვარსახელებია: *კირიზბაია*, *ავიშბაია*, *ლაკვაბაია*, *წინბაია*. *-ბა*-ზე და *-იფა*-ზე დაბოლოებული გვარების უმეტესობას აქვს გადმოცემა ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლების შესახებ. აფხაზურ გვარსახელებს მოკლე ისტორია რომ არ უნდა ჰქონდეს, ამის დამადასტურებელია 1621 წლის „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავლის მოსაკრებლობის დავთარში“ სოფელ ტყაურში გვარსახელის — *შამბიას* მოხსენიება. აღნიშნული გვარსახელი, რა თქმა უნდა, *შამბა*-დან მომდინარეობს. აღნიშნული პერიოდისათვის ისინი უდავოდ ქართული ეთნიკური სამყაროს წარმომადგენლები არიან, რასაც მათი პიროვნული სახელებიც ადასტურებს: *თავაზა*, *მაშუტუა*, *ქუქულაა*. აფხაზური გვარსახელების დიდი ხნის წარმოშობის დამადასტურებელი ისიც უნ-

და იყოს, რომ მუჰაჯირთა სიაში გადასახლებულთა შორის დიდი გვარებიცაა დასახლებული, რომლებიც რამდენიმე ათეულ კომლს ითვლიდა, მაგალითად: *ბიგბა*-ს გვარსახელის მატარებელი 80 კომლია წარმოდგენილი, 50-ჯერ არის დასახლებული მემკვიდრეობითი სახელი *ცვაცვა*.

ქართულსუფიქსიანი გვარსახელები ორ ქვეჯგუფად შეიძლება გავყოთ. პირველ ქვეჯგუფში ის მემკვიდრეობითი სახელები შეიძლება მოვათავსოთ, რომლებიც მხოლოდ აფხაზთა შორისაა გავრცელებული: *კეინინია*, *ანუა*, *ჯოპუა*, *ხვარცკაია*, *ლარცკაია*... ეს კონკრეტული გვარსახელები ქართველთა შორის არ გვხვდება. ძალიან ბევრია ქართული გვარსახელი: *ბედი*, *ბიგვა*, *ბოჯგუა*, *გაბელია*, *გერგელია*, *გვარამია*, *გოგუა*, *გუნია*, *ვაჭარია*, *კვარჭია*, *კუკა* (ე. ი. *კუკავა*), *ქელია*, *უგულავა*, *ჯოლორია*, *ჯორჯიკია*, *ჯოჯუა*, *ფილია*, *გაბნია*, *გუგულავა*, *თორია*, *ლაშ(ს)ურია*, *მახარია*, *მალანია*, *გვასალია*, *ლოლუა*, *კობახია*, *საბეკია*, *სონგულია*, *ჯიქია*, *გვაზავა*, *ბუკია*, *ჭანტურია*, *ჭითა* და *ჭითანაუ* (ე. ი. *ჭითანავა*), *ჭოლოკუა*, *გერსამია*, *ქირია*, *ცაავა*, *ჯერგენია*, *კანკია*, *დარსალია*, *თოფურია*, *ქარდაა* (ე. ი. *ქარდავა*), *ქუთელია*, *შაკაია*, *ჭკადუა*, *ლაგვილავა*, *წულაია*, *პატარაია*, *ხახუბია*, *ხვარაა* (ე. ი. *ხორავა*)... და ასეთი გვარები ორივე ხალხშია გავრცელებული; მათი მატარებელნი გააფხაზებული ქართველები არიან. აფხაზთა შორის ისეთ ქართულ გვარსახელთა მატარებელნიც არიან, როგორებიცაა: *წერეთელი*, *ლორთქიფანიძე*, *კოპეშავიძე*... 1867 წლის მუჰაჯირთა სიაში 2987 გვარსახელია შეტანილი. მათგან 1071 ქართულია: *მარშანია* (სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ეს გვარი ქართველი მარუშინებისაგან მომდინარეობს), *გაბელია*, *კობახია*, *გუდავა* და სხვ. XIX საუკუნის აფხაზთა შორის -*ძე* სუფიქსიანი მემკვიდრეობითი სახელებიც გვხვდებოდა: *ამონაძე*, *არკარაძე*, *ბამბურიძე*, *გვანდანაძე*, *კიკნაძე*, *კობახიძე*, *მახარობლიძე*, *ქორიძე*, *ხალვაშიძე/ჰალვაშიძე*.

აფხაზური გვარების უმრავლესობის ფუძეს მამაკაცის სახელი წარმოადგენს, თუმცა ეთნონიმური ტიპის გვარსახელებსაც გამოყოფენ. ასეთ მემკვიდრეობით სახელებად კი მიიჩნევენ: *აგრბა* („მეგრელის შვილი“), *ზუხბა* („ზიხის, ე. ი. ჯიქის შვილი“), *ასვანუა* და *შანუა* („სვანის შვილი“), *ლაზიფა* („ლაზის შვილი“), *აქირთავა* („ქართველის შვილი“), *ჭანბა* („ჭანის შვილი“).

ზოგიერთი აფხაზური გვარსახელი თურქული -*ოღლი* ფორმანტითაც იწარმოებოდა. -ოღლი სუფიქსიანი გვარსახელები მუჰაჯირთა სიაშიც არის: *თინთ-ოღლი*, *შულეიმან-ოღლი*,

ომერქაჩ-ოლლი, ჩაუმ-ოლლი და სხვ. აფხაზური გვარები პატრონიმულ ერთეულებადაც იყოფოდა. გვარის დანაყოფები აქ განსაკუთრებული ტერმინით — „აბიფარა“—თი გამოიხატებოდა. აფხაზები ახალშობილს სახელს დაბადებისთანავე არქმევდნენ. სოფელში ადამიანს არა მხოლოდ პიროვნული სახელით, არამედ გვარის დანაყოფის სახელითაც (პატრონიმული სახელით) მოიხსენიებდნენ. ეს ინდივიდს უფრო აკონკრეტებდა და ადვილად მისაგნებს ხდოდა. შემჩნეულია ასეთი პატრონიმული ერთეულების გვარსახელად გარდაქმნის შემთხვევებიც. სამეცნიერო ლიტერატურაში მუჰაჯირთა სიებზე დაკვირვების შედეგად ის დასკვნაცაა მიღებული (ს. ბახია), რომ ამ სიაში ზოგიერთი აფხაზი გვარსახელის გარეშე, პატრონიმული სახელითაა წარმოდგენილი. სამართლიანადაა მიჩნეული, რომ ისინი ძირითადად ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან აფხაზთა გენეტიკურად მონათესავე ეთნიკურ ერთეულთა წარმომადგენლები არიან. მიგრირებულებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ აფხაზური გვარსახელები ჩამოყალიბებული და ჩრდილოური ანთროპონიმებით ფიგურირებდნენ (*აჰმედკაუეჯ, ჰაჯიბეი თჰვაზი, გიდ ზუკალია, აბიხუ აჟ, სამაუ ბუთ, ნარჩოუ ეფა, მსრიყუა ეფე, საჰალაკილ, მაჰმუდ კუბატ* და სხვ.).

ამრიგად, ქართულ-აფხაზური მჭიდრო ეთნოკულტურული ურთიერთობების მიმანიშნებელია არა მარტო აფხაზ თავადაზნაურთა გვარსახელები, არამედ გლესთა გვარებიც. ამავე დროს, XIX საუკუნის პირველი ნახევრის აფხაზეთის ზოგიერთი სოფლის მცხოვრებთა სიების მიხედვით ბევრ აფხაზურ გვარს აფხაზურ-ქართული სუფიქსი (-ბაჟ-ია) აქვს: *ეიბაია, ჭანუნბაია, გუნბაია, თორბაია, ლოლუშბაია, თარბაია, ავიშბაია, ცუიბაია, ამიბაია* და სხვ. და არა მხოლოდ, მაგალითად, „შვა სოფლის (აბჟუას) სოფელ კვიტოულში, არამედ „აფხაზეთის სამფლობელოსა შინა სოფელს ლიხნსაც“.

II. 28. ოსური საკუთარი სახელები

ირანულენოვანი ოსები კავკასიაში ხელშესახებ დროს არიან მოსული. მათი ეთნოგენეზი, ისევე როგორც ისტორიაში ცნობილი სხვა ირანულენოვანი ეთნოსებისა, შუა აზიას უკავშირდება. კავკასიელებად თანამედროვე ოსთა წინაპარი ალანები IV საუკუნის 70-იან წლებში იქცნენ, მაგრამ მთებში მხოლოდ მონღოლთა შემოსევების დროს შევიდნენ. გვიან შუა საუკუნეებში,

XVII საუკუნის შუა ხანებიდან, ოსებმა თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე დაკვირვება დაიწყეს დასახლება.

ოსური ანთროპონიმია მრავალშრიანია. ოსთა ანთროპონიმული მოდელი ორწევროვანია; ის პიროვნული სახელისა და გვარსახელისაგან შედგება. გვარსახელი თაობიდან თაობაზე გადადიოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ოსურ ეთნოსში მოხდა გვაროვნული გვარების გვარსახელებში გადაზრდა. ისიც შემჩნეულია, რომ ერთი გვარსახელის წარმომადგენლებს შორის ხშირად სისხლის ნათესაობა არ არსებობდა. მაგრამ, ჩვეულებრივ, ოსური გვარი („მიგაგ“) სანათესაო ჯგუფს წარმოადგენდა, რომლებსაც ჰქონდათ გადმოცემა ერთი წინაპრისგან წარმომავლობის შესახებ. დღეს თანამედროვე ოსური გვარები რუსული სუფიქსითაა (-ევ, -ოვ) გაფორმებული. მაგრამ, ბუნებრივია, რუსების კავკასიაში შემოსვლამდე ოსებს გვარები რუსული ფორმანტებით არ ჰქონდათ გაფორმებული. თანამედროვე ოსურ მეტყველებაში ოსური მემკვიდრეობითი სახელები -თ და -ით სუფიქსებით იწარმოებოდა. ოსებს აქვთ ტენდენცია გვარსახელთა მანარმოებელი რუსული სუფიქსი ოსური სუფიქსით შეცვალონ. მაგალითად: *გაგლოევი გაგლოითით, სანაკოევი — სანაკოითით, აბაევი — აბაითით* და ა. შ.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ გვარების მანარმოებელი აღნიშნული ოსური სუფიქსი მათ ქართველებისაგან აქვთ შეთვისებული. უფრო ადრე, შუა საუკუნეებში ოსური გვარსახელების დაბოლოება იყო -ან და -ენ სუფიქსები. თავდაპირველად ეს სუფიქსები მამის პირად სახელს ერთოდა და აღნიშნავდა შთამომავლობას როგორც მამის, ისე დედის ხაზით. -ან და -ონ სუფიქსები პარალელურად გვარსახელებსაც აწარმოებდა. დროთა განმავლობაში გვარებში ისინი -თ და -ათ სუფიქსებმა შეცვალა. -ან და -ონ სუფიქსები ქალთა გვარებშია შემონახული, მაგალითად, *გაზაევის* გვარის ქალზე იტყვიან: *გაზაიან, გაგლოევის* გვარის ქალზე — *გაგლოუან, ხუბაევის* გვარისაზე — *ხუბილონი, ბითაროვის გვარისაზე — ბითარონ...*

ოსურ მეტყველებაში, როგორც წესი, პირველ ადგილზე გვარსახელი დგას ნათესაობით ბრუნვაში, შემდეგ კი ინდივიდუალური სახელი — სახელობით ბრუნვაში: *აბაითი ვაოსო* (აბაევი ვასილი), *მალითი აზეე* (მალიევა აზა). საერთოდ ოსთა საოჯახო-ყოფით სფეროში მიუღებელი იყო ურთიერთობისას სახელით მიმართვა.

ცალკე საუბრის თემაა საქართველოში მიგრირებულ ოსთა გვარსახელები. XX საუკუნის 20-ან წლებამდე საქართველოში

მცხოვრები ყველა ოსის გვარსახელი ქართული სუფიქსით (-შვილი) იყო გაფორმებული: აბაშვილი (აბაითა — აბაევი), არბოლიშვილი (ალბორთა — ალბოროვი), გაბარაშვილი (გაბარათა — გაბარაევი), გაზაშვილი (გაზათა — გაზაევი), ქელეხსაშვილი (ჩელახსათა — ჩელეხსაევი), ჩიბირაშვილი (ციბირთა — ჩიბიროვი)... ეს ბუნებრივი მოვლენა იყო, რადგან საქართველოს სახელმწიფოში მიგრირებულებს, განსაკუთრებით მართლმადიდებლად მონათვლის შემდეგ, გვარსახელები ქართულად უფორმდებოდათ. ასევე მოხდა რუსეთში — რუსეთის იმპერიაში შესულ ოსებს, უკლებლივ ყველას, გვარები რუსული სუფიქსებით გაუფორმეს. გვარსახელთა ქართული ფორმანტებით გაფორმების ტრადიცია არც საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ შეცვლილა; XIX საუკუნის თითქმის ყველა აღწერის დავთარში ოსებს გვარსახელები ქართული სუფიქსებით აქვთ ნაწარმოები. ამას XIX საუკუნის ყველა საფლავის ქვის წარწერაც გვიდასტურებს. დიდი ლიახვის ხეობის მთიან მონაკვეთში თითქმის ყველა საფლავის ქვაზე წარწერა ქართულია. ასეთი ეპიტაფიები ბევრი გვაქვს დაფიქსირებული; რამდენიმე მათგანი *ი. მეგრელიძის* წიგნიდან მოგვყავს: სოფელ ნინიას ერთ-ერთი საფლავის ქვის წარწერა ასე ჟღერს: „საფლავსა შინა მდებარე ვარ ფილო როსტომას ძე ქარსანაშვილი. გარდაიცვალა 1894 წელსა ღვინობისთვის... წლისა იყო 95. ნამკითხველო შენდობა“. სოფელ მსხლების საფლავის ქვის ერთ-ერთი ეპიტაფია: „დამრჩა სულის მოსახსენებლათ ჩემი ხუთი ვაჟი და სამი ქალი. ვარ ფინა ბიბირას ძე ცხოვრებაშვილი. გარდავიცვალე ჩყპ-ს წელსა ქრისტეშობის თვის იე-ს დღესა, შობიდან ვიყავი სამოცდასამი წლის“ (=1880 წ. 15 დეკემბერი); „ჩყოთ-ს წელსა, მარტის კ დღესა, გარდაიცვალა მონა ღვთისა სოხე ყავდინას ძე თიბილაშვილი 9 წლისა. ვინც ნაიკითხოს, შენდობა უბრძანოს (ე. ი. 60 წლისა)“.

ოსური გვარების უმეტესობას საფუძვლად მამაკაცის სახელი უდევს საფუძვლად. თითოეული გვარი („მიგავ“) რამდენიმე პატრონიმის, ანუ გვარის დანაყოფის („ფიდი-ფირტ“) ერთობლიობას წარმოადგენს, მაგალითად, ჯავაში მცხოვრები *სანაკო-ეგების* გვარი სამ დიდ პატრონიმიად (დანაყოფად) იყოფა — *მუშითა, ჯიჯოითა, ოთათა*. სამი გვარის განაყოფია *გასიეგების* გვარშიც: *გუჟეთა, ჩერჯეთა, პუპუთა*. ოსი მეცნიერების ვარაუდით, თანამედროვე ოსური გვარების წარმოქმნის დრო XVI საუკუნეა. საქართველოში ოსური გვარები პირველი მიგრანტების სახელებისგან მომდინარეობს. შიდა ქართლში მცხოვრებ ყვე-

ლა ოსურ გვარს აქვს გადმოცემა ჩრდილოეთ კავკასიის ალაგირის ხეობიდან გადმოსახლების შესახებ. არაერთი ოსური გვარის ძირი მომდინარეობს მეზობელი ხალხებისგან (ინგუშები, ბალყარელები, ქართველები). ოსებში მეორე რიგის გვარებიცაა დადასტურებული, რომლებშიც ოთხი-ხუთი და მეტი გვარია გაერთიანებული. ეს გვარები საერთო შორეული წინაპრებისაგან მომდინარეობენ. დღემდე ამ სანათესაო ჯგუფების შიგნით მკაცრად იცავენ ეკზოგამიას. არ ქორწინდებოდნენ ერთმანეთზე იმ გვარების წარმომადგენლებიც, რომლებსაც ჰქონდათ გადმოცემა საერთო წარმომავლობის შესახებ, მაგალითად, საქართველოში მცხოვრები *ქოქოშვილები (კოკოევეები)* და *გასიშვილები (გასიევეები)*, *სანაყოშვილები (სანაკოევეები)* და *გაგლოშვილები (გაგლოევეები)*.

როგორც ყველა სხვა ხალხის ინდივიდუალური სახელი, ოსების სახელებიც არაერთგვაროვანია. საკუთრივ ოსურ სახელებთან ერთად გავრცელებულია ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ხალხთა და ქართველთა სახელები. მუსლიმური სახელები ძირითადად დიგორის ხეობის ოსებშია გავრცელებული. ქართველთაგან შეთვისებული პიროვნული სახელები არა მარტო საქართველოში მცხოვრებ ოსებში, არამედ ჩრდილოეთკავკასიელებშიც იყო გავრცელებული. საკუთრივ ოსურ სახელებადაა მიჩნეული: *გიცილი, ქუძაგი, ფიდარი, უარჯეთაე, ზარიხრუხსი*. შიდა ქართლის მთიანეთის საფლავის ქვებზე ბევრი საკუთრივ ოსური სახელია დაფიქსირებული, მაგალითად: *ყავდინ* („ლექვი“. ამ სახელის ფონეტიკური ვარიანტია *ყავდინად*), *სავქვეც* („შავი ძაღლი“), *სავლაშე* („შავი კაცი“). ეს სახელები, ოსთა რწმენით, „ცუდი სახელებია“. ასეთ სახელებს კი იმიტომ არქმევდნენ, რომ ბავშვი „სიკვდილს არ ნაელო“. ოსების რწმენით, ოჯახში ახალდაბადებული ბავშვი თუ ხშირად კვდებოდა, დამნაშავე „ავი, ბოროტი ძალა“ იყო. ამიტომ, მათი მოტყუების მიზნით, ისეთ სახელებს არქმევდნენ, რომლებსაც ეშმაკებს ეშინოდათ. ზემოთ დასახელებულ სახელებთან ერთად, შეიძლება კიდევ დავასახელოთ: *საულაგ* („შავი ადამიანი“), *უარი* („ძერა“), *ყანდილ* („ხოჭო“). ასეთ სახელებს სუსტ ბავშვებსაც არქმევდნენ; ხოლო ერთმანეთის მიყოლებით გოგონების დაბადების შემთხვევაში, თუ კვლავ მდებდრობითი სქესის ბავშვი გაჩნდებოდა, მას არქმევდნენ სახელს *ჩიზნალ* (სიტყვასიტყვით — „გოგონა საკმარისია“). საფლავის ქვაზე გვხვდება ქალის სახელი *თაუჩე (თავჩე)*. პოპულარული ოსური სახელები იყო *ბაყ(ლ)ათარი, ხოხი, უირიზმაგი, ბათირი, თოთირაძი, ტოხი...* თუმცა ზოგიერ-

თი ოსური წარმომავლობისა არ იყო, მაგალითად, *ბაყათარი* ოსურ ენაში თურქულ-მონღოლური მოდგმის ხალხებიდან იყო შესული. ოსთა შორის დღეს პოპულარული სახელია *ალანი*, თუმცა ის მხოლოდ **XX** საუკუნეში ხელოვნურად შეიქმნა. ოსებს ქართველებისაგან აქვთ ნასესხები: *ნიკო*, *აპრილა*, *ძიბო*, *ამრანი/ამირანი*, *ბიჭიკო*, *გეგე*, *გოგი*, *გოჯი*, *გივი*, *გლახა*, *გურამი*, *გორგა*, *ეფხი*, *ერიშთაუ*, *ზნაურ*, *მუხა*, *საჩინო*, *ქალამანა*, *ხარება*, *გოგონა*, *ქეთო*, *რუსი*, *რუსიკო*...

1814 წლის კამერალური აღწერის დავთრით, დვალეთში მცხოვრებ ოსთა შორის ფართოდ იყო გავრცელებული ქართული სახელები, განსაკუთრებით ისეთი სახელები, რომლებიც ძალიან პოპულარული იყო სამეგრელოში. სანამ დვალეთში დადასტურებულ სახელებს ჩამოვთვლით, გვინდა აღვნიშნოთ, რომ შიდა ქართლის სოფელ კულბითში 1814 წლის აღწერაში მითითებულია პიროვნება *Нарский Гето Бегелури*. ყურადღებას იქცევს ამ ოსი პიროვნების როგორც სახელი, ისე გვარი. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის, რომ სოფელ კულბითში *გეტო ბელელური* ნარიდან (დვალეთიდან) არის გადმოსახლებული. *ბელელური* დვალეთის ძირძველი, ადგილობრივი გვარი იყო. ეს გვარი წმინდა ქართულია. მას ძირიც და სუფიქსიც (*-ურ*) ქართული აქვს. გვარსახელის ფუძეა ძველი ქართული სახელი *ბელელა*. რაც შეეხება სახელს *გეთო*, ეს სახელი ბოლო დრომდე ძალიან გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში (მდრ. გვარები: *გეთია* და *გეთიაშვილი*). ეს მონაცემი ერთადერთი ანთროპონიმული ფაქტი არაა იმის დადასტურებლად, რომ დვალეთი თავის დროზე ეთნიკურად ქართული მხარე იყო. დვალეთში, გარდა *ბელელურებისა*, **XVII-XVIII** საუკუნეებში ოცამდე ქართული გვარის წარმომადგენელი გაოსდა. ასეთ გვართა შორის შეიძლება დავასახელოთ: *ბიგულები*, *თვაურები*, *ჩოჩოურები*, *გუდიაურები*, *ბაგაურები*, *გერგაულები*, *თაბაურები*, *ბიგანები*, *ფარუხაულები*, *ხეთაგურები*, *თიბელაშვილები*, *ქესაურები*... ქსნის ხეობაში ჩამოსახლებული *ქესაურების* ნაწილი გაოსებას გადაურჩა, ადგილზე დარჩენილები კი შემდეგ ოსებად და *ქესაევებად* იქცნენ. ანალოგიურად გვარსახელი *ბიგული* *ბიგულოვად* იქცა, *თვაური* — *თუაევად*, *ჩოჩოური* — *ჩიჩიევად*, *გუდიაური* — *გუდიევად*, *ბაგაური* — *ბაგაევად*, *გერგაული* — *გერგაულოვად* და *გერგიევად*, *ბიგანი* — *ბიგანოვად*, *ხეთაგური* — *ხეთაგუროვად*, *თიბელაშვილი* — *თიბელოვად* და ა. შ.

დვალეთში მკვიდრობდნენ *გოგიჩაშვილებიც*. გვარს საფუძვლად უდევს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული მამა-

კაცის სახელი *გოგინა*, რაც *გოგის* კნინობითი ფორმაა (შდრ: *ხეინა*, *ბაკინა*, *ყაყინა*...). დვალეთში გავრცელებული იყო შემდეგი ქართული სახელები: *ტუხია*, *ბიძინა*, *ჩინელი*, *ფრანვა*, *ბატია*, *ჩინო* (შდრ.: გვარსახელი *ჩინუა*), *ბაბა* (შდრ.: გვარი *ბახია*), *ხუჭა* (შდრ.: გვარი *ხუჭუა*), *დოჩი* (შდრ.: გვარი *დოჩია*), *ჯახი* (შდრ.: გვარი *ჯახია*), *ჩოჩი* (შდრ.: გვარი *ჩოჩია*), *ფალი* (შდრ.: გვარი *ფალიანი*), *გუგუნა* (შდრ.: გვარი *გუგუნავა*), *გოჩი* (შდრ.: სამეგრელოში გავრცელებული სახელი *გოჩა*), *გუდუნი* (ეს სახელი პოპულარული იყო სამეგრელოშიც), *სალა* (შდრ.: გვარი *სალია*), *გეგო* (შდრ.: გვარი *გეგია*), *ნულუკა* (შდრ.: *ნულუკიძე*), *ბივა* (შდრ.: გვარი *ბიგვა*), *კუტე* (შდრ.: გვარი *კუტალია*), *ტაბა* (შდრ.: გვარი *ტაბალუა*), *ხაჟი* (შდრ.: გვარი *ხაჟალია*), *კუცი* (შდრ.: გვარი *კუცია*), *თუთა* (მეგრულ მეტყველებაში „თუთა“ მთვარეს ნიშნავს), *ძაღორა* (შდრ.: *ჯოღორი*). ნარელი ოსები XIX საუკუნის დასაწყისში ატარებდნენ აგრეთვე სახელებს: *თავქანა* (*თავქალა?*), *ბაბა*, *გოჩა*, *კოჩი*, *ტალახა*, *ჩაბა* (შდრ.: *ჩაბაკაური*), *კუდი*, *ტილა*, *გუდა*. ზემოთ *გერგაულების* ასიმილაციის — გაოსების შესახებ აღვნიშნეთ. გვარი ნაწარმოები იყო ქართული სუფიქსით, მისი ფუძეც ქართულია. ბოლო დრომდე სამეგრელოში გავრცელებული სახელი იყო *გერგა*, *გერგო*, სვანეთში — *გერგილ*. ამჟამე ძირისაა გვარები *გერგაია*, *გერგედავა*. სხვა ანალოგიური ოსური ანთროპონიმები კიდევ ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ. ამჯერად მხოლოდ იმ ფაქტის კონსტატირებით შემოვიფარგლებით, რომ ვ. აბაევის დასკვნით, თანამედროვე ოსურ ენაში მნიშვნელოვანია ზანური და სვანური სუბსტრატი. ეს კი იმ დასკვნის საშუალებას გვაძლევს, რომ კავკასიის მთებში შემოსული ირანულენოვანი ალან-ოსური ეთნოსი ადგილობრივ მცხოვრებ ქართულ ეთნოსს შეერია. ეს იყო ქართული მოსახლეობა — დვალეები, რომელთა მეტყველებაც ძალიან ახლოს იყო ზანურთან. ზემოთ მოყვანილი მაგალითებით აშკარაა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეთნიკური ისტორიის შესაწავლად ანთროპონიმები. XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში შიდა ქართლის მთაში მცხოვრებ ოსთა შორის შემდეგი ქართული სახელები იყო გავრცელებული: *კაკალა*, *ძაღლუა*, *აბაში*, *ჩინო*, *ზაზა*, *ახლაუ*, *ლეკვი*, *გელი*, *თავვი*, *ბუჩი*, *ჩიტო*, *ბედა*, *სიხარულა*, *ლომი*, *რუხი*, *უჩი/ა*.

XX საუკუნის მეორე ნახევარში მოზდოკელ ოსებს შორის ყველაზე პოპულარული სახელები იყო (მამაკაცისა): *ალანი*, *ალექსანდრე*, *ალიხანი*, *ანატოლი*, *ასლამბეკი*, *ასლანი*, *ახმეტი*, *ბორისი*, *ვალერი*, *ჯამბულატი*, *ზაურბეკი*, *იბრაგმი*, *ყაზბეკი*,

მაირბეკი, მურატი, მურზაბეკი, ოლეგი, რაფიკი, რუსლანი, სერგეი, სულტანი, თაიმურაზი, თამერლანი, ხაზბი, ჩერმენი, შამილი, ელბრუსი; (ქალისა): აზა, ამინატი, ბელა, ვენერა, ეზეტა, ზაირა, ზალინა, ზარეტა, ზემფირა, ზარემა, ირინა, ლარისა, მარიანა, ნადეჟდა, ოლგა, რიმა, რიტა, სვეტლანა, სერაფიმა, სიმა, ტაირა, თამარა, ტატიანა, ფატიმა, ელვირა, ელზა. ანალოგიური მდგომარეობაა შენიშნული XVIII—XIX საუკუნეების მიჯნიდან კაზაკთა შორის ჩასახლებულ დიგორელ ოსებში. რუსულმა გარემომ და კონტაქტებმა პირად სახელებზეც დიდი გავლენა იქონია. აქ სახელთა დარქმევა 1925 წლამდე რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ხელშიც იყო, მაგრამ ისინი ოსთა შორის ძირითადად ადაპტირებული სახით ვრცელდებოდა. ეს გარემოება ორსახელიანობასაც იწვევდა (*ალექსეი — პატრარზ, ალექსანდრ — ასნ, ბორის — ბუტუ, ბორის — ნალო, ვლადიმირ — ბალოტი...*). ორსახელიანობას იმ გარემოებითაც ხსნიან, რომ გათხოვილ, სხვა გვარში (ოჯახში) შესულ ქალს ამ ოჯახის უფროსი წევრების სახელების წარმოთქმის უფლება არ ჰქონდა. შესაბამისად, მათთვის სხვა სახელებით უნდა მიემართა. ორსახელიანობის ტრადიცია XX საუკუნის 20-იან წლებამდე არსებობდა. ზემოთ მოყვანილი პირადი სახელებიდან ამჟამად ჩანს, რომ აღნიშნულ პერიოდში ოსთა შორის ფაქტობრივად ძირძველი ოსური სახელები აღარ იყო გავრცელებული; პრიორიტეტი ძირითადად რუსულ და ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებულ ისლამურ სახელებს ჰქონდა.

გავრცელებული ყოფილა ისეთი მეტსახელებიც, რომლებიც მისი მატარებლის ამა თუ იმ ნიშან-თვისებას გამოხატავდა, მაგალითად, *გლა ვანკო* („ჩერჩეტი ვანკო“), *კობაგ* („კობელი“, „კობიდან მოსული“). ამ უკანასკნელის პირადი სახელი არავისათვის ცნობილი არ ყოფილა. ამა თუ იმ სახელის აღკვეთის შედეგად წარმოქმნილად მიაჩნიათ ისეთი მეტსახელები, როგორიცაა: *ლახუან* („უცოლო ახალგაზრდა კაცი“), *ძულურ* („ჭრელი“, „ხალეზიანი“) და სხვ. სახელებს *ბაშილ* და *ფაცბაი* არქმევდნენ რელიგიური დღესასწაულის „ბაშილთობისა“ და „ფაცბაიტობის“ დროს დაბადებულებს; *დასან-ს* — ოჯახში დაბადებულ მეათე ბავშვს. გვხვდებოდა ასეთებიც: *ჯინგა* („კოლო“), *ნალო* („კაცი“).

ბოლოს ორიოდ სიტყვა ნართების ეპოსში დაფიქსირებულ სახელებზეც უნდა ითქვას. როგორც მეცნიერებს აღნიშნული აქვთ, ეპოსში დიდი რაოდენობით გვხვდება მონღოლური (*სოხირ, ბედენავ/ბეძინავ, არახცაუ, ხამიც, ბატრად*) და თურქული

(ელტაგან, ქუცუკ, ხირიმ-სოლთან, ბურხორ-ალი), კავკასიური (ბალცაგ — ვაინახური „მალსაგ“-იდან — მზე). ნართების მტრის მუქარას სახელს ქართულ სამყაროსაც უკავშირებენ. ოსთა შორის დიდი რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა კავკასიური ეთნოსისაგან ნასესხები სახელები. ამ თვალსაზრისით, როგორც მეცნიერები შენიშნავენ, ქართულ სახელებთან ერთად, განსაკუთრებით გამოიყოფა ყაზარდოელთაგან შეთვისებული სახელები: ელდარიკო, ხატაგციკო, ელჟარიკო, მაციკო, ტაფსიკო და სხვ.

ნაკვეთი III **ქართული ანთროპონიმული სისტემა**

III. 1. ქართული პიროვნული სახელები

ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ეთნოსს, ქართველ ხალხსაც ისტორიის საწყისს ეტაპზე მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური (პიროვნული) სახელები ჰქონდა. ისინი გამჭვირვალე და, ჩვეულებრივ, საზოგადო სახელებისაგან იყო მიღებული. ცნობილია, რომ საზოგადო სახელი აღნიშნავს, ხოლო საკუთარი სახელი ერთდროულად აღნიშნავს და უთითებს კიდეც. „მგელი“ გარეული ცხოველის სახელია. მაგრამ *მგელია*, *მგელა*, *მგელიკა* უკვე საკუთარი სახელებია, რადგან ეს უკანასკნელნი კონკრეტულ ადამიანებს დაერქვა. შეიძლება სხვა მაგალითებიც დავასახელოთ: *ფოცხვერი* და *ფოცხვერა*, *სული* და *სულა*, *კურდღელი* და *კურდღელა*, *კაცი* და *კაცია*, *ვეფხვი* და *ვეფხვია*, *ირემი* და *ირემა*, თუმცა ეთნოგრაფიული მონაცემებითა და საისტორიო საბუთებით ირკვევა, რომ ქართულ ენაში საკუთარ სახელებად საზოგადო სახელები გამოიყენებოდა ყოველგვარი დერივატის, კნინობითი სუფიქსის გარეშე, მაგალითად: *ირემი*, *მერცხალი*, *კურდღელი*, *მგელი* და ა. შ.

ქართული ანთროპონიმები (ინდივიდუალური სახელები) მიღებული იყო ცალკე საგნის, მოვლენის, ცხოველის, ფრინველის, მწერის, მცენარის, ნივთიერების, ხელობა-მოსაქმეობის, სოციალური ყოფისა თუ მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან.

IV საუკუნიდან ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დღიდან საქართველოში დაიწყო კანონიკური ქრისტიანული საკუთარი სახელების გავრცელება. ხშირად ქრისტიანულ პიროვნულ (ინდივიდუალურ) სახელებს მეცნიერები წარმართულ სახელებს უწოდებენ. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ „წარმართული საკუთარი სახელები“ გაუმართლებელი ტერმინია. ისინი, უბრალოდ, ქრისტიანობამდელი ქართული სახელები იყო, რომლებიც ქართული ენის ნიადაგზე წარმოიქმნა.

ქრისტიანობამდელ ქართულ სახელებს ჩვენამდე სრულად არ მოუღწევია. მათ ქრისტიანული საეკლესიო სახელები ჩაენაცვლა, თუმცა სახელების შეცვლის პროცესი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა. ასეთი გამჭვირვალე ეტიმოლოგიის ქართული სახელები დიდი რაოდენობით შემოგ-

ვინახა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მხარეებმა, აგრეთვე სამეგრელომ.

როგორც აღინიშნა, ძველქართული სახელები დიდი რაოდენობითაა დაცული ქართულ საისტორიო საბუთებში, სხვადასხვა სახის დოკუმენტებში. ჯერჯერობით ქართული გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონე ქრისტიანობამდელი ინდივიდუალურ სახელთა სრული ნომენკლატურა ჯერ არც არის აღდგენილი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით *ალექსანდრე ლლონტსა და ზურაბ ჭუმბურიძეს*. ქართული სახელები მეტსახელების სახითაც შემორჩა, რადგან არცთუ ისე იშვიათად ქართველი ხალხი საეკლესიო სახელების პარალელურად ქრისტიანობამდელ ქართულ სახელებსაც იყენებდა, ე. ი. ქრისტიანული და ქრისტიანობამდელი სახელები ერთმანეთის პარალელურად არსებობდა. სამეცნიერი ლიტერატურაში გვიან შუა საუკუნეების ძეგლებში არაკანონიკურ პიროვნულ სახელთა სიჭარბე იმ დროის ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში სახელდების მკაცრი კანონების არარსებობითაა ახსნილი. ეს მოსაზრება გასაზიარებელი არ არის, ვინაიდან, ბუნებრივია, მართლმადიდებელი ეკლესია ახალშობილებს ნათლობისას ყოველთვის არქმევდა საეკლესიო სახელებს, ხალხში კი ისინი ზოგჯერ დავინყებას ეძლეოდა, რადგან უფრო ხშირად მეტსახელებს, ტრადიციულ ქართულ სახელებს იყენებდნენ. სხვათა შორის, ძველ ქართულ ენაში მეტსახელის აღმნიშვნელი ტერმინი „ნართაული“ იყო. X საუკუნის პარხლის ოთხთავის ანდერძ-მინანერში ვკითხულობთ: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი ივანე, ნართაულად ბერაი, აღსრულებად წმიდას ამას სახარებას“.

განსაკუთრებით ბევრი არაკანონიკური, ანუ **ნართაული სახელია** დაფიქსირებული 1621 წლის „აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“. პ. ცხადაიას გამოთვლით, აღნიშნულ დროს რაჭაში ინდივიდუალურ სახელთა 70% არასაეკლესიო იყო (*ნასყიდა, მამუკა, ბეჭიტა, გორა, მგელია, მამაგულა, ნინიკა...*), იმერეთში — 72% (*კეთილა, შოშია, ვაჟობა, დათვია, ჟოჟა, ნყალობა, მახუა, ბიბია, გვიტია, უმცროსა, ყატია...*), სამეგრელოში — 93% (*ქაქალია, ბოჯოჯი, ნაცვალი, ციბუკუა, ნანატრია, თოსკვამია, უკულია...*). მეტსახელი შეიძლებოდა ყოფილიყო ძველი ქართული გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონე სახელი და რაიმე მსაზღვრელი სიტყვა, ეპითეტი, რომელიც შეიცავს პირის „დახასიათებას“ რაიმე ნიშნით. ის წარმოადგენდა „სახელმდების ნეიტრალურ პოზიციასაც და

ემოციურ-შეფასებით დამოკიდებულებასაც, კერძოდ, მონინება-პატივისცემას (იშვიათად), ირონიას — მსუბუქ გაკენწვლას, დაცივნა-გაკიცხვასაც და სიძულვილსაც კი“ (*პ. ცხადაია*). ეპითეტები გამოსატავდნენ: ხელობას („*მჭედელმიხო*“), გარეგნობას („*კრუხიპალო*“, „*ლაშიანი*“), ხასიათის თავისებურებას („*ტრატაბა*“), მიმსგავსებას („*ჩიტა*“), წარმომავლობას („*დიღმელა*“), შებრალებას, შეწყალებას, თანაგრძნობას („*ბედნი*“).

განსაკუთრებით ორიგინალური მეტსახელებია დამახასიათებელი კახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისათვის. როგორც სპეციალური შესწავლით გაირკვა (*ლ. შალვაშვილი, ქ. გოდერძიშვილი*), აქ მეტსახელების უმეტესობა გამკენწვლავი, კნინობითი შინაარსის გამომხატველი, უარყოფითი ემოციის გამომწვევია (*დამპალვანო, მურტალვანუშა, ყვინტილიანი*). სამართლიანადაა შენიშნული, რომ ამგვარი მეტსახელების შერქმევასი არის თავისებური სითამამე, მოურიდელობა, ზოგჯერ უხეშობაც კი. მეტსახელის შემრქმევს უდავოდ ერთგვარი შემოქმედებითი ნიჭიც ჰქონდა. სანიმუშოდ XX საუკუნის შუა ხანებში სოფელ დიღომში ჯ. სონღულაშვილის მიერ ჩანერილი ზედმეტი სახელებიც გამოდგება: *აღუბაღა, აჭია, აღიძუზა, ბაბაი, ბულია, ბულია, ბუკნა, ბაბღია, ბაღა, ბოხონა, ბრიქიანა, ბუზა, ბუძია, ბუჭყიტა, გავრია, გარეშა, გლაზა, გუცა, გეჯა, გიჭია, გოდორა, გომბორა, გოჭიფება, გუდა, დათვი, დარგულა, დააღმულე, დინგიანი, დოლა, დოღორიალა, თრიღეინა, თუთუნა, თვალა, თოხლულა, თრითინა, კანკალა, კოდია, კიკილო, კიჭა, კრაზანა, კნაჭა, კოხიანი, კიტრანა, კაჭიური, კონცოლა, კუპაჭია, კუჭუნა, კიტაია, კაპეიკა, კოტრა, კოპია, კაკლია, კუპაჭია, კრუხი, კრუხიპალო, კუტი, კუნტა, ლაშიანი, ლანანა, ლევა, ლომა, ლაფიერა, მუტრუეა, მუხიკუნდი, მახრაჭა, მარანა, მებატე, ნიორა, ნიგჯუა, ნისკარტა, ოტროველა, პაჭიტა, პანანა, პაჭუა, პატულა, პრანანა, სიკვდილა, ტანტრა, ტიკი, ტურანა, ტუნეჭა, ტუჩიანი, უქშუტუნე, უქაქანე, ფაჩუნა, ფხაკა, ფხანია, ფუთლუხი, ფაჩუნა, ქაჩალა, ქინქლა, ქოთია, ქონდარა, ღარტუკუნა, ღოჯა, ყაჭია, ყაჭუა, ყვანყვალა, ყოყე, ყოყიჩა, ყრუს კანჭი, ყუყლურჩა, ჩიტრეკია, ცინგლა, ცინცილა, ცახცახა, ცოციელა, ჭიოტა, ჭიანა, ჭიკუნა, ჭინჭარა, ჭუტუა, ჭუტალა, ჭინპურა, ჭაჭიგოდორი, ჭრიტა, ჭრიჭინა, ჭრიღუა, ჭიღრიკა, ჭაღვილა, ჭიღერა, ჭუტბადალა, ჭვინტა, ჭიკიტო, ხაშალი, ხიჭა, ხვედა, ჯვალა, ჯამისძირა, ჯიხვია. გარდა ამისა, კიდევ დადასტურებული გვაქვს: *აზრებიანი, თხისქონა, მოკლე, მოკერებული, რწყილიტყავია, ტურკბილა, წინდი(ს) ჩხირი, ქუსლა, ყენწორა, ყლორტა, ყინწა, ცე-**

რისტოლა, წრიპინა, ჭამაფიციალა... საინტერესო მეტსახელი — კორდიგლეჯა — შემონახულია კორდიგლეჯიაშვილის გვარსახელში (გვარი 1682 წლის საბუთშია დაფიქსირებული). XVIII საუკუნის მეორე ნახევრის შიდა ქართლის სოფელ სალოლაშენის აღწერაში შეყვანილია ავალიშვილის ყმა „ედილაშვილი აღდგომელა, ივანე და გუთნისდედა, კომლი ა, თავი გ“. აღდგომელა და ივანე თუ კანონიკური სახელებია, გუთნისდედა ამკარად ნართაული სახელია. ჩანს, აღნიშნულ პირს ოფიციალური სახელით არავინ იცნობდა. ის იმდენად გამორჩეული გუთნისდედა იყო, რომ ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვა მეტსახელად ექცა.

ბევრ ინდივიდუალურ სახელს ჩვენამდე საერთოდ არ მოუღწევია, მაგრამ მათი აღდგენა ქართულ გვარსახელთა ძირების (ფუძეების) საშუალებებითაც არის შესაძლებელი, მაგალითად, ბუნებრივია, რომ კვირტაშვილების, ბალახაძეებისა და თევზაძეების გვარსახელთა საფუძვლის ჩამყრელებს კვირტა, ბალახა და თევზა ერქმეოდათ.

ამრიგად, ქართულ ანთროპონიმიაში შეიძლება გამოვყოთ უძველესი და გვიანდელი ფენა. უძველესია გამჭვირვალე ეტიმოლოგიის ქართული სახელები, რომელთა ეტიმოლოგიის დადგენა პრობლემას არ წარმოადგენს. გვიანდელი, ანუ მერმინდელი ფენა კი უპირატესად შემოსული საკუთარი სახელებითაა წარმოდგენილი. როგორც აღინიშნა, ესენი ძირითადად ქრისტიანული კალენდარული სახელებია, თუმცა ქართველ ხალხში ისეთი სახელებიც გვხვდებოდა და გვხვდება, რომლებსაც ქრისტიანულ საეკლესიო სახელებთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ეს სახელები ძირითადად მეზობელ ხალხთა სახელებია, რომლებიც საქართველოს თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე შემოედინებოდა ჩვენში: ირანული, არაბული, თურქული... საქართველოს მთაში ბევრი სახელი იყო შემოსული ჩრდილოეთ კავკასიიდანაც. თვალს თუ გადავავლებთ გვიანდელ, XVIII-XIX საუკუნეების სვანეთში გავრცელებულ ანთროპონიმებს, ვნახავთ, რომ ბევრია ჩრდილოეთ კავკასიიდან გავრცელებული, ძირითადად, მუსლიმური სახელები. აქ პოპულარული იყო: ისლამი, ბექმურზა, ომანი, აღმაიზი, შახმურზა, ჯანყვათ და სხვა.

ქართული ანთროპონიმიკონი დიდი რაოდენობით მოიცავდა კნინობით სახელებს. კნინობით-მოფერებითი სახელები საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში იყო გავრცელებული, თუმცა ამ თვალსაზრისით ყველაზე დიდი ფანტაზია რაჭის მკვიდრთ ჰქონდათ. ერთი სახელისგან ზოგჯერ ათზე

მეტი კნინობითი სახელი გვქონდა მიღებული. რა ვითარებაში უნდა წარმოქმნილიყო კნინობითი სახელი? მიგვაჩნია, რომ ამის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ერთ სახელს სოფელში, თემში, გვარში ზოგჯერ რამდენიმე ინდივიდი ატარებდა. ამ ინდივიდთა იდენტიფიცირება კი კნინობითი სახელებით ხდებოდა.

პირად სახელებზე დაკვირვება ცხადჰყოფს, რომ არცთუ იშვიათად ისინი ნათესაობით და ნოდებით ბრუნვაში დგას, მაგალითად: *უფლისა, ხატისა, მთვარისა, მზისა, ციგრო, ჭრელო, ცაცო...*

საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ქართული პიროვნული სახელები სხვადასხვა ელემენტების დართვითაა წარმოქმნილი. შენიშნულია, რომ ამ მხრივ ყველაზე პროდუქტიულია -ა, -ურ//-ულ, -ულ-ა, -ელ//-ელ-ა, -უნ-ა, -ია, -ეი, -იკ-ა, -უ-ა, -უკ-ა, -იკ-ო, -იჩ-ა, -უჩ-ა: *ლაშქარა, ობოლა, ლომა, აფთარა, ხარიკა, ძაღლიკა, ნინიკა, სიკოია, ბარდღულია, ვარძელა, გელელა, გოგიელა, გაბრიელა, დიღმელა, სურამელა, ზუბელა, თორელი, ხატულა, ბიძუა, ზაქრუა, ოქრუა, ბერუკა, დედუკა, მგელიკა, ძამუკა, მამუკა, მამუკელა* (ამ სახელს კნინობითობის მანარმოებელი ორი სუფიქსი აქვს: -უკ+-ელ-ა), *გოგიჩა* (გოგიჩადან არის მიღებული ჯერ *გოჩაია* და შემდეგ — *გოჩა*), *გოგოჩა, პაუჩა, ზაზულა, ბერუნა, ზაზუნა, ლამაზუნა, ბატუნა, გიუნა* (მიღებულია *გივისაგან*), *ბაბუნა, დათუნა...* პროდუქტიული იყო -იტ-ა და -უტ-ა ფორმანტებიც: *ბატატა, ბახუტა, ბასიტა, ბეჟიტა, ბერიტა, ბოჭოტა, გაბიტა, ვასიტა, ვახუტა, გიგიტა, გიგუტა, გიუტა, გოგიტა, გუგუტა, გულიტა, ზაქუტა, ზაზუტა, ზუბიტა, კაციტა, მაზიტა, მამიტა, მახუტა, (მ)გელიტა, მგელუტა, მიქუტა, ლომიტა, ოსიტა, პაპუტა, ჟამიტა, სუხიტა, ყაყიტა, შალუტა, შოშიტა, ხახუტა, ხოსიტა, ჯაშიტა, ჯიმშიტა...* ალ. გვენცაძის დაკვირვებით, -იტ-ა და -უტ-ა მხოლოდ ვაჟის სახელებს აწარმოებს.

ქართულ საკუთარ სახელებში ე. წ. თხზულ სახელებსაც გამოყოფენ. ამ რიგის სახელებს მიაკუთვნებენ: *პატარკაცს, უჩაკოჩის, თოლისქვამის...* თხზული ანთროპონიმების ცალკეულ კომპონენტებად გვაქვს როგორც სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი), ისე ზმნები (სახელი და ზმნა ან ზმნა და სახელი): *მამისთვალა, დედისიმედი, ქვანარშია, შინგარდილა, მზექალა, ხეთისავარ.* ზმნის პირიანი და უპირო ფორმები საკუთარ სახელებსაც იყო გამოყენებული: *მახარე, მახარა, მენყინა, გამიხარდი, მინდია, ველოდი, მოკოდია, ქორ-*

დიკო (ქერდიყო) (ყოფილიყავ), ხარება, შვენა, საყვარელა, ძუ-ლია და სხვა.

როგორც აღინიშნა, ქართულ საკუთარ სახელთა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნასესხებ ანთროპონიმებს. ეს სახელები ისტორიული ვითარებისა და მიხედვით ვრცელდებოდა ქართველ ხალხში სხვადასხვა ინტენსივობით. უცხო სახელები პირველ რიგში ზედა ფენებში ვრცელდებოდა. ქართველი თავადაზნაურობა ამ თვალსაზრისით იმ ენასა და კულტურას უხრიდა ქედს, ვისი გავლენის ქვეშაც ქვეყანა იმყოფებოდა, მაგალითად, 1560-იანი წლების საბუთებში მოხსენიებული არიან *ანდერმან, როშაქ, გოშფარ და ჯიმშერ ჩოლოყაშვილები*. ეს სახელები ქართველ ხალხში ირანიდან იყო შემოსული. განსაკუთრებით პოპულარული იყო საეკლესიო სახელები: *დავით, ივანე (იოანე), ანდრია, გიორგი, გაბრიელ, დიმიტრი, მათე, სვიმონ, ლუკა, ილია, პავლე, პეტრე, გრიგოლ, ზაქარია; ბარბარე, მარიამ, სოფიო, ივლიტა, მართა, ნინო, თამარ, ანა, ელენე*. აღმოსავლური სამყაროდანაა შემოსული: *როსტომ, გივი, ვახტანგ, თეიმურაზ, ნოდარ, თემურ, თამაზ, ჯემალ*; ევროპული ენებიდან — *ტრისტან, კარლო, ტიციან, იზოლდა, ანეტა, ვიქტორია*. XIX საუკუნეში რუსული სახელებიც გავრცელდა: *ვლადიმერ, ნადეჟდა, ვერა...* ზოგჯერ ქრისტიანული სახელები რუსული გაფორმებითაა შემოსული: *მიშა, გრიშა...*

უცხოური სახელები დროთა განმავლობაში იმდენად გაქართულდა, რომ ზოგჯერ ჭირს თავდაპირველი მოდელის აღდგენა, მაგალითად, *კონსტანტინესაგან — კოტე და კონია* მივიღეთ, *ვლადიმირისაგან — ლადო, გიორგისაგან — ვია, გიო, გოგი(ა) გერგი, გორგია, გივისაგან — გიუნა და გიუტა, დიმიტრისაგან — დიტო, დუტუ და მიტო, ესტატესაგან — ტატია და ტატე, ზაზასაგან — ზაზულა, ზაზუნა და ზაზუტა, ლუარსაბისაგან — ლუა და ლუი, მიხეილისაგან — მიხო, ელიზბარისაგან — ელია, ელო, ელიბო, იოსებისაგან — სოსო, ოსია, ოსე, ნიკიტასაგან — კიტა და კიტუა, სიაუმისაგან (სიაოშისაგან) — შიოშ და შიო, ქრისტეფორესაგან — ქრისტესია, ქიტო, ქიტუა და ქიტესა, ალექსანდრესაგან — ალე, ალეკო, სანდრო, ბენიმიანისაგან — ბენო, გაბრიელისაგან — გაბო, გაბრო, გედევანისაგან — გედია და გედუა, თევდორესაგან — თედო და თედია, იაკობისაგან — კოფია, კობა, კობია და ია (ია იაკინთეს შემოკლებული ვარიანტიც იყო), სიმონისაგან — სისო, სიკო, სიმონიკა, ანთიმოზისაგან — ანთა ბარბარესაგან — ბაბო, მარიამისაგან — მარო,*

ელენესაგან — ელო, ელიკო, დარეჯანისაგან — დარე, დარო, დარია, პელაგიასაგან — პელო...

ქართულ ანთროპონიმიაში გვხვდება ეთნონიმებისა და ეთნოგრაფიულ ერთეულთა სახელწოდებების საკუთარ სახელეზად ქცევის ფაქტები: რუსია, ბერძენა, ფრანგა, არაბა, ჩერქეზა, ჩარგაზი, თათარა, თურქა, სომეხა, აფხაზა, ჯავახა, კახა, კახელა, ხევსური, ფშაველა, შავშურა (დამონმებულია 1684 წლის დოკუმენტში სოფელ დილომში)...

ქრისტიანული კანონიკური სახელები, ძირითადად, ბერძნულიდან შემოდირდა. სპარსულ, არაბულ, თურქულ სახელთა შემოსვლის ორი გზა არსებობდა: ზეპირი და მნიგნობრული. ბერძნულიდან ნასესხებია საკუთრივ ბერძნული და ძველებრაული სახელები, რომელთა დიდი ნაწილი ძველ და ახალ აღთქმაში გვხვდება.

გამოთქმულია მოსაზრება ზოგიერთი ქართული ანთროპონიმის ჰურიტული ენიდან სესხების შესახებ. გ. ჟორდანიას ასეთ სახელებს შორის დასახელებული აქვს: აგი (აგია), ბათუ, ბუდუ, კაკი, კაკა, გივა (გივი), კანკა, კიკა, კიკი, კიკო, კიკოლა, კაკო, კაკული, კალე, კუკუ, გუგუ, ზაზა, ჯაჯუ, თედო, დადა, დათა, დუტუ, ხუტუ (ხუტა), კუტუ, ჯუტუ, უტა (უტუ), პაპა, ხუხუ, ხუხა, ნანა, ნანი, ნინო, ნინია, თამარ, ქუთათი, ფაცია... მაგრამ კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ ყველა ჩამოთვლილი სახელის ჰურიტულ სამყაროსთან დაკავშირება შეუძლებელია. ზემოთ ნათქვამი იყო, რომ თედო თევდორეს კნინობითი ფორმაა. აკაკის კნინობითი ვარიანტებია: კაკო, კაკი, კალისტრატესი — კალე. ზოგიერთი მათგანი კი სხვა ენობრივ წრეს უნდა ეკუთვნოდეს, მაგალითად, ბათუ ძველმონღოლური სახელია (იხ. ბათო ყაენი), თუმცა მას ბართლომეს შეკვეცილ ფორმადაც მიიჩნევენ.

რადგან ქართულ ანთროპონიმიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კანონიკურ ქრისტიანულ სახელებს, უპრიანი იქნება მათზე უფრო ვრცლად შევჩერდეთ. როგორც აღინიშნა, ბიბლიური წარმომავლობის სახელები, უწინარეს ყოვლისა, ბერძნულიდან შემოდირდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა თარგმანებით. მკვლევრებმა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ ბიბლიურ სახელთა ორთოგრაფია ერთობ ჭრელია. ეს კი იმითაა განპირობებული, რომ ქართულად ძველი და ახალი აღთქმის წიგნები სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა სამწერლობო ცენტრებში ითარგმნებოდა. უცხოური ელემენტი ქართულ ანთროპონიმიაში უფრო ადრეც უნდა შემოჭრილიყო. ზემოთაც აღი-

ნიშნა, რომ დიდი რაოდენობითაა შემოსული ქართულში სპარსული, არაბული, თურქული საკუთარი სახელები. ამ სახელებმა გზა გაიკვლიეს, როგორც ზეპირი გზით, ისე ორიგინალური ლიტერატურული ძეგლების მეშვეობით („ვისრამიანი“, „ამირან-დარეჯანიანი“, „რუსუდანიანი“...).

ნასესხები ანთროპონიმების დანერილობასა და წარმოთქმაში დიდი მერყეობა იგრძნობა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ხალხურ მეტყველებაში (დიალექტებში) ისინი სხვადასხვანაირი ფონეტიკური ვარიანტებითაა წარმოდგენილი. ძეგლებშიც ერთგვარი სიჭრელე გვაქვს: *იოვანე, იოჰანე, იოანე, ივანე; ანდრია და ანდრეა; დავით და დავიდ; როგორც ბერძნულ-ლათინური, ისე აღმოსავლური ენობრივი სამყაროდან შეთვისებული საკუთარი სახელები გარკვეული შინაარსის შემცველია, მაგალითად, ალექსი „თანამემნეს“ ნიშნავს, ალექსანდრე — „ვაჟკაცურს“, „მხნეს“, ანა — „ბარაქიანს“, ვიქტორი — „გამარჯვებულს“, ბესარიონი — „მთავორიანს“, გიორგი — „მინათმოქმედს“, გალინა — „კაშკაშას“, დიმიტრი — „მინისნაყოფს“, ელისაბედი — „ფიცს“, ლავრენტი — „დაფნით მორთულს“, სოფიო — „ბრძენს“, ირინე — „მშვიდობას“, ელენე — „რჩეულს“, კონსტანტინე — „მაგარს“... ასევე: თემურ (< დემურ | დემირ „რკინა“), თენგიზ „ტბა“ და ა. შ.*

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ზოგიერთი ძველქართული ღვთაების სახელი ანთროპონიმადაცაა გამოყენებული. ამის მაგალითებად დასახელებულია: *დალი, სამძიმარი, არმაზი...*

როგორც ზემოთ აღინიშნა, უძველესი ქართული ქრისტიანობამდელი სახელები საქართველოს მთიანეთში იყო შემორჩენილი. ხევსურეთსა და ფშავში მიცვალებულს აუცილებლად მოსახელეს უჩენდნენ, გარდაცვლილის სახელს არ ივინყებდნენ და მას ახალშობილს არქმევდნენ. ამის შესახებ ვაჟა-ფშაველაც აღნიშნავდა: „გარდაცვალებულის ვინაობა გვაროვნების წრეში არ იკარგება: იმის სახელს ახლად დაბადებულს ბაღლს არქმევენ“. საქართველოში არ იცოდნენ მამისა და დედის სახელის დარქმევა. ძირითადად პაპისა და ბებიის სახელს არქმევდნენ. მთაში იცოდნენ სულის ან ხატის სახელის დარქმევაც.

ეთნოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში სახელების რქმევის საგულისყურო მაგალითებია მოყვანილი, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ვ. ბარდაველიძის მიერ შესწავლილი პრობლემა, რომელიც ხევსურეთს ეხება. ხევსურეთი კი ის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე იყო, სადაც უძველესი ქარ-

თული ტრადიციები და ნეს-ჩვეულებები ბოლო დრომდე იყო შემონახული. ხევსურული მასალის მიხედვით (ოდესღაც მთელ საქართველოშიც) ადამიანებს რამდენიმე სახელი ერქვათ. ეს მოვლენა მეცნიერს „სახელი-სულის“ რწმენის დროინდელ მოვლენად მიჩნია. უკანასკნელ დრომდე ხევსურეთის მკვიდრთ რამდენიმე სახელი ერქვათ. ერთი სახელი *ჯვრის სახელით* იყო ცნობილი, მეორე — *სულის სახელით*, მესამე *თიკუნი* იყო და მონათვლის შემთხვევაში *ნათლობის სახელი*. საილუსტრაციოდ მოხმობილი აქვს სოფელ ახიელაში ჩანერილი ეთნოგრაფიული მონაცემები, მაგალითად, ერთ პიროვნებას რქმევია: *ხთისო* — *ახლა* — *დათვია*, რომელთაგანაც პირველი *ჯვრის სახელი* იყო, მეორე — *სულისა* და მესამე — *თიკუნი* (რძლიმიერი მეტსახელი). მას ნათლობის სახელი არ უჩანს. სახელების დარქმევის ეს ნესი ქალებზედაც ვრცელდებოდა: შესანიშნავი ეთნოგრაფიული მასალების ჩამწერს *მელანია ბალიაურს* ოთხი პირადი სახელი ჰქონია: *სამძიმარი* (ჯვარისა), *მუშტარა* (სულისა), *თეთრაქალი* (თიკუნი) და *მელანია* (ნათლობისა). *ჯვრის სახელებად* საგვარო და სათემო *ჯვარ-ხატთა* („ხთიშვილთა“) სახელებს კი არ არქმევდნენ, არამედ საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებულ მართლმადიდებლურ კანონიკურ სახელებს: *გიორგი* (კნინობითი ფორმებით — *გიორვა*, *გორგი*), *ღვთისავარი* (კნინობითი ფორმებით — *ღვთისო*, *ხთისო*, *ხთისა*, *ხთისიკა*); ქალებისათვის კი *ჯვრის სახელები* ყოფილა მდებდრობითი სქესის სალოცავები: *მზექალი* (*მზექალა*), *სამძიმარი* (*ძილა*, *ძილო*, *ძილუკაი*) და *აშექალი* (*აშექა*). რ. ხარაძის ეთნოგრაფიული მასალებით, ხევსურეთში სულის სახელს კენჭისყრით შეარქმევდნენ ხოლმე. კენჭს როგორც მამის, ისე დედის გვარში გარდაცვლილი ნათესავის სახელზე „გაჰყრიდნენ“. ხევსურეთში ნათლობის სახელს მეორენაირად „ქალაღდის სახელსაც“ უწოდებდნენ.

ხევსურეთში *ჯვრის სახელს* სრულიად ახალდაბადებულ ბავშვს არქმევდნენ. მეცნიერი ამას იმით ხსნის, რომ *ჯვარს* (ღვთაებას) ახლად შობილი ყველაზე ძლიერ სულს ავისა და ბოროტისაგან დაეცვა. ავს სულს კი *ჯვრების* (ხთისშვილების) შინებიათ. ანალოგიური ტრადიცია რომ ოდესღაც საქართველოს სხვა მხარეებშიც იყო გავრცელებული, ვ. ბარდაველიძეს საამისოდ ქართლური მასალაც აქვს მოხმობილი. იმ ოჯახებში, სადაც ბავშვი არ რჩებოდათ, ახალდაბადებულს ხატის სახელს არქმევდნენ, მაგალითად, გერის *ჯვრის სახელს* — *გერისოს*, ანდა უფრო ხშირად ისეთ ქრისტიანულ სახელებს, როგორებიცაა: *იობა*, *ადამი* და სხვა. ამას გარდა, სცოდნიათ „ბავშვის გაყიდ-

ვაც“, რის შემდეგაც ასეთ ბავშვს *ნაყიდას* უწოდებდნენ (ეთნოგრაფიული მასალა): „აი, რო არა რჩებოდა შვილი, იმას დაუძახებდით *ნაყიდასა*. სამადლოთ ხალათს ჩააცვამდნენ, — სხვის ბედზე იყვესო, ღმერთი მე არ მაძლევს, არა მრჩება შვილიო და იქნება იმის ბედზე დარჩესო“. ხევსურეთში კი ანალოგიური ნეს-ჩვეულება უფრო ძველი, თავდაპირველი სახით იყო შემორჩენილი. დედას შვილი არა ერთ, არამედ ცხრა ადგილას უნდა „გაეყიდა“. ასეთ ბავშვს აქაც, ძირითადად, *ნაყიდას* უწოდებდნენ.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონია ე. წ. *სულის სახელს*, რომელიც გარდა ხევსურეთისა, ფშავში, მთიულეთში, გუდამაყარსა და ხევშიც სცოდნიათ. ეს იყო მიცვალებული ნათესავის სახელი. სულის სახელიც ორივე სქესის წარმომადგენლისათვის არსებობდა. ამ ტრადიციის ძალით იყო, რომ წინაპართა სახელები მემკვიდრეობით თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ვ. ბარდაველიძე წერს: „სულის სახელის შერქმევის საქმეში აქტივობას იჩენდნენ თვით მიცვალებულები. ისინი ზემოქმედებდნენ ბავშვზე, ატირებდნენ მას, შემდეგ თავის ნება-სურვილს სამზეოში გამოიტანდნენ ან სიზმრის საშუალებით, ან მესულთანისა და ან თვით ბავშვის პირით და აიძულებდნენ მშობლებს ბავშვისათვის მათი სახელი დაერქვათ“.

სულის სახელით ადამიანს მხოლოდ შინაურობაში იცნობდნენ, ოფიციალურად კი მას სხვა სახელი ერქვა. სულის სახელებად, ძირითადად, ძველქართულ სახელებს არქმევდნენ. ბავშვისათვის სულის სახელის წოდების შემდგომ ოჯახს ევალებოდა ბავშვის მესახელე სულისათვის ხშირად ტაბლა დაედგა. ასევე საგანგებოდ იცოდნენ მესახელის შესანდობარის თქმა.

ქართული საკუთარი სახელები ისტორიულად იცვლებოდა, რაც, ძირითადად, რელიგიითა და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობით იყო განპირობებული... საისტორიო წყაროებსა და საბუთებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ უცხო სახელები საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელთა შორის იკვლევდა გზას. საკუთარ სახელთა შესახებ იმ ხალხებისაგან, ვისგანაც საქართველო კულტურულ და ენობრივ გავლენას განიცდიდა, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ქრისტიანობის მიღებამდე საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული სპარსული სახელები, რომლის შემოღინება თითქმის არასოდეს შეწყვეტილა. ქრისტიანობის გავრცელებამ ქართველ ხალხში კანონიკურ ქრისტიანულ სახელებს გაუსხნა გზა. ეს სახელები თავისი წარმომავლობით, ძირითადად, ებრაული

და ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროს ეკუთვნის, თუმცა ისტორიულმა ვითარებამ საქართველოში განაპირობა არაბული და თურქული სახელების დამკვიდრება. ამავე დროს, ყველა შემოსული სახელი საქართველოში ქართულ ენობრივ სამყაროში ქართულ ელფერს იძენდა და ხშირად ბევრი მათგანი ისეა გაქართულებული და ფონეტიკურად სახეცვლილი, რომ სპეციალური ცოდნის გარეშე ძნელია მათი წარმომავლობის გარკვევა. საკმარისია, „ქართლის ცხოვრებაში“ ჩავიხედოთ, რომელშიც, რა თქმა უნდა, პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელთა სახელებია დაფიქსირებული და ძირითადად გაქართულებულ სპარსულ და ქრისტიანულ კანონიკურ სახელებს ამოვიკითხავთ: *აბაზა, აბრაამ, აბუსერ, ადარნასე, ადერკ, ამაზასპ, არზოკ, არსენ, არტავაზ, არჩილ, ბაგრატ, ბაკურ, ბარამ, ბართლომ(ე), ბარტომ, ბაქარ, ბემქენ, გაბრიელ, გიორგი, გოდერძი, გუარამ, გურანდუხტ, დავით, დაჩი, დემეტრე, ელენე, ელია, ერეკლე, ესაია, ვარაზ, ვარდან, ვაჩე, ვახტანგ, ზაქარია, თევდორე, თორნიკე, იაკობ, იოვანე (ივანე), იონა, იოსებ, ისაკ, კონსტანტინე, ლეონ, ლიპარიტ, მარიამ, მართა, მირდატ, მირვან, მიქაელ, შურვან, ნასრა, ნერსე, ნესტან-დარეჯან, პეტრე, რატი, რევი, სააკ, საბა, სალომე, სამოელ, სარა, სტეფანოზ, სუმბატ, საურმაგ, სვიმონ, ფარნავაზ, ფარანჯომ, ფარსმან, ქართამ, ხოსრო...* „ქართლის ცხოვრების“ პირველ ტომში წარჩინებულთა შორის მხოლოდ ორჯერ გვხვდება ქართული სახელი, ერთხელ — *ზვიადი* და მეორედ *კახაბერი*. *ზვიადი*, როგორც ჩანს, ყველა დროის საქართველოში პოპულარული ქართული სახელი იყო. ის XIII საუკუნის საბუთშიც გვხვდება. XIII საუკუნისავე საბუთში დადასტურებულია *ვეფხა, მშუიდა, ნიორა*.

ქართული წარმოშობის საკუთარ სახელებში, ძირითადად, გადმოცემულია ფიზიკური და სულიერი (შინაგანი) ნიშან-თვისებები, აგრეთვე ცის სხეულთა, ყვავილ-მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა სახელწოდებანი. ქვემოთ გთავაზობთ ქართული სახელების ერთგვარ ნაკრებს, ამონერილს საისტორიო საბუთებიდან, წყაროებიდან, ხალხის აღწერის დავთრებიდან და დაფიქსირებულს ეთნოგრაფიულ ყოფაში:

ავბენვა, აპრილა, არმინდა, აფხაზა/აფხაზი, აფთარა, ახალკოჩი, ახალბედა, აღდგომელა, აღვსება, ახალა;

ბათურა, ბარდლა (ბარდლალა საბას განმარტებით „მრავალფერხა ჭუა“), ბატონისა, ბიჭია (ბიჭიკა, ბიჭიელა), ბაჭია/ბაჭუა, ბიძია, ბიძინა, ბიძასთვალა, ბიძურა, ბერდია, ბერი, ბერდედა, ბებერა, ბერძენა, ბუა, ბადრია, ბანანუნი (ბანანა), ბოსელა, ბო-

ჩოლა, ბედი (ბედო), ბედუკა, ბედმამაცი, ბოლონა, ბუთხუზა, ბულბულა, ბუტურა, ბულია;

გამახელა, გაზდილა, გამეზარდა, გამიხარდი, გამახარე, გამიგონი(ა), განავონა, განირა, გერი, გვიანა (გუიანი), გვრიტი (გვრიტა), გვიტია, გვერდა, გვიძრა, გლახა (გლახუა), გოგორა, გოდორა, გონიერი(ა), გოჭი (გოჭია), გრუტუნა, გრძელა/გძელ, გულქალა, გულმაგარ, გულუხა, გუგულა, გულაბა;

დათვია (დათვა), დედაო, დედუნა, დედურა, დედუკა დედიკა, დედულა, დათუნა, დედოფალა (დეუფალი), დიდება, დედისდედა, დედისიმედი (იყო როგორც ქალის, ისე კაცის სახელი), დედულისა, დედიქალა, დედისკალთა, დეისმამა, დაბალა;

ეკალა, ეშმაკურა, ენძელა, ემეტა, ერთგულა;

ვეფხია, ვიგრია, ვირიკა, ვარდი, ვარდიკა, ვაჟიბედი (ვაჟბედაი), ვაჟობა, ვაჟიკა (ვაჟი);

ზანდუკა, ზარალო, ზებედა, ზვიად, ზექალი;

თავხელა, თავბერი(ა), თავქალა, თავაზა, თეთრა, თეთრუა, თეთრაქალი, თოვლაი, თურქია, თათარა, თათვი, თვარელი, თავგო (თავგუა, თავგუნა), თიბათვე, თიები, თიბელა, თვალთა (თუალთა), თუალთა, თვალშავი, თოლიშია, თოლიბედი, თოლიოქრო, თოლიკავა, თვალმინდი, თვალობა, თუთა, თუშია, თხუნია/თხუნა;

ია, იაბერ, იაბედა, ია(თა)მზე > ათამზე, ირემა, იმედა, იმედისა, იანვარა, ინანა;

კაკალა, კავთელა, კავთულა, კაკაბა, კაცია, კათათურა, კაცურა, კაციოქრო, კალმახელი, კახა, კეკლუცაი, კეთილა, კურდღელა, კუერნა, კოჩი, კომშა, კონინა, კმარა, კვირია, კვირისა (კუირისა), კიკნა, კოპიტა, კოტორა (კოტორი — ნისლის პატარა ქულა), კოჭლა, კორკოტა, კუნწულა, კვანუნი, კვატი, კვიტაი, კოხტა, კურცხაი, კურცხალი, კუტა;

ლომა, ლაყვარდა, ლამაზუნა, ლაპა (ხოხბისა და კაკბის მართვე), ლაშქარა, ლაშხა, ლამაზი/ლამაზო, ლამაზუნა (კაცის), ლეგა, ლეკვია (ლეკვიელა), ლიტრა, ლომკაცი (ლომისკაცი), ლომგული (ლომისგული), ლომნია, ლომთასია, ლომსაური;

მალხინა, მამისთვალა, მათვალი (მათვალიკა), მამისგულა, მამაგული, მამგულა, მამასულა, მამგულა, მამა, მამალა, მამილა, მამადედა (ქალი), მამნე, მამწუა, მამინა, მამუკა, მამანი, მამკაცა, მამაცა, მამისიმედი, მამისბედა (მამასბედა), მამასფერი, მამისმამა, მამესნარა (მომესნარა), მამაშვილა, მამიკეთილა, მამობილა, მანძულა, მარცვალა, მარგველა, მარტია (მარტა), მარღია, მარწყვა, მანისა, მასკვლავა, მაყვალა, მაჭარა, მარღია,

მარხვა, მალღია (მალაღა), მაყვალო (კაცის), მაჩხურა, მახარა, მახათა, მახარებელი, მახვილა, მგელა (მგელი, მგელო, მგელია, მგელიკა, მგელიტა, მგელუტა), მგზავსიერი, მელიკა, მერცხა-ლა, მეგრელი, მეშველი, მემცხვარე, მეტი, მეფისა, მეწყინა, მზია, მზევარ, მზევინარ, მზეკო, მზექალა, მზეხა, მზეუა, მზეჭა-ბუკ, მთვარე, მთვარისა, მთვარელი, მინდორა, მინდია, მინდო-და, მიხაროდაი, მინდორა, მიდოდა, მოკლია, მოლოდინა, მთო-რელა, მთვრალა, მორბედა, მოგელი, მოზვერა, მინდორა, მრე-ვალა, მყვირალი, მშვიდა, მცივანა, მჭედელი(ა), მურღვა, მურა, მურღულა, მუნუკი, მუხლუხაი, მუხუსგული(ა), მძულია (ძუ-ლია), მძიმია, მწარე (მწარია), მწყერა, მნივანი, მხიარულა;

ნასყიდა, ნათობა, ნათელი, ნათია, ნაკვეთაი, ნანატრია (ნატ-რია), ნატრო, ნარჩიტა, ნაღველაი, ნაცვალა, ნეფისა, ნებიერი, ნემსა, ნისლაურ, ნიბლი/ნიბლუა, ნიშა, ნიჟარა, ნიორა, ნუკრია, ნუნუა, ნუში (კაცისა);

ობოლა, ოდიშელი, ორლობა, ოქროპირი, ოქროა, ოქროქა-ლი, ოსია;

პაპაკუდა, პატარა (ბატარა), პატარქალი, პატარკაცი, პატი-ჟა, პანანუნი, პაპა, პაპილო, პაპუნა, პაუჩელი, პირქუშა, პირიმ-ზე;

ჟუჟუნა;

რჩეულა, რთველია, რკინა, რუსი (რუსია), რუსულა, რუხი (რუხია);

საყვარელა, სანატრელი, საბედო, სათნო, სამებისა, სანა-თაი, სათუთი, სამართალა, სარკია, სეხნია, საძაგელა, სამძიმა, სამძიმარი, სანუთრო, სულია (სულა), საყურა, სომხია, სიხარუ-ლი(ა), სტუმრია, სინათლე, სიყმია, საბრალა (საბრალო), სამხა-რა, სახელა, სახიერი, სულმამა;

ტრედა/ი, ტალახა, ტუხა, ტურა, ტუჩა/ო, ტყემალა;

უგუნურა, უგემური, უფლისა, უმცროსა (უმცრუა), უშიშა, უჭკუა, უწყინარი/უწყენარი;

ფიქრია, ფოთოლა, ფოცხვერა, ფაცქალა, ფშაველა (გავ-რცელებული იყო ხევსურეთში), ფეტვია, ფუტკარა, ფურცელა, ფეხელა, ფიცხელა, ფსიტი (ძველ ქართულში არჩვის სახელწო-დება იყო);

ქრისტესია (ქრისტემია), ქუფრია, ქალა (ქალუკა, ქალინა), ქალობაი, ქალკმაი, ქალთამზე, ქურციკა, ქორია, ქარია, ქორჩო-რა, ქუშა, ქეზა, ქერა, ქველი (ქველია), ქორფა;

ღაბუა, ღერანა, ღონენა, ღვთისია, ღვთისამიერი, ღვთის-
წყალობა, ღმერთისა/ღმერთისია, ღონია, ღვთისავარ, ღარიბა,
ღვინია (ღვინო), ღრინა, ღრუბელა (ღურბელა);

ყორანა, ყვინჩია, ყურა, ყელგრძელი, ყვირილა, ყვავილა, ყუ-
შიტა, ყაჭია;

შავთვალა, შუა, შოშია, შიშია (შიში), შავხალა, შავა, შაშ-
ვა/შაშვია, შველაი, შვილია/შვილაი, შვიდაი, შვენიერი, შენირუ-
ლა, შენანირა, შობელა, შმაგი, შულლია, შუქია;

ჩქარია, ჩაუქა, ჩინელი, ჩერქეზა, ჩხიკვი, ჩხიკუა, ჩხუბია, ჩი-
ტა (ჩიტო, ჩიტვილა);

ძამუკა, ძნელა, ძამა, ძია, ძმობილა, ძაღლია (ძაღლუა), ძაღ-
ლუტა, ძლინკიელა, ძულია, ძილუკაი;

წამალა, წესიერი (წესიარა), წყალობა, წყარუა, წრაპაკანი
(ძალიან პატარა ჩიტია), წიქა, წიქარა, წაბლიკა, წითელა, წინი-
ლა, წვრილა, წინწკალა, წულაი;

ცეცხლაი, ცირა, ცისმარ, ცისნამი, ცივნარა, ციხელი, ცუ-
ცუნი/ცუცუნა, ცაცუნა, ცხვირა, ცოტა (ცოტია), ცქიფი/ცქიფო,
ცქირია, ცქვიტია, ცოტიკა, ცისკარა, ცოცხალა, ცივა, ცინცხა-
ლა, ცუარი, ცუგნა, ცხადა, ცხორება, ცუდაკა, ცოტა, ცხელა,
ცხვირა;

ჭიჭინა, ჭუკია (ჭუკა, ჭუკიელა), ჭანია, ჭაბუკა (ჭაბუკველა),
ჭვრინტა, ჭიალა, ჭიაბერ, ჭიჭილა, ჭრელა, ჭინჭარა, ჭუჭულია
(ჭუჭულა), ჭაჭკანა;

ხუცურა, ხისფეხი, ხარება, ხევსური (ხევსურა) (გავრცელე-
ბული იყო ფშავში), ხატია, ხახალა, ხახულა, ხატისა, ხიბლო, ხი-
ზანა, ხორხელა (მხოლოდ ხორხის ხეობაში იყო გავრცელებუ-
ლი), ხუცია, ხელა, ხუმარა, ხარია, ხალია (ხაღინა), ხმალა, ხმე-
ლა, ხვთისამიერი, ხოხობა;

ჯავახ, ჯავარა, ჯავშანა, ჯიხვი, ჯვარისა, ჯვარია, ჯოგია,
ჯოხაი, ჯღანა...

სახელების ჩამოთვლის შემდეგ მხოლოდ ერთ დასკვნას
ვთავაზობთ მკითხველს: გამჭვირვალე ქართული სახელები არა
მხოლოდ მარტივი, არამედ შედგენილი, თხზულიც იყო. ორ-ორი
სიტყვის შეერთებითაა მიღებული (პირველი კომპონენტი ფუ-
ძის ან ბრუნვის ფორმით): ბიძას+თვალა, დედი+ქალა, დე-
დის+იმედი, თვალ+შავი, თვალ+შუენიერი, კახა+ბერი, კა-
ცი+ოქრო, ლომ+კაცი, მზე+ჭაბუკი, მამის+იმედი, მამის+თვა-
ლი, მამის+გულა, ოქრო+პირი, პატარ+კაცი, პირ+ნათელი,
ქალ+თამზე, ყელ+გრძელი...

ქართველ ხალხში გავრცელებული იყო აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიელი მეზობელი ხალხების სახელები. ამ თვალსაზრისით ვაინახური სახელის *ჯოყოლა*-ს დასახელებაც საკმარისია. ფართოდ იყო გავრცელებული ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ხალხთა სახელები საქართველოს მთიანეთში. ამავე დროს სვანურმა ყოფამ და აქ შედგენილმა საბუთებმა არაერთი ქართული სახელი დააფიქსირა: *ბელელა, ბერეჟი, ბერი, ბორენა, გვანცა, გურჟუ, დათუნაი, დუდა, დედაჩი, ვაჟელა, ვეშაგ, ზეჩალი, თეთრუა, თუთი, თოვლა, თვალშავა, თვალმინდი, თვალთაი, კვანჭი, კატაი, კურცხა, ლომინაი, ლხინაი, ლომა, მუხლუხა, მწარე, მართლია, მესხაი, მთვარე, მარცხი, მაღალა, მამისთვალა, მხეცი, ნაკვეთაი, ნათაი, ნათობ, ნათელი, პირნათელ, პატარაი, რკინა, რატი, ფრანგი, ქარი, ქუელი, ქალკმაი, ქალინა, ქეზაი, ქურციკ, შავაი, შვენიერი, ჩარგას, ცხორება, ცოტნე, ცეცხლია, ცაცაი, წიქარი, ჭაბუკველა, ხალინა, ხუცო, ჯოხაი, ჯიქაი, ჯავახ...*

ბოლო დრომდე ბევრი ქართული სახელი იყო შემორჩენილი სამეგრელოში: *ბაბაკოჩი, ბერჟუნა, ბუნუ, გვატი, გონებია, გუდული, გლახუა, გერე, გამიგონა, ვაჟიკოჩა, დუტუ, თოლმიხილა, თუთაშხია, თოლისკუა, თოლისკუამია, თოლიბედი, თოლიოქრო, თოლიშია, უტა, ძოკო, ცეკვაია, კეთილისა, კოჩია, კოჩიორე, კოჩივარა, კაკაკოჩი* (სამეგრელოში „კოჩ“ ძირზე დამყარებული 25-მდე სახელი იყო გავრცელებული), *კილულები, კურცხაი, მუმანყინდა, მხიარულა, მარტიშია, ნანატრია, სანატრელი, საბედო (კაცის), ობიშხა, ტორონჯია, სამართალა, სალომორთა, მამისმამა, სტუმარია (მესტუმრია), უწყინარა, ქრისტეკოჩი, ქეკოჩაი, უჩაკოჩი, შავა, შორითოლი, შურიითოლი, შესანირი, შურიმიგდი, ძლიკვი, წინაკოჩი, ხახულარა, ჯუარისა, ჯეგეკოჩაი...*

XV საუკუნის ერთი საბუთით სახელთა დარქმევის საყურადღებო შემთხვევასთან გვაქვს საქმე — *გიორგი აღვსებასძეს* ჰყოლია შვილები: *მამისთვალა, მამისიმედი, მამისბედა და მამისა*. ბოლოს დასახელებული სახელი ნათესაობით ბრუნვაშია. ქართულში გვქონდა კიდევ ერთი სახელი, რომელიც ნათესაობით ბრუნვაში იდგა. XIX საუკუნის დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო მამაკაცის სახელი *გოგისა*. *გოგისა*, რა თქმა უნდა, თავდაპირველად *გოგის* შვილს დაერქმეოდა, რაც იმას უნდა განეპირობებინა, რომ საქართველოში მამის სახელის დარქმევის ტრადიცია არ იყო. ერთი სახელის სხვადასხვა ბრუნვაში დაყენება კი მამისა და შვილის გამიჯვნას, კონკრეტიზაციას ახდენდა.

ქართულ ენაში გავრცელებული იყო ტოპონიმებისგან ნა-ნარმოები ინდივიდუალური სახელებიც: *ბირთველი/ა, გაგელი, გავაშელი/ა, დიღმელა, ვარძიელი/ა, თორელი/ა, ლარგველი, სურამელა, ფშაველა, ქვენიფნეველი, ჩოხელა* და სხვ. ამავე შინაარსისაა სახელი *ხახულარა*; ის *ხახულელის* ფარდია. ასეთი სახელები თავდაპირველად შესაბამის სოფლებში მცხოვრებ ან ამ სოფლებიდან გამოსულ ადამიანებს ერქმეოდათ, შემდეგ კი საყოველთაო პიროვნულ სახელებად იქცეოდნენ ან, საერთოდ, ფართოდ არ ვრცელდებოდნენ, მაგალითად, სახელი *ხორხელა* მხოლოდ სოფელ ხორხში იყო გავრცელებული — 1860 წლის აღწერით სოფელ ხორხში ამ სახელის მატარებელი ხუთი მამაკაცი იყო. იმის გამო, რომ მათი იდენტიფიცირება მოეხდინათ, ორი მათგანისათვის ინდივიდუალური სახელი ფონეტიკურად შეუცვლიათ — *ხოხელა* და *ხორხელო*.

ქართველ ხალხში თავის დროზე არა ერთ და ორი სახელი გავრცელდა ირანული ენიდან. ეს სახელებია: *ავთანდილ, ამირინდო, ანდუყაფარ, არჩილ, აფშინა, ბაგრატი, ბაკურ, ბარდიმ, ბეჟან, ბეშქენ, გივი, გოდერძი, გულბაათ, გულდამ, გურგენ, დარისპან, დაჩი, ედიშერ, ვარაზ, ვარდან, ვაჩე, ვახტანგ, ვახუშტი, ზაალ, ზაურ, ზურაბ, თამაზ, თეიმურაზ, ლუარსაბ, მანუჩარ, მირიან, ნარიმან, ნოდარ, ნომრევან, ნუგზარ, ომან, რამინ, რატი, რევაზ, როინ, როსტევან, როსტომ, საურმაგ, უშანგ, ფარნაოზ, ფარსადან, ფირუზ, ფირან, ქავთარ, ქიშვარდი, ყარამან, შადიმან, შერგილ, ხოსრო, ხურსი, ჯანსუღ, ჯიმშერ, ჯუანშერ, გულნარა, გულქან, გულჩინა, გურანდუხტ, თამთა, ნესტანდარეჯან, როდამ, რუსუდან, ქეთევან, ხვარამზე, ხორეშან. მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება არაბული და თურქული პიროვნული სახელებიც. ბევრი თურქული სახელი საფუძვლად უდევს ქართულ მემკვიდრეობით სახელებსაც. შეიძლება მხოლოდ რამდენიმე სახელი დავასახელოთ: *აივაზ, ალთუნ, ალფარსლან, არლუნ, ასლან, ბაადურ, ბეგი, ბეგლარ, ბერდია, ბურდუხან, გელდია, გოზალა, დემურხან, დერმიშა, დოგრა, დურმიშხან, ელგუჯა, თარხან, თემურ, თენგიზ, იანქო, ოთარ, სონდულ, ტოკლიკ, ქოქია, ქოჩაკი, ყარყარა, ყაფლანი, ყიზილა, ჩიბუხა, ჩოლოყა, ჯილა, ჯურლა. ჩამოთვლილი სახელებიდან ბევრი აღარ შემორჩა. შემორჩენილი თურქული სახელებიდან მხოლო რამდენიმე შეიძლება დასახელდეს; ესენია: *ბაადურ, ელგუჯა, თემურ, თენგიზ, ოთარ*. დანარჩენები გვარსახელთა ფუძეებშია შემონახული.**

ამავე დროს ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ძალიან ხშირად ერთი და იგივე სახელი სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტითა და კნინობითი ფორმითაა წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით ყველაზე დიდი მოზაიკურობა რაჭაში გვქონდა. XVIII საუკუნის საქართველოში მამაკაცის სახელთაგან უალრესად გავრცელებული იყო *ბერი*, რომელიც სხვადასხვა ფორმით გვხვდება: *ბერიკა*, *ბერიკო*, *ბერიკელა*, *ბერუა*, *ბერუკა*, *ბერუკელა*, *ბერელა*, *ბერო*, *ბერონა*, *ბერუნა*, *ბერა*, *ბერაი*, *ბერაიი*, *ბერინა*, *ბერიტა*, *ბერუჩა*. ისეთი შემთხვევაცაა დაფიქსირებული, როდესაც ერთ ძმას *ბერი* და მეორეს *ბერუა* ერქვა. უფრო მეტიც, 1697 წლის ნასყიდობის სიგელით, *ნარიმანიშვილების* გვარში მამას *ბერი* და შვილს *ბერა* ერქვა. იმავე ოჯახში *ბერის* ძმათაგან ერთი *პაპუნას* და მეორე *პაპას* სახელს ატარებდა. 1689 წლის ნასყიდობის სიგელით *ტურიკაშვილების* ოჯახის წევრებს, ერთ ძმას *ბერიკა* ერქვა, მეორეს — *ბერუა*. 1660 წლის შეწირულობის წიგნში ვხვდებით ძმებს *გიორგი* და *გოგია ტურაბელიძეებს*. 1605 წლის შეწირულობის წიგნში მოხსენიებულია ორი ძმა — *ივანე* და *იოვანე ტაბიძეები*. XV საუკუნის ბოლო პერიოდის დოკუმენტით საყდრიშვილ *ივანე მალნარაძეს* 19 სახლიკაცი ჰყოლია, რომელთაგან *ივანე* სხვასაც ერქვა; სხვას კიდევ *ივანეში* ერქვა. სამი ასეთი სახელის მატარებელიც იყო: *მამაბედი*, *მამისთენა*, *მამისთენა*. შუა საუკუნეებში ოჯახის წევრთა სახელების ისეთი შეხამებაც გვქონდა, როდესაც ერთ ძმას *მამუკა* და მეორეს *ძამუკა* ერქვა. სახელები ძირითადად კნინობითი ფორმით იყო გავრცელებული ლეჩხუმში. მაგალითად, 1904 წლის აღწერის მიხედვით, ლეჩხუმში გავრცელებული ყოფილა მამაკაცის 142 სახელი. მათი უმეტესობა კნინობითი ფორმითაა შეტანილი — ისე, როგორც ისინი ადგილობრივ გამოითქმოდა და დღესაც გამოითქმის. მაგალითად, *აბრამის* ნაცვლად გვხვდება *აბრამულა*. ადამი გვხვდება რამდენიმე ფორმით: *ადამია*, *ადამუკა*. სხვა მაგალითები: *ბასილა* და მისი შემოკლებული ფორმა *ბასი*; *ბეკო* — *ბეკოია*, *ბეკოლია*, *ბეკოა*; *ბეჟან* — *ბეჟანიკა* და *ბეჟუკია*; *ბერი* — *ბერუა*, *ბერუკა*, *ბერუკელა*; *გაბო* — *გაბოლია*, *გაბოლა*, *გახო* — *გახოია*, *გახოლია*; *გივო* — *გივოლა*, *გივოლია*; *გიო* (თუ თავად *გიორგის* შემოკლებული ფორმა არ არის) — *გიოლა*, *გიოვიტა*, *გიორჩელა*, *გიოტა*; *გიორგი* — *გიორგილა*, *გიორგენა*; *გოგი* — *გოგიელა*, *გოვილა*, *გოვილუ*, *გოვინა*, *გოვინიკა*, *გოვისა*, *გოვიტა*, *გოვიტია*, *გოვიჩა*; *დავით* — *დათიკა*, *დათილა*, *დათუა*, *დათუნია*, *დათუნიკა*, *დათა*, *დათია*, *დავითელა*, *დათილა*; *ივანე* — *ივანიკა*, *ვანო*, *ვანია*, *ვანიკია*, *ვანიკა*; *კაკუა* — *კაკუჩელა*; *კაცია*

— *კაცო, კაცოლია, კაცოლა, კოცონია, კაცინიკა, კაცუნა; კიკო*
— *კიკოლა; ნიკოლოზ — ნიკო, ნიკოია, ნიკოლა; ჟუტუ — ჟუ-*
ტულია; სისო — სისონია, სისონიკა, სისია; სიტო — სიტოლა,
სიტონია, სიტილა. ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ პიროვნული
სახელი *შიუკა* *სიაუშისაგან* მომდინარეობს: *სიაუშ > შიაუშ > ში-*
ოშ > შიო > შუიკა. XX საუკუნის დასაწყისამდე სამეგრელოში
მამაკაცის გავრცელებული სახელი იყო *ლაზა*, ოღონდ გაურ-
კვეველია ის *ლაზარეს* შემოკლებულ, კნინობით ფორმას წარ-
მოადგენდა, თუ ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის — *ლა-*
ზების სახელწოდება პირად სახელად იყო გადაქცეული. იგივე
შეიძლება ითქვას მთაში გავრცელებულ ინდივიდუალურ სა-
ხელზე — *ზაქა*; გაურკვეველია ის *ზაქარიას* კნინობით-შემოკ-
ლებული ვარიანტია, თუ ძველი ქართული სახელი *ზაქი/ზაქა.*

ქართული სახელები და მეტსახელები მომავალ მკვლევარს
ელის. ამ სახელთა დაფიქსირება ჯერ კიდევ შეიძლება სავლელ
პირობებში, ისინი დიდი რაოდენობით შემოუნახავს ხალხის
ხსოვნას. ბევრი მათგანი დღეს არსებული და ან გამქრალი ქარ-
თული გვარსახელების ფუძეებს შემოუნახავს. XVII საუკუნის
მეორე ნახევრის საამილახვროს დავთარში შეტანილია გვარები:
კორწყილაური, მელინწყიაური, ბზურილი, ხუნდაური, ვეშა-
პური, შავბალახაშვილი, გვერდელაშვილი, სარეველაძე... დასა-
ხელებულ გვარსახელთა საფუძველჩამყრელები, რა თქმა უნდა,
იყვნენ პირები, რომლებსაც ერქვათ სახელები და მეტსახელები:
კორწყილა, მელინწყია, ბზურია, ხუნდა, ვეშაპა, შავბალახა,
გვერდელა, სარეველა. დასახელებულ დავთარში ორი ასეთი სა-
ხელიც გვხვდება: *შენიერი* და *თხისქონა.* XIX საუკუნის აღწე-
რის დავთრებში კახეთში გვხვდება გვარსახელები *დაუსტვინეშ-*
ვილი, გაძვერაშვილი, გავარდაშვილი, გაიპარაშვილი (სამი უკა-
ნასკნელი გვარი დღესაც არსებობს). ამ მემკვიდრეობით სახე-
ლებსაც საფუძვლად მეტსახელები — *დაუსტვინე, გაძვერა,* *გა-*
ვარდა, გაიპარა — უდევს საფუძვლად. კახეთშივე დადასტურე-
ბულია გვარები: *ერბონონაშვილი, კაცნახევრიშვილი, ჩ(შ)იტრე-*
კაშვილი, ნახშირაშვილი, ორცოლაშვილი, თავბრტყელიშვილი,
ბარილესიაშვილი, ცივქარაშვილი, ცასურქინეშვილი, მაღალტე-
ტიაშვილი, თავლორაშვილი, თითილოკაშვილი, ქართლში —
ძვალიყლაპაშვილი, კალთაბარაქიანიშვილი, ქვასროლიაშვილი.
ამ გვარსახელების ფუძეებიც მეტსახელებია: *ერბონონა, კაცნა-*
ხევარა, ჩიტრეკა, ნახშირა, ორცოლა, თავბრტყელა, ბარილესია,
ცივქარა, ცასურქენა, მაღალტეტია, თავლორა, ძვალიყლაპა,
კალთაბარაქიანი, ქვასროლია. გვარის საფუძველჩამყრელთა

აღნიშნული მეტსახელები ადამიანის ამა თუ იმ თვისების, ხასიათის, ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველია. *ბუნებრივია არაერთი ძველი ქართული ინდივიდუალური სახელი/მეტსახელი დავინწყებას მიეცა. ბევრი მათგანი გვარსახელთა ფუძეებმა შემოგვინახა; კაჭკაჭიშვილების გვარის საფუძვლის ჩამყურელს, რა თქმა უნდა, კაჭკაჭა ერქვა, ჯმუხაძისას — ჯმუხა, მსხვილიძისას — მსხვილა, ნერვაძისას — ნერვა, ცერცვაძისას — ცერცვა, ცხვარაძისას — ცხვარა, კუპატაძისას — კუპატა, კოკოზაშვილისას — კოკოზა, გეჯაძისას — გეჯა, ჭყონიასას — ჭყონი, დიდებაშვილისას — დიდება, ცეცხლაძისას — ცეცხლა, გაფრინდაშვილისას — გაფრინდა, გრძელიშვილისას — გრძელა, ყვავაძისას — ყვავა, კვიცაშვილისას — კვიცა, ჭიტაშვილისას — ჭიტა და ა. შ. მაგალითების მოყვანას აღარ გავაგრძელებთ; ერთი რამ აშკარაა — სახელებსა და მეტსახელებში კარგად ჩანს ქართველი ხალხის შემოქმედებითი უნარი, ნიჭიერება.*

არაერთგზის ითქვა, რომ ადამიანთა პიროვნულ სახელებს გარკვეული სოციალური ფუნქციაც ჰქონდა. საქართველოში განსხვავებული სახელები ჰქონდათ მოახლეებსაც. მაგალითად, 1634 წლის ლევან დადიანის მიერ თავისი ქალიშვილის — მარიამისათვის, რომელიც ცოლად როსტომ მეფემ შეირთო, მიცემულ მზითვის წიგნში მზითვად გატანებულთა შორის დასახელებულნი არიან: *„გამდელი ლერნამტანისა“, მოახლეები: ისახარი, წყნარისახარი, ზილიფყარი, ჰსნორუპოვარისეული, მანგი, იაგუნდისა, სანდომისა (სხვა საბუთში გვხვდება სახელი სანდომიხარ), გმირისეული, ედემყავილისა, მონავარდისა, მამისეული, მარგალიტისა, ქალაღდისა...*

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ XVIII საუკუნეში საქართველოში ყველაზე გავრცელებული მამაკაცის სახელი იყო *ბერი* და მისი კნინობითი ფორმები. მაგალითად შეიძლება ლიახვის ხეობის 1781 წლის აღწერის დავთარი დავასახელოთ. დავთრში 797 პიროვნებაა შეყვანილი. ხეობაში 167 მამაკაცის ინდივიდუალური სახელი იყო გავრცელებული. ყველაზე პოპულარული იყო: *ბერი* და მისი კნინობითი ფორმები — *ბერიკა, ბერია* (ერქვა 87 კაცს), *გოგია* (70), *ივანე* (37), *ნინია* (35), *გლახა* (29), *ბეჟანა* და *ბეჟია* (26), *პეტრე* (24), *დავითა* (23), *გიორგი* (22), *იოანე* (16), *ოთარა* (16), *შიო* (15), *ზურაბა* (15), *გაბრიელა* (14), *დათუა* (13), *ღვთისია* (13), *მამუკა* (12), *თამაზა* (11), *პაატა* (11), *სვიმონა* (10), *მოსე* (9), *სეხნია* (9), *ტეტია* (9), *ნასყიდა* (8), *იესე* (8), *იოსებ* (8), *კაცია* (8), *დათუნა* (7), *ზაზა* (6), *ავთანდილ* (5), *თაზია* (5), *სესია* (5).

მამაკაცის პირადი სახელი *ბერი* (*ბერა*, *ბერაი*) პირველობდა XVIII საუკუნის ხევიც. 1774 და 1781 წლების აღწერის დავთრებით *ბერი* აქ 53 კომლის უფროსს ერქვა. მას შემდეგი ინდივიდუალური სახელები მოსდევდა: *გიორგი*, *გია*, *გოგია* (35+9+2=46), *ივანე* (40), *იასე* (*ისე*) (29), *პაპა* (*პაპუა*, *პაპი*, *პაპუნა*) (29), *გივი* (12), *დავით* (11), *მამა* (*მამაი*) (9), *მარტია* (9), *ზაალ* (7). აშკარაა, რომ პრიორიტეტი ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ სახელებს ჰქონდათ მოპოვებული, თუმცა ქართული სახელებიც ბევრს ერქვა: *ახალა*, *ბიძია*, *ბიძინა*, *ბოჩოლა*, *ბიჭია*, *გამიხარდი*, *გელა*, *გლახა*, *გოჭი*, *ვერძუკა*, *ირემა*, *ლომკაცა*, *მამუკა*, *მგელია*, *ნასყიდა*, *რუხა*, *ქერა*, *ღრუბელა*, *ძაღლია*...

ჩვენს ხელთაა რაჭის შვიდი სოფლის 1842 წლის აღსარების მთქმელთა დავთარი, რომელშიც შეყვანილია სოფლების ქედისუბნის, ხონჭიორის, პირველი სხვადას, გორისუბნის, მაქარნმინდის, ზნაკვის, მოტყიარის მოსახლეობა. დავთარში 1177 მამაკაცი და 1045 ქალია შეყვანილი. ნუსხაში 152 მამაკაცის და 67 ქალის სახელი ფიგურირებს. მამაკაცის სახელთაგან 1842 წელს რაჭაში ყველაზე პოპულარული იყო: *ივანე* (დაფიქსირებულია 117 შემთხვევა, 9,9%), *დავითი* (114 შემთხვევა, 9,6%), *გიორგი* (111 შემთხვევა, 9,4%), *სიმონ* — *სვიმონ* (ერქვა 92 კაცს, 7,8%), *ნიკოლოზ* — *ნიკო* (ერქვა 63 კაცს, 5,3%), *გრიგოლ* (ერქვა 45 კაცს, 3,8%), *კაცია* (30), *პეტრე* (23), *იოსებ* (23), *ლევან* (23), *გლახუა* (21), *ოქროპირ* (18), *ბერი* — *ბერიკა* — *ბერუკა* (17), *როსტომ* (15), *ბეჟან* (14), *სოფრომ* (13), *ფრიდონ* (13), *ფირან* (11), *ალექსი* (12), *ზურაბ* (12), *ბესარიონ* (11), *თამაზა* (11), *თედორე* (11), *მამუკა* (11), *მერაბ* (10), *იესე* (10). 1842 წელს რაჭაში გვხვდებოდა კიდევ შემდეგი პირადი სახელები: *აბამ*, *ათანასე*, *ალმასხან*, *ალფეზ*, *ამბაკო*, *ამირან*, *ანდრია*, *ანტონ*, *ასლან*, *აქუსენტი*, *აღდგომელა*, *ბასილ*, *ბეჩუნა*, *ბიჭია*, *ბუტა*, *ბუჭუა*, *გაბრიელ*, *გარსევან*, *გიგია*, *გიგო*, *გოგია*, *დანიელ*, *დარისპან*, *დემეტრე* — *დიმიტრი*, *ევნატე*, *ევთიმე*, *ევსევი*, *ევსტათი*, *ერმანლოზ*, *ესაია*, *ფთვიმე*, *ფურემ*, *ვასილ*, *ვახტანგ* (3), *ზაალ* — *ზალ* — *ზალიკა*, *ზაუტა*, *ზაქარია*, *ზოსიმე*, *თადეოზ*, *თეიმურაზ* (1), *თომა*, *იაკობ*, *იოვანე*, *ილარიონ*, *იობ*, *იორდანე*, *კვირია*, *კიკო* — *კიკოლა*, *კირინე*, *კოდრატე*, *კონსტანტინე* (2), *ლეონტი*, *ლომკაცი*, *ლუკა*, *მათე*, *მამუჩარ*, *მარკოზ*, *მაქსიმე*, *მახარა*, *მახარობელი*, *(მ)გ ზავსიერ* (6), *მეთოდე*, *მიქელ*, *მიხეილ*, *მოგელა*, *მოსე*, *ნარიმან*, *ნასხიდა* — *ნაყიდა*, *ნინია*, *ონისიმე*, *ონიფანტე*, *ოთუნა*, *ოტია*, *ოქრუა*, *პავლე*, *პაპუნა*, *პატა* — *პაატა*, *პლატონ*, *ყუყუტი*, *რამაზა*, *რევან(ა)*, *რომანოზ*, *საბა*, *სარდალა*, *საყვარელა* (6), *სა-*

ჩინო, სეხნია, სილიბისტრო, სოლომონ, სპირიდონ, სტეფანე, ტარიელ (3), ტიმოთე, ტიტია, ტრიფონ, უმცროსა, ფარნაოზ, ფარსადან, ფილიმონ, ფილიპე, ქაიხოსრო, ქაქუჩ, ქრისია — ქრისტესა — ქრისტეფორე, ლუთისია, ყარამან, შაქარა, შიო, ჩიჩიკი, წყალობა, ხარება, ხარიტონ, ხოსია, ჯავახ, ჯაშინა, ჯიშე.

1842 წელს რაჭაში ყველაზე პოპულარული ქალის სახელი იყო *მარიამი* (1045 ქალიდან ეს ინდივიდუალური სახელი ერქვა 207 ქალს, 19,8%). გავრცელების მიხედვით მარიამს თანამიმდევრობით შემდეგი პიროვნული სახელები მოსდევდა: *დარიჯან* (ერქვა 85 ქალს, 8,1%), *თამარ* (64, 6,1%), *ელენე* და *თუთა* (55—55, 5—5%), *ანა* (50, 4,8%), *ელისაბედ* (48, 4,5%), *ბარბარე* (46, 4,4%), *თინია* (40, 3,8%), *ხვახვალა* — *ხვახვა* (36), *სოფიო* (30), *თინათი* (27), *ნინო* (24), *თათია* (22), *გულქან* (20), *მელანია* (20), *სალომე* (19), *მაია* (18), *მართა* (16), *ტასია* (16), *დოდო* (15), *რუსუდან* (14), *ტულფა* — *ტულფია* — *ტურფა* — *ტურფია* (13), *(მ)ზენათუნი* (11), *ხვარემან*—*ხორემან* (10). ჩამოთვლილი პირადი სახელების გარდა წუსხაში შეტანილია აგრეთვე: *ალექსანდრა* (1), *ანუსია* (1), *ასტანდარ* (1), *ალათი*, *დაჯია*, *ეთერ* (1), *ევა*, *ეკატერინე*, *ეპრასია*, *ეფემია*, *(მ)ზისადარ* (1), *თეკლე*, *თეთრუა*, *ივლიტა*, *ირინე*, *კვანურა* (6), *ლალა*, *მაკრინე*, *მარეხ*, *მარიკა* (1), *მარინე*, *მახუა*, *მენყინა* (2), *მზეხა* (1), *ნატალია*, *პარასკევა*, *პატარქალი*, *პელაგია*, *სარა*, *სევდია* (2), *სიდონია*, *სურათა* (2), *სუსანა*, *ფემტევან* — *ფემტო*, *ქეთავან* (1), *შუშანა*, *ხათუნა*, *ხვარამზე*.

XIX საუკუნეში ქალის სახელი *მარიამი* სვანეთშიც პირველობდა. 1870 წლის ლატალის თემის აღსარების მთქმელთა დავთარში 399 აღსარების მთქმელი ქალია აღრიცხული, რომელთაგან 55-ს სახელად *მარიამი* ერქვა (13,3%). მას თანამიმდევრობით შემდეგი სახელები მოსდევდა: *მანია* — *მანი* — *მანო* (41), *მარეხი* — *მარეხილ* (32), *დაჯი* — *დაჯო* — *დარიჯან* (28), *თეთრუა* (12), *კაკაუ* — *კაკუ* (11), *ანა* (10). გავრცელებული იყო აგრეთვე ქალის სახელები: *არმინდ*, *გრიგლაფხ*, *დადი*, *დედუა*, *დეუფა*, *დინი*, *ელისაბედ*, *თამარ*, *თაჯი* — *თაჯინო*, *თეთო*, *თითავ*, *თუხვა*, *ილდაფხ*, *მაკა* — *მაკრინე*, *მარინო* — *მარინე*, *ნინო*, *რუსუდან*, *სათითულ*, *სათნო*, *ქა* — *ქაი* — *ქვაი*, *ქვარა* (*ქვარი* იყო მამაკაცის სახელი), *ხვარამზე*, *ხვახვა*, *ჯაჭიფხ*... მამაკაცის სახელებიდან 1870 წელს ლატალის თემში პოპულარული იყო: *გიორგი* — *გიურგ* — *გიერგ* — *გიერ* (ერქვა 32 კაცს), *ბექუზა* — *ბექმურზა* — *ბექზა* (25), *ბესარიონ* (17), *ესავ* (15), *ბექაი* — *ბექი* — *ბექზა* (13), *მამუზა* — *მამურზა* (11). კიდევ შეიძლება დავასა-

ხელოთ: ბაბი, ბადრი, ბაძუა, ბედანა, ბიტი — ბიტია, გავუ, გეგი, გეგნა, გელა, გვიდი, გუვა — გუა, დადავი, დოქა, თამბი, კვეტი — კვეტო, კვიკვი, ნანიფა, როტო, ფაცი, ფუთუ — ფუთა, ქაუზი — ქაუზა, ქვარი, ჩაჩავ, ჭიტო, ჭხინტო, ჯახუ...

ქალის სახელი მარიამი, როგორც ჩანს, საქართველოში ყოველთვის ყველაზე პოპულარული იყო. სამისოდ „ტბეთის სულთა მატიანის“ დასახელებაც საკმარისია. ამ ძეგლში ასჯერაა დასახელებული *მარიამი*. მომდევნო ადგილზე *ნათელი* (დასახელებულია 59-ჯერ), *რუსუდანი* (26), *ბორენა* (14), *თამსი* (10), *ნანა* (6), *ნათია* (5), *მართა* (5) იდგნენ. შუა საუკუნეებში შავშეთ-კლარჯეთში პოპულარული იყო *გიორგი* (დასახელებულია 84-ჯერ). მას მოსდევდა: *იოვანე* (79), *მიქაელ* (54), *ნიკოლოზი* (47), *ივანე* (36), *ცხოვრება* (34), *დავით* (21), *მახარებელი* (20), *ბასილი* (13), *ზაქარია* (12), *გრიგოლი* (10), *თევდორე* (9), *იორდანე* (9), *კვირიკე* (7)...

საქართველოში გავრცელებული ინდივიდუალური სახელების შესახებ უმნიშვნელოვანესი წყაროა რუსეთის იმპერიის მიერ XIX საუკუნეში შედგენილი საოჯახო სიები და კამერალური აღწერის დავთრები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი თავისებურებებია დადასტურებული არა მხოლოდ ცალკეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ (ისტორიულ-ეთნოგრაფიულ) მხარეებს, არამედ მეზობელ სოფელთა შორისაც. სანიმუშოდ შეიძლება მოვიყვანოთ 1873 წლის თიანეთის მაზრის არტნის საზოგადოების (ე. წ. „ივრის ფშავის“) და შუაფხოს საზოგადოების (უკანაფშავის) ოჯახის უფროსთა მამაკაცთა სახელები. არტნის საზოგადოებაში 186 ოჯახი ცხოვრობდა, შუაფხოს საზოგადოებაში — 200. ორივე საზოგადოების 386 ოჯახის უფროსი მამაკაცი 156 პირად სახელს ატარებდა. ყველაზე გავრცელებული სახელი იყო *ბენინა* და მისი ვარიანტები: *ბენინიკა*, *ბენიკა*, *ბენინტური*, *ბენუკელი* (ერქვა 18 ოჯახის უფროს მამაკაცს). მეორე ადგილი ეკავა სახელს *ხუმარა* (12; უფრო პროდუქტიული ის ივრის სათავეებში იყო — 8 შემთხვევა, ფშავის არაგვის ხეობაში კი ამ სახელის დარქმევის 4 შემთხვევაა დადასტურებული). აღწერის დავთარში 11—11-ჯერაა დაფიქსირებული სახელები *ბერიძე* და *ღვთისო/ღვთისავარი* და *გიორგი*. 10-ჯერ გვხვდება *მამუკა*, 9—9-ჯერ — *ნადირა/ო* (8-ჯერ ივრის ხეობაში და მხოლოდ ერთხელ უკანაფშავში), *პატარა*, *ბერი/ო*, 8-ჯერ — *ხარება*, *ლევა* (*ლეგუა*, *ლეგუშა*), *ქავთარი*, *შალვა*. დანარჩენი ინდივიდუალური სახელების თანამიმდევრობა ასეთია: *ჭრელა* და *ქავთარი* (7-7), *ბუთლა* (6), *ივანე* (6), *იმედა* (6), *პაპა/ი* (6), *ზურაბი* (6)

ელიზ(ს)ბარი (6), ვაჟიკა (5), გოძია (5), გეჯურა (5), გამიხარდი (5), ბაილო (5), ფუნჩურა/ფუნჩა (5; მხოლოდ უკანაფშავში), უჭკუა (4; მხოლოდ უკანაფშავში), ჯაბანი (4). 3-3-ჯერაა ოჯახის უფროსთა სახელებად დასახელებული: დავითი (მხოლოდ არცხის საზოგადიებაში), თინიბეჯი (მხოლოდ უკანაფშავის სასოფლო საზოგადიებაში), თორელა/თვარელა, იოსები (მხოლოდ ივრის ხეობაში), მაჩურია, მოკლია და მწარია (ორივე მხოლოდ უკანაფშავში), რაიბული, ფოცხვერი, ძუგარა...

საყურადღებო სურათს იძლევა დასავლეთ საქართველოს 1904 წლის ოჯახის უფროსთა მამაკაცის სახელების ჩამონათვალი. აღნიშნული დროისათვის ლეჩხუმში გავრცელებული ყოფილა 142 მამაკაცის სახელი. საინტერესოა, რომ საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, სახელების უმეტესი ნაწილი შეტანილია კნინობითი ფორმით, ისე როგორც ისინი ადგილობრივ გამიოთქმოდა და დღესაც გამოითქმის. მაგალითად, აბრამის ნაცვლად გვხვდება აბრამულა. ადამი გვხვდება რამდენიმე ფორმით: ადამია, ადამუკა. სხვა მაგალითები: ბასილა და მისი შემოკლებული ფორმა ბასი; ბეჟან — ბეჟანიკა და ბეჟუკია. გაბრიელის მხოლოდ კნინობითი ფორმებია დადასტურებული: გაბო, გაბოლია, გაბოლა. გიორგი კი წარმოდგენილია შემდეგი სახით: გიო, გიოლა, გიოვიტა, გიოჩელა, გიოტა, გიორვილა, გიორველა, გიორვენა, გოვი, გოვიელა, გოვილა, გოვილუ, გოვინა, გოვინიკა, გოვისა, გოვიტა, გოვიტია, გოვიჩა, დავითი — დათიკა, დათილა, დათუა, დათუნია, დათუნიკა, დათა, დათია, დავითელა, დათიელა, კაცია — კაცო, კაცოლია, კაცოლა, კაცონია, კაცინიკა, კაცუნა. XX საუკუნის დასაწყისში ლეჩხუმში ყველაზე გავრცელებული მამაკაცის სახელები ყოფილა ივანე, დავით, ნიკოლოზ, გოვია, გლახუა, გიორგი, სისო, სიმონი, კაცია, პეტრე, ბეკო, მიქელა, მამუკა, ოქროპირი... გარდა ამისა, კანონიზებული ქრისტიანული სახელების გვერდით ლეჩხუმში განაგრძობდა არსებობას ძველი ქართული მამაკაცის სახელები. ზემოთ დასახელებული გლახუას, სისოს, კაციას, ბეკოს, მამუკას, ოქროპირის გარდა შეიძლება დავასახელოთ: ბაკიჩა, ბერუკა, ბიჩინა, ბიჭია, ბუჭუ, ვაბილა, ვახო, ვიტა, გონიერა, გულა, ვაჟიკა, ზაზუა, კვაცოლა, კვირია, კიკო, კოხილა, კოხტა, მახარე, მიკე, ნასია, ნატრია, ჟუტუ, საყვარელ, სიტო, სულა, უფლისა, ჩიჩო, ძალოლა, წყალობა, ხოსია, ხუტა, ხუცია, ჯავახ, ჯოლორია და ორი შედგენილი სახელი: ხატისმამუკა და ღვთისამიერი. საზგასასმელია, რომ ეს სახელები XX საუკუნის დასაწყისის ლეჩხუმში ისე არ იყო გავრცელებული, როგორც ქრისტიან-

ნული კანონიზებული სახელები. ზოგიერთ ქრისტიანულ-კანონიზებულ სახელს კი ისეთი კნინობითი ანდა შემოკლებული ფორმა ჰქონდა მიცემული და იმდენად გახალხურებულ-გაქართველებული იყო, რომ დაკვირვების გარეშე ზოგჯერ ძნელია მიხვდეს ადამიანი მის თავდაპირველ სახელს.

ლექსუმის მეზობელ ცხენისწყლის ხეობის სვანეთში (ლენტეხის, ჩოლურის და ლაშხეთის თემებში) XX საუკუნის დასაწყისისათვის 134 მამაკაცის სახელია დაფიქსირებული, რომელთა შორისაც პირველობდა *გაბა/ო/უ/ულა* (ერქვა 32 კაცს). მას თანამიმდევრობით მოსდევდა: *გაბო* (27), *გეგი* (25), *გიორგი* (22), *ბესი* (20), *ბეკო/ბეკოლია/ბეკოლუ/ბეკინოლა* (19), *მიკე/ო* (18), *კაცი/ო/კაცოლა/კაცოლუ* (16), *დევლეთ* (16), *ზურაბ* (13), *ჩიტი/ა/ო* (12), *ბუჭუ* (12), *სიმონ/სიმო* (11), *აბრამ* (10), *ტაპუ* (7), *ჯობა* (7), *ონი* (6), *ბაშულა/ბაშო* (6), *ჯატო/ა* (6), *დათა/ი* (5), *ტაისო/ტაისაულ/ტასილა/ტაისულ* (5), *ჩიჩო/ჩიჩა/ჩიჩოლა* (5), *ჯამლეთ* (5). ჩამოთვლილ სახელებს გარდა ყურადღებას იქცევს *ბამუ/ბამულა*, *ბეჟან/ბეჟო*, *ბიტი/ა/ო*, *ბოჩოლა*, *გვატი*, *გვიტი*, *დავით*, *ივანე*, *კვატი/კვატატი*, *კვაცი/კვიცა*, *კვირია*, *ნასო*, *როსტომ*, *ხვანი*, *ჯახი/ო*.

ფრიად საინტერესოა ისტორიულად სამეგრელოში გავრცელებული სახელები. მეგრულმა ყოფამ, საისტორიო დოკუმენტებმა არაერთი ძველი ქართული მამაკაცის სახელი შემოგვინახა. ჩვენს ხელთაა 1904 წლის ზუგდიდის მაზრის სოფლების კორცხელის, ლედგებიეს, ზედა ენერის, ჭკადუაშის, ლიას, ფახულანის, ნიკოსიას, ნარაზენის, დიდი კოკის, ორსანტიას, დარჩენის, ხეთას, ლესიჭინეს დროებით ვალდებული გლეხების ოჯახის უფროს მამაკაცთა სახელები. დავთარში 550-ზე მეტი მამაკაცის სახელია დაფიქსირებული. ინდივიდუალური სახელების ასეთი სიმდიდრით საქართველოს არც ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე არ ხასიათდებოდა. აქ ფართოდ იყო წარმოდგენილი ქრისტიანული და წინარექრისტიანული სახელები, ერთი სახელის რამდენიმე ფონეტიკური და კნინობითი ვარიანტი. ხანდახან ჭირს გარკვევა, დამოუკიდებელ სახელთან გვაქვს საქმე თუ ამა თუ იმ სახელის ვარიანტთან. ყველაზე გავრცელებული სახელები იყო: *ბურდლუ* (*ბურდლუია*), *გიორგი* (*გეორგია*) და მისი კნინობითი ფორმები — *გოგი*, *გოგია*, *გიორგიტა*, *გოგიტა*, *უტა* (*უტარი*, *უტუ*, *უტაია*, *უტუნა*, *უტუია*, *უტუტი*, *უტუტია*, *უტულა*), *ივანე* (*ივა*, *ივი*, *ივაკია*, *ივანიკა*), *კოჩი* (*კოჩა*, *კოჩო*, *კოჩია*, *კოჩოია*, *კოჩილა* და შედგენილი სახელები, რომლებშიც *კოჩ* მეორე ელემენტს წარმოაგენდა: *ბაბუკოჩი*,

ბოკონი, გეჯიკონი, გურიკონი(ა), უჩაკონი, შუკონია), კურე (კურნი, კურია, კურულია, კურულა, კურურუა), საბა და საბაია, ძოკი (ძოკა, ძოკია, ძოკოია, ძოკუია, ძოკილა), ბახვა (ბახვაია, ბახვა-ლა, ბახუ, ბახუია, ბახურია, ბახულია), ბერე (ბერეია, ბერუნა, ბერუნია), გუდე (გუდეია, გუდუნა, გუდეულა, გუდუმი, გუდუნია), დავით (დავითიკა, დათი, დათაია, დათიკა, დათუნა, დათუა, დათუ, დათუა), დუტე (დუტეია), ბატა (ბატაია, ბატეია, ბატუ, ბატულა), გვადი (გვადა, გვადაია), გვარი (გვარა, გვარა-ლია), გონა (გონი, გონია), გუტი (გუტაია, გუტა, გუტო, გუტუია, გუტოია), ვატა (ვატია, ვატანა, ვატანიკა), კვატი (კვატია, კვა-ტალა, კვატატი, კვატატია), კვიკვი (კვიკვინა, კვინა, კვინორია), კიკი (კიკო, კიკოია), მახარია (მახუ, მახუია, მახუცო, მახუტია), ნიკო (ნიკოია, ნიკოლა), პახვა (პახვალა, პახვალო, პახულია, პახულა, პახურია), პეპუ (პეპია, პეპუია), პეხუ (პეხუია), სვიმონ (სვიმო, სვიმოია, სვიმონიკა, სიმონიკა, სიკო, სიკოია), თიყვა (ტიკვაია, ტიკვენია), ტოტი (ტოტო, ტოტია, ტოტაია), უჩა (უჩა-ია, უჩაკონი, უჩანა, უჩანია, უჩუნა) შა(ე)ვარდენი, ხუტა (ხუტუ, ხუტუია, ხუტუტი, ხუტაია, ხუტულა), ჯატუ (ჯატაია, ჯატუია). გავრცელებული სახელები იყო აგრეთვე: ანტონი, ბაკური (ბაკუ, ბაკუია), ბასილი (ბასილიკა, ბასა), ბიშხა (ბიშხაია), ბიჯგვა, ბოძა (ბოძია, ბოძიკა), გიგო (გიგოია), გუჯა (გუჯია, გუჯუ), თუთაშხია, იოსე (იოსეია, იოსელა, იოსიკა), კაკურჩა (კაკურჩია, კაკურჩაია), კვაცა (კვაცალია), კოხტა, ლომიკა (ლომიკა, ლომინიკა), მათე (მათეია), მარკოზ (მარკოზია, მარკო), მაჯი (მაჯია, მაჯინია), მიქელა, ნარტია, პავლე, როსტომი (როსტო, როსტოია, როსტომიკა), ტავუ, ქრისტესია, შავა (შავაია), ჩოჩი, ცაკვა (ცაკვა-ია, ცაკვიტო), ხუტა (ხუტუ, ხუტუტი), ხახულია, ჯერგე (ჯერგე, ჯერგეტო), ჯოლორია, ჯუმაშხია (ჯუმაია, ჯუმახია)... სამსუხაროდ, ბევრი ქართული სახელი, რომლებიც ბოლო დრომდე იყო შემონახული დღეს დავინწყებასაა მიცემული. აღნიშნულთაგან მონინავე პოზიციები მხოლოდ გოჩას, მამუკას, ზაზას, ზვიადსა და ხვიჩას აქვთ შენარჩუნებული.

თანამედროვე საქართველოში მამაკაცის ყველაზე გავრცელებული სახელებია: გიორგი, დავით, ზურაბ, ალექსანდრე, ლევან, მიხეილ, თამაზ, ირაკლი, ნოდარ, გურამ, ვლადიმერ, ავთანდილ, ოთარ, შოთა, ნიკოლოზ, ვახტანგ, გოჩა, მამუკა, ზაზა, მერაბ, შალვა, თენგიზ, თეიმურაზ, გელა, ნუგზარ, მალხაზ, თემური, ამირან, სერგო, ივანე, ლაშა, რევაზ, ჯემალი, ვაჟა, ვია, ვასილ, იოსებ, ტარიელი, ზვიად, ილია, პადრი, რომან, აკაკი, რამაზ, ანზორ, კობა, ზაურ, ბესიკ დიმიტრი, ომარ, პაატა, არ-

ჩილ... ქალის სახელებიდან პირველობენ: თამარ, ნინო, მაია, ნანა, მარიამ, ნათელა, ეთერ, მანანა, მარინე, ქეთევან, ანა, ნათია, ხათუნა, ეკატერინე, მზია, ლალი, ლია, მერი, თინა, მარინე, ლეილა, ირმა, ელენე, ნანული, რუსუდან, ლამარა, თეა, მაყვალა, ცილა, ინგა, ლელა, ნონა, ნელი, თინათინ დარეჯან, სოფიო, ირინა, თეონა, ყუყუნა, ლილი, შორენა, მაკა, ნატო, დალი, ნუნუ, ეკა, ნაზი, ია, ვენერა, იზოლდა, სალომე, გულნარა, ნანი, ციციწო, მედეა... ერთმანეთს თუ შევადარებთ XVIII-XX საუკუნეებში გავრცელებულ სახელებს, დიდ სხვაობას აღმოვაჩინებთ. ერთი რამ ამკარაა: ინდივიდუალური სახელები მოდასთან გარკვეულ კავშირში იყო. უკანასკნელ წლებში სახელების დარქმევის ტენდენცია კვლავ იცვლება — ძალიან პოპულარული გახდა საბჭოთა პერიოდში ერთგვარად მივიწყებული მართლმადიდებლური კანონიკური (საეკლესიო) სახელები.

III. 2. ქართული გვარსახელების წარმოქმნის შესახებ

როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები? პირდაპირ შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული გვარსახელები დიდი ხნის წინ წარმოიქმნა. ჩვენ ვართ იმ ერებს შორის (ბერძნები, იტალიელები, ფრანგები, ინგლისელები, გერმანელები, ჩინელები, კორეელები...), რომლებშიც საზოგადოების ეს სოციალური ერთეული საუკუნეებს ითვლის, თუმცა ქართველ ავტორთაგან აღმოჩნდა ერთი, რომელმაც ასეთი დასკვნა შემოგვთავაზა: ქართველებს გვარები საერთოდ არ გვქონდა და სულ ახლახან, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ის რუსებმა დაგვიწესეს და მისი ფორმირება საბოლოოდ XX საუკუნის 30-იან წლებში მოხდა (ონომასტიკური კრებული, თბ., 1994: 82-89). დასახელებულ სტატიაში ისიცაა ნათქვამი, რომ XVI საუკუნემდე გვარსახელების გავრცელების ტალღამ მთელი ევროპა მოიცვა და მხოლოდ ამის შემდეგ მოაღწია ამ ტალღამ (მოდამ) საქართველომდე.

ქართული საისტორიო წყაროებიდან, საბუთებიდან არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, რომელთა მიხედვითაც ამკარაა, რომ ქართული გვარსახელები, ანუ მემკვიდრეობითი სახელები ისტორიის სიღრმეშია წარმოქმნილი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქართული ეპიგრაფიკული მონაცემებიც. XII საუკუნის საბუთში ჟინოვანს მოხსენიებულნი არიან „მიხითარაისძენი დავითის შვილნი ოქრაი და მახარაი, ბრაჭი და იო-

ვანე“. ამ საბუთში ოთხი ძმის — *მახარეს, ბრაჭის, იოანესა და ოქრაის* — მამის სახელია *დავითი*, ხოლო *მიხითარაისძე* გვარსახელია. *ტოხაისძეების* გვარსახელი პირველად მოხსენიებულია XI საუკუნის დასაწყისში, შემდეგ — XII საუკუნის დასასრულს, 1260-1270 წლებში, 1579 წელს. XVIII საუკუნეში *ტოხაისძეების* გვარს სუფიქსი შეუცვლია: -*ძე* დაბოლოებას -*შვილი* დაბოლოება ჩანაცვლება (*ტოხაშვილი*). რაც მთავარია, *ტოხაიძე* — *ტოხაშვილების* აზნაურული გვარი ერთსა და იმავე რეგიონშია მოხსენიებული.

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უწყვეტად მოიხსენიება გვარსახელი *ჭარმაული*. პირველად ამ გვარის წარმომადგენელი „*ჭარმაული ჭაჭნიაშვილი ვრიგოლ*“ 1297/98 წლების საბუთშია დასახელებული. აქედან მოყოლებული, *ჭარმაულები* XVIII საუკუნის ბოლომდე მუდმივად მოიხსენიებიან ქართულ საისტორიო საბუთებში (1516, 1537, 1628, 1675, 1678, 1718 წლები), თანაც, ერთსა და იმავე რეგიონში — არაგვის ხეობის მთისნინა და ბარის სოფლებში. 1779 წლის წყალობის წიგნით ირკვევა, რომ აზნაურ *ჭარმაულების* გვარი ამოწყვეტილა. ამრიგად, *ჭარმაულების* მემკვიდრეობითი სახელი ხუთი საუკუნის განმავლობაში მემკვიდრეობით გადაეცემოდა ერთი თაობიდან მეორე თაობას. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ მემკვიდრეობით სახელს უფრო ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. როდის წარმოიქმნა ეს გვარსახელი, გაურკვეველია. ბუნებრივია, ჩვენამდე არ მოუღწევია იმ პირველ დოკუმენტს, რომელშიც ისინი არიან მოხსენიებულნი.

დიდი ხნის ისტორია აქვს *დედაბრიშვილის* გვარს. 1412 წლიდან მოყოლებული ეს გვარი არაერთგზისაა მოხსენიებული (XV საუკუნის I ნახევარი, 1509, 1542, 1578, 1626-1647, 1656, 1682, 1700... წლები). 1412 წლის საბუთში კონკრეტულად ვკითხულობთ: „ესე... წიგნი გიბოძეთ... *დედაბრიშვილთა*... და ყოველთავე გუარისა თქვენისა მომავალთა“. 1472 წლიდან არიან საბუთებში დასახელებულნი *მალალაძეები/მალალაშვილები*.

ზემოთ დასახელებულ წერილში ლაპარაკია იმაზე, რომ XVI საუკუნისათვის თავადაზნაურობაში გვარების წარმოქმნა კანტიკუნტად მოხდა. სანამ რამდენიმე მაგალითს მოვიხმობდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ დასახელებული *ტოხაიძეები, ჭარმაულები* აზნაურთა ფენას მიეკუთვნებოდნენ. სხვა მაგალითები: აზნაური *გარაყანიძეები* რაჭიდან წარმომავლობენ და განსახლებულნი იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოშიც. ეს აზნაურული გვარი პირველად 1260-67 წლების საბუთშია დასახე-

ლებული. აქედან მოყოლებული, გარაყანიძეების გვარი თითქმის ყველა საუკუნის საბუთში რამდენიმეჯერაა შეტანილი. ქართლში სოფელიც არსებობდა, რომელსაც *გარეყანთუბანი* ერქვა.

გვარსახელი ფიქსირებულია IX საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ, ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ წერილობით ძეგლში: „დანერილი *ფავნელისა* მღვიმისადმი“: „მას ჟამსა, ოდეს ბარდავს შევიბენით, ერთი ლომისა მსგავსი *ფავნელი* მკვდარი დარჩა და ერთი ცოცხალი. ესე უარესი ნამეკიდა: ერთი უხუცესი შვილი *ქავთარ* შინა მამიკუდა. ვთხოვენ ჩემნი მკუიდრნი მამული მეფესა და მიბოძა, რომე ტყუენი დავიხსნე და მკუდრისა სული ვაურვო. ვთხოვენ ოთხი სოფელი ცხევერეთი, გუელდისსითურთ, გავაზნელნი კოცმითურით, ქუემო გუელდეს ორი გლეხი: *შულლიასძე* და *ტარიკასძე*“. აზრი ნათელია. ტექსტიდან ჩანს, რომ *ფავნელის* გვარის წარმომადგენელს ორი ვაჟიდან ერთი ბრძოლაში დაღუპვია, მეორე კი შინ მოჰყვდომია. ამის შემდეგ მეფეს *ფავნელისათვის* უბოძებია ორი გლეხი: *შულლიასძე* და *ტარიკასძე*. საბუთიდან აშკარაა, რომ *შულლიასძე* და *ტარიკასძე* გვარსახელებია; ისინი საგლეხო კომლთა მემკვიდრეობითი სახელებია. საბუთში ლაპარაკია გლეხის ორ კომლზე, რომელსაც მემკვიდრეობა ჰქონდა მიწაზე და ფეოდალ *ფავნელთა* საგვარეულოსათვის საჭირო იყო, მის გლეხებსაც მემკვიდრეობითი სახელი (გვარსახელი) ჰქონოდათ. ასეთ შემთხვევაში, *ფავნელთა* შემდეგი თაობებიც ადვილად დაასაბუთებდნენ *ტარიკასძეთა* და *შულიასძეთა* მათდამი კუთვნილებას. ამრიგად, IX საუკუნეში ჩვენ საქმე გვაქვს როგორც ფეოდალის, ისე გლეხთა ტიპურ მემკვიდრეობით სახელებთან (გვარსახელებთან), რომლებიც მემკვიდრეობით გადადიოდა მამისგან შვილზე.

არაერთი გვარსახელია დასახელებული 1071-80 წლების საბუთში — „დანერილი ნიკოლაოს წმინდისა წინამძღვრისა“. მასში გვხვდება გვარები: *ლიპარიტისძე*, *ნირქუალელისძე*, *დებორიანისძე*, *კასალისძე*, *ჯინჭარაისძე*, *ჯიჯონიძე*, *ნორბელი*, *აბულათაისძე*, *კეპოისძე*, *აქშემოისძე*, *ქველაისძე*, *შუბავთი*, *რუსისძე*, *ცისკარაისძე*, *ხვიდილიანი*, *ნერჩელი*, *კლარჯეთი*, *სგოჯაისძე*, *ოტობოისძე*, *კოროფხიშვილი*, *ეფრემისძე*, *ჭარტლისძე*, *სქელაეთი*, *კვიკაისძე*, *ფარსმანისძე*, *გუნაფაისძე*, *ზოსქელელი...*

1170 წლის სიგელში გვხვდება გვარი -ეთ სუფიქსით — *ლიპარიტეთი*. ამ სუფიქსით არაერთი გვარსახელია მოხსენიებული

X—XIII საუკუნეების ძეგლებში. ამ თვალსაზრისით „ტბეთის სულთა მატიანისა“ და „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების“ დასახელებაც იკმარებდა. ქართული გვარსახელები დიდი ხნის წინ წარმოქმნილად მიაჩნდათ ივანე ჯავახიშვილს, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილს. 1200 წლის „დანერილში“ გვხვდება გვარები: *კვირიკაისძე, გარისელაიძე, ნუერგრძელიძე, სტეფანეთი/სტეფანესძე, როსტომისძე, მჭედლისძე, თავაური, ბრუკაული*. 1200 წლის საბუთში ვკითხულობთ: „ესე დანერილი დაგინერეთ ჩუენ, *ხარაიაძეთა კვირიკე* და *ბასილმან* შენ, *გიორგი მუშერიძესა*“. ეს საბუთი სხვა მხრივაცაა მნიშვნელოვანი. მასში უშუალოდ მსჯელობაა იმაზესაც, რომ *ხარაიძე* გვარია: „ან დღეისითგან წალმართ არავინ იყოს ჩუენისა **გუარისა**, არცა ჩუენ, *კვირიკე* და *ბასილი* და არცა ჩუენნი შვილნი და მომავალნი ამის სახლისანი. და ვინაცა, რამანცა **გუარმან** ჩუენმან დღისით გთხოვოს და გერჩოდეს... XIII საუკუნის შუა წლების დანერილში *ხარაისძეთა გვარი* სხვა გვარებთან ერთად (*ბურჯული, ტოხუაისძეები, ნამალაისძეები*) კიდევაც დასახელებული.

„ქართლის ცხოვრებაში“ ტაო-კლარჯეთის მთავრის ბაგრატ I კურაპალატის დროს (826-876 წლები) მოხსენიებულნი არიან ძმები *გაბრიელ* და *სამოელ დონაურები*: „და ქორეპისკოპოსი იყო *გაბრიელ დონაური* ძმა *სამოელ* ქორეპისკოპოზისა“. ეს უკანასკნელი — *სამოელ დონაური* ქორეპისკოპოსის თანამდებობაზე *გაბრიელ* ზე ადრე, IX საუკუნის დასაწყისში იყო. „და ვითარ მოკუდა კახთა ქორეპისკოპოსი *გაბრიელ დონაური*, დაჯდა ქორეპისკოპოსად *ფადლა არევმანელი*...“. *ვახუშტი ბაგრატიონი* მთავართა ძველ გვარებს შორის *დონაურების* გვარსაც მოიხსენიებს (და აგრეთვე სხვა გვარებს: *არელმანელი, ბაღუში—ლიპარიტისძე, მარუშისძე, ქაჩიბაძე, კავკასიძე, ჯაყელი, იროფაქისძე, კორინთელი, მახატელი, შარვაშიძე*...). X საუკუნის პირველ ნახევარში „ქართლის ცხოვრებაში“ დასახელებულნი არიან კახი აზნაურები: *გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი* და *ივანე სხვილოსელინი, ძმები სარა* და *გრიგოლ ფხუენელინი*. *მგდეურის* გვარის გარდა, ყველა ზემოთ დასახელებული გვარი სადაურობაზე მიუთითებს და ნაწარმოებია -*ელ* სუფიქსით. ეს აზნაურები კახი აზნაურები არიან, ოღონდ წარმოშობით — ქართლები. მათ გვარსახელებს საფუძვლად უდევთ იმ სოფლების სახელები (კომონიმები), რომლებიც ქართლში მაშინაც იყო და ახლაც არის. ყანჩაეთი, კორინთა, სხვილოსი და ფხვენისი შიდა ქართლის სოფლებია. როდის უნდა წარმოქმნილიყო

(ანდა გადასულიყო) ზემოთ ჩამოთვლილი აზნაურული გვარები კახეთში? ამის შესახებ პირდაპირი მითითებაა „ქართლის ცხოვრებაში“. *ჯუანშერი* მოგვითხრობს, რომ *მეფე არჩილმა* (VIII საუკუნის პირველი ნახევარი) კახეთში თავისი ტაძრეულები დაასახლა და აზნაურობა უბოძაო: „ამის შემდგომად მოვიდა *არჩილ* კახეთად, და ყოველთა ტაძრეულთა მისითა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ ყვნა იგინი“.

მოგვყავს ერთი ამონაწერი ა. *ბოგვერაძის* წიგნიდან „ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში“: „ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს „ელ“ სუფიქსით ნაწარმოებ ფეოდალური გვარსახელების გამოჩენა VIII—IX საუკუნეებში, რომელიც *ნ. ბერძენიშვილის* დაკვირვებით იმის მაჩვენებელია, რომ ინდივიდის გვარსახელი კოლექტივთან ურთიერთობით კი აღარ ხასიათდება, არამედ აზნაურთა მიერ, იმ პუნქტების მფლობელობას უკავშირდება, რომლებიც თავიანთი მხრით შესაბამის ქვეყნებს განასახიერებენ. ამის მკაფიო მოწმობაა გვარსახელი *ჩორჩანელი*. მწერალი საგანგებოდ განმარტავს, რომ *ჩორჩანელი* იმ დიდკაცის, „რომლისა ტაძარნი შენ იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისა“, მეორე სახელია, და ძნელი მისახვედრი არაა, რომ ის დაბა ჩორჩანის სახელიდან იწარმოება. ასეთი გვარების მქონე ფეოდალების მომრავლება განსაკუთრებით შესამჩნევია IX საუკუნიდან (*ტბელი*, *საზუერელი*, *ყანჩაელი*, *კორინთელი*, *სხვილოსელი*, *ფხუენელი* და სხვ.) და უნდა ჩაითვალოს ტეხილის მაჩვენებლად, როგორც ფეოდალური „ქვეყნის“, ასევე ფეოდალური „სახლის“ განვითარების თვალსაზრისითაც. როცა რომელიმე პირს „ელ“ სუფიქსით ნაწარმოები სახელი უჩნდება, მისი მფლობელობის უმთავრესი პუნქტიდან და შემდეგ მისი მემკვიდრეებიც ამ სახელით იხსენიებიან, — ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამიერიდან უკვე მთავარია ინდივიდის არა გვართან მიმართება, არამედ ამათი იმ ქვეყნისა და მისი პოლიტიკური ცენტრის მფლობელი წინაპრისაგან ჩამომავლობა. ამრიგად, „ელ“ სუფიქსით წარმოებული გვარების გაჩენა ფეოდალური სახლის შიგნით ინდივიდუალური უძრავი საკუთრების შემდგომი განვითარების და, ამის შესაბამისად, ძველი დიდფეოდალური სახლების რღვევისა და ახლების, მაგრამ უკვე სხვა საფუძველზე, წარმოქმნის მაჩვენებელია, მემკვიდრეობითი უძრავი საკუთრების ანუ სამამულო სისტემის გაბატონების მაჩვენებელია“. ამრიგად, **VIII-IX საუკუნეების საქართველოში უკვე დამთავრებულია ახალი გვარების — გვარსახელების (მემ-**

კვიდრობითი სახელების) წარმოქმნა, რომლებსაც, ფაქტობრივად, აღარაფერი აქვს საერთო გვაროვნული საზოგადოების გვართან. XI საუკუნის პირველ ნახევარში იხსენიება *ჯაყელების* გვარი, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ალის ეკლესიის წარწერა.

ე. თაყაიშვილს ხობის მონასტრის მაცხოვრის ხატის წარწერაში ამოუკითხავს: „ყოველთა ღმერთო, ...შენის ხატისა სურვილით მამკობელი *კახაბერიძეთ* ასული *თეონელა*“. XIII საუკუნის ამ წარწერაში გასაგებად წერია „*კახაბერიძეთა* ასული *თეონელა*“. მრავლობითი რიცხვი („*კახაბერიძეთა* ასული“) პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ *კახაბერიძე* გვარსახელია. საუბარია *კახაბერიძეების* სანათესაო გაერთიანებაზე, რომელიც ერთ წინაპრისაგან — *კახაბერისაგან* მომდინარეობს. ვარაუდის დაშვება, რომ *კახაბერი* მამის სახელია, ამ შემთხვევაში გამორიცხულია.

რაჭის სოფელ სხვაჯის „ძელი ჭეშმარიტის“ ეკლესიის XIII საუკუნის ხუცურ წარწერაში ვკითხულობთ: „წმინდაო გაბრიელ, შეიწყალე *ვარდან გიონაისძე*. მათსა ხელოსნობასა საძირკველი ჩაიდვა“. *გიონაიძეები* იმავე სოფლის 1904 წლის აღწერაში მოსახლე *გიონაძეების* წინაპრები არიან. გვარსახელმა ფონეტიკურად სახე იცვალა: *გიონაისძე* > *გიონაძე*. 1843 წლის რაჭის სოფელ სხვაჯის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარში შეყვანილი არიან საეკლესიო და უჩინო აზნაურები — *გიონაძეები*.

თანამედროვე, დღეს არსებული გვარსახელებიდან *აბაზაძეების* გვარი პირველად ნახსენებია 1297 წლის საბუთში, *აბაშიძეების* გვარი — 1488 წელს, 1401 წელს — *ფალავანდიშვილები*, 1260 წელს — *აბესაძეების* გვარი, 1305-08 წელს — *თორელ-ჯავახიშვილები*, XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე — *აფაქიძეები* (რომლებიც სვანეთში XIII საუკუნეების სულთა მატიაანეში მოხსენიებული *აფაქიანების* მემკვიდრეები იყვნენ), 1438 წელს — *ჭავჭავაძეების* გვარი, 1433 წელს — *იაკობიძეების* გვარი, 1432 წელს — *ბაქრაძეების* გვარსახელი. *ინასარიძეების* გვარი პირველად XIII საუკუნეში გვხვდება. XIII-XIV საუკუნეების დოკუმენტებში არიან დასახელებული *გელოვანები*, 1452 წელს — *მაჭავარიანები*, 1326 წელს *მიქელაძეები* („*მანგასარ მიქელაძე* აზნაურშვილი“). აზნაურ *თულაშვილთა* წინაპარი *თულაძეები* 1287-88 წლებში არიან პირველად დასახელებულნი. ამ გვარში -*ძე* სუფიქსი -*შვილი* სუფიქსით XV საუკუნის ბოლოს შეიცვალა.

XI საუკუნიდან იწყება *მხეიძეების* გვარის ისტორია, რომელთა ადრინდელი გვარი *ბაღვაში* იყო.

მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში საქართველოს დღევანდელ და ისტორიულ ტერიტორიაზე უგვარსახელოდ არ იყო არც ერთი მთავარი, შემდეგ კი — თავადი და აზნაური. იგივე შეიძლება ითქვას ქართველ გლეხობაზედაც. საქართველოში რომ *შოთა რუსთაველის* ეპოქაში გვარები არსებობდა, ამას გვიდასტურებს „ვეფხისტყაოსანი“: „**ძე დიდებულთა დიდგვართა, ზრდილი მეფეთა შვილობით**“. აქ ხომ პირდაპირაა ნათქვამი დიდებულთა დიდ-გვარის შესახებ, რა თქმა უნდა, დიდებულთა დიდ-გვარების გვერდით იმდროინდელ საქართველოში ჩვეულებრივი, გლეხური გვარებიც არსებობდა.

რადგან მხატვრულ ლიტერატურაზე ჩამოვარდა საუბარი, ახლა ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლშიც ჩავიხედოთ. მხედველობაში გვაქვს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ერთი მონაკვეთი, რომელიც *დაფანჩულის* მემკვიდრეობით სახელს (გვარსახელს) ეხება. ცნობილია, რომ აღნიშნული ნაწარმოების ავტორი *გიორგი მერჩულე X* საუკუნის მოღვაწე იყო, რომელმაც აღწერა VIII საუკუნის ბოლო პერიოდისა და IX საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწის *გრიგოლ ხანძთელის* ცხოვრება. ერთ მონაკვეთში, სადაც აღწერილია *აშოტ კურაპალატის* დროინდელი (ე. ი. IX საუკუნის 20-იან წლებამდე პერიოდის) ამბები, ავტორი წერს: „ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე *აშოტ კურაპალატისა* და ერქვა მას სახელი *გაბრიელ დაფანჩული*, და აწ ნათესავთა მისთა ჰრქვიან *დაფანჩულნი*“; შემდეგ: „ამისთვისაცა, მსგავსად აღთქმისა, ხანძთას შინა ელოცვების *ყოველთა დაფანჩულთა* ვიდრე დღევანდელად დღემდე“. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, რომ *დაფანჩული* გვარსახელია. *გიორგი მერჩულე* პირდაპირ გვეუბნება: ახლაც (ე. ი. ერთი საუკუნის შემდეგ) *გაბრიელ დაფანჩულის* ნათესავნი (ე. ი. შთამომავალნი) *დაფანჩულის* გვარს ატარებენო.

ყოველივე ზემოთქმული იმას არ ნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში საქართველოში ახალი გვარსახელები და, მათ შორის, თავადაზნაურული გვარები არ წარმოიქმნებოდა: ხდებოდა ზოგიერთთა აღზევება და ზოგიერთთა დამცრობა. ზოგიერთ გვარს კი ახალი შტო-გვარები გამოეყოფოდა, რომლებიც იურიდიულად ახალ გვარებად ფორმდებოდა. მრავალი ქართული თავადაზნაურული გვარი XIII-XIV საუკუნეებში ჩამოყალიბდა, რაც აღნიშნულ დროს საქართველოში აზნაურთა ფენის სოციალურ მდგომარეობაში მომხდარ მნიშვნელოვან სოციალურ

ცვლილებებს უკავშირდება. ახალ გვარსახელთა წარმოქმნის სოციალური პროცესი მიმდინარეობდა გლეხებშიც, რაც მთელი რიგი სხვადასხვა ფაქტორით იყო განპირობებული. ახალი გვარსახელების წარმოქმნა, უფრო სწორად, ერთი დედა-გვარიდან რამდენიმე შტო-ნაყარი გვარის გამოყოფა ყველა ქვეყნის გვარებისათვის დამახასიათებელი, საერთო მოვლენა იყო. სწორედ ამ თვისებითაც განსხვავდებოდა კლასობრივი საზოგადოების გვარი (გვარსახელი, ანუ მემკვიდრეობითი სახელი) წინაკლასობრივი საზოგადოების გვარისაგან.

რადგან ზემოთ მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილის, დაბალი სოციალური წრის — გლეხების გვარებსაც შეეხებოდა, ორიოდე მაგალითი უნდა მოვიყვანოთ ძველი გლეხური გვარების შესახებაც. *ედილაშვილების* გვარსახელი პირველად საისტორიო საბუთში 1464 წელსაა მოხსენიებული. XV საუკუნის საბუთში გვხვდება რაჭაში მცხოვრები *შერაზადიშვილების* მემკვიდრეობითი სახელი. დილომში მოსახლე *თეთრაძეების გვარი* (ახლა *თეთრაშვილები*) 1382 წლის დოკუმენტში გვხვდება. აქვე 1421 წლის საბუთში დაფიქსირებულია *მზევაძეების* (ახლა *მძევაშვილების*) გვარსახელი. ამავე სოფელში პირველად 1441 წელსაა დასახელებული *გეგელიშვილების* გვარი. დილომსა და ატენში რამდენიმე საუკუნის მანძილზე მკვიდრობდა *თბილელიშვილების* გვარიც. ისინი 1399—1419, 1413 წლების დოკუმენტებში *თბილელისძეებად* არიან ჩანერილები. *თბილელიშვილები* ამ ორ სოფელში გვხვდება 1476–1511, 1559, 1574, 1519–1530, 1647, 1660, 1700 წლების საბუთებში. იმერელი *ბოგვერძეები* პირველად 1259–1293 წლების დოკუმენტში არიან დასახელებულნი, სამცხელი *ბალახაძე-ბალახაშვილები* — XIV საუკუნეში, *გიორგაძეები* — 1329 წელს, *ხორხომელიძეები* და *გომჭოთელიანები* — XIII—XIV საუკუნეების მიჯნაზე, *დევდარიანები* — XIV საუკუნეში. მსგავსი მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს. ოღონდ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: პირველად ამა თუ იმ საუკუნეში რომელიმე გვარის მოხსენიება იმას როდი ნიშნავს, რომ სწორედ მაშინ წარმოიქმნა ეს გვარი. მანამ, სანამ საისტორიო საბუთში მოხვდებოდა, ყველა გვარსახელი წარმოქმნილია და განვითარების საკმაოდ გრძელი გზა ჰქონდა გავლილი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყველა საისტორიო საბუთმა როდი მოაღწია ჩვენამდე, რომელშიც ესა თუ ის გვარსახელი პირველად იყო მოხსენიებული.

ქართული გვარსახელების შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა სვანეთის XIII საუკუნის სულთა მატია-

ნეები. ამ ძეგლში მოხსენიებული გვარები დღესაც იმავე სოფლებში არიან განსახლებულნი, ნაწილი კი დასავლეთ საქართველოს მთისწინეთსა და ბარის ზოლში ჩასახლებულა. ეს გვარებია: *ქალდიანი* (დღეს *ქალდანი*), *დევეარიანი*, *უბილიანი* (დღეს *ვიბლიანი*; შდრ. *უბილავა*), *ცხვიმიანი* (დღევანდელი *ჩხვიმიანი*), *ქელბავიანი*, *გობეჩიანი* (დღევანდელი *გობეჩია*), *აფაქიანი* (დღევანდელი *აფაქია-აფაქიძე*), *ფანჯიკიანი* (დღევანდელი *ფანჯიკიძე*), *ქურდიანი*, *ლიპარტიანი*, *რატიანი*, *ლოლელიანი* (დღეს *ლექსუმში* მოსახლენი), *ნაკვეხელიანი* (ლექსუმში მოსახლე *ლაკვეხელიანთა* წინაპრები), *ბენდელიანი*, *გოგორელიანი*, *სანივიანი*, *ჭაბუკვანი*, *გოშუანი*, *ნაკიანი*, *ჩხუმიანი*, *გულედიანი*, *გურეჩიანი*, *გიგიანი*, *ნიფურიანი* (დღევანდელი *ნიფურია*), *მეიფარიანი*, *მუშუდიანი*, *კვირკველიანი* (დღეს *კვირკველია*), *ჯამბურიანი* (დღეს *ჯამბურია* და *ჯამბურიძე*), *გვარამიანი*, *გაბლიანი*, *ბებიანი*, *ხვერგუანი*, *უშუხვანი*, *ჟორჟოლიანი*, *კახიანი*, *ჯაფარაისძე*, *ხერგვიანი*...

ქართველებს გვარსახელები ოდითგანვე რომ გვქონდა, ეს შესანიშნავად ჩანს „ტბეთის სულთა მატიანის“ უნიკალური ძეგლიდან, რომელიც XII-XVII საუკუნეების მანძილზე დაწერილი მოსახსენიებლების ერთად თავმოყრილი ნუსხაა. ტბეთის საყდარი, სადაც სულთა მატიანის ეს ძეგლი შეიქმნა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში — შავშეთში მდებარეობდა. ტბეთის საყდრის შემწირველნი შავშეთს გარეთაც — კლარჯეთსა და აჭარაშიც იყვნენ. მატიანე მაჭახლის ხეობის სოფლის — ჩიქუნეთის, ჩხუტუნეთის, ევფრატის, ზედვაკის, ხერთვისის — შემომწირველებსაც ჩამოთვლის. XII-XIII საუკუნეების ფენებში ფიქსირებული გვარსახელები დღესაც აგრძელებს არსებობას. მატიანეში მოხსენიებული პირები ძირითადად დაბალი ფენის, გლეხობის წარმომადგენლები არიან. გვარსახელთა მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს შემოგთავაზებთ: *ბეჩიეთი*, *გათენიეთი*, *გიორგაეთი*, *დოლიეთი*, *ვაცაეთი*, *თაფხელეთი*, *მეფუტკრიეთი*, *სირაეთი*, *ცხადაეთი*, *ახალასძე*, *გაბრიჩისძე*, *გათენასძე*, *გიორგასძე*, *გორგასძე*, *დოლოძე*, *ვაცაძე*, *კაკალიძე*, *ლომდერისძე*, *მელაძე*, *ნიქატაძე*, *ქადაგიძე*, *ჩიმაგასძე*, *ძნელასძე*, *ნიქარისძე*, *დვალიძვილი*, *მიქაშვილი*, *ოქოტაშვილი*...

XI საუკუნის მოღვაწეები იყვნენ *ივანე* და *ბიძამისი* — *დავით ჯიბიძეები*; ისინი ჯერ შატბერდში მოღვაწეობდნენ და შემდეგ გადასულან შავ მთაზე.

ქართული გვარსახელების საკითხს ახლა სხვა კუთხითაც უნდა შევხედოთ. მოგვეპოვება დასავლეთ საქართველოს 1904 წლის აღწერა. ამ აღწერით გურიაში *კალანდაძეებისა* და *სიხარულიძეების გვართა* 150-ზე მეტი ოჯახი ცხოვრობდა (*სიხარულიძეები* პირველად XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე „ტბეთის სულთა მატთანეში“ არიან მოხსენიებულნი). გურიაშივე *დოლიძეების* რაოდენობა 135 კომლს აღწევდა. სამეგრელოში არაერთი გვარი იყო, რომელთა რაოდენობაც ერთ ასეულს აჭარბებდა. სამეგრელოს სოფელ ლესიჭინეში *სიჭინავების* 267 ოჯახი მკვიდრობდა. *კვარაცხელიების* რაოდენობა 245 ოჯახს აჭარბებდა. ორასი კომლი იყვნენ *შენგელიები* და კიდევ ერთი ამდენი *შენგელია* იმერეთში ცხოვრობდა. *დანელიები* სოფელ ნაჯახოუში 165 კომლამდე იყვნენ. *გვასალიები* სოფელ ხორში 120 კომლს ქმნიდნენ, *ჭანტურიები* და *შონიები* — 140-ს და ა. შ. ას კომლს აჭარბებდნენ რაჭაში *მეტრეველები*, *კობახიძეები*. 1904 წელს ზემო იმერეთში 170 კომლი *გელაშვილი* მკვიდრობდა, ხოლო ერთი ამდენი ამ გვარსახელის მატარებელი ბორჯომის ხეობაში იყო გადასახლებული. 300 კომლი იყვნენ *კაპანაძეები*. აქედან გამომდინარე, ცხადია, რამდენი თაობისა და რამდენი საუკუნის წარმოქმნილ-წარმოშობილი უნდა ყოფილიყო თითოეული ზემოხსენებული გვარსახელი.

სამეგრელოში გვარების დიდი ხნის არსებობის მიმანიშნებელია XI საუკუნის ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის წარწერა: ეპიგრაფიკულ ძეგლში მოხსენიებულია *გიორგი ქოჩოლავა*. ნებელის (აფხაზეთი) XIII საუკუნის წარწერაში იკითხება სახელი და გვარსახელი — *ლუკა მარტინავა* (ეს ფაქტი იმაზედაც მიუთითებს, რომ თანამედროვე აფხაზეთის სამხრეთი XI საუკუნეში ქართველებით იყო დასახლებული). ამ მხრივ საინტერესოა ნალენჯიხის ტაძრის წარწერებიც. ერთ-ერთი ასეთი წარწერა გვამცნობს, რომ *ვამეყ დადიანმა* (1384—1396 წლები) კონსტანტინოპოლში მხატვარ *მანუელ ეგენიკოსის* მოსაყვანად გაგზავნა ორი ბერი: *ანდრონიკე გაბისულავა* და *მახარებელ ქვაბალია*. ესაა ერთ-ერთი ბედნიერი შემთხვევა ქართული გვარსახელების XIV საუკუნეში მოხსენიებისა. ამ გვართა წარმომადგენლები დღესაც ცხოვრობენ სამეგრელოში.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ კიდევ ერთი გვარი — *ფხოველიშვილი* (მკვიდრობენ კახეთში). ეს გვარი ტოპონიმურ ქართულ გვარსახელთა რიცხვს მიეკუთვნება. უდავოა, რომ გვარს საფუძველი ჩაუყარა ფხოვიდან მიგრირებულმა პიროვნებამ. ცნობილია, რომ XV საუკუნიდან ისტორიული ფხოვის

ტერიტორია მოიხსენიება ფშავად და ხევსურეთად. აქედან გამომდინარე, *ფხოველიშვილების* გვარი შეიძლება მხოლოდ XV საუკუნემდე წარმოქმნილიყო. თუ რამდენად ძველია ქართულ გვარსახელთა უმეტესობა, შეიძლება ამის დამადასტურებლად ორიოდე მაგალითი მოვიყვანოთ ხევიდან. ხევში ერთ-ერთი ძველი და ყველაზე დიდი გვარია *ლუღუშაურების* გვარი. *ლუღუშაურების* გვარსახელი დასახელებულია 1439 წლის „გერგეტის მატთანეში“. იმავე ძეგლში მოხსენიებულნი არიან *ბადაძეები*, რომლებიც ამჟამად *ბადაშვილებად* იწოდებიან.

ქართული გვარი რომ ძალიან ძველი და ისტორიის სიღრმეში წარმოქმნილი სოციალური ერთეულია, ეს კარგად ჩანს ეთნოგრაფიული მონაცემებითაც. გვარები ჩვენში საქორწინო ურთიერთობას აწესრიგებდა. ერთი გვარისანი, რომლებიც ერთი წინაპრისაგან მომდინარეობდნენ, ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ. ამას მოითხოვდა ქართული წეს-ჩვეულება, ტრადიცია, მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია შვიდი თაობის შემდეგ დაქორწინების ნებას რთავდა. იმდენად დიდი იყო საქართველოში ეკზოგამიურობის ტრადიცია, ჩვენში ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ არა მარტო ერთი გვარის წარმომადგენლები (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იურიდიულად ერთი გვარის მოზიარეებს საერთო წინაპარი არ ჰყავდათ. მაგალითად, *დავითაშვილები*, *პეტრიაშვილები*, *პაპუაშვილები* ერთი გვარია, მაგრამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ხშირად ერთ კუთხეშიც ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არიან წარმოქმნილი), არამედ ხშირად სხვადასხვა გვარისანიც, რომლებიც ერთი სხვა, ადრინდელი, საერთო გვარისგან მომდინარეობენ. მაგალითად, დიდი ხნის წარმოქმნილია შიდა ქართლის სოფელ არანისში მოსახლე *თეთრუაშვილების* გვარი (XVI-XVII საუკუნეების მიჯნა. XVIII საუკუნეში ისინი *თეთრაულად* იწოდებოდნენ). *თეთრუაშვილებმა* გადმოცემით იცინან, რომ მათი ადრინდელი გვარია *ბუჩუკური*, რომელთა წინაპარიც არაგვის ხეობის დაბლობში მთიულეთის სოფელ გვიდაქედან გადმოსახლებულა. ხევსური *სისაურებიდან* (ახლა ისინი ხევსურეთში *ლიქოკელის* გვარს ატარებენ) არიან გამოსული ქსნის ხეობელი *დორეულები* და *მწითურები*. *სისაურებიდან* წარმომავლობენ თიანელი *პატურაშვილები*, *გონჯილაშვილები*, *უშიკიშვილები*... იმდენად ძლიერია ერთი წინაპრისგან მომდინარე ადამიანთა კოლექტიური შეგნება, ნათესაური ერთობის გრძნობა, რომ ისინი ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ. ასეთივე შეგნებისა

იყვნენ ერთი ხატის ყმანიც. ერთი ხატის (სალოცავის) ყმებს შორის ეკზოგამიური აკრძალვები გვქონდა.

საქართველოში გვარების მრავალსაუკუნოვნობის მაჩვენებელია საგვარეულო სასაფლაოები ან სასოფლო სასაფლაოებზე საგვარეულო უბნები. ამა თუ იმ ჯვარ-ხატს მხოლოდ კონკრეტული გვარისანი მოილოცავდნენ. მაგალითები ძალიან ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ: ქსნის ხეობის სოფელ საძეგურში რამდენიმე გვარის ხალხი მკვიდრობდა. პირველ რიგში ისინი ცალ-ცალკე, უბნების მიხედვით იყვნენ განსახლებულნი და, რაც მთავარია, სალოცავებიც თავ-თავიანთი ჰქონდათ: „*კობათ ხატი*“, „*მილათ ხატი*“, „*გიგაურთ ხატი*“, „*კაშაურთ ხატი*“ და სხვა, რომლებიც *კობაურების, მილაძეების, გიგაურების, კაშაურების* სალოცავები იყო. შესაბამისად, საგვარო სალოცავებთან იყო საგვარო სასაფლაოებიც. საგვარო სალოცავები გვქონდა სამეგრელოშიც. მაგალითად, სოფელ სეფიეთში არის „*მეიეფეში ნაოხვამუ*“ — *მელიების გვარის* ჯინჯი (ძირი) სალოცავი. იშვიათი გამონაკლისის გარდა, მკაცრად ეკზოგამიური იყო გვარი საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში.

საქართველოში გვარსახელების დიდი ხნის ისტორიის დამადასტურებელია აგრეთვე კომონიმები (სოფლის სახელები), რომლებიც გვარების სახელს ატარებდნენ. იგულისხმება, რომ ასეთი სახელწოდების მქონე სოფლები ძირითადად იმ გვარით იყო დასახლებული (საწყის ეტაპზე მაინც), რომელთა სახელსაც სოფელი ატარებდა. ამ თვალსაზრისით, უაღრესად ბევრის მომცემია ივრისა და არაგვის ხეობათა გარდამავალი ზოლი. ერნოთიანეთში XVIII საუკუნის დასაწყისში არსებობდა სოფელი **თანგათკარი**. ამ დროს თანგათკარში *თანგიაშვილების* მხოლოდ ერთი ოჯახილა ცხოვრობდა. ეს სოფელი ამ სახელწოდებით დღეს აღარ არსებობს. ერნოში იყო სოფლები **ბოროტაძეები, მაკუჭაძეები, ჯილაურნი, დევენანთკარი (დევენანთხევი), ნადირანთკარი, ბერაკანთკარი, ჯოთენურნი, ჩეკურნი** (დღევანდელი **ჩეკურანთკარი**. ცხოვრობდნენ *ჩეკურაშვილები*), **ლაფანანთკარი** (*ლაფანაშვილები* ამ სოფელში 1460 წელს, XVI საუკუნის მეორე ნახევარში, 1660 და 1689 წლებში არიან დასახლებულნი), **ბულაჩაური**. თითქმის მთელი საქართველო მოფენილი იყო გვარსახელური წარმოშობის კომონიმებით. ასეთ ტოპონიმებს მეცნიერები ანთროპოკომონიმებს უწოდებენ. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც წერდა, რომ „...უძველეს ხანაში თა-

ვისდათავად, იბადება აზრი, რომ მოსახლეობაც საქართველოში გვაროვნებათა მიხედვით უნდა ყოფილიყო დაშენებული“, თუმცა ასეთმა, ე. წ. მონოგენური დასახლების სოფლებმა ჩვენს დრომდეც მოაღწია.

ქართულ მეცნიერებაში ისიცაა შენიშნული, რომ სვანეთში მონოგენური დასახლების რღვევა საკმაოდ ადრე დაიწყო. თავისთავად ცხადია, ეს სოციალური პროცესი ბარში ბევრად უფრო ადრე განხორციელდა. მიუხედავად ამისა, როგორც აღვნიშნეთ, ერთი გვარით დასახლებული სოფლები (მით უმეტეს, გვარის სახელის მატარებელი კომონიმები) გვიან პერიოდამდე არაერთი შემოგვრჩა. 1781 წლის მთიულეთის აღწერაში შეტანილია სოფლები: **ბენიანთკარი, ბეგოთკარი, მიდელაანთკარი, სვიანანთკარი, ციხიანთკარი, შარუმიანთკარი, ზაქათკარი, კაიშაურთკარი, ჯალუმიანთკარი, სეთურთკარი, ჭიკათკარი, ამირთკარი, ქავთურთკარი...** რომლებშიც, შესაბამისად, *ბენიანიძეები, ბეგოიძეები, მიდელაურები, სვიანანიძეები, ციხიშვილები — ციხიურები, შარმაიძეები, ზაქაიძეები, კაიშაურები, ჯალმაიძეები, სეთურიძეები, ჭიკაიძეები, ამირიძეები და ქავთარაძეები* მკვიდრობდნენ. არაერთი ანთროპოკომონიმი შეიძლება დავასახელოთ შიდა ქართლიდანაც. XVI საუკუნის საბუთით, ქვემო ქართლში იყო სოფლები **ბუჟღულეთი და აბრამეთი**, რომლებშიც, შესაბამისად, *ბუჟღულაშვილები და აბრამიძეები* მოსახლეობდნენ. გვარსახელის სახელწოდების მქონე კომონიმებით მოფენილი იყო დასავლეთი საქართველოც. იმერეთიდან შეიძლება დავასახელოთ: **საკობაძეო, დვალისშვილები, კიკნაველეთი, მახარათუბანი, კენჭაშვილები, თაბაგრები, ნებიერეთი...** მთიანი აჭარის კომონიმიდან: **ვაშაყმაძეები, მახარაშვილები, მეკეიძეები, ხოზრევანიძეები, შავაძეები, აბულაძეები, გობაძეები, მელაძეები, ირემაძეები, მგელაძეები, ინწკირველები, ხაბელაშვილები, ხალვაშები...** სამეგრელოში გვარის სახელის მატარებელი ოიკონიმები ბევრი გვაქვს. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს ჩამოვთვლით: **სამიქავო, საკაჭარავო, საბოკურჩავო, საგვაზო, საელიავო, ლეხაინდრავო, ლეძაძამე, საჩიქობაო, სახარბედიო, საღვამიჩაო, საქორქიო, სანულისკირო, ლესიჭინე, ლენურნუმე, ლეჯიქე...** სულ ახლახან ლაზეთში, ვინეს მიდამოებში ასეთი ანთროპოკომონიმები დავადასტურეთ: **პეტრესკირი და კვეკვესკირი, ანდრიაში. პ. ცხადაია** მთიან სამეგრელოში ათასამდე ანთროპოტოპონიმი მოიძია და თითქმის ყველა შემთხვევაში ფუძეს წარმოადგენს ადამიანის გვარი. ისიც უაღრესად საყურადღებოა, რომ აქ გვარის სახელით არა

მხოლოდ სოფლის სახელები გვაქვს ნანარმოები, არამედ უბნის სახელწოდებებიც. მაგალითად, სოფელ **კინის** უბნები შემდეგ სახელწოდებებს ატარებს: *ლემირცხვიე, ლედაგანე, ლექუთელე, ლებარამე, ლეკაკულე, ლენიფურე*, რომლებშიც, შესაბამისად, *მირცხულავები, ძაგანიები, ქუთელიები, ბარამიები, კაკულიები* და *ნიფურიები* ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ. უმეტეს შემთხვევაში ასეთი ტოპონიმების დათარიღებაც ხერხდება, მაგალითად, 1642 წლის დოკუმენტით, ლევან მეორე დადიანმა მთაწმინდის ხარების ღმრთისმშობელს სოფელ **ლესარეში** შესწირა *ხჭაბაი სარია*. ანალოგიური ტოპონიმები ბევრი გვქონდა ტაოკლარჯეთშიც: **თურმანიძე, ლასურიძე, ხილვაძე, ჯარბიძე, მაჩხატიძე (მაჩხატეთი), ლიონიძე...** ამ მრავალრიცხოვანი ანთროპოკომონიმების მოყვანა საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ქართველებს გვარები (მემკვიდრეობითი სახელები) ძალიან ძველი დროიდან ჰქონდათ.

ქართული მემკვიდრეობითი სახელების საუკუნეების მიღმა წარმოქმნის შესახებ ხელთ გვაქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაცემი. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს მთიანეთში — სვანეთში გვიან შუა საუკუნეების განმავლობაში (XV—XVIII საუკუნეები) ფრიად გავრცელებული იყო თურქული სახელები. თურქოლოგ *მ. ჯიქიას* დასკვნით: „სვანთა გვარებში არ აღმოჩნდა არც ერთი თურქული ლექსემა, თუმცა სვანები ხშირად იყენებენ თურქულ სახელებს“. დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: სვანეთში გავრცელებული ყველა გვარსახელი ადრე შუა საუკუნეებშია წარმოქმნილი.

გვარსახელების წარმოქმნა საქართველოში სხვა სოციალური მიზეზებით იყო განპირობებული. ამ მიზეზების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ქართული ფეოდალური სისტემა მოითხოვდა მემკვიდრეობითი სახელის (გვარსახელის) არსებობას. ქართველ ფეოდალს ყმა გლეხი მამულზე მემკვიდრეობით ეჯდა. მიწაზე მჯდომი გლეხის მამული მემკვიდრეობით გადადიოდა და ამიტომ საჭირო იყო მემკვიდრეობითი სახელი სოციალური ურთიერთობის გასაადვილებლად. ეს მკვეთრად უშლიდა ხელს ქართველ გლეხს ერთი ადგილიდან მეორეზე თავისუფლად გადანაცვლებაში, ერთი მებატონისგან მეორესთან წასვლაში. ფეოდალური პერიოდის კანონმდებლობა იურიდიული პირის ზუსტ განსაზღვრას ითხოვდა. მიწაზე საკუთრებაც მემკვიდრეობით პრინციპებს ემყარებოდა, რამაც ბევრად განსაზღვრა საკუთარ სახელთა სისტემა.

ქართულ საისტორიო საბუთებსა და წყაროებში არაერთგზის გვხვდება ტერმინი „გვარი“ ზუსტად იმ გაგებით, რა შინაარსიც დღეს დევს მასში. აი, ერთი მაგალითი 1477 წლის საბუთიდან: „... ესე მტკიცე ნასყიდობისა სიგელი დაგინერეთ და მოგეცით ჩუენ, *პალატისშვილთა: ნიკოლოზ, ზაალ, ავთანდილ, ბემქენ, დემეტრე* და შვილთა ჩუენთა *რამინ, ერანგი, და ჯანგიშერ* და *ზავრან* და შვილიშვილთა და **მომავალთა გუარისა ჩვენისათა...**“. ამავე საბუთში ვკითხულობთ: „ვინცა და **რამანცა გუარისა კაცმან**, ანუ *ჩუენისა გუარისა კაცმან*, ანუ *სხუისა გუარისა კაცმან* შეცვალოს, რისხვამცა დაუსაბამო ღმერთი...“. **XV საუკუნის ბოლო მეოთხედის საბუთიდან: „...ასრე ვთქუი: ჩემი გვარის კაცი მის დღემჩიგა თათარჩიგა არ დატყვევებულა...“.** ამონაწერი სვანეთის 1503 წლის საისტორიო საბუთებიდან: „...სადამდის სუანეთი იხსენიებოდეს, ან **ჯაფარიძეთა გვარი** იყოს, ან იხსენიებოდეს“. „**ჩუენი გვარის** ცოცხლისა და მკვდრის საქმე ყუელა თქუენთვინ მოგვიბარებია, სეტის ხეო“ (1505—1539 წლები). ერეკლე მეფეს ერევნის ბრძოლაში აზატ ხანის წინააღმდეგ თავისი მეომრებისათვის ასე მიუმართავს: „ასე ყველამ უწყით, რომ სიკუდილის შვილნი ვართ და **ჩვენს გვარსა და სახელს** ორი დღის სიცოცხლისათვის ნუ მოვაყივნებთო“. 1771 წლის საბუთში ვკითხულობთ: „ეს გლეხი კაცი ამასაც ამბობდა, **მე გვართა ზაქარაშვილი არ ვარო, ფარნაძე ვარო**“. ბერი ეგნატაშვილის „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ხოლო ჟამსა ამას იყო *გვარეულად უნდილაძე*, სახელით *დაუთხან* და ესე უფლებდა განჯას, თვით აღზრდილი ყიზილბაშსა შინა“. ჟამთააღმწერელი წერდა: „ხოლო სარგის, დაღათუ ყრმა იყო, არამედ მხნედ იბრძოდა, რამეთუ **გუარისაგან მოაქონდა სიმხნე და მამაცობა მამურ-პაპეულად**“. 1335 წლის გიორგი ბრწყინვალის მიერ შედგენილ „ძეგლის დადებაში“ არაერთხელაა ნახსენები ტერმინი „გვარი“, როგორც მემკვიდრეობითი სახელი: „და თუ **ხევისბერის გუარის კაცი** იყოს...“; „...ნახევარი სისხლი დაუურევოს **მის დიაცის გუარსა** ზედა“.

1621 წლის „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ ვკითხულობთ: „ქ. ნაჟანეურს ერთი ასისტავისეული გლეხი *დოხვადი კონჯარიას* უბოძეთ. ჩვენს დროში ვიცოდით ვერ გაისხიდოდა და იმ გლეხის კაცი თუ ამ **კონჯარიას გვარმან კაცმან** გაყიდოს და კაცმან შეიტყოს და მოსახლეობით არ წაართვას, ჩვენიმც ცოდვა აქუს“. 1794 წლის არზამი წერია: „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი სურა-

მიდამ ფონელებს *ნოზაძეებს* მოგვცეს. ამას მოვახსენებთ: ძველთაგან თქუენი სახასონი ყმანი გახლავართ, **ჩვენი გვარის კაცი** სამოცდახუთი კომლი გახლავართ, ათი კომლი სურამში და ქართლში გახლავართ, სხვა იმერეთსა და ოსმალოში არიან დაფანტული. **ჩვენი გვარის** კაცი მეფე ვახტანგს *ჩხეიძეებისათვის* მიუბარებიათ...“

ქართული საბუთები, რომლებიც მემკვიდრეობით სახელებს — გვარსახელებს ეხება, ასეულობით შეიძლება დავიმონწმოთ. მხოლოდ ერთი დოკუმენტიდან მოვიყვანთ ამონაწერს, რომელიც 1799 წლით თარიღდება. ამ საბუთიდან კარგად ჩანს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ სინამდვილეში, ფეოდალურ ურთიერთობებში მემკვიდრეობით სახელს: „ნასყიდობის წიგნი გავშინჯეთ და **გვარი სულ არ ეწერა** და სახელებიც ნაშლილი იყო და სხვა სახელები იყო ჩანერილი. ჩვენ ამისი სამართალი ასე განვსინჯეთ: თუ წიგნში *გამყიდავის გვარი* ეწეროს და ის ნასყიდობის წიგნი ისე განწყუნილი არ იყოს, ზაალ ველარას შეუვიდოდა. მაგრამ რადგან **არც გამსყიდავის გვარი** სწერია და სახელებიც მოშლილია და ჩანერილი“.

დასაფუძვლების გარეშეც ცხადია, რომ მოყვანილ ციტატებში მხოლოდ და მხოლოდ მემკვიდრეობით სახელებზეა ლაპარაკი. ტერმინ „გვარს“ ნ. ბერძენიშვილი „გორს“ (შემალღებულ ადგილს) უკავშირებდა, თუმცა არის მოსაზრება ტერმინ „გვარის“ ირანული ენიდან შესახებ. ერთი რამ აშკარაა, რომ **ძველქართულში გვარის (გვარსახელის) პარალელური ტერმინი „სახლი“ იყო**. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერდა: „**დასრულდა სახლი ბაღვივაშთა, სახლი განმამწარებელთა...**“. რა თქმა უნდა, „**სახლი ბაღვივაშთა**“-ში **ბაღვივაშთა გვარი იგულისხმება**. ამ ფეოდალური საგვარეულოს გვარი საქართველოს ისტორიაში IX საუკუნიდანაა ცნობილი.

გვარი ქართველთა ყოფაში მტკიცედ რომ იყო გამჯდარი, ამას ლექსად თქმული ერთი ბრძნული გამონათქვამიც ადასტურებს: „ათასად **გვარი** დაფასდა, ათათასად ზრდილობა, // თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია **გვარიშვილობა**“. ასეთი სტრიქონების შემქმნელ ხალხს მემკვიდრეობითი სახელი, რა თქმა უნდა, საუკუნეების წინ ჰქონდა შექმნილი. ვაჟა-ფშაველას ლექსიც შეიძლება გავიხსენოთ: „გვარსა და ნათესავებსა სირცხვილით სჭრიდეს თავებსა“.

ამრიგად, საქართველოში გვარსახელს დიდი ხნის, საუკუნეების ისტორია აქვს. ქართული გვარსახელების არსებობა დოკუმენტურად VIII-IX საუკუნეებიდან დასტურდება, თუმცა, რა

თქმა უნდა, ის ამ დროს არ წარმოქმნილა, მემკვიდრეობითი სახელი (გვარსახელი) ჩვენში უფრო ადრეა წარმოქმნილი. საერთოდ კი, ქართული ეთნოგრაფიული მასალების გააზრებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ **საქართველოში მოხდა უწყვეტი გადასვლა პირველყოფილი გვარისა გვიანდელ გვარში და გვიანდელი გვარისა — გვარსახელში**. ამ უწყვეტი სოციალური პროცესის შესახებ *ნ. ბერძენიშვილს* ადრე ფეოდალური საქართველოს ბარის შესახებ შემდეგი დებულება აქვს ჩამოყალიბებული, რასაც ძნელია რამე დაუპირისპირო: „რაც დრო გადის, ნათლად შესამჩნევი ხდება ტენდენცია: ერთის მხრივ ჩნდება შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლები მეფე-ფეოდალთა მიერ ნაგები (მეფენი, დიდაზნაურნი, მონასტერ-ეპისკოპოსნი), მეორე მხრით კი მრავლდება ყოვლად მარტივი სამლოცველოები... ასეთი სამლოცველო ზოგიერთ სოფელში „ათეულობით“ შეიძლება აღირიცხოს (მაინცდამაინც მათი სიმრავლე ცნობილია) და ეს გარემოება უმთავრესად ორი რამით შეიძლება აიხსნას: სოფელი როგორც ერთიანი ნათესაური გაერთიანება დაიშალა, მცირე გვარებად იქცა. თითოეული ასეთი გვარი თავის სალოცავს იშენებს... სოფლის ძლიერი ტერიტორიული თემი არ ჩამოყალიბდა, ან, უკეთ, თემს ძლიერი გამაერთიანებელი კულტი არ გაუჩნდა, მაგრამ მან ნათესაობით გაერთიანება გვარი, ვერ მოსპო“.

III. 3. ქართულ გვარსახელთა კლასიფიკაცია.

ქართული გვარსახელები, ისევე როგორც სხვა ხალხებისა, შეიძლება დავაჯგუფოთ ძირებისა (ფუძეების) და გვარის სუფიქსების (დაბოლოებების) მიხედვით. აღნიშნული თვალსაზრისით ქართული გვარსახელები ძირითადად დაჯგუფებულია (*ზ. ჭუმბურიძე, ი. მაისურაძე*). ამ მხრივ, მხოლოდ ზოგიერთი ნიუანსია დასადგენი; ზოგიერთი რამეც საკამათოა, რაც მეცნიერებისათვის ჩვეულებრივი ამბავია.

§1 კლასიფიკაცია სუფიქსების მიხედვით. სანამ კონკრეტულად შევხებით ქართულ გვართა სუფიქსებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ, მართალია, ქართული გვარების უმეტესობა სუფიქსიანია, მაგრამ **გვქონდა და გვაქვს უსუფიქსო ქართული გვარებიც**, თუმცა უმნიშვნელო რაოდენობით. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ: *აბლაკი* (შიდა ქართლი), *აბიათარი*, *ათაბავი* (აჭარა), *ახალკაცი* (შიდა ქართლი), *ბაზალი*, *ბაზიარი*, *ბურ-*

ძგლა (გურია), *ბუთხუზი*, *გალოგრე* (გურია), *დეალი*, *თხისჭირი* (მეტსახელი უშუალოდ გვარსახელად იქცა. სოფელი მლაშე), *კვატიტი*, *ილარიონი* (მკვიდრობენ ქართლის სოფელ ხოვლეში. თავდაპირველი გვარსახელია *ნუსხელაძე*), *კანდელაკი* (მკვიდრობენ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში), *კროჭი* (იმერელი აზნაურები; **XX** საუკუნეში გვარი შეიცვალეს), *კვიახი* (**XVII** საუკუნეში ცხოვრობდნენ ჩაქვში), *იჩქითი*, *ლაბარი* (სოფელი ხოვლე. 1791 წლის საბუთში ბასილა და მისი ძმა გოგია *ლაბარის* გვართ არიან ჩანერილები, 1792 წელს კი იგივე პირები — *ლაბარიშვილად*. *ლაბარების* ადრინდელი გვარია *ვოგალაძე*), *ლაფაჩი*, *ლაშხი*, *ლომკაცი*, *მარი*, *მესტუმრე* (ლესურის ხეობის სათავეში მდებარე სოფელ ქოლოთის მკვიდრები. ადრინდელი გვარია *გიგაური*. ზოგიერთი *მესტუმრიშვილის* გვარსახელს ატარებს), *მეკონდახე* (ქართლის სოფლები ალაიანი და დოესი. ადრინდელი გვარია *ოქროპირიძე*), *მეჭუკე*, *მენაბდე*, *მენაფორე*, *მებადური*, *მეხუზლა* (გურია), *მუხიგული*, *მემარნე*, *მეგრელი*, *მარტოლეკი* (მცხეთა), *მგლისჯოგი* (მეტსახელი უშუალოდ გვარსახელად იქცა. **XVII** საუკუნეში ცხოვრობდნენ შიდა ქართლის სოფელ (მ)ხურვალეთში), *მელვინეთუხუცესი*, *ოთხმეზური*, *სიმსივე*, *უბერი*, *შერმადინი* (ქსნის ხეობა; ძირად *ქავთარაძეები*), *ჩანადირი*, *ჩოხადარი*, *ციცავი* (მკვიდრობდნენ მეჯუდის ხეობის სათავეში, ისროლისხევის სოფელ ჯავახთას. გვარსახელს საფუძვლად უდევს მეტსახელი „*ციცავი*“. *ციცავს* მოლუშულ, დაღვრემილ ადამიანს ეტყოდნენ), *ცილიკი* (1821 წლის აღწერით ცხოვრობდნენ დუშეთთან, სოფელ თანდილაანთკარში), *მესხი*, *ძურძუკი* (ცხოვრობენ შიდა ქართლის სოფელ მეჯვრისხევეში), *კორტი*, *ხარატი*, *ხარაზი*, *ხაბაზი*, *ხატისკაცი*, *ხიტირი*, *ჯვარისკაცი* (**XVII** საუკუნის შუა ხანების საამილახვროს დავთრით, მკვიდრობდნენ სოფელ სობისში), *ჯოლობორდი*, *ჯავახი*, *ჯალაღი* (არაბულად „მეამბოხეს“, „მმფოთვარეს“ ნიშნავს. ბატონის მოკვლის გამო შეუცვლიათ თავდაპირველი გვარი — *ხმალაძე*. *ჯალაღების* საგვარეულო სალოცავი ყოფილა „ტამის ღვთიშობელი“, წალკის მხარეს. ატენის ხეობაში კი „სახორცეს წმინდა გიორგის“ ეყმობოდნენ). გვაქვს ერთი უსუფიქსო მემკვიდრეობითი სახელიც — *ხელისუფალი*, რომელიც შედგენილი გვარსახელია: „ხელის“+„უფალი“. შინაარსით აღნიშნული გვარის მატარებელნი სოციალურად დაწინაურებული წრის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ისინი ჩვეულებრივი გლეხები, თავად *ავალიშვილების* ყმები იყვნენ. 1781 წლის აღ-

ნერაში შიდა ქართლის სოფელ ბრეთში მოხსენიებულია „ხელი-სუფალი სვიმონ, მამულა, გურგენა“.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებს თუ დავაკვირდებით, აშკარად შევნიშნავთ, რომ უსუფიქსო გვარსახელებად იქცა ერთ შემთხვევაში სახელი (მეტსახელი), მეორე შემთხვევაში — პროფესიის სახელი, მესამე შემთხვევაში — ფიზიკური ნიშან-თვისების აღმნიშვნელი სახელი, მეოთხე შემთხვევაში კი — ეთნონიმის ან ეთნოგრაფიული ჯგუფის სახელი. არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთმა სუფიქსიანმა გვარსახელმა სუფიქსი დაკარგა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: *ახალკაციშვილი, მელვინეთხუციშვილი, მდივნიშვილი...; შერმადინი, ილარიონი*, რა თქმა უნდა, პირდაპირ გვარსახელად ქცეული პიროვნული სახელები ადამიანის ფიზიკური ნიშან-თვისებების გამომხატველია: *ბუთხუზი, კვატიტი* (თავმრგვალის სინონიმია), *კროჭი* (კოლოფის, ზანდუკის აღმნიშვნელია. იმერხევში კროჭს ხის ვედროს უწოდებდნენ, რომელშიც ძირითადად ყველის სახეობას — ფშვნილაის ინახავდნენ), გვარად ქცეული ჩაჩანთა აღმნიშვნელი ძველი ქართული ეთნონიმია *ძურძუკი*, ხოლო *მესხი, ჯავახი, მეგრელი, დვალი* ქართველთა ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულთა სახელწოდებებია. ამ გვარსახელთა მატარებელნი პირდაპირ მიუთითებენ, რომ გვარის საფუძვლისჩამყრელი წარმოშობით იყო საქართველოს აღნიშნული ისტორიული „ქვეყნიდან“.

ქართულ გვარსახელთა ორიგინალურობა მათი ფორმანტების მრავალრიცხოვნობითაც გამოიხატება: *-ძე, -შვილი, -სკირი, -იან (-ან), -ია (-აია), -ა (-ვან, -უა, -ა-ვა), -ვან, -ურ (-ულ), -ელ, -ში (-იშ), -არ, -ჭკორი, -ყვა, -ტი*, ისტორიული და დღეს ხალხურ სასაუბრო ენაში შემორჩენილი *-ათ (-ეთ)*. აგრეთვე მდებდრობითი ფუნქციის მქონე *-ფხე (-ხე)*. ზოგიერთი მეცნიერი ქართული გვარების მრავალრიცხოვნობას ქართველთა ეთნოტომობრივი სიჭრელით ხსნის. ეს მოსაზრება არ არის მართებული. ქართულ გვარსახელთა სუფიქსების მრავალფეროვნება ძირითადად ქართული ენის მრავალფეროვანი შესაძლებლობებით აიხსნება. ისინი ძირითადად კრებითობის, კუთვნილებისა და სადაურობის გამომხატველნი არიან. მათ ერთი დატვირთვა და შინაარსი (ფუნქცია) აქვთ. ამასთანავე, ქართული გვარების მრავალრიცხოვანი სუფიქსები იმის დამადასტურებელიცაა, რომ ისინი საკმაოდ დიდი ხნისანი, ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში, საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზეა წარმოქმნილი. ყველა სუფიქსი, რომლებიც გვარსახელ-

თა დაბოლოებებადაა გამოყენებული, საერთოა ქართული ენობრივი ერთობისათვის.

ხშირად მიაჩნიათ, რომ *-ძე* სუფიქსი დასავლურქართული გვარებისათვისაა დამახასიათებელი, *-შვილი* კი აღმოსავლურქართულისათვის. საისტორიო და ეთნოგრაფიული მონაცემებით ეს არ დასტურდება. დღეს შეიძლება *-ძე* სუფიქსს პრიორიტეტი დასავლეთ საქართველოში აქვს მოპოვებული, *-შვილს* კი აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ ისტორიულად აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოშიც პრიმატი *-ძე* ფორმანტს ჰქონდა მოპოვებული. დღეს თუ *-შვილი* და *-ძე* სუფიქსები სახელებს სახელობით ბრუნვაში დაერთვის, თავდაპირველად, **ადრე შუა საუკუნეებიდან მოყოლებული თითქმის XVIII საუკუნის ბოლომდე გვარსახელში სახელი ძირითადად ნათესაობით ბრუნვაში იდგა.** მრავალი გვარსახელი, დღეს რომ *-შვილ* სუფიქსს ირთავს, თავდაპირველად *-ძე* სუფიქსით იწარმოებოდა. მაგალითად, სოფელ დილომში დღეს მოსახლე *თეთრაშვილები* და *მძევაშვილები* XVIII საუკუნემდე *თეთრაძეები* და *მძევაძეები* იყვნენ. მცხეთის საყდრიშვილები — *მალალაშვილები* თავდაპირველად *მალალაძეები* იყვნენ. XVII საუკუნეში ეს გვარი ორი ვარიანტით: *-ძე* და *-შვილი* სუფიქსებით არის წარმოდგენილი, XVIII საუკუნეში კი საბოლოოდ *მალალაშვილი* დამკვიდრდა. 1700 წლის დოკუმენტის ერთ საბუთში ერთი და იგივე პირი ფიქსირებულია *ჭილიკაძე* და *ჭილიკაშვილადაც*. ცოტა უფრო ადრინდელ საბუთში ვხვდებით *თევდორე რაზმიშვილს* და *თევდორე რაზმაძეს*. საისტორიო საბუთებში ასეთი წყვილებიც გვხვდება: *ვილაშვილი* — *ვილაძე* და *ბლუაშვილი* — *ბლუიძე*, *ჯინჭარაძე* — *ჯინჭარაშვილი*. *-ძე* და *-შვილი* სუფიქსები ძირითადად ეპონიმურ, პროფესიულ და ეთნონიმურ გვარსახელებს აწარმოებს.

მამაკაცის სახელებს ერთვის სხვა ქართული სუფიქსებიც: *-იან (-ან)*, *-ურ (-ულ)*. *-იან*, *-უან*, *-ვან (-ოვან)* სუფიქსებს ირთავდა აგრეთვე სამეგრელოში დღეს გავრცელებული გვარსახელები. აქაურმა გვარებმა ბოლო „ნ“ თანხმოვანი დაკარგა საკმაოდ დიდი ხნის წინ და მივიღეთ *-ია (-აია)*, *-უა* და *-ა (-ვა)* სუფიქსები. რამდენიმე მეგრულ გვარს აწარმოებს *-სკირი* სუფიქსი, რაც ქართულ *-შვილს* შეესატყვისება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ *-იან (-ან)* ფორმანტი დღეს თუ გვარსახელებს ძირითადად სვანეთსა და ლეჩხუმში, ნაწილობრივ რაჭასა და სამეგრელოში აწარმოებს, თავდაპირველად, VIII საუკუნემდე ეს სუფიქსი გვარსახელებს აწარმოებდა საქართველოს ყველა კუთხეში (იგივე შეიძლება ითქვას *-ურ (-ულ)* და *-ეთ (-თ)* სუფიქსე-

ბის შესახებაც). ს. ჯანაშია შენიშნავდა, რომ გვარსახელის -იან (-ან, -უან) სუფიქსიანი ფორმა ფართოდ იყო გავრცელებული ძველად საქართველოს ყველა კუთხეში „და იგი აქ ფეოდალიზმმა (ფეოდალურმა ინდივიდუალიზმმა) ამოაგდო, როდესაც, კერძოდ, ფეოდალური საკუთრება საბოლოოდ დამკვიდრდა“. განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებში -იან (-ან) ფორმანტს ისეთივე დატვირთვა და შინაარსი ჰქონდა, როგორც -ძე და -შვილი სუფიქსებს. ამრიგად, აღნიშნული სუფიქსი საერთო ქართულ-ქართველური სუფიქსია და არა მხოლოდ მისი ერთი რომელიმე მხარისათვის (პროვინციისათვის) დამახასიათებელი. შუა საუკუნეების ქართულ საბუთებს თუ დავაკვირდებით, იმასაც აღმოვაჩინოთ, რომ ხშირად ერთსა და იმავე გვარში -შვილი და -იან სუფიქსები ერთმანეთს ენაცვლებოდა. ერთ საბუთში ერთი გვარი ხან დედაბრიანად და ხან დედაბრიშვილად იყო ჩანერილი. აღმოსავლეთ საქართველოს ხალხურმა სამეტყველო ენამაც გვარსახელებში -იან (-ან) ფორმანტი დღემდე შემოინახა. ამ ფაქტის შესახებ ჯერ კიდევ ადრე მიუთითა გიორგი ჩიტაიამ, რომელიც წერდა, რომ ქართლში „იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ერთი გვარით გაშენებული სოფელი, რომლის სახელი მასში მოსახლე გვარის სახელიდანაა შექმნილი და როგორც თვით გვარის, ისე სოფლის სახელიც -იან სუფიქსითაა გაფორმებული“. იგივე მოვლენა ასახულია XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრებში (აგრეთვე სხვა საბუთებში), როდესაც მოსახლენი ნაცვლად უთნელიშვილისა, ძელყორაშვილისა, ბასიკაშვილისა, მახარაშვილისა, დვალიშვილისა, ყველაშვილისა, ოდიშვილისა, ჩანერილნი არიან -იან (-ან) სუფიქსიანი გვარებით: უთნელიანი, ძელყორიანი, ბასიკანი, მახარანი, დვალიანი, ყველიანი, ოდიანი. 1537 წლის წიგნში დასახელებულნი არიან სვეტიცხოვლის ქადაგის გედეონ მაღალაძე/მაღალაშვილისათვის მეფის მიერ სოფელ გაჟღოტში შეწირული ოცი კომლი ყიზილაანი, ჩხუპიანი, პავლაანი და შურიანი. 1623 წლის ერთ საბუთში გოგიაშვილები გოგიალან-ის ფორმით არიან ჩანერილები. 1568 წლის საბუთში მაყაშვილები მაყაანთ გვარით არიან ჩანერილები. 1818 წლის კამერალური აღწერის დავთარში ერნოს სოფელ საყდრიონში ოჯახის უფროსები ასე არიან ჩანერილი: დავითო თოფჩიანთი, ბერეკო თოფჩიანთი (ე. ი. თოფჩიშვილი. ახლა ნიკლაურის გვარს ატარებენ. მიმართვისას კი ისევ ადრინდელ მემკვიდრეობით სახელს გამოიყენებენ, მაგალითად, „თოფჩიანთ ნინა“), გიორგი სიმონაანთი (სიმონიშვილი), ხახა მარაანთი (მარაული), ქიტია ნაცვლიანთი (ნაცვლიშვილი), მოსე გონჯილაან-

თი (გონჯილაშვილი), დავითო პატურანთი (პატურაშვილი), ვაგრანეთსა და ვეძათხევში: ლევა მამალანთი, ბაბხო ფეტვიანთი, ნადირა ფეტვიანთი, როსტომ და გუთია ორტოლანთი, თევდორე პაპიანთი. 1833 წლის სოფელ ქაისხევის საეკლესიო გლეხების აღწერაში პაპიაშვილები პაპათის ფორმით არიან ჩანერილები, მაგალითად: გიორგი ესტატეს ძე პაპათი. რაც შეეხება სამხრეთ საქართველოს (სამცხე), აქ ხალხურ სამეტყველო ენაში ოფიციალურად -შვილით ნაწარმოებ გვარებს ერთ-ერთი უძველესი სუფიქსი (-ათ, -ეთ) ცვლიდა. თამარაშვილის, პეტაშვილის, იველაშვილის ნაცვლად იტყოდნენ თამარათი, პეტათი, იველათი. ასევე იყო ხევში: ბულაშვილი/ბულეთი, ქუმაშვილი/ქუშეთი, სუჯაშვილი/სუჯეთი... ქართლსა და კახეთში დღესაც კი, როდესაც სასაუბრო ენაში გვარს ახსენებენ, ჩვეულებრივ, პავლიაშვილის ნაცვლად იტყვიან პავლიანი. ამრიგად, ფაქტობრივად, არსებობდა გვარსახელის ოფიციალური და არაოფიციალური ფორმები.

ისტორიულად ფრიად პროდუქტიული ჩანს -ეთ სუფიქსი, მაგალითად, „ტბეთის სულთა მატთანემი“ -ძე ფორმანტის შემდეგ ყველაზე პროდუქტიულია -ეთ ფორმანტი, რომელიც მეორე ადგილზეა და აჭარბებს -შვილი სუფიქსით ნაწარმოებ გვარებს, აღნიშნულ ძეგლში ხშირად -ძე და -ეთ სუფიქსები ერთმანეთს ენაცვლება. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამავე ძეგლში დამონშებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი გვარსახელი: გათენეთი — გათენასძე, გიორგათი — გიორგაული, გოგლაეთი — გოგალასძე, გუნდარეთი — გუნდარი — გუნდარიძე, დოლიეთ — დოლისძე, ვაშანეთი — ვაშანისძე, თევთიეთი — თევთისძე — თევთიური, კანჯარეთი — კანჯარასძე, კვირიკათი — კვირიკასძე, მეფუტკრიეთი — მეფუტკრისძე, როსტომეთი — როსტომისძე, სამუელეთი — სამოელისძე, ცანდაეთი — ცანდასძე. აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი სუფიქსის შესახებ, რომელიც მხოლოდ „ტბეთის სულთა მატთანემი“ გვხვდება. ესაა -ყი (-აყი) სუფიქსი: შავჩიტყი, მორთულ-აყი, ჩუფახის-აყი. ორ მათგანს -ძე ფორმატიანი პარალელური ფორმა გააჩნია: შავჩიტისძე, მორთულასძე.

ტაო-კლარჯეთის ქართულ მოსახლეობას, ისევე როგორც თურქეთის ყველა მოქალაქეს, აქვს სახელმწიფოსგან მიცემული თურქული გვარი, მაგრამ თითქმის ყველას ახსოვს თავისი ქართული გვარი. დავასახელებთ რ. გუჯეჯიანის მიერ ტაოში დადასტურებულ ქართულ გვარებს: კოდედიანნი, კავლიანნი, უნუხიანნი, მუსიანნი, კოჩელიანნი, ზურნები, ისმაილოლიან-

ნი, ასიმოიანნი, ხოხაეზი, ქელექები, კალაიჯიანნი, ხაილანნი, აილიანნი, ევბიანნი, ამალიანნი, ხოჯიანნი, მოლიანნი, ისმელიანნი, ომერიანნი, აჭარიანნი/აჭაროლლი, რომელთა ერთ შტოს დევძიებს ეძახიან, ფესტილოლლი/ჩირაძე, კარჩხლიანნი, ხიტინანი, ყანთაროლლები, ბოცები, კულუანები, ქანდარიანნი, ქელიანნი (ბურსაშილა ცხოვრობენ), მახასიანნი, ბაბალოლიანნი, ჭიკვაანნი, თერძები, უბუანნი, ყავაზები, ხალიანნი, კოვლიანნი, მამულიანნი, კოდათიანნი, ონუჭიანნი... ტაოელი მთხრობლები აღნიშნულ ანთროპონიმთა შესახებ აღნიშნავენ: „ეს დევძებიდან (ე. ი. პაპებიდან — რ. თ.) მოსული სახელებია“. ნათესაური გაერთიანების მემკვიდრეობითი სახელების სანარმოებლად თითქმის იგივე სუფიქსები (-ან, -ებ, -ან+ებ) ქონდათ თანამედროვე საინგილოში (აღმოსავლეთი კახეთი, კაკ-ენისელი) მკვიდრ ქართველებს: ბაბუჭიანები, ცრიფიანები, ჭილიანები, ალასიანები, ბერიანები, ყიყლიანები, ქორფაანები, ვასანები, ჩიტინანი, ირემაანები, ციციანები, ვაგანები, ჭირკანები, კანანები, ზუბელანები... აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საინგილოში საგვარეულოს აღნიშვნელი ტერმინი იყო „ნაყაფსახელი“. სამართლიანადაა შენიშნული, რომ „ნაყაფსახელით“ შეიძლება აღდგენილ იქნეს საინგილოში დაკარგული და დღეს მივიწყებული ბევრი ქართული გვარი“ (ა. ასრათოვ-ომარაშვილი).

თავდაპირველად ასევე -იან (-ან) ფორმანტიანი გვარები იყო გავრცელებული სამეგრელოშიც. სიმონ ჯანაშიამ დაასაბუთა და არაერთი ქართული საისტორიო საბუთითაც დასტურდება, რომ დღეს სამეგრელოში -ია, -უა და -ა (სალიტერატურო ქართულ ენაში -ვა-დ რომ გამოითქმის და იწერება) სუფიქსებით დაბოლოებული გვარები თავის დროზე -იან (-ან, -უან) სუფიქსებით იყო გაფორმებული. დროთა განმავლობაში (საკმაოდ ადრე) ამ გვარებმა ნ თანხმოვანი დაკარგეს და ნაცვლად კვარაცხელიანისა მივიღეთ კვარაცხელია, აფაქიანისა — აფაქია (აფაქიძე), გაბუნიაანისა — გაბუნია, კაჭარანისა — კაჭარაა (კაჭარავა), ცავანისა და ცავანიაანისა — ცავა, გოშუანისა — გოშუა, ბაბლუანისა — ბაბილუა, უბილიანისა — უბილაა (უბილავა), გობეჩიანისა — გობეჩია, ქარჩიანისა — ქარჩაა (ქარჩავა), სტეფანიანისა — სტეფანია, გუარამიანისა — გვარამია, რუსიანისა — რუსია, ცანიანისა — ცანაა (ცანავა), ნიფურიანისა — ნიფურია, ბოკერიანისა — ბოკერია, ჭითიანისა და ჭითანისა — ჭითაა (ჭითავა), ხაზალიანისა — ხაზალია, კვირკველიანისა — კვირკველია, კორძიანისა — კორძია, ჯამბურიანისა — ჯამბურია/ჯამბურიძე... ჯოხიანები, ფანჯიკიანები, მჯაფარიანები იქ-

ცნენ *ჯობაძეებად, ფანჯიკიძეებად, ჯაფარიძეებად*. გვაქვს გვარსახელები: *ჩხეტიანი და ჩხეტია, რატიანი და რატია, ნულუკიანი, ნულუკია და ნულუკიძე*. XVI-XVII საუკუნეების ოდიშის საბუთებში სალიტერატურო ქართულში -ვა სუფიქსით გადმოცემული გვარები ხან მხოლოდ -ა სუფიქსითაა წარმოდგენილი, ხან კიდევ ორივე ვარიანტით: *გვაზაა (=გვაზავა), გრიგოლა (=გრიგოლავა), ჯიტა (=ჯიტავა), ფათხაა და ფათხავა*. ერთ-ერთ დოკუმენტში ერთი გვარის წევრები ორივენაირად არიან ფიქსირებულნი: *ფათხავა და ფათხაა*. სამეგრელოში გავრცელებული გვარსახელების სუფიქსების შესახებ, არცთუ უსაფუძვლო ის მოსაზრებაც არის გამოთქმული (ჯ. ონიანი), რომ აქ ყველა მემკვიდრეობითი სახელი -ა სუფიქსს ირთავს და არა -ია სუფიქსს. გვარებში *ბედი-ი-ა, ჩხეტი-ი-ა და სხვ.* (ისევე როგორც *ბედი-ი-ანში* და *ჩხეტი-ი-ანში*), ი ხმოვანი ფუძისეულია და არა სუფიქსის ნაწილი. ანალოგიურად სვანეთში გავრცელებული გვარსახელების სუფიქსი არის არა -იანი, არამედ -ანი. -ან სუფიქსიან ქართულ მემკვიდრეობით სახელებს შორის გვაქვს ერთი გვარსახელი — *ჭუჭყიანი* (ამილახვრის გლეხი „ჭუჭყიანი ბერუა და ამისი ძმა გოგია“ XVIII საუკუნეში შიდა ქართლი სოფელ ფხვენისშია მოხსენიებული), რომელიც საკუთარ სახელზე ფორმანტის დართვით არ არის მიღებული. ამ შემთხვევაში ზედსართავი სახელი ჯერ მეტსახელად და შემდეგ გვარსახელადაა ქცეული.

ზოგიერთ ქართულ გვარსახელს ორმაგი სუფიქსი აწარმოებს. გარდა იმისა, რომ მოგვეპოვება -*დე+შვილი* ფორმანტიანი გვარები, გვაქვს აგრეთვე -*ანი+დე* და -*ანი+შვილი* სუფიქსიანი გვარებიც: *ლორთქიფ-ანი-ი-დე, ნიშნი-ანი-ი-დე, ქაფიანი-ი-დე, დავლიანი-ი-დე, გელოვნი-ი-შვილი*. თავდაპირველი ფორმა აღნიშნული გვარსახელებისა იყო: *ლორთქიფანი* (*ლორთქიფანიძეები* იმერეთში სვანეთიდან არიან მიგრირებულნი), *ნიშნიანი, ქაფიანი, დავლიანი, გელოვანი*. როდის უნდა შექმნილიყო ეს ფორმები? ვფიქრობთ, საკმაოდ დიდი ხნის წინ, როდესაც -*დე* სუფიქსი საყოველთაო მოვლენა გახდა. ზოგიერთ გვარსახელში მან -იანი (-ანი) ფორმანტი საერთოდ გამოაძევა, მას ჩაენაცვლა, ხოლო ზოგიერთში კი არ გამოუძევებია, არამედ პირდაპირ დაემატა არსებულ სუფიქსებს.

ქართულში გამოყოფენ -*სანი* სუფიქსიან გვარსახელებსაც: *ნილო-სანი, ვარდო-სანი-დე*. 1904 წლის ცხენისწყლის ხეობის სვანეთის — ლაშხეთის თემის აღწერაში დადასტურებულია ასეთი ტიპის კიდევ ორი გვარსახელი: *ბუჭუსანი* და *თათაისანი*. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს -*ანი* სუფიქსთან.

„ს“ ამ გვარსახელებში ფუძისეულია და თავდაპირველად ინდივიდუალურ სახელში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი იყო. ანალოგიური ნათესაობითბრუნვიანი ასეთი სახელები ზემოთ გვექონდა მოხმობილი — *გოგისა და იმედისა* (გვექონდა აგრეთვე სახელები: *ბატონისა, ბედისა, გულისა, კეთილისა, კვირისა, მამისა, მთვარისა, მზისა, ფერისა, ჯვრისა*). ამ სახელებისაგან გვარსახელები რომ წარმოქმნილიყო მივიღებდით *გოგისანს და იმედისანს*.

-ელ სუფიქსიანი გვარსახელები სადაურობის ტიპის გვარებს მიეკუთვნება. -ელ ფორმანტი ტოპონიმებს ერთვის. -ელ სუფიქსიანი გვარსახელები ძირითადად საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის შემდეგ არის წარმოქმნილი. მისი ფარდი -არ სუფიქსია. ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანადაა შენიშნული, რომ ამ ფორმანტიანი გვარები ჩნდება VIII საუკუნიდან, როდესაც „ინდივიდის გვარსახელი კოლექტივთან ურთიერთობით კი აღარ ხასიათდება, არამედ აზნაურთა მიერ იმ პუნქტის მფლობელობას უკავშირდება, რომლებიც თავიანთი მხრით შესაბამის ქვეყნებს განასახიერებენ“ (ნ. ბერძენიშვილი). მაგრამ ქართულ სინამდვილეში გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა -ელ სუფიქსიანი გვარები „კოლექტივთან ურთიერთობით“ ხასიათდება. მაგალითად, *ლიქოკელები* ხევსურეთში, ლიქოკში მკვიდრობდნენ, *ჩოხელები* კი გუდამაყრის სოფელ ჩოხის მკვიდრნი იყვნენ. სოფელ გარგარეთიდან მომდინარეობს გვარსახელი *კარგარეთელი* (აზნაურები; 1833 წლის აღწერაში ჯერ კიდევ *გარგარეთელად* ეწერნენ), ბოტკოდან — *ბოტკოველი*, იშხანიდან — *იშხნელი* (საისტორიო საბუთებში დადასტურებულია გვარსახელი *იშხანაურიც*, რომელსაც, რა თქმა უნდა, არა ტოპონიმი, არამედ მამაკაცის სახელი *იშხანი* უდევს საფუძვლად), მაჩხანნიდან — *მაჩხანელი*, ხიდურიდან — *ხიდურელი*, ციხიდან — *ციხისელი*, გლოლიდან — *გლოველი*, კორსავიდან — *კორსაველი*, ყანდაურადან — *ყანდარელი*, ორკოშნიდან — *ორკოშნელი*, ყაყაჩოდან — *ყაყაჩოელი*, ჭიაურადან — *ჭიაურელი*... ამ გვარებს კი აზნაურთა სოციალურ წრესთან არაფერი ჰქონდათ საერთო. ამასთანავე, როგორც ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, ამათგან მხოლოდ *ლიქოკელებისა* და *ჩოხელების* გვარები იყვნენ წარმოქმნილი კოლექტივთან მიმართებით და არა წინაპარ ინდივიდთან (ერთ წინაპართან) დაკავშირებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, *ლიქოკელები* და *ჩოხელები* ერთი საერთო წინაპრისაგან არ მომდინარეობენ. ისინი შეყრილი გვარები არიან. ერთ ხეობასა და ერთ სოფელში მკვიდრობამ

ოთხი სხვადასხვა გვარისანი ერთ გვარში გააერთიანა. აქაც უდავოდ გარკვეულ სოციალურ მოვლენებთან გვექონდა საქმე. გვაქვს სხვა შემთხვევებიც - *ელ* სუფიქსით გვარსახელების წარმოებისა. მიგრანტი თავის ახალ გვარს სათანადო სოფლის სახელზე, საიდანაც ის იყო გადმოსახლებული, - *ელ* ფორმანტის დართვით აწარმოებდა. ასეთი გვარისანი კი შეიძლება სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ. ქართული გვარსახელების განვითარება ისე წარიმართა, რომ ამ - *ელ* სუფიქსიანმა გვარმა მოგვიანო პერიოდში სხვა ქართული სუფიქსებიც დაირთო: *დიღმელაშვილი* (გადასახლებულნი გარე კახეთში სოფელ დიღმიდან. ძირი გვარი *გენებაშვილი*), *მაჩხანელი* (მცხეთა; ადრინდელი გვარი — *ბოსტაშვილი*; გადმოსახლებულან ზემო მაჩხაანიდან), *კოშკელაშვილი* (სოფელ კოშკიდან); *მარტყოფლიშვილი* (ზემო მაჩხაანი; მარტყოფელი *ტაბლიაშვილის* შთამომავალნი); *ჯარიაშენელი* (სოფელ ჯარიაშენიდან, ადრინდელი გვარი — *გოგიაშვილი*); *შილდელაშვილი* (შაქრიანი; ძირი გვარი — *დალიკაშვილი*); *გრემელაშვილი* (შალაური; ძირად — *ძაშუკაშვილი*); *ევრისელაშვილი* (ქვემო ქართლის სოფელ ევრისიდან; ძირი გვარი — *ბერიძე*); *ბოგველაშვილი* (კონდოლი; სოფელ ბოგვიდან გადმოსახლებული *ჩიბუხაშვილის* შთამომავალნი). „მატიანე ქართლისაიში“, XI საუკუნის პირველი ნახევრის ამბების თხრობისას გვხვდება ანთროპონიმი *იოანე ბანელი ხარტულარი*. ხომ არ არის *იოანე ბანელი* ეპისკოპოსის გვარი *ხარტულარი*? სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ასეთი ტოპონიმისმიერი - *არ* სუფიქსიანი გვარები, ჩანს, სხვებიც იყო. მაგალითად, 1516 წლის საბუთში გვხვდება გვარები: *სამძივარი* (ეს გვარი პირველად 1187 წლის თამარ მეფის სიგელშია დასახელებული — *არსენ სამძივარი*). *სლესარი* (მომდინარეობს სოფელ სლესა-დან; *სლესარების* შთამომავალნი უნდა იყვნენ ქართლელი აზნაურები *სრესელები*. საყურადღებოა, რომ 1674 წლის განჩინებაში დასახელებულია *ცლესარი ებიტა*); *ხერთვისარი*, *ხახულარი*. შეადარე გვარსახელები: *თაბაგარი*, *ხოტივარი*, *კოჩივარი*, *კუტივარი* (გალმა ჩუნეშში *კუტივაძეთა* ზოგი წარმომადგენელი *კუტივარად* იწერებოდა 1904 წელს). ამავე აღწერაში *კოჩივ-არ-ის* გვარსახელიცაა დაფიქსირებული. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ლიახვის ხეობის სოფელ ძარნემის აღწერაში დაფიქსირებულია გვარსახელი *კეფარი* („*კეფარი პატარკაცი, ნინია და ბერი*“) „ტბეთის სულთა მატიანეში“ ორი გვარი გვხვდება - *არ* სუფიქსით. ესენია: *წანგ-არ-ი* და *გუნდ-არ-ი* (*გუნდ-არ-ეთ* და *გუნდ-არ-ი-ძე* ფორმებთან ერთად. *გუნდა-*

რეთი და გუნდარიძე ორმაგ სუფიქსიანი გვარებია). ჩანს, ზოგჯერ გვარსახელში -არ სუფიქსს -ერ სუფიქსი ცვლიდა. ამ სუფიქსით იყო გაფორმებული *ლობიერის* გვარი (იერუსალიმის ჯვრის მონასტრის XIV საუკუნის ალაპებში მოხსენიებულია *მურვან ლობიერი*. *ლობიერის* ფორმით გვხვდება XIII საუკუნის საბუთში, ხოლო 1516 წლისაში ჩანერილი არიან *ლობიარის* გვარსახელით). XVII საუკუნის მეორე ნახევრის საამილახვროს დავთარში ნაცვლად გვარსახელისა *საჩალელი* გვხვდება *საჩალერი*. -არ სუფიქსიანი ქართული გვარსახელები ძირითადად იმავე დროს უნდა იყოს წარმოქმნილი, როდესაც -ელ სუფიქსიანი გვარები წარმოიქმნა: ამ ორ სუფიქსს ხომ ერთი დატვირთვა და შინაარსი ჰქონდა.

დაახლოებით ერთ პერიოდში გაჩნდა -ელ, -არ და -ძე სუფიქსიანი გვარები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ზოგიერთ პროვინციაში -ძე სუფიქსი -შვილ ფორმანტმა შეცვალა.

საკუთარ სახელებს ერთვის -ურ (-ულ) სუფიქსიც. *ცისკარაული, ანთაური, ალუდაური, აფთარაული, ბუნტური, გიგაური, გოგოჭური, ქისტაური, იშხანაური, ჯილაური, ლაშაური, კუნელაური* ნიშნავს *ცისკარას, ანთას, ალუდას, აფთარას, ბუნტას, გიგას, გოგოჭასა, ქისტას, ჯილას, ლაშას, კუნელას, იშხანას* კუთვნილს, მათ შთამომავალს (*იშხანაურისაგან* განსხვავებით გვარსახელები *იშხნელი* და *იშხნელიძე* ტოპონიმებისაგან მომდინარეობს). საისტორიო საბუთებით ჩანს, რომ ამ სუფიქსს ხშირად სხვა სუფიქსებიც ენაცვლებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (მთიულეთი, ხევი) XVIII საუკუნემდე -ურ /ულ-ით ნაწარმოებმა ზოგიერთმა გვარმა გვარის მანარმოებელი ფორმანტი -ძე და -შვილ სუფიქსებით შეცვალა. მაგალითად, *არგანაური > არგანაიძე > არგანაშვილი; ბიბილაური > ბიბილაშვილი; ბეჩიაური > ბეჩიშვილი; კედელაური > კედელაშვილი; ოდიაური > ოდიშვილი; გუდიაური > გუდიაშვილი; ავსაჯანიური > ავსაჯანიშვილი; დავითაური > დავითაშვილი; მოთიაური > მოთიაშვილი; ჩოჩოური > ჩოჩო(ი)შვილი, ჯანიაური > ჯანიაშვილი...* 1690 წლის ერთ საბუთში ერთი და იგივე პირი ხან *ესტატე მარინდაულად* არის ჩანერილი და ხან — *ესტატე მარინდაშვილად*. მხოლოდ ერთი მაგალითი გვაქვს პირიქითი პროცესისა, როდესაც -ძე სუფიქსს -ურ სუფიქსი ჩაენაცვლა: *კობაიძე > კობაური*. -ურ (-ულ) სუფიქსიანი გვარსახელების შესახებ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ისინი მხოლოდ ინდივიდუალურ სახელებს ერთვის და, როგორც ზოგიერთ მკვლევარს

მიჩნია, არავითარ შემთხვევაში არ მიუთითებენ სადაურობას, ე. ი. არ ერთვიან ტოპონიმებს.

ასევე კუთვნილების აღმნიშვნელია *-იშ (-ში)* სუფიქსი, რომელიც ძირითადად ლაზების გვარებისათვის იყო დამახასიათებელი. *ტულუში*, ე. ი. *ტულუს* შვილები, მოდგმა. რაც შეეხება *-ჭკორ* სუფიქსს, როგორც *გ. როგავა* აღნიშნავდა, მას ფეოდალიზმის დალი აზის. *ჭკორ* მეგრულად „ყმას“ ნიშნავს, *გეგეჭკორი*, ე. ი. *„გეგეს ყმა“*. 1642 წლის საეკლესიო საბუთში დასახელებულია გვარსახელი *შევიჭკორია*. ეს გვარსახელი ორი სუფიქსითაა ნაწარმოები (*-ჭკორ+-ია*). უმნიშვნელო რაოდენობით გვაქვს გვარსახელები, რომლებიც *-სკირ*, *-ტი* და *-ყვა* ფორმანტებს ირთავს. თავის დროზე აღნიშნული გვარები უფრო ფართოდ იყო გავრცელებული. დღეს ისინი ერთგვარ რელიქტებს წარმოადგენს. *-სკირ* სუფიქსი სამეგრელოში გვხვდება და ის *-შვილ* ფორმანტს შეესატყვისება. შეიძლება გავიხსენოთ: *პაპასკირი*, *ნულესკირი*, *კვეკვესკირი*, *ასკილეისკირი*, *სთეფანესკირი* (1621 წლის საბუთში), *აშუნასკირი* (XV საუკუნის საბუთში), *ბუზასკირი* (1549 წლის დოკუმენტში)... *-სკირ* სუფიქსით გვარსახელები ლაზეთშიც უნდა ყოფილიყო. ამ დასკვნის საფუძველს კი ვინეს თემის სოფლის სახელები — *პეტრესკირი* და *კვეკვესკირი* გვაძლევს. *-სკირის* ვარიანტია *-სკუაც*: *ქორთოსკუა*, *ბერისკუა*, *ნარასკუა*, *ბიძინასკუა* (ოთხივე გვარსახელი 1904 წლის აღწერაშია შეტანილი), *პაპასკუა* (მდრ. *პაპასკირი*). *-ში* ნათესაობითი ბრუნვის აღმნიშვნელია და ის გვარსახელებში გვარის საფუძვლის ჩამყრელისადმი შთამომავალთა კუთვნილებას აღნიშნავს. თავდაპირველად ის მხოლოდ მამისადმი შვილის კუთვნილებას აღნიშნავდა და მხოლოდ შემდეგ იქცა გვარის მანარმოებელ სუფიქსად. *-ში* სუფიქსიანი გვარსახელებიდან შეიძლება დავასახელოთ: *ხალვაში*, *ტულუში*, *ჯაში*, *ვანილიში*, *მემეშიში*, *ანდრიაში*, *ბიბილეიში*. ამავე კატეგორიას მიეკუთვნება უკვე IX საუკუნეში მოხსენიებული გვარი *ბალვაში*. სხვათა შორის, *-ში* ფორმანტიანი გვარსახელები 1721 წლის ქვემო ქართლის აღწერაშიც შეინიშნება. მაგალითად, კრწანისს დასახელებული არიან: *ხერგეში ვარდია*, *ხერგეში დათუნა*, *ხერგეში ჩიტა*, *ვარდისუბანს* — *ჯომუში სეხნია*. ამავე კატეგორიას მიეკუთვნება გვარსახელი *ხავთასი*. *-ტი* და *-ყვა* სუფიქსიანი გვარსახელებიდან შეიძლება დავასახელოთ: *ლლონტი*, *ჯიბუტი*, *ყლენტი*, *ართილაყვა*, *ინგოროყვა*, *ლელეყვა*, *როყვა*. ამ სუფიქსებით გვარები ძირითადად გურიაში გვხვდება. *-ყვა* სუფიქსის ვარიანტად მიიჩნევენ *ქვა* (*კვა*)-ს, რომელიც დაცულია გვარებ-

ში: *ბოლ-ქვა-ძე, თალა-კვა-ძე, სალუ-ქვა-ძე...*, თუმცა ეს შეხედულება ყველა მეცნიერის მიერ გაზიარებული არ არის. საამისოდ, ვფიქრობთ, მათ გარკვეული საფუძველი მოეპოვებათ. *სალუქვაძე*-ში ფუძე უნდა იყოს არა *სალუ*, არამედ *სალუქ*, -*ვან* (ან -*უა*) კი სუფიქსის ნაშთია. სხვაგვარად ვერ ავხსნით, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გვაქვს გვარი *სალუქაშვილი* (მკვიდრობდნენ შიდა ქართლის მთაში, ისროლის ხევის სოფელ ატენში). გვაქვს აგრეთვე გვარსახელი *სალუქაური*. სხვათა შორის, თვით გურული *სალუქვაძეების* წინაპრებიც XVII-XVIII საუკუნეთა საისტორიო საბუთებში *სალუქაძეებად* არიან ჩანერილი. *სალუქი* სპარსულიდან შემოსული სახელია („კობტას, მოხდენილს, ნატიფს“ აღნიშნავს).

ორ -*ბაჲ-ძე* სუფიქსს გამოყოფენ გვარსახელებში: *აბო-ბა-ძე, ბარა-ბა-ძე, დუმ-ბა-ძე, თოთი-ბა-ძე, კაკა-ბა-ძე, ნიქა-ბა-ძე, ჩანჩი-ბა-ძე, ცი-ბა-ძე, ძინძი-ბა-ძე...* ამასთანავე, მიიჩნევენ, რომ პირველი სუფიქსი -*ბა* აფხაზურია, ე. ი. ამ გვარების წარმომადგენლები წარმომავლობით აფხაზები არიან. ლინგვისტური თვალსაზრისით ეს მოსაზრება ლოგიკურია, მაგრამ რეალობის ამსახველი არაა. ჩვეულებრივ, დასახელებულ გვარსახელებს საფუძვლად მამაკაცის სახელები უდევს და სუფიქსად მიჩნეული კომპონენტი (-*ბა*) ფუძისეულია. მაგალითად, გამჭვირვალე ეტიმოლოგიისაა *კაკაბაძის* გვარსახელში ფუძე — *კაკაბა*. ინდივიდუალური სახელი იყო *ციბა-ც*. ასეთი პიროვნული სახელი 1612 წლის საბუთშია დაფიქსირებული. აღნიშნული სახელი, ოღონდ კნინობითი ფორმით — *ციბუნა* 1801 წლის კახეთის აღწერის დავთარშიცაა შეტანილი. საერთოდ, *ბა*-თი დაბოლოებული ინდივიდუალური სახელები ქართულ ენაში ერთი და ორი არ იყო, მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: *ნათობა, ქოცება, ქუბა, უსიბა*.

ქართული გვარსახელების გარკვეულ ნაწილს ფუძედ შედგენილი სახელები უდევს. განსაკუთრებით მხედველობაში გვაქვს ისეთი გვარსახელები, რომელთა ფუძის მეორე კომპონენტს შეადგენს სიტყვა *ბერი*: *ვაჩიბერიძე, თავბერიძე, თუთბერიძე, ლოსაბერიძე, მაცაბერიძე, სულაბერიძე, შლამბერიძე, ჯანბერიძე, ჯოხთაბერიძე, გოგობერიძე* და სხვ. მიიჩნევენ, რომ ამ გვარსახელებში *ბერი* მანარმოებელია და თავდაპირველად ის ისევე ანარმოებდა მემკვიდრეობით სახელებს, როგორც -*ძე* და -*შვილი*, ე. ი. გვქონდა გვარსახელები: *ვაჩიბერე(ი), თავბერე(ი), დოლაბერე(ი)* და ა. შ. განვითარების რომელიმე ეტაპზე კი დაემატა -*ძე* და -*შვილი* სუფიქსები. ეს შეხედულება

გასაზიარებელი არ არის; ასეთი გვარების ფუძეს, ჩვეულებრივ, შედგენილი სახელი წარმოადგენს. ბერი კომპონენტის შემცველი არაერთი ინდივიდუალური სახელი დაფიქსირებულია ქართულ საისტორიო საბუთებში. მაგალითად, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ გვხვდება სახელები: *გოგიბერი, გულაბერი, ედიბერი, თავბერი, ყურაბერი, შალაბერი, ცხადაბერი, ხლანბერი, ჯამბერი...* ამას დღესაც ფართოდ გავრცელებული პიროვნული სახელიც — *კახაბერი* მოწმობს. რაც შეეხება გვარსახელებს *კაკუბერი* და *გალობერი*, ისინი, უბრალოდ, უსუფიქსო ქართული გვარსახელია.

ამრიგად, მრავალრიცხოვანი ქართული სუფიქსები, რომლებსაც ქართული გვარსახელები ირთავს, ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთშია წარმოქმნილი. უძველესი ქართული სუფიქსებია: *-იან (ან), -ურ* და *-ეთ*, რომლებიც ქართულ გვარებს კლასობრიობამდელი პერიოდის გვარებიდან გადმოჰყვანს და, როგორც *ს. ჯანაშია* შენიშნავდა, ისინი ფეოდალურმა ინდივიდუალიზმმა ამოაგდო, როდესაც კერძო საკუთრება საბოლოოდ დამკვიდრდა, რელიქტების სახით კი ისინი მხოლოდ საქართველოს რამდენიმე პროვინციაში შემორჩა. ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად წარმოიქმნა გვარსახელთა ახალი სუფიქსები (*-ძე, -შვილი, -ელ*), რაც ამკარა შედეგი იყო მამაკაცის, მამის უპირატესი უფლებისა სამამულე ურთიერთობებში.

ქართული ენა ერთსა და იმავე გვარსახელის მატარებელ სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლებსაც განასხვავებდა ერთმანეთისაგან. *წერეთლები* იყვნენ თავადებიც და გლეხებიც. შესაბამისად, თავადი თუ *წერეთ-ელ-ი* იყო, გლეხი — *წერეთ-ელ-ა*, აზნაური *ჭყონ-ია* იყო, გლეხი — *ჭყონი-ელ-ა*; თავადები *აფაქი-ძე-ებ-ი* იყვნენ, მაგრამ გლეხის რამდენიმე კომლი *აფაქ-ელ-ად* იწერებოდა.

ქართულ გვარსახელებთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: შუა საუკუნეების ქართლისა და კახეთის საისტორიო საბუთებსა და აღწერის დავთრებში ხშირად მემკვიდრეობითი სახელის ფუძე და სუფიქსი ცალ-ცალკეა წარმოდგენილი. ამავე დროს ფუძე ხშირად ნათესაობით ბრუნვამია. ამ გარემოებამ ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინა, რომ ისინი გვარსახელები არაა და რომ მაშინდელი ოჯახის უფროსები მამის სახელითა და პიროვნული სახელით არიან ჩანერილები. ეს იმის მიმანიშნებელია, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გვარსახელის გარეშე იყო. თუ გულისყურით შევისწავლით საისტორიო დოკუმენტებს და მათ დღევანდელ ვითარებას შევადარებთ,

დავრწმუნდებით, რომ ეს შეხედულება გასაზიარებელი არ არის. მაგალითად, XVIII საუკუნის აღწერის დავთარში დასახელებულია გიორგი კარიჭას შვილი. გიორგი რომ კარიჭას შვილი (ძე) არ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ კარიჭაშვილობა მის მემკვიდრეებზედაც გადავიდა. ქსნის ხეობის 1781 წლის აღწერაში გვხვდება ასეთი ჩანაწერები: ნავროზას შვილი ბერი და გიგა; ნავროზას შვილი გამახარე; გამხიტას შვილი თანდილი; შატაკის შვილი თანდილა, ძაღლია, გლახა; ბუჯიას შვილი ივანე, თამაზი, მახარებელ; ბუჯიაშვილი პეტრე, ღვთისავარ, მუსა. იმავე წლის ხევის აღწერაში გვხვდება: ელოს შვილი გიგა, ივანე; ელოს შვილი ზურაბ და ვაჟკაცა; ჩოფიკას შვილი იესე, ბადურ, გაბრიელ, ელო; ჩოფიკას შვილი იოსებ, ივანე, რუხია. არაგვის ხეობის დაბლობის სოფელ საშაბუროში დასახელებულია ბუჩას შვილი მახარა, სტეფანე, ტონჩა-გრემისხევს — ციგროს შვილი ქიტესა, ზურაბ. XVIII საუკუნეშივე სოფელ მარტყოფში 23 კომლი „გოგილას შვილია“ აღრიცხული: „გოგილას შვილი ხუცია“, „გოგილას შვილი გიუნა“, „ოქრუა გოგილას შვილი“, „ოსია გოგილას შვილი“, „სამუკა გოგილას შვილი“ და ა. შ. ოცდასამი „გოგილას შვილი“ ერთი, ვინმე გოგილას ძე ხომ არ იქნებოდა? შემდეგდროინდელ სხვა საბუთებშიც გოგილაშვილები არაერთხელ არიან მოხსენიებულნი; გოგილაშვილობა შთამომავლებზე მემკვიდრეობით გადადიოდა, ე. ი. ის მემკვიდრეობითი სახელი იყო. ანალოგიური მასალების მოყვანა შორს წაგვიყვანს. ჩამოთვლილი ანთროპონიმები რომ გვარსახელება და არა მამის სახელები, იქიდანაც ჩანს, რომ დასახელებული გვარები წინა პერიოდის საბუთებშიც გვხვდება და მათი მატარებელნი დღესაც იმავე სოფლებში აგრძელებენ ცხოვრებას. საერთოდ, ქართულ ხელნაწერებში გვარსახელთა მართლწერა არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილებოდა. ნათესაობითი ბრუნვის ს-ანიანი ფორმა შეიძლება ორნაირად იყოს ჩაწერილი (მაგალითად, „იმედას შვილი“ და „იმედას შვილი“). იგივე ითქმის შეკვეცილ ს-ანიან გვარებზე: „ჟამუტაშვილი“ და „ჟამუტა შვილი“, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ თავდაპირველი ფორმა გვარსახელის დაწერისა ს-ანიანი ფორმა იყო, რომელიც მხოლოდ გვიან, თანდათან იქნა ხმარებიდან გამოდევნილი. ამდენად, მთელი შუა საუკუნეების საქართველოში გვარსახელის გარეშე თითქმის არავინ არ იყო.

დაბოლოს, გამოთვლილია ქართულ გვარსახელთა რაოდენობა სუფიქსების მიხედვით. ყველაზე გავრცელებულია -ძე და -შვილი სუფიქსიანი გვარები. XX საუკუნის ბოლოს საქართველოს მოსახლეობაზე გაცემული ვაუჩერების მიხედვით აღმოჩ-

ნდა, რომ (1) -*ძე* ფორმატიან მემკვიდრეობით სახელს 1 648 222 ქართველი ატარებდა, (2) -*შვილ* სუფიქსიანს — 1 303 723. შემდეგი თანამიმდევრობა კი ასეთია: (3) -*ია* სუფიქსიანი — 494 224, (4) -*ა* (-*ვა*, -*უა*) სუფიქსიანები — 275 458, (5) -*ან* (-*იან*) ფორმატიანი — 129 206, (6) -*ურ* (-*ულ*) სუფიქსიანი — 99 763, (7) -*ელ* სუფიქსიანი — 55 017, (8) -*ში* სუფიქსიანი — 7263, (9) -*სკი*-*რი* სუფიქსიანი — 2375, (10) -*ჭკორ* სუფიქსიანი — 1 831, (11) -*ყვა* სუფიქსიანი — 1023. 1994 წელს ყველაზე გავრცელებული ქართული გვარსახელები იყო: *ბერიძე* — 24797 სული, *კაბანაძე* — 18550, *გელაშვილი* — 17995, *მაისურაძე* — 16416, *გიორგაძე* — 14582, *კვარაცხელია* — 13618, *ლომიძე* — 12949, *შენგელია* — 12764, *ნიკლაური* — 12499, *ხუციშვილი* — 11062, *ბოლქვაძე* — 11059, *ნოზაძე* — 10784, *აბულაძე* — 10438, *გოგოლაძე* — 9791, *ტაბატაძე* — 9506, *მიქელაძე* — 9454, *მჭედლიშვილი* — 9359, *ცერცვაძე* — 8500, *დოლიძე* — 8449, *აბაშიძე* — 8322, *მახარაძე* — 8241, *მაჭარაშვილი* — 8099, *თოდუა* — 8079, *ღიასამიძე* — 8017, *მეტრეველი* — 7685, *შონია* — 7648, *ქათამაძე* — 7592, *ქავთარაძე* — 7494, *ჯაფარიძე* — 7378, *კობახიძე* — 7271, *ჭელიძე* — 7173, *ფიფია* — 7142, *ფუტკარაძე* — 7003, *ჩხაიძე* — 6977, *ბარბაქაძე* — 6928, *ჯავახიშვილი* — 6893, *სამხარაძე* — 6801, *ჭანტურია* — 6698, *დუმბაძე* — 6632... აქ მხოლოდ ორმოცი გვარსახელი ჩამოვთვალეთ. ერთი თვალის გადავლებითაც აშკარაა, რომ ამ ორმოც ყველაზე დიდ მემკვიდრეობით სახელში, მცირე გამოწკისის გარდა, საქართველოს იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთა გვარსახელები შედის, რომლებსაც გარეშე მტრის საფრთხე ყველაზე იშვიათად ემუქრებოდა (ზემო იმერეთი, ქვემო იმერეთი, რაჭა, სამეგრელო, გურია). ჩამონათვალში მხოლოდ სამი გვარია აღმოსავლეთ საქართველოდან. ეს გვარსახელებიც ისეთი გვარებია (*ხუციშვილი*, *მჭედლიშვილი*, *ჯავახიშვილი*), რომლებიც არა ერთი, არამედ რამდენიმე წინაპრისაგან მომდინარეობს. არც *ხუციშვილები*, არც *მჭედლიშვილები* და არც *ჯავახიშვილები* ერთი მამისაგან არ მოდიან. მომდევნო 112 გვარიც დასავლეთ საქართველოს დასახელებულ მხარეებშია წარმოქმნილი. უფრო მეტიც, ყველაზე დიდ ათას გვარში აღმოსავლეთ საქართველოდან მხოლოდ 70-მდე გვარი შედის. რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ აღნიშნულიდან? — ეს ის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებია, სადაც გარეშე მტერი, ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორებიდან გამომდინარე, იშვიათად აღწევდა და საუკუნეების მიღმა წარმოქმნილ ქართულ გვარებს გამრავლების მეტი საშუალება ჰქონდა. ეს

მხარეები საქართველოს დანარჩენ პროვინციებს ნამატი მოსახლეობით ამარაგებდა. მოსალოდნელი იყო, რომ ყველაზე დიდი გვარების ნუსხაში უფრო მეტი გვარსახელი მოხვდებოდა სამეგრელოდან, მაგრამ მოსახლეობის რაოდენობას აქ მნიშვნელოვანი დალი შინაურმა მტერმა დაასვა. მხედველობაში გვაქვს მთელი გვიანი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ტყვის სყიდვა. თუმცა 3000 კაცს რომ აჭარბებს, ისეთი ქართული გვარსახელები სამეგრელოდან ბევრია: *ჯიქია, გაბუნია, სიჭინავა, გოგონია, ქარდავა, ნაჭყებია, დანელია, ქობალია, ნულაია, მიქავა, ვაგუა, ახალაია, ჯოჯუა, ქირია, გოგია, ქაჯაია, ჟვანია, ბერაია, გვასალია, პაპავა, თოფურია, ვეკუა, გოგუა, კაჭარავა, ლავკილავა, შელია...*

საინტერესოა, რომ დღეს საქართველოში 20 ათასზე მეტი გვარსახელია აღრიცხული. ისტორიულ საქართველოში გვარები უფრო მეტი იყო. მთელი რიგი გვარსახელების გაქრობა საქართველოს ისტორიულმა ბედმა განაპირობა. განსაკუთრებით ეს სხვათა მიერ მითვისებულ ტერიტორიებზე მოხდა. ქართულ გვარსახელებს შორის გამოიყოფა როგორც „გრძელი“, ისე „მოკლე“ გვარები. სიგრძე-სიმოკლე ფუძისა და სუფიქსის სიგრძე-სიმოკლეზეა დამოკიდებული. ყველაზე მოკლე მემკვიდრეობითი სახელები ოთხბგერიანი გვარებია: *იადე, ჯაში, რევი, ცაფა, ჭაია*, ხოლო ყველაზე გრძელი — 16-ბგერიანი: *ოქროკვერცხიშვილი, პეტრემღვდლიშვილი*. ისტორიულად კი ყველაზე უხვბგერიანი *მელვინეთუხუცესისშვილი* (21 ბგერა) გახლდათ.

ქართულ გვარსახელთა სუფიქსების შესახებ საუბარი იმით უნდა დავამთავროთ, რომ, მემკვიდრეობით სახელთა ფორმანტების მრავალრიცხოვნობის მიუხედავად (11 სუფიქსი + უსუფიქსო გვარები), ქართული ეთნიკური ერთობა სწორედ მათ ისტორიასა და მრავალფეროვნებაში ჩანს — ერთგვარი რელიქტის სახით შემორჩენილი -ან (-იან) ფორმანტი თავდაპირველად მთელი საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი. ამ სუფიქსის ბოლო ნ თანხმოვანი ჩამოსცილდა სამეგრელოში გავრცელებულ გვარსახელებს. ეს სუფიქსი აღმოსავლეთ საქართველოში შემორჩა მეორე მემკვიდრეობით სახელებს, გვარების დანაყოფებს. ამავე დროს -ან (-იან) სუფიქსი შემორჩა აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებს; ოფიციალურად -*შვილ* ფორმანტით ნაწარმოებ გვართა სუფიქსებს ხალხი სასაუბრო ენაში იშვიათად იყენებდა — აქაც უფრო კრებითობის აღმნიშვნელ -ან (-იან) სუფიქსებს ეძლეოდა უპირატესობა. იქ, სადაც გვარსახელებში -*შვილ* სუფიქსიანი გვარსახელები ნაკლებად იყო

გავრცელებული, *-შვილი* სუფიქსს გვარების დანაყოფთა (ბაბუ-იშვილობების) აღსანიშნავად გამოიყენებდნენ (მაგალითად, ქვემო იმერეთსა და ლეჩხუმში). საქართველოს არც ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეში არა გვაქვს მხოლოდ ერთი ფორმანტი გვარსახელთა მანარმოებლად გამოყენებული. მაგალითად, სამეგრელოში საკმაო რაოდენობით გვხვდება გვარსახელები, რომლებიც *-ან (-იან)*, *-ძე* და *-შვილ* სუფიქსებითაა დაბოლოებული. იმერეთსა და გურიაში *-ძე* და *-შვილ* სუფიქსიანი გვარების გვერდით ბევრია *-ია*, *-ა (-უა, -ვა)* სუფიქსიანი გვარები. სვანეთში მხოლოდ ერთი და ორი გვარი არ გვაქვს *-ძე* და *-შვილ* სუფიქსებით ნანარმოები. ყველგან გვხვდება გვარსახელი *-ელ* ფორმანტი. საერთოდ, ყველა ქართული სუფიქსი საერთო ქართული მოვლენაა. ამა თუ იმ დაბოლოვებას ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში გარკვეული ისტორიული პირობებისა და დიალექტური ფორმების გამო მიეცა უპირატესობა. ამა თუ იმ მხარეში კონკრეტული სუფიქსის უპირატესობა დიალექტური თავისებურებითაა განპირობებული. საერთოდ, როგორც მეცნიერებს სამართლიანად აქვთ შენიშნული, ანთროპონიმული ერთეულები არეალურია. აქედან გამომდინარე, გამოყოფენ ანთროპონიმულ არეალებს, მაგალითად, *-ურ (-ულ)* სუფიქსიანი გვარსახელების ანთროპონიმული არეალია ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი (ისტორიულად ასეთივე ანთროპონიმული არეალი იყო დვალეთიც). ანთროპონიმული არეალის ნიშანდობლივი ფაქტორი გვარსახელებში *-შვილ* ფორმანტის წინ *-აი* და *-ეი* კომპლექსებია. *-აი* კომპლექსიანი გვარსახელები გურიაშია გავრცელებული (*ფირცხალ-აი-შვილი*, *გოგიჩ-აი-შვილი*, *ზენ-აი-შვილი*, *ხუხუნ-აი-შვილი...*), *-ეი* კომპლექსი — ქვემო იმერეთში (*ნიკოლ-ეი-შვილი*, *კოპალ-ეი-შვილი*, *ჯვარშ-ეი-შვილი*)

§2. ქართული გვარსახელების კლასიფიკაცია ფუძეთა მიხედვით. ქართული გვარსახელები ფუძეების (ძირეული სიტყვების) მიხედვით ძირითადად ოთხ ჯგუფად იყოფა: **ეპონიმურ, ეთნონიმურ, გეოგრაფიულ (ტოპონიმურ) და პროფესიულ გვარსახელებად.** ამ ოთხი ჯგუფის გვარსახელებიდან პრიორიტეტი ეპონიმურ გვარსახელებს ეკუთვნით.

ქართულ გვარსახელებში გამოყოფენ მეხუთე ჯგუფსაც, რომელსაც „შერქმეულ გვარსახელებს“ უწოდებენ. ასეთი ჯგუფის ცალკე გამოყოფა დაუსაბუთებელია და ეს გვარსახელებიც, ჩვეულებრივ, ეპონიმურ გვარსახელთა ჯგუფს მიეკუთვნება. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „შერქმეუ-

ლი გვარი არსებითად გვარის ფორმით წარმოდგენილი მეტსახელია, უმეტესად *ძე-ზე* და *შვილ-ზე* დაბოლოებული“. ამ ჯგუფში შეყვანილ გვარსახელებს მიაკუთვნებენ იმ გვარსახელებს, რომელთაც თიკუნები (მეტსახელები) უდევს საფუძვლად. მეტსახელიც ხომ სახელია. ეს გვარსახელებიც ხომ წინაპრის სახელებისგან მომდინარეობს და, ამდენად, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ეს სახელი იქნება თუ მეტსახელი. მეტსახელად პირდაპირ გვარის შერქმევა საერთოდ არ ხდებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში გვაქვს შემთხვევები, როდესაც „შერქმეულ გვარებს“ უწოდებენ გვარის დანაყოფთა სახელებს. ამ შემთხვევაშიც ტერმინი სათანადოდ არაა გამოყენებული.

ეპონიმური ტიპის ქართული გვარსახელი ყველა ის გვარსახელია, რომელთაც საფუძვლად ინდივიდუალური (პიროვნული) სახელი უდევს. ეს სახელები ძირითადად მამაკაცის სახელებია. ეპონიმურ გვარსახელთა ტიპური ნიმუშებია: *აბრამია, აბრამიძე, აბრამიშვილი; ბარამია, ბარამიძე, ბარამიშვილი; ზვიადაური, ზვიადაძე; კახაია, კახიანი, კახაძე, კახაშვილი; ქურდიანი, ქურდაძე, ქურდაშვილი; ცხადაია, ცხადაძე, ცხადიაშვილი...* ძალიან ცოტა გვაქვს ქართულ გვარსახელებს შორის ისეთები, რომელთა საფუძველს ქალის სახელი წარმოადგენს; ესენია: *მარიამული, მარიამიძე, მარებაშვილი, თამარაშვილი, თამარაძე, ტაბატაძე, კეკელიძე...* ხშირად ამავე რიგის გვარსახელად მიიჩნევენ ხოლმე *იაშვილსა* და *შუშანაშვილს*. სინამდვილეში ამ გვართა ეპონიმები, საფუძველჩამყრელები მამაკაცები იყვნენ — *ია* და *შუშანი* ძველ საქართველოში მამაკაცთა გავრცელებული სახელები იყო.

ქართული საისტორიო საბუთებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ **მეორე და მესამე ჯგუფის (ეთნონიმური და გეოგრაფიული/ტოპონიმური) გვარსახელთა ერთი ნაწილი ეპონიმურ გვარსახელებს უნდა მივაკუთვნოთ.** ეთნონიმურ და გეოგრაფიულ/ტოპონიმურ გვარსახელებად მიჩნეული ზოგიერთი გვარსახელის ფუძეს ეპონიმი (წინაპარი მამაკაცის სახელი) წარმოადგენს და არა ეთნონიმი და ტოპონიმი. ამრიგად, გარკვევით უნდა ითქვას, რომ ეთნონიმიური ფუძეები ყოველთვის ვერ გვაძლევს რეალურ ენობრივ და ისტორიულ ინფორმაციას, რადგან **ეთნონიმებიც ანთროპონიმიზაციის პროცესს განიცდიდა:** *ლეკია, ჩერქეზა, ბერძენა, თათარა, არაბა, თურქა* და მისთანანი უკვე მამაკაცის გაანთროპონიმებული სახელებია.

ჩვეულებრივ, ეთნონიმურ გვარსახელებადაა მიჩნეული **ბერძენიშვილი, თათრიშვილი** (*თათარაშვილი*), **თურქიაშვილი** (*თურქია, თურქაძე*), **თურქისტანიშვილი, ფრანგიშვილი, არაბაშვილი** (*არაბული, არაბიძე*), **ოსიშვილი**, (*ოსაძე*), **ჩერქეზიშვილი** (*ჩერქეზია, ჩარგაზია*), **ლექიშვილი** (*ლექიაშვილი*). მიგვაჩნია, რომ ამ გვარსახელების გარკვეულ ნაწილს საფუძვლად მამაკაცის სახელი (ეპონიმი) უდევს და არა ეთნონიმი. აქ ხაზს ვუსვამთ „გარკვეულ ნაწილს“, რადგან ერთ შემთხვევაში შესაძლებელია *ბერძენიშვილის* (*ბერძნიშვილის*) გვარის საფუძველ-ჩამყრელი მართლაც ეთნიკური ბერძენი იყო, მეორე შემთხვევაში კი გვარის საფუძვლის ჩამყრელს ბერძნულ ეთნოსთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა და მას საფუძვლად უდევს მამაკაცის სახელი — **ბერძენა**. ეს სახელი არაერთგზის გვხვდება ქართულ საისტორიო საბუთებში (ქართლის 1725-1740 წლის აღწერაში მოხისს დასახელებულია *ადუაშვილი ბერძენა*. *ბერძენი* ერქვა სახელად გვარად *ბითაძეს* 1830 წლის აღწერის მიხედვით სოფ. ქვემო ხვითში). თუ, ჩვეულებრივ, მამაკაცის სხვა სახელებს შეიძლებოდა ეწარმოებინათ გვარსახელი, რატომ არ შეიძლება მამაკაცის სახელი *ბერძენა* ყოფილიყო გვარის მანარმოებლად? საისტორიო საბუთები და ეთნოგრაფიული მონაცემები გვაძლევს საშუალებას, გავარკვიოთ ზოგიერთი ე. წ. ეთნონიმური გვარსახელის ადრინდელი ქართული გვარი და მაშინ ცხადი გახდება, რომ ამ გვარების საფუძვლის ჩამყრელები იყვნენ არა სხვადასხვა ეთნოსთა წარმომადგენლები, არამედ ქართველები.

ქსნის ხეობის სოფელ საძეგურში მკვიდრობენ *ოსიშვილები*. გადმოცემით, *ოსიშვილების* ადრინდელი გვარია *რაზმაძე*. *ოსიშვილთა რაზმაძეობა* საარქივო მასალებითაც დასტურდება. 1860 წ. მოსახლეობის აღწერის დავთარში საძეგურში მცხოვრებ ყველა *ოსიშვილს* მიწერილი აქვს თავდაპირველი გვარი — *Осишвили, он же Размадзе*. რაც შეეხება კახეთის სოფ. კოშკში მცხოვრებ *ოსიშვილებს*, ისინი წარმომავლობენ *ბერუკაშვილებისაგან*. ჩუმლაყელი *ოსიშვილები* კი ძირად *ნაცვლიშვილები* არიან.

არაგვისა და ივრის წყალგამყოფ ქედზე, სოფელ ზენამხარში, *თურქიაშვილები* მკვიდრობენ. გადმოცემით, *თურქიაშვილების* ადრინდელი გვარია *სისაური*. ისინი ეყმობიან კიდევაც ხევსურთა ერთ-ერთ ცნობილ სალოცავს „ხმალა“. XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრები ამ გადმოცემას ადასტურებს — *თურქიაშვილებს* არაერთგზის აქვთ მიწერილი მეორე, ანუ

ადრინდელი გვარი — *სისაური*. საერთოდ, *თურქია* ჩვენს მთაში ერთ-ერთი გავრცელებული სახელი იყო. 1801 წ. თიანეთის სოფ. ყებოტაში ცხოვრობდნენ *მათურელი თურქა* და *დოლიაშვილი თურქა*.

ახლა ორიოდე სიტყვა *ლეკიაშვილებისა* და *ლეკიშვილების* შესახებ. ეს გვარი ძირითადად კახეთში იყო გავრცელებული. ირკვევა, რომ ყველა *ლეკიშვილს* არა აქვს საერთო წარმომავლობა. ისიც ირკვევა, რომ კახეთის სხვადასხვა სოფლებში განსახლებულ *ლეკიშვილებსა* და *ლეკიაშვილებს* ძირითადად საფუძვლად უდევთ მამაკაცის სახელი — *ლეკი, ლეკია*. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამ გვარსახელის საფუძვლის ჩამყრელი იყო ეთნიკური ლეკი. **ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დასკვნის გამოსატანად საჭიროა საისტორიო და ეთნოგრაფიული მონაცემების ერთ კომპლექსში გააზრება.** XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის სხვადასხვა დავთრების მიმოხილვის შედეგად ცხადი ხდება, რომ ამ გვარების გარკვეული ნაწილი სხვადასხვა ქართული გვარებისაგან მომდინარეობს. მაგალითად, გრემელი *ლეკიშვილები გამსახურდაშვილები* ყოფილან, კალაურელი *ლეკიშვილები — ნაპირელეები*, ბოდბისხეველი *ლეკიშვილები — მათეშვილები*; შაქრიანელი *ლეკიაშვილები დედაბრიშვილებისაგან* წარმომავლობენ, ბოდბისხეველი *ლეკიაშვილები — გაგოშვილებისაგან*. იგივე შეიძლება ითქვას *რუსიშვილების* შესახებაც. ერთ შემთხვევაში *რუსიშვილების* გვარს ეთნიკურმა რუსმა ჩაუყარა საფუძველი, მეორე შემთხვევაში კი გვარსახელს საფუძვლად უდევს მამაკაცის სახელი *რუსა* (XVIII საუკუნის დასაწყისის აღწერაში კახეთის სოფელ მალრანს დასახლებულია *რუსი ნაცვლიშვილი*, 1801 წლის აღწერაში ყვარელში ფიქსირებულია *იმერლიშვილი რუსი*). შეიძლება დავასახელოთ ერთი მაგალითი: 1886 წ. აღწერით, კახეთის სოფელ საბუეში ცხოვრობდნენ *რუსიაშვილები*. საარქივო დოკუმენტში მითითებულია მათი ადრინდელი გვარი — *ბეჟიტაშვილი*.

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე *ჯავახიშვილების* გვართან მიმართებით. *ჯავახიშვილების* გვარი ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში. აქ ჯავახეთიდან მოსახლეობის მიგრაცია ინტენსიური იყო XVII-XVIII საუკუნეებში. აქედან მიგრირებულები ხშირად საფუძველს უყრიდნენ ახალ გვარს — *ჯავახიშვილს*. საისტორიო საბუთები საშუალებას გვაძლევს, ამ *ჯავახიშვილთა* არაერთი ადრინდელი გვარსახელი გავარკვიოთ. შეიძლება დავასახელოთ: *ტეტიაშვილი, გაბ-*

რიელაშვილი, ჯუჯუნაშვილი, ელისაშვილი, სამანაძე, ივანიძე, სააკაძე... 1831 წ. აღწერაში ქართლის სოფ. ნაბახტევში *ჯავახიშვილის* გვარით ჩანერილს მინერილი აქვს: „თვრამეტი წელია (ე. ი. 1813 წ. — რ. თ.) გადმოსახლდა ჯავახეთიდან და, ნაცვლად მაჰმადიანური სარწმუნოებისა, მიიღო ქრისტიანობა (ქართული სარწმუნოება)“. სოფ. მარანში მცხოვრებ *ჯავახიშვილებს* კი 1831 წ. აღწერის დავთარში მინერილი აქვთ, რომ წინაპრები ჯავახეთიდან გადმოსახლდნენ ასი წლის წინ. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ *ჯავახიშვილთა* გვარის გარკვეულ ნაწილს საფუძვლად უდევს მამაკაცის სახელი — *ჯავახი*, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელი იყო საქართველოში. შეიძლება დავასახელოთ XIII-XIV საუკუნეების „სვანეთის კრების მატინანე“ და „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“. მამაკაცის სახელი *ჯავახი* უდევს საფუძვლად თავად *ჯავახიშვილების* გვარს.

XVIII საუკუნის არაგვის ხეობაში ძალიან გავრცელებული სახელი იყო *თათარი*. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მცხეთელი *თათარაშვილები* მთიული *ქავთარაძეებისაგან* წარმომავლობენ.

მსგავსი მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს. ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვათ ზოგიერთ ე. წ. გეოგრაფიულ/ტოპონიმურ გვარსახელზედაც. მხედველობაში გვაქვს ერთი წყება გვარებისა, რომლებიც ორმაგ (*-ელა/ი+-შვილი*, *-ელ/ი+-ძე*) სუფიქსს ირთავენ. შეიძლება დავასახელოთ *მარგველაშვილი*, *ფავლენიშვილი*, *ჯაველიძე*, *ჩოხელაშვილი...* ამ გვარებს საფუძველი ჩაუყარეს არა არგვეთიდან, ფავნისიდან, ჯავიდან, ჩოხიდან გადმოსახლებულებმა, არამედ სათანადო საკუთარი სახელების მატარებლებმა: *მარგველა*, *ჯაველა*, *ჩოხელა...* ეს სახელები გაანთროპონიმებული ტოპონიმებია, თუმცა ასეთი გეოგრაფიული ტიპის ორმაგსუფიქსიანი გვარები ქართულში მართლაც ბევრი გვაქვს: *დიღმელაშვილი*, *კოშკელაშვილი*, *გრემელაშვილი*, *ევრისელაშვილი*, რომლებიც უდავოდ სოფლების სახელებისაგან — დიღმიდან, კოშკიდან, ევრისიდან გადმოსახლებულთაგან არის წარმოქმნილი. ცნობილია ბევრი ასეთი გვარის წინამორბედი ადრინდელი გვარიც. მაგალითად, *დიღმელაშვილები გენებაშვილებისაგან* მომდინარეობენ, *ევრისელაშვილები — ბერიძეებისაგან*. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ყოველთვის საისტორიო და ეთნოგრაფიული მონაცემების ერთობლივი გააზრებაა საჭირო. *ჩოხელის* გვარი ნამდვილად გეოგრაფიული/ტოპონიმური ტიპის გვარია. რაც შეეხება ფშაველი *ჩოხელაშვილების*

გვარს, ის სრულიადაც არ არის მიღებული გვარსახელ *ჩოხელზე-შვილ* სუფიქსის დართვით. *ჩოხელაშვილები*ს გვარს საფუძვლად უდევს მამაკაცის სახელი *ჩოხელა*, რომელიც მთაში ბოლო დრომდე ფართოდ იყო გავრცელებული. *ჩოხელაშვილები ნონკოლაურებისგან* წარმომავლობენ და ეს გვარი ფშავში 1750 წლის საბუთშია მოხსენიებული („ლაშარის ჯვრის დეკანოზი *ჩოჭელაშვილი ნადირა*“). ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე *მარგველაშვილის*, *სურამელაშვილის*, *ფავლენიშვილის*, *ჯაველიძის*, *გავაშელიშვილის (გავაშელიძის)*, *ვარძიელაშვილის* გვარებთან დაკავშირებით. ქართულ საისტორიო საბუთებში ხშირადაა დაფიქსირებული მამაკაცის სახელები *მარგველა*, *სურამელა*, *ფავლენა*, *ჯაველა*, *გავაშელი*, *ვარძიელა*. მაგალითად: 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარში სოფ. ფრცას დასახელებულია *უნყენაშვილი მარგველა*. 1755-1760 წლების საბუთში — *ფალავანდიშვილი ფავლენ*. XVI საუკუნის საეკლესიო საბუთში შეტანილი არიან *გავაშელ კვირკველია* და *გავაშელ კიტია*. სწორედ ამ სახელებისგან მომდინარეობს დასახელებული გვარები და არა ტოპონიმებისგან. ეს გვარებიც ეპონიმურ გვარსახელთა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ. ამ შემთხვევაში მხოლოდ იმაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, რომ აღნიშნულ სახელებს საფუძვლად უდევთ ტოპონიმისგან ნაწარმოები მამაკაცის სახელი. ტოპონიმებიდან იყო ნაწარმოები მამაკაცის სხვა არაერთი სახელიც: *ჩარგალელი*, *ყვარელა*, *მათურელა*, *ხადელა*, *ანწუხელი*...

ისევე როგორც ყველა ხალხს ქართველ ხალხსაც ბევრი აქვს ისეთი გვარსახელი, რომელსაც საფუძვლად პროფესიის, ხელობის, თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინები უდევს და რომლებიც ნათლად გვიჩვენებს ქართველი ხალხის საქმიანობის მრავალფეროვნებას. ასეთ გვარსახელებს, ჩვეულებრივ, პროფესიული ტიპის გვარსახელებს უწოდებენ. პროფესიული ტიპის გვარსახელებს საფუძვლად აქვთ **პროფესიის აღმნიშვნელი** როგორც **ქართული**, ისე **არაქართული ტერმინი**. ასეთ შემთხვევაში პროფესიის აღმნიშვნელი არაქართულძირიანი გვარები სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი გვარების საფუძვლის ჩამყრელნი არაქართველები იყვნენ; უბრალოდ, ჩვენში ხშირად ვრცელდებოდა პროფესიის აღმნიშვნელი უცხოური ტერმინები, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც საქართველო სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამიტომაცაა, რომ მრავლად გვაქვს ისეთი პროფესიული ტიპის გვარსახელი, რომელსაც აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქული) პროფესიული ტერმინები უდევს საფუძვლად. ქვე-

მთ ასეთი პროფესიული ტიპის გვარსახელების მხოლოდ ნა-
 ნილს ჩამოვთვლით, რომლებიც ჩვენში შუა საუკუნეების ხან-
 გრძლივ მონაკვეთშია წარმოქმნილი: *ქილიფთარი* (მელვინე,
 ღვინისა და სასმელების მწე მეფეთა და დიდებულთა სასახლე-
 ებში); *მუჯირი/მუჯირიშვილი* („ხორბლის მწე; იგივე შინაარსი
 აქვს *ამბარდანს* და *ამბარდნიშვილს*); *მელიქიძე/მელიქაძე, მე-
 ლიქიშვილი, მელიქია* („მელიქი“ სოფლის ან ქალაქის მმართვე-
 ლი იყო); *ქალანთარი* (ქალაქის თავი, პოლიციის უფროსი); *სა-
 დუნიშვილი* („სადუნი“ სხვადასხვა ენის მცოდნეს ნიშნავს); *შა-
 თირიშვილი* (მაღემსრბოლი, შიკრიკი); *ჩუბინაშვილი, ჩუბინიძე*
 („ჩუბინი“ მარჯვე მსროლელს ერქვა, თუმცა ქართულ საისტო-
 რიო საბუთებში „ჩუბინი“ მამაკაცის სახელადაც არის დადას-
 ტურებული); *ქეშიკაშვილი* („ქეშიკი“ სპარსულად გვამის მცვე-
 ლია, რუსულად *телохранитель*); *ჯოლბორდი* („ჯოლბორდი“ ის-
 რის მთლელს ნიშნავს. სოფელ ძევერაში, რომელშიც ისინი
 ცხოვრობენ, ზოგიერთ დოკუმენტში *ჯოლბორდიშვილებადაც*
 არიან ჩანერილი); *ჯილაყდარი* (მეაღვირეს ნიშნავს); *ბაზიარი,*
ბაზიერაშვილი („ბაზიერი“ ქორ-შეყარდენთა მწვრთნელი და
 ყურისმგდებელი); *ეჯიბია, ეჯიბაძე, ეჯიბიშვილი* (არაბულად
 „ეჯიბი“ მეფის მეკარეა. ეჯიბი ერქვა ქორწილში ნეფის მაყრე-
 ბის ხელმძღვანელსაც); *დაბალიშვილი* („დაბალი“ — ტყავის და-
 მამზადებელი); *თოფრიშვილი, თოფრიძე* („თოფრი“ — მეთოფე,
 მეზარბაზნე. პირველად ნახსენებია 1537-1538 წლების საბუთ-
 ში, არსებობდა *თოფრიბაშიშვილის* გვარიც. აღმოსავლეთ საქარ-
 თველოს თითქმის ყველა დიდ სოფელში „თოფრის“ პროფესიის
 ადამიანები იყვნენ, რომლებსაც სოფლის იარაღ-საჭურველიც
 ჰქონდათ მიბარებული და რომლებიც მეზარბაზნეები იყვნენ);
ჯომარდიძე („ჯომარდი“ სპარსულად მხნეს, შემმართველს ნიშ-
 ნავს); *სარაჯიშვილი* („სარაჯი“ უნაგირისა და ცხენის ასაკაზმის
 მკეთებელი იყო); *ქილარჯიშვილი* („ქილარჯი“ თურქულად მე-
 კუჭნავეა); *ქურქიშვილი* (ქურქების ოსტატი, ადრინდელი გვა-
 რია *ტივაძე*); *ხაბაზი, ხაბაზიშვილი* („ხაბაზი“ არაბულად მეპუ-
 რეა); *ჩილინგარიშვილი* („ჩილინგარი“ — სპარსულად ზეინკალი,
 ძირი გვარია *ვარდიძე*); *შპეტიშვილი* („შპეტი“ — ზედამდგი, მე-
 ლორეებისა და მეცხვარეების უფროსი. შესაძლებელია ამ გვარ-
 სახელს ფუძედ ედოს არა პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინი,
 არამედ მეტსახელი. „შპეტს“ ქართლში მეტიჩარა ადამიანს ეტ-
 ყოდნენ. გარეკახურში *შპეტს* კეკლუც ადამიანს უწოდებდნენ).

ზემოთ ისეთი პროფესიული ტიპის გვარსახელები მოვიყვა-
 ნეთ, რომლებსაც ფუძეებად ძირითადად არაქართული ტერმი-

ნები აქვთ. მეცნიერთათვის ცნობილია ამა თუ იმ ტერმინის ქართულ ენაში შემოსვლის დრო. ამდენად, შესაძლებელია ჩამოთვლილ გვართა ნარმოქმნის მიახლოებითი დროის განსაზღვრა. მაგალითად, *თოფრიშვილის* გვარსახელი არაფრით არ შეიძლება XVI საუკუნეზე ადრე გაჩენილიყო, რადგან გვარსახელის ფუძედ გამოყენებული ეს ტერმინი სწორედ ამ დროს შემოვიდა ქართულში და ის უშუალოდ დაკავშირებულია ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებასთან. ამავე დროს, ისევე როგორც ეპონიმიური და ეთნონიმიური გვარები, პროფესიული ტიპის გვარებიც შეიძლება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოქმნილიყო. მაგალითად, *თოფრიშვილების* გვარი საქართველოს ოთხ სოფელში გაჩნდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. მას საფუძველი *თოფრის* („მეზარბაზნე“) თანამდებობის, პროფესიის ადამიანებმა ჩაუყარეს საფუძველი.

არცთუ ისე ცოტა გვაქვს ქართულძირიანი პროფესიის ტიპის გვარსახელები. თითქმის ყველა სხვა ხალხში გვხვდება გვარსახელი, რომელიც ქართულად „მჭედლის“ აღმნიშვნელია. მჭედელი ყველგან საპატიო პროფესია იყო. ქართველ ხალხშიც საქართველოს სხვადასხვა მხარეში გვაქვს გვარსახელები, რომლებიც ამ ტერმინიდან მომდინარეობს: *მჭედლიძე, მჭედლიანი, მჭედლური, მჭედლიშვილი, მუშკუდიანი, ჭკადუა*. მეცნიერები სამართლიანად მიიჩნევენ *ჭელიძის მჭედლიძისაგან* მომდინარეობას. პროფესიული ტიპის გამჭვირვალე ქართულ გვარსახელთა რიცხვს მიეკუთვნება გვარსახელები: *მდივანი და მდივნიშვილი, მეზადური, მეზუკე, მეგუთნიშვილი, მეზვრიშვილი, მეზურნიშვილი, მეთაფლიშვილი, მეთეფშიშვილი, მეკარიშვილი, მეკოკიშვილი, მემარნე და მემარნიშვილი, მენაბდე და მენაბდიშვილი, მენალარიშვილი, მეპურიშვილი, მერებაშვილი, მესტვირიშვილი, მესტუმრე და მესტუმრიშვილი, მეტივიშვილი, მეურმიშვილი, მექვაბიშვილი, მექვაბიძე, მექვევრიშვილი, მელვინეთუხუცესი, მეყანნიშვილი, მეცხვარიშვილი, მეშვილდიშვილი, მენაბიშვილი, მზარეულიშვილი...*

III. 4. გვარის დანაყოფი — მეორე მემკვიდრეობითი სახელი

როგორც არაერთგზის აღინიშნა, გვარსახელი მემკვიდრეობითი სახელია, რომელიც სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემა თაობიდან თაობას. ქართულ სინამდვილეში მხოლოდ

გვარსახელი არ არის მემკვიდრეობითი სახელი. მემკვიდრეობითი სახელია აგრეთვე გვარის დანაყოფის სახელიც, რომელიც საქართველოს უმეტეს მხარეებში დიდი მდგრადობით გამოირჩეოდა. ქართულ მეცნიერებაში მეორე მემკვიდრეობითი სახელის (გვარის დანაყოფის სახელის) აღსანიშნავად გამოიყენება ორი ტერმინი: **შტო-გვარი** და **ქვეგვარი**. პირველის შემოტანა სამეცნიერო ლიტერატურაში ს. ჯანაშიას სახელთანა დაკავშირებული, მეორისა კი — ვ. ბარდაველიძის სახელთან. პირველი სანათმეცნიერო, მეორე კი — ეთნოგრაფთა სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა. მიგვაჩნია, რომ ორივე ეს ტერმინი ხელოვნურადაა შემქმნილი და სრულიად არ არიან აღნიშნული სოციალური ერთეულის ამსახველნი. ამას გარდა, მეორე მემკვიდრეობითი სახელის აღსანიშნავად ონომასტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოთავაზებულია ტერმინი **მეტგვარი**. ეთნოგრაფიულ და ლინგვისტურ სამეცნიერო ლიტერატურაში გვარის განშტოებების (დანაყოფების) აღსანიშნავად იყენებენ ზოგადი ეთნოლოგიური ლიტერატურიდან ნასესხებ ტერმინებს: **ფრატრია**, **პატრონიმია**. პირველი გვარის დანაყოფის მნიშვნელობით არასწორად გამოიყენებოდა 30-იანი წლების სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ ტერმინის (**ფრატრია**) გამოყენება მიუღებელია, რადგან: ა) მას იყენებენ პირველყოფილი საზოგადოების სოციალური უჯრედის აღსანიშნავად; ბ) **ფრატრია** წარმოადგენდა არა გვაროვნული გვარის დანაყოფების სახელწოდებებს, არამედ, პირიქით, ერთი ტომის ორი ან რამდენიმე გვარის გაერთიანებას. ერთი შეხედვით, შეიძლება მისაღები ყოფილიყო ტერმინი **პატრონიმია**, რადგან იგი თავისი შინაარსით აღნიშნავს მამის სახელს, ერთი საერთო წინაპრის შთამომავლებს (*pater* — მამა, *onyma* — სახელი), მაგრამ ამ ტერმინსაც კლასობრიობამდელი საზოგადოების გვარის დანაყოფებს უწოდებენ, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში შეინიშნება ტენდენცია, რომ **პატრონიმია** უწოდონ კაპიტალიზმამდელი პერიოდის გვარების დანაყოფებს.

მეორე მემკვიდრეობითი სახელის (გვარის დანაყოფის) აღსანიშნავად საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ (ისტორიულ-გეოგრაფიულ) კუთხეში სხვადასხვა სიტყვა (ტერმინი) გამოიყენება: „**მამანი**“, „**მამიშვილობა**“, „**მამის სახლი**“, „**ბუდობა**“, „**კომობა**“, „**ბაბუიშვილობა**“, „**ბუნე**“, „**სახიჯარი**“, „**თოხუმი**“, „**ქექილი**“, „**ნარყი**“, „**მეტსახელი**“, „**გვარზე მეტი**“, „**განაყრობა**“, „**სამხუბი**“, „**ლამხუბი**“, „**თური**“, „**დინო**“, „**გამნარყი**“, „**შერქმეული სახელი**“, „**გასახელე-**

ბული სახელი“, „საგინებელი გვარი“, „მოკლე გვარი“ (საპირისპიროდ **„გრძელი გვარისა“**). ბოლო ორი ტერმინი ხევსურეთში ეთნოგრაფ *რუსუდან ხარაძეს* 1939 წელს დაუდასტურებია. მას მოყვანილი აქვს ასეთი ანთროპონიმული მოდელი — *გეჯურა გიორგის ძე ბაჩაყური გოგოჭური* — და დასძენს: „ინერება მოკლე გვარი *ბაჩაყური*, გრძელი გვარი კი — *გოგოჭური*“). იქვე *არაბულების* შესახებ *რ. ხარაძეს* ჩაუწერია: „*არაბულების* შინშია *ფიცხელაური* — ეს გვარი წარმოშობილია მამად სახელი *ფიცხელასაგან*, რომელიც გვარად *არაბული* ყოფილა, ამიტომ *ფიცხელაურები* დღეს ორმაგ გვარს ატარებენ, მოკლეს — *ფიცხელაურს* და გრძელს — *არაბულს*“. სამეცნიერო ლიტერატურაში გვარის დანაყოფის სახელადაა მიჩნეული „კილიც“, მაგრამ, როგორც *ი. გაბელაიას* მიერ აბაშის ხეობაში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, აქ „კილი“ მხოლოდ გვარის მეტსახელია და არა გვარის დანაყოფის სახელი.

გვარის დანაყოფის, განაყოფის სოციალური ერთეული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა მდგრადობა-სიმტკიცით ხასიათდებოდა. ერთი რამ ცხადია: ცვალებადობას, ახლის წარმოქმნას ის უფრო ექვემდებარებოდა, ვიდრე გვარსახელი, თუმცა საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, როგორც საისტორიო, ისე ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მონაცემებით ჩანს, მეორე მემკვიდრეობითი სახელიც თავისი წარმოშობით უაღრესად ძველი და თითქმის იმავე ხნისაა, რა ხნისაც გვარსახელებია, რომლებშიც ისინი შედის. აქ შეიძლება გავისხენოთ *რ. ხარაძისა* და *ი.ზ. ჩანტლაძის* ნაშრომები შესაბამისად ხევსურული და სვანური გვარებისა და გვარის დანაყოფთა შესახებ. როგორც გვარსახელებს, ისე მეორე მემკვიდრეობით სახელებსაც საფუძვლად უმეტესად მამაკაცის სახელები აქვს. უფრო დიდ სოციალურ ერთეულსა (გვარსახელი) და მცირე სოციალურ ერთეულს (გვარის დანაყოფის სახელწოდება) შორის განსხვავება ისიცაა, რომ პირველი ძირითადად ფიქსირდებოდა და ფიქსირდება ოფიციალურ იურიდიულ და სხვა სახის დოკუმენტებში. მეორე სახელი კი არსად არ ფიქსირდება, მას იურიდიული ძალა არა აქვს და ის მხოლოდ ხალხის მეხსიერებაში არსებობს. ამასთანავე, მას ყოველთვის ჰქონდა და ამჟამადაც აქვს გარკვეული სოციალური შინაარსი. მეორე მემკვიდრეობითი სახელის მატარებელნი უფრო მეტი სოციალური ვალდებულებებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ვიდრე გვარსახელის მატარებელნი. **სოფელში სახელდებისას, ძირითადად, მეორე მემ-**

კვიდრეობითი სახელი გამოიყენებოდა. ს. მაკალათია მთის რაჭის შესახებ წერდა, რომ მხოლოდ „კომლობრივი სახელით შეიძლება აქ ადამიანის მონახვა. მაგალითად, თქვენ თუ იკითხავთ *ივანე ლობჯანიძეს*, მას ვერ გიჩვენებენ. უნდა იკითხოთ *ივანე ზვიადენტ ლობჯანიძე*, რომელი სახელითაც ეს კომლი ცნობილია, და მაშინ კი გაიგებენ. მათში გვარს არ იხსენიებენ და ხშირად არც იციან ამა თუ იმ პირის გვარი, არამედ ჩვეულებრივ იტყვიან: *მიხა ერმილენთი, მამუკო ნინიკიანთი* და სხვ.“ დავძენთ, რომ გვარის მრავალრიცხოვნობის პირობებში, ამა თუ იმ პირის მოხსენიება გვარის დანაყოფის სახელით ერთადერთი პრაქტიკული გამოსავალიც იყო. გვარის დანაყოფის ან გვარის მეტსახელის საშუალებით უფრო ადვილი იყო მისათითებელი პიროვნების მოძიება; მას ერთგვარი მაორიენტირებელი ფუნქციაც ჰქონდა.

ხალხურ სამეტყველო ენაში დღესაც ორწევროვანი სისტემაა გამეფებული, ოღონდ მამის სახელს „მამიშვილობა“ (გვარის დანაყოფის სახელი) ცვლის. მაგალითად, სოფელ ძველანაგაში მოსახლე *ჩალაბაშვილების* გვარი ხუთ ძირითად მამიშვილობად (დანაყოფად) იყოფა: *ლოლაძიანი, ზურიკიანი, კაკლიჭიანი, ქიტელაანი, აპრისიანი*. ჩვეულებრივ, იტყოდნენ: *ლოლაძიანთ დათა, ქიტელაანთ გიო, კაკლიჭიანთ გიორგი*. გვარსახელით ადამიანს იშვიათად მოიხსენიებდნენ; გვარსახელი მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებში ფიგურირებდა. დიღმელი *ქობულაშვილები* შემდეგ მამიშვილობებად იყოფიან: *კიკუაანი, ლიკიაანი, ჭიმიანი, სოსონაანი*. როდესაც აღნიშნული გვარის წარმომადგენელს მოიხსენიებენ, საუბარში სახელს გვარს როდი ურთავენ. პირიქით, სახელს ყოველთვის ერთვის მამიშვილობის (გვარის დანაყოფის) სახელი *კიკუაანთ ვანა, ლიკიანთ ვოლა*. დიღმში თითქმის ყველა გვარი დანაყოფებისაგან („მამის სახლებისაგან“, „საძმო სახლებისაგან“) შედგება, მაგალითად: *თეთრაშვილები* იყოფიან შემდეგ „საძმო სახლებად“: *ლეკიანი და მეჯოლდიანი. მეჯოლდიანები* კი, თავის მხრივ, ასევე იყოფიან შემდეგ ერთეულებად: *რუსიანი, დინგიანაანი, აბუკაანი, ყარამანაანი, შარუმაანი. ქობულაშვილების* მამიშვილობებია: *ტატონაანი, ბუილაანი, ჩიხლიაანი, პუსკალაანი, დაბრუნდაანი, რადვიანი, ფირიაშვილებისა — ლალებანი, ჩიტიანი, გოროხინაანი, მარიამულებისა — ტიკიაანი, ტეტიკაანი, ტალახაანი, გენებაშვილებისა — ოჯოფაანი, ფილიაანი, ჭიპრიაანი, პაკლარაანი, თრილეილაანი, ყუყულუჩაანი, ჯიგრიაანი, ლომაანი, მამუჩაშვილებისა — დიდმამუჩაანი, პატარამამუჩაანი, ყაჭუაანი, აბლია-*

ნი, პაჩელაანი, ცინცილანიანი, გილაურებისა — ფოფინაანი, ღვედელაანი, ვანესაანი, ცუცნაანი, მიჭელაშვილებისა — სილეინაანი, დალაქიანი, ლაფიერანი, ყოყიანი. ამავე სოფელში ზოგიერთ გვარს გვარის დანაყოფები კი არ ჰქონდა, არამედ გვარის მეტსახელი და, ჩვეულებრივ, საუბარში პიროვნებებს არა გვართ, არამედ გვარის მეტსახელით მოიხსენიებდნენ და ეს მეტსახელები, ჩვეულებრივ, -ან ფორმანტს ირთავდა, მაგალითად: *სოზიაშვილებს ფეიქრიანთ* სახელით იცნობდნენ, *ხომასურნიძეებს — მექათმიანთი*, *ზანდარაშვილებს — დიაკვნიანთი* (XVII საუკუნეში *ზანდარაშვილები* ხშირად სასულიერო პირები იყვნენ), *გეგელიშვილებს — ყავაჩიანთ* სახელებით („დასტურლამალის“ მიხედვით, დიღმელ *გეგელიშვილებს ყავაჩის* თანამდებობა ეკავათ). *სონლულაშვილებსა და ბროლაძეებს* შესაბამისად *ბოგველიანი* (პიროვნების მოხსენიებისას იტყოდნენ: „*ბოგველიანთ არსენა*“) და *ჯავახიანი* („*ჯავახიანთ ნაყიდა*“) ეწოდებოდათ, რადგან ეს გვარები დიღომში შესაბამისად ქვემო ქართლის სოფელ ბოგვიდან და ჯავახეთიდან იყვნენ მოსული. ზემო იმერეთში მცხოვრები *ჭყოიძეების* (სოფელი ქვები) მეტსახელი *ბერიკიბიჭები* ყოფილა, *კვინიკაძეებისა — ჟივილაები*, *გაჩეჩილაძეებისა* (სოფელი ღორემა) — *მენურბელები*, *ცხადაძეებისა* (სოფელი სვირი) — *ხოხელაშვილები*, *მეყილაძეებისა* (სოფელი გეზრული) — *პატიკები*. იმერეთში იშვიათი არ ყოფილა საოჯახო (მხოლოდ ერთი ოჯახის) მეტსახელებიც.

მთიულეთსა და ქიზიყში მამიშვილობების სახელები -ან სუფიქსით ბოლოვდებოდა (*ბურდულების* გვარში გამოიყოფოდა: *აფთიანი*, *ბეჟანიანი*, *ვაჟიკიანი*, *ვარდანიანი*, *თადულიანი*, *ლეგიანი*, *პოვლიანი*, *შიუკიანი*, *ჭიჭლიანი*; ქვემო მაღაროში *ყანდაშვილების* მამიშვილობებია: *აშტროანი*, *დიანანი*, *ეტროლენი*, *იდრიციანი*, *იუველიანი*, *ნაკუდაანი*, *სწორენი*, *ფოთოლაანი*, *უთულიანი*, *ჩაჩოანი*, *ნიკაანი*, *ხატოანი*). სამეგრელოში გვარის „დინო“ -თი ფორმანტით იყო ნაწარმოები: *სიჭინავების* (სოფელი ლესიჭინე) დანაყოფთა სახელებია: *ბაბკოთი*, *გალითი*, *გურიშიათი*, *თამაზეთი*, *მაჭვიტიათი*, *პაპათი*, *შაშქიათი*, *ნაკოთი*, *ძაღლიათი* (მეგრულ მეტყველებაში თი „სახლს, „ოჯახს“, „გვარს“ აღნიშნავს).

საისტორიო საბუთებით, ქართლსა და კახეთში ხშირად გვარსახელიცა და მამის სახელიც (ან მამიშვილობა — გვარის დანაყოფის სახელი) ერთი და იმავე სუფიქსით (*შვილი*) იწარმოებოდა. ხალხურ სამეტყველო ენაში კი უმეტესად როგორც ერთი, ისე მეორე მემკვიდრეობითი სახელისათვის -ან (-იან) სუ-

ფიქსი გამოიყენებოდა. ზოგიერთი მკვლევრისათვის ძნელია გვარსახელისა და მამის სახელის (ან მამიშვილობის) გარჩევა. სვანეთში გვარსახელი და გვარის დანაყოფის სახელი სხვადასხვა ფორმანტით იწარმოებოდა და იწარმოება. აქ გვარსახელი, ჩვეულებრივ, როგორც ცნობილია, *-იან (-ან)* ფორმანტს ირთავდა, გვარის დანაყოფები (სვანურად *სამხუბ, ლამხუბ*) კი *-შა, -შ-ერ, -შე-რე, -შე-რა, -არე*, სუფიქსებს. მაგალითად, *ქურდიანების* გვარი ორ სამხუბად იყოფა: *გელა-შ-ერ-ალ* (ე. ი. *გელასიანები*) და *ციოყ-შ-ერ-ალ* (*ციოყისიანები*). კიდევ რამდენიმე ტიპურ მაგალითს მოვიყვანთ. *კვანჭიანების* გვარში გვაქვს: *ფიფი-შე-რე სამხუბ, ბედან-შე-ერ-ალ სამხუბ, ბაკა-შა სამხუბ. ფარჯიანების* გვარში ორი *სამხუბი* შედის: *დათუარე და ნუაშერ. ხერგიანთა* გვარის ერთ-ერთი *სამხუბის* სახელწოდება იყო *გეგი-არე. გუჯეჯიანების* გვარი სვანეთის სამ თემში — ეცერში, ბეჩოსა და მულახში — მკვიდრობს. ყველა *გუჯეჯიანი* ერთი მამისაგან მომდინარეობს, მაგრამ გვარი **სამხუბებად** (დანაყოფებად) იყოფა, რომლებსაც ყველას თავ-თავისი სახელი აქვს. სამხუბებს საფუძველი საუკუნეების წინ გვარის გამორჩეულმა პირებმა (*სიეშმა, ბინათუმ, ათმურზამ, ბექზამ, საბამ*) ჩაუყარეს. ეცერში მკვიდრ *გუჯეჯიანებს* *სიეშმერ* ჰქვიათ, ბეჩოში მოსახლეებს — *ბინათემერ*, მულახელებს — *ათმურზაშერ, ბექზაშერ* და *საბაშერ*. სვანეთის ეცერის თემის სოფელ ბარში ცხოვრობენ *გურჩიანები. გურჩიანების* საგვარეულოც რამდენიმე სამხუბიანია: *ქაუზაშერ, გიერგშერ, დეტუარ, კეფარ, იემზარარ, იეტაშერ*, რომლებსაც საფუძველი თავის დროზე გამორჩეულმა პიროვნებებმა — *ქაუზამ, გიერგიმ, დეტომ, კეფამ, იემზამ* და *იეტამ* ჩაუყარეს. ლინგვისტურ სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულია (*ი.ზ. ჩანტლაძე*) როგორც სვანურ გვარსახელთა, ისე მეორე მემკვიდრეობითი სახელების (გვარის დანაყოფთა სახელების) უაღრესი არქაულობა. სვანეთში გავრცელებული გვარსახელების სიძველეს არა მხოლოდ XIII-XIV საუკუნეების საბუთები მონიშნობს, არამედ გვარის დანაყოფებიც (*სამხუბი, ლამხუბი*), ანუ მეორე მემკვიდრეობითი სახელები.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ხშირად გვარის დანაყოფებს ჰქონდათ ტენდენცია ახალ გვარად გარდაქმნისა, ე. ი. რომ დავაკონკრეტოთ, ახალ გვარებს საფუძლად ედებოდა არა მარტო მამის სახელი, არამედ გვარის დანაყოფის სახელიც. ამის ტიპურ მაგალითად ფშავი შეიძლება დავასახელოთ, სადაც გვიან შუა საუკუნეებში (XIX საუკუნის ჩათვლით) მოხდა დედაგვარისგან ახალი გვარსახელების წარმოქმნა. მამიშვილობათა

სახელები პირდაპირ გვარსახელებად იქცა. ისიც მოხდა, რომ ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში გვარის დანაყოფთა სახელები გვარსახელებად იქცა და მოგვიანო პერიოდში ამ ახალ გვარსახელთა წარმომადგენლები ისევ დაუბრუნდნენ ადრინდელ გვარს, ხოლო გვარის დანაყოფის ადრინდელი სახელი ისევ დანაყოფის სახელად აქციეს. ასეთი მოვლენა შენიშნული გვაქვს ხევში. *ნიკლაურთა* გვარის ერთ-ერთი დანაყოფია *გოთიენი*: „*გოთიეთ* ვეძახით, გვარად *ნიკლაურები* არიან“. 1774 წლის აღწერაში სოფ. სიონში **გოთიაური** გვარადაა ჩანერილი: „*გოთიაური თამაზის შვილი ვია, იასე, გიორგი და პაპუა*“. აქ პირველი გვარია, მეორე — მამის სახელი და მესამე — ინდივიდუალური სახელები. 1831 წელს ისინი კვლავ აღნიშნული გვარით, მაგრამ შეცვლილი სუფიქსით („*გოთიაშვილი*“) არიან ჩანერილები, 1886 წელს კი თავდაპირველ გვარს — *ნიკლაურს* დაუბრუნდნენ.

საისტორიო საბუთებით იმის შესაძლებლობაც გვეძლევა, დავადგინოთ, რა ხნოვანებისაა ესა თუ ის მეორე მემკვიდრეობითი სახელი. მაგალითად, სტეფანწმინდელი *ალიბეგაშვილების* გვარი ოთხი განაყოფისაგან შედგება: *ხოტიენი, ყაზგერენი, იენი და ცაცენი*. ამ მამიშვილობებიდან ორს საფუძველი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩაეყარა. 1774 წლის აღწერაში მოხსენიებულნი არიან **ია** და **ყაზგერ** *ალიბეგაშვილები*. ცალკე განაყოფას ქმნიდნენ ამა თუ იმ გვარში შესული სხვა გვარის წარმომადგენლები. მაგალითად, ხევის სოფელ ყანობში მცხოვრებ *კობიაშვილების* გვარში შესული არიან ძირად ქისტის — **ხუტის** შთამომავალნი, რომლებსაც „*ხუტიეთ განაყოფას*“ უწოდებენ. 1774 წლის აღწერაში ფიქსირებულია „*კობიაიძე ხუტის შვილი მგელი და ბეჟან*“.

იმერეთში ბაბუიშვილობა ძირითადად -*შვილი* ფორმანტი-თაა ნაწარმოები. მაგალითად, ბაღდადის მხარეში *დ. შავიანიძის* მონაცემებით *კიკნაველიძეები* იყოფიან შემდეგ დანაყოფებად: *ბერიშვილები, კოხტაშვილები, მერაბიშვილები, იაკოფაშვილები, ანდრიაშვილები, დათილოშვილები*. მთელ რიგ გვარებსა და გვართა ნაწილს ბაღდადის მხარეში შერქმეული სახელებიც აქვთ. *სახამბერიძეების* გვარის ერთ-ერთ დანაყოფს *გოდორას* უწოდებენ, რადგან მათი წინაპრები პროფესიით გოგრების მკეთენელნი ყოფილან. სოფელ წითელხევში მცხოვრები *მარგველაშვილების* ნაწილის მეტსახელი *მესაცრია* ყოფილა. მათ ეს სახელი საცრების კეთების გამო შერქმევიათ.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ ქართულ გვარსახელებს ფუძეებად ხშირად თანამდებობის, ხელობა-საქმიანობის, პრო-

ფესის ალმნიშვნელი ტერმინები აქვს. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ იმავე სიტყვებიდან მეორე მემკვიდრეობითი სახელებიც (გვარის დანაყოფთა სახელებიც) ან, საერთოდ, გვარის მეტსახელებიც მომდინარეობს (*ს. მელიქიძე*): *მეჭურჭლეები, მეყანნეები, მეჩანგლეები, მეთიხეები, მეკურდღლეები...* ანალოგიური მაგალითები მკვლევარებს საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში აქვთ დადასტურებული.

ახლა უნდა დავუბრუნდეთ ისევ გვარის დანაყოფთა მეორე მემკვიდრეობითი სახელების ალმნიშვნელ სახელწოდებებს. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სიტყვა გამოიყენება. უმეტესი მათგანი წარმოშობით ქართული ტერმინია. გვაქვს უცხო წარმოშობის ტერმინებიც. მაგალითად, „ბუნე“ გვარის დანაყოფს ენოდება ზემო იმერეთში. *თეიმურაზ ბაგრატიონის* ლექსიკონით „ბუნი//ბუნია არაბულათ საფუძველსა ნიშნავს“. მას ირანულიდან შემოსულად მიიჩნევენ. სამწუხაროდ, მეორე მემკვიდრეობითი სახელის ალმნიშვნელი სხვადასხვა ქართული სიტყვიდან (დიალექტური სიტყვები) თითქმის არც ერთი არ არის შეტანილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. იშვიათადაა ისინი განმარტებული დიალექტურ ლექსიკონებში, თანაც — არასრულყოფილად. ერთგვარი გამონაკლისია *ქ. ძონენიძის* ლექსიკონი, რომელშიც „ბუნე“ განმარტებულია, როგორც ერთი პაპის შთამომავალი. როგორც აღვნიშნეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში გვარის სახელწოდების აღსანიშნავად ორი (უფრო სწორად — სამი) ტერმინია შემოთავაზებული: **შტო-გვარი, ქვე-გვარი და მეტგვარი**. ჩვენ ეს ტერმინები შესატყვის ტერმინებად არ მიგვაჩნია და, თანაც, ისინი სრულადაც არ ასახავენ იმ სოციალურ ერთეულს, რომელზედაც ვმსჯელობთ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გვარის დანაყოფის სახელწოდების აღსანიშნავად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთი ტერმინი დამკვიდრდეს, რომელსაც ქართველი ხალხი ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში იყენებს. ერთი და იმავე სოციალური ერთეულის (უჯრედის) აღსანიშნავად ენათმეცნიერმაც და ეთნოგრაფმაც ერთი ტერმინი უნდა გამოიყენოს. ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, უპირატესობა ერთ-ერთ დიალექტურ ფორმას უნდა მიენიჭოს. ასეთ ტერმინად „მამიშვილობა“ (ან „განაყრობა“) მიგვაჩნია. საბოლოოდ კი ყველაფერი შეთანხმებაზეა დამოკიდებული.

III. 5. ქართულ საკუთარ სახელთა სისტემა — ანთროპონიმიული მოდელი

როგორც აღინიშნა, ანთროპონიმია ადამიანთა სახელდების ერთობლიობაა, რომელიც სახელს, მამის სახელს, გვარსახელსა და აგრეთვე მეტსახელს მოიცავს. თითოეული მათგანი ისტორიის განსაზღვრულ პერიოდში და კონკრეტულ სოციალურ გარემოში წარმოიქმნა. ანთროპონიმი, უპირველეს ყოვლისა, სიტყვაა და, როგორც ყოველი სიტყვა, ისიც ენის კანონებს ექვემდებარება და ლინგვისტური მეთოდებით შეისწავლება. მაგრამ ანთროპონიმი არის საკუთარი პიროვნული სახელიც. მას ატარებენ გარკვეული ეთნიკური, სოციალური წრის წარმომადგენლები, იგი ჩნდებოდა ისტორიის რომელიღაც ეტაპზე და ფიქსირდებოდა საეკლესიო ჩანაწერებში, ფიქსირდებოდა და ფიქსირდება პიროვნების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტებში. ამდენად, მისადმი დიდ ინტერესს იჩენენ ისეთი მეცნიერებანი, როგორიცაა ისტორია, ეთნოლოგია, სოციოლოგია, იურისპრუდენცია. საერთოდ, **ანთროპონიმიული მონაცემებით შესაძლებელია ფართო კულტურულ-ისტორიული, ეთნოისტორიული და სოციალური პრობლემების დასმა და გადანყვეტა.**

ყველა სახელი თუ გვარსახელი გარკვეულ მიზეზთა გამო წარმოიქმნა. სახელიც და გვარსახელიც შეიძლება იყოს პოპულარულიც და არაპოპულარულიც, ძალიან გავრცელებულიც და ნაკლებ გავრცელებულიც, რასაც ხშირად ამა თუ იმ სახელთან და გვარსახელთან დაკავშირებული ესა თუ ის მოვლენა განაპირობებს. ყველა სახელსა და გვარს აქვს თავისი ისტორია, გეოგრაფიული და ეთნიკური გავრცელების არე.

საკუთარი სახელი ყველა ხალხს აქვს. ის ადამიანთა საზოგადოების გაჩენისთანავე ჩაისახა. ეთნოლოგთა მიერ შესწავლილი, განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ყველა ხალხისათვის დამახასიათებელი იყო საკუთარი სახელი. ამდენად, მის გარეშე ადამიანი წარმოუდგენელია. მაგრამ ყველა ეთნოსისათვის როდია დამახასიათებელი ამა თუ იმ პირის მამის სახელით, ანდა გვარსახელით დაფიქსირება. რამდენადაც ეთნიკური ერთობები ერთმანეთისაგან მრავალი ნიშნით განსხვავდება, მათ საკუთარ სახელთა თავიანთი, მათთვის სპეციფიკური, ორიგინალური სისტემა, ანუ ანთროპონიმიული მოდელი ახასიათებთ.

ზოგიერთი ხალხისათვის საერთოდ უცხოა მამის სახელი. ამასთანავე, უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან დოკუმენტში პირის მამის სახელით ჩაწერა, მამის სახელი, როგორც მიმართვის ფორმა და მამის სახელით პირის მოხსენიება. როგორც მამის სახელი, ისე გვარსახელი აკონკრეტებდა და აკონკრეტებს პიროვნებას. იურიდიული თვალსაზრისით, როგორც ერთ, ისე მეორე ანთროპონიმს განმასხვავებლის ფუნქცია აქვს. იგივე შეიძლება ითქვას მეტსახელზე (თიკუნზე), თუმცა ის ოფიციალურად არსად ფიქსირდებოდა. ხშირად ეს უკანასკნელი უფრო გამოიყენებოდა, ვიდრე ოფიციალური სახელი.

სხვადასხვა სახის ანთროპონიმულ სისტემაში მისი შემადგენელი ელემენტები სხვადასხვა რიგის მიხედვით არის წარმოდგენილი. ერთში თუ პირველ ადგილზე გვარსახელია, მეორეში — სახელი. ეს განლაგებაც ისტორიულად იცვლებოდა. დღეს თუ ბევრ ქვეყანაში ის ოფიციალურად რეგლამენტირებულია, ისტორიულად იგი არავითარ რეგლამენტაციას არ ექვემდებარებოდა. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველდღიურ ყოფაში ოფიციალურად დაკანონებული ანთროპონიმული მოდელები როდი იხმარება; პირს როდი მიმართავენ საკუთარ სახელთა იმ ერთობლიობით, რომელსაც ის ატარებს.

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ანთროპონიმულ მოდელებს თუ თვალს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ ხშირად ხდებოდა ამა თუ იმ სისტემის სესხებაც. მაგალითად შეიძლება რუსეთის იმპერია მოვიყვანოთ, სადაც სხვადასხვა ენის, წარსულის, კულტურისა და მენტალიტეტის ხალხს ერთი, რუსული ანთროპონიმული სისტემა დაუკანონდა.

ანთროპონიმული სისტემების ცვლას უკავშირებდნენ სოციალურ-ეკონომიკური წყობის, ფორმაციების ცვლას (ვ. ნიკონოვი). მაგრამ ეს მარქსისტულ-ლენინური შეხედულება არავითარ მეცნიერულ და რეალურ მონაცემებს არ ემყარება. საერთოდ, ერთხელ ჩამოყალიბებული ანთროპონიმული მოდელი, მართალია, ცვლილებებს განიცდიდა, მაგრამ როგორც ენობრივი, ეთნოლოგიური და ისტორიული მოვლენა, ის მაინც შედარებით მყარი და ნაკლებ დინამიკური იყო; თუმცა გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა, მხოლოდ არა ფორმაციების შეცვლის კვალდაკვალ.

ისტორიულად ჩამოყალიბდა ქართველი ხალხის ანთროპონიმული მოდელიც. ქართველები იმ ხალხებს შორის ვართ, მემკვიდრეობით სახელს (გვარსახელს) უკვე მრავალი საუკუნის განმავლობაში რომ ატარებენ. ქართული გვარსახე-

ლი, რომელიც დოკუმენტურად VII საუკუნიდანაა დადასტურებული, არავისგან ნასესხები არ არის, მას განვითარების თავისი ხანგრძლივი გზა აქვს განვლილი. იგივე შეიძლება ითქვას, საერთოდ, ქართულ საკუთარ სახელთა სისტემაზე, ანუ ანთროპონიმულ მოდელზე.

სანამ ქართულ ანთროპონიმულ მოდელს შევეხებით, განვიხილავთ ცალკეულ შემადგენელ კომპონენტებს. ქართული საკუთარი სახელები ისტორიულად იცვლებოდა, რაც ძირითადად რელიგიითა და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობით იყო განპირობებული .

ერთზე მეტი სახელის დარქმევის ტრადიცია ფეოდალური პერიოდის ქართულმა წყაროებმაც შემოგვინახა. აქ შეიძლება გავიხსენოთ *ლაშა-გიორგი*, *დავით-სოსლანი*, *ქობულ-სტეფანოზი* (VII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლის ერისმთავარი, იხ. ნარნერა ჯვრის მონასტერზე — *„ქობულ-სტეფანოსი ადარნესეს ძე“*, *„წმინდაო სტეფანე ქობულ-სტეფანოსი შეინყალე“* — თავისი ბავშვობის დროინდელი, VI საუკუნის ბოლო პერიოდისა). *ქობული*, *სოსლანი*, *ლაშა*, რა თქმა უნდა, ნათლობამდელი სახელები იყო ამ პირებისა, *სტეფანოზ*, *დავით* და *გიორგი* კი — ნათლობის სახელები. ბოლო დრომდე ხომ ყველა ქართველს ორი სახელი მაინც ერქვა, ერთი — ოფიციალური, ქრისტიანული (ნათლობისა) და მეორე — ზედმეტი სახელი. ორსახელიანობის საინტერესო ფაქტი გვაქვს დადასტურებული ერთ-ერთ ქართულ საისტორიო საბუთში. ქვემოთ მოყვანილ მასალას, ვფიქრობთ, მნიშვნელობა აქვს ქართული ანთროპონიმული მოდელისათვის. მხედველობაში გვაქვს დასტურლამალის 1729 წლის ხელნაწერზე მინაწერები: *„გიორგი მალრადის ძე იოანე, რომელსა ჰქვიან ქუმისი...“*, *„გიორგი მალრადის ასული მარიამ, რომელსაც ჰქვიან კეკელა...“*. ეს ამონაწერი ქვემოთაც დაგვჭირდება. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ *იოანე გიორგის ძე* და *მარიამ გიორგის ასულ მალრადეებს*, მართალია, ოფიციალურად კანონიკური ქრისტიანული სახელები — *იოანე* და *მარიამი* — ერქვათ, მაგრამ, სინამდვილეში, ისინი მაინც სხვა, ზედმეტ სახელებს (*ქუმისი* და *კეკელას*) ატარებდნენ. წყაროზე მინაწერი — *„რომელსა ჰქვიან ქუმისი“*, *„რომელსა ჰქვიან კეკელა“* — სწორედ იმის მიმანიშნებელია, რომ **ოფიციალური კანონიკური ქრისტიანული სახელით მათ ნაკლებად იცნობდნენ და ყოველდღიურ ურთიერთობაში უფრო მეორე, ზედმეტ სახელებს (თიკუნებს) გამოიყენებდნენ.** XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში არაერთი შემთხვევაა დაფიქ-

სირებული, როდესაც ოჯახის უფროსები ორი სახელით, ერთი — ქრისტიანული და მეორე — მეტსახელით არიან ჩანერილები. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კარდენახის აღწერა: *გიორგი იგივე ხარება გელუკაშვილი; გიორგი იგივე ხოხობა გელუკაშვილი; გიორგი იგივე საბრალო გელუკაშვილი; თევდორე იგივე ნემსა აფრიაშვილი; გიორგი იგივე ჭუკა ხოსიტას ძე ვაჟიბედაშვილი; ივანე იგივე ჯაგო ბეროზაშვილი; კოდალოში: სოლომონ იგივე ნამალა მეშველიშვილი; ივანე იგივე ბიბილა თანდილაშვილი*. ხშირად არიან ორი სახელით ჩანერილი ფშავში: *ელენე-ქალთამზე, ბერი-ბესარიონ, ჯულურა-ივანე, გიორგი-ბერი, ქორია-ივანე, იოსებ-ბენინა, გეჯურა-თომა, მახარე-დავით, მგელა-გიორგი, ბურულა-ვასილი, ივანე-ხორხელა, ივანე-ნებიერი...*

ქართველები მხოლოდ სახელით მიმართავდნენ ერთმანეთს. ქართულ საზოგადოებაში ბატონობით მიმართვა მხოლოდ გვიან, XIX საუკუნეში შემოვიდა. ბატონობით გლეხები მიმართავდნენ თავადსა და აზნაურს. მამის სახელით მიმართვის ფორმა რუსული მოვლენაა; ის საქართველოში რუსეთიდან შემოვიდა (*ც. კალაძე*) და სრულიად კანონზომიერად ტოვებს ჩვენს სფეროს. სხვათა შორის, პიროვნების სახელითა და მამის სახელით მოხსენიებამ, საყოველთაო ხასიათი რუსეთში XVIII საუკუნის ბოლოს შეიძინა. უფრო ადრე მას მხოლოდ სოციალური ფუნქცია ჰქონდა. ცნობილია, რომ რუსეთის იმპერატორები თვითონ ამტკიცებდნენ იმ პირთა სიას, რომელთათვისაც შეიძლება ბოდა სახელითა და მამის სახელით მიემართათ.

მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პიროვნებას დაკონკრეტების მიზნით ქართულ ყოფაში მამის სახელით ხშირად მოიხსენიებდნენ, რისი დამადასტურებელი არაერთი ფაქტი შეიძლება მოვიყვანოთ ქართული ფოლკლორიდან და ეთნოგრაფიული მასალებიდან; ან პიროვნებებს სახელითა და მამიშვილობით (გვარის დანაყოფის სახელით, მეორე მემკვიდრეობითი სახელით) მოიხსენიებდნენ. გვარით მოხსენიება საჭირო არ იყო. პიროვნების მოხსენიების ასეთი ორწევრიანი მოდელი (მამის სახელი+სახელი; მამიშვილობა+სახელი) არაერთია ცნობილი ქართული ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალებიდან. ასეთ შემთხვევაში საჭირო არ იყო გვარსახელის მოხსენიება: ის ისედაც ცნობილი იყო ამა თუ იმ უბნის, სოფლის, თემისა და სხვა რიგის ტერიტორიული ერთეულისათვის.

ზემოთ თქმულის დასადასტურებლად უპრიანი იქნება გავიხსენოთ ერთი ქართული ხალხური ლექსი *ლუის ლუხუმი*, რო-

მელშიც *ლუბუმის* მამის სახელია *ლუი*. ეთნოგრაფთათვის, რომლებიც *სისაურთა (ლიქოკელთა)* გვარით დაინტერესებულან, ცნობილია ამ გვარის საფუძველჩამყრელი — *სანავის სანავი*. ერთ ხევსურულ გადმოცემაში სოფელ მუცოს ადრინდელ მკვიდრთა შორის მოიხსენიება *არღუმის ჩარღუმი*. მსგავსი მაგალითების მოყვანა არაერთი შეიძლება თუშური ფოლკლორიდან. ეს მომენტი ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში შეამჩნიეს: „თუშეთში სშირად გვარის მაგიერ ლექსებში მოხსენიებულია მამის სახელი ამნაირად: *ქავთარ ლუბუმის ძე, მიქელ ზურაბის ძე ან ციგუს სულთანი* (ე. ი. *ციგუს ძე სულთანი*), *ხოსიკის ივანე* (ე. ი. *ივანე ხოსიკის ძე*), *აბალოს დავით* (ე. ი. *დავით აბალოს ძე*“. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში იმავეს აღნიშნავენ: „**თუშეთში როცა კაცი ან ქალი მამის სახელით მოიხსენიებოდა, მას ძე და ასული არ ერთვოდა, იყო მხოლოდ მამის სახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით. ამის შესახებ ილუსტრაციებს ხალხურ პოეზიაში ვადასტურებთ**“ (გ. ცოცანიძე). ალ. ჭინჭარაულის სამართლიანი მოსაზრებით, მთაში ბოლო დრომდე შემორჩენილი **სახელდების ასეთი სახე ნაშთია ძველი ქართული სახელდების წესისა, რომლის უძველესი ნიმუშები შემორჩენილი გვაქვს უძველეს სალიტერატურო ძეგლებსა და სახარების ტექსტებში**. სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე აღნიშნულია, რომ სახელ-მამისსახელიანი მოდელი (სახელი+ნათესაობით ბრუნვაში დასმული მამის სახელი) ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო (*ც. კალაძე*). პიროვნების არა მარტო მამის სახელით, არამედ პაპის სახელითაც ჩანერის ერთი მაგალითი გვაქვს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“: „ხოლო ან კვალად დაჲ გიორგისი, რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა *მირიანისა, ძისა ბეშქენ ბაჰლაუნდისაჲ ძისა იოანესი*“. ამ შემთხვევაში საკუთარ სახელთან, მამისა და პაპის სახელებთან ერთად დაფიქსირებულია გვარსახელიც (*ბაჰლაუნდი*). ჩვენ ვიზიარებთ შეხედულებას, რომ „*სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება*“ VII საუკუნის ძეგლია (*ა. პოგვერაძე*). ეს ქართული გვარის პირველი ხსენებაა VII საუკუნის წყაროში. მაგრამ აქვე ისმის კითხვა: რატომ ჰქონდა ქართველ მთავარს არაქართული (უსუფიქსო) გვარი? ანდა როდის წარმოიქმნა იგი? ქართულ ეთნიკურ-ენობრივ სამყაროში სპარსული სახელის გვარად ქცევა (ქართული სუფიქსის გარეშე) დაკავშირებული უნდა იყოს იმ პერიოდთან, როდესაც საქართველოში სპარსელთა მართვა-გამგეობა იყო დამყარებული. ქართველ მთავრებს, აზნაურებს საშუალო სპარსულის გვარსახელები IV

საუკუნიდან თუ არა, VI საუკუნის 30-იანი წლებიდან, ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ მაინც უნდა დაემკვიდრებინათ. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ *ბაჰლაუნდი* გვარსახელად მიაჩნია *მ. ანდრონიკაშვილსაც*. ამავე ავტორის აზრით, ბაჰლაუნდი ქართულში შემოსულია საშუალო სპარსულიდან: *Pahlav, Pahlavan*. ოღონდ „განსხვავებას ქმნის თავკიდური **ბ** ქართულ ფორმაში და ზედმეტი **დ** სიტყვის ბოლოს“, რაც პირველ შემთხვევაში დისიმილაციური გამჟღერებით იხსნება, ხოლო მეორე შემთხვევაში ბოლოკიდური **დ**-ს გაჩენა ახალი სპარსულიდან შემოსულ ფორმაშიც არის შენიშნული (*ფალავანდიშვილი*, მაგრამ *ფალავანი*).

როგორი იყო ქართული ანთროპონიმული მოდელი? როგორაა ფიქსირებული პიროვნება ქართულ საისტორიო საბუთებში? სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემთ, კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ქართული გვარსახელები ისტორიის სიღრმეშია წარმოქმნილი. საისტორიო წყაროებით ქართული გვარსახელი VII საუკუნიდან დასტურდება; მაგრამ ქართულ ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ჩვენში მოხდა გვაროვნული გვარის ჯერ გვიანდელ გვარში და შემდეგ გვარსახელში გადასვლა. ამრიგად, **მემკვიდრეობითი სახელის გარეშე ქართული ენობრივ-ეთნიკური სამყარო არასოდეს ყოფილა.**

რაც შეეხება ქართულ ანთროპონიმულ მოდელს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ საისტორიო საბუთებში, იურიდიულ დოკუმენტებში გვარსახელი თითქმის ყოველთვის ფიქსირდებოდა; ის ზოგჯერ ინდივიდუალურ სახელთან, ზოგჯერ კი სახელთან და მამის სახელთან ერთად ფიქსირდებოდა, ე. ი. სხვადასხვა პირები ქართულ საისტორიო საბუთებში, ძეგლებში ჩანერილი არიან როგორც პიროვნული სახელითა და გვარით, ისე სახელით, მამის სახელითა და გვარსახელით. ამ მხრივ საქართველოში არავითარი დადგენილი წესი არ არსებობდა. პიროვნებათა მოხსენიება არავითარ იურიდიულ აქტს არ ეყრდნობოდა.

ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ ორი მაგალითი XVIII საუკუნეში პიროვნების სახელით, მამის სახელითა და გვარსახელით ჩანერისა. 1729 წლის „დასტურლამალის“ ხელნაწერზე მინაწერი: „გიორგი მალრაძის ძე იოანე, რომელსა ჰქვიათ ქუმსი...“, „გიორგი მალრაძის ასული მარიამ, რომელსა ჰქვიათ კეკელა...“ აქ აშკარად სამწევროვან ანთროპონიმულ მოდელთან გვაქვს საქმე სახელის, მამის სახელისა და გვარსახელის შეხამებით. ოღონდ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ამ შემთხვევაში ჯერ

ჩანერილია მამის სახელი, შემდეგ გვარი და ბოლოს — სახელი. საერთოდ, ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ქართულ საისტორიო საბუთებში პიროვნების სამწევროვანი (და ორწევროვანი) მოდელით ჩანერა არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარება, ვისაც როგორ მოესურვებოდა, ისე წერდა — ხან მამის სახელი იყო პირველ ადგილზე, ხან გვარსახელი და ხანაც — სახელი.

მოვიხმობთ ქართული ანთროპონიმული მოდელის დამადასტურებელი მასალები საისტორიო საბუთებიდან. აქვე აღვნიშნავთ, რომ ორწევროვანი მოდელის დამადასტურებელ მაგალითებს არ მოვიხმობთ, რადგან სამწევროვანი ნიმუშები გვაინტერესებს. XII საუკუნის „შენიშნულობის დაწერილში“ ვკითხულობთ: „...და მუნ შინა დამკვიდრებულთა მამათა და ძმათა ჟინოვნით მიხითარაისძენი დავითის შვილნი: *ოქრო* და *მახარა*, *ბრაჭი* და *იოანე*...“. ამ შემთხვევაში *მახითარაისძე* გვარსახელია *ოქრო*, *მახარა*, *ბრაჭი* და *იოანესი*, რომელთა მამასაც *დავითი* ერქვა. 1297-1298 წლების სიგელიდან: „მოვიდა ჩუენ წინაშე *ქარმაული ჭაჭნიაშვილი გრიგოლ*...“ „დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ ჰაჯაი და მოხსენებაი *ჭაჭნიაშვილისა გრიგოლ ქარმაულისა*...“. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართულ ანთროპონიმულ მოდელში სახელთა განლაგება არავითარ ენობრივ და იურიდიულ კანონებს არ ექვემდებარებოდა. უკანასკნელი მაგალითიც ამას ადასტურებს. ერთსა და იმავე საბუთში ერთი და იგივე პირი ჯერ ჩანერილია გვარის, მამის სახელისა და სახელის თანამიმდევრობით, შემდეგ კი ეს თანამიმდევრობა ირღვევა და პირველ ადგილზე მამის სახელია, შემდეგ — სახელი და ბოლოს — გვარსახელი.

1104-1118 წლების სიგელი: „ანცა მოვიდა ჩუენ წინაშე და გუეჰაჯა, რაითამცა გაუშუით და გავათავისუფლეთ *ნიანია გრიგოლ მაოკრებლისა შვილი*, მისითა მამულითა ვეძის ჰევეითა. დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ მოკსენებაი და ჰაჯაი *არიშნიანისი* და გაუშუით *ნიანია ნიანისძე*, *გრიგოლ მაოკრებლისა შვილი*, მისითა მამულითა ვეძის ჰევეითა...“. საბუთიდან აშკარაა, რომ *ნიანია* გვარად არის *ნიანისძე*, რომლის მამასაც ერქვა *გრიგოლ* და ჰქონდა ზედწოდება (მეტსახელი) „*მაოხრებელი*“. ასე რომ, აღნიშნულ საბუთში პიროვნება მოხსენიებულია სახელით, მამის სახელითა და გვარსახელით (პლუს მამის მეტსახელი).

1259 წლის საბუთიდან: „...დაგინერე და მოჰაკსენე დაწერილი ისე თქუენ, ყოველთა მამათა თუალსა და მნათობსა წმინდასა მამასა შიოს და მლუიმეს შინა დამკვიდრებულთა წმინდათა

მამათა, მე *აბულეთისძემან, ძაგანმან, ძემან ერისთავთ-ერისთავისა იოანესმან...*“. ვფიქრობთ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშეც ცხადია, რომ საქმე გვაქვს სამწევროვან ანთროპონიმულ მოდელთან. პირი საბუთში თავის თავს ასახელებს გვარით, სახელითა და მამის სახელით (*ძაგან იოანეს ძე აბულეთისძე*).

ახლა ქართულ ლაპიდარულ წარწერებს მივმართოთ. საყურადღებოა, რომ სამწევროვანი ანთროპონიმული მოდელი პირველად სწორედ ასეთ ძეგლშია დაფიქსირებული. მხედველობაში გვაქვს IX-X საუკუნეებით დათარიღებული სოფელ ბიეთის ეკლესიის წარწერა (შიდა ქართლი, მეჯუდას ხეობა), რომელშიც ვკითხულობთ: „ქრისტე, მეუფეო ყოველთაო, ადიდე ერისთავთ-ერისთავი *იოანე, ძე ბაკურ ყანჩაველისა*, უფალი და პატრონი ამისა წმინდისა ეკლესიისა, დაიცავ წმინდა მრემლი სამებისა ყოველი“.

შიდა ქართლისავე ტბეთის ბორცვისჯვრის (ლიახვის ხეობა) X საუკუნის შუა წლების წარწერიდან: „სახელითა ღმრთისაათა ესე ბალაჰვარი მე, *ტბელმან პატრიკმან, ძემან ქავთარისამან* დავდეც სალოცავად სულისა ჩემისა და შვილთა ჩემთათუინ ჯვარო ბორცვსაო, მეოხ მექმნე“. აქაც სამწევროვან ანთროპონიმულ მოდელში ჯერ გვარია დასახელებული (*ტბელი*), შემდეგ — სახელი (*პატრიკი*) და ბოლოს — მამის სახელი (*ქავთარის ძე*).

982—989 წლების ატენის მცირეგუმბათიანი ეკლესიის სამშენებლო წარწერა: „ქრისტე ადიდე ორსავე ცხოვრებასა, აქა ჳორციელებრი და წინაშე შენსა სულიებრ *რატ ერისთავი, ძე იგი ლიპარიტ ერისთავისა* რომელმან აღაშენა ესე სახლი ღმრთისაი და ბჭეი ცათაი, წმინდაი ეკლესიაი, სალოცველად სულისა მათისა...“. *რატი ერისთავი* წარწერაში მამის სახელით (*ლიპარიტით*) მოიხსენიება.

გ. ბოჭორიძეს სამცხეში ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერა გადმოუნერია, რომელშიც ვკითხულობთ: „ქრისტე შეინყალე სული *ფარსმან ერისთავთერისთავისა იოანეს ძისა* ჭიმჭიმელისა“ [სხვათა შორის, სოფელი ჭიმჭიმი ტაოში, ჭოროხის ხეობაში იყო. დღეს ამ სოფელში ხუთი მოხუცებულია ლაპარაკობს ქართულ ენაზე. ერთი საუკუნის წინ, როცა ე. თაყაიშვილმა ტაო-კლარჯეთში იმოგზაურა, ამ სოფლის ყველა მკვიდრი ქართულად ლაპარაკობდა. ბუნებრივია, გვარსახელი *ჭიმჭიმელი* ამ სოფლიდან მომდინარეობდა]. გამომცემელს ეს წარწერა დათარიღებული არა აქვს. იგი XII საუკუნით უნდა დათარიღდეს. ნიკორწმინდის XI საუკუნის ბოლო დროის ხატის წარწერა:

„ქ. მე, კახაბერ-ყოფილმან კირილე, ძემან სულკურთხეულისა ერისთავთ-ერისთავისა რატიისმან მოვჭედე ხატი ესე ჯუარცუ-მისაი ნუგეშისმცემლად და სალხინებლად სულისა ჩემისა ცოდვილისად და სადღეგრძელებლად ძისა ჩემისა ერისთავთ-ერისთავისა, რაჭის ერისთავის რატიისად“. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“-ში ვკითხულობთ: „ამისდა შემდგომად წარვიდეს მჭარგრძელნი, ძენი სარგისისნი და ვარამისნი, მოყმენი პირნალმართნი, უხუცესნი ზაქარია და ზაქარია დალოცვილნი, ივანე და სარგის დალოცვილნი, ივანე და სარგის დაულოცველნი, და ილაშქრეს ქვეყანასა დვინისასა“.

1689 წლითაა დათარიღებული საფლავის ქვა, რომლის ეპიტაფია ასეთია: „მე დიდისა ორბელისშვილის ბატონის ყაფლანის უხუცესი ძე, სომხითის მოურავი საორბელოს პატრონი, საბარათიანოს დიდი თავადი, მეფის გიორგის დედის ძმა ბატონი პაპუნა გარდავიცვალე და ძე არ მესვა, არცა ასული, ესოდენის დიდების პატრონი ამ მცირეს საფლავს დავემკვიდრე, შეძვრად კელს ნუ მყოფთ, შენდობას ბრძანებდეთ გვევდრებით, ქორონიკონი ტოზ (1689)“.

რადგან ყაფლანიშვილ-ორბელიშვილებზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე მოვიყვანთ ნაწყვეტს ერთი ნასყიდობის წიგნიდან: „ბატონის ყაფლანიშვილის გიორგის შვილი პაპუნა, გორჯასპი და ზურაბ“.

XIII საუკუნის დაწერილში ვკითხულობთ: „...ესე დაწერილი დაგინერე და მოგახსენე თქუენ, ყოვლად ძლიერსა ღმრთის მშობელსა, მე სურამელის ბეგაის შვილის მიქელის ცოლმან ქანამან...“

ახლა 1348 წლის წყალობის სიგელიდან მოვიყვანოთ ამონაწერი: „მოვიდა ჩუენს წინაშე ქუენიფნეველი, ლარგველისა შვილი ნითლოსან...“ დღეს ეს ასე დაინერებოდა: ნითლოსან ლარგველის ძე ქუენიფნეველი.

1510 წლის ალექსანდრე მეფის ყმა-მამულის შეწირულობის წიგნში მოხსენიებულია „ბერ ასათიანი, ლულუნას შვილი“.

1648 წლის განჩინებიდან: „დავსხედით სოლოლაშვილის შიომის შვილის დათუნასა და თამაზის და ბიძინას სასამართლოთ“. 1648 წლის განჩინებაში დასახელებულია ტოტუაშვილი მახარობლის შვილი ბასილი. 1653 წლისაში — რატიშვილი თულას შვილი ხუცია, 1753 წ. — გვარამაძე ისასეს შვილი ლომი; 1760 წლის განჩინებაში ვკითხულობთ: „ციციშვილმან პაპუნა შვილმა დიმიტრიმ უჩვილა“; 1775 წლის საბუთში კი წერია: „გედევანიშვილის რევაზის შვილი სოლომან“.

„ქართული სამართლის ძეგლები“ III ტომიდან (1970): „წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ ღმერთისა მიერ კურთხევით კურთხეულმა ამბა ალავერდელმან *ენდრონიკაშვილმან*, აბელ მოურავის ძემან, ზაქარია შენ, ჩვენის დიდებულის წმინდის გიორგის ერთგულს და ჩვენზედ თავდადებით ნამსახურის ყმას ჩვენს *დვალიძვილს ფოცხვერის შვილს ზაალს* და შვილსა შენსა *დავითს*“ (საბუთი 1733 წლისა). 1733 წლის საბუთიდან: „გურიას *ასათიანი ხუცესი ენუქის შვილი იესე*“. 1705-1741 წლების დომენტი კათალიკოზის ბრძანებაში ნათქვამია: „...ატენს *ბერიშვილის ლაზარეს შვილის თომას* მამული...“. 1783 წ.: „წყალობის წიგნი და სიგელი და დაგინერეთ და გიბოძეს შენ, ჩვენის ეკლესიის აზნაურიშვილს *ქადაგიშვილს იოთამის შვილს ზაქარიას*“. დავით კათალიკოზის 1789 წლის სახასო და სააზნაურიშვილო გლეხების სიაში დასახელებულნი არიან: „*ოქროპირიძე დავით მღვდლის შვილი ბერი*“; „*ოქროპირიძე თომა მღვდლის შვილი გაბრიელ*“; „*თოთაძე გიორგის შვილი გაბრიელ*“. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარში მოხსენიებულია *ქენქაძე ელიზბარის შვილი ბერა*.

1790 წლის ერთ საბუთში ვკითხულობთ: „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მისცეს რაჭიდან გადმოსულს *ზაქარიას შვილს კილაძეს ბეროს*“. ამ საბუთშიც, როგორც ვნახეთ, ჯერ მამის სახელი წერია, შემდეგ გვარი და ბოლოს — სახელი. 1786 წლის გიორგი რაჭის ერისთავის მიერ *ქველი გამყრელიძისათვის* მიცემულ წყალობის წიგნში აღნიშნულია: „...გიბოძეთ ეწერს *ბუჭულა მეტრეველის ჯავრონაშვილის პარტახტი*“. 1791 წლის შეწირულობის წიგნში ვკითხულობთ: „არის ამისი გამრიგე და მონამე კვარის მოურავი ბერი, ჩემი მოურავი *ბახუტაშვილი ბაქარაძე ბერი*“. 1794 წლის წყალობის წიგნიდან: „*სანიძე მამუკელას შვილი დათუკი*“.

რამდენიმე ამონაწერი ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოცემული დოკუმენტების კრებულიდან: „ანყურის ციხის იერიშში *შალიკაშვილის მასტანას შვილი თამაზ მოკლეს* (1619 წ.); „მერმე სალთხუცესის *ჩხეიძის ბეჟიას შვილი ოტია*“ (1641 წ.); „გიბოძეთ არადეთს *მოლოზანიძე ბეჟუას შვილი ამბრია...*“ (1646 წ.) „ნასყიდობის ფული და სიგელი დაგინერეთ და მოგვეცით ჩვენ *დიასამიძემ, სეხნიაშვილმან იესემ...*“ (1700 წ.); „*ყოფოლაძე პაპუნას შვილი რევაზ*“ (1700 წ.); „*ლომკაციშვილი ბერის შვილი ნადირა ახალციხეს გაეყიდა*“ (1713 წ.); „*რიკაძე ოთარის შვილი ლევან*“ (1720 წ.); „ასე რომე დამიჭირა და მოგყიდე სათიხარს *ლომოური*

ნადირაშვილები ნიკოლა და სეხნია“ (1728 წ.); „მოგყიდე წერო-
ანს კუნელაური გიორგის შვილი თამაზა“ (1733 წ.).

საყურადღებოა 1780 წლის ანტონ კათალიკოსის სიგელი:
„მტიციე და უცვალებელი წიგნი და სიგელი დაგინერეთ და გი-
ბოძეთ თქვენ, ჩვენ ეკლესიის აზნაურშვილთ, *თაზიშვილებს,*
მვალობლის ზაზაშვილს თეოდოსის, იორამაშვილს სვიმონს და
მოსეს, მოსეს შვილთ პაატას და ზურაბს“. საბუთიდან აშკარაა,
რომ საუბარია თაზიშვილის გვარსახელზე. რაც შეეხება მასში
მოხსენიებულ *ზაზაშვილს, იორამაშვილს და მოსეშვილს*, ისინი
მამის სახელებია. ამრიგად, ზემონახსენებ საბუთშიც პირები
მოხსენიებულნი არიან გვარსახელით, მამის სახელითა და სახე-
ლით, ე. ი. საქმე გვაქვს სამწევროვან ანთროპონიმულ მოდელ-
თან. 1691 წლის დოკუმენტში დასახელებულია „წოდორელი ხუ-
ციანთ მარკოზაშვილი ივანე“. ამ შემთხვევაში „ხუციანთ“ (ხუ-
ციშვილი) გვარსახელია, *მარკოზაშვილი* — მამის სახელი, *ივანე*
— საკუთარი სახელი.

ახლა 1774 წლის ერთ საბუთში ჩავიხედოთ („წყალობის წიგ-
ნი იმერეთის მეფის სოლომონ I-ისა ბოძებული კარის მწირველ
ონოფრე ჯაფარიძისადმი“): „გიბოძეთ სევას გლეხი *დემეტრაშ-
ვილი, დათუა შვილი გოგიტა და ივანიკა, ბერუკი და მისი შვილი*
გელიტა და მისი ძმის წული ქრისტესია, მათის ცოლ-შვილითა...
კიდევ *კაჭუნი დემეტრაშვილი*“. კომენტარის გარეშეც ცხადია,
რომ ლაპარაკია გვარსახელზე (*დემეტრაშვილზე*), რომლის წარ-
მომადგენლებიც, გვართან ერთად ჩანერილი არიან მამის სახე-
ლითაც.

ჩვენამდე მოაღწია მორიგე ლაშქრის რამდენიმე ნუსხამ.
1774 წლის ერთ-ერთ ნუსხაში („ჟინვანიდამ და არანისიდან“)
სხვადასხვა პირი ჩანერილია გვარსახელით, მამის სახელითა და
სახელით: „ჟინვანიდან ბოგანო ჩინთელი *მანგაური ზურაბის*
შვილი დემეტრე“; „ჟინვანიდამ *სისვაური ბერის შვილი გიორ-
გი*“; „არანისიდამ *ზანდუკელი გიორგის ყმა თეთრაული ბერის*
შვილი მამუკა“; „არანისიდამ *ზანდუკელი ზურაბის შვილი მამუ-
კას ყმა მოძმენაძე შიოს შვილი გლახა*“; „*ზანდუკელი გიორგის*
ყმა ხიტალიძე გამახარდის შვილი მამუკა“; „*ზანდუკელი ოთა-
რის შვილი გლახას ყმა მოძმენაძე ქრისტესიას შვილი პეტრე*“;
„*ზანდუკელი გიორგის ყმა ლომიძე გამახარეს შვილი რუხი*“;
„*ზანდუკელი გიორგის ყმა უთურგაძე პაპას შვილი ჩიტა*“; „*ზან-
დუკელი პაპუნას შვილი გიორგის ყმა ჭინჭარაძე ცოცხალას*
შვილი დათუნა“.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სოფელ არბოს მორიგეთა ნუსხიდან: „ბუზალაძე მამუკას შვილი ბერი“; „გვიმრაძე დავითის შვილი დეკანოზი გიორგი“; „ხიზანი სახასო სურამელი ჯობაძე ზურაბას შვილი ოქრუა“; „კაპანაძე სეხნიაშვილი სვიმონა“ და სხვ. ვფიქრობთ, კომენტარი აღარ სჭირდება იმას, რომ მოყვანილ მაგალითებში პირველი კომპონენტი გვარსახელია, მეორე — მამის სახელი და მესამე — სახელი. 1690-1694 წწ. პირობის წიგნში გარე კახეთის სოფელ ბერთუბანს დასახელებულია „ბერნაცის შვილი ჯილაურის შვილი თამაზა“. XVII საუკუნის II ნახევრის ზემო ქართლის სადროშოს დავთარში აღრიცხულია „დავითას-შვილი ინასარიძე დათუნა“. ორივე შემთხვევაში პირველ ადგილზე მამის სახელი დგას, შემდეგ — გვარი და ბოლოს — სახელი. XVII საუკუნის დამლევის სოფ. ღვერთეთის დავთრიდან: „გვრიტიძე გოგიაშვილი ბინინა“; 1774 წლის სოფელ ჩუმლაყის მორიგეში გამსვლელთა სიიდან: „ჩუმლაყიდან რუსთველის ყმა ოსოშვილი პატარკაციშვილი ნინია“; „გულგულიდამ ყველიაშვილი პაპას შვილი გიორგი“; „გულგულიდამ იაკასშვილი ბასილას-შვილი თევდორე“. 1787 წლის საბუთში: „თუმანიშვილი პაპუნასშვილი იოსებ“; „მაჩაბელი ალხაზიშვილი დავით“; „მაჩაბელი ბელელაშვილი ავთანდილ“; „აბაზაძე იოანეს-შვილი დავით“; „ფალავანდიშვილი ბეჟანის-შვილი როსტომ“.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქსნის ხეობის გამოსავლის დავთრიდან: „ნიკლაურის ქანაშვილის გამიხარდის მამულს აძეს“; „თინიკაშვილი ლოთეს ბასილის მამულს აძეს ბეგარი“; „თინიკაშვილის ლოთეს ბერის მამულს აძეს ბეგარი“. ამ შემთხვევაში მამის სახელი ნათესაობით ბრუნვაშია. ასეთივე შემთხვევაა 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარში. ოსიაურის აღწერაში პიროვნება ჩანერილია ასე: „გელაშვილი ბერი შოშიტასი“. საეკლესიო გლეხების ნუსხიდან: „გორისეველი კატაპარია გლახას შვილი ღთისია, გოგია“; „გორისეველი გოგია ქიტესაშვილი“; „გორისეველი ლაზარეს-შვილი ბარნაბე“.

1745 წლის ეპიტაფია: „ქ. ჩვენ მაჩაბელმა გიორგიმ... ქუასა ამას მდებარეს თანამეცხედრესა ჩემსა ამილახვრისა იოთამის ასულს ელენე, უფალმან... გთხოვთ ნამკითხველო შენდობას, ქორონიკონს უღგ“. XVIII საუკუნის მაგდან კორინთელის ეპიტაფია (სოფ. იკოთი, ქსნის ხეობა): „მომისხენე მე უფალო საფლავსა მდებარე მხევალი შენი აზნაურ დავით კორინთელის და ნანას ასული მაგდან — თხუთმეტი წლისა მოვშორდი ამიერ წუთისოფელს...“.

ქსნის ხეობის XVIII საუკუნის სამმა აღწერის დავთარმა მოაღწია ჩვენამდე, რომელთაგან პირველი 1774 წლით თარიღდება, მეორე და მესამე — 1781 წლით. 1774 წლის აღწერის დავთარში ყველა პირი სანევეროვანი ანთროპონიმული მოდელით (გვარსახელი+მამის სახელი+სახელი) არის აღრიცხული, ხოლო 1781 წლის აღწერებში — შერეული სისტემით. მხოლოდ რამდენიმე ამონაწერს დავიმოწმებთ: „ილურიძე გიორგის შვილი, მოურავი ხაჯარა და ოთარა“, „ილურიძე ბიბილას შვილი გიორგი“; „ილურიძე შიოს შვილი ლომკაცი და ილური“; „დორეული იოსებას შვილი კაცია“; „შერმადინი ელისბარის შვილი იმედა და გიორგი“; „ბუთხუზი ქოროღლის შვილი მამუკა, ვეფხია, ბუთხუზი და ბერი“; „ქენქაძე მაზიტას შვილი ღ-თისია, ივანე, ძულია, ნესიარი“; „გამხიტაანთ გიორგის შვილი კურდღელა და გრიგოლა“; „მიდელაანთ როსებას შვილი სიხარულა“; „ნიპტაური გამხიტას შვილი ბერი და ბერუკა“; „ნიპტაური იასეს შვილი ლომია“; „კარელიძე ირემას შვილი ბასილა, ძაღლუა და გოგია“; „პავლიაანთ ბაქუზას შვილი სიხარულა და სახელა“; „პავლიაანთ მგელიას შვილი გვიანა, ოთარა და მგელია“; „ნათაძე ბასილას შვილი თათარა“; „ბაშარული ნადირას შვილი ნესიარა“.

როგორც აღვნიშნეთ, ქსნის ხეობის 1781 წლის აღწერა შერეული სისტემითაა შედგენილი. მასში ანთროპონიმული მოდელის ორნევეროვანი და სამნევეროვანი სისტემები ერთმანეთს ენაცვლება. მაგალითად, სოფ. ალევის აღწერაში გვხვდება „ნათაძე თათარა“ და „ნათაძე მახარობლის შვილი გიორგი“, სოფელ საძვეურში — „კობაური კაცია“ და „კობაური ბასილაშვილი ბერი.“

მთლიანად სამნევეროვან მოდელზეა აგებული 1774 წლის არაგვის ხეობის მოსახლეობის აღწერის დავთარი. ხევის სოფელ გერგეტში აღწერილთა შორის გვხვდება „ჩიბუანთ ზაქარიას შვილი თათაი“, რომელშიც პირველი გვარია, მეორე — მამის სახელი და მესამე — სახელი. თანამედროვე დაწერილობით კი ის ასე გადმოვა: თათი ზაქარიას ძე ჩიბუაშვილი. იმავე გერგეტში დასახელებულია „ნიკლაური ცანცუკას შვილი ხოტა“ (ე. ი. ხოტა ცანცუკას ძე ნიკლაური). სნოს აღწერიდან: „ჯოჯიკაური თათრის შვილი მამა და შიო“ (ე. ი. მამა და შიო თათრის ძე ჯოჯიკაურები); „ღუღუშაური სამუკას შვილი გეგუა და კურდღელ“; „ღუღუშაური ზარიბეგის შვილი ბულა, ღრუბელა, გიგი და გოგია“; გორისციხეს: „ჩქარეული პაპუნას შვილი ცხვირა და ზაალ“; „ავსაჯანიაური მარაიძის შვილი თადია, ბოჩოლა, ლაზარე და მიარსამ“; ხურთისს: „ჩოჩოური გელიტას შვილი პაპი და

იესე“. მთიულეთის სოფელ ჯალუმთანთკარს: „*ჯალუმში იასეს შვილი ჩიტა, ნასყიდა და კურდღელა*“; ბენიანთკარს: „*ბენიანი პაპის შვილი ლუჭა, ვეფხო, დათვა, ადამა, ჭიჭა, და ხახო*“; ზაქათკარს: „*ზაქაიძე შალვას შვილი ჩიტა*“; არახვეთს: „*ბურდული ბედიანის შვილი ბერი*“; სეფეს: „*ტატიური ბერის შვილი ლომი*“; „*კვიტიძე გელას შვილი ხარება*“; „*კეკიძე ზაზას შვილი თვარელი*“; გუდამაყარში: „*აფციური პაპას შვილი ვეფხო და ფაცხვერა*“; „*ჩოხელი ჯაბანის შვილი ირემა და ქურციკა*“; „*თლოშიური გიგას შვილი თორელი, ღრუბელა, დათვა და ნასყიდა*“; „*ბექაური ბოლონას შვილი ლომია, ისე და იმედა*“.

ზემოთ მოვიყვანეთ ის მასალები, რომლებიც ადასტურებს, რომ ქართულ საისტორიო საბუთებში ესა თუ ის პირნი ძალიან ხშირად ჩანერილი იყვნენ სამწევროვანი ანთროპონიმული მოდელით გვარის, მამის სახელისა და სახელის ერთობლიობით. ეს ტრადიცია მკაცრადაა დაცული XIX საუკუნის თითქმის ყველა კამერალური აღწერის დავთარსა და საეკლესიო (აღსარების მთქმელთა) დავთრებში. ზემოთ ვთქვით და კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ საბუთებში პირის ჩანერა არავითარი ენობრივი და სამრთლებრივი თვალსაზრისით არ იყო რეგლამენტირებული, ჩანერა ხდებოდა ნებისმიერად. პირველ ადგილზე ხან სახელი იდგა, ხან გვარი და ხანაც — მამის სახელი. დოკუმენტურად პირის სახელით, მამის სახელითა და გვარსახელით, ანუ სამწევროვანი ანთროპონიმული მოდელით ჩანერა VII საუკუნიდან დასტურდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მამის სახელს გამოხატავდა მასთან *ძე*-სი და *შვილი*-ს მიერთება. ქალებისათვის ამ ფუნქციას *ასული* ასრულებდა. თავდაპირველად, VII—XII საუკუნეებში *ძე* გამოხატავდა მამის სახელს, შემდეგ კი მან ადგილი *შვილს* დაუთმო, თუმცა გვიან შუა საუკუნეებში *ძე* ხმარებიდან სრულიად არ გამოსულა. XIX საუკუნიდან მხოლოდ ის დამკვიდრდა.

ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქართულ საისტორიო საბუთებში პირი მხოლოდ და მხოლოდ სამწევროვანი ანთროპონიმული მოდელით ფიქსირდებოდა. უფრო მეტი გვაქვს დოკუმენტები, რომლებშიც ესა თუ ის პირი სახელითა და გვარით არიან ჩანერილნი, ანდა შეიძლება სახელითა და მამის სახელით, ანდა სულაც — მხოლოდ სახელით. XIII საუკუნის „მატიანე სუანეთისა კრებასა“-ში მამის სახელი არ ფიგურირებს: *გვინდა აფაქიანი, მ-რმ გოგორელიფხე, გიორგი ჩიქოვანი, ქურსიკ სტეფანიანი, გ-ი ფანჯიგიანი, ბოცო ქურდიანი, ვეშაგ ლოღელიანი* და მრავალი სხვა. მსგავსი ორწევროვანი ან-

თროპონიმული მოდელია წარმოდგენილი „ტბეთის სულთა მატინის“ XII-XVII საუკუნეების ფენებში: *გათენეთ გიორგი, გოგლაეთ აბაში, დოლიეთ კუირიკე, სიკალაეთ დავით, შავჩიტაძე ნიკოლოზ*. სვანეთსა და შავშეთში შედგენილ საბუთებს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველში ჯერ დასახელებულია სახელი და შემდეგ — გვარი, მეორეში — პირიქით: ჯერ გვარი და შემდეგ — სახელი. XVII საუკუნის მეორე ნახევრის საამილახვროს დავთარიც მხოლოდ გვარსა და სახელს შეიცავს: *ფიდიური შიუკა* (ნუბენს), *ბედელიძე შერმაზან* (ზემოყურს), *ბიძინაძე ტეტია* (ღრომს), *ბერიული ნადირა* (ღრომს), „*ზურაბ ლაზნელის ყმა ევანისელი აბრამ*“ (ზახორს), *ვეშაპური ქურციკი* (მახისს)... შეიძლება ითქვას, რომ, როცა საჭირო იყო, მაშინ წერდნენ პირს სახელით, მამის სახელითა და გვართ. **მამის სახელი უფრო მეტად აკონკრეტებს პიროვნებას, ის ერთ-ერთი დამატებითი განმასხვავებელი ნიშანია. დასავლეთ ევროპის კათოლიკურ და პროტესტანტულ ქვეყნებში პიროვნების დამაკონკრეტებელ (და განმასხვავებელ) მეორე ნიშანს მეორე ოფიციალური სახელი წარმოადგენს. საქართველოში იმიტომ არ შეიქნა საჭირო მეორე სახელის ოფიციალურ სახელად დაკანონება, რომ განმასხვავებლის, დამაკონკრეტებლის ფუნქცია აქ დამატებით მამის სახელს (ან მამიშვილობას) ჰქონდა მინიჭებული.**

საქართველოს ხელისუფლებამ გაუთვითცნობიერებელი ადამიანების კონსულტაციით ოფიციალური და არაოფიციალური, იურიდიული და არაიურიდიული დოკუმენტებიდან მამის სახელი ამოიღო როგორც არაქართული მოვლენა, რუსებისაგან ქართველთათვის თავს მოხვეული. რუსები ქართველებს სამწევროვან ანთროპონიმულ მოდელს თავს ვერ მოახვედნენ, იმიტომ რომ რუსეთში გვარსახელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალიან გვიან გაჩნდა, მთელი ათი საუკუნის განმავლობაში საქართველოში რუსების შემოსვლამდე მთელ რიგ საბუთებში სხვადასხვა პირნი სახელთან და გვართან ერთად მამის სახელითაც არიან ჩანერილნი. ვფიქრობთ, მამის სახელმა კუთვნილი ადგილი უნდა დაიბრუნოს. საჭიროა ისტორიული ტრადიციის აღდგენა. ამავე დროს ანთროპონიმულ მოდელში მამის სახელის აღდგენა აუცილებელია იურიდიული თვალსაზრისით, რადგან როგორც სამართლიანად მიუთითებენ: „პიროვნების გენეალოგიური დახასიათება ზოგადენობრივი მოვლენაა, გამონკვეული ენის მომხმარებლის მოთხოვნილებით — მიიღოს დამატებითი ინფორმაცია“ (ც. კალაძე). საქართველოს სამოქა-

ლაქო კოდექსში (მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს) გვაქვს „მუხლი 17. სახელის უფლება“, რომელშიც წერია: „ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს“. აღნიშნულ მუხლში შესატანია შესწორება და ის ასე უნდა ჩამოყალიბდეს: „ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს საკუთარ სახელს, მამის სახელსა და გვარსა“. წინააღმდეგ შემთხვევაში ენის მომხმარებლებს დამატებითი ინფორმაციის მიღების საშუალება ესპობათ. ამავე დროს იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ „უძველესი ქართული ქრისტიანული ტრადიციიდან გამომდინარე, ქართული სახელი ორწევროვანია და შედგება სახელისა და გვარისაგან. ამით იგი დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ ტრადიციებსაც შეესაბამება“ (გ. ჭანტურია), არ შეესაბამება სინამდვილეს. თუ როგორი იყო ქართული ისტორიული ტრადიცია, ვფიქრობთ, ამის დამადასტურებელი მონაცემები ზემოთ გვქონდა მოყვანილი. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ ევროპაში ქართული სამწევროვანი ანთროპონიმული მოდელის მსგავსი აქვთ მართლმადიდებელ ბერძნებს. მაგალითად, ბერძნულ პასპორტში პირი ასეა ჩანერილი: *ცილიდის ნიკოლაოს ოდისეას*, რომელთაგან პირველი გვარია, მეორე — სახელი, ხოლო მესამე — მამის სახელი ნათესაობით ბრუნვაში. იქნებ ბერძნებსაც რუსებმა მოახვიეს თავს სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელი გვარის, სახელისა და მამის სახელის შეხამებით?

აუცილებლად ჩვენი, ქართველების გადასაწყვეტია, როგორ უნდა გადავიდეს უცხო ენაზე ქართული სამწევროვანი ანთროპონიმული მოდელი. ვფიქრობთ, ისევე, როგორც ის ქართულად იწერება, ყოველგვარი თარგმანის გარეშე: *გიორგი ამირანის ძე ცულაია*; *ირაკლი ჯურაბის ძე კავთარაძე*; *თამარ მიხეილის ასული ჯავახიშვილი*; *Giorgi Amiranis dze Tsulaia*; *Irakli Zurabis dze Kavtaradze*; *Tamar Mikheilis asuli Metreveli*; *Nino Tarielis asuli Javakhishvili*. სხვათა შორის, XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოსახლეობის აღწერის დავთრებში, რომლებიც რუსულ ენაზეა შედგენილი, სათანადო პირები სწორედ ასეთი ფორმით არიან ჩანერილები: «*Глаха Павле Швили Давитури*», «*Чрело Атила швили Хархелаури*», «*Бери Гогиа швили Эбралидзе*», «*Гиоргий Сихарула швили Молодини*», «*Шио Абрама швили Суаридзе*». ახალციხის მაზრაში ქართველი მაჰმადიანები ასე აღუწერიათ: «*Маграм Дава-оглы Лорткианидзе*», «*Гусейн Мамуд-оглы*

Махарაძე», «Абдул Сулейман-оглы Джаджанидзе», «Муса Алы-оглы Базаძე» და სხვ.

დასასრულ, საკითხის დასმის წესით გვინდა აღვნიშნოთ, რომ შესაძლებელი უნდა იყოს პირისათვის ოფიციალურად ორი სახელის მინიჭება. ამ ორი სახელიდან ერთი ქრისტიანულ-მართლმადიდებლური უნდა იყოს, მეორე — ქართული (სხვათა შორის, უკრაინაში 2004 წლის დასაწყისიდან დაკანონდა მრავალსახელიანობა). ჩვენ ზემოთ არაერთი ნიმუში მოვიყვანეთ ქართული სახელებისა. ვფიქრობთ, მათი დავიწყება არ ეგების. ანალოგიისათვის ევროპის გერმანულენოვანი ქვეყნების მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, სადაც ქრისტიანულ სახელებთან ერთად ფართოდ გამოიყენება ძველი გერმანული სახელები.

ასეთი იყო ძველად, ასეთია დღეს და ასეთი უნდა იყოს მომავალში ქართული ანთროპონიმიული მოდელი.

III. 6. საქართველოში საკუთარ სახელთა დარქმევის ზოგიერთი ტრადიციის შესახებ

ამ მონაკვეთში განვიხილავთ მხოლოდ მამაკაცის სახელებს, რადგან: 1. ქართულ საისტორიო საბუთებში ძირითადად მამაკაცის სახელებია ფიქსირებული, 2. მამაკაცის სახელები ბევრად აჭარბებს ქალთა სახელებს, 3. ქართულ ეპონიმურ გვარსახელებს, ორიოდ გამონაკლისის გარდა, ძირითადად მამაკაცთა სახელები უდევს საფუძვლად.

ცნობილია, რომ საქართველოში ისტორიულად გავრცელებული იყო საკუთრივ ქართული, ქრისტიანული (ბერძნული, ებრაული) და მეზობელ ხალხთა სახელები. ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში დასახელებული სამი ტიპის სახელებიდან ხან ერთს ჰქონდა უპირატესობა, ხან მეორეს და ხან კიდევ — მესამეს. ოფიციალურად, ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ბავშვებს კანონიკურ ქრისტიანულ სახელებს არქმევდა, თუმცა ქართულ სახელებს ასპარეზი არასდროს დაუთმია. მათ მეორე პლანზე გადაინაცვლეს და მეტსახელების და თიკუნების სახით მოგვევლინნენ. ქართულმა წერილობითმა ძეგლებმა და საისტორიო საბუთებმა არაერთი ფაქტი შემოგვინახა ორი სახელის დარქმევისა, რითაც ჩანს, რომ ქრისტიანულმა ეკლესიამ ქართული სახელები ნელ-ნელა განდევნა ასპარეზიდან. შეიძლება გავიხსენოთ *ლაშა-გიორგი* და *დავით-სოსლანი*. *სოსლანი* და *ლაშა*, რა თქმა უნდა, ნათლო-

ბამდელი სახელები იყო ამ პიროვნებებისა, *გიორგი* და *დავითი* კი — ნათლობის სახელები. ბოლო დრომდე ყველა ქართველს ორი სახელი მაინც ერქვა: ერთი — ოფიციალური, ქრისტიანული (ნათლობისა) და მეორე — ზედმეტი სახელი. ფშავის, ხევსურეთის, მთიულეთის, გუდამაყრის, ხევის ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით *ვ. ბარდაველიძეს* ნაჩვენები აქვს, რომ ჩვენში პირს რამდენიმე სახელი ერქვა. ერთი სახელი იყო ჯვარისა (სალოცავის), რომელსაც დაბადებისთანავე დედა არქმევდა შვილს (ვაჟსაც და ქალსაც); მეორე სახელი იყო სულისა, რომელსაც დაბადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ არქმევდნენ. ეს იყო წინაპრის ან გარდაცვლილი ნათესავის სახელი; მესამე სახელი იყო ზედმეტი სახელი და მონათვლის შემთხვევაში ერქმეოდა მეოთხე, ნათლობის სახელიც. დ. ბაქრაძე წერდა: „გურიაში იშვიათი არ არის, როცა ერთსა და იმავე ადამიანს ორი სახელი ჰქვია, ერთი ნათლობისა, და ერთიც შერქმეული“.

ვიმეორებთ, რომ ქართულ გვარსახელებს საფუძვლად ძირითადად ვაჟის სახელები უდევს, რომლებსაც მეცნიერებაში ეპონიმურ გვარსახელებს უწოდებენ, თუმცა საკმაო რაოდენობით გვაქვს ტოპონიმისმიერი, პროფესიული და ეთნონიმური გვარსახელები. უნდა ითქვას, რომ ეპონიმურ გვარებში ხშირად ვაჟებს არქმევდნენ იმ სახელებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ამა თუ იმ გვარს. გვარის საფუძველჩამყრელის სახელი ტრადიციულად გადადიოდა თაობიდან თაობაზე. ამის დამადასტურებელი არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ქართული საისტორიო საბუთებიდან. კონკრეტული მაგალითების დამონწმებად აღვნიშნავთ, რომ ამგვარ საკუთარ სახელთა დარქმევა დამახასიათებელი იყო არა მარტო მთელი შუა საუკუნეებისათვის, არამედ მოგვიანო პერიოდის — XIX საუკუნის ქართული ყოფისთვისაც. მაგალითები: *ავალ ავალიშვილი*, *ალექსი ალექსიძე*, *ამილბარ ამილბარაშვილი*, *აფაქ აფაქიანი*, *ბათურა ბათურაშვილი*, *ბაია ბაიაშვილი*, *ბალხამ ბალხამაშვილი*, *ბარნაბე ბარნაბიშვილი*, *ბასილ ბასილიძე*, *ბაქარ ბაქრაძე*, *ბულალა ბულალაური*, *ბედო ბედოიძე*, *ბერი ბერიძე*, *ბერო ბერიანიძე*, *ბერო ბერუაშვილი*, *ბერდია ბერდიაშვილი*, *ბეჟიტა ბეჟიტაშვილი*, *ბექა ბექაური*, *გაბა გაბაშვილი*, *გაგელა გაგელიძე*, *გაროზა გაროზაშვილი*, *გვიმრა გვიმრაძე*, *გიგოლა გიგოლაშვილი*, *გოდერძი გოდერძაული*, *გონჯილა გონჯილაშვილი*, *გომფარ გომფარიშვილი*, *გონია გონიაშვილი*, *გულბათ გულბათაშვილი*, *გურამ გურამიშვილი*, *გულა გულაშვილი*, *დავითა დავითური*, *დიას (დიასამ) დიასამიძე*, *დიდება დიდებაშვილი*, *ებრელა*

ებრელიძე, ედიშერ ედიშერაშვილი, ვეფხია ვეფხვაძე, ზედგინ ზედგინიძე, თაბორა თაბორიშვილი, თავაქარ თავაქარაშვილი, თეთრა თეთრაძე, თავდორე თევდორეშვილი, თექეთუმან თექეთუმანიძე, თვალია თვალიაშვილი, თურქისტან თურქისტანიშვილი, კახა კახაშვილი, კახაბერ კახაბერიძე, ლობჟანა ლობჟანიძე, ლოთიკა ლოთიკაშვილი, მაისურ მაისურაძე, მამაგული მამაგულიშვილი, მამაცა მამაცაშვილი, მამუკა მამუკაშვილი, მანძულა მანძულაშვილი, მარაულ მარაული, მარტია მარტიაშვილი, მარცვალა მარცვალიძე, მახატელა მახატელიშვილი, მერება მერებაშვილი, მიქელ მიქელაშვილი, მიშელა მიშელაშვილი, მოლოდინა მოლოდინაშვილი, მორბედა მორბედაძე, ნადირა ნადირაშვილი, ნანია ნანიაშვილი, ნასყიდა ნასყიდაშვილი, ნარიმან ნარიმანიძე, რატი რატიანი, რატი რატიშვილი, სალუქა სალუქაშვილი, სამალან სამალანიშვილი, სარალა სარალიძე, ონი ონიანი, ოქროპირ ოქროპირიძე, ოქროპირ ოქრუაშვილი, ოქრუა ოქრუაძე, პაპა პაპაძე, რაზმია რაზმაძე, როჭიკა როჭიკაშვილი, რუსია რუსიშვილი, რუსიტა რუსიტაშვილი, საგინა საგინაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ტეტია ტეტიაშვილი, უტა უტიაშვილი, ფალავანდ ფალავანდიშვილი, ფრიდონ ფრიდონაშვილი, ქავთარა ქავთარაძე, ქურციკა ქურციკაშვილი, ქუფრია ქუფრიაშვილი, ქუცნა ქუცნიაშვილი, ღრუბელა ღრუბელაძე, შაქარა შაქარაშვილი, შერმადინ შერმადინი, შერმაზან შერმაზანაშვილი, შიო შიომღვდელიშვილი, ჩეკურა ჩეკურაშვილი, ჩერქეზა ჩერქეზიშვილი, ჩიტო ჩიტოშვილი, ჩუგო ჩუგოშვილი, ციცი ციციშვილი, ჭიკა ჭიკაიძე, ჭიჭიკელი ჭიჭიკელიშვილი, ხარება ხარებაშვილი, ხატო ხატიაშვილი, ხიზანა ხიზანაშვილი, ხუზაურ ხუზაური, ხუცია ხუციანიძე, ხუცურა ხუცურაული, ჯავახ ჯავახიშვილი, ჯამარ ჯამარაული, ჯარმიზა ჯარმიზაული, ჯაფარ ჯაფარიძე, ჯაშია ჯაშიაშვილი, ჯიმშიტა ჯიმშიტაშვილი, ჯოხნა ჯოხნაძე... ამრიგად, გვარის საფუძველჩამყრელის სახელი ქართულ საკუთარ სახელებში ტრადიციული იყო.

ირკვევა, რომ საქართველოში ერთგვარი წესი, ტრადიცია არსებობდა ადრინდელი გვარის საკუთარ სახელად ქცევისა. ამით ქართველები პატივს მიაგებდნენ თავიანთ ადრინდელ გვარსახელს. ეს იყო გარკვეული კავშირის გამოხატულება ადრინდელ გვართან. განსაკუთრებით შეიმჩნევა ეს მოვლენა -ურ (-ულ) და -ძე სუფიქსიან გვარებთან. მაგალითად, ქსნის ხეობაში, ჭურთისხევზე მდებარე სოფელ დორეულთკარში მოსახლეობდნენ დორეულები, რომლებიც XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე აქედან აიყარნენ და ერნოში გადასახლდნენ. 1774 წ. დორეთ-

კარის აღწერაში დასახელებულია *დორეული სისოურის შვილი აბრამ*. დღეს ასე დაინერგებოდა: *აბრამ სისოურის ძე დორეული*. აბრამი საკუთარი სახელია, *სისოური*, ამ შემთხვევაში, მამის სახელი და *დორეული* — გვარსახელი. ეთნოგრაფიული და საარქივო მასალებით დასტურდება, რომ *დორეულების* ადრინდელი გვარია *სისაური*. ამდენად, *დორეულები*, არ ივინყებდნენ რა თავიანთ ადრინდელ გვარს, პატივს მიაგებდნენ მას და სშირად თავიანთ გვარში დაბადებულ ვაჟებს სახელად ადრინდელი გვარის სახელს არქმევდნენ. ამავე აღწერიდან სხვა მაგალითებიც შეიძლება მოვიყვანოთ. დორეულთკარში ცხოვრობდა: *დორეული ოსების შვილი სისოური*, *დორეული ძაღლიას* ობოლი, თავი ბ, *ქიტესა* და *სისაური*.

დასახელებული აღწერიდან კიდევ ერთ ამონაწერს მოვიყვანთ. სოფელ თინიკანთკარში მკვიდრობდა *თინიკანთ ბერის შვილი* თავი ბ, *ბასილი* და *გაბიდაური*. ამ შემთხვევაშიც *გაბიდაური* საკუთარი სახელია, *ბერი* — მამის სახელი და *თინიკანი* (*თინიკაშვილი*) — გვარსახელი. საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ *თინიკაშვილები* ქსნის ხეობაში მიგრირებულნი არიან ფშავიდან და მათი ადრინდელი გვარი იყო *გაბიდაური*. *თინიკაშვილების* გვარშიც ადრინდელი გვარსახელი საკუთარ სახელად იქცა. ისევე როგორც *დორეულების* გვარში, *თინიკაშვილების* გვარშიც მოყვანილი მაგალითი ერთადერთი როდია. იმავე აღწერით, სოფ. კორინთაში მკვიდრობდა *თინიკანთ ავთანდილის შვილი გაბიდაური*.

გადმოცემით, ქსნელი *ბუნტურების* ადრინდელი გვარია *ბურდული*. 1774 წ. აღწერაში ცხავატში მოხსენიებულია *ბუნტური ბასილას შვილი ბურდული*. ამ შემთხვევაშიც *ბურდული* ოჯახის უფროსის სახელია. *ბუნტურის* გვარსახელის მატარებელი ინდივიდუალურ სახელს — *ბურდული* 1821 წლის აღწერითაც ატარებდა. XVIII საუკუნის აღწერის დავთრით ასევე დასტურდება მამაკაცის სახელებად *ლუდუშაური*, *სამხარაული* და სხვ.

მსგავსი მაგალითების (სუფიქსური საკუთარი სახელების) მოყვანა მხოლოდ XVIII საუკუნის აღწერის დავთრებიდან როდი შეიძლება. სახელების რქმევის ეს ტრადიცია XIX საუკუნეშიც გრძელდებოდა. 1841 წლის აღწერით *აფციაურთა* გვარში ატარებდნენ სახელს — *ჯალაბაური*. ცნობილია, რომ *აფციაურთა* გვარის ერთი ნაწილი ხევსურეთიდან გადმოსახლებული ძირად *ჯალაბაური* იყო.

ქსნის ხეობიდან იყვნენ გადმოსახლებულნი *დორეულები* ერწოს სოფელ ჭუჭულიანთკარში (იგივე წიაბეთი, ახლანდელი დორეულები). 1842 წლის აღწერაში ისინი ორი გვარით — *დორეული-სისაური* არიან ჩანწერილები. ამასთანავე, ერთ-ერთ *დორეულ-სისაურს* სახელად ერქვა *სისაური*. ამავე სოფელში ცხოვრობდნენ *თინიკაშვილებიც*, რომლებიც ასევე ქსნის ხეობიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. როგორც აღვნიშნეთ, მათი ადრინდელი გვარი იყო *გაბიდაური*. 1842 წლის აღწერით ერთ-ერთ *თინიკაშვილს* სახელად ერქვა *გაბიდაური*. ადრინდელი გვარის სახელს — *სისაურს* ატარებდა სახელად ერთ-ერთი *გონჯილაშვილი* თიანეთში. აქვე გვარად *ტუშურ-ბიტომვილს* ერქვა *ქისტაური*. ამ გვარისანი ძირად *ქისტაურები* იყვნენ, გადმოსახლებულნი ფშავის სოფელ შუაფხოდან. იგივე შეიძლება ითქვას სიმონიანთხევში მოსახლე *ბიჩინაშვილებზე*. 1843 წ. აღწერით, ერთ-ერთ *ბიჩინაშვილს* სახელად ერქვა ადრინდელი გვარის სახელი *ქისტაური*.

ძირად *ხამხაძეები* იყვნენ თიანეთში მოსახლე *მოსახლიშვილები*. 1842 წლის აღწერით, ერთ-ერთ *მოსახლიშვილს* სახელად ერქვა *ხამხაძე*. *ჯამაგიძეების* ადრინდელი გვარი იყო *ზარიძე* (ერწოს სოფელ ხევსურთსოფელში). 1842 წელს ერთ-ერთ *ჯამაგიძეს* სახელად ერქვა *ზარიძე*. სხვათა შორის, მთიულ *ზაქაიძეებს* შორის გავრცელებული სახელი იყო *ზარიძე*. *აფციურების* გვარში ხშირად გვხვდება მამაკაცის სახელი *საბიჯური*, *ბაზალების* გვარში, როგორც *საბიჯური*, ისე *აფციური*. სოფელ საყდრიონში ცხოვრობენ *მოხევიშვილები*, რომლებიც ძირად მოხევეები არიან და მათი თავდაპირველი გვარი *ჩქარეული* იყო. ერთ-ერთ *მოხევიშვილს* სახელად ერქვა *ჩქარეული*. *ხამხაძეების* გვარიდან წარმომავლობენ თიანელი *აბრამიშვილები*. 1873 წლის კამერალური აღწერით, ერთ-ერთ *აბრამიშვილს* ერქვა *ხამხაძე*. *გიგაურის* სახელი გავრცელებული იყო *ფრიდონაშვილების*, *ქადაგიშვილების*, *კოტორაშვილების*, *ხარებაშვილების* გვარებში, რომლებიც *გიგაურთა* გვარიდან იყვნენ შტონაყარი. გავრცელებული სახელი იყო *ზარიძეც*. ასეთი სახელი დადასტურებული გვაქვს *ბადაგაძეების*, *ზაქაიძეების*, *ასტამაძეების*, *კარელიძეების* გვარებში. *ზარიძე კარელიძე* ნახსენებია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთ საბუთში. სახელისა და გვარსახელის ანალოგიური შეთანხმება დაფიქსირებულია 1821 წლის აღწერაშიც. ეთნოგრაფიული მასალებით, ქსნის ხეობაში მოსახლე *კარელიძეები* *ზარიძეებისგან* წარმომავლობდნენ. *ზარიძეებისგან* წარმომავლობს *ბადაგაძეების* გვარიც. *ბადაგაძეე-*

ბის გვარშიც ტრადიციული სახელი იყო *ზარიძე* (ასეთი ვითარება დაფიქსირებულია 1821 წლის აღწერაშიც). მოხვევ *ეფხოშვილების* ადრინდელი გვარია *ლუდუშაური*. 1774 წლის აღწერით, ერთ-ერთ *ეფხოშვილს* სახელად ერქვა *ლუდუშაური*. მთიულეთში, სოფელ *ჟოჟონში*, *მამულაიძეების* გვარი მკვიდრობდა. 1774 წლის აღწერით, ერთ-ერთ *მამულაიძეს* სახელად ერქვა *გოგოლაური*. *მამულაიძეების* გვარში კი დაცულია გადმოცემა, რომ მათი ადრინდელი გვარი იყო *გოგოლაური*. სოფელ დიღომში მკვიდრობენ *ჟამუტაშვილები*. გადმოცემით, მათი ადრინდელი გვარი იყო *გეგელიშვილი*. ამ გვარშიც ადრინდელი გვარსახელის პიროვნულ სახელად გამოყენების ტრადიცია ყოფილა. 1831 წლის დიღმის აღწერის მიხედვით ერთ-ერთი *ჟამუტაშვილის* პირადი სახელი იყო *გეგელიძე*.

საკუთარი სახელების დარქმევის აღნიშნული ტრადიცია არა მარტო გლახთა ფენისათვის, არამედ თავადაზნაურობისთვისაც იყო დამახასიათებელი. მაგალითად შეიძლება *ჯავახიშვილების* გვარში გავრცელებული საკუთარი სახელი *თორელი* მოვიყვანოთ. ცნობილია, რომ *ჯავახიშვილების* გვარი *თორელთა* გვარს XIII საუკუნის მეორე ნახევარში გამოეყო. ასევე ტრადიციული იყო *ჯავახიშვილთა* გვარში მამაკაცის სახელი *გამრეკელი*. ცნობილია, რომ *თორელთა* გვარი, თავის მხრივ, *გამრეკელთა* გვარიდან მომდინარეობდა. XI—XV საუკუნეების საქართველოში დიდ ფეოდალურ საგვარეულოს წარმოადგენდა *ვარდანისძეთა* გვარი, რომელიც *მარუშიანთა* (*მარუშისძეთა*) საგვარეულოდან წარმოდგებოდა. *ვარდანისძეთა* გვარში ადრინდელი გვარი (*მარუშიანი*) მამაკაცის სახელად იქცა.

საქართველოში სახელების დარქმევის ასეთი ტრადიციაც გვექონდა — ამა თუ იმ პირს არქმევდნენ არა მარტო ყოფილი, ანუ ადრინდელი გვარის სახელს, არამედ გვარსახელს. XVIII და XIX საუკუნეების აღწერის დავთრებში არაერთგზის გვაქვს დაფიქსირებული ასეთი სახელები გვარსახელებთან: *ბუნტურ ბუნტურიშვილი* (დავაკვირდეთ: აქ გვარსახელთან *ბუნტური* მეორე ელემენტი -*შვილიც* ჩნდება. ამ შემთხვევაში პირველი — *ბუნტური* საკუთარი სახელია, მეორე — *ბუნტურიშვილი* კი — გვარსახელი), *ამირიძე ამირიძე*, *ბერიანიძე ბერიანიძე*, *ბერიძე ბერიძე*, *ბეჩაურ ბეჩაური*, *ბურდულა ბურდული*, *გვიანაურ გვიანაური*, *ბუჩუკურ ბუჩუკური*, *ბაშარული ბაშარულიშვილი*, *ბუნანკალურ ბუნანკალური*, *გაბიდაურ გაბიდაური*, *გიგაურა გიგაური*, *გაგაძე გაგაძიშვილი*, *ვეშაგურ ვეშაგური*, *დუდაურ დუდაური*, *ზარიძე ზარიძიშვილი*, *ზარდია ზარდიაშვილი*, *კაიშაურ*

კაიშაური, კობაურ კობაური, კურკუმელ კურკუმული, მახატელი მახატელი, მცხეთელაძე მცხეთელაძე, მარცველ მარცველიძე, მაჭარაულ მაჭარაშვილი, მილაძე მილაძე, ნადიბაიძე ნადიბაიძე, ნიაურ ნიაური, ნიაურ ნიაურიშვილი, პატაშურ პატაშური, სამხარაულ სამხარაული, სარაულ სარაული, სისაურ სისაური, შერმადინ შერმადინი, შერმადინ შერმადინიშვილი, ფსუტური ფსუტური, ქისტაურ ქისტაური, ქვიცურ ქვიცურიშვილი, ქინქლაძე ქინქლაძე, ტუშურა ტუშური, ქარჩაიძე ქარჩაიძე, ჩრდილელ ჩრდილელიშვილი (აზნაური); ლაზნელიძე ლაზნელი (1620 წ. საბუთში), ნიკლოურ ნიკლაური, ნიპტაური ნიპტაურიშვილი, ნერეთელა ნერეთელაშვილი (თავაძი; 1664 წლის საბუთი), ჭონქაძე ჭონქაძე, ხადურა ხადურიშვილი, ხრიკულ ხრიკული, ხულუზაურ ხულუზაური. XIV საუკუნის ერთ სვანურ დოკუმენტში დასახელებულია ქურდიანილ ქურდიანი. გვარსახელთა საკუთარ სახელებად გამოყენების ტრადიციის შესახებ სვანეთში მიუთითებდა რ. ხარაძე ნიგნში „დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში“ (თბ., 1939). მას მოჰყავს ასეთი მაგალითი: რატიან რატიანის ძე რატიანი. აქ ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს: -ურ, -ძე და -ელ სუფიქსიან გვარსახელებს, როდესაც ამ მემკვიდრეობითი სახელთა მატარებლები პირად (ინდივიდუალურ) სახელებად გვარსახელს ატარებენ, უჩნდებათ დამატებითი სუფიქსი - შვილი. ამას აღმწერები შეგნებულად აკეთებდნენ, რადგან მათთვის ერთგვარად უხერხულობას იწვევდა ეს გარემოება (სახელთა ასეთი დამთხვევა) და დამატებითი ფორმანტის დართვით ერთმანეთისაგან ასხვავებდნენ ინდივიდუალურ სახელსა და მემკვიდრეობით სახელს. სინამდვილეში გავაძე გავაძედ რჩებოდა, მისი მემკვიდრენი ისევ გავაძის გვარსახელს ატარებდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ზარიძისშვილის, ნიაურიშვილის, შერმადინიშვილის, ქვიცურიშვილის, ჩრდილელიშვილის, ნიპტაურიშვილის, ნერეთელაშვილის, ხადურიშვილის და სხვათა შესახებ. გვარსახელში -შვილი სუფიქსის მატარებელნი ისინი მხოლოდ პირად სახელთან მიმართებით იყვნენ. აღმწერმა პიროვნული სახელისა და გვარსახელის გამიჯვნის სხვა გზაც გამონახა: პიროვნულ სახელს ჩამოაცილა სახელობითი ბრუნვის ნიშანი, ან კნინობითი ფორმით (-ა სუფიქსით) წარმოადგინა (ვეშაგურ ვეშაგური, ტუშურა ტუშური).

აღნიშნული ტრადიცია გვარსახელის საკუთარ სახელად დარქმევისა, დამახასიათებელი იყო თავადაზნაურთა ფენისთვისაც და, როგორც ჩანს, ასეთ ტრადიციას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგალითად, ქსნის ერისთავების გვარი აქ დამ-

კვიდრების შემდეგ *ქვენიფნეველი* იყო. მამაკაცის სახელი *ქვენიფნეველი ქვენიფნეველების* გვარში „ძეგლი ერისთავთაში“ (XIV საუკუნე) ორჯერაა დაფიქსირებული.

მოკლედ უნდა შევჩერდეთ მამაკაცის კიდევ ერთი ტიპის სახელებზე. საქართველოს მთიანეთში ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო *-ძე* სუფიქსიანი სახელები: *ბაიძე, ბერიძე, ბაქიძე, ებაიძე, ვაჟუხძე, თილისძე, ლილაძე, ნათელიძე, ნათიძე, ნანაიძე, მარაიძე, თამარიძე, სანათისძე, ქედაიძე* და სხვ., რომლებიც მეტად საყურადღებოა. ამ შემთხვევაში დასკვნა ასეთია: *-ძე* სუფიქსიანი სახელები ნაშთია ძალიან ძველი დროისა. ასეთ სახელებს თავდაპირველად არქმევდნენ, რა თქმა უნდა, *ბერის, ბაქის, ვაჟუხ, თილის, ნანაის, სანათას, თამარის...* შვილებს. შემდგომში ასეთი, *-ძე* სუფიქსიანი სახელები გაქვავდა და ტრადიციით გადაეცემოდა თაობიდან თაობაზე. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს მთაში შემორჩენილ *-ურ* სუფიქსიან რამდენიმე სახელზე: *გოგოთური, დოჯური, თათრული, კოჭაური, სირბილაური, ფივაური, ფილაური, ხაჩიური, ხეცაური, ჯამრული...*, თუმცა ამ პიროვნულ სახელებში სახელად ქცეული გვარსახელებიც უდავოდ გამოიყოფა.

ქართული საისტორიო საბუთები, წყაროები იცნობს აგრეთვე მამაკაცის *-ელ* სუფიქსით ნაწარმოებ სახელებს, რომლებიც გვარსახელებისგან არ მომდინარეობს. ისინი მიღებულია ტოპონიმზე *-ელ* სუფიქსის დართვით. შეიძლება გავიხსენოთ *სურამელი, მარგველი, ლარგუელი* და სხვ. ეს უკანასკნელი სახელი ტრადიციული იყო ქსნის ერისთავების — *ქვენიფნეველების* საგვარეულოში. ლარგვისი ქსნის ერისთავების საძვალეს წარმოადგენდა.

ამრიგად, საქართველოში გვექონდა საკუთარ სახელთა დარქმევის შემდეგი ტრადიცია: 1) პიროვნებებს არქმევდნენ სახელს, რომელმაც ამა თუ იმ გვარს თავის დროზე ჩაუყარა საფუძველი (მაგალითად, *რატი რატიანი*); 2) პიროვნებებს არქმევდნენ ადრინდელი გვარის სახელს (მაგალითად, *სისოურ დორეული*); 3) პიროვნებებს არქმევდნენ უშუალოდ გვარის სახელს (*მცხეთელაძე მცხეთელაძე*). ამას გარდა, ყოფაში იხმარებოდა *-ძე, -ურ (-ულ)* და *-ელ* სუფიქსიანი სახელებიც.

III. 7. აღმოსავლური და დასავლური ელემენტი ქართულ ანთროპონიმიაში

ყველა ეთნოსს წარმოქმნისა და ხანგრძლივი განვითარების პერიოდში თავისი ენობრივ-ეთნიკური კოლექტივისათვის დამახასიათებელი ანთროპონიმები ჰქონდა. მაგრამ, ისევე როგორც კულტურის ელემენტები, ანთროპონიმებიც ერთი ხალხიდან მეორეში ვრცელდებოდა. ანთროპონიმების გავრცელების მიზეზი სხვადასხვა იყო. ქართველი ხალხიც (ქართული ეთნოსიც) არ ყოფილა ამ მხრივ გამონაკლისი. ქართული ენობრივი და ეთნიკური სამყარო საუკუნეთა განმავლობაში ითვისებდა უცხოურ, არაქართულ ანთროპონიმულ ერთეულებს, რომელთა პირველი შემთვისებელი პრივილეგირებული ფენა იყო. ქართული სახელმწიფო ერთეულები მისი წარმოქმნის დღიდან ემეზობლებოდნენ ისეთ დიდ და კულტურულ-ცივილიზებულ ხალხებს, როგორებიც იყვნენ ირანელები (სპარსელები) და ბერძენ-ბიზანტიელები. ქართული საისტორიო წყაროები, საბუთები შესაძლებლობას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ როგორც პირველი, ისე მეორე კულტურული სამყაროდან ანთროპონიმების შემოდინებას ქართულში. თავდაპირველად განსაკუთრებით ბევრი საკუთარი სახელი გავრცელდა ირანიდან.

ქართული საკუთარი სახელები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ისინი ისტორიულად იცვლებოდა, რაც განპირობებული იყო რელიგიითა და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობით. უცხო სახელები ქართველ ხალხში, უპირველეს ყოვლისა, პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელთა შორის იკვლევდა გზას. ქრისტიანობის მიღებამდე დიდად იყო გავრცელებული ირანული სახელები, რომელთა შემოდინება ქრისტიანობის მიღების შემდეგაც არ შეწყვეტილა. IV საუკუნიდან ფართოდ ვრცელდება კანონიკური ქრისტიანული სახელები, რომლებიც წარმომავლობით ძირითადად ებრაულ და ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროს ეკუთვნის. ისტორიულმა ვითარებამ საქართველოში არაბული და თურქული სახელების დამკვიდრება განაპირობა. XIX საუკუნიდან ქართველ ხალხში გავრცელდა რუსული და ევროპული სახელებიც.

შეინიშნება ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსული საკუთარი სახელები, განსაკუთრებით კი მათ მეზობლად მცხოვრებ ქართველ მთიელებში. ყველა შემოსული უცხო სახელი თანაარსებობდა კანონიკურ ქრისტიანულ და საკუთრივ ქართულ საკუთარ სახელებთან ერთად.

ქართულ ენობრივ-ეთნიკურ სამყაროში შემოსული უცხოური სახელები ქართულ ელფერს იძენდა. ბევრი მათგანი ისეა გაქართულებული და ფონეტიკურად სახემეცვლილი, რომ სპეციალური ცოდნის გარეშე ძნელია მათი წარმომავლობის გარკვევა. თუ „ქართლის ცხოვრების“ პირველ ტომში ჩავიხედავთ, ვნახავთ, რომ მასში ზედა ფენის წარმომადგენელთა სახელებია დაფიქსირებული; აქ ძირითადად გაქართულებულ სპარსულ (ირანულ) და კანონიკურ ქრისტიანულ სახელებს ამოვიკითხავთ: *აბაზა, აბრაამ, არსენ, არჩილ, ბაგრატ, ბართლომე, ბაქარ, გაბრიელ, გიორგი, გუარამ, გურანდუხტ, დავით, დაჩი, დემეტრე, ელენე, ესაია, ვარაზ, ვახტანგ, ზაქარია, თევდორე, იაკობ, იოვანე, ლეონ, მარიამ, მიქაელ, პეტრე, რატი, სააკ, სამოელ, სარა, სვიმონ, ფარნავაზ...* არაერთი აღმოსავლური სახელი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ იქნა კანონიზებული, რადგანაც ასეთ სახელთა მატარებელნი წმინდანებად შეირაცხნენ. მაგალითებად შეიძლება ვაჟის სახელი *ვახტანგი* და ქალის სახელი *ქეთევანი* დავასახელოთ, რომლებიც წარმოშობით ირანული სახელებია.

„ქართლის ცხოვრების“ პირველ ტომში წარჩინებულთა შორის მხოლოდ ორჯერ გვხვდება საკუთრივ ქართული სახელი: *ზვიადი* და *კახაბერი*. *ზვიადი* პოპულარული სახელი იყო ყველა დროის საქართველოში. ის XIII საუკუნის საბუთშიც გვხვდება. XIII საუკუნისავე საბუთში დადასტურებულია *ვეფხა, მშუიდა, ნიორა*. მაგრამ ქართულ წერილობით ძეგლებში ქართული ძირის მქონე საკუთარი სახელები ძალზე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, რადგან ისინი ძირითადად მოსახლეობის დაბალ ფენებში, გლეხობაში იყო გავრცელებული, თანაც მეორე სახელის სახით. პრივილეგირებული ფენა კი ან ქრისტიანულ-კანონიკურ, ანდა იმ ქვეყნის (ეთნოსის) სახელს ანიჭებდა უპირატესობას, რომლის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა საქართველო.

ქართულ საკუთარ სახელთა განდევნაში, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი წვლილი ქრისტიანულ ეკლესიას მიუძღვის. ის კანონიკურ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) სახელებს უხსნიდა გზას. ქართული საკუთარი სახელები დავინწყებას მაინც არ ეძლეოდა და ისინი მეორე, ანუ ზედმეტი სახელების სახით ვრცელდებოდა. ქართული საკუთარი სახელები, რომლებიც შეკრებილი და სათანადოდ კლასიფიცირებულია, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონებს, აგრეთვე სამეგრელოსა და სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს

შემორჩა. ესენი ძირითადად გაანთროპონიმებული ქართული სიტყვებია, რომლებიც გამჭვირვალე და ადვილად ამოსაცნობია. ქვემოთ მხოლოდ მათ მცირე ნაწილს ჩამოვთვლით (ქალის სახელები შავი შრიფტითაა აწყობილი): *ახალა, აპრილა, ბიჭია, ბიძასთვალი, ბერდედა, ბოჩოლა, ბედი, გვრიტა, გვიანა, გულქალა, გონიერი, დათვია, დედუნა, დეუფალი, დედისიმედი, ერთგულა, ვეფხია, თეთრუა, თვალთა, ირემა, იმედა, კაკალა, კაკაბა, კვანუნი, კეკლუცაი, ლომა, ლეკვია, მაყვალა, მგელა, მერცხალა, მზია, მთვარისა, მახარე, მამაცა, მამისიმედი, მარცვალა, მინდოდა, მზევინარი, მხიარულა, ნებიერი, ნუკრია, ნათია, ნემსა, პირიმზე, რჩეულა, რთველია, საყვარელა, საბედო, სიხარული, ტურა, ტყემალა, უფლისა, უშიშა, ფოთოლა, ფოცხვერა, ფუტკარა, ფეტვია, ქალუკა, ქურციკა, ქერა, ღრუბელა, შავთვალა, შველია, ჩქარია, ჩხიკვი, ჩიტო, ძაღლია, ნაბლიკა, ცისმარ, ჭრელა, ხმელა, ხმალა, ხოხობა, ჯიხვი, ჯვარისა...*

ქართულ საკუთარ სახელებს ქრისტიანობის შემდეგ ძირითადად მეტსახელის ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული. ზოგჯერ კი კანონიკური ქრისტიანული სახელი აღარავის ახსოვდა. გარშემო მყოფნი პირებს მხოლოდ მეტსახელით მიმართავდნენ.

ორი სახელით ჩანერის (კანონიკური ქრისტიანული სახელისა და ქართული სახელის) საინტერესო ფაქტებია დადასტურებული ქართულ დოკუმენტებსა და XIX საუკუნის აღწერის დავთრებში. ხშირად მეორე, ზედმეტი სახელის ფუნქციას ოფიციალური, კანონიკური ქრისტიანული სახელის შემოკლებული, კნინობითი, საალერსო ფორმა ასრულებდა: *კონსტანტინე → კოტე, კონია, ალექსანდრე → ალე, ალეკო, ბენიამინი → ბენო, ბესარიონი → ბესა, ბესო, ბესიკი, გაბრიელ → გაბო, თევდორე → თედო, ქრისტეფორე → ქიტა, ქიტესა, ეკატერინე → ეკა, კატო, მარიამი → მარო, მარიკა, მარიკო, პელაგია → პელო...*

XIII საუკუნის სვანეთის კრების მატინანეში გვხვდება როგორც კანონიკური ქრისტიანული, ისე ქართული სახელები: *გიორგი* და *მუხლუხა*, *ილარიონი* და *ქუელი*, *მიქელ* და *დუდა*, *იოანე* და *რკინა*, *მარიამ* და *ნათელი*, *მარინე* და *გვანცა*, *ეგნატი* და *ბერეჟი*, *გაბრიელ* და *ქურციკ*, *ნინო* და *ქალკმაი*, *დავით* და *ლომა*, *ირინე* და *ზექალ*. ერთგვარად გამორჩეული იყო სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონი, სადაც გვიან შუა საუკუნეებში უფრო ქართული საკუთარი სახელები იყო გავრცელებული, ვიდრე კანონიკური ქრისტიანული სახელები.

გვიანფეოდალურ პერიოდში ქართველ ხალხში გავრცელდა თურქული და არაბული საკუთარი სახელები. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირად ჩვენში ფეხს იკიდებდა მაჰმადიან დამპყრობთა ისეთი სახელებიც, რომლებიც წესითა და რიგით სიძულვილის ობიექტი უნდა ყოფილიყო და ქართულ ონომასტიკაში მათ ფეხი არ უნდა მოეკიდებინა. ამის საილუსტრაციოდ თეიმურაზის (თემურის) დასახელებაც საკმარისია. ამდენად, ქართულ ანთროპონიმიაში უცხო სახელების (აღმოსავლური და დასავლური) შემოღინება უაღრესად საინტერესო სურათს გვაძლევს. შუა საუკუნეებში არაქართული სახელები პირველ რიგში ზედაფენის წარმომადგენელთა შორის ვრცელდებოდა. მაგალითად, 1568 წლის წყალობის წიგნში მოხსენიებულია ოთხი ძმა *ჩოლოყაშვილი*; ოთხივე სპარსული წარმომავლობის სახელს ატარებდა: *ანდერმან, რომაქ, გოშფარ, ჯიძმურ*.

არ შეიძლება ორიოდე სიტყვა ქართული გვარსახელების შესახებაც არ ვთქვათ. ბუნებრივია, ქართულ გვარსახელებს ფუძედ აქვთ როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური სამყაროდან შემოსული სახელები, საკუთარი თუ საზოგადო. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოსაყოფია ის გვარსახელები, რომლებიც ე. წ. პროფესიული ტიპის გვარსახელებს მიეკუთვნება. ამკარაა, რომ ქართველ ხალხში პროფესიული ტერმინების შემცველი გვარსახელები აღმოსავლურ (ირანულ, არაბულ, თურქულ) ლექსიკას შეიცავს, რაც უდავოდ იმ დიდი გავლენის გამოხატულება იყო, რომელსაც საქართველო განიცდიდა მეზობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისაგან. პროფესიული ტიპის გვარსახელებს ამა თუ იმ პროფესიის, თანამდებობის ხელობა-მესაქონლეობის აღმნიშვნელი ტერმინები უდევს საფუძვლად. ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ ქართულ გვარსახელებში არა გვაქვს თვით ქართული პროფესიული ტიპის გვარსახელები. ისინი საკმაოდ ბევრია. აღმოსავლურძირიანი პროფესიული ტიპის გვარსახელებიდან შეიძლება დავასახელოთ: *სადუნიშვილი* („სადუნი“ — სხვადასხვა ენის მცოდნე), *ქეშიკაშვილი* („ქეშიკი“ — სპარსულად გვამის მცველია, *Телохранитель*), *ჯოღობორდი* („ისრის მთელი“), *თოფჩიშვილი* („თოფჩი“ — მე-თოფე, მეზარბაზნე).

დასავლური (ბერძნულ-ბიზანტიური) ანთროპონიმების გავრცელება ქართველ ხალხში ძირითადად ქრისტიანობის გავრცელებით იყო განპირობებული. XIX საუკუნიდან კი ეს პროცესი აღმოსავლური სამყაროსაგან ჩამოშორებამ განაპირობა.

ქართულ ანთროპონიმიაში აღმოსავლური და დასავლური ელემენტების გავრცელება ერთგვარ განსხვავებას გვიჩვენებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მიხედვით. ბუნებრივია, საქართველოს ამა თუ იმ რეგიონის სიახლოვე, მოსაზღვრეობა ამა თუ იმ ქვეყანასთან სათანადოდ აისახებოდა შესაბამისი რეგიონის ანთროპონიმებზედაც.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ქართველ ხალხში სომხური საკუთარი სახელები თითქმის არ შემოდოდა, არ ვრცელდებოდა, რაც, ალბათ, ქრისტიანობის მიღების შემდეგ საეკლესიო დაპირისპირებითაც იყო გამოწვეული, ხოლო ქართველ მთიელებში კი ჩრდილოკავკასიელთა სახელების გავრცელებას მეტი ასპარეზი ჰქონდა, რაც, ალბათ, აქ ქრისტიანობის ზედაპირული გავრცელებით უნდა აიხსნას.

უცხო სახელების გავრცელებას გვიანფოდალურ პერიოდში განსაკუთრებით ხელი ეწყობოდა იმ ქართულ მოსახლეობაში, რომელიც არ იყო მართლმადიდებელი: კათოლიკე ქართველებში — დასავლეთევროპული (კათოლიკური) სახელები, გრიგორიან ქართველებში — სომხურ-გრიგორიანული სახელები, მაჰმადიან ქართველებში — თურქულ-არაბული სახელები...

XVI საუკუნეში სამცხე-ჯავახეთში ძირითადად ტრადიციული ქართულ-ქრისტიანული სახელები იყო გავრცელებული. „გურჯისტანის ვალაიეთის დავთრით“ ჩანს, რომ მხოლოდ ახლა იწყებდა გავრცელებას და ფეხს იკიდებდა მაჰმადიანურ-თურქული სახელები.

ამრიგად, ძველი დროიდან მოყოლებული დღემდე ქართველ ხალხში აღმოსავლური და ევროპული სახელების გავრცელება უაღრესად საინტერესო სურათს და საყურადღებო დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს. საქართველოს ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა ქართველ ხალხში როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური საკუთარი სახელების გავრცელება, თუმცა შემოსულ ანთროპონიმებს ქართული საკუთარი სახელები საბოლოოდ არ განუდევნია.

III. 8. -ფხე (-ხე) სუფიქსის უცნობი ფუნქციის შესახებ ქართულ ანთროპონიმიაში

ცნობილია, რომ ქართულ ენაში სქესის კატეგორია არა გვაქვს და, შესაბამისად, არც ქართულ გვარსახელებს, სახელებს განვასხვავებთ სუფიქსებით, რომლებიც სქესს გამოხა-

ტავს. სქესი განსაკუთრებით დამახასიათებელია ინდოევროპულ ენათა ანთროპონიმებისათვის. როდესაც რუსი, ლიტველი, ლატვიელი, პოლონელი, ლუჟიელი, ბერძენი მამაკაცისა და ქალის გვარსახელს ახსენებს, ჩვეულებრივ, ის მათ მამრობითი და მდედრობითი სქესისათვის დამახასიათებელი ფორმანტებით აბოლოებს. მაგალითად ბერძნულ ენაში მამაკაცის გვარი გამოითქმის როგორც *ცავახიდის*, ქალისა — *ცავახიდუ*, შესაბამისად: *ზარაბალასი* და *ზარაბალა*, *იოანიდისი* და *იოანიდი*. პოლონურ გვარს *დომბროვსკის* შეესატყვისება ქალის გვარი *დომბროვსკა*, *კოვალევსკის* — *კოვალევსკა*, *პოტოცკის* — *პოტოცკა*, *ნოვაკს* — *ნოვაკა*. უფრო მეტიც, ლიტვურში სხვადასხვა სუფიქსებს ირთავენ მეუღლისა და ქალიშვილის გვარები. მაგალითად, ლიტვურ ენაში მამაკაცის გვარი გამოითქმის როგორც *ბრაზაუსკასი*, ცოლისა — *ბრაზაუსკენე*, ქალიშვილისა — *ბრაზაუსკიტე*. შესაბამისად: *ბალუკონისი* (კაცი), *ბალუკონენე* (ცოლი), *ბალუკონიტე* (ქალიშვილი); *საბონისი* (კაცი), *საბონინე* (ცოლი) და *საბონიტე* (ქალიშვილი). არაინდოევროპული ენებიდან მამაკაცისა და ქალის გვარების განსხვავება ახასიათებს უნგრულ ენასაც. მაგალითად, უნგრული *Veres*-ის ცოლმა თუ ქმრის გვარი მიიღო, ის იქნება *Veresené*.

ქართული გვარსახელებისათვის სუფიქსების მიხედვით სქესის გამიჯვნა დამახასიათებელი არ არის. მაგრამ, როგორც დიდი ხნის წინ შენიშნეს, ოდესღაც ფორმანტების მიხედვით ქართველებიც მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან მამაკაცისა და ქალის გვარებს. ეს მოვლენა განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა მეტყველებისა და ეთნოგრაფიული ყოფისათვის. მხედველობაში გვაქვს *-ფხე* (*-ხე*) სუფიქსი, რომლითაც ქვემო იმერეთის, სამეგრელოს მკვიდრნი ქართული გვარსახელებისათვის დამახასიათებელ სუფიქსებს (*-ძე*, *-ელ*, *-ია*, *-ან*) ცვლიდნენ, როდესაც ამა თუ იმ მდედრობითი სქესის წარმომადგენელს ახსენებდნენ ან მიმართავდნენ.

ამ საკითხს პირველად შეეხო ი. ყიფშიძე. მან აღნიშნა, რომ *-ფხე* (*-ხე*) მეგრულში „ქალს“, „ასულს“ აღნიშნავს, და აქვე დასძინა, რომ „ხე“ *принавляется к концу фамильных названий*. იმავე პერიოდში ნ. მარმაც აღნიშნა, რომ *-ხე* და *-ფხე* ქვემოიმერულ კილოში გვხვდება „გოგონას“, „ქალის“ მნიშვნელობით.

-ფხე (*-ხე*) სუფიქსის შესახებ თავისი აზრი გამოთქვა პავლე ინგოროყვამაც. ის აღნიშნავდა: „თავდაპირველად საჭიროა მოვიგონოთ, რომ ქართულში ცნება *ვაჟი* აღინიშნება ტერმინით

დე, ხოლო ცნება *ქალი* ტერმინით: *ბე*. ტერმინი *ბე* დღემდე შენახულა გადმონაშთის სახით ზოგიერთ ქართულ კილოებში (ასე, კერძოდ გურულ კილოში), სადაც იგი ჩვენ გვხვდება საგვარეულო სახელწოდებათა აღსანიშნავად, მაგალითად: *ნაკაში-დე* (ვაჟი), *ნაკაში-ბე* (ქალი). მეგრულში ეს ტერმინი *ბე* დღემდე ცოცხალ სიტყვას წარმოადგენს, და აქაც იგი ერთვის ქალის გვარს (როგორც მაგალითად *გვაზა-ბე* = ქალი, ხოლო *გვაზა-ვა*, ე. ი. *გვაზაძე* = ვაჟი)". იქვე პავლე ინგოროყვა შენიშნავს, რომ გურულში „ეს ტერმინი წარმოდგენილია ორგვარი სახესხვაობით, როგორც *-ბე* და როგორც *-ფბე*“.

ვრცლად *-ფბე (-ბე)* ფორმანტის საკითხს შეეხო ი. მეგრელიძე, რომელმაც მნიშვნელოვან მასალას მოუყარა თავი და აჩვენა აღნიშნული სუფიქსის გეოგრაფიული გავრცელების სხვა არეალებიც. გაირკვა, რომ, გარდა ქვემო იმერეთის, სამეგრელოსა და გურიისა, ის უცხო არ იყო და აგრეთვე აჭარაშიც (ძირითადად ქობულეთში და ნანილობრივ სხვა რაიონებშიც), ლაზეთშიც იყო გავრცელებული. *-ფბე (-ბე)* სუფიქსის გავრცელების არეალში ი. მეგრელიძემ სვანეთიც შეიტანა, თუმცა ამის დამადასტურებელი მაგალითები მას არ მოუხმია და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სვანურ მეტყველებაში გვარებთან დაკავშირებით *-ფბე (-ბე)* სუფიქსი არც ერთ მკვლევარს არ დაუფიქსირებია. თუმცა ქართული საისტორიო ძეგლებით ირკვევა, რომ *-ფბე (-ბე)* სუფიქსი ოდესღაც სვანური მეტყველებისთვისაც დამახასიათებელი იყო. პ. ინგოროყვა აღნიშნავდა: „სვანურში იგივე ტერმინი „*ბე*“ წარმოდგენილია ფუძე-სიტყვის სახით: *ბჷ*. ამ ფუძე-სიტყვიდან *ბჷ* ჩვენ გვაქვს სვანურში სიტყვები: „*ეხბჷ*“, „*ჰეხბჷ*“ — რაც ნიშნავს ცოლს. „*ნა — ახბჷ*“ — რაც ნიშნავს: *შობ-ვან*“.

სანამ სვანურ მაგალითებს მოვიყვანთ, საჭიროდ მიგვაჩნია მეგრული, გურული, აჭარული და ქვემოიმერული მეტყველებიდან რამდენიმე ნიმუშის მოყვანა: *თურქია — თურქიბე*, *ქორქია — ქორქიბე*, *ალანია — ალანიბე*, *გეჯუა — გეჩბე*, *ხორავა — ხორახბე*, *გოგია — გოგბე*, *გოგობია — გოგობბე*, *კაკავა — კაკახბე*, *ჩიჩუა — ჩიჩუბბე*, *ჩილაჩავა — ჩილაჩიბბე*, *ქაცარავა — ქაცარახბე*, *მიმინოშვილი (მიმინოსქუა) — მიმინოსხბე*, *პაპასკირი — პაპასქილიბბე*, *პაპეიბბე*; *ნულაძე — ნულაფბე*, *მამალაძე — მამალაფბე*, *ჭელიძე — ჭელიფბე*, *რამიშვილი — რამიფბე*, *ჭანიშვილი — ჭანიფბე*, *წილოსანი — წილოსანიფბე*, *ჟღენტე — ჟღენტიფბე* (უკანასკნელ ორ შემთხვევაში გვარსახელის მანარმოებელ სუფიქსებს პირდაპირ ერთვის *-ფბე* ფორმანტი);

გურიელი — გურიფხე (გურიელიფხე), ჯაყელი — ჯაყელიფხე, ჯაში — ჯაშიფხე, ტულუში — ტულუშიფხე; ჩიქოვანი — ჩიქოვანიფხე; ქათამიძე — ქათამიფხე, კახიძე — კახიფხე, კვეკვესკირი — კვესიაფხე, ხაბაზი — ხაბაზიფხე; რუხაძე — რუხანიფხე, მელაძე — მელაიფხე, ტაბიძე — ტაბიფხე, ცაგარეიშვილი — ცაგარეიფხე, რატიანი — რატიანიფხე. ი. მეგრელიძის შენიშვნით ლაზურში -ფხე სუფიქსს დაცივნის, გაკილვის ფუნქცია ჰქონდა მიღებული. ასეთივე ფუნქცია აქვს დღეს ხშირად მიღებული -ფხე სუფიქსს ქვემოიმერულ და გურულ დიალექტებშიც. როგორც აღნიშნავენ ის ხშირად მოფერება-შეხუმრება-შექების ნიუანსითაც გამოიყენება.

შუა საუკუნეების სვანეთში -ფხე სუფიქსი ქალთა გვარების აღსანიშნავად რომ ინტენსიურად გამოიყენებოდა, ამას წერილობითი ძეგლები გვიდასტურებს, რომლებიც XIII—XVIII საუკუნეებით თარიღდება. „მატიანე სვანეთისა კრებისა“—ში აღრიცხულნი არიან: *ხალინა გურსაფხე, მრმ გოგორელიფხე, მამქან ათარიფხე, თოვლაი მიქელიფხე, მარიამ რუმბიფხე, თუმა ჩხუმიფხე, სუკუა უჩინარიფხე. XIV—XVI საუკუნეების „ქაუზაი გურჩიანის სახლის მოსახსენიებელში“ მოხსენიებულია გიორგი გურჩიანის მეუღლე ბიგვი ცინდელიფხე. ეს პირი მოსახსენიებელში შეყვანილია არა ქმრის, არამედ ქალიშვილობის გვარით. იმავე დოკუმენტში დასახელებულია ადსუნ გურჩიფხე. XVIII საუკუნითაა დათარიღებული „ყორმშახ გოშუანის სახლის მოსახსენიებელი“, რომელშიც ვხვდებით ბახარ გოშუანიფხე-ს. XVIII საუკუნისავე მირზა დადეშქელიანის მოსახსენიებელში ნახსენებია დუდარუყ დადიშქელიანის მეუღლე თეთრუა შიდიფხე. იქვე მოხსენიებულია მირზა დადეშქელიანის მეუღლე ელდარუფხუ ხერაკუფხე. თეთრუაც და ელდარუფხუც ქალიშვილობის გვარით არიან წარმოდგენილნი. XVIII საუკუნისავე ციოყ დადიშქელიანის მოსახსენიებელში გელასხან დადიშქელიანის მეუღლე ქმრის გვართაა დასახელებული: კაკუ დაჩქელაფხე. (იგი მეორე მოსახსენიებელში გვხვდება). XV საუკუნით დათარიღებული მოსახსენიებლით დიდებულ ბადრი ელედიანის მეუღლე ყოფილა ბეზშიდისი ჯაფარიფხე. XVI-XVII საუკუნეების საბუთში დასახელებულია ვულქან კაუბერიფხე. XVIII საუკუნეში ცხოვრობდა დიდხა მილდაფხე, XV-XVI საუკუნეებში — „თინსორსი გოგუსფხე“ და „ბიდა ხუნციფხე“. XVII-XVIII საუკუნეების ლომინ პაიკელიანის სახლის მოსახსენიებელში ვხვდებით ჯილა ორაფხე-სა და იოანეს ცოლს. XVIII საუკუნის ახლავე რუჩევიანის სახლის მოსახსენიებელში მოხსენიებული არიან სოსა რუჩეგია-*

ნი და მისი მეუღლე იმახათ გელუაფზე. ამავე მოსახსენიებელში დასახელებულია ანა მანიფზე. ხოლო თათარსავე რუჩეგანის მეუღლე ყოფილა მანანუ რუჩეგაფზე. ამ შემთხვევაში - ფზე სუფიქსი ქმრის გვარს ერთვის. XVIII საუკუნეში ლაზარე და ყადუ სვიფლიანებს (სუფლიანებს) ჰყოლიათ მეუღლეები მაქა გადრაფზე და შაქა დევდარიფზე. მათსავე ოჯახში მოხსენიებულია მაქა სვილიფზე. XV-XVI საუკუნეების ქაუ ხარზიანის სახლის მოსახსენიებელში დასახელებულია დიხა კუციფზე.

ვფიქრობთ, მაგალითების მოყვანა საკმარისია. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში სვანეთში ქალის გვარების აღსანიშნავად XVIII საუკუნის ჩათვლით ინტენსიურად გამოიყენებოდა - ფზე სუფიქსი. ამასთანავე აშკარაა, რომ - ფზე ფორმანტი სვანურ მეტყველებაში აწარმოებდა როგორც ქალიშვილობის, ისე ქმრის გვარს. ამდენად, დოკუმენტებში ქალი, რომელიც გათხოვილია და, ჩვეულებრივ, შესულია სხვა გვარის სახლში, ზოგჯერ ჩანერილია ქმრის გვარით და ზოგჯერ თანმოყოლილი, ქალიშვილობის გვარით, ორსავე შემთხვევაში გვარს - ფზე სუფიქსი დაერთვის.

ირკვევა, რომ სვანეთში - ფზე ფორმანტი არა მხოლოდ გვარსახელებს, არამედ ქალის სახელებსაც აწარმოებდა და თანაც, ჩვეულებრივ, ასეთი სახელების ფუძედ გამოყენებულია მამაკაცის სახელი. თავდაპირველად ჩვენი ყურადღება მიიქცია ქუთაისის სახელმწიფო არქივში დაცულმა ერთმა საბუთმა, რომელიც დათარიღებულია 1866 წლით. ის შედგენილია მღვდელ იოსებ ვანაძის მიერ. რუსეთის ხელისუფლებამ, სვანეთში შესვლისას, აღმოაჩინა, რომ სვანეთის მკვიდრთა გარკვეული ნაწილი მონათლული არ იყო. დაიწყეს ხალხის მონათვლა. ზემოთ მოხსენიებულ დოკუმენტში ჩამოთვლილი არიან ის პირები, რომლებიც მონათლნენ ადრინდელი სახელისა და ნათლობის სახელის მითითებებით. საბუთით ირკვევა, რომ XIX საუკუნის შუა ხანებში სვანეთში გავრცელებული ქალის სახელები იყო: **ხაზიფზ** (59 წლის, გვარად უდესიანი. ნათლობისას მიეკუთნა სახელი ეფემია); **დადიშკელაფზ** (13 წლის, მიეკუთვნა კანონიკური სახელი დარია. ის გვარად ჯაფარიძეა). მთხრობლის განმარტებით, **დადიშკელაფზ** შეცდომაა. სვანები ამ სახელს გამოთქვამენ როგორც **დაჩქელაფზ**. აღნიშნულ საარქივო დოკუმენტში ამ სახელით კიდევ ორი პირია მოხსენიებული); **ბერდუფზ** (სულა, ანუ სიმონ ჯაფარიძის 3 წლის ქალიშვილი. ნათლობის შემდეგ დაერქვა ბარბარე. სიმონ ჯაფარიძის რძალს **დაჩქელაფზ** ერქვა, რომელსაც კანონიზებული ქრისტიანული

სახელი — *ოლა* მიეკუთვნა. *ბერდუფი* ერქვა *ციოყ* (გიორგი) *ჯაფარიძის* ბიძოლას, რომელსაც *ბარბარე* დაარქვეს); *ელდაფ* (30 წლის, *ბექან ხერგიანის* მეუღლე. ნათლობის შემდეგ დაერქვა *ელისაბედი*); *ვირგულაფხა* (6 წლის, *თათე დადუანის* ქალიშვილი. დაერქვა *ალათია*); *ილდაფ* (2 წლის, ესეც *თათე დადუანის* ქალიშვილი. ნათლობის შემდეგ დაერქვა *ირინე*). *ილდაფი* ერქვა აგრეთვე 2 წლის გოგონას, *ოტია იოსელიანის* ძმის შვილს, რომელსაც *ალათია* დაარქვეს.

-*ფხ* სუფიქსიანი ქალის სახელები გვხვდება აგრეთვე 1877 წელს მღვდელ *ილარიონ გერსამიას* შედგენილ სიაშიც. მაგალითად, უშგულის სამრევლოში დაფიქსირებულია 24 წლის *გევი ქელიძის მეუღლე, სიმონის ასული ბერდუფი*. 1870 წლის ლატალიის თემის აღსარების მთქმელთა დავთარში შეტანილია სახელი *ვრიგლაფხ*. -*ფხ* სუფიქსიანი ქალის სახელები დავადასტურეთ ველზე მუშაობისას. გარდა ზემოხსენებული ქალის სახელებისა, მთხრობლები მოსწრებიან პირებს, რომლებსაც ერქვათ: *ვალდაფხ, ქალდაფხ, დერზუფხულ, გულიფხ* (*გვილარა* ერქვა XIII-XIV საუკუნეებში ეცერის თემში მცხოვრებ *ელედიანის* გვარის კაცს. ეთნოგრაფმა *როზეტა გუჯეჯიანმა* მოგვანოდა მის მიერ ეცერში დაფიქსირებული სახელები: *ბედუფხ, ჯაჭვიფხ, ჯაჭიფხ, ჯაჭვლაფხ*. -*ფხ* სუფიქსიანი ქალის სახელები სვანეთში წარმოქმნილი იყო მამაკაცის სახელზე აღნიშნული სუფიქსის დართვით. ცნობილია, რომ საქართველოში (და მთელ მსოფლიოშიც) ქალის სახელები მამაკაცის სახელებზე ბევრად ნაკლები იყო და ქალის სახელების შევსება ფილოლოგიური გზით ხდებოდა (XVI საუკუნის სხვადასხვა ქრისტიანულ კალენდარში მამაკაცისა და ქალის 150 წყვილი სახელია დაფიქსირებული: *ალექსანდრე — ალექსანდრა, ელენი — ელენა, მარტინი — მარტინა* და ა.შ.).

შეიძლება გვეფიქრა, რომ ქალთა სახელებში -*ფხე* სუფიქსი XVIII საუკუნის შემდეგ გაჩნდა, რაც ქალის გვარების ამ სუფიქსით წარმოება დავიწყებას მიეცა, მაგრამ, როგორც ჩანს, ის ტრადიციული იყო. შუა საუკუნეების სვანეთში -*ფხე* სუფიქსიანი ქალის სახელები -*ფხე* სუფიქსიანი ქალის გვარებთან ერთად არსებობდა. -*ფხე* ფორმანტიანი სახელები შეიძლება ფეოდალიზმის პერიოდის სვანური დოკუმენტებიდან ამოვკრიბოთ. მაგალითად, XIII-XIV საუკუნეების სულთა მათიანეში -*ფხე* სუფიქსიანი ორი სახელია დაფიქსირებული. ესენია: *კოსთაფხე* და *ადრაფხე*. ასეთი სახელები შუა საუკუნეების მოსახსენიებლებშიც გვხვდება. XVI—XVIII საუკუნეებში ოთხჯერ არის დადასტურე-

ბული ქალის სახელი *ელდარუფხე*. მაგალითად, სორთმან დადიშქელიანის მეუღლე ყოფილა *ელდარუფხე დევედარიანი*. ერთ-ერთ ქალს სახელიცა და გვარიც -*ფხე* სუფიქსით ჰქონდა გაფორმებული: XVIII საუკუნის მოსახსენიებლით *მირზა დადეშქელიანის* მეუღლე ყოფილა *ელდარუფხე ჩეკარუფხე*, რომელთაგან პირველი სახელია და მეორე — გვარსახელი. *ილმაზ დადეშქელიანის* მეუღლის სახელი ყოფილა *შკვილიფხე*. XVIII საუკუნისავე საბუთით *თათარყან დადიჩქელიანის* მეუღლეს რქმევი *ბურდუფხე*. XV-XVI საუკუნეებში *გულსტუაფხე* ერქვა ბაბაში კვიციანის სახლის წევრს. XVI-XVII საუკუნეების მოსახსენიებელში აღრიცხულია *ოქოდუფხე რუჩეგიანი*. XV-XVI საუკუნეებში გვხვდება სახელები: *გერნიფხე* და *კტაშეფხე*.

ამრიგად, ზემოთ მიმოხილული მასალიდან ამკარაა, რომ: ა) -*ფხე* სუფიქსიანი გვარები ისტორიულად სვანეთისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო; ბ) -*ფხე* სუფიქსი სვანეთში ისტორიულად ანარმოებდა აგრეთვე ქალის სახელებს, რაც სვანურმა მეტყველებამ და ყოფამ ბოლო დრომდე შემოინახა; გ) სვანეთში გვხვდებოდნენ პირები, რომლებსაც ერთდროულად სახელიცა და გვარიც -*ფხე* სუფიქსიანი ჰქონდათ; დ) მოყვანილი მასალა ადასტურებს, რომ სვანეთი აღნიშნული თვალსაზრისით ერთიან ქართულ კონტექსტში ჯდება; ე) სვანურ მეტყველებას -*ფხე* სუფიქსი ნასესხები კი არ ჰქონდა ქართული ან ზანური მეტყველებიდან, არამედ ის მისთვის ოდითგანვე დამახასიათებელი იყო; ვ) -*ფხე* ფორმანტი საერთო ქართული მოვლენაა და ის საერთო ქართული ენის კუთვნილება უნდა ყოფილიყო; ზ) -*ფხე* სუფიქსი ქართულ გვარსახელებსა და ქალის საკუთარ სახელებში ადასტურებს იმას, რომ ქართველებს გვარები მანამდე ჰქონდათ, სანამ საერთო ქართული ენა ქართულ, ზანურ და სვანურ მეტყველებებზე დაიშლებოდა, ე. ი. ქართულ სინამდვილეში მოხდა გვაროვნული საზოგადოების გვარის (род) უშუალოდ გვარსახელში (фамилия) გადაზრდა.

აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს კიდევ ერთი მასალა, რომელიც ისტორიკოსმა *ვალერი ვაშაკიძემ* მოგვანოდა. *ვაშაკიძეების* გვარი რამდენიმე დანაყოფად (ბაბუიშვილობად), ანუ როგორც ქვემო იმერეთში იტყვიან, „საგინებელ“ (ე. ი. საგნებელ, მისაგნებ) გვარად იყოფა. ესენია *უმარგელაშვილი*, *ტარტარაშვილი*, *კაშიფხე*. ამრიგად, -*ფხე* სუფიქსი იმერეთში მეორე მემკვიდრეობითი სახელის, ანუ, გვარის დანაყოფის („საგინებლის“ = საგნებლის, მისაგნებლის) აღსანიშნავადაც გამოიყე-

ნებოდა. ასეთი შემთხვევა, ჩვენი აზრით, ხშირი არ უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში გვარის დანაყოფის სახელს, გადმოცემით, საფუძვლად უდევს *ვაშაკიძის* გვარის კაცზე გათხოვილი *კაშიას* ქალის გვარი. როგორც ჩანს, ვაშაკიძეზე გათხოვილი კაშიას ქალი გამორჩეული იყო, ანდა დაქვრივებულმა თავად გაზარდა შვილები, მამობაც გაუწია მათ და ამის გამო ხალხმა ვაშაკიძეების გვარის აღნიშნულ განაყოფს *კაშიფხე* შეარქვა.

აღმოსავლეთ საქართველოში - *ფხე* სუფიქსი არსად არ არის დადასტურებული. მაგრამ ვაჟისა და ქალის გვარებს აქაც არჩევდნენ. ქიზიყსა და შიდა ქართლში (ლიახვის ხეობაში) ქალის გვარს - *ურ (-ულ)* სუფიქსით აბოლოებდნენ: *ნანობაშვილი — ნანობაური, პოპიაშვილი — პოპიაური, ოთინაშვილი — ოთინაური... გზირიულს, ბოსტიურს* ეტყოდნენ გათხოვილ *გზირიშვილისა* და *ბოსტიაშვილის* ქალს. ისინი ერთგვარად მეტსახელის ფუნქციასაც ასრულებდნენ. ასეთივე ვითარება გვქონდა ზემო იმერეთში, რომელიც ეთნოგრაფიულად ბევრ მსგავსებას ამჟღავნებს შიდა ქართლთან: *ცერცვაძე — ცერცვაული*. ამრიგად, საქართველოს ამ რეგიონებში ქალის გვარის გამოხატვის ფუნქცია - *ურ (-ულ)* ფორმანტს ჰქონდა. ვფიქრობთ, რომ თავის დროზე აქაც ეს ფუნქცია - *ფხე* სუფიქსს უნდა ჰქონოდა, რომელსაც, ალბათ, ადრე შუა საუკუნეებში - *ურ (-ულ)* სუფიქსი ჩანაცვლა.

P.S. ქართულ სანათმეცნიერო ლიტერატურაში (ქ. ლომთათიძე), აღნიშნულია რომ - *ფხე* სუფიქსი მიღებულია სიტყვისგან „მკვეალი“ („მხევალი“), რაც ქართულ წერილობით ძეგლებში უძველესი დროიდანაა დადასტურებული და „მსახურ ქალს, გოგოს“ აღნიშნავდა (ი. აბულაძე). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, „მხევალი“ ნაყიდი ან ნამზითვი ქალის, ტყვე ქალის, მოახლის, ხელზე მოსამსახურე ქალის აღმნიშვნელი იყო. ვფიქრობთ, რომ „მხევალისაგან“ კი არ უნდა იყოს „ფხე“ მიღებული, არამედ, პირიქით, „მხევალი“ „ფხე“-საგან უნდა იყოს ნაწარმოები. „*ფხ*“ ფუძიანი სიტყვები სვანურსა და ზანურ მეტყველებებშია დადასტურებული. სვანურში **ფხერ**-ა, ლი-**ფხერ**, ლი-**ფხრ**-ე „თვალის გახელას“ ნიშნავს (ი. ჩანტლაძე). ი. ჩანტლაძის ვარაუდით, სვანური ლექსემა „**ფხ**“ თავის დროზე „თვალს“, „მზეს“, „მზის თვალს“ აღნიშნავდა. მოწმენდილ ცას აღნიშნავს სვანური მე-**ფხე** და ლაზური მა-**ფხა**. იგივე ფუძე გამოიყოფა ზა-**ფხ**-ულ კომპოზიტივც (ტ. ფუტკარაძე). ამრიგად, „**ფხ**“ საერთო ქართველურ ენაში თავდაპირველად მზის (ცის) აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. თუ გავითვალისწინ-

ნებთ იმ გარემოებასაც, რომ „ქართველების უძველესი მზის ღვთაება მდედრობითი სქესის არსება იყო“ (ვ. ბარდაველიძე) და მზისა და ცის კულტი ერთობლიობაში წარმოდგინებოდა, **„ფხე“** კომპლექსიდან **ფხევალის (მხევალის)** მიღება გამორიცხული არ უნდა იყოს. არც ისაა გამორიცხული, რომ უძველესი ქართველური **„ფხ“** ლექსემა (აღნიშნული გაგებით) ედოს საფუძვლად საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების **ფხოვისა** და **აფხაზეთის** სახელწოდებებსაც.

IV. სახელთა სარეკომენდაციო სია

ქართულ ინდივიდუალურ სახელთა ჩამონათვალი, რა თქმა უნდა, სრული არ არის. სახელები ამოკრებილია საისტორიო წყაროებიდან და საბუთებიდან, შუა საუკუნეებისა და XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებიდან, აღსარების მთქმელთა სიებიდან. ზოგიერთი ჩანერილია საველე-საექსპედიციო მუშაობისას. ჩამონათვალში შევიდა ქართველ ხალხში გავრცელებული კანონიზებული მართლმადიდებლური სახელები. ბევრი ასეთი სახელი კინობითი ფორმით იყო გავრცელებული. ბევრი სახელი გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონე ქართული სახელია, რომელიც ხშირად მეორე, მეტსახელის, ნართაული სახელის სახით იყო შემორჩენილი. სახელებში კარგად ჩანს ქართველი ხალხის შემოქმედებითი უნარი, ნიჭიერება. ისინი დასაკარგავი არ არის.

ნიგნის ავტორი მომხრეა იმ იდეისა, რომ ქართველებმა ოფიციალურად ორი სახელი ატარონ — ერთი კანონიზებული, საეკლესიო და მეორე — გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონე ძველი ქართული სახელი. ეს მით უფრო საჭიროა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ, ქართული ანთროპონიმიული მოდელიდან მამის სახელი სრულიად დაუმსახურებლად გააქრეს. მამის სახელით კი ინდივიდის დაკონკრეტება ხდებოდა. მეორე ოფიციალური სახელის შემოღება პიროვნების იდენტიფიკაციას გააადვილებს. ზოგიერთისათვის შეიძლება მიუღებელი იყოს სახელთა სარეკომენდაციო სიაში ისეთი სახელების შეტანა როგორებიცაა, მაგალითად, *ასათ*, *ახალა*, *ბალხამა*, *ბერეყი*, *გვიმრა*, *დოლა*, *თვალთა*, *კოტორა*, *მინდორა*, *ნათობა* და ა. შ. ეს სახელები იმისთვისაა შემოთავაზებული, რომ აღვადგინოთ ძველ საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებული ჩვეულება ინდივიდუალური სახელისა და გვარსახელის შეთანანწყობისა, როდესაც გვარსახელის ფუძედ გამოყენებულია ინდივიდუალური სახელი, რომელიც გვარში ძალიან პოპულარული იყო, თუმცა ეს მოვლენა XIX საუკუნეშიც ფრიად გავრცელებული და ტრადიციული იყო. ზემოთ ჩამოთვლილ ინდივიდუალურ სახელთა მიხედვით, ამ შეთანანწყობას შემდეგი სახე ექნება: *ასათ ასათიანი*, *ასათ ასათაშვილი*, *ახალა ახალაია*, *ახალა ახალაძე*, *ახალა ახალაური*, *ახალა ახალაშვილი*, *ბალხამ ბალხამიშვილი*, *ბერეყი ბერეყიანი*, *გვიმრა გვიმრაძე*, *დოლა დოლიაშვილი*, *თვალთა თვალთაშვილი*, *კოტორა კოტორაშვილი*, *მინდორა მინდორაშვილი*, *ნათობა ნათობაძე* და მისთ.

მომავლის საქმეა ქართული პიროვნული სახელების სრული გამოვლენა, შემაჯამებელი მონოგრაფიის დაწერა ქართულ საკუთარ სახელთა (ინდივიდუალური სახელის, გვარსახელის, მეტსახელის, გვარის დანაყოფის სახელის) შესახებ; დასაწერია თითოეული გვარსახელის ისტორია. მომავალ მეცნიერთა მიერ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების კვლევის იმედით დაიწერა ნიგნი „სახელების ეთნოლოგია და ისტორია“. მომავალ მკვლევარს წარმატებისათვის კი ორი მნიშვნელოვანი თვისება უნდა ჰქონდეს — სამშობლოს სიყვარული, დიდი შრომის უნარი და — ცოდნის ყოველდღიურად გაღრმავების სურვილი მეცნიერების ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ისტორია, ეთნოლოგია და ენათმეცნიერება.

სახელთა ჩამონათვალში ქალის სახელები ვაჟის სახელებთან შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, რაც ორი მიზეზითაა განპირობებული: პირველი — ქალის ქართული ინდივიდუალური სახელები, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ხალხისა, გაცილებით მცირერიცხოვანია, მეორე — წყაროებში, საბუთებში, აღწერის დავთრებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ მამაკაცები არიან აღრიცხულები.

1. ქალის სახელები

აბეშურა	ბაბილინა	გაიანე
აგრაფინა	ბაი	გვანგვა
აგუნდი/ა	ბაია	გვანცა
აკვილინე	ბარბარე	გვილიფხი
ანა	ბებიეითვალა	გვინდი
ანათა/ანთა	ბებუსი	გვიტინა
ანანა	ბედა	გოგოლა
ანასტასია	ბედისა	გუგული/ა
ანგელინა	ბედუნა	გუგუჩი
ანეტა	ბერა	გოგუცა
ანთია	ბერდედა	გუდუ
ასინეთ	ბერდუფხი	გულანშარ
ასმათ	ბორენა	გულთამზე
აფხაზელი	ბროლა	გულისა
ალათი	ბუბა	გულისვარდი
აშექალი	ბუდეშურა	

გულნარა
გულსუნდა
გულსურაბი
გულქალა
გულქანი/ა
გულშარ
გურანდა
გურანდუხტ
გულისვარდი
გუქა

დავარ

დაი
დალი
დარეჯან
დარიბა
დედაო
დედაჩი
დედია
დედიკა
დედისდედა
დედისიმედი
დედისკალთა
დედი(ა)ქალა/ი
დედოფალა
დედუა
დედუკა
დედულა
დედულისა
დედუნა
დედურა
დედულა
დესპინე
დედუნა
დედურა
დეუფა
დიანა
დინი/ა
დინარა
დოდა

დოდო/დოდონა
დომნა
დონარა
დუთა
დოფინე/დაფინე
დუდა
დუდუხანა

ევა

ევდოკია
ეთერ
ეკაკა
ეკატერინე
ეკვირინე
ელენე
ელისაბედ
ელისო
ელპიდე
ენძელა
ესმა
ეფემია
ეფროსინე

ვარდთამზე

ვარდო
ვართამზე
ვისი

ზეგულა

ზენათი/ია
ზენათობ
ზესნადარ
ზესნახე
ზექალი
ზითანდარა
ზითვანა
ზინაიდა
ზოია
ზუზი

თავქალი

თავაქარ
თათე
თათია/თათული
თაია
თალალა
თალიკო
თამარ
თამთა
თამი/ა
თამუნა
თანანა
თაფლა/ო
თეა
თებრონე
თეთრა
თეთრაქალი
თეთრუა
თეკლე
თეო
თეონა
თვალიმინდი
თვალმაისა
თვალშავა
თიები
თითავ
თიკანა
თინათინ
თინია
თიურა
თოვლა
თოვლია
თოლიბედი
თოლიოქრო
თოლიშია
თოულა
თოფური
თუთა
თუხარა
თუხვარი/თუხვა

თხვარი

ია

იათამზე
იათრევე
იამზე
ივდითი
ივლიტა
ინგა
ირინე
ირმა

კაკაბა

კაკილი
კატი/ი/ო
კეკელა
კეკლუცი/ა
კესანე
კესარია
კესო
კვანუნი/კვანუ-
რა
კიბელი
კმარა
კოჭიბროლა
კრავაი
კუკუცა
კუნნულა
კურცხა

ლამარა/ია

ლამექ
ლამზირა
ლამზური
ლარისა
ლატავრა/ი
ლეილა
ლელა/უკა
ლია/ლიანა
ლილი

ლოლა
ლუჟი/ა
ლზინა

**მაგდანა/მაგ-
და/მაგდანელი**

მაგული
მაია
მაკა
მაკრინე
მამადედა
მამისა
მამისთვალა
მამქან
მანანა
მანილა
მარეხ
მართა
მარიამ
მარინე
მარიტა
მარცვალა
მასკვლავა
მატრონა
მაყვალა
მაჩხო
მდინარა
მეგი
მედეა
მევარქალი
მელანია
მელიტა
მერცხალი
მესხულა
მენყინა
მზალო
მზევარ
მზევინარ
მზეთანდარ
მზეკო

მზემთუარე
მზექალა
მზეხა/მზეხასა
მზეხათუნ/ა
მზია/მზისა
მზისადარ
მზისნადარი
მთვარე
მთვარისა
მინადორა
მინანი
მინატრა/ე
მინდი
მინდური
მირანდა
მირანდუხტი
მიყვარა
მოკონა
მშვიდა
მცივანა
მნივანი
მწყერა

ნაზი

ნაზიბროლა
ნათელ/ა
ნათია
ნათობა
ნანა
ნანამზე
ნანელი
ნანული
ნარგიზა
ნარჩიტა
ნატალია/ნატო
ნატიფა
ნაღველა
ნახატა
ნენე
ნესტან

ნესტან-დარეჯან
ნია
ნიბლია
ნინო
ნინუ
ნონა
ნუგეშა
ნუკრია
ნუნა

ოქროქალი

პარასკევა
პატარქალი/ა
პანანუნი
პელაგია
პეპელა
პირვარდა
პირიმზე

ჟუჟუნი

როდამ
რუსა
რუსუდან
რუსულა

საბედა
საბედო/ა
სათვითი
სათნო
სათუთი
სალომე
სამძივარა
სამძიმა/ი
სანათა
სანდუა
სანთელა
საპატიური
სევედია

სიდონია
სინათლე
სინდუხტ
სოფიო
სულიკო
სურათა

ტატიანა
ტირინე
ტრედა
ტურფა

ულუმპია
უნყინარა

ფანცქალა
ფატმან/ფატი
ფაფალა
ფეფე
ფიქრია
ფოთოლა
ფოტინე
ფუნდუ

ქალა
ქალდაფხ
ქალეზა
ქალთამზე
ქალია
ქალიკა
ქალიკმა
ქალიმზე
ქალინა
ქალიტა
ქალკმა]
ქალობა
ქალუნა
ქალუნდი/ა
ქაქალა
ქაქანა

ქეთევან
ქიონია
ქრისტინე
ქსენია

ლერლან

ყამარ
ყვავილა

შვენა
შვენეერი
შორენა
შუქია
შუმანიკ

ჩიორა
ჩიტო

ცაბო
ცარო
ცაცა
ცაცო
ცაცუნა
ცეცილია
ციალა
ცივანარა
ცინარი
ცირა
ცირმამა
ცისანა
ცისია
ცისკარა
ცისმარი
ცისნამი
ციური
ციცია
ციცინა

ციცინო
ციცო
ცოქალა
ცქვიტია
ცქიფი
ცუარი
ცუცქი
ცუცა

ძაბული
ძეგლო

ძილა/ო/უკა
ძილიხანი/ა
ძილუკა
ძიძია

წელნაზი

ხათუთა
ხათუთელა
ხათუნა
ხალინა

ხანუმზე
ხატია
ხაჭიპერა
ხვარამზე
ხვაშაქ
ხვახვალა/ხვახვა
ხორეშან
ხომექა

ჯავარ(ა)

2. კაცის სახელები

აბაზა
აბაშ
აბელ
აბესალომ
აბიათარ
აბო
აბრამ
აბული/ა
აბუსერ
აგუნა
ადამ
ადარნასე
ადერკი
ადილარ
ადომელი
აეტ
ავაგ
ავალ
ავბენვა
ავგაროზ
ავთანდილ
ავქსენტი
აზო/აზონი
ათანასე

ათანელი
ათიანა
აკაკი
ალექსანდრე
ალექსი
ალმასხან
ალუდა
ალფეზ
ამაზასპი
ამანათი/ა
ამარცალა
ამბაკო
ამბერკი
ამბროსი
ამინათა
ამირან
ამირინდო
ამონ
ანანიას
ანგურაგ
ანდერმან
ანდრია
ანდრონიკე
ანდუყაფარ

ანზორ
ანთა
ანთიმოზ
ანტონ
ანჩაფ
აპარეკა
აპოლონ
აპრილა
არაბა
არდაშელ
არზოკი
არიანე
არკადი
არმაზ
არმაზელი
არსენ
არტავაზი
არტემ
არჩივი
არჩიმა
არჩილ
არჯევან
არქიპოს
არჯევან

ასათ
ასიბერ
ასკალონ
ასლამაზ
ასლანტი
ასპან
ასფაგური
აფაქ
აფთარა
აფრასიონ
აფრიდონ
აფშინა
აფხაზა
აქვსენტი
აღდგომა
აღდგომელა
აღვსება
აღსართან
ახალა
ახალბედა
ახალკორი

ბაადურ

ბააკა
ბაამან
ბაბადიშა
ბაბაკორი
ბაბაშია
ბაბახარა
ბაბიჭუჭუ
ბაბო
ბაბობა
ბაბუნა
ბაბურა
ბაბუტი
ბაბუჩი
ბაბუჩკორი
ბაგრატი
ბადა
ბადრი

ბაია
ბათუ
ბათუა
ბათულია
ბათური/ა
ბაი/ია
ბაიჭულია
ბაკურ
ბაკურა
ბალახა
ბალია
ბალხამა
ბარათა
ბარამ
ბარდლა
ბარზი
ბართლომე
ბარნაბე/ა
ბარტომი
ბარძიმ
ბასილ
ბატატი
ბატონისა
ბაქარ
ბაჩანა
ბაჩო/ია/უა
ბაჩუნია
ბაძულეი
ბაცაცა
ბანანა/ბანანუნი
ბაჭყია
ბაჭყურა
ბახა
ბახ(ვ)ალა
ბახვა
ბახუელა
ბახუტა
ბებელია
ბებური/ა
ბეგლარ

ბედა
ბედანა
ბედმამაცი
ბედაი
ბედიანა
ბედისა
ბედო
ბედუკა
ბეენა
ბევროზ
ბეკური
ბენდიან
ბენედიქტი
ბენიამინ
ბეჟან
ბეჟიტა
ბერდია
ბედიანა
ბეკონა
ბერელა
ბერეჟი
ბერი
ბერიკა/ო
ბერიტა
ბერუნა
ბერუჩა
ბერუცა
ბერძენა
ბესარიონ
ბესიკი
ბექა
ბელე
ბელელა
ბეშქენ
ბეცია
ბენინა
ბიბილა
ბინდი
ბირთველ
ბირინა

ბიძასთვალა

ბიძინა/კა

ბიძურა

ბიჭია

ბიჭიკა

ბიჭუა

ბიჭუკა

ბიჭურ

ბიჯოჯია

ბობლია

ბოკოჩი

ბოლონა

ბონდო

ბორჯალა

ბოსელა

ბოლრია

ბოშკოჩია

ბორჩი

ბორილა

ბოცო

ბუა

ბუბუტია

ბუდუ/ბუდურა

ბუთლა

ბუთურა

ბუთხა

ბუთხუზი

ბულა

ბულალა

ბულბულა

ბურდია

ბურთა

ბუტა/ბუტაია

ბუტულა

ბულა/ია

ბუჩა

ბუჭა/ბუჭუა

ბუჭუელა

ბუხულია

ბუხუტი

გაბილა

გაბირულა

გაბრიელ/გაბრო

გაგა/გაგი

გაგულა

გაზდილა

გაიოზ

გალატოზა

გალაქტიონ

გამახარე

გამახელა

გამეზარდა

გამიგონა

გამილალდი

გამიხარდი

გამრეკელ

გამსახურდი/ა

გამცემარ

გარაყან/ა

გარსევან/გარ-
სია

გარჯიკ

გაურჯელი

გაჭირდია

გახა

გახუტელი

გაჯინედი

გეგელა

გეგენა

გეგი

გედევან/გედეონ

გელა

გემაძალი

გემჭიშია

გენეზა

გერა/ე

გერასიმე

გერგი/ო

გერისო

გერმანოზ

გერონტი

გეჯურა

გვადი

გვანიზა

გვანიშია

გვარამ

გვარია

გვარულა

გვატა/ია

გვაჩი

გვიანაური

გვიანი/ა

გვიგვია/გვიგვი-
მი

გვიმრა

გვირგვინა

გვიტია

გვრი-

ტა/ი/უა/ულა

გივა

გიგია

გიგილა

გიგინა

გიგნია

გიგოლა

გიგუჩა

გივი

გიერგი

გინდაბერი

გიორგი

გირგელდი

გიუნა

გიუტა

გიშერა

გლახა

გლახო

გლახუა

გობეჩი

გობრონ

გოგი
გოგიბა
გიგილა
გოგინა
გოგისა
გოგირა
გოგიჭა
გოგინია
გოგოთურ
გოგოლა
გოგორა
გოგრაჭი
გოდა
გოდერძი
გოდორა
გოლა
გონა
გონებია
გონიერი/ა
გორგა/გორგია
გორგალა
გორდი/ა
გორელა
გორთამა
გორჯასპ
გომფარ
გორა
გორაბა
გოძია
გოჭი/ია
გოჯია
გრიგოლ
გრუტუნა
გუბაზ
გუგა
გუგუა
გუგუდა
გუგულა
გუგუნა
გუგუ

გუგუა
გუგულა
გუდა
გუდაბერი
გუდია
გუდული
გულვან
გუზან
გუთანა
გუიანა/გვიანა
გულაბა
გულაბერ
გულბათ
გულბუდახ
გულდა
გულა
გულედა
გულვარდი
გულია
გულივარდი
გულისა
გულისადებ
გულისიშედა
გულიტა
გულმაგარ/ა
გულუხა
გულშარ
გუნა
გურაბა
გურამ
გურასპ
გურგენ
გურგი
გურიკორი
გურმიხოლა
გუტი/ა
გუფუსმახუ
გუშელ
გურა
გურუ

გუჭკურუა
გუჯეჭი
დაბალა
დაგვინა
დადამ
დადიშგელა
დავით
დავითგულ
დათვა/ია
დათუნა
დამიანე
დანიელ
დარბაისელა
დარისპან
დარჩილი
დაჩი
დედელა
დედისმანი
დედულია
დედულისა
დევნა
დეისმამა/დეისმა
დემეტრე/დი-
მიტრი
დემნა
დიანოზ
დიასამ/დიას
დიდება
დიდიმ
დიონისე
დოდოლა
დოდო
დოლა
დომენტი
დოროთე
დოსითეოზ
დოსკულია
დუდა
დუდაილა

დუტუ

ებრელა

ეგარსლან
ეგნატე
ეგრისელა
ედიშბერა
ედიშერ
ევგენი
ევგრაფ
ევდემოზ
ევდემონ
ევდოკიმი
ევსევი
ევსტათი
ევტიხ
ეკალა
ელგუჯა
ელეფთერ
ელიზბარ
ელისე/ა
ემელიანე
ენუქ
ეპიფანე
ერასტი
ერეკლე/ირაკლი
ერთგულა
ერისთუ
ერმალოზ
ერმილე
ესაბერ
ესაია
ესტატე
ეფრემ
ექვთიმე
ეცადია

ვალერიან

ვამეყ/ვამიყ
ვამეხ

ვამიჩქიდა
ვაჟა
ვაჟბეგა
ვაჟელა
ვაჟიბედი/ა
ვაჟიკა
ვაჟიკოჩა
ვაჟილა
ვაჟობა
ვაჟუნა
ვაჟყაფარ
ვარაზი/ა
ვარამ
ვარდან
ვარდენ
ვარდია
ვარლამ
ვარსიმე
ვარძელა
ვარძიელა
ვარძუკა
ვასილ
ვაშაგა
ვაშკურუდა
ვაჩე
ვახახი
ვახტანგ
ვახუშტი
ვედრია
ვეფხვია
ვეფხია
ვეშაგ
ვიგრი/ია
ვირშელ
ვიქტორ

ზაალ

ზავრად
ზაზა
ზამთარა

ზანდუკა
ზარასპი
ზაურ
ზაუტა
ზაქი/ა
ზაქარია
ზებედე/ა
ზეგელა
ზედგინი/ა
ზევარ
ზევახ
ზევდგინ
ზეზვა
ზენონ
ზესელი
ზეშთერ
ზვიად
ზილფიყარ
ზოსიმე
ზოტიკე
ზუბია
ზუბიტა
ზუკაკა
ზურაბ

თაბა

თაბუკა
თადეოზ
თავა
თავაზა
თავამია
თავაქარ
თავბერი/ა
თავბერი/ა
თავხელა
თათარა
თათვია
თათულა
თამაზ
თამგვალ

თამკორი
თანდილა
თანია
თარიმანი
თარხან
თაყა
თედორე/თევ-
დორე
თევალა
თეთრა
თეთროვა
თემნა
თეოდოსი
თეოფილე
თექთუმან
თვალექა
თვალთა
თვალმინდი
თვალთა
თვარელი/ა
თიბათვე
თიბელა
თინან
თინიკა
თირლილა
თმოგველ
თოაური
თოთი/ია
თოლიბედი/ა
თოლიკაკა
თოლიოქრო
თოლისკუა
თოლისკუამია
თოლიშია
თო(ლ)მიხილა
თომა
თორელი/ა
თორნიკე
თორღვა
თუთარია

თუთაშხა/ია
თურმან
თურქა
თუშა/თუში
თხუნა

იაბედი/ა

იაბერ
იაკინთე
იაკობ
იანვარა
იანქო
იარალი
იასე/იესე
იასონ
იბაშერ
იდუკა
იერიტეოზ
ივანე/იოანე
ივანება
ივერი
ივლიანე
ილარიონ
ილია
იმარინდო
იმედა
ინა
ინანა
იოაკიმე
იოანე/იოვანე
იოზ
იოველ
იოთამ
იონა
იონათამ
იორამ
იორდანე
იოსებ
იოსია
იპოლიტე

ირაკლი/ერეკლე
ირემა
იროდიონ
ისაია
ისაკ
ისიდორე
იულონ
იუსტინე

კავთელა

კავთია
კათათურა
კაკა
კაკაბა
კაკათელა
კაკალა
კაკაკორი
კაკაჩიტა
კაკაცი
კაკობა
კაკოლა
კაკონა
კალანდი
კალენიკე
კალისტრატე
კალმახელი
კანკა
კამოგელა
კარპეზ
კასიანე
კაცია
კაციბერ
კაცინა
კაციოქრო
კაციტა
კაცობელა
კაცრიელი
კაცუნა
კაცური/ა
კაჭუ

კახა
კახაბერ
კახნია
კეთილა
კეთილისა
კეკო
კვანჭი
კვატი
კვაცი/ირა
კვახა
კვერნა/კუერნა
კვესია
კვიბიხ
კვიკვი/კვიკვინა
კვირია
კვირიაკოზ
კვირიკე
კვირილეისი
კვირისა
კვიროსი
კვიტა
კვიცი/ა
კიკნა
კიკოლა/კი-
კო/კიკია
კირილე
კირიონ
კიტა/კიტუა
კილუ
კილულე
კლიმენტი
კლიმი
კობა/ია(<იაკობ)
კოზმან
კოკოზა
კოკოლა
კომშა
კონა
კონსტანტინე
კოპიტა

კორკოტა
კორნელი
კოტორა
კოჩა/ი
კოჩივარა
კოჩილა
კოჩიორე
კოჩობა
კოჭკანა
კოხტა
კუკური
კუკურია
კუნძა
კუნა
კუნწულა
კუპატა
კუპრა
კურდღელა
კურულია
კურცხა
კურცხალია
კუტა
კუტალა
კუტოკოჩი
კუტულია
კუნწულო
კუჭკულეი

ლაბოჩარ
ლაგაზი
ლავერენტი
ლაზა
ლაზარე
ლამაზუნა
ლამექ
ლაპა
ლარგველ
ლასურა
ლაშა
ლაშქარა

ლაშხა
ლეგა
ლევან/ლეონ
ლეიბური
ლეკვია
ლეონიდე
ლეჟერ
ლიპარიტ/ლიპარ
ლოთე/ლოთიკა
ლომთასია
ლომი/ა
ლომგული
ლომთასია
ლომია
ლომიკა
ლომკაცი/ა
ლომინ
ლომისგული
ლომისი
ლომიტა
ლომნი
ლომსაური
ლომშერა
ლონგინოზ
ლონდრე
ლუარ-
საბ/ლუა/ლუი
ლუკა
ლუკიანე
ლუხუმ
ლხინა

მაზია
მაზიტა
მათე
მათვალი/ა
მაისა
მაკარ
მალაქია
მალხაზ

მალხინა	მარხვა	მელქისედეკ/მე-
მამა	მასკვლავა	ქი
მამაგულა/ი	მასტანა	მემნა
მამაკუკუ	მასურა	მემცხვარე
მამალა	მაქსიმე	მერაბ
მამამზე	მალალა	მერკვილისი
მამანი	მაყა	მერცხალა
მამასულა	მაჩური/ა	მესხა
მამასფერი	მაჩხურა	მეფისა
მამაშვილა	მაცი	მეშველი
მამაცა	მაცაცა	მეცვიყო
მა(ო)მესნარა	მაცხონე	მზავარ/მზევარ
მამია	მანია	მზესულა
მამიგულა	მაჭარა	მზეჭაბუკ
მამიკეთილა	მაჭაჭუა	მზინადარა
მამინა	მაჭიხოლა	მთავარა
მამისა	მახა	მთვარელი
მამისბედა	მახათა	მთინიყორდი
მამისთვალა	მახარა	მიდელა
მამისიმედი	მახარე	მინდია/მინდიკა
მამისმამა	მახარებელ	მინდოდა
მამისშური	მახარობელ	მინდორა
მამკაცა	მახვილა	მირდატ
მამნე	მახნია	მირვან
მამობილა	მახო	მირიან
მამუკა	მახუტა	მირონ
მამულა	მახუჭა	მისრი/ია
მამუჩი	მახუჯეგ	მისხუნუდა
მანასე	მგელი/ა/ია	მიტროფანე
მანგია	მგელიკა	მიქელა/ი
მანუჩარ	მგელიტა	მიშველ
მანძულა	მგელუტა	მიხაკა/მიხა/მი-
მანჯვაი	მგვილია	ხო
მარგველა	(მ)გზავსიერი	მიხაროდა
მართიშია	მეგრელი	მიხეილ
მარკოზ	მევარკაცი	მიხილია
მარტია	მეთოდე	მოგელი/იტა
მარუშან	მელიკა	მოზვერა
მარღია	მელიტონ	მოკლია
მარცვალა		მოლოდინა

მორბედა
მოსე
მოსულა
მრეველა
მუჲანყინდა
მურვან
მურმან
მურღვა
მურღული
მურღულა
მუსხელ
მუშნი
მუხა/ია
მუხისგული
მუხრან
მუხია
მუხლუხა
მუხისგული/ა
მუხრან
მყვირალი
მშვიდა/შვიდა
მცხუედი
მძიმია
მწარია
მწივანი
მწყერა
მჭედელა
მხიარულა

ნათა

ნათობა
ნაკვეთა
ნაკუდა
ნანარტუა
ნანატრია
ნანია/ნანიკა/ნა-
ნიტა
ნაობ
ნარიმან
ნარინდავით

ნარჩიტა
ნასყიდა
ნატრო/ია
ნაღება
ნაყუდა/ნაკუდა
ნაცვალა
ნაწიფა
ნებიერი/ა
ნეკერა
ნემსა
ნესტორ
ნია
ნიანია
ნიბლუა/ნიბლო
ნიკიფორე
ნიკოლოზ
ნინია/ნინიკა
ნინიტა
ნიორა
ნიჟარა
ნისლა
ნისლაური
ნიშა
ნოდარ
ნოე
ნოშრევან
ნუგზარ
ნუკრი/ია
ნუნუა
ნუქაბა
ნუში

ობიშხა/ობიშხე- ლა

ობოლა
ოდიშელ
ობიშხე
ოთარ
ოთია
ოლიბედაი

ომან
ომეხი
ონანა
ონი
ონიკა
ონისე/ონისიმე
ონოფრე
ორბელ
ოსება
ოსია
ოსიყმე
ოტია
ოქრო
ოქროპირ

პაატა

პავლე
პაკაცი
პანტელეიმონ
პაპა
პაპაკუდა
პაპისიმედი
პაპნია
პაპტა
პაპუა
პაპუნა
პაპურელი
პართენ
პარმენ
პატარა/ბატარა
პატარიკა
პატარკაცი
პატატა
პატიჯა
პატრიკ
პანანუნი
პეპია
პერანგა
პეტრე
პირიმზე

პირნათე
პირნათელ
პირქუშა/ი
პირწყილი
პლატონ
პოვინია
პოლიკარპე
პოპილო
პორფილე
პროკოფი

ჟამიერა
ჟემთელ/ზერ-
თელ
ჟოჟონა
ჟუჟინა

რაზმია
რამაზ
რამინ
რაჟდენ
რატი
რაფიელ
რაჯ(ყ)ამ
რევაზ
რევანდ
რევი
რთველია
რკინა
რობამ
როდიონ
როინ
რომანოზ
როსაფ
როსებ
როსტევან
როსტია
როსტომ
როშაქ
როჭიკა

რუსი/ია
რუსია
რჩეულა

საამ
საბა
საბედო
საბრალა/ო
საგინა
სავლე
საზვერელი
სალუქა
სამართალა
სამეზა
სამებელი/ა
სამეებისა
სამნალირი
სამოელ
სამსონ
სამუკა
სამხარა
სანაგი
სანანო
სანატრელი
სარალა
სარგის
სარდალა
სარდიონ
საურმაგ
სალირა
საყვარელა
საყურა
საჩინო/ჩინო
საძაგელა
სახელა
სახიერი
სევასტი
სევერიან
სეით
სერაპიონ

სერგი
სეფედავლე
სეხნია
სიაუმ
სილიბისტრო
სილოვან
სიმონ/სიკო
სიყმია
სიხარულა
სკუმუშია
სოლომონ
სოსანა
სოფრომ
სოლომორთა
სოხერდია
სპირიდონ
სტეფანე
სტეფანოზ
სუთია
სულა
სულაკა
სულიკიდია
სულმამა
სულხან
სურამელ
სუხიტა

ტაბაგელა
ტამკოჩი
ტარასი
ტარიელ
ტახო
ტერენტი
ტეტია
ტეტიკა
ტიბულა
ტიმოთე
ტიტე
ტიტინა

ტიღვა/ტიღა/ტი-
ღუნა
ტორონჯი
ტობა
ტრიფონ
ტყემაღა
ტურა
ტურია
ტუსია
ტურია/ო
ტუხა

უგემურა
უგუნურა
უთრუთ
უნცრუა/უმ-
ცროსა
უნცროსო
ურჯუკა
უტა/ი
უფლისა
ულვინობა
უშანგი
უშარა/ო
უშვერა
უშიშა
უშუენარა
ურა
ურაკორი
ურანა
ურარდია
ურყინარა
უძიღა
უნყენარ
უჭკუა

ფადღა
ფალავანდ
ფარანჯომი
ფარნაოზ

ფარსადან
ფარსმანი
ფარცვანი
ფაცქალა
ფასია
ფასიტა
ფაცქალა
ფერისა
ფეტვია
ფე(რ)შანგი
ფეხელა
ფიდო
ფილიმონ
ფილიპე
ფირან
ფიფი
ფიქვი
ფიცხელა
ფოთოღა
ფოკა
ფოღადა
ფოტელა
ფოფხა
ფოცხვერა
ფრანგა
ფრიდონ
ფუნჩა
ფურთუხ
ფურცელა
ფუტკარა
ფშავეღა

ქადიგულა
ქავთარ
ქაიხოსრო
ქართამ
ქართლოს
ქარია
ქარუმა
ქარჩა

ქაქალია
ქაქუბა
ქაქუცა
ქაჩუ
ქაცარა
ქება
ქეკორი
ქემა
ქერა
ქერობინ
ქერქა
ქვანი
ქვანიღეი
ქველი
ქირქიშო
ქიტია
ქიშვარდი
ქობულ
ქოთიღა
ქომიყორდო
ქომოკორდა
ქორია
ქორფა
ქოქოცა
ქოჩორა
ქოჩუ
ქოცება
ქრისტეკორი
ქრისტესია
ქრისტეფორე
ქუაბული
ქუმსი/ია
ქურდი
ქურსიკ
ქურციკა
ქუტი
ქუფრია
ქუშა
ქუცი
ქუცნა

ქუჯი

ლაბუა

ლაბუტა
ლანდალე
ლარიბა
ლალაბია
ლაღანელა
ლაღლია
ღერენა
ღვთისია
ღვთისავარ
ღვთისამიერი
ღვთისუნა
ღვთისწყალობა
ღვინია
ღვინიანი
ღმერთისა
ღონე(ა)ნა
ღონია
ღოლაბე
ღრინა
ღრუბელა/ღურ-
ბელა
ღუღუნა
ღუჭა

ყანდია

ყანდურალ
ყარამან
ყარყარა
ყაფლან
ყაყა
ყაყიტა
ყაჭია
ყელგრძელი
ყვარელა
ყვარყვარე
ყვინჩა/ია
ყვინჩილი/ა

ყვირა
ყვირილა
ყორანა
ყორია
ყორო
ყურა
ყუშიტა

შაბურა

შავა
შავლეგ
შავნასყიდა
შავშურა
შავხალ/ა
შაკორია
შალვა
შალიკა
შალუტა
შამშე/შანშე
შაქრო/შაქარა
შაშვა/შაშვია
შევარდენა
შენგელი
შერგილ/ა
შერმადინი
შერმაზან
შესანირი
შენირულა
შველა
შვენა
შვილია
შიო
შიოლა
შიოშ
შიუკა
შიშია
შიშნია
შმაგი
შობელა
შოვიანი

შოთა
შო(უ)რითოლი
შოშია
შოშიკი
შოშიტა
შუა
შუკორია
შურიმიგდი
შუქი
შულღია

ჩალხია

ჩამგელ
ჩარგაზ
ჩარუხა
ჩაუქა
ჩეკურა
ჩერქეზა
ჩინელა
ჩიტა/ო
ჩოჩი
ჩოჩება
ჩოლოყა
ჩქარეულა
ჩქარია
ჩხაგუ
ჩხეტ
ჩხიკვა/ი
ჩხუბია
ჩხუტელა

ცარიელი

ცაცანა
ცაცქუ
ცაცქურა
ცელქია
ცეკვაი
ცეცხლა
ციბუნა
ციდრო

ცივა
ცივნარა
ციოყ
ცირეკა
ცირხილა
ცისკარა
ციცი
ციცუნა
ციცქა
ციხელი/ა
ციხოველ
ციხუა
ცოტა
ცოტნე
ცოტიკა
ცოტნე/ა
ცოტუა
ცოცხალა
ცუარი
ცუდაკა
ცურა
ცუცუნა/ი
ცქირი
ცქვიტა/ია
ცქიფა
ცქვიტია
ცხაგა/ცხაკა
ცხადა/ო
ცხვირა
ცხორება

ძაგან/ა

ძამა
ძამინა
ძამსა/ია
ძამუკა

ძალღია
ძალღიკა
ძალღუტა

ძალოლა/ია
ძაძუ
ძვაძვალა
ძია
ძმობილა
ძნელა
ძულია
ძლიკვი

ნაბლიკა

ნათე
ნამალა
ნერელა
ნესია
ნესიერი/ა
ნენია
ნვრილა
ნითელა
ნიკვლია
ნინნკალა
ნიოტა (ჭიოტა)
ნიპ(ფ)რანა
ნიქა
ნიქარა
ნინაკორი
ნინილა
ნოვა
ნრაპაკანი
ნულა
წყალობა
წყარუა

ჭაბუა

ჭაბუკა
ჭაბუკველა
ჭალაჭანდრი
ჭანია
ჭარია
ჭაჭკანა
ჭვრინტა

ჭიაბერ
ჭიალა
ჭივი
ჭიკა
ჭილა
ჭინჭარა
ჭიტო
ჭილალე
ჭიჭია
ჭიჭიკა/ი
ჭიჭიკელა
ჭიჭილა
ჭიჭინა
ჭიჭლა
ჭიჭო
ჭიხური
ჭოლა
ჭოლიკა
ჭორდალა
ჭოტა
ჭოჭოლე
ჭრელა/ი/ო
ჭუკა
ჭუნია
ჭურახ
ჭუტი
ჭყინტულდი

ხადილა

ხადულა
ხაზარა
ხალა
ხალია
ხარა
ხარატა
ხარება
ხარია
ხარიტონ
ხატისა
ხატისავარ

ბატისმამუკა
ბატო/უა
ბატულა
ბატუნა
ბახალა
ბახანა
ბახარა
ბახულა/ია/ბახო
ბახულარა
ბახუტა
ბახუტელი
ბევისბერა
ბევისურა
ბეკა
ბელა/ი
ბენელა
ბვანი
ბვთისავარ
ბვთისამიერი
ბვიჩა
ბიბლო
ბიზანა
ბილია
ბიმშია
ბინჩლა
ბირჩლა
ბისფეხი
ბმალა
ბმელა
ბონონა
ბორხელა
ბოსია
ბოსიტა
ბოსრო

ბოხოზა
ბოხოზერი
ბოჯი
ბუმარა
ბურსი
ბუტა/ია/უ
ბუტკუბია
ბუტუნაი
ბუცი/ა/ია/ო
ბუცურა
ბუხულია
ბუხრი
ბუხუტელა
ბუხუჩა

ჯაბა

ჯაბანი
ჯავარა
ჯავახ
ჯავდან
ჯაველი
ჯავშანა
ჯალაბა
ჯამასპ
ჯანა/ია
ჯანგვა
ჯანელა
ჯანსულ
ჯარდან
ჯარია
ჯარჯი
ჯარჯო
ჯაყელა
ჯაშია

ჯაჭუ
ჯახუ
ჯაჯანა
ჯგეკოჩი
ჯგერგეკი
ჯგერგეკოჩი
ჯგერკოჩა
ჯვარია
ჯვარისა
ჯვებე
ჯიბრაელ/ჯიბო
ჯიმშერ
ჯიმშიტა
ჯიქა
ჯიშე
ჯიხვი
ჯიხო
ჯიჯი
ჯოია
ჯოკია
ჯოლორა/ია
ჯოყოლა
ჯოხა
ჯოჯიკ
ჯუანშერ
ჯუმაშხია
ჯუმბერ
ჯურხა
ჯულელა
ჯულურა
ჯუხარა
ჯღუთი
ჯღუნი

სარეკომენდაციო ლიტერატურა

აფრიდონიძე შ. ცოლ-ქმრის ურთიერთმიმართებისა და ერთმანეთის მოხსენიების ქართული ტრადიციები: ჟურნ. *საენათმეცნიერო ძიებანი*, XII, თბ., 2003.

აფრიდონიძე შ. ეთნონიმიის სპეციფიკა და ეთნონიმათა კორექტული ხმარებისათვის: კრ. *ქართველური მემკვიდრეობა*, II, ქუთ., 1998.

ბარდაველიძე ვ. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან. — *მიმომხილველი*, I, თბ., 1949.

ბახია-ოქრუაშვილი ს. აფხაზური გვარსახელები. — *ანალები*, 2, 2005.

ბენდელიანი ც. -ხე სუფიქსი ქვემოიმერულ დიალექტში. — *ქართველური მემკვიდრეობა*, I, ქუთაისი, 1997.

გაგულაშვილი ი. ქართული გვარები, ქართული სახელები. ებრაულ სახელთა მცირე ლექსიკონი, ქუთაისი, 1993.

გოდერძიშვილი ქ. ინდიგენური სახელებისათვის. — *ქართველური მემკვიდრეობა*, II, ქუთაისი, 1998.

თაბუაშვილი ა. შიდა ქართლის მოსახლეობის აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2010.

თაყაიშვილი ე. მასალანი სტატისტიკურის აღწერილობისა XVIII საუკუნეში. თბ., 1907.

თოფჩიშვილი რ. ლეჩხუმური გვარსახელები: დასავლეთ საქართველოს ეთნიკური ისტორიიდან. თბ., 1993.

თოფჩიშვილი რ. როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები. თბ., 1997.

თოფჩიშვილი რ. მოხეური გვარსახელები. თბ., 1998.

თოფჩიშვილი რ. ქართული გვარსახელების ისტორიიდან, წ. I, მთის რეგიონების გვართა ეთნოისტორიული შესწავლის ცდა. თბ., 2003.

თოფჩიშვილი რ. ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, თბ., 2005.

ინგოროყვა პ. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. მეორე, თბ., 1941.

კალაძე ც. სახელ-მამისახელობითი მიმართვის შესახებ ქართულში. — *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, წიგნი მეექვსე, თბ., 1984.

კეზევაძე მ. ქართული გვარსახელები იმერეთში (XIX საუკუნის 40-იანი წლები). ქუთაისი, 2004.

მაისურაძე ი. ქართული გვარსახელები (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია), თბ., 1879.

მაისურაძე ი. ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1981.

პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI—XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით: ტ. I, თბ., 1991; ტ. II, 1993; ტ. III, 2004; ტ. IV, 2007.

სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ვ. *სილოგავას* გამოცემა. თბ., 1986,

ტბეთის სულთა მატიანე., თბ., 1977, თ. *ენუქიძის* გამოცემა.

სილაგაძე ა. თოთაძე ა. გვარსახელები საქართველოში. თბ., 1997.

ღლონტი ალ. ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1981.

ღლონტი ალ. ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988.

შავიანიძე დ. ოკრიბული გვარსახელები. ქუთაისი, 2002.

შავიანიძე დ. ქართული გვარსახელები (ბაღდათის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), ქუთაისი, 2007.

შანიძე ა. თეოფორული სახელები ქართველურ ენებში. — *მაცნე*, 2, 1967.

ცოცანიძე გ. თუშეთში გავრცელებული გვარები და სახელები საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით. — *ონომასტიკა* I, თბ., 1987.

ცხადაია პ. გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000.

ცხადაია პ. ონომასტიკის შესავალი, თბ., 2005.

ჭუმბურიძე ზ. დედაენა ქართული, თბ., 1987.

ხარაძე რ. ხევსურული „ძირი“ და „გვარი“. — *მიმომხილველი*. I, თბ., 1949.

ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ნ. I, თბ., 1967.

ჯიქია მ. თურქიზმები ქართველურ ანთროპონიმიკონში. სადოქტორო დისერტაციის მაცნე, თბ., 1995.

Антропонимика. М., 1970.

Бестужев-Лада И. В. Исторические тенденции развития антропонимов. сб. *Личные имена, в прошлом, настоящем, будущем*. М., 1970.

Бестужев-Лада И. В. Имя человеческое: прошлое, настоящее, будущее. *Советская Этнография*, №2, 1968.

Виничук Л. Люди, нравы и обычаи Древней Греции и Рима. Пер. с польск. М. 1988.

Гафуров А. Имя и история: Об именах арабов, персов, таджиков и тюрков. Словарь. М., 1987.

Крюков М. Система родства китайцев. М., 1972.

Ли Г. Корейские имена как этнографический источник. — *Этническая история и современное национальное развитие народов мира.* М., 1967.

Личные имена в прошлом, настоящем, будущем. М., 1970.

Мегрелидзе И. Лазский и мегрельский слой в гурийском. Л., 1928. — *Труды ИЯМ., кн. XX, Caucasia, 1.*

Мегрелидзе И. Женские фамильные окончания в жнокавказских яфетических языках и фольклоре. — *Памяти академика Н.Я.Марра,* М-Л, 1938.

Налбандян Г. Армянские личные имена иранского происхождения (Культурно-историческое, этимологическое исследование). АДД, Тб., 1971.

Никонов В. А. Задачи и методы антропонимики. *Личные имена в прошлом, настоящем, будущем.* М., 1970.

Никонов В. А. Имя и общество. М., 1974.

Ономастика Кавказа. I. Махачкала, 1976.

Ономастика Кавказа (Межвузовский сборник статей). Орджоникидзе, 1980.

Погорельский М. Еврейские имена собственные. СПб., 1895.

Проблемы антропонимики. М., 1970.

Раянди Э. Имя и право. — *Личные имена в прошлом, настоящем, будущем.* М., 1970.

Симина Г. Я. Фамилия и прозвище. — *Ономастика,* М., 1969.

Системы личных имён у народов мира. М., 1986.

Словарь английских личных имен. Составитель А. Рыбакин. М., 1973.

Сталтмане В. Латвийская антропонимия. М., 1981.

Суперанская А. Ваше имя?: Рассказы об именах разных народов. М., 2001.

Суперанская А. Общая теория имени собственного. М., 1973.

- Тюркская** ономастика. А.-А., 1984.
- Хигир Б.** Восточные имена народов России.
- Этническая** ономастика. Ответственные редакторы: Р. Джарылгасинова, В. Никонов, М., 1984.
- Этнография имен.** М., 1971.
- Apridonidse Sch.** Das System der georgischen Anthroponymie (Personennamen): Journ. *Georgica*, Heft 7, Iena–Tbilissi, 1984.
- Caetani L., Gabrieli G.** Onomastikon arabikum. Roma, 1915.
- Clark C.** Some Early Canterbury Surnames. – *English Studies*. Amsterdam, 1976, Vol. 57, # 4.
- Dauzat A.** Les noms de famille France. P., 1949.
- Lebel P.** Les noms de personnes. Origine et evolution. P., 1950.
- MacLysaght E.** Irish Families: Their Names, Arms and Origins. Dublin, 1957.
- MacLysaght E.** The Surnames of Ireland. N. Y., 1970.
- Milewski T.** La comparaison des systmes antroponymiques azteques et indoeuropees, - *Onomastica*, 8, Rocznik V, zeszyt, 1959.
- Milewski T.** Slowianskie imiona o sobowe na tle porownewezym. – “*Zpoliskich studiow slawistycznych*”, Warszawa, 1963.
- Ribkin A.** Dictionary of English Surnames. Moscow, 1986.
- Vroonen E.** Les noms des personnes dans le monde. Anthroponymie universelle compare. Bruxelles, 1967.
- Woulfe P.** Irish Names and Surnames. Baltimore, 1967.

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნინო ნინაშვილი

დიზაინერი
ირაკლი უშვერიძე



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ბერიკა

გვანუა

ყჩაკობი

თყუა

თოვლა

ჭვარისა

ხახულა

ფორცვერა

თოღისკუა

თერთა თერთაძე

ქობულ-სტეფანოსი

განრიელი ღაფანჩული

მ-რმ გოგორელიძე

ელენე - ქალოთამზე

მასარებელი ქვანალია

ფარსმან იოანეს ძე ჭიმჭიმელი

ჭამბურნიანი-ჭამბურია-ჭამბურიძე

ISBN 978-9941-17-008-9



9 17 8 9 9 4 1 1 7 0 0 8 9 1